ვ. ყოველიანი

K 135·740
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოსა და მოზაფეთის პოლიტიკური ურთიერთობა 970–1070 წლებში

ვ. ჯოჯაღიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა

970—1070 წლებში

[illegible]

თბილისი
1969

ეროვნული
ბიბლიოთეკა

9(C41)+9(3)
9:327(47.922:395.02)
ვ 741

წიგნში განხილულია საინტერესო პერიოდი ბიზანტია-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიიდან.

ავტორი ეხება ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ძველი ქართული სამთავროს — ტაო-კლარჯეთის როლს და გაერთიანებული საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობას ბიზანტიასთან XI საუკუნეში; საინტერესოდაა მოთხრობილი ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქართველ მოღვაწეთა როლის შესახებ.

წიგნი განკუთვნილია ქართველი ხალხის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

1—6—4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესავალი

ბიზანტია ერთ-ერთი მოწინავე და ძლიერი სახელმწიფო იყო. იგი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთიდან უშუალოდ ესაზღვრებოდა და წარმოქმნის დღიდან (IV საუკუნე) თითქმის მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა ჯერ ცალკეულ ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან, ხოლო შემდეგ გაერთიანებულ საქართველოსთან. ეს ურთიერთობა, განსაკუთრებით IX—XI საუკუნეებში, იმდენად მრავალფეროვანი და შინაარსით მდიდარი იყო, რომ მისი შესწავლა დიდ დახმარებას გაუწევდა ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეს. საქართველო და ქართველი მოღვაწეები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ბიზანტიის სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ურთიერთობა საქართველოსა და ბიზანტიას შორის ყოველთვის ერთნაირი ხასიათის არ ყოფილა. ზოგჯერ ის თითქო მეგობრულ ხასიათს ატარებდა, რაც, ჩვეულებრივ, საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებით იყო გაპირობებული; ზოგჯერ კი ეპოქისათვის დამახასიათებელი მტრობა და ბრძოლა იჩენდა ხოლმე თავს.

ბიზანტიას არა ერთხელ უცდია საქართველოს მიწა-წყლის დაპყრობა და ბევრი ზიანიც მიუყენებია მისთვის. მაგრამ უკანასკნელი დამოუკიდებლობას არ თმობდა. ქართველი ხალხის ისტორიაში ბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ მწვავე ბრძოლის მრავალი ეპიზოდია ჩაწერილი.

ცნობილია, რომ არაბთა ბატონობის დასასრულმა ბიზანტია გაათავისუფლა მეტად საშიში და ძლიერი მტრისაგან, ხოლო ქართველ ხალხს ხელი შეუწყო ძალთა გაერთიანებაში.

სახალიფოს დაკნინების შემდეგ ბიზანტია შეტევაზე გადმოვიდა ამიერკავკასიის ქვეყნების დასაპყრობად, მაგრამ მას წინ აღუდგა გაერთიანების პროცესში მყოფი საქართველო. ბრძოლამ ხანგრძლივი და მწვავე ხასიათი მიიღო და გაგრძელდა მანამ, სანამ

ორივე მხარეს ახალი, ძლიერი და მეტად საშიში მტერი აღმოჩნდა თურქ-სელჩუკთა სახით.

ბიზანტიის წინააღმდეგ საქართველოს თავდაცვითი ბრძოლის ეს პროცესი მეტად საინტერესო მოვლენებით ხასიათდება: XI საუკუნეში საგარეო ბრძოლას შინასოციალური ბრძოლა დაეზარდა და ამ ბრძოლაში ქართველ პატრიოტებს სომეხი პროგრესული სოციალური ძალებიც შეუერთდნენ.

*

* *

აღებული ხანის ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის გასათვალისწინებლად მოგვეპოვება როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები. ქართული წყაროებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „ქართლის მატიანის“ ავტორისა და სუმბატ დავითის ძის ნაშრომები. ამ თხზულებათა ავტორები XI საუკუნის მოღვაწენი იყვნენ და მათ მიერ აღწერილი ბევრი ამბის თვითმნახველნიც.

ამ მხრივ თავისი მნიშვნელობით დასახელებულ ნარატიულ თხზულებებს არ ჩამოუვარდება ზოგიერთი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლი. კერძოდ, გიორგი მთაწმიდელისა და გიორგი მცირის თხზულებები. ამ ძეგლების ავტორები ბიზანტიის სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული ერთ-ერთი ქართული კულტურის ცენტრის მოღვაწენი იყვნენ და აინტერესებდათ როგორც ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის შინაარსი, ისე ბიზანტიაში მოღვაწე ქართველების საქმიანობა და ბედი. ამდენად წინამდებარე ნაშრომში მათ თხზულებებს წყაროთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოგვეპოვება ბევრი პირველადი ხასიათის წყარო: დიპლომატიკური, ეპიგრაფიკული, მემორიალური და სხვ., რომლებიც ჩვენთვის საინტერესო ხანის შესახებ მსჯელობისა და გარკვეული დასკვნების საშუალებას გვაძლევენ.

უცხოური წერილობითი წყაროებიდან პირველ ყოვლისა აღსანიშნავია სომეხ ისტორიკოსთა ნაშრომები, რომელთაგან საყურადღებოა სტეფანოზ ტარონელის, არისტარქე ლასტივერტელის, მათე ურჰაელის ანუ ედესელის, ვარდან დიდი აღმოსავლელისა და სტეფანოზ ორბელიანის თხზულებები[1].

---

[1] წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია: სტეფანოზ ტარონელ ის თხზულების რუსული თარგმანი (Всеобщая история Степаноса Таронского,

საინტერესო ცნობებია შემონახული ბიზანტიურ წყაროებში. მათგან პირველ ყოვლისა მნიშვნელოვანია იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტის (912—952) ცნობები. ამ ავტორის ნაშრომებში ქართველი ბაგრატიონების შესახებაც ბევრი ისეთი დეტალია დაცული, რომლებიც ქართულ წყაროებს არ შემოუნახავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესო ცნობებს გვაწვდის XI საუკუნის ბიზანტიელი ქრონოგრაფოსი კედრენე (იგი სარგებლობს იოანე სკილიცესა და მისი გამგრძელებლის შრომებით).[2] კარგი ცნობებია შემონახული აგრეთვე ანა კომნენეს, ნიკიფორე ვრიენოსის თხზულებებში[3] და სხვ. მაგრამ, როგორც ქვემოთ გავეცნობით, ბიზანტიური წყაროები მეტისმეტად ტენდენციური ხასიათისაა, რასაც ვითვალისწინებთ მათი გამოყენების დროს.

საინტერესო მასალებს გადმოგვცემს აგრეთვე არაბი ისტორიკოსი იაჰია ანტიოქელი, რომელიც იმ ფაქტებზედაც კი მიუთითებს, რომ ბიზანტიის წინააღმდეგ თავდაცვითი ბრძოლის ინტერესებმა საქართველოს მეფე გიორგი I ეგვიპტის ფატიმიდთა ხალიფასთან დააკავშირა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი მკვლევარი შეხებია ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის საკითხს. ამ მხრივ პირველ ყოვლისა აღსანიშნავია აკად. ივ. ჯავახიშვილი, მან თავისი ქართველი ერის ისტორიის II წიგნში საქართველოს პოლიტიკური ისტო-

---

Асохика по прозванию, писателя XI столетия. Перевод с армянского Н. Эмина, Москва, 1864); არისტარქე ლასტივერტელის როგორც სომხური გამოცემა (Պատմութիւն Արիստակեայ Վարդապետի Լաստիվերտցւոյ, თბილისი, 1912), ისე ფრანგული (Histoire d'Arménie... par Arisdagués de Lasdiverd, traduite par E-Prud'-homme, Paris, 1864); მათე ურჰაელის ანუ ედესელის— ფრანგული (Chronique de Matthieu d'Édesse (962—1136), avec la continuation de Grégoire de Prêtre, jusqu'en 1162, traduite par M. Edouard Dulaurier, Paris, 1858); ვარდან დიდი აღმოსავლელის—რუსული (Всеобщая история Вардана Великого, перевод Н. Эмина, Москва, 1861) და სტეფანოზ ორბელიანის რუსული (О Великом нахарарстве Орбелианов: «Исследования и статьи Н. О. Эмина по армянской мифологии, археологии, истории и истории литературы», Москва, 1896) თარგმანები.

[2] ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, თბილისი, 1963, გვ. 8; VI, 1966, გვ. 161.

[3] როგორც ნიკიფორე ვრიენოსის, ისე კონსტანტინე პორფიროგენეტისა და კედრენეს ცნობები ამ ნაშრომში გამოყენებულია პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემული ბერძნულ-ქართული ტექსტების მიხედვით (გეორგიკა, ტ. IV[2] და V), ხოლო ანა კომნენეს თხზულება — ი. ნ. ლიუბარსკის რუსული თარგმანის მიხედვით (Анна Комнина, «Алексиада», 1965).

რიის გაშუქებასთან ერთად, XI საუკუნის ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის მრავალ საკითხსაც შუქი მოჰფინა.

დიდი დამსახურება მიუძღვის პროფ. ს. ყაუხჩიშვილს. მან ხელმისაწვდომი გახადა ქართველ მკითხველთა ფართო წრისათვის „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ", ამ სათაურით გამოსცა მრავალი ტომი და მათში მოთავსებულ მის მიერ თარგმნილ თითოეული ავტორის ნაშრომს დაურთო მეტად სასარგებლო შენიშვნები და განმარტებები.

ცალკე წიგნი გამოაქვეყნა აწ განსვენებულმა მ. კახაძემ სათაურით: „ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში"[4], ხოლო დოც. ნ. ლომოურმა დაბეჭდა სპეციალური გამოკვლევა: «К истории восстания Варды Склира»[5].

ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის ცალკეულ საკითხებზე ყურადღებას აჩერებენ თავიანთ ნაშრომებში აკადემიკოსები: ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, კ. კეკელიძე, ე. თაყაიშვილი, პროფ. ი. ცინცაძე, მწერალი პ. ინგოროყვა და სხვა; ძველი თაობის მკვლევრებიდან: მარი ბროსე, დიმიტრი ბაქრაძე, ა. ნატროშვილი, თედო ჟორდანია და სხვ.

რუს და უცხოელ მკვლევართაგან, ვინც კი X—XI საუკუნეების ბიზანტიის ისტორიის, ან მის რომელიმე საკითხს აშუქებს, თითქმის ყველა ეხება ბიზანტია-საქართველოს მაშინდელი ურთიერთობის ცალკეულ საკითხებს. რუსი მკვლევრებიდან აღსანიშნავია: ვ. ვასილევსკი[6], ვ. როზენი[7], თ. უსპენსკი[8], ნ. სკაბალანოვიჩი[9] და სხვ.; თანამედროვეთაგან: ა. კაჟდანი და გ. ლიტავრინი[10]; უცხოელი

---

[4] თბ., 1954.

[5] თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 67, 1957.

[6] Труды В. Г. Василевского, т. I, 1908.

[7] Император Василий Болгаробойца. Извлечения из летописи Яхи Антиохийского, 1883.

[8] История Византийской империи, т. III, 1948.

[9] Византийское государство и церковь в XI веке, С.-Петербург 1884.

[10] История Византии, т. II, 1967.

მკვლევრებიდან—შლუმბერჟე[11], ლებო[12], გერას ზმირნაკი[13], გ. ბერ-ცბერგი[14], გ. გელზერი[15], ე. ჰონიგმანი და სხვ.

ყველა რუსი და უცხოელი მკვლევარი, რომელთა მოსაზრებებს ქვემოთ შეეხებით, ძირითადად ბიზანტიური წყაროებიდან ხედვით მსჯელობს და ამდენად ზოგი მათგანის მოსაზრება ერთ მხრივობისაგან არაა დაზღვეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინამდებარე ნაშრომში ქართული და უცხოური წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ზოგიერთი მკვლევრის ამ ცალმხრივი განმარტებების გასწორებაც ვცადეთ[15ა].

---

[11] L'Epopée byzantin, I, 1896.

[12] Histoire du Bas-Empire, t. XIV, XV.

[13] *Γεράσ. Σμυρνάκης, Τό «Αγιον» Ορος. Εν Αθήναις*, 1903.

[14] G. Gertzberg, Geschichte der Byzantiner... (История Византии, перевод, примечания и приложения П. В. Безобразова, М., 1896).

[15] G. Gelzer, Abriss der byzantinischen Kaisergeschichte (911—1067), რუსული თარგმანი წიგნში: Очерки по истории Византии под редакцией и с предисловием В. К. Бенешевича, вып. I, 1912.

[15ა] ეს წიგნი აწყობილი იყო, როცა გამოქვეყნდა პროფ. ვ. გაბაშვილის სტატია: „საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI—XII სს.)". (იხ. XII ს. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968 წ.) და ნ. შენგელიას ნაშრომი: „სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში" (თბილისი, 1968). ამ ნაშრომებში XI საუკუნის ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის შესახებაც ბევრი საინტერესო საკითხია გაშუქებული, მაგრამ სამწუხაროდ გასაგები ტექნიკური მიზეზების გამო მათი გამოყენება ვერ მოხერხდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი I

ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში X საუკუნის დასასრულს

§ 1. ქართველთა მონაწილეობა კილიკიის ლაშქრობაში

VII—X საუკუნეებში საქართველო ერთ მთლიან პოლიტიკურ ერთეულს არ წარმოადგენდა. მისი აღმოსავლეთი ნაწილი არაბთაგან განიცდიდა რბევა-განადგურებას, ხოლო დასავლეთი, — ცვალებადი ფორმებით, — IX ს. დამდეგამდე ბიზანტიის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა. არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ცალკეული რაიონები მოკავშირეს საჭიროებდნენ და ეს გარემოება მათ ბიზანტიასთან აახლოებდათ. არაბთაგან შევიწროებული ბიზანტია, თავის მხრივ, დამხმარეს ეძებდა და ქართლის ყოფილი სამეფოს სახით ის საიმედო მოკავშირეს ხედავდა. ამ გარემოებამ განაპირობა ბიზანტიისა და ტაო-კლარჯეთის მფლობელ ბაგრატიონთა პოლიტიკური კავშირ-ურთიერთობა და იგი უცვლელი დარჩა მანამ, სანამ ბიზანტიისათვის არაბთაგან საფრთხე არსებობდა.

ბიზანტია და ქართული პოლიტიკური ერთეულები არაბთა წინააღმდეგ ბრძოლას ერთსა და იმავე დროს აწარმოებდნენ, მაგრამ აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რაიონები ამ დროს ერთნაირ დამოკიდებულებაში არ იყვნენ ბიზანტიასთან: ქართლ-კახეთი დამოუკიდებლად იბრძოდა, ტაო-კლარჯეთი კი საკეისროსთან შეთანხმებულად მოქმედებდა. თუმცა ეს შეთანხმება დროებითი ხასიათის იყო.

IX—X საუკუნეებში საქართველოს ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის ყველაზე სწრაფად სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ვითარდებოდა. როგორც ქვემოთ გავეცნობით, მან თავი-

სი სიძლიერე განსაკუთრებით X საუკუნის მეორე ნახევარში გამოამჟღავნა. ამ დროის ტაო-კლარჯეთი საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლას ჩაუდგება სათავეში და ძისი ინიციატივით ქვეყნის გაერთიანებას საფუძველი ჩაეყრება. მაგრამ X ს. 70-იანი წლების შუა რიცხვებში ტაო-კლარჯეთის მეთაურობით, ბრძოლად დაწყებული ქვეყნის გაერთიანების დამთავრება გაოკეულ დროს მოითხოვდა; დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები საქართველოში ჯერ კიდევ რჩებოდა და თითოეული მათგანი დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა. ამდენად, ბიზანტიის იმპერიას ერთიან საქართველოსთან X საუკუნის მეორე ნახევარში ჯერ კიდევ საქმე არ ჰქონდა, ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებს კი, საჭიროების მიხედვით, სხვადასხვა ფორმით უკავშირდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინდელი ბიზანტიის იმპერიისა და საქართველოს პოლიტიკური ერთეულების ურთიერთობიდან ყველაზე უფრო რელიეფურად ტაო-კლარჯეთისა და ბიზანტიის ურთიერთობა წარმოგვიდგება და აქ სწორედ პირველ ყოვლისა მათ ურთიერთობაზე უნდა შევჩერდეთ.

ტაო-კლარჯეთის სამთავროს მფლობელ ბაგრატიონებში ამ სამთავროს წარმოქმნის დღიდანვე დამკვიდრდა შეხედულება, რომ სამთავრო შეადგენს დინასტიურ საერთო საგვარეულო საკუთრებას და არა ბაგრატიონებს შორის ერთ რომელიმე პირის კუთვნილებას.

აშოტ I ბაგრატიონის[1] შემდეგ როგორც ხელისუფლება, ისე თვით სამფლობელო თაობიდან თაობაში განუწყვეტლივ ქუცმაცდებოდა. IX საუკუნის 30-იანი წლებიდან XI საუკუნის დასაწყი-

---

[1] როგორც ცნობილია, ტაო-კლარჯეთის სამთავროს აშოტ ბაგრატიონმა ჩაუყარა საფუძველი. იგი VIII საუკუნის დამლევს ქართლის ერისმთავარი ყოფილა. ამ დროს, სუმბატ დავითის ძის გადმოცემით, „გაძლიერდა ველმწიფეობა ავარიანთა და... ვერ უძლო წინააღდგომად მათდა აშოტ და იელტოდა მათგან" (ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955, გვ. 376). იგი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მხარეში გადადის და არაბების მტრის, ბიზანტიის კეისრის დახმარებით ტაო-კლარჯეთის სამთავროს ჩაუყრის საფუძველს.

იმის შესახებ, თუ როდის უნდა გადასულიყო აშოტი ქართლიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა: აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ეს VIIIს. უკანასკნელი მეოთხედია (ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 90—91); ასეთივე აზრს გამოთქვამს თ. ლომოური (სუმბატ დავითის ძე და გიორგი მერჩულე ბაგრატიონთა შესახებ,

სამდე ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამფლობელო [illegible]ული შინაგან დამოუკიდებელი და ურთიერთშორის [illegible]ირებული სამფლობელოებისაგან შედგებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი, როგორც აღნიშნული იყო, თავისი [illegible] პოლიტიკური ძლიერების უმაღლეს მწვერვალს [illegible] ნახევარში აღწევს, მაგრამ ეს გაძლიერება არ შეხებია სახელმწიფოს შინაგან აღნაგობას[2].

ცნობილია, რომ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს სამთავროს შექმნის დღიდანვე ვრცელი ტერიტორია ეჭირათ. ხანგრძლივ ბრძოლაში, რომელსაც ტაო-კლარჯეთი ბიზანტიასთან ერთად არაბთა წინააღმდეგ აწარმოებდა, ამ მხარის მფლობელებმა თავიანთი ტერიტორია კიდევ უფრო გააფართოვეს და სამხრეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის საზღვრები კიდევ უფრო შორს გადაიტანეს.

აღნიშნული მოვლენა ბიზანტიის იმპერიისათვის არასასურველი იყო, მაგრამ არაბთა წინააღმდეგ ბრძოლით დაინტერესებული ბიზანტიის ხელისუფლება იძულებული გახდა თავისი მოკავშირის საზღვრების ასეთ გაფართოებას შეგუებოდა. თუ ბიზანტიის კეისარს კონსტანტინე პორფიროგენეტს დავუჯერებთ, X საუკუნის შუა წლებში ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებისა და ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამფლობელოების საზღვარი ბასიანში, მდინარე არაქსზე გადიოდა. კონსტანტინე პორფიროგენეტი თავის 952 წლის ანდერძში წერს, რომ იბერიელებსა და ბიზანტიას შორის ბასიანში „იყვეს საზღვრად მდინარე არაქსი ანუ ფასისი, და მარცხენა (ჩრდილოეთი — ვ. კ.) მხარე, იბერებისაკენ მიმართული,

---

არილი, გვ. 48); პ. ინგოროყვას აზრით, „აშოტ I გადასვლა შავშეთ-კლარჯეთში... მომხდარა 813 წლის ახლო ხანებში" (გეორგი მერჩულე, 1954, გვ. 43); პროფ. კ. კეკელიძეს კიდევ უფრო აქეთ გადმოაქვს ეს თარიღი და წერს: „აშოტის კლარჯეთში გადასახლებას ადგილი ჰქონდა არა უადრეს 820 წლისა, ის მოხდა დაახლოებით 820—825 წლებში" (ეტიუდები, VIII, 1962, გვ. 255).

აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებით, აშოტი კი არა, მისი მამა ადარნასე განდევნეს არაბებმა ქართლიდან VIII საუკუნის 60-იან წლებში, ხოლო მისმა „მემკვიდრე აშოტმა ტაო-კლარჯეთში ცხოველი მოღვაწეობა წამოიწყო" (საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958, გვ. 125). სუმბატ დავითის ძე კი პირდაპირ მიუთითებს, რომ აშოტი და მისი ოჯახის წევრები განდევნეს ქართლიდან არაბებმა (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 376). და ეს VIII—IX საუკუნეთა მიჯნაზე უნდა მომხდარიყო.

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, I, 1946, გვ. 154.

ეპყრათ იბერებს, ხოლო მარჯვენა (სამხრეთი — ვ. კ.), რაც თეოდოსიუპოლისკენ არის, როგორც ციხეები, ისე სოფლები იყვნ ჩვენი მეუფების ქვეშ, ისე რომ, მაშასადამე ორივეს საზღვარ მდინარე იქნებაო"[3].

X საუკუნის მეორე ნახევარში ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამფლობელო ფაქტიურად სამად იყო გაყოფილი. მათგანს ბაგრატიონთა გარკვეული შტოს წარმომადგენელი მართავდა: ჩრდილო და სამხრეთი ტაო, თორთომი და სხვა მათი მოსაზღვრე რაიონები ბაგრატ აშოტის ძის შთამომავლებს ეკუთვნოდათ და ორ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა: კერძოდ, სამხრეთ ტაოს, თორთომსა და, ზოგიერთი ცნობებით, ჩრდილო ბასიანს X ს. 60-იანი წლების დასასრულიდან დავით მესამე (შემდეგ კურაპალატად წოდებული) მართავდა. სამხრეთი ტაო ჩრდილოეთით ბანამდე ვრცელდებოდა, ხოლო თვით ბანა ჩრდილო ტაოში შედიოდა[4]. „ბანის წყალი ჰყოფდა ტაოს ორ ნაწილად იმიერ-ამიერ ტაოდ"[5]

50-იანი წლების დასასრულიდან ჩრდილო ტაოს ბაგრატ II, რეგვენი, განაგებდა. ხოლო კლარჯეთი ადარნასე აშოტის ძის შთამომავლებს ეკუთვნოდათ, რომელთა რეზიდენცია ქ. არტანუჯი იყო. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სხვა რაიონები, როგორც წყაროებიდან ჩანს, განაწილებული ყოფილა და თითოეულ რაიონში აღნიშნული მხარეების ყოველ მმართველს გარკვეული რაოდენობის მამული და ყმები ჰყოლია. მაგალითად, დავით კურაპალატს თავისი წილი ჰქონდა „კოლა-არტაანთა და ჯავახეთს"[6].

რაც შეეხება ტაო-კლარჯეთის დასავლეთით ბაგრატიონებისა და ბიზანტიის სასაზღვრო ხაზს IX—X საუკუნეებში, იგი დაახლოებით ხუფათთან იწყებოდა და სამხრეთის მიმართულებით ერზერუმისაკენ მიემართებოდა, ისე რომ ხუფათი, პარხალი და თორთომი ბაგრატიონთა სამფლობელოში რჩებოდნენ[7].

---

[3] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, 2, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, 1952, გვ. 271—272; ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების სამფლობელოსა და ბიზანტიის სახელმწიფოს საზღვრების შესახებ იხილეთ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 60; შ. ბ ა დ რ ი ძ ე, ქართველთა სამეფოს პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, თსუ შრომები, № 113, 1965, გვ. 255.

[4] ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ე, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 385.

[5] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 61.

[6] ქართლის მემატიანე, ქართლის ცხოვრება, I, დასახ. გამოცემა, გვ. 288.

[7] საქართველოს სსრ „ატლასი", 1964, გვ. 249; საქართველოს ისტორიული რუკა შედგ. ეკ. ბარამიძის მიერ ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, 1923.

როგორც ცნობილია, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს შორის ერთ-ერთი კურაპალატის ტიტულს ატარებდა და ამ ტიტულს მას ბიზანტიის კეისარი აძლევდა. საიმპერიო ხელისუფლების 18 დიდი თანამდებობიდან ბიზანტიაში კესაროსის, ნოველისიმოსისა და კურაპალატის წოდება ყველაზე დიდი იყო [illegible] ესი, თავის დროზე ისინი მხოლოდ იმპერატორის საგვარეულოს წევრებს ეძლეოდათ. ტაო-კლარჯეთთან ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკურ კავშირს უკანასკნელისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ ის ამ კავშირის თავის სასარგებლო ფორმებით შენარჩუნებას ცდილობდა.

ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლებისათვის ბიზანტიის ხელისუფლების მიერ კურაპალატის, მაგისტროსისა თუ ანთიპატოსის წოდებათა მინიჭება, რასაც ხშირად ბიზანტიის კეისარი ახორციელებდა, პირველ ყოვლისა ამ ორი მხარის პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცებას, ხოლო შემდეგ საკეისროს მხრივ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებზე ფორმალური სიუზერენობის შენარჩუნების მიზნებს ემსახურებოდა. ამით კი ბიზანტიის მბრძანებლებს, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „პატრონყმური დამოკიდებულების გამოხატვა სურდათ"[8]. მაგრამ „კეისრის უფლება საქართველოში არასდროს... უბრალო მფარველობისა და გავლენის საზღვარს არ გასცილებია, სამეფოს შინაურ საქმეებში ჩარევის უფლება არა ჰქონია"[9].

კურაპალატისა თუ სხვა საკარისკაცო ტიტულის მიღებით ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა წარმომადგენლები სრულებითაც არ გრძნობდნენ თავს ვალდებულად, უსიტყვოდ შეესრულებინათ კეისრის განკარგულება. გავიხსენოთ კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობა იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ X ს. პირველ ნახევარში ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა წარმომადგენელმა აშოტ კისკასმა[10] (+939), თანამემამულეებზე გაჯავრებულმა, არტანუჯის ცნო-

---

[8] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 107.

[9] ი ქ ვ ე, გვ. 109.

[10] ქართული და ბიზანტიური უეჭვო წყაროების მიხედვით ეს აშოტი (კისკასი) ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს წევრი იყო და აშოტ დიდიდან დაწყებული მეხუთე თაობას ეკუთვნოდა (აშოტ დიდი კურაპალატი, ადარნასე, სუმბატ I მამფალი, ბაგრატ I მამფალი და აშოტ IV კისკასი). სუმბატ დავითის ძის მიხედვით, აშოტის მამას ბაგრატს ოთხი ვაჟი

ბილი ციხე-სიმაგრე რომანოზ I ლეკაპენს გადასცა. იმპერატორის ბრძანებით ბიზანტიის კეისრის მოხელემ არტანუჯის ციხეში ლაშქარი შეიყვანა და იქ ბიზანტიის დროშა ააფრიალა.

ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენლებმა, დავით II ქართველთა მეფემ (923—937) და მაგისტროსმა, გურგენ IV (+941) ერისთავთ-ერისთავმა და მაგისტროსმა, მაშინვე მიწერეს იმპერატორს: „თუ შენი მეუფება ამას დაუშვებს და ჩვენს მიწა-წყალში შემოიჭრება, შენი მეუფების მორჩილებიდან გამოვალთ და სარკინოზებს მივეკედლებითო... ეს რომ გაიგო მეფემ... რადგან მას შეეშინდა, რომ ისინი არ მიჰკედლებოდნენ სარკინოზებს და არ გამოეყვანათ სპარსეთის ჯარები რომანიის წინააღმდეგ, მან (ე. ი. ბიზანტიის კეისარმა — ვ. კ.) იუარა და თქვა: „მე არ მიმიწერია პროტოსპათარ კონსტანტი მანკლავიტისათვის ამ ციხისა და მისი მიწა-წყლის შესახებ, რომ იგი აეღო: მან ეს, როგორც იტყვიან, თავისი უჭკუობით ჩაიდინა“. ასე თქვა მეფემ, რადგან უნდოდა ისინი დაემშვიდებიაო“[11].

ჰყავდა: „ადარნასე, რომელი იგი მონაზონ იქმნა და ბასილი სახელ ედვა მას, გურგენ ერისთავი, აშოტ და დავით“ (სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, ე. თაყაიშვილის გამოცემა, 1949, გვ. 65). ხოლო კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობებით, იგივე ბაგრატს სამი ვაჟი ჰყავდა: „ადრანასესი, გურგენი და პატრიკიოსი აშოტი, რომელსაც კისკასიც ეწოდებოდა“ (De administrando imperio, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, 1952, გვ. 275).

ამრიგად, სუმბატისა და კონსტანტინეს ცნობებს შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ უკანასკნელი ვერ იცნობს ბაგრატის მეოთხე ვაჟს დავითს. „თავის მხრით, ქართული წყაროებისათვის უცნობია აშოტის მეტსახელი კისკასი“ (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 2, გვ. 275, შენ. 1). სხვა მხრივ ამ ორი ავტორის ცნობები ერთიმეორეს ემთხვევა და მათ სისწორეში არ შეიძლება ეჭვის შეტანა. ამდენად ჩვენთვის გაუგებარია რ. ბარტიკიანის მოსაზრება, როცა იგი ფიქრობს სახელი „კისკასი“ გეოგრაფიულ სახელს „ვიხიკ“-ს დაუკავშიროს და აშოტი კეკაუმენ ბაგრატიდების წარმომადგენლად ჩათვალოს (Тезисы докладов, Тбилиси, 1965, გვ. 3—4): მოხსენება—„La généalogie du magistros Bagarat, catépan de l'orient et des Kékauménos“ დაიბეჭდა ფრანგულ ორგანოში—„Revue des Etudes arméniennes“, N. S., t. II. Paris. 1965, გვ. 261—272, რომელიც სამწუხაროდ ჩვენ ხელთ არ გვქონდა (იხ. Г. Г. Литаврин, Ὁ πάππος τοῦ Κεκαυμένου—ὁ ἐχθρὸς τῆς Ῥωμανίας (Реплика). («Византийский временник», XXVIII, 1968, გვ. 151—169). კიდევ უფრო დაუსაბუთებელია ავტორის განცხადება: «Эпитет вихкаци принадлежал... целой семье, которая в X веке владела Артануджем» (Тезисы, გვ. 4).

[11] გეორგიკა, IV, 2, დასახ. გამოცემა, გვ. 285—286.

აღნიშნული ცნობიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტაო-კლარჯეთის სამთავროს ბიზანტიის იმპერიისათვის მისი აღმოსავლეთელი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. სწორედ სარკინოზების ხსენებამ და ბაგრატიონთა მამთავარი მიმხრობის შიშმა აიძულა კეისარი უკან წაეღო თავისი ბრძანება. და მეფომარეობიდან გამოსასვლელად ყველაფერი პროტოსპათარი კონსტანტი მანკლავიტის უჭკუობას გადააბრალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიზანტია ჯერჯერობით ძალის გამოყენებას ვერ ბედავდა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების წინააღმდეგ. სამაგიეროდ იგი თვალისამხვევ დიპლომატიურ ფანდებს მიმართავდა ბაგრატიონთა საგვარეულოს ცალკეული წევრების მიმართ. ამის თავალსაჩინო მაგალითს ბიზანტიური წყაროები გადმოგვცემენ. მაგ. თეოფანეს გამგრძელებელი წერს: „თებერვლის თვის ოცში, მეათე ინდიქტიონში[12], გარდაიცვალა რომანოზის მეუღლე თეოდორა, და მისი ნეშტი დასვენებულ იქმნა თვით რომანოზ მეფის სახლში, რომელიც მის მიერ მონასტრად იქმნა გადაკეთებული. იმავე თვეში გვირგვინი დაიდგა სოფიომ, მეფე ქრისტეფორეს მეუღლემ. იმ ხანებში ქალაქში (ე. ი. კონსტანტინეპოლში) იყო იბერიელი კუროპალატი[13], და მან რომ გაიარა შუა მოედანზე, ბრწყინვალედ მორთულზე, დიდის პატივითა და დიდებით შეხვდნენ მას: იგი წმ. სოფიოს ტაძარშიც შეიყვანეს, რომ ეხილა თავისი თვალით მისი სილამაზე, სიდიადე და ძვირფასი მორთულობა. ეს ტაძარი ბრწყინვალედ მორთეს, ოქროქსოვილი ფარჩებით და ყოველგვარი მორთულობით მოფინეს და ისე შეიყვანეს შიგ კუროპალატი. ამან კი, ტაძრის საკვირველი სანახაობით და მისი სიდიდით განცვიფრებულმა და მისი ძვირფასი მორთულობით ზომაზე მეტად გაკვირვებულმა, თქვა —

---

[12] მეათე ინდიქტიონი 922 წელს ხვდება.

[13] როდესაც რომანოზ I თავისი ბრძანება უკან წაიღო და არტანუჯის ციხეში ბიზანტიელთა ლაშქრის შეყვანა თავის მოხელეს გადააბრალა, მან ამ მოხელეს თან მისწერა: „ვინ გიბრძანა შენ მაგის ჩადენა? ახლავე გამოდი ციხიდან, წამოიყვანე აშოტი, გარდაცვლილი ადარნასე კუროპალატის ძე, და მოიყვანე ის აქ, რათა ჩვენ მას მისი მამის პატივი, კუროპალატობა ვუბოძოთ". ეს რომ მიიღო კონსტანტინე პატრიკიოსმა (იგივე ზემოხსენებული კონსტანტი მანკლავიტი — ვ. კ.)... წამოიყვანა აშოტი ძე ადარნასე კურაპალატისა, და მოიყვანა ქალაქში: და მას მეფისაგან ებოძა კუროპალატობა" (კონსტანტინე პ ო რ ფ ი რ ო გ ე ნ ე ტ ი. გეორგიკა, IV, 2, დასახ. გამოცემა, გვ. 286—287).

პროფ. ს. ყაუხჩიშვილი ფიქრობს, რომ ეს აშოტ კურაპალატი სწორედ ის „იბერიელი კუროპალატია", რომელსაც ბრწყინვალე შეხვედრა მოუწყვეს კონსტანტინეპოლში (იქვე, გვ. 330—331).

ჭეშმარიტად ღვთის ბინა ყოფილა ეს წმინდა ადგილი, და კვლავ თავის ქვეყანაში გაემგზავრა"[14].

ასეთივე ცნობებს გვაწვდიან „იბერიელი კურაპალატის" კონსტანტინეპოლში ამ მოგზაურობისა და ბიზანტიის ხელისუფლების მიერ მისი შეხვედრა-მიღების შესახებ ლეონ. გრამატიკოსი[15] და კედრენე-სკილიცე[16].

ტაო-კლარჯეთის მფლობელებისა და ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების უფლებრივი[17] და საერთო დამოკიდებულების შესახებ კიდევ უფრო ნათელ ცნობას გვაძლევს კონსტანტინე პორფიროგენეტი. ის ვრცლად მოგვითხრობს თეოდოსიუპოლისა (ერზერუმის) და არაქსის სანაპიროებზე მყოფ ციხე-სიმაგრეებიდან არაბების განდევნისათვის ბიზანტიისა და ტაო-კლარჯეთის ერთობლივი ბრძოლის შესახებ და აღნიშნავს, რომ ის — კონსტანტინე პორფიროგენეტი და მისი წინაპრები მოწიწებით სთხოვდნენ ტაო-კლარჯეთის მმართველებს, რომ ამ უკანასკნელებს თეოდოსიუპოლის მისადგომებთან მდებარე კეჯეს ციხე დაეთმოთ ბიზანტიისათვის. ბიზანტიელებს უნდოდათ ამ ციხეში „მცველები ჩაეყენებინათ, რათა აქედან სურსათი არ მიეღო თეოდოსიუპოლს, და არწმუნებდნენ კუროპალატს და მის ძმებს, რომ თეოდოსიუპოლის აღების შემდეგ ისინი დაუბრუნებდნენ იმ ციხეს. მაგრამ იბერებმა ამას მხარი არ დაუჭირეს"[18].

კონსტანტინე იმასაც კი აღნიშნავს, რომ ტაო-კლარჯეთის მფლობელებმა იმპერატორისაგან „წერილობითაც კი მიიღეს ფიცი, რომ თეოდოსიუპოლის აღების შემდეგ მათ ეს ციხე უკან დაუბრუნდებოდა"[19], მაგრამ ბიზანტიას ციხე არ გადასცეს. ხოლო უკანასკნელს ძალის გამოყენება არ შეეძლო.

ტაო-კლარჯეთის მმართველებსა და ბიზანტიის ხელისუფლებას შორის დადებული შეთანხმების თანახმად, როგორც ჩანს, ის მიწაწყალი და ციხე-სიმაგრეები, რომლებსაც ტაო-კლარჯეთის ძალები არაბთაგან გაათავისუფლებდნენ, ბაგრატიონი მფლობელების განკა-

---

[14] გეორგიკა, IV, 2, გვ. 329—333.

[15] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. V, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, 1963, გვ. 5.

[16] იქვე, გვ. 5—6, შენ.

[17] იხ. ამის შესახებ შ. ბადრიძე, „ქართველთა სამეფოს" პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, გვ. 259—260.

[18] გეორგიკა, IV, 2, გვ. 263—264.

[19] იქვე, გვ. 265.

K 135790

რგულებაში უნდა გადასულიყო. ამ შეთანხმებამ და ბიზანტია-საქართველოს საერთო მტრის, არაბთა წინააღმდეგ [illegible] ბრძოლამ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს იმის საფუძველი მისცა, რომ არაქსის სამხრეთ-სანაპიროზედაც პრეტენზია [illegible] ბინათ. ამის შესახებ კონსტანტინე წერს: „კურ[illegible] ფასიანის ადგილების შესახებ და მოითხოვს მთელს ფასიანსა და აბნიკის ციხესო“[21].

აბნიკის ციხე ფასიანის ანუ არაქსის სამხრეთით იყო[22] და, ამრიგად, აშოტ IV კურაპალატი არაქსის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალს მოითხოვდა. ბიზანტიის მბრძანებელი კონსტანტინე პორფიროგენეტი შვილისადმი მიცემულ ანდერძში საყვედურს გამოთქვამდა იმის შესახებ, რომ კურაპალატი და ტაო-კლარჯეთის სხვა მმართველები არ ენდობოდნენ ბიზანტიის ხელისუფლებას, არ უნდოდათ მის ხელში გადასულიყო თეოდოსიუპოლი ამ ქალაქის „სიყვარულის გამო და იმის გამო, რომ თეოდოსიუპოლის ციხე არ განადგურებულიყო“[23].

ჩანს, ამიტომ არ დაუთმეს ტაო-კლარჯეთის მმართველებმა კეისარს კეჯეს ციხე და მათი ეს მოქმედება სრულიად გამართლებული იყო. კარგად იცოდნენ, რომ ბიზანტია, თუ მას ძალადობის განხორციელების შესაძლებლობა ექნებოდა, არანაკლები მტერი იყო ქართველებისა, ვიდრე სახალიფო. ეს გარემოება ბიზანტიის იმპერიის მოქმედებამ მომდევნო წლებში დაადასტურა.

X საუკუნის პირველი ნახევრის ბიზანტიისა და საქართველოს ურთიერთობის განხილვა ამ ნაშრომის ავტორს აქ არ ევალება. აღებული დროის წინა პერიოდის მოკლე მიმოხილვა და კონსტანტინე პორფიროგენეტის ვრცელი ნაშრომიდან ორიოდე ცნობის მოტანა მხოლოდ იმიტომ დაგვჭირდა, რომ უფრო ნათელი გაგვეხადა, თუ როგორ შეიცვალა და რა მიზეზების გამო ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის ბიზანტიისა და საქართველოს ურთიერთობა.

ჩვენ ქვემოთ შევეხებით ზოგიერთი ისტორიკოსის არასწორ განმარტებას იმის შესახებ, თითქოს საქართველო გარკვეული სახის ხარკს უხდიდა ბიზანტიას. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ IX—XI საუკუნეების საქართველო, არც ერთი მისი დამოუკიდე-

---

[20] იგულისხმება აშოტ IV კურაპალატი, რომელიც 954 წ. გარდაიცვალა. ეს ის აშოტი უნდა იყოს, რომელსაც 922 წელს ბრწყინვალე შეხვედრა მოუწყვეს კონსტანტინეპოლში.

[21] გეორგიკა, IV, 2, გვ. 266.

[22] ი ქ ვ ე, გვ. 269.

[23] ი ქ ვ ე, გვ. 264.

ბელი პოლიტიკური ერთეული, ბიზანტიის სასარგებლოდ არავითარი ხარკის გამღები არ იყო.

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონი მმართველები ერთდროულად ატარებდნენ ბიზანტიის სხვადასხვა საკარისკაცო ტიტულს. ამ პერიოდ ხელისუფლების წარმოდგენით ბაგრატიონთა შორის ერთ-ერთი ის უნდა ყოფილიყო, ვისაც კურაპალატის წოდება ჰქონდა მინიჭებული[24]. მაგრამ მისი განკარგულება ისევე არ იყო სავალდებუ-

---

[24] დ. ბ ა კ რ ა ძ ე ფიქრობდა, რომ იმ პატივთაგან, რომლებსაც ბიზანტიის იმპერატორები მათდამი ვასალურ დამოკიდებულებაში თუ მეგობრულ ურთიერთობაში მყოფი ქვეყნების მმართველებს აძლევდნენ, კურაპალატობა ყველაზე უფრო დიდი და საპატიო იყო (Д. З. Б а к р а д з е, Об отношениях Армении и Грузии к Византии вообще и в X веке особенности. Известия Кавказского общества истории и археологии, изданы под редакцией Д. З. Бакрадзе и Е. Г. Вейденбаума, т. I, вып. I, 1882, გვ. 76). მაგრამ ჩვენთვის ცნობილია, რომ ქართველი მეფეები უფრო დიდი და საპატიო წოდებითაც იყვნენ დაჯილდოებულნი. მაგალითად, ბაგრატ IV „პირველ იყო კურაპალატი, და შემდგომად ნოველისიმოსი, და მერმე იქმნა სევასტოს" („ქართლის მატიანე", ქართლის ცხოვრება, I, გვ. 315).

ბიზანტიაში კურაპალატი ეწოდებოდა კარის მინისტრს, რომელსაც საზეიმო სვლის დროს ოქროს არგანი ეჭირა ხელში და უშუალოდ წინ მიუძღოდა მეფეს (იხ. Исторические записки Никифора Вриения (976—1087), переведенные с греческого при С.-Петербургской духовной академии, 1858, გვ. 16). კურაპალატისა და სხვა დიდი წოდებით დაჯილდოებულ პირს საზეიმო ვითარებაში სოფიის ტაძარში მიაცილებდნენ და პატრიარქის მიერ ხელდასხმის შემდეგ თავის ქვეყანაში გაამგზავრებდნენ (Д. Ф. Б е л я е в, Очерки, материалы и заметки по византийским древностям, кн. I, 1891, გვ. 52).

ჯუანშერის ცნობით, ქართლის მმართველებიდან ეს პატივი პირველად გვარამმა (VI საუკუნის მეორე ნახევარი?) მიიღო (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 218), ხოლო სომეხ მმართველთაგან 648 წელს დავით საღარურიანს მიუღია (L e b e a u, Histoire du Bas-Empire, XI, 332, 337; XII, 4). გვარამ II (VII ს. მეორე ნახევარი?) შემდეგ, ვიდრე ამოტ ბაგრატიონამდე (VIII—IX სს. მიჯნა), ქართლის ერისმთავრები კურაპალატის ტიტულს აღარ ატარებდნენ.

საკარისკაცო პატივით დაჯილდოებულს „კეისრები... საგანგებო მოციქულის ხელით შესაფერის ტანისამოსსა, სამკაულსა და საჩუქრებს უგზავნიდნენ" (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 108). მაგალითად, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, როცა რომანოზ კეისარმა გურგენ ადარნასეს ძე ბაგრატიონს (+941) მაგისტროსობა უბოძა, „გაგზავნა კონსტანტინე, პატრიკიოსი და ნაოსნობის დრუნგარი, რომელიც მაშინ პროტოსპათარი და მანკლავიტი იყო, და მისცა მას მაგისტროსის სამოსი, რათა მას გურგენ იბერი მაგისტროსად აღეზევებინა" (გეორგიკა, IV, 2, გვ. 280).

გარკვეულ ხანაში ბაგრატიონთა სახლის წევრები ხალისით ღებულობდნენ ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებს, შურდათ კიდეც თანამემამულისათვის

ლო სხვა ბაგრატიონი მმართველებისათვის, როგორც კეისრის განკარგულება და ბრძანება ბაგრატიონ კურაპალატისათვის.

ისეთი მტკიცე, ენერგიული და სახელგანთქმული მმართველის, დავით III კურაპალატის დროსაც კი მისი ბრძანება-განკარგულება სავალდებულო არ იყო არც არტანუჯისა და [illegible] ტაოს მმართველისათვის. მართალია, დავითის მეთაურობით ისინი ხშირად გაერთიანებული ძალებით ებრძოდნენ საერთო მტრებს, მაგრამ ეს ერთიანობა ნებაყოფლობის პრინციპზე იყო დამყარებული და მას მოკავშირეთა საერთო ინტერესები უფრო განსაზღვრავდა, ვიდრე დავითის ბრძანება და უფლებრივი მდგომარეობა.

მაღალი პატივის მიცემა. იგივე ავტორის სიტყვით, ადარნასე II კურაპალატის შვილები ძალზე გაჯავრებულნი იყვნენ იმიტომ, რომ ეჭვი აიღეს კეისარი კურაპალატობას გურგენს აძლევსო, რომელმაც თურმე „ყაცი გაგზავნა მეფესთან დიდძალი საჩუქრებით“ (გეორგიკა, IV, 2, გვ. 283).

ზოგ შემთხვევაში კეისარი ქვეშევრდომი ქვეყნის მთავარსა თუ მეფეს ყოველწლიურ ჯამაგირს აძლევდა, ასეთს X საუკუნეში ღებულობდა ტარონის ერისთავი გრიგოლი, „მაგრამ დანარჩენს სომეხს და ქართველს მეფე-მთავრებს.... რომანოზ კეისრისათვის (919—944—ვ. კ.) სამდურავი შეუთვლიათ: ეს უსამართლობაა, რაღა მარტო გრიგოლ ტარონელს აძლევთ „როგა“-ს, თუ მოცემაა, ყველას მოგვეცეო“ (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 109; A. R a m b a u d, L'Empire grec au dixième siècle, Paris, 1870, გვ. 515).

კეისრები ბიზანტიის საკარისკაცო პატივს ისეთი ქვეყნების მმართველებსაც კი აძლევდნენ, რომლებიც ბიზანტიას არ ემორჩილებოდნენ. მაგ., მათ არა ერთხელ მიუციათ ასეთი პატივი ფრანგების, ბურგუნდების, ოსტგუთებისა და სხვათა მეფეებისათვის (A. R a m b a u d, L'Empire grec, გვ. 300), თუმცა „ისინი კეისრის ყმებად არ ითვლებოდნენ“ (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 109).

როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, ბიზანტიური საკარისკაცო პატივის წყალობა ყოველთვის „ყმობის დამამტკიცებელი არ იყო“ (ი ქ ვ ე, გვ. 108), თანაბარი პატივის მქონე პიროვნებებიც კეისართან ყველა ერთნაირ დამოკიდებულებაში არ უნდა ყოფილიყო. კურაპალატის პატივის მქონე ქართველი და სომეხი მეფისა თუ მთავრის დამოკიდებულება კეისრისადმი, თეორიულად მაინც, განსხვავებული უნდა ყოფილიყო, ვთქვათ, იგივე პატივის მქონე ფრანგების, ბურგუნდების თუ ოსტგუთების მეფეთა დამოკიდებულებისაგან.

სპარსთა და არაბთა ბატონობის ხანაში ზოგჯერ მართლაც ჰქონდა რეალური პოლიტიკური მნიშვნელობა ქართველი და სომეხი მეფე-მთავრების ბიზანტიის მფარველობის ქვეშ შესვლას. კეისრის სიუზერენობის შესახებ მაშინ შექმნილი შეხედულება X — XI საუკუნეებშიც არსებობდა, რომლის ნაკვალევი რომანოზ კეისრისაგან ზემოაღნიშნულ „როგას“ მოთხოვნაშიც უნდა ჩანდეს.

ასოლიკის გადმოცემით, 998 წელს, როდესაც ადარბადაგანის ამირა მამლან აბელ-ხაჯის ძე მოკავშირეებთან ერთად დიდი ლაშქრით სომხეთისა და იბერიის მოსარბევად წამოვიდა, „დავით კურაპალატი მოხუცებულობისა და დრომიხდილობის გამო ... არ გასულა ლაშქრობაში მტრის წინააღმდეგ, არამედ გაგზავნა სომეხთა მეფე გაკიკთან და იბერიის მეფე გურგენთან... (იგულისხმება ბაგრატ მესამის მამა, ჩრდილო ტაოს მმართველი გურგენ მეფე — ვ. კ.) თხოვნით, გამოეგზავნათ ჯარი მის დასახმარებლად"[25].

ამ ცნობიდან და სხვა ანალოგიური მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ბიზანტიის ხელისუფლების მიერ კურაპალატად წოდებული პირი, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთაგან, თანამემამულე ბაგრატიონი მმართველების მბრძანებელი არ იყო. დავით კურაპალატი ისევე სთხოვს ჩრდილო ტაოს მმართველს, გურგენ მეფეს დახმარებას, როგორც სომეხთა მეფე — გაგიკს. ამრიგად, კურაპალატის საშუალებით ბიზანტიის ხელისუფლებას არ შეეძლო თავისი ზრახვები განეხორციელებინა ტაო-კლარჯეთში. კურაპალატის წოდების მატარებელი პირი ბიზანტიის იმპერატორის მოხელე და მისი განკარგულების შემსრულებელი კი არ იყო, არამედ — დამოუკიდებელი მმართველი.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, არ იქნებოდა სწორი გამოგვეტანა დასკვნა, რომ ტაო-კლარჯეთის მმართველი ბაგრატიონები ანგარიშს არ უწევდნენ ბიზანტიას. ტაო-კლარჯეთისა და ბიზანტიის ურთიერთობა, გარკვეულ პოლიტიკურ ვითარებაში რომ შეიქმნა, ორივე მხარისაგან საჭიროებდა ურთიერთპატივისცემას. არაბთაგან შევიწროებამ და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებამ მიიყვანა ტაო-კლარჯეთის პირველი მმართველი ბაგრატიონი ბიზანტიასთან.

ბიზანტიის იმპერია კი მაჰმადიანური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის დროშით, ქრისტიანული სამყაროს დამცველად გამოდიოდა. ამით ის არაბთა ბატონობის წინააღმდეგ იბრძოდა და სანამ უკანასკნელთაგან საფრთხე არ იყო გამქრალი, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა კავშირი ბიზანტიასთან და ანგარიშის გაწევა კეისრის ხელისუფლებისადმი საჭირო იყო. თავის მხრივ, ბიზანტიას, სანამ არაბთა ძალები მას საფრთხეს უქმნიდნენ, ტაო-კლარჯეთის მიმართ უხეშობის გამოჩენა არ შეეძლო და ამრიგად, ბიზანტიისა და ტაო-კლარჯეთის ურთიერთობის ტრადიციული ფორმების შეცვლა

---

[25] Всеобщая история Степаноса Таронского, გვ. 194.

ამ ურთიერთობის შინაარსის თავდაპირველად გამაპირობებელი მოვლენის ანულირებაზე იყო დამოკიდებული. მოიხსნება არაბთაგან საფრთხე, ბიზანტიის დამოკიდებულების კურსიც შეიცვლება საქართველოს მიმართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა, ტაო-კლარჯეთის მმართველები ბიზანტიელებად ითვლებოდნენ და კეისარი მათ სიუზერენად, მაგრამ მხარეთა საერთო ინტერესებით გაპირობებული ეს ურთიერთობა, პოლიტიკურად ფაქტიური მორჩილისა და მბრძანებელ-სიუზერენის ურთიერთდამოკიდებულების ფორმებს თავიდანვე არ ატარებდა, და რაც დრო გადიოდა, ტაო-კლარჯეთის გაძლიერებასა და არაბთა დასუსტებასთან ერთად, საკეისროსადმი ეს ფორმალურ-ვასალური დამოკიდებულებისა და ანგარიშის გაწევის გრძნობაც თანდათან ქრებოდა.

მაგრამ არაბთა დასუსტება მარტო საქართველოს ცალკეული პოლიტიკური ერთეულების გააქტივებას როდი იწვევდა, სახალიფოს დაკნინებით ბიზანტიის იმპერია ზეიმობდა და ახალი აგრესიის გეგმებს ადგენდა. თუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში საკეისრო ქართველი და სომეხი ხალხების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში თავის სასარგებლო მოვლენას ხედავდა, და ამ ბრძოლის ხელის შემწყობის როლში გამოდიოდა, X საუკუნის მეორე ნახევარში არაბთაგან საფრთხე შენელდა, ბიზანტიამ ძალა მოიკრიბა და გუშინდელი მოკავშირე-მეზობლების დაპყრობისათვის სამზადისს შეუდგა.

X საუკუნის 50-იანი წლებიდან არაბთა წინააღმდეგ შეტევაზე გადასული ბიზანტია სწრაფად ძლიერდება. ჯერ კიდევ 950—960-იან წლებში არაბებისაგან წართმეული ტერიტორიის ხარჯზე ბიზანტიამ მესოპოტამიის, ლიკანდრისა და სელევკიის თემები შექმნა. რომანოზ II (959—963) მეფობის დროს ნიკიფორე ფოკას სარდლობით კრეტაზე ძლიერი ლაშქრობა მოაწყო და ეს მნიშვნელოვანი კუნძული ისევ ბიზანტიამ დაიბრუნა[26].

963 წელს ნიკიფორე ფოკა გარდაცვლილი იმპერატორის, რომანოზ II ქვრივზე, თეოფანოზე დაქორწილდა. მან იმპერატორად და ტახტის ორი მცირეწლოვანი მემკვიდრის აღმზრდელად გამოაცხადა თავი. ვითარცა მცირე აზიის სამხედრო არისტოკრატიისა და მსხვილ მიწათმფლობელთა წარმომადგენელმა, მან თავისი სოციალური თანამოძმეების გაძლიერების მიზნით, წვრილ მიწათ-

---

[26] История Византии, т. II, 1967, зз. 210.

მფლობელთა და გლეხური მეურნეობის მიმძლავრება-გაჩანაგებას მიჰყო ხელი.

ბიზანტიის იმპერიის, განსაკუთრებით კი მცირე აზიის სამხედრო არისტოკრატია და მსხვილი მემამულეები ნიკიფორე ფოკას პოლიტიკით აღფრთოვანებულნი იყვნენ. ნიკიფორეს მეფობის დროს ბიზანტიამ აქტიური შეტევა განავითარა [illegible] ნააღმდეგ და ხელიდან გამოსტაცა მათ კუნძული კვიპაროსი, კილიკია და ჩრდილო სირია დედაქალაქ ანტიოქიით.

თითქმის ყველა დიდ ბრძოლაში, რომელიც კი ამ პერიოდში ბიზანტიას აღმოსავლეთის ფრონტზე უწარმოებია, ქართველთა ლაშქარი იღებდა მონაწილეობას. ამჯერადაც ნიკიფორე ფოკას მოკავშირედ იბერიისა და სომხეთის ლაშქარი გამოვიდა. ბიზანტიელი ისტორიკოსების, კედრენესა და ზონარას გადმოცემით, „იმპერატორმა ნიკიფორემ, თავისი მეფობის მეორე წელს (ე. ი. 964 წ. — ვ. კ.), ივლისში, მეშვიდე ინდიქტიონს, რომაელთა დიდი ჯარით, მოკავშირეებთან — იბერებთან და სომხებთან ერთად, კილიკიაში გაილაშქრა... შეიჭრა და დაიპყრო ქალაქები ანაბარცა, როსი, ადანა და სხვა სიმაგრეები მნიშვნელოვანი რაოდენობით“[27].

გიორგი ათონელის ერთი ცნობა გვაფიქრებინებს, რომ სამხრეთ ტაოს მმართველს დავით ბაგრატიონს ამ ომში მონაწილეობისათვის სათანადო კომპენსაციაც უნდა მიეღო მიწა-წყლის სახით.

გიორგი მთაწმიდელი იოვანესა და ექვთიმეს ულუმბოსა და მთაწმიდაზე მისვლის ამბებს აგვიწერს და გადმოგვცემს, რომ იოვანეს ბერად აღკვეცის შემდეგ მისი ცოლ-შვილი სიმამრმა აბუჰარბმა და ცოლის ძმებმა წაიყვანეს, „ხოლო ვინაჲთგან მათ ჟამთა შინა ბერძენთა მეფემან ზემონი ქუეყანანი დავით კურაპალატსა მისცნა და აზნაურთა შვილნი მძევლად ითხოვნა მისგან, ცოლის ძმათა მამისა იოანესთა ძე მისი ეფთჳმე სხუათა თანა უფლისწულთა მძევლად მოჰგუარეს მეფესაო“[28].

როდის უნდა მიეღო დავითს აქ აღნიშნული „ზემონი ქუეყანანი“, და რა მოვლენასთან დაკავშირებით? ეს „ზემონი ქუეყანანი“ არ არის ის „ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი“[29], რომე-

---

[27] К. Ган, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, II, 1890, გვ. 37—38.

[28] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად გამზადებული ივ. ჯავახიშვილის მიერ და გამოცემული ა. შანიძის მიერ, 1946, გვ. 16.

[29] იქვე. 19.

ლიც, იმავე ავტორის გადმოცემით, როგორც ცნობილია, დავით კურაპალატმა 979 წელს ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის ბიზანტიის კეისრისაგან მიიღო. გიორგი ათონელის ცნობით, პირველ შემთხვევაში „ბერძენთა მეფემან“ მისცა „ზემონი ქუეყანანი“ დავითს, ხოლო მეორე შემთხვევაში „მისცნეს მეფეთა ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი კუროპალატსა“[30].

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად „ქუეყანანის“ მიმცემი ერთი მეფეა, ხოლო მეორედ — ერთზე მეტი. გასაგებია, მეორე შემთხვევაში თეოფანოსთან ერთად შვილები ბასილი და კონსტანტინე იგულისხმებიან, მაგრამ პირველი „ქუეყანანის“ მიმცემნი ისინი არ არიან.

იმის დასადგენად, თუ ვისი მმართველობის, ე. ი. რომელი კეისრის მოღვაწეობის დროს და რა მოვლენასთან დაკავშირებით მიიღო დავითმა გიორგი მთაწმიდელის მიერ პირველად მოხსენიებული „ქუეყანანი“, დაგვეხმარებოდა ამ თარიღის გარკვევა, თუ როდის მისცეს იოვანე მთაწმიდელის სიმამრმა და ცოლისძმებმა ბერძენთა მეფეს მძევლად ექვთიმე იოვანეს ძე?

როცა იოვანემ შეიტყო შვილის მძევლად წაყვანის ამბავი, მაშინვე წავიდა კონსტანტინეპოლში. მან სიმამრსა და ცოლისძმებს დიდი საყვედური უთხრა ექვთიმეს მძევლად „განწირვისათვის“ და თავისი შვილი თან წაიყვანა.

ოლიმპოს მთაზე მისულმა „პირველად ქართული სწავლაჲ ასწავა და მერმე ბერძულად განსწავლა ყოვლითავე განსწავლულებითა სრულებით“[31]. იქიდან იგი თავისი შვილითა და რამდენიმე მოწაფით ათონის მთაზე გადავიდა და ათანასე დიდის ლავრაში დამკვიდრდა. აკად. კ. კეკელიძე იმოწმებს პ. უსპენსკის და ასკვნის, რომ იოვანეს მისვლა ათონის მთაზე „მოხდა 965 წელს“[32].

ეს თარიღი 13 წლით არის დაცილებული 979 წელთან[33] და ემთხვევა ნიკიფორე ფოკას მმართველობის პერიოდს. მაგრამ იოვანეს მიერ კონსტანტინეპოლიდან ოლიმპის მთაზე ექვთიმეს მიყვანა 965 წელზე ადრე უნდა მომხდარიყო, ვინაიდან გიორგი მთაწმიდელის გადმოცემით, შვილთან ერთად „კუალად ულუმბადვე“[34] იოვანეს

---

[30] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გვ. 16.

[31] იქვე, გვ. 27; შდრ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 163.

[32] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, იქვე.

[33] თარიღი, როცა კეისარმა ვრცელი ტერიტორია გადასცა დავით კურაპალატს ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის.

[34] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გვ. 17.

დაბრუნების „შემდგომად რაოდენისამე ჟამისა“[35] ტოვებს ეგი ულუმბოს მთას და ათონის მთაზე მიდის. ე. ი. ეს ამბები ნიკიფორე ფოკას მოღვაწეობის პირველ პერიოდს ემთხვევა, კერძოდ, იმ დროს, როდესაც ბიზანტიის ხელისუფლება აღმოსავლეთის ფრონტზე წარმატებით იბრძოდა არაბთა წინააღმდეგ და ბერძენ ... მრავალი მნიშვნელოვანი მხარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ბრძოლის დროს ტაო-კლარჯეთი ბიზანტიისათვის ჯერ კიდევ საჭირო იყო, ბიზანტიის მიერ არაბთა წინააღმდეგ ბრძოლების გამარჯვებით დამთავრებაში ტაო-კლარჯეთსაც გარკვეული წვლილი მიუძღოდა და ამიტომ მისცა „ბერძენთა მეფემან ზემონი ქუეყანანი დავით კურაპალატსა“.

თუმცა, ნიკიფორე ფოკას მოღვაწეობის დროს დავითი არ იყო კურაპალატი, მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უნდა უშლიდეს ჩვენი მოსაზრების სისწორეს, რადგან XI საუკუნის მოღვაწეს გიორგი ათონელს შეეძლო დავითი იმ წოდებით მოეხსენებინა, რომელსაც ის ხანგრძლივი დროის განმავლობაში, კერძოდ, 978 წლიდან, სიცოცხლის ბოლომდე — 1001 წლამდე ატარებდა.

ზემოაღნიშნული ვარაუდის გარეშე შეუძლებელია ავხსნათ დავითის მიერ „ზემონი ქუეყანანის“ მიღება. მართალია, ჯერჯერობით ძნელია იმის თქმა, თუ რომელი მიწა-წყალი იგულისხმება აქ, მაგრამ სულ ერთია, რომელიც არ უნდა ყოფილიყო, ბიზანტიის ხელისუფლება დავითის მფლობელობაში არ ჩათვლიდა მას, თუ იმ დროის თვალსაზრისით საამისო დამსახურება ტაო-კლარჯეთს არ ექნებოდა.

X საუკუნის პირველ ნახევარში ბიზანტიის იმპერიის ჩრდილოეთით საგრძნობლად გაძლიერდა ბულგართა სახელმწიფო. 927 წელს ბიზანტიის მთავრობა იძულებული გახდა ზავი დაედო ბულგართა მბრძანებელთან, რომლის თანახმად მან ყოველწლიური ხარკი იკისრა[36]. მაგრამ ბულგართა სამეფოში მალე შინა ბრძოლა დაიწყო, ქვეყნის დაშლისა და სეპარატიზმის მომხრე ძალებმა აქტიური შეტევა გააჩაღეს ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკის წინააღმდეგ, და იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთის ფრონტზე ბიზანტია წარმატებით იბრძოდა არაბთა წინააღმდეგ, ბულგარეთს შინაგანი შუღლი, მტრობა და არეულობა ღრღნიდა. ნიკიფორე ფოკამ ისარგებლა ამ გარემოებით, 966 წელს ხარკი შეუწყვიტა ბულგარებს.

---

[35] ცხორებაჲ იოანესი და ეფთჳმესი, გვ. 17.

[36] История Болгарии, том I, 1954, გვ. 88.

ეს ის დრო იყო, როდესაც კიევის მთავარმა სვიატოსლავმა წარმატებით განავითარა შეტევა კიევის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ვოლგამდე მივიდა, სადაც კამის ბულგარებს შეხვდა. ბულგართა დამხმარედ მეზობელი — ხაზართა ხაკანი გამოვიდა. ბრძოლაში კიევის სამთავრომ ბრწყინვალე გამარჯვება მოიგო და ყირიმში ბიზანტიის სამფლობელოს დაემუქრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამის ბულგართა და ხაზართა მიწა-წყალზე რუსების შეჭრა ბიზანტიის იმპერიისათვის სასურველი არ იყო, მაგრამ ყირიმში სამფლობელოების დაკარგვა კიდევ უფრო დიდი დანაკლისი იქნებოდა მისთვის. ამიტომ მან მოლაპარაკება დაიწყო სვიატოსლავთან, რომელთანაც მიაღწია შეთანხმებას, რომ უკანასკნელი არ შეიჭრებოდა ბიზანტიის მფლობელობაში მყოფ ყირიმის რაიონებში, სვიატოსლავმა კი სამაგიეროდ პირობა მოსთხოვა ბიზანტიის მთავრობას, რომ დუნაის ბულგარების მიწა-წყალზე რუსთა შეჭრის შემთხვევაში ბიზანტიას ნეიტრალიტეტი დაეცვა[37].

968 წლის ზაფხულში სვიატოსლავი დუნაისპირეთში, ჩრდილო ბულგარეთში შეიჭრა. იქ მაგრად მოიდგა ფეხი და უკან დაბრუნებას აღარ ფიქრობდა. ეს ბიზანტიისათვის ხელსაყრელი არ იყო და ბულგართა დამოუკიდებლობის დაცვას გამოექომაგა. ნიკიფორე ფოკამ ბულგარეთიდან სვიატოსლავის გასადევნად დაიწყო მზადება. იმავე 968 წელს კიევს მან შავი ზღვის სანაპიროებზე მყოფი მომთაბარე პაჭანიკები მიუსია.

სვიატოსლავი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო პაჭანიკების გასადევნად, მაგრამ 969 წელს ისევ დაბრუნდა ბულგარეთში[38] და სატახტო ქალაქი პერეიასლავეცი ხელმეორედ აიღო. ნიკიფორე ფოკამ ვერ მოასწრო სვიატოსლავის ბულგარეთიდან განდევნა. მცირე აზიის სამხედრო არისტოკრატიის პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლამ მას კონსტანტინეპოლში მრავალი მტერი გაუჩინა და იგი 969 წლის შეთქმულების მსხვერპლი გახდა. ნიკიფორე ფოკას მკვლელისა და მომდევნო კეისრის, იოვანე ციმისხის მმართველობის დროს, 970 წელს, ბალკანეთში შეჭრილი სვიატოსლავი ბიზანტიას ძლიერ დაემუქრა, მაგრამ ამ ომში იგი დამარცხდა, დუნაის სანაპირო ისევ ბიზანტიამ დაიმორჩილა[39].

---

[37] История Болгарии, том I, 1954, გვ. 92.

[38] История СССР, т. I, 1939, გვ. 95.

[39] М. В. Левченко, История Византии, 1940, გვ. 163—165; История Византии, т. II, 1967, გვ. 216—217.

კიევის მთავრის წინააღმდეგ ბრძოლის დამთავრებისა და ბულგართა დამორჩილების შემდეგ, იოანე ციმისხიმ აღმოსავლეთის საზღვრებს მიაქცია ყურადღება და 974—975 წლებში ბაღდადისა და ეგვიპტის ამირების წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა. [illegible] გადასული ბიზანტია ძლიერი იყო, მისმა გუშინდელმა [illegible] რეებმა, სომხეთისა და საქართველოს სამეფო-სამთავროებმა, საკეისროს თვალში მოკავშირის მნიშვნელობა დაკარგეს. ამიტომ საიმპერიო ხელისუფლებამ დასაპყრობად დაუწყო მათ ცქერა.

იოანე ციმისხის მიერ მოწყობილ მესოპოტამიის ლაშქრობის დროს ბიზანტიის ლაშქარი სომხეთში შეიჭრა და საფრთხის წინაშე დააყენა სომხეთის პოლიტიკური ერთეულების დამოუკიდებლობის საკითხი. მაგრამ შირაკის სამეფოს ირგვლივ დარაზმულმა სომხეთის სამეფო-სამთავროებმა აიძულეს ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლება ამჯერად ხელი აეღო სომხეთის დაპყრობისათვის ბრძოლაზე.

არაბთა ძლიერების დასუსტების შემდეგ ეს იყო ბიზანტიის იმპერიის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი, მიმართული მისი გუშინდელი მოკავშირეების, ამიერკავკასიის მეზობელი ხალხების წინააღმდეგ. მაგრამ მომდევნო წლებში ბიზანტიის იმპერიაში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ აიძულა საკეისრო შემდეგი დროისათვის გადაედო განზრახვის შესრულებისათვის ხელახალი ბრძოლის დაწყება.

§ 2. დავით კურაპალატი ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში

X საუკუნის 70-იანი წლების დასასრულს ბიზანტიის სამეფო ხელისუფლებას, კერძოდ, ახალგაზრდა იმპერატორს ბასილ მაკედონელსა და მის მთავრობას, უდიდესი საფრთხე შეუქმნა მცირე აზიაში აჯანყებულმა სამხედრო ფეოდალურმა არისტოკრატიამ, რომლის სათავეში ბარდა სკლიაროსი იდგა[40].

როგორც ქვემოთ გავეცნობით, ქართული და სომხური წყარო-

---

[40] იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, 1963, გვ. 32—42; მ. კახაძე, ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, 1954, გვ. 31—45; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, I, „საბჭოთა მწერალი", თბილისი, 1954, გვ. 67; С. Джанашия, Об одном примере искажения исторической правды, 1947, გვ. 29; Н. Ломоури, К истории восстания Варды Склира, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 67,

ები ნათელყოფენ, რომ მაკედონელთა დინასტია ამ უდიდესი საფრთხისაგან ქართველმა მხედრობამ გადაარჩინა, რომელიც ბიზანტიის მთავრობის თხოვნით, დავით III კურაპალატმა გაგზავნა ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად იოვანე ციმისხეს მეთაურობით. მაგრამ იმის გამო, რომ ბიზანტიური წყაროები [illegible] ფ. ს. ყაუხჩიშვილი მიუთითებს, ვერც უცხოურსა და ვერც რუსულ საისტორიო მწერლობაში დღემდე ვერ პოვა სათანადო გაშუქება ქართველთა ლაშქრის დამსახურებამ ამ ბრძოლაში[40a]. ამიტომ იძულებული ვართ აქაც შევეხოთ ამ საკითხს და მოვლენის ნათელსაყოფად ერთხელ კიდევ მოვიტანოთ ზოგიერთი ცნობა.

განუწყვეტელი ომების დროს, როგორც ნათქვამი იყო, კეისრები უხვად აჯილდოებდნენ მცირე აზიის სამხედრო-ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებს. უკანასკნელთაგან ყველაზე უფრო აღზევებულნი ცენტრალური ხელისუფლებისაკენ მიდრეკილებას იჩენდნენ, ანდა ამ ხელისუფლებისაგან პოლიტიკურ დათმობებს მოითხოვდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში სამხედრო აჯანყებით იმუქრებოდნენ[41].

მცირე აზიის სამხედრო ფეოდალური არისტოკრატიის ერთერთი ძლიერი წარმომადგენელი იყო ბარდა სკლიაროსი. მას ბიზანტიაში მხედართმთავრის თანამდებობა ეჭირა და მრავალჯერ უსახელებია თავი მტრებთან ბრძოლაში. აღნიშნული იყო, რომ ნიკიფორე ფოკას სიცოცხლეში, 969 წელს, კიევის მთავარი სვიატოსლავი ბულგარეთში შეიჭრა. მას იქ შეუერთდნენ ანტიბიზანტიური ძალები და შეტევა დაიწყეს ბიზანტიელთა გასადევნად. ვერც ფოკამ და ვერც მისმა მომდევნო კეისარმა იოვანე ციმისხემ (969 — 976) მეფობის პირველ ხანებში, მცირე აზიაში პოლიტიკური მდგომარეობის გართულების გამო, წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს სვიატოსლავს, მხოლოდ 970 წელს შეძლეს ბიზანტიელებმა სვიატოსლავის წინააღმდეგ ლაშქრის გაგზავნა. ბარდა სკლიაროსმა ამ დროსაც მხედართმთავრის დიდი ნიჭი გამოიჩინა. მისი უშუალო მეთაურობით, ბიზანტიის ლაშქარმა დაამარცხა სვიატოსლავი და საშუალება მისცა იოვანე ციმისხის დიდი ძალებით შეჭრილიყო ბულგარეთში[42].

1957, გვ. 29—46; ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის წარსულიდან, თბილისი, 1962, გვ. 128—140 და სხვ.

[40a] გეორგიკა, V, გვ. 33.

[41] М. В. Левченко, История Византии, 1940, გვ. 168.

[42] История Болгарии, т. I, 1954, გვ. 92.

კედრენეს ცნობებით, იოვანე ციმისხის მეფობის დროს სკლიაროსი სტრატეგიული თვალსაზრისით ბიზანტიის იმპერიისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე მხარის — ქალდიის დუკად დაინიშნა[43], რომლის რეზიდენცია ქ. ტრაპიზონი იყო. მაგრამ [illegible] და იაჰია ანტიოქელის ცნობებით, ბასილ კეისარს [illegible] იგი ხანძითისა და ალხალიდიათის[44] მმართველად დაუნიშნავს[45]. ალბათ ამ თანამდებობაზე დანიშვნით უკმაყოფილო, როგორც კი მივიდა ადგილზე, მოულოდნელად თავს დაესხა მელიტინას, შეიპყრა იქ მყოფი კეისრის მოხელე და, იაჰია ანტიოქელის ცნობით, წაართვა მას ფული, რაოდენობით ექვსი კენდინარი[46].

ბარდა სკლიაროსის ასეთი მოქმედება სრულიად გასაგებია. მას თურმე ბასილ კეისრის წინააღმდეგ აჯანყება ჰქონდა გადაწყვეტილი და ომის საწარმოებლად ეკონომიური საშუალებების დაგროვებისათვისაც უნდა ეზრუნა. მართლაც, ამ აქტის განხორციელებისთანავე, იაჰია ანტიოქელის ცნობით, აჯანყდა იგი კეისრის წინააღმდეგ და თავი მეფედ გამოაცხადა[47].

ჩანს, სკლიაროსი მიხვდა, რომ აჯანყების შემთხვევაში იგი მარტო არ დარჩებოდა. ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების წინააღმდეგ იყო განწყობილი არა მარტო მაჰმადიანური, არამედ ბევრი ქრისტიანული ქვეყანაც. მართლაც, ბარდა სკლიაროსის ირგვლივ შემოიკრიბა ბევრი ქრისტიანი ბერძენი, სომეხი და სხვადასხვა ეთნიკური შემადგენლობის მაჰმადიანი[48] მოსახლეობა.

ყველაზე მეტი დასაყრდენი სკლიაროსმა სომხურ პროვინციებში იშოვა. ამიტომ იყო, რომ მან აჯანყებისთანავე სწორედ სომხური თემების, ე. წ. მესამე არმენიის მხარეების—ჯეჰანისა და მელიტინის მმართველად გამოაცხადა თავი, რომელსაც დაუყოვნებლივ შეუერთდა ბიზანტიის მიერ დაპყრობილი სომხეთის სომეხთა ცხენოსანი ლაშქარი[49].

---

[43] Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, გვ. 204.

[44] ხანძითი მესოპოტამიის თემში შედიოდა და ტარონის თემს ესაზღვრებოდა, ხოლო ალ-ხალიდიათი, როგორც მაკადდასის ცნობებიდან ჩანს, ტარონის თემში შედიოდა, მესოპოტამიის საზღვარზე იყო და ხანძითს ეკვროდა (В. Розен, Император Василий Болгаробойца. Извлечения из летописи Яхи Антиохийского, გვ. 80, შენ. 12).

[45] В. Розен, Император Василий Болгаробойца. Извлечения из летописи Яхи Антиохийского, გვ. 1.

[46] იქვე.

[47] იქვე.

[48] იქვე, გვ. 2.

[49] Всеобщая история Степаноса Таронского, გვ. 133.

ბასილ კეისარმა, რომელმაც ბარდა სკლიაროსის განდგომის ამბავი გაიგო, სასწრაფოდ მიიღო ზომები. იაჰია ანტიოქელის გადმოცემით, მან მისწერა ანტიოქიაში მიხეილ ალ-ბურჯს, რომ გამოსულიყო სკლიაროსის წინააღმდეგ და შეერთებოდა ბრძოლაში ალ-მალაინს, რომელიც მაშინ ტარსის მმართველი იყო[50].

მოპირდაპირეთა შორის დაიწყო ბრძოლა მელიტინის მოსაზღვრე ჯეჰანის სომხურ პროვინციაში, სადაც გამარჯვება ხვდა სკლიაროსს[51]. დამარცხებული იბნ-ალ-მალაინი[52] თავის სახლში, კაპადოკიაში წავიდა, ხოლო ალ-ბურჯი თავისი მხარის — ანტიოქიის ერთ-ერთ ციხე-სიმაგრეში გამაგრდა. მაგრამ აქაც დაესხა თავს მას სკლიაროსი და აიძულა ალ-ბურჯი ციხე-სიმაგრე გადაეცა მისთვის. ამასთანავე სკლიაროსმა უშიშროება აღუთქვა ალ-ბურჯის, გადაიყვანა თავის მხარეზე და მაგისტრად დანიშნა[53].

ამის შემდეგ მან კაბადოკიაში გაილაშქრა. ამ მხარის მმართველმა ყულეიბმა უბრძოლველად გადასცა სამფლობელო აჯანყების მეთაურს. ამრიგად, სულ მალე სკლიაროსის ხელში გადავიდა ანტიოქია, კაპადოკია, ტარონი, ტარსი, მელიტინა, ხანძითი და „სანაპირო მხარეები — ალ-სუგური, ე. ი. კილიკია და ჩრდილო-დასავლეთი კუთხე სირიისა"[54].

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ, — წერს იაჰია ანტიოქელი, — კეისარმა ლაშქარი ჩააბარა ერთ-ერთ თავის ერთგულ პირს, საჭურის ალ-არტაბაზს[55], რომელმაც შეძლო ანტიოქიის აღება. ამავე დროს ბასილ კეისარმა მისწერა ალ-არტაბაზს, რომ იგი შეერთებოდა ალ-მალაინს და გაერთიანებული ძალით თავს დასხმოდა სკლიაროსს. მოპირდაპირენი კაბადოკიაში შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ალ-არტაბაზი ცხარე ბრძოლაში მოკლეს, ხოლო ალ-მალაინმა გაქცევით უშველა თავს. გამარჯვება სკლიაროსს ხვდა[56].

ამასთანავე, იაჰია ანტიოქელი გადმოგვცემს, რომ როცა

---

[50] В. Розен, გვ. 2.

[51] იქვე.

[52] იბნ-ალ-მალაინი იგივე ევსტათი მალეინი ბიზანტიელია, რომელსაც, კედრენეს გადმოცემით, სახლი ჰქონდა კაბადოკიაში (В. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 86, შენ. 18).

[53] В. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 2.

[54] იქვე, გვ. 2, 90, შენ. 24.

[55] ალ-არტაბაზი ზედმეტსახელია. იგი იგივე პეტრე სტრატოპედარხია (В. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 9—92, შენ. 25).

[56] В. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 2.

სკლიაროსმა საფრთხის წინაშე დააყენა ბასილ მაკედონელის ხელისუფლება, უკანასკნელმა გაათავისუფლა შვიდი წლის განმავლობაში გადასახლებაში მყოფი ნიკიფორე ფოკას ძმის, ლეონის შვილი, ბარდა ფოკა[57], დანიშნა ის ლაშქრის საერთო მეთაურად და გაგზავნა სკლიაროსის წინააღმდეგ[58].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმავე ისტორიკოსის ცნობით, ფოკასა და სკლიაროსს შორის ომი გაიმართა 978 წლის 19 ივნისს, პანკალიის ველზე. ორივე მხარეზე დიდი იყო მსხვერპლი. ფოკა დამარცხდა[59].

აჯანყებულებმა საფრთხე შეუქმნეს ბასილ მაკედონელის ხელისუფლებას. გიორგი მთაწმიდელის გადმოცემით, სკლიაროსმა „ჴმელით კერძი ყოველი დაიპყრა და მეფენი და დედოფალი შეწყუდეულად იყვნეს ქალაქსა შინა დიდითა ჭირითა და იწროებითა“[60].

პოლიტიკურ საშიშროებასთან ერთად დიდმა ეკონომიურმა გაჭირვებამ მოიცვა კონსტანტინეპოლი. აჯანყებულებმა დედაქალაქთან მისასვლელი გზები ჩაკეტეს და ქალაქში სურსათს აღარ უშვებდნენ. ლეონ დიაკონის გადმოცემით, დაამარცხა რა რამდენჯერმე ბარდა სკლიაროსის ლაშქარმა კეისრის ლაშქარი, „ამის შემდეგ მან თანდათანობით ხელთ იგდო ნიკეა, ავიდოსი და ატალია. დაიპყრო რომაელთა ხელქვეით მყოფი ყველა ოლქი აზიაში და, ბოლოს, თავისი გემების საშუალებით ზღვასაც დაეუფლა, დიდად ავნო ვაჭრებს და დედაქალაქშიც არ მიუშვა პურის მიმწოდებელი ხომალდები“[61].

ბარდა სკლიაროსის აჯანყების თანამედროვე ქართველი მოღვაწე საბა მოგვითხრობს „გამოცხადებაჲ წ~დისა მახარებელისა... იოვანესის“ დაწერის შესახებ და აღნიშნავს, რომ ეს წიგნი მის მიერ დაიწერა: „განდგომიღლებასა ვარდა სკლიაროსისა, ჭირსა დიდსა საბერძნეთისასა, ოჴრებასა გლახაკთასა და აწყუედასა ჭაბუკთასა უწყალოდ. ურთიერთას მახჳლითა ძმაჲ ძმასა ზედა და მამაჲ შვილსა ზედა. ესე ყოველი იქმნებოდა ამას რაჲ წიგნსა ვწერდი, ხოლო

---

[57] ბარდა ფოკა იოვანე ციმისხის საწინააღმდეგო შეთქმულებაში იყო თავის დროზე ეჭვმიტანილი და გადასახლებული.

[58] В. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

[59] იქვე, გვ. 5.

[60] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გვ. 17.

[61] История Льва Диакона, перевод Д. Поповым, 1820, გვ. 105.

თუ ძლევაჲ ვის მიეცემოდა, არავინ უწყოდა თვნიერ ოსისა (უფლისა). ყოველნივე ურთიერთარს ეკუეთებოდეს სიტ ყუთ (სიტყჳთ) და საქმით, მცირენი და დიდნი ყოველნი იბრძოდეს"[62].

ალათია მღვდელმთავარს ბასილ კეისარი, ანტიოქიის პატრიარქობას შეპირდა, თუ სკლიაროსის მიერ ანტიოქიის ხელთველად დანიშნულ უბეიდ-ალლაჰს ბასილის მხარეზე გადაიყვანდა. ალათია ალექსანდრიის პატრიარქს ილიას სწერდა: „გამოგიგზავნეთ თქვენ ჩემი ელჩი იმ დროს, როცა ჩემი მხარიდან თქვენს მხარეში ფრინველნიც ძლივსძლივობით ფრინავენო"[63].

თუ რამდენად გართულებული იყო მდგომარეობა, ამის შესახებ სტეფანოზ ტარონელი (ასოღიკი) წერს: სკლიაროსმა ორად გაყო ბერძენთა სამეფო და ბითვინიამდე მივიდა. ოთხი წლის განმავლობაში არ შეუწყვეტია ბრძოლა მეფე ბასილთან და სისხლით იყო შეღებილი მთელი მხარე. მეფე ბასილმა შეკრიბა ბიზანტიის, თრაკიისა და მაკედონიის ლაშქარი, და დასავლეთის მთელი ხალხით გაგზავნა ისინი ტირან ვარდას წინააღმდეგ. სკლიაროსის მხარეზე იბრძოდა სომეხთა ლაშქარი, ტარონის მთავრის შვილები გრიგორი, ბაგრატი და მოქის მთავარი აპრანიკი[64].

კეისრის ლაშქარმა სასტიკი მარცხი განიცადა, ბევრი დაიღუპა და ბევრიც ტყვედ ჩაუვარდა სკლიაროსს ხელში. ამ ბრძოლაში დაიღუპა ბერძენთა მხედართმთავარი საჭურისი პეტრანოსი[65]. ომი მოედო მთელ საბერძნეთს ისე, რომ სოფელი სოფელთან და ქალაქი ქალაქთან ჩაება ომში და ყველგან სისხლი იღვრებოდა. საშინელი შიმშილი დაიწყო მთელ სამეფოში, ყოველდღიურად იზრდებოდა ქალაქებში და მოედნებზე ადამიანთა გვამების რიცხვი[66].

სტეფანოზ ტარონელის ცნობით, ბიზანტიის იმპერიაში შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა ძველი სომხური მხარეების — ხლათისა და ნეპერკერტის ამირა ბადმა, რომელიც 968 წელს ბარდა ფოკამ განდევნა ამ მხარეებიდან. ბადმა პირველ ყოვლისა ეს მხა-

---

[62] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 1893, გვ. 123.

[63] В. Р о з е н, Император Василий Болгаробойца. დასახ. გამოცემა, გვ. 7.

[64] Всеобщая история Степаноса Таронского, დასახ. გამოცემა, გვ. 134.

[65] სტეფანოზ ტარონელის შრომის მთარგმნელი ნ. ემინი შენიშნავს: «Евнух Петранос вероятно Петр Фока, посланный против Варда Склероса, поплатившийся жизнью в войне с последним» (Всеобщая история. გვ. 134).

[66] ი ქ ვ ე.

რეები დაიბრუნა, მანასკერტიც შემოიმტკიცა და გადავიდა შეტევაზე. იგი ტარონის მხარეში შეიჭრა, ააოხრა ქვეყანა და გამოიცა ცნობილი ქალაქი მუში[67]. ადგილობრივ მცხოვრებთაგან ბევრი ტყვედ ჩაიგდო, ხოლო წმინდა მაცხოვრის სახელობის ეკლესიაში მყოფი ქრისტიანი სასულიერო პირები ამოხოცა[68].

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცნობილია, სწორედ ამ დროს მოვიდა დავითთან იოვანე-თორნიკე და მოუტანა მას ბიზანტიის კეისრის შუამდგომლობა, — „წიგნები ვედრებისაჲ“, — დავითი გამოსულიყო სკლიაროსის წინააღმდეგ.

სკლიაროსის მეთაურობით მებრძოლ აჯანყებულთა ძალების წინააღმდეგ კეისრის მხარეზე ტაო-კლარჯეთის გამოსვლის შესახებ ძირითად ცნობებს გვაწვდიან ბიზანტიელი ისტორიკოსები კედრენე და ზონარა, სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ტარონელი (ასოღიკი), იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრების აღმწერი გიორგი მთაწმიდელი, რომლის ნაშრომი, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, „უაღრესად ნდობის ღირსია“, ზარზმის ეკლესიის წარწერა და სხვ.

მაკედონელთა დინასტიის მომხრე ძალების მრავალგზის დამარცხების შემდეგ საგონებელში ჩავარდნილი კეისარი და მისი ხელისუფლება იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ უმწეო მდგომარეობიდან მათი ხსნა ტაო-კლარჯეთის სამთავროს შეეძლო და ვადაწყდა თხოვნით მიემართათ დავით ბაგრატიონისათვის, რომელიც ბიზანტიის მთავრობის მიერ ჯერ მაგისტროსის, ხოლო შემდეგ კურაპალატის ტიტულით იყო აღჭურვილი. აჯანყებულთა მიერ სამიმოსვლო გზების ჩაკეტვის გამო კონსტანტინეპოლიდან ტაო-კლარჯეთთან კავშირ-ურთიერთობის დამყარებაც ძნელი იყო.

კეისარმა და მისმა მთავრობამ გადაწყვიტეს ყოფილი მხედართმთავარი და მაშინ უკვე ბერად აღკვეცილი იოვანე-თორნიკე გამოეყენებინათ ამ საქმეში და იგი სამეფო კარზე გამოიძახეს. ბიზანტიის მთავრობა ცალ-ცალკე აცნობებდა ათონის მთაწმიდის ბერებს, იოვანე-თორნიკეს, იოვანე მთაწმიდელს და ათანასე დიდს[69],

---

[67] ქ. მუში ტარონის მხარეში ტურუბერანის პროვინციაში იყო.

[68] Всеобщая история Степаноса Таронского, დასახ. გამოცემა, გვ. 134.

[69] იოვანე მთაწმიდელი ერისკაცობაში დავით კურაპალატის ქვეშევრდომი და ერთ-ერთი გამოჩენილი მხედართმთავარი იყო (А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, вып. II, 1897, გვ. 62). როდესაც იგი ბერად აღიკვეცა და ათონის მთაზე მივიდა, მაშინ იქ ქართველებს, როგორც ჩანს, მონასტერი არ ჰქონდათ, ამიტომ „ლავრასა დიდისა ათანასესსა“ მივი-

რომ „უღმრთო სკლიაროსი გაგუადგა და ჴმელით ჴმელი ყოველი დაიპყრა. აწ ვეეედრებით სიწმიდესა თქუენსა, რაჲთა თუნიერ ყოველისა მიზეზისა იოვანე-თორნიკ მოვიდეს მეფობისა ჩუენისა“. და სხუანი მრავალნი ვედრებანი და ქებანი ეწერნეს [illegible] მათ წიგნთა შინაო“[70], — გადმოგვცემს გიორგი [illegible].

ქართველ ბერებსა და ათანასე დიდს არ შეეძლოთ ბიზანტიის მთავრობისათვის უარი ეთქვათ იმიტომ, რომ მათი მონასტრები ბიზანტიის სახელმწიფოს ტერიტორიაზე იყო და აჯანყების დამარცხების შემთხვევაში მთავრობა შურს იძიებდა ქართველ ბერებზე. თუმცა იოვანე-თორნიკეს არ სურდა სამეფო კარზე მისვლა, ათანასე დიდი და იოვანე მთაწმიდელი კი სთხოვდნენ წასულიყო და „ამას ცილობასა ზედა გარდაჴდა შჯდეული ერთი“[71], მაგრამ ბოლოს და ბოლოს აიძულეს იგი დათანხმებულიყო[72].

კონსტანტინეპოლში წასული, „ვითარცა აღვიდა თორნიკ სამეუფოდ, მეყსეულად შეიყვანა იგი პარკიმანოსმან მეფეთა წინაშე და მეფენი და დედოფალი ზე აღუდგეს და პატივით მოიკითხეს და გუერდით დაისვეს“[73]. თუ გიორგი მთაწმიდელი არ აჭარბებს, განსაკდელში მყოფმა თეოფანო დედოფალმა უბრძანა... „ბასილის და კონსტანტის და ფერჴთა შეუვრდეს“[74] იოვანეს

თეოფანო დედოფალი იოვანე თორნიკეს სთხოვდა: „წმიდაო მამაო... შრომაჲ თავს-იდევ და, რომლითაცა სახითა გნებავს, წარვედ კურაპალატისა წინაშე და ყოველი ჭირი ჩუენი აუწყეო“[75].

და და „მუნ შეეწყნარა“ (ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად გაამზადა ივ. ჯავახიშვილმა, გამოსცა ა. შანიძემ, 1946, გვ. 17). ათანასე დიდი დედით ქართველი იყო (კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 87). იოვანეს მისვლის შემდეგ იქ „იწყეს ქართველთა მოსლვად და განმრავლებად“ (ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, დასახ. გამოცემა, გვ. 17). მათ თანდათან ემატებოდნენ და ათანასეს ლავრაში მათი მოთავსება სულ მალე შეუძლებელი გახდებოდა. ამიტომ „განზრახვითა მამისა ათანასესითა ლავრისაგან განშორებულად ვითარ მილიონ ერთ უდაბნოსა შუენიერსა წმიდისა იოვანე მახარებელისა ეკლესიაჲ აღაშენეს და სენაკები და მუნ იყოფებოდეს“ (იქვე). ე. ი. როდესაც კეისარს ბარდა სკლიაროსი განუდგა, იოვანე მთაწმიდელი და იოვანე-თორნიკე ათანასეს ლავრაში კიაღარ იყვნენ, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, არამედ ქართველებს უკვე საკუთარი „ეკლესიაჲ... და სენაკები“ ჰქონდათ და იქ იმყოფებოდნენ.

[70] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, დასახ. გამოცემა, გვ. 18.

[71] იქვე.

[72] იქვე.

[73] იქვე.

[74] იქვე.

[75] იქვე, 19.

დიდი ხვეწნა-მუდარა დასჭირდა თეოფანო დედოფალს, რომ იოვანედან თანხმობა მიეღო. თორნიკე მხოლოდ მაშინ დათანხმდა დედოფალს, როდესაც „იხილა შეუდრეკელობაჲ მისი“[76]. იოვანეს მიერ თანხმობის მიღების შემდეგ თეოფანო, დედოფალმა და მისმა შვილებმა „წიგნები ვედრებისაჲ [illegible] პალატსა თანა“[77]. ქართველი ბერი — მხედართმთავარი კონსტანტინეპოლიდან წამოვიდა და „რომლითაცა სახითა“[78] სამხრეთ ტაოში, დავით კურაპალატთან მივიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით კურაპალატს არ შეეძლო არ გამოხმაურებოდა ბიზანტიის მთავრობის თხოვნას. თუმცა მისთვის სავალდებულო არ იყო მისი შესრულება.მაგრამ შექმნილი პოლიტიკური ვითარება უკარნახებდა ჩარეოდა საკეისროს ამ შინა-პოლიტიკურ ბრძოლაში მაკედონელთა დინასტიის მხარეზე.

იოვანე-თორნიკემ ბიზანტიის ხელისუფლების მიერ გამოგზავნილი თხოვნის წერილი დავით კურაპალატს გადასცა და „ყოველივე საქმე... გააცადა“[79]. დავით კურაპალატის სამეფო კარზე თათბირი შედგა საკითხის გადასაჭრელად, ომში მონაწილეობის მიღება გადაწყდა და „სპასალარად თორნიკ განაჩინეს“[80]. ყოველივე ეს ბიზანტიის მთავრობას წერილებით აცნობეს; „თორნიკ კურაპალატისა და თავისა წიგნები მეფეთა წინაშე წარსცა და ყოველი ნებაჲ კურაპალატისაჲ აუწყა“[81].

აქ „ნებაჲ კურაპალატისაჲ“ ის უნდა იყოს, რომ დავით კურაპალატმა ბრძოლაში მონაწილეობის მიღების პირობად გარკვეული ტერიტორიის დათმობის მოთხოვნა წაუყენა ბიზანტიის მთავრობას. ამიტომ იყო, რომ დავითის მიერ წარგზავნილი წერილისა და მოთხოვნის მიღების შემდეგ „მისცნეს მეფეთა ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი კურაპალატსა, რაჲთა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ“[82].

დავით კურაპალატისადმი ტერიტორიის დათმობა „სპასალარად დადგენილს“ იოვანე-თორნიკეს ბევრს ვერაფერს შესძენდა და, ამიტომ, თუ კეისრის სასახლეში ყოფნის დროს მას რაიმე მოთხოვნის წაყენების შესაძლებლობა არ ჰქონდა, ჩანს, დავით კურაპა-

---

[76] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, დასახ. გამოცემა, გვ. 19.
[77] ი ქ ვ ე.
[78] როგორაღაც.
[79] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, დასახ. გამოცემა, გვ. 19.
[80] ი ქ ვ ე.
[81] ი ქ ვ ე.
[82] ი ქ ვ ე.

ლატის წერილთან ერთად გაგზავნილი წერილით გარკვეული კომპენსაცია მოითხოვა ბიზანტიის მთავრობისაგან ბრძოლაში მონაწილეობისათვის. ამიტომ იყო, რომ დავით კურაპალატისათვის ტერიტორიის დათმობის თანხმობასთან ერთად, [illegible] წერეს: „ვიცით, რომელ ღმერთი შეგეწევის და [illegible], და ოდეს ღმერთმან წარგიმართოს, ყოველნი წინააღმდგომნი ჩუენნი დატყუენენ და ყოველივე ნატყუენავი (ნადავლი — ვ. კ.) მათი შენი იყოს"[83].

ბიზანტიის ხელისუფლებას მეტი გამოსავალი არ ჰქონდა, ის ასე უნდა მოქცეულიყო. როგორც ჩანს, საიმპერიო ხელისუფლებამ იმ მიწა-წყლის ნაწილი ცნო დავით კურაპალატის განკარგულებაში, რომელსაც თვით დავითი გაათავისუფლებდა მტერთაგან, ხოლო იოვანე-თორნიკეს ყოველივე მოძრავი ქონება მისცა, რასაც ეს უკანასკნელი მტერს წაართმევდა. ე. ი. ამ „გულუხვობით" კეისარი თვით არაფერს კარგავდა, სხვის მიწა-წყალსა და ქონებას ასაჩუქრებდა.

ამრიგად, გიორგი ათონელის ცნობების თანახმად, სამხრეთი ტაოს სამეფოს ომში მონაწილეობისათვის მოლაპარაკების ინიციატივა ბიზანტიის იმპერატორსა და მის მთავრობას ეკუთვნის: შეთანხმება მოხდა და ტაოს ხელისუფლება საომრად გაემზადა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბარდა სკლიაროსის მეთაურობით მოწყობილი აჯანყების წინააღმდეგ ბრძოლაში დავით კურაპალატის მონაწილეობის შესახებ ბიზანტიელი ისტორიკოსები კედრენე და ზონარა გვაძლევენ სათანადო ცნობებს. მაგრამ მათი გადმოცემით დავით კურაპალატმა თითქოს ბარდა ფოკას თხოვნით მიიღო ბრძოლაში მონაწილეობა[84].

როგორც აღნიშნული იყო, აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნილმა საიმპერიო ხელისუფლების ლაშქარმა რამდენჯერმე განიცადა მარცხი აჯანყებულებთან ბრძოლაში. კედრენეს გადმოცემით, როდესაც ბარდა ფოკა დამარცხდა, მივიდა „იბერთა არქონტთან[85], დავითთან და სთხოვა მას დამხმარე ჯარი. იმანაც სიამოვნე-

---

[83] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, დასახ. გამოცემა, გვ. 19.

[84] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. V, გვ. 30.

[85] იაჰია ანტიოქელი (В. Розен, გვ. 24) და სხვა ავტორები დავითს მეფის ტიტულით იხსენიებენ, მაგრამ კედრენე „არქონტს" უწოდებს. ბიზანტიელთა ასეთი ხელოვნური ცდების შესახებ ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „საზოგადოდ, ბიზანტიის მთავრობა ცნობილია თავის მედიდურობით

ბით აღუთქვა დახმარება (დავითი მეგობრობდა ფოკას [illegible] დროიდან, რაც ეს ხალდიის დუკა იყო); ფოკამ წამოიყვანა იქიდან ხალხი არა მცირე, შეკრიბა თავისი ლტოლვის დროს დაფანტული ჯარიც და ჩავიდა პანკალიაში, სადაც სკლიაროსი იყო [illegible]

ბარდა ფოკასა და დავით კურაპალატის ურთიერთობა და მეგობრობა, გარკვეული მიზნებით ორთავეს ინტერესებიდან რომ გამომდინარეობდა, შემდეგ უფრო იჩენს თავს იმპერატორის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამდენად ეს ცნობა საინტერესოა, მაგრამ X საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში რომ დავით კურაპალატს კეისრის მხარეზე ბრძოლაში მონაწილეობა მიეღო, მარტო ბარდა ფოკას მეგობრობა და თხოვნა არ იყო საკმარისი.

აჯანყებულთა დამარცხების შემთხვევაში იმპერატორის ხელისუფლება უნდა გამოსულიყო გამარჯვებული და ამ უკანასკნელს უნდა მიეცა პირობა დავითისათვის მიწა-წყლის გადაცემის შესახებ, შეთანხმებაც ამ ოფიციალურ ხელისუფლებასთან იყო საჭირო. ამდენად, გიორგი მთაწმიდელის ცნობები უფრო სინამდვილის ამსახველი და დამაჯერებელია, ვიდრე კედრენესი.

მართალია, გამორიცხული არ არის იმის შესაძლებლობა, რომ პირველ ბრძოლაში დამარცხებულ ბარდა ფოკას თავი შეეფარებინა დავით კურაპალატის საბრძანებელში. მაგრამ, როგორც ნათქვამი იყო, დავითის მიერ ბრძოლაში მონაწილეობა ბარდა ფოკას თხოვნით კი არა, კეისრის ხელისუფლებასთან შეთანხმებით უნდა მომხდარიყო.

გიორგი ათონელის ცნობებს იმის შესახებ, რომ ბიზანტიის მთავრობამ იოვანე-თორნიკეს საშუალებით თხოვნის წერილი გამო-

---

და თავის მიწერ-მოწერაში ყოველთვის ცდილობდა მეზობელი მფლობელებისათვის, რომელნიც თავიანთ ქვეყანაშიაც და ყველგანაც მეფეებად ითვლებოდნენ, მეფის სახელი არ ეწოდებინა. ქართველთა და სომეხთა მეფეების შესახებაც ამ ხანის ბიზანტიელი მწერლები არასდროს არა ხმარობენ სახელწოდებას „მეფე" (ბაზილევს), არამედ მხოლოდ ან „მთავარი" (არხონ) ან არა და „ექსუსიასტეს". ესე იგი, „მფლობელი"-ო (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 106; შდრ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, V, დასახ. გამოცემა, გვ. 30, შენ. 2). სომეხთა მეფეებს „არხონტეს არხონტონ" უწოდებდნენ ბერძნები, რაც ერისთავთ-ერისთავს, ან სომხურს „იშხანაც იშხანს" უდრის და არა მეფეს (A. Rambaud, L'Empire grec au dixième siècle. Paris, 1870, გვ. 506; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, დასახ. გამოცემა, გვ. 106.)

[86] გეორგიკა, V, დასახ. გამოცემა, გვ. 30.

უგზავნა დავით კურაპალატს ბრძოლაში მონაწილეობის შესახებ, სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ტარონელიც (ასოღიკი) აღნიშნავს. იგი აგვიწერს აჯანყების ამბებს და იმას, თუ როგორ ავიწროებდა სკლიაროსის ლაშქარი საიმპერიო ხელისუფლების ლაშქარს, წერს: „ყოველივე ამ ამბების შემდეგ, ბერძენთა მეფე ბასილმა, მთაწმიდაზე მონაზნად მყოფი, წარმოშობით იბერიელი, მხედართმთავარი თორნიკე გამოიძახა“[87] და ის ტაოს კურაპალატთან — დავითთან გაგზავნაო.

გიორგი ათონელი და ბიზანტიელი ისტორიკოსები არაფერს გადმოგვცემენ იმის შესახებ, თუ რომელი მხარეები, რა მიწა-წყალი აღუთქვა ბიზანტიის ხელისუფლებამ დავითს მაშინ, როდესაც უკანასკნელმა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა. გიორგი ათონელის მიერ მხოლოდ „ზემონი ქუეყანანი“ არის დასახელებული და არ ჩანს რომელ რაიონებს გულისხმობს ავტორი. მაგრამ ამ ნაკლს სტეფანოზ ტარონელის (ასოღიკის) ცნობა ავსებს. ის გადმოგვცემს, რომ ბიზანტიის ხელისუფლებასთან შეთანხმების თანახმად, დავით კურაპალატს, თუ ის კეისარს ლაშქარს გაუგზავნიდა დასახმარებლად, უნდა მიეღო:

1. ციხე ხალტოი — არიჭი და მასთან მდებარე კლისურა დასავლეთ ევფრატის ხეობაში.

2. ჩორმაირის თემი მდინარე ჭოროხის სათავეებთან.

3. კარინი ანუ თეოდოსიუპოლი (არზრუმი) თავისი თემით, რომელიც დასავლეთ ევფრატის ხეობაში მდებარეობდა.

4. სამხრეთ ბასიანი (ჩრდილო ბასიანი დავით კურაპალატს ეკუთვნოდა).

5. ციხე სევუკი, მარდალიის კანტონში, მდინარე არაქსის სათავეებთან.

6. ჰაქსისა და აპაჰუნის პროვინციები (ვანის ტბის ჩრდილო დასავლეთ რაიონები)[88].

ამრიგად, სტეფანოზ ტარონელის (ასოღიკის) ცნობიდანაც მტკიცდება, რომ ჯერ შეთანხმება მოხდა, გარკვეული მიწა-წყალი აღუთქვა იმპერატორის ხელისუფლებამ დავით კურაპალატს, და

---

[87] Всеобщая история..., დასახ. გამოცემა, გვ. 135.

[88] იქვე, შდრ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1949, გვ. 152; С. Джанашия, Об одном примере искажения исторической правды, 1947, გვ. 29; ვ. ყაფლიანი, ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის წარსულიდან, გვ. 134.

შემდეგ კეისარმა თანხმობა მიიღო დავითისაგან ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად.

ტაოს ხელისუფლებამ სასწრაფოდ შეაგროვა 12 ათასი მეომარი. გიორგი მთაწმიდელის გადმოცემით, როგორც ჩანს, [illegible] იყო, დავით კურაპალატმა იოანე-თორნიკე განაწესა [illegible] მეთაურად. სტეფანოზ ტარონელი (ასოლიკი) კი გადმოგვცემს, რომ შეთანხმების მიღწევის შემდეგ, „დავით კურაპალატმა შეაგროვა ლაშქარი და მთავართა-მთავრის[89], ჯოჯიკის მეთაურობით, თორნიკესთან ერთად, გაგზავნა ის ტირან ბარდას წინააღმდეგ საბრძოლველად. ტარონის მიწა-წყლიდან (მდინარე არაცანის შუა წელიდან — ვ. კ.) დაწყებული, იწყეს (ქართველებმა) ტირანის მფლობელობაში მყოფი ბერძენთა ქვეყნის მორბევაო“[90].

გიორგი მთაწმიდელი არ მიუთითებს, თუ რომელ მხარეში შეიჭრა ქართველთა ლაშქარი ან სად შეხვდა იგი მტერს და სად დაიწყო საბრძოლო მოქმედება. იგი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ 12 ათასმა ქართველმა მხედარმა, იოვანე-თორნიკეს მეთაურობით, „აოტა სკლიაროსი და ვიდრე სპარსეთამდე მეოტად წარიქცია. და მერმე შეიქცა და სიტყვსაებრ მეფეთაჲსა დატყუენნა (იოვანემ — ვ. კ.) ყოველნი დიდებულნი საბერძნეთისანი და მონაგები მათი იავარ-ყო და რომელიმე ლაშქართა განუყო და რომელიმე თჳთ დაიმჭირა ნატყუენავი დიდ ძალი ფრიად: ოქროჲ და ვერცხლი და სტავრაჲ და სხუაჲ ესევითარი და უკუნიქცა“[91].

უტყუარ ცნობებს ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ქართველთა მხედრობის გამგზავრებისა და ბრძოლის ადგილის ლოკალიზა-

---

[89] სომხეთის სამეფო კარზე მთავართა-მთავრის ტიტულს ატარებდა ის პირი, რომელიც პასუხისმგებელი იყო მეფის წინაშე ყველა ვასალის მოქმედებაზე. მასვე ექვემდებარებოდნენ საგადასახადო მოხელეები და იგივე პირი ნიშნავდა ციხის თავებს. შესაძლებელია ასეთ მოვალეობას ასრულებდა დავით კურაპალატის კარზე ჯოჯიკი, რომელსაც სომეხი ისტორიკოსი მთავართა-მთავრად იხსენიებს. ამასთანავე ჯოჯიკი დავით კურაპალატის სამეფოს შეიარაღებული ძალების მეთაური უნდა ყოფილიყო. იგი დიდი რანგისა და ეკონომიურად ძლიერ პირთა წრეს ეკუთვნოდა. მას თავისი „მეგანძურთა-უხუცესი“ ჰყოლია. გიორგი მთაწმიდელი წერს: ათონის ქართველთა მონასტერში „მოვიდა გჳრპელი, ჯოჯიკის მეგანძურთა-უხუცესი, და მოინათლა, რამეთუ სომეხი იყო, და არსენი უწოდეს... და შემდგომად მრავალთა წელთა კვალად გამოეთხოვა, რაჲთამცა ნახნა თავისა უფლისწულნი... და ორსავე მოსლვასა უფროჲს ათხუთმეტისა ლიტრისა მოიღო და მისცა მონასტერსა“ (ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, დასახ. გამოცემა, გვ. 41).

[90] Всеобщая история, დასახ. გამოცემა, გვ. 135.

[91] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, დასახ. გამოცემა, გვ. 19.

ციის შესახებ, როგორც ნათქვამი იყო, ზარზმის ეკლესიის ეკვდერის ერთი წარწერაც გვაძლევს. იქ ნათქვამია: „...მე, ივანე, ქემან სულისამან, აღვაშენე წმიდა... ეგვტერი მას ჟამსა, ოდეს საბერძნეთს გადგა სკლიაროსი, დავით კურაპალატი ... ... უშველა წმიდათა მეფეთა, და ჩუენ ყოველნი ... ...

ეკვდერის წარწერის პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის ე. თაყაიშვილს, იგი მაინც, რატომღაც, სკლიაროსის ჯარის განადგურების ადგილად მდ. ჰალისის სანაპიროებს ასახელებს და არა ხარსანის სარვენისს..., რომელიც ამ წარწერაში იხსენიება ბრძოლის „ასპარეზადო“[97]. ამრიგად, მ. კახაძე წინააღმდეგობას ხედავს ადგილებსა და ზარზმის წარწერის ცნობებს შორის ბრძოლის ადგილის ლოკალიზაციის შესახებ და, ჩანს, დ. ბაქრაძის მოსაზრებას ეთანხმება.

ამ საკითხის სწორი გაგება, ჩვენი აზრით, ნ. ლომოურმა მოგვცა თავის ნაშრომში: «К истории восстания Варды Склира»[98]. იგი წერს: «Между данными зарзмской надписи и Кедрина нет существенных разногласий. М. Л. Кахадзе совершенно неправильно отождествляет страну Харсанани с Арзаненой — областью Армении, расположенной восточнее верхнего течения Тигра. В действительности же страна Харсанани отождествляется с одной из частей Каппадокии—Харсианой, выделенной по указанию Константина Порфирородного в отдельную фему»[99]. ამასთანავე მკვლევარი სწორად მიუთითებს, რომ «Фема Харсиана находилась севернее Малой Каппадокии и была расположена как раз на нижнем и среднем течении р. Галис (Кизил-Ирмак)»[100].

ხარსიანის[101] თემი სამხრეთ-აღმოსავლეთით კაპადოკიის თემს ემიჯნებოდა, დასავლეთით ბუკელარიამდე აღწევდა და ჩრდილოეთით მას პაფლაგონია და არმენიაკი საზღვრავდა[102].

კედრენეს ცნობა და ზარზმის წარწერა, როგორც ნათქვამი იყო, ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ კედრენე შეცდომას უშვებს,

---

[97] მ. კ ა ხ ა ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 44, შენ. 2.

[98] თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 67, 1957, გვ. 35—37.

[99] К истории восстания Варды Склира, დასახ. გამოცემა, გვ. 37; შდრ. Сочинения Константина Багрянородного с предисл. Г. Л а с к и н а, Москва, 1889, გვ. 25; ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, 2, 1952, გვ. 298.

[100] Н. Л о м о у р и, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

[101] ეს სახელი ამ ადგილს მხედართმთავარ ხარსიას პატივსაცემად ეწოდა, რომელმაც იუსტინიანეს მოღვაწეობის ახლო ხანებში სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლაში ისახელა თავი (Н. С к а б а л а н о в и ч, Византийское государство и церковь в XI веке, 1884, გვ. 208).

[102] Н. С к а б а л а н о в и ч, დასახ. ნაშრომი, გვ. 208.

როცა მას პანკალიის ველი, სკლიაროსისა და ფოკას პირველი შეტაკების ადგილი, ჰალისის სანაპიროზე გადმოაქვს[103].

ამრიგად, ბრძოლა მოპირდაპირეთა შორის, რომელშიც სკლიაროსი დამარცხდა, ჰალისის სანაპიროებზე უნდა მომხდარიყო, და არა ტიგროსის სათავეების აღმოსავლეთ სანაპიროზე.

ნათელია, რომ ქართველთა ლაშქარი მტრის მიერ დაკავებული ტერიტორიის დიდ სიღრმეში შეჭრილა, მცირე აზიის უდიდესი ტერიტორია გაუვლია და შემდეგ შეხვედრია მტერს. თუ ჩვენ ზარზმის წარწერის შინაარსს და კედრენეს ცნობას ბრძოლის ადგილის შესახებ არასწორად გავიგებდით და ვაღიარებდით, რომ მოპირდაპირეთა შორის ტიგროსის სათავეების აღმოსავლეთ სანაპიროებზე მოხდა ბრძოლა, მაშინ დასავლეთის ანუ ბიზანტიის ლაშქარს დაუმსახურებლად მივაწერდით მცირე აზიის უდიდესი ტერიტორიის, ხარსიანიდან ტიგროსის სათავეების აღმოსავლეთ სანაპიროებამდე, აჯანყებულთაგან „განთავისუფლებას“.

დასავლეთის ლაშქარმა, რომელსაც ბარდა ფოკა მეთაურობდა, და იბერიის მხედრობამ ორ ფრონტზე გაუმართეს ბრძოლა აჯანყებულებს. დაამარცხეს აჯანყებულთა ძალები და მათი მეთაური სკლიაროსი სპარსეთში განდევნეს, რომელიც ბაღდადის ამირა იბნ-ხოსროსთან მივიდა და დახმარება სთხოვა.

აღნიშნული ბრძოლის დამთავრებისა და ქართველთა ლაშქრის ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, ზემოთ დასახელებული ვრცელი მხარეები სამხრეთი ტაოს სამეფოს შემადგენლობაში გადმოვიდა[104].

ახალი ოლქების შემოერთებამ, საერთოდ ტაო-კლარჯეთისა და, კერძოდ, სამხრეთი ტაოს პოლიტიკური და ეკონომიური მდგომა-

---

[103] Н. Ю. Ломоури, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

[104] აკად. კ. კეკელიძე წერს: „მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში ბიზანტიასა და საქართველოს შორის დიდი ცილობა ატყდა „ზემო ქვეყანათა“ ან ტაო-კლარჯეთის მიწების გამო. ეს მიწები ბიზანტიის იმპერატორმა მეათე საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულში მეორედ დაუთმო დავით კურაპალატს, „რათა თჳსსა სიცოცხლესა ჰქონდინ“ იმ სამსახურისათვის, რომელიც მან გაუწია იმპერატორს სკლიაროსის აჯანყების ლიკვიდაციის საქმეში“ (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, 1951, გვ. 230—231).

ასეთმა განმარტებამ შესაძლებელია მკითხველს არასწორი წარმოდგენა მისცეს; როგორც ცნობილია, ტაო-კლარჯეთი ისტორიულად ქართველთა ძველისძველი მიწა-წყალი იყო და ის მაშინ ბაგრატიონთა სამფლობელოს შეადგენდა. რაც შეეხება იმ მიწა-წყალს, რომელიც მეათე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასასრულს დავითმა კესარიისაგან მიიღო, იგი სულ სხვა იყო და არა ტაო-კლარჯეთი.

რეობა კიდევ უფრო გააუმჯობესა. მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა იმას, რომ დავით ბაგრატიონის სამფლობელოს შემადგენლობაში გადასულ მიწა-წყალზე გაივლიდა სახალიფოდან წამოსული უდიდესი სავაჭრო გზა, რომელიც მცირე აზიასა და პონტოში მიემართებოდა. ამ გზაზე მრავალი სავაჭრო ცენტრიდან შორის ყველაზე უფრო ცნობილი — არცნი და კარნიფალაქი, ანუ ვე თეოდოსიუპოლი, დღევანდელი ერზერუმი.

არცნი თეოდოსიუპოლის ახლოს მდ. ევფრატის უკიდურეს სათავეში მდებარეობდა, სადაც, არისტარქე ლასტივერტელის ცნობით, უდიდესი სიმდიდრე მოდიოდა „ზღვითა და ხმელეთით"[105], მაგრამ მომთაბარე თურქთა ტომების შემოსევების შედეგად მან დიდხანს ვერ იარსება.

თავის დროზე არცნი უდიდესი სავაჭრო ცენტრი უნდა ყოფილიყო. ამ ქალაქის შესახებ ზოგად წარმოდგენას გიორგი კედრენესა და მათე ედესელის ცნობებიც გვაძლევენ. პირველის გადმოცემით, 1049 წელს, როდესაც თურქ-სელჩუკებმა არცნი აიღეს, ამ ქალაქში მცხოვრებთაგან 140,000 კაცი ფიზიკურად იქნა განადგურებული, ხოლო მეორეს ცნობით, ამ დროს აქ მოკლულთა რიცხვი 150.000 კაცით განისაზღვრებოდა[106]. გადაჭარბებულიც რომ იყოს ისტორიკოსთა ეს ცნობები, ის მაინც ყურადღების ღირსი და არცნის სიძლიერის დამადასტურებელია. ეს ქალაქი ძლიერი სავაჭრო პუნქტი იყო და «Стоял он на главном торговом пути, шедшем из Константинополя и Трапезунта через Карс, Ани, Двин в Иран»[107].

აი რას წერს კედრენე: „დაბა-ქალაქი არძე[108] მჭიდროდ დასახლებულია და დიდი სიმდიდრის მქონე: აქაური მკვიდრი მცხოვრებლები არიან ვაჭრები, და აგრეთვე არა მცირედი არიან სირიელები, არმენები და სხვები; ისინი საკუთარი სიმდიდრით გათამამებულნი" არიანო[109].

---

[105] Я. А. Манандян, О торговле и городах Армении, 1930, გვ. 145.

[106] იქვე, 155.

[107] История армянского народа, ч. I, 1951, გვ. 143.

[108] ს. ყაუხჩიშვილს ეს „არძე" რატომღაც თეოდოსიუპოლთან აქვს გაიგივებული (გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. V. ტექსტი თარგმანითა და განმარტებებით გამოცემული ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1963, იხ. საძიებელი „თეოდოსიუპოლი").

[109] იქვე. გვ. 73.

XI საუკუნის ბიზანტიელი მწერლის მიქაელ ატალიატეს გადმოცემით, თეოდოსიუპოლის ახლო დაარსებული ქ. არცნი დიდი ქალაქი იყო. იქ ვაჭრობდნენ საქონლით, რომელიც ირანიდან, ინდოეთიდან და აზიის სხვადასხვა ადგილიდან მოჰქონდათ[110].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არცნზე არანაკლებ ერმრავალი და ძლიერი კარნუ-ქალაქი უნდა ყოფილიყო. სახალიფოდან სომხეთის დიდ ქალაქებზე (დვინი, ანისი, ყარსი (კარი) გამავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა ყარსის (კარის) რაიონში ორად იყოფოდა: ჩრდილოეთის შტოზე არტანუჯი იყო უდიდესი სავაჭრო კვანძი, ხოლო სამხრეთისაზე — კარნუ-ქალაქი, თეოდოსიუპოლი. ამ ერთი უდიდესი სავაჭრო გზის ეს ორი ხაზი დასავლეთისაკენ მიემართებოდა და ისევ შეერთების პუნქტი ტრაპიზონი იყო. ეს ანიჭებდა ტრაპიზონს უდიდეს მნიშვნელობას და ეკონომიური თვალსაზრისით მაშინდელ ტრაპიზონს აღმოსავლეთ იმპერიაში, კონსტანტინეპოლის შემდეგ, პირველი ადგილი ეჭირა. არაბი გეოგრაფი ალ-ისთახრი X საუკუნის პირველ ნახევარში წერდა: „ტრაპიზონი რუმის საზღვარია. ვაჭრები იქ იყრიან თავს და ყველაფერი, რაც იმ ქვეყანაში იშოვება, ტრაპიზონიდან მოდის“[111].

კარნუ-ქალაქი, თეოდოსიუპოლი ანუ ერზერუმი, როგორც უდიდესი სავაჭრო კვანძი ყველაზე მეტი მნიშვნელობის მქონე სწორედ მაშინ იყო, და ეს მნიშვნელობა მას დიდ ხანს არ დაუკარგავს, რომლის შესახებ მარქსი და ენგელსი წერდნენ: «Если Карс является ключом к Эрзеруму, то Эрзерум представляет ключ к Константинополю и центральный пункт стратегических и торговых путей Анатолии»[112].

კარნუ-ქალაქის ანუ თეოდოსიუპოლის დაწინაურებას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ აქ იყო ერთ დროს ე. წ. ბიზანტიის სომხეთის ადმინისტრაციული ცენტრი.

ახლად შეძენილმა ოლქებმა და იქ არსებულმა ქალაქებმა კიდევ უფრო გაზარდეს სამხრეთი ტაოს სახელმწიფო სალაროს შემოსავალი, და ამის შემდეგ იწყება მისი ძლევამოსილი ომები სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ტაოს

---

[110] Я. А. Манандян, О торговле и городах Армении, 1930. გვ. 150—151.

[111] ისთახრი, ჰოდუდ-ალ-ალემი, ჰამდალაჰ ყაზვინი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლითურთ ვ. ფუთურიძისა, თბილისი, 1937, გვ. 4.

[112] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. X, 1933, გვ. 553.

სამეფოს მაშინდელი ეკონომიური სიძლიერითა და საალებმიცემო, საქალაქო ცხოვრების განვითარებით აიხსნება ის გარემოება, რომ დავით კურაპალატი პირველი უნდა იყოს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შორის, რომელმაც საკუთარი ფულის მოჭრა ... წყო[113].

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ ტაოს სამეფოს შემადგენლობაში გადმოსული ოლქები მარტო ამ სამეფოსათვის როდი იყო საჭირო. მას ბიზანტიის იმპერიისათვისაც უდიდესი ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. პოლიტიკურმა გაჭირვებამ აიძულა ბიზანტიის მთავრობა დროებით დავით კურაპალატის მფლობელობაში ეცნო დასახელებული ოლქები, მაგრამ შინაგანი მდგომარეობის გამოსწორებისა და მოძლიერების შემდეგ გააფთრებით დაიწყებს ბრძოლას ამ მიწა-წყლის ისევ მისატაცებლად.

ისე როგორც ყოველთვის, X საუკუნის დასასრულს, ბარდა სკლიაროსის დამარცხების შემდეგ, ბიზანტიაში გარე-პოლიტიკური მდგომარეობის სირთულესთან ერთად, შინაგანი არეულობა და პოლიტიკური ბრძოლა სუფევდა. ბარდა სკლიაროსის დამარცხებითა და განდევნით მცირე აზიის მიწათმფლობელთა სამხედრო არისტოკრატია არ დამარცხებულა. ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების ცდა მეტ წინააღმდეგობას იწვევდა.

როგორც გავეცანით, ბიზანტიური წყაროები გვერდს უვლიან მოჯანყე სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველთა ლაშქრის მონაწილეობის მნიშვნელობის აღნიშვნას. ისინი იმის შესახებაც დუმან, რომ ბიზანტიის ხელისუფლებამ თხოვნით მიმართა ათონის მთაწმიდაზე მყოფ იოვანე-თორნიკეს, იოანე მთაწმიდელსა და ათანასე დიდს. მაგრამ ქართული და სომხური წყაროები დამაჯერებლად მოგვითხრობენ, რომ ტაო-კლარჯეთის გამოსვლამ აჯანყებულთა წინააღმდეგ ომის ბედი კეისრის სასარგებლოდ გადაწყვიტა და ეს გამოსვლა მოხდა ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების თხოვნით. რა თქმა უნდა, როცა დავით კურაპალატი ომ-

---

113 ეს მონეტა, დავით კურაპალატის სახელზე მოჭრილი, არაბთა ბატონობის შემდეგ პირველი ქართული მონეტაა, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი არაბულ-მაჰმადიანური ნიშნისა და შინაარსისაგან. მონეტაზე „ყველა ჩნდება რელიგიური ემბლემა — ჯვარი ან ღვთისმშობლის გამოსახულება (უკანასკნელი ბიზანტიური ნიმუშებიდან არის ნასესხები), მნიშვნელოვანი წარწერები მხოლოდ და მხოლოდ ქართულია. ეს წარწერები შეიცავენ არა მარტო ქართველ მეფეთა სახელებს, არამედ მათ ბიზანტიურ ტიტულებსაც“ (დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, 1950, გვ. 42).

ში ჩაება, მის ამ მოქმედებას ძირითადად საკუთარი ინტერესები (მტრულად განწყობილი ზოგიერთი მეზობლის წინააღმდეგ ბრძოლა, სამფლობელოს გაფართოება და სხვ.) განსაზღვრავდა.

გიორგი კედრენე არაფერს გადმოგვცემს კედრის ხელისუფლებისა და დავით კურაპალატის შეთანხმების შესახებ. მისი ცნობით, როგორც ზემოთ გავეცანით, დავითს თითქოს მხოლოდ ბარდა ფოკა დაუკავშირდა თავისი ინიციატივით, კეისართან შეთანხმების გარეშე.

ბიზანტიურ წყაროებში ტაო-კლარჯეთის ლაშქრის მოქმედების უგულებელყოფაც არის ნაწილობრივ იმის მიზეზი, რომ, როგორც აღნიშნული იყო უცხოურ და რუსულ საისტორიო ლიტერატურაში, დღემდე ვერ პოვა ღირსეული გაშუქება აჯანყების ჩაქრობაში ქართველთა 12 ათასიანი ლაშქრის ბრძოლის მნიშვნელობამ[114]. სათანადო ლიტერატურის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ უცხოურ მკვლევართაგან ქართველთა ლაშქრის დამსახურებას შედარებით გასაგებად ის გადმოგვცემს, ვინც ბიზანტიურს გარდა რამდენიმე ქართულსა და სომხურ წყაროებსაც იყენებს[115], ხოლო ის, ვინც მარტო ბიზანტიური ცნობების მიხედვით მსჯელობს[116] — არაფრის-

---

[114] რუსულ ისტორიოგრაფიაში ვ. როზენი წერს მხოლოდ შენიშვნის სახით, რამდენადმე გარკვევით: «Из византийских и грузинских хроник мы знаем, что Фока победил Склира именно при помощи иверийцев» (В. Розен, Император Василий Болгаробойца. Извлечения из летописи Яхи Антиохийского, 1883, გვ. 165, შენ. 127).

სამწუხაროდ, 1967 წელს გამოცემულ ბიზანტიის ისტორიის II ტომშიც (პასუხისმგებელი რედაქტორი აკად. ს. სკაზკინი, ტომის რედაქტორი ა. კაჟდანი) ვერ პოვა სწორი ასახვა ბარდა სკლიაროსის დამარცხების საქმეში ქართველთა ლაშქრის მონაწილეობის საკითხმა. ავტორი გ. ლიტავრინი კედრენეს ცნობიდან გამომდინარე მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ «Оказал помощь Варде Фоке и давний его приятель, повелитель Иверии Давид» (გვ. 218, შდრ. გეორგიკა, V, გვ. 30).

[115] Gustave Schlumberger, L'Epopée byzantine, I, 1896, გვ. 415 და შემდეგ; *Γερά. Σμυρνάκης, Τὸ «Ἅγιον» Ὄρος. Ἐν Ἀθήναις* 1903, გვ. 460—480 (გერასიმე ზმირნაკის ამ ნაშრომისა და აგრეთვე ზოგიერთი ავტორის შესახებ ამ საკითხზე იხილეთ ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, V, 1963, გვ. 32—44); P. Peeters, Histoires monastiques géorgiennes «Analecta Bollandiana» (1917—1918), S 22.

[116] Г. Ф. Герцберг, История Византии, перевод, примечания и приложения П. В. Безобразова, Москва, 1896, გვ. 167; G. Gelzer, Abriss der byzantinischen Kaisergeschichte, რუსული თარგმანი წიგნში: Очерки по истории Византии под редакцией и с предисловием В. К. Бе-

მთქმელ განმარტებას იძლევა და სკლიაროსის დამარცხებას ფოკას მიაწერს[117]. თუმცა გიორგი კედრენეს ცნობიდან იგულისხმება, რომ სკლიაროსთან უკანასკნელი ბრძოლის დროს ფოკას ძირითად დასაყრდენს იბერთა ლაშქარი შეადგენდა. [illegible] გიორგი კედრენე სკლიაროსის დამარცხებას ამ [illegible] სკლიაროს-ფოკას ორთა ბრძოლაში ფოკას გამარჯვებას მიაწერს[118].

ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობაში ქართველთა ლაშქრის მონაწილეობის საკითხი ქართულ საისტორიო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი. ასევე კარგად არის ცნობილი იოვანე-თორნიკეს დამსახურება და ბრძოლის შედეგები. აქ ჩვენ გვაინტერესებს ის, თუ როგორ განვითარდა შემდეგ ქართველთა და ბიზანტიელთა შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირ-ურთიერთობა: სკლიაროსის დამარცხებისთანავე მთლიანად იქნა დემობილიზებული ქართველთა ლაშქარი, თუ დარჩა იგი კიდევ საიმპერიო ლაშქართან?

ზოგიერთი ცნობა მიგვითითებს, რომ ბარდა სკლიაროსის დამარცხების შემდეგაც იბერთა ლაშქარი კიდევ დიდხანს იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა ბრძოლებში. ამ მხრივ საყურადღებოა ალეპოელი არაბი ისტორიკოსის, ქემალედდინის ერთი ცნობა. იგი მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ X ს. 80-იან წლებში ბარდა ფოკა ჩრდილო სირიაში შეიჭრა და ალეპოს მიმართულებით დაიწყო შეტევა. ამ დროს ბერძენთა ლაშქრის ავანგარდის სათავეში ქართველთა მეფე იდგა. როცა ბარდა ფოკა ალეპოს ალყას შეუდგა, ამ მხარის მმართველმა სად-ალ-დაულმა თავისი ლაშქარი გაამზადა საბრძოლველად და გადავიდა კონტრშეტევაზე. ცხარე ბრძოლაში მოკლეს ქართველთა მეფე, რომელიც მათი, ე. ი. ბერძენთა ლაშქრის დასაყრდენი ბურჯი იყო[119].

нешевича, вып. I, 1912, გვ. 100; G. Ostrogorsky, Geschichte des byzantinischen Staates. München, 1940, გვ. 211—212.

[117] იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, V, გვ. 32-35; Н. Ломоури, К истории восстания Варды Склира, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 67, 1957, გვ. 29—31.

[118] გეორგიკა, V, დასახ. გამოცემა, გვ. 30—32.

[119] В. Розен, Император Василий Болгаробойца, დასახ. გამოცემა, გვ. 163, შენ. 117.

ბევრი ქართველი და სომეხი ასრულებდა მაშინდელი ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს. ამან მისცა საფუძველი ცნობილ ბიზანტოლოგს გ. გელცერს ეთქვა, რომ X საუკუნეში ყველა მნიშვნელოვანი

ქემალედდინი ვრცლად მოგვითხრობს ბარდა ფოკას მეთაურობით ბერძენთა მაშინდელი ლაშქრობის შესახებ, მაგრამ ბევრი მისი ცნობა ბუნდოვანი და ერთიმეორის საწინააღმდეგო შინაარსის შემცველია. ვ. როზენი, რომელიც ამ ცნობებს ეხლიდან ზოგიერთ უზუსტობას, ქრონოლოგიურ და შინაარსობლივ ანაქრონიზმებს ეუთითებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ «одна черта в разсказе халебского историка вполне подходит к событиям 373 (983—984) года и заслуживает внимания. Это — присутствие грузинских войск в армии Варды. Из византийских и грузинских хроник мы знаем, что Фока победил Склира именно при помощи иверийцев, которых по его просьбе[120] прислал Куропалат Давид»[121].

ქემალედდინს ძალზე დამახინჯებულად აქვს წარმოდგენილი მის მიერ ქართველთა მეფედ წოდებული იმ პირის სახელი (Т-р-ϑ-і-â-вил), რომელიც ავანგარდს მეთაურობდა და თითქოს ბრძოლაში დაიღუპა. ამ საკითხზე ვ. როზენი წერს: «Самое имя Т-р-ϑ-і-â-вил в арабской транскрипции, вероятно сильно испорченной, как будто еще сохранило отчасти грузинскую форму: в окончании несомненно скрывается грузинское—ел; ср. имена как Чортванель и пр.»[122].

ქემალედდინის ეს მრავალმხრივ საინტერესო ცნობა საკმაო საფუძველს იძლევა იმის შესახებ, რომ ქართველთა ლაშქარი X საუკუნის 80-იან წლებშიც იმყოფებოდა ბიზანტიაში და მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ბრძოლებში კეისრის მხარეზე. ეს ლაშქარი კიდევ დიდხანს დარჩა მცირე აზიაში.

სამხედრო თანამდებობა ბიზანტიაში, თითქმის გამოუკლებლივ, სომხებსა და ქართველებს ეჭირათო (იხ. Очерки по истории Византии под редакцией и с предисловием В. К. Бенешевича, вып. I, 1912, გვ. 95).

[120] ვ. როზენი, ეტყობა, ამ საკითხზე მაინც კედრენეს გავლენას განიცდის. მიუხედავად იმისა, რომ „იოვანესა და ეფთჳმეს ცხოვრების“ რუსული თარგმანი 1872 წლიდან არსებობს (М. Сабинин, Полное жизнеописание святых Грузинской церкви, ч. II, СПб, 1872, გვ. 127—160), ამ ძეგლში დაცულ ცნობებს როზენი ნაკლებ ანგარიშს უწევდა. ასევე არ ითვალისწინებდა ის სტეფანოზ ტარონელის ზემოთ მოტანილ ცნობას, სადაც ნათქვამია, რომ კეისარმა იოვანე-თორნიკე გამოიძახა და ტაოს კურაპალატთან, დავითთან გაგზავნა.

[121] В. Розен, Император Василий Болгаробойца, დასახ. გამოცემა, გვ. 165.

[122] იქვე, გვ. 166.

როგორც გავეცანით, ქემალედდინის ცნობაში აღნიშნულ ქართველთა „მეფის“ სახელში ვ. როზენი ელ დაბოლოებას ხედავს და ჩორდვანელზე მიუთითებს. მართლაც ქვემოთ გავეცნობით, რომ ტაოს ერთ-ერთი დიდი აზნაური, ჩორდვანელი საჩინო პიროვნება იყო და იგი საკმაოდ დიდ როლს ასრულებდა ბიზანტიის იმპერიის სამხედრო საქმიანობაში.

*
* *

ქართულ საისტორიო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი, რომ ტაოს მმართველი დავით კურაპალატი X საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს ბასილ კეისრის მოწინააღმდეგეთა მხარეზე აღმოჩნდა. იმის შესახებ, თუ რა იყო მიზეზი დავით კურაპალატის აჯანყებულთა მხარეზე გამოსვლისა, წყაროები არაფერს გადმოგვცემენ. ალბათ ამიტომაა, რომ ამ საკითხზე მკვლევრებიც ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას.

979 წელს ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების მიერ დავით კურაპალატისათვის ვრცელი სამფლობელოების გადაცემა უკანასკნელის გულისმოგების მიზნით ჩატარებული ღონისძიება იყო და, რა თქმა უნდა, ბიზანტიის კეისარს ტაო-კლარჯეთის გაძლიერების სურვილი არ ჰქონდა. იგი ცდილობდა დავით კურაპალატი თავისი გავლენის ქვეშ მოექცია.

კეისარი უნდობლობას იჩენდა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებისადმი.

გიორგი მთაწმიდელის ცნობით, როცა „ბერძენთა მეფემან ზემონი ქუეყანანი დავით კურაპალატსა მისცნა... აზნაურთა შვილნი მძევლად ითხოვნა მისგან“[123]. დავით ბაგრატიონი და ტაოს დიდი აზნაურები იძულებული გამხდარან დაეკმაყოფილებინათ კეისრის მოთხოვნა და მათ მძევლები „მოჰგვარეს მეფესა“[124].

როგორც გავეცანით, სხვებთან ერთად მძევლად კეისრის კარზე იოვანე მთაწმიდელის მცირეწლოვანი შვილი (შემდეგში ცნობილი საეკლესიო მოღვაწე) ექვთიმეც გაგზავნეს. გასაგზავნ პირთა შერჩევაში, როგორც ჩანს, იოვანე მთაწმიდელის ცოლისძმებსა და სიმამრს, ბიზანტიის იმპერიის სამეფო კარზე დიდად ძიღებულ

---

[123] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, დასახ. გამოცემა, გვ. 16.

[124] ი ბ ე ვ ე.

აბუჰარბსაც მიუღიათ მონაწილეობა. როცა „მთასა ულუმბოსასა“ მყოფმა იოვანემ გაიგო თავისი შვილის, ექვთიმეს კონსტანტინოპოლში მიყვანა, იგი „სამეუფოდ ქალაქად აღვიდა“[125] და „განგრძობილად სიტყუს-გებაჲ იქმნა შორის იოვანესსა [illegible] ეფთჳმესთჳს, რამეთუ არა ენება მოცემაჲ [illegible] ამბრალა მას იოვანე, ვითარმედ: „რაჲ არს ესე? ნუუკუე შვილ არა გესხნესა თქუენ? გარნა ესე ცხად არს, რომელ მათ სწყალობდით ვითარცა თჳსთა შვილთა, და ძე ჩემი, ვითარცა ობოლი, მძევლად გასწირეთო“[126].

გიორგი მთაწმიდელის ამ ცნობიდან გასაგებია ბიზანტიის ხელისუფლების მიზანი და, ბუნებრივია, დავით ბაგრატიონი და მისი ქვეშევრდომნი ბიზანტიის კეისრის კმაყოფილი ვერ იქნებოდნენ. დავით კურაპალატს არც ის მოსწონდა, რომ ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის ბასილ კეისარმა მემკვიდრეობით კი არ მისცა მას „ზემონი ქუეყანანი“[127], არამედ „თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ“[128]. ეს იმას ნიშნავდა, რომ კეისარი ამ მიწა-წყალს თავისად თვლიდა. დავითს კი იგი დროებით გადასცა.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ ტაოს მმართველი წრეებისათვის არა მარტო ბარდა სკლიაროსის გამარჯვება და გაძლიერება, არამედ საერთოდ ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების გაძლიერებაც არ იყო ხელსაყრელი და, ბუნებრივია, მის წინააღმდეგ იმოქმედებდა, თუ საამისო ხელსაყრელ პოლიტიკურ ვითარებას დაინახავდა. ასეთი ხელსაყრელი დრო კი დავით კურაპალატმა და მისმა მმართველმა წრეებმა X საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში დაინახეს, როცა მაკედონელთა დინასტიის წინააღმდეგ ბარდა ფოკას მეთაურობით ძლიერი აჯანყება მოეწყო.

ბარდა ფოკა მცირე აზიის სამხედრო-ფეოდალური არისტოკრატიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. იგი ბიზანტიის ისტორიაში კარგად ცნობილი პიროვნებაა. მას არა ერთხელ მოუხვეჭია ნიჭიერი და გამბედავი მხედართმთავრის სახელი, მაგ-

---

[125] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, დასახ. გამოცემა, გვ. 16.

[126] ი ქ ვ ე.

[127] ჩვენ არ ვიცით, რომელ მიწა-წყალს გულისხმობს გიორგი მთაწმიდელი იმ „ზემონი ქუეყანანში“, რომელიც ნიკიფორე ფოკას დროს კილიკიაში ლაშქრობის საკომპენსაციოდ უნდა მიეღო ტაოს ხელისუფლებას, მაგრამ ის კი ჩანს, რომ კეისარმა მაშინაც აშკარა გახადა თავისი უნდობლობა ტაო-ჯალარჯეთის ბაგრატიონებისადმი.

[128] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, დასახ. გამოცემა, გვ. 19.

რამ, ისე როგორც მცირე აზიის სამხედრო-ფეოდალური არისტოკრატიის სხვა წევრები, ისიც ცენტრისაკენ, იმპერატორის ტახტის დასაკავებლად მიისწრაფვოდა. მან ჯერ კიდევ მაშინ მოუწყო იოვანე ციმისხის აჯანყება, როცა ბიზანტია დიდი საფრთხისა და განსაცდელის წინაშე იმყოფებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც აღნიშნული იყო, X საუკუნის მეორე ნახევარში კიევის სამთავრო ბულგარეთის დასაპყრობად იბრძოდა. სვიატოსლავი, რომელმაც პაჭანიკებთან და ვარიაგებთან კავშირში თავისი ლაშქარი 970 წელს დიდად გააძლიერა, 60 ათასიანი მოლაშქრით წარმატებით მიიწევდა წინ ბულგარეთის დასაპყრობად. მან ტყვედ ჩაიგდო თვით მეფე ბორის II, აიღო ბულგართა დედაქალაქი პრესლავი, გადავიდა ბალკანეთით და დაიპყრო ფილიპოპოლი, სადაც გადაჭარბებული სიმკაცრე გამოიჩინა ადგილობრივი მცხოვრებლების მიმართ[129].

რუსთა მთავარი ფიქრობდა, რომ იოლად გაივლიდა თრაკიას და ბიზანტიასაც დაიკავებდა. სვიატოსლავისათვის ასეთი დიდი მადა იმ გარემოებასაც უნდა გაეხსნა, რომ სწორედ მაშინ მოუწყო აჯანყება მცირე აზიაში ბარდა ფოკამ იოვანე ციმისხის[130]. ფოკა ახლო ნათესავი იყო ციმისხის მიერ მოკლული კეისრის, ნიკიფორესი და ალბათ შურისძიებასაც შეეცადა.

ფოკას მეთაურობით მოწყობილი შეთქმულებისა და მცირე აზიაში შექმნილი მდგომარეობის გამო რუსებს მოკავშირეებთან ერთად მართლაც შეეძლოთ არკადიოპოლამდე მისვლა, მაგრამ სწორედ მაშინ შეხვდა მათ ძლიერი ლაშქრით ბიზანტიის ერთ-ერთი ნიჭიერი მხედართმთავარი ბარდა სკლიაროსი, რომელმაც აიძულა რუსები უკან დაბრუნებულიყვნენ[131] ბალკანეთზე გადასვლით.

სკლიაროსის მეთაურობით ბიზანტიის ლაშქრის მიერ რუსთა დამარცხება და უკუქცევა მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა ბარდა ფოკას მიზნებსა და ინტერესებს. რუსთაგან საფრთხის შენელების შემდეგ მთელი ყურადღება იოვანე ციმისხის მოჯანყე ბარდა ფოკას წინააღმდეგ უნდა გადაეტანა. ფოკამ მარცხი განიცადა. იგი აიძულეს ბერად შემდგარიყო.

ბარდა ფოკასა და ბარდა სკლიაროსის ზემოაღნიშნულ მტრულ ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებას უნდა მიეცა საფუძველი

---

[129] Г. Ф. Герцберг, История Византии, перевод, примечания и приложения П. В. Безобразова, Москва, 1896, გვ. 164.

[130] იქვე.

[131] იქვე.

ბასილ კეისრისათვის, როცა მან მოჯანყე სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოსაყენებლად ბარდა ფოკა გაათავისუფლა.

იაჰია ანტიოქელის ცნობით, 986 წელს, როცა ბასილ კეისარმა ბულგარელებთან ბრძოლაში მარცხი განიცადა და ადრიანოპოლ-დადამდე მიაღწია, იქ მყოფმა ბარდა სკლიაროსმა [illegible] გამოყენება გადაწყვიტა და ამირას ლაშქარი სთხოვა. უკანასკნელმა დანაპირების შესრულების ფიცი ჩამოართვა სკლიაროსს[132], მის ძმას კონსტანტინეს, შვილს რომანოზს და სამივე უკან გაგზავნა[133]. სკლიაროსი მელიტინის მხარეში შემოვიდა, სადაც მას საკმაო რაოდენობის არაბთა ლაშქარი მოჰყვა.

მელიტინის მხარეში მოსულმა სკლიაროსმა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის სათანადო ზომები მიიღო. მოსვლისთანავე მას მეზობელი მხარეების მრავალი მმართველი მიემხრო; ხლათის, ნეპერკერტისა და დიარბერქირის ამირა ბადიც დაუყოვნებლივ შეუერთდა[134].

იაჰია ანტიოქელის ცნობით, როცა ბასილ კეისარმა ეს ამბავი გაიგო, მან სასწრაფოდ დაუბრუნა ბარდა ფოკას დომესტიკის წოდება, გაუგზავნა დიდი ლაშქარი და მისწერა, გაელაშქრა სკლიაროსის წინააღმდეგ[135]. ამ ცნობიდან ჩანს, რომ ბასილ კეისარს ფოკასათვის დომესტიკის თანამდებობა სკლიაროსის დამარცხების შემდეგ რატომღაც ჩამოურთმევია. ჩვენთვის აქ საინტერესოა, თუ რა მიზეზით უნდა გადაეყენებინა კეისარს დომესტიკის თანამდებობიდან ეს ღვაწლმოსილი სარდალი?

ბარდა ფოკას აჯანყების მთელი შინაარსის მოთხრობა-გაშუქება აქ ჩვენს მიზანს არ შეადგენს. იგი გვაინტერესებს იმდენად, რამდენადაც ამ აჯანყებაში ქართველები მონაწილეობდნენ.

ქართველთა ლაშქარი, რომელიც ბარდა სკლიაროსის წინააღ-

---

132 როცა ბარდა სკლიაროსი ბაღდადში მივიდა, მაშინ იქ ამირად ადუდ-ალ-დაული იყო. მას სკლიაროსმა ბასილ კეისრის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. სამაგიეროდ პირდებოდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში დაუბრუნებდა იმ ციხე-სიმაგრეების ნაწილს, რომელიც ბერძნებმა მაჰმადიანებს წაართვეს (В. Розен, Извлечения из летописи Яхи Антиохийского, დასახ. გამოცემა, გვ. 13). ადუდ-ალ-დაული გარდაიცვალა და ამირას ტახტი მისმა შვილმა სამსამ-ალ-დაულმა დაიკავა. 986 წელს ამ უკანასკნელმა ფიცი ჩამოართვა სკლიაროსსა და მის ნათესავებს, რომ გამარჯვების შემთხვევაში ისინი შეასრულებდნენ დანაპირებს (იქვე. 21).

133 В. Розен, გვ. 21.

134 იქვე. გვ. 22.

135 იქვე.

მდეგ ბრძოლაში ძირითად ძალას წარმოადგენდა და შემდეგ X საუკუნის 80-იანი წლების შუა რიცხვებში ფოკას მეთაურობით კვლავ კეისრის მხარეზე, ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას. ფოკას აჯანყების დროს ისევ ბიზანტიაში ჩანს. ძნელია იმის თქმა, ლაშქარი განაგრძობდა თუ არა ბიზანტიაში ყოფნას. ... დავით კურაპალატმა სკლიაროსის წინააღმდეგ კეისარს მიაშველა, მაგრამ არსებითი მნიშვნელობა იმას აქვს, რომ ქართველთა ლაშქარი (უდავოდ, ტაო-კლარჯეთის ლაშქარი იგულისხმება) ამ პერიოდში თითქმის გამუდმებით ჩანს ბიზანტიაში.

იაჰია ანტიოქელისა და სხვათა ცნობების საფუძველზე, ვ. როზენი ანალიზს უკეთებს X საუკუნის 80-იანი წლების ბიზანტიის მდგომარეობას და ცდილობს დაადგინოს ის მიზეზი, რის გამოც ბარდა ფოკა 987 წელს აჯანყდა. მისი დასკვნით 80-იანი წლების შუა რიცხვებში ბიზანტიაში დიდი შეთქმულება ეწყობოდა მაკედონელთა დინასტიის წინააღმდეგ. ამ შეთქმულების სათავეში ბასილ კეისრის პარაკიმანოსი უნდა ყოფილიყო[136].

მცირე აზიის სამხედრო ფეოდალური არისტოკრატიის წევრებისა და მათ შორის ბარდა ფოკას გამოსვლა კეისრის ხელისუფლების წინააღმდეგ იყო შინაფეოდალური ბრძოლა. როცა ბასილ კეისარმა ხელისუფლება გაიმტკიცა, იგი საშიშ მოვლენად მოეჩვენა სამხედრო ფეოდალურ არისტოკრატიას და ხელმეორედ იფეთქა აჯანყებამ[137]. მაგრამ ფოკას რომ პირადი უკმაყოფილებაც უბიძგებდა აჯანყებისაკენ, წყაროები ამასაც ადასტურებენ:

როცა ვასილ პარაკიმანოსის მეთაურობით კეისრის წინააღმდეგ აჯანყება მზადდებოდა, სწორედ მაშინ არაბებმა შემოუტიეს ბიზანტიას და ხელში ჩაიგდეს სირიაში დიდი ციხე-სიმაგრე ვალანეი, გაძარცვეს და გაანადგურეს ცნობილი და მდიდარი წმ. სიმონის მონასტერი და სხვ. ამ გარემოებამ დააჩქარა იმ პირთა განზრახვის შესრულების დაწყება, რომლებიც მაშინ შეთქმულებას ამზადებდნენ[138].

თავის დროზე, როცა არაბებმა ციხე-სიმაგრე ვალანეი დაიკავეს, იაჰია ანტიოქელის გადმოცემით, იქიდან მტრის განდევნა კეისარმა ანტიოქიის მმართველად ახლადდანიშნულ მაგისტრ ლეონ მელისინს დაავალა, რომელმაც დავალების შესრულება ძალზე

---

[136] В. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

[137] Charles Diehl, Histoire de l'empire byzantin, 1924, გვ. 127—128.

[138] В. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

დააგვიანა. ლეონ მელისინი შეთქმულებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული და ამიტომ შეგნებულად დააყოვნა ვასილის ადგილისათვის გადამწყვეტი ბრძოლის დაწყება. ვ. როზენის აზრით, «Мелиссин, отправленный в Сирии для отпора Василию, должен был к условленному времени сбросить маску и поднять знамя возстания, заручившись содействием азиатской армии и Фоки»[139].

მკვლევარი მიუთითებს, რომ შეთქმულების მთავარ ხელმძღვანელებს ბასილ კეისრის სამეფო კარზე დიდად მიღებულ ვასილ პარაკიმანოსს და სხვებს დიდი იმედი უნდა ჰქონოდათ ბულგართა მიერ წარმოებული განმათავისუფლებელი მოძრაობის. ისინი დაკავშირებული უნდა ყოფილიყვნენ ბულგართა მეფის, პეტრეს შვილებთან — ბორისსა და რომანოზთან, რომლებიც ბიზანტიის ხელისუფლებას კონსტანტინეპოლში ჰყავდა ტყვედ. ბულგართა განთავისუფლებისათვის მებრძოლ ძალებში განხეთქილების შეტანის მიზნით ბასილის ხელისუფლებამ ისინი გაათავისუფლა და სამშობლოში გაგზავნა[140].

---

139 В. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 173, შენ. 141.

140 971 წელს, როცა კიევის მთავარმა სვიატოსლავმა ბულგარეთისათვის ბრძოლაში ბიზანტიელებთან მარცხი განიცადა, იოანე ციმისხიმ პრესლავი აიღო და მის მიერ ოკუპირებული ბულგარეთის მიწა-წყალი თავის საკუთრებად გამოაცხადა. ბულგარეთის მეფის შვილები — ბორისი და რომანოზი, მათი ოჯახის წევრებთან ერთად, კონსტანტინეპოლში გაგზავნა. აღმოსავლეთ ბულგარეთმა დამოუკიდებლობა დაკარგა, ხოლო დასავლეთმა დროებით შეინარჩუნა. 976 წლიდან დასავლეთ ბულგარეთი შეტევაზე გადადის ბიზანტიის წინააღმდეგ. უკანასკნელს, შინაგანი არეულობით (ბარდა სკლიაროსის აჯანყება) დაკავებულს, ბულგართა წინააღმდეგ ფართო სამხედრო ღონისძიებების ჩატარების საშუალება არ ჰქონდა, მაგრამ სამაგიეროდ ნაცად ხერხს, ტერორსა და მკვლელობას მიმართავდა. სწორედ ამ დროს ბულგარეთის განმათავისუფლებელ ძალებში განხეთქილების შეტანის მიზნით, კეისარმა გაათავისუფლა ბორისი და რომანოზი, მაგრამ საზღვარზე გადასვლის დროს ბორისი შემთხვევით მესაზღვრემ მოკლა, ხოლო რომანოზი შეიპყრეს და ბულგართა განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურს, სამოელს წარუდგინეს. უკანასკნელის ხელშეწყობით რომანოზი მეფედ გამოაცხადეს და ქ. პრესნიდან ქვეყნის მართვას შეუდგა, თუმცა მისი უფლებები რამდენადმე ნომინალური იყო და ქვეყანას ფაქტიურად სამოელი განაგებდა (История Болгарии, т. I, 1954, გვ. 94—95). ბიზანტიის ხელისუფლების იმედი არ გამართლდა. ბორისი და რომანოზი, რომელთა საშუალებით კეისარი თავისი საქმის გაკეთებას ცდილობდა, კონსტანტინეპოლში ყოფნის დროსაც სამშობლოს განთავისუფლებაზე ფიქრობდნენ, და არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ შეთქმულების მეთაურებს მათთან საიდუმლო კავშირი ჰქონოდათ. საისტორიო ლიტერატურაში არსებობს

აჯანყებისათვის მზადებისა და შექმნილი მდგომარეობის ყოველ მომთხრობი, ბუნდოვანი წყაროებიდან ვ. როზენს ის დასკვნა გამოაქვს, რომ «этот план не удался вполне потому, что император слишком рано напал на след его и во время затоннл главного деятеля, т. е. паракимомена. Мелиссин, ничего не зная о катастрофе, распускает сам слух об удавшемся возстании и отступает от Валанеи, чтобы итти в Антиохию, для соединения с Фокой, которому без сомнения была назначена видная роль в совете заговорщиков»[141].

შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ ბასილ კეისარმა აიძულა ლეონ მელისინი შეტევა დაეწყო ციხე-სიმაგრე ვალანეის ასაღებად. მელისინმა მართლაც აიღო ეს ციხე. სწორედ ამ დროს, იაჰია ანტიოქელის ცნობით, ბასილ კეისარმა გადააყენა დომესტიკის თანამდებობიდან ბარდა ფოკა და დანიშნა იგი აღმოსავლეთის დუკად და ანტიოქიის მმართველად[142].

ბასილ კეისრის წინაშე ესოდენ დიდად დამსახურებული მხედართმთავრის — ბარდა ფოკას გადაყენება დომესტიკის თანამდებობიდან არ შეიძლება სხვა რაიმეთი ავხსნათ, თუ არა იმით, რომ მასზე, როგორც შეთქმულთა ერთ-ერთ თვალსაჩინო ხელმძღვანელზე, ეჭვი მიიტანეს.

ქემალედდინის ცნობით, სწორედ იმ დროს, როცა ვასილ პარაკიმანოსი, ლეონ მელისინი, ბარდა ფოკა და მათი თანამოაზრენი შეთქმულებას ამზადებდნენ, იბერთა ლაშქარი, მათი მეფისა თუ ჩორდვანელის მეთაურობით, ფოკას ბანაკში იმყოფებოდა და მეწინავეთა როლს ასრულებდა. არ არის გამორიცხული, რომ შეთქმულების გეგმა იბერთა ლაშქრის მეთაურისთვისაც ყოფილიყო ცნობილი. იქნებ სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი X საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს დავით კურაპალატის აჯანყებულთა მხარეზე გამოსვლას.

სომეხი ისტორიკოსის, სტეფანოზ ტარონელის გადმოცემით, ბაღდადიდან დაბრუნებულმა სკლიაროსმა ადგილობრივი მხარეების მმართველები გაიბირა და ბასილ კეისრის ხელისუფლებას

მოსაზრებაც, რომ ბორისი და რომანოზი თითქოს კი არ გაუშვია ბიზანტიის მთავრობას, არამედ გაქცეულან კონსტანტინეპოლიდან (История Византии, т. II, 1967, გვ. 222).

[141] В. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 173, შენ. 141.

[142] იქვე, გვ. 20.

ომი გამოუცხადა. თავის მხრივ ბარდა ფოკა „მთელი საბერძნეთისა და იბერთა ლაშქრით ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ, [illegible] ველად გაეშურა"[143]. მაგრამ მოპირდაპირეთა შორის ბრძოლა არ მომხდარა, ფოკა შეუთანხმდა სკლიაროსს და აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა. იაჰია ანტიოქელის გადმოცემით, ეს მოთანხმების თანახმად აჯანყების ორ ბელადს გამარჯვების შემთხვევაში ბასილ კეისრის იმპერია ურთიერთშორის უნდა გაენაწილებინა[144], კერძოდ, ფოკა იმპერიის დედაქალაქში, კონსტანტინეპოლში უნდა გაბატონებულიყო, სკლიაროსი კი—სხვა მხარეში. მაგრამ ფოკა ვერ ენდო სკლიაროსს, ვითომ სათათბიროდ მიიწვია, დააჭერინა და ციხეში გამოკეტა[145], თუმცა აღუთქვა, რომ გამარჯვების შემთხვევაში პირობას შეასრულებდა[146].

სტეფანოზ ტარონელის ცნობით, როცა ბარდა ფოკამ სკლიაროსი ჩამოიცილა, შემდეგ საბერძნეთისა და იბერთა ლაშქრით შეტევა დაიწყო სამეფო ქალაქის — კონსტანტინეპოლის წინააღმდეგ[147]. მაგრამ სანამ მოპირდაპირეთა შორის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდოდა, მან გაუშვა თავისი ბანაკიდან იბერთა ლაშქარი და საბერძნეთის მთელი ლაშქრით ზღვის სანაპიროსაკენ გაემართა[148].

სტეფანოზ ტარონელის ეს ცნობა ჩვენთვის გაუგებარია: რატომ უნდა გაეშვა ფოკას გადამწყვეტ მომენტში იბერთა ლაშქარი?

ფოკას ბანაკიდან იბერთა ლაშქრის გაშვებას შესაძლებელია ამ ლაშქრის სხვა უბანზე გამოყენების მიზანი ჰქონდა. ამ მოსაზრების წამოყენების უფლებას ისიც გვაძლევს, რომ, როგორც ქვემოთ გავეცნობით, ქართველი მხედართმთავრის მეთაურობით მებრძოლი ლაშქარი ფოკას დამარცხების შემდეგაც აგრძელებს ბრძოლას ბასილ მაკედონელის წინააღმდეგ[149].

---

143 Всеобщая история, დასახ. გამოცემა, გვ. 178.

144 В. Розен, Император Василий Болгаробойца, დასახ. გამოცემა, გვ. 23.

145 იქვე; Всеобщая история Степаноса Таронского (Асохика), დასახ. გამოცემა, გვ. 178.

146 В. Розен, გვ. 23.

147 Всеобщая история Степаноса Таронского (Асохика), გვ. 178—179.

148 იქვე. გვ. 179.

149 ზემოთ მოტანილი ცნობებისა და განმარტებათა შემდეგ ჩვენ მიერ ადრე გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, დაკით კურაპალატისა და ფოკას ურთიერთკავშირისა და ფოკას ბანაკიდან იბერთა ლაშქრის გაშვების შესახებ, გადასინჯვას საჭიროებს (იხ. ვ. კოპალიანი, ბიზანტია-საქართველოს

საკუთარი მოსაზრება აქვს ამ საკითხზე წამოყენებული აგრეთვე ნ. ლომოურს. იგი ფიქრობს, რომ დავით კურაპალატის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა ბიზანტიის ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება საერთოდ, სულ ერთია მაკედონელთა დინასტიის ჰეგემონობით იქნებოდა ის, თუ ბარდა ფოკას [illegible] შედეგად. დავითისათვის არც ფოკას გამარჯვება [illegible] იყო ხელსაყრელი. «Нам кажется,—წერს მკვლევარი,—что Давид сам отозвал свой отряд, руководствуясь опять-таки определенной целью: не дать возможность легкой победы Фоке и тем самым предотвратить его излишнее усиление, также не особенно выгодное Давиду»[150].

ფოკა-სკლიაროსისა და დავით III სამხედრო-პოლიტიკური ერთიერთობის საკითხს ეხება აგრეთვე მ. კახაძე ზემოთ დასახელებულ თავის ნაშრომში და აღნიშნავს, რომ „989 წელს... ფოკა და სკლიაროსი... შეითქვნენ[151] მეფის წინააღმდეგ და დახმარება სთხოვეს საქართველოს მეფეს[152] დავით კურაპალატს. უკანასკნელი, როგორც შორსმჭვრეტელი სახელმწიფო მოღვაწე, ცხადია, სიამოვნებით დათანხმდებოდა, რაკი ამ კოალიციაში დაინახავდა მაკედონელთა დინასტიის გარდაუვალ აღსასრულს და უზურპატორებს სათანადო მოთხოვნებს წარუდგენდა საქართველოს ტერიტორიის გასაფართოებლად“[153].

ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დავით კურაპალატი, როდესაც აჯანყებულთა მხარეზე გამოდიოდა, ალბათ მეტს მოელოდა, ვიდრე მას მაკედონელთა მბრძანებლებმა მისცეს, არსებითად სწორია. მაგრამ აქ გარკვეული უნდა იქნეს ისიც, თუ აჯანყების რომელ მეთაურთან შეეძლო დავით კურაპალატს საერთო ენის გამონახვა? არა გვგონია, რომ დავით ბაგრატიონის ხელისუფლებასა და აჯანყებულ სკლიაროსს შორის ერთიანი მოქმედების შესახებ მომხდარიყო შეთანხმება. ტაოს ხელისუფლებასა და ბარ-

---

ურთიერთობის ისტორიიდან (ბიზანტია და ტაო-კლარჯეთი 970—980-იან წლებში), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 61, 1955, გვ. 132).

[150] К истории восстания Варды Склира, დასახ. გამოცემა, გვ. 40.

[151] ეს თარიღი ზუსტი არ არის. სკლიაროსი და ფოკა ცოტა უფრო ადრე „შეითქვნენ“.

[152] დავით კურაპალატი მთლიანი საქართველოს მეფე არ იყო, და ამდენად, ეს გამოთქმა არაზუსტია.

[153] მ. კ ა ხ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 40—41.

და სკლიაროსს შორის, შეიძლება ითქვას, შეურიგებელი წინააღმდეგობა არსებობდა.

მაშინდელ რთულ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის ახსნა ძნელია საჭირო ცნობების უქონლობის გამო. აუხსნელი რჩება აგრეთვე ფოკას მიერ იბერთა ლაშქრის გაშვების ნამდვილი მიზეზი.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თუ რა უნდა ყოფილიყო მიზეზი დავით კურაპალატის აჯანყებულთა მხარეზე გამოსვლის. ამასთანავე ამ საკითხზე მსჯელობის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ ტაოს მმართველი წრეები ბრძოლის პერსპექტივებსა და მოსალოდნელ შედეგებსაც უწევდნენ ალბათ ანგარიშს. ჩანს, აჯანყებულთა გამარჯვება გარდუვალად მიაჩნდათ დავითსა და მის მომხრეებს.

მართლაც, ბრძოლის დასაწყისში აჯანყებულებმა შეტევა სწრაფად განავითარეს და, ლეონ დიაკონის გადმოცემით, ბიზანტიის იმპერიის აზიური ყველა ოლქი დაიმორჩილეს[154]. იაჰია ანტიოქელის ცნობის თანახმად, აჯანყებულები, დაიპყრეს რა აღმოსავლეთის ოლქები, კონსტანტინეპოლის მისადგომებთან განლაგდნენ[155] და დიდი საფრთხე შეუქმნეს იმპერატორის ხელისუფლებას.

ბრძოლამ მეტად მწვავე და ხანგრძლივი ხასიათი მიიღო. ლეონ დიაკონის ცნობით, „აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ზღვის სანაპირო ქალაქები და სიმაგრეები, ჩაკეტეს ჰელესპონტის სრუტე უამრავი ხომალდებით და შეწყვიტეს საკვები გემების შესვლა დედაქალაქში; ხოლო ავიდოსთან სანაპიროზე, მაგისტრ ლეონ პარსაკუტინსკის მეთაურობით, უდიდესი ლაშქარი გადმოსხეს... შემდეგ ამისა, შექმნეს მტკიცე ბანაკი ბიზანტიის (იგულისხმება კონსტანტინეპოლი — ვ. კ.) წინააღმდეგ ხრისოპოლის სიმაღლეზე და ბარდა ფოკამ თავისი ძმის პატრიკ ნიკიფორესა და პატრიკ კოლოკირ დელფინოსის მეთაურობით იქ მრავალრიცხოვანი ცხენოსანი და ქვეითი ლაშქარი გაგზავნა“[156].

აღნიშნული გარემოებით მოხერხებულად ისარგებლა აგრეთვე ბულგარეთის ლაშქარმა. მან სამოელის მეთაურობით, თავის მხრივ, შეტევა გააძლიერა და ადრიატიკის მხარეში ბიზანტიის სამფლობელო დაიკავა. ხელთ იგდო მრავალი ქალაქი სალუნის ახლოს, და

---

[154] История Льва Диакона, перевод Д. Поповым, 1820, გვ. 28.

[155] В. Розен, Император Василий Болгаробойца. Извлечения из летописи Яхи Антиохийского. 1883, გვ. 24.

[156] История Льва Диакона, გვ. 28—29.

ფიქრობენ, რომ იგი უკვე ამ დროს შავი ზღვის სანაპიროებამდე მივიდა[157].

როგორც ვხედავთ, ბულგართა წინააღმდეგ ბრძოლით დასუსტებული და 986 წელს დამარცხებული ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლება ახლა უდიდეს ეკონომიურსა და ეროვნულ-პოლიტიკურ გაჭირვებას განიცდიდა. კეისრისა და აჯანყებულთა [illegible] წარმოებული ბრძოლა, მის პირველ ეტაპზე, უკანასკნელთა სასარგებლოდ ვითარდებოდა და ტაოს მმართველი წრეების პოლიტიკური კურსი, თითქოს მართლდებოდა.

სამწუხაროდ, იმ მოლაპარაკებისა და შეთანხმების შესახებ, რომელიც აჯანყებულთა მეთაურის, ბარდა ფოკასა და ტაოს ხელისუფლებას შორის უნდა მომხდარიყო იმის შესახებ, თუ რას დაუთმობდა ფოკა გამარჯვების შემთხვევაში დავითს, წყაროები არაფერს გადმოგვცემენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აჯანყებულთა მეთაური, ბიზანტიის იმპერიის ტახტის მიპოვებისათვის მებრძოლი — ბარდა ფოკა, მეტ დათმობაზე წავიდოდა, ყოველ შემთხვევაში, მეტს შეპირდებოდა ტაოს ხელისუფლებას, ვიდრე მაკედონელთა დინასტიის წარმომადგენლებმა დაუთმეს მას და ეს უნდა გამხდარიყო აჯანყებულთა მხარეზე ტაოს მონაწილეობის ძირითადი საფუძველი.

მძიმე მდგომარეობაში მყოფმა ბიზანტიის ხელისუფლებამ ყოველგვარი ზომები მიიღო თავის გადასარჩენად. იაჰია ანტიოქელის ცნობით, აჯანყებულთა ლაშქარი კონსტანტინეპოლის მისადგომებთან განლაგდა და აღმოსავლეთის მხარეებიც დაიპყრო. ბასილ კეისარმა მაგისტრი ტარონიტი ტრაპიზონში გაგზავნა ზღვით. უკანასკნელმა იქ ხალხი (იგულისხმება სამხედრო ძალა — ვ. კ.) შეკრიბა და ევფრატის სანაპიროსაკენ გაემართა[158]. აქ ის, ერზინჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონებში, დავით კურაპალატის სამფლობელოში უნდა შეჭრილიყო. კეისრის ხელისუფლების ბრძოლის ეს ტაქტიკა მტრის ზურგიდან დარტყმას ისახავდა მიზნად და მას შეეძლო აჯანყებულთათვის სახიფათო მდგომარეობა შეექმნა, მაგრამ უკანასკნელთა მიღწევები იმდენად დიდი იყო, რომ, ჩანს, ტაოს ხელისუფლებას ეჭვი არ ეპარებოდა მათ გამარჯვებაში.

კეისრის მოქმედების საპასუხოდ, აჯანყების მეთაურმა ბარდა ფოკამ, იაჰია ანტიოქელის გადმოცემით, თავისი შვილი ნიკიფორე

---

[157] История Болгарии, I, 1954, გვ. 95.

[158] В. Розен, გვ. 24.

ტაოს მფლობელ ქართველთა მეფე დავითთან გაგზავნა და დახმარება სთხოვა ტარონიტის წინააღმდეგ[159].

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითმა ლაშქარი გაამზადა. ტაოს მმართველს მხარში ამოუდგა აგრეთვე ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების უმაყოფილო მცირე აზიის ზოგიერთი პროვინცია.

ცნობილია, რომ 967 წელს, აშოტ ბაგრატუნის სიკვდილის შემდეგ, ბიზანტიამ დაიპყრო ტარონი და მძიმე უღელი დაადგა მას. ამიტომ იქაური სომხები ჯერ კიდევ სკლიაროსის პირველი აჯანყების დროს აჯანყებულთა ბანაკში აღმოჩნდნენ.

აშოტის ერთ-ერთ შვილს — ბაგრატს იაჰია ანტიოქელი პატრიკად და ტარონის ერთ-ერთი თემის, ალ-ხალიდიათის მმართველად იხსენიებს[160]. იგივე ისტორიკოსის ცნობით, როდესაც დავით კურაპალატმა თავისი ერთ-ერთი ქვეშევრდომი ათასი ცხენოსანი მხედრით ტარონიტის წინააღმდეგ გაგზავნა, მას თან გაჰყვა ბაგრატის ორი შვილი ათასი კაცისაგან შემდგარი ცხენოსანი მხედრებით.

ამრიგად, მარტო დავით კურაპალატი კი არ უჭერს მხარს აჯანყებულთ, მათ სხვაც ბევრი გამოეხმაურა. მცირე აზიის აჯანყებები საიმპერიო ხელისუფლების წინააღმდეგ, რასაც ძალიან ხშირად ჰქონდა ადგილი, მარტო სამხედრო არისტოკრატიის რომელიმე ძლიერი წარმომადგენელის ნება-სურვილზე არ იყო დამოკიდებული. ამ აჯანყებათა საფუძველს თვით ბიზანტიის ხელისუფლების მძარცველური და უხეში პოლიტიკა ჰქმნიდა. ეს კი საშუალებას აძლევდა აჯანყების მეთაურებს ძლიერი ძალა დაერაზმათ საიმპერიო ხელისუფლების წინააღმდეგ.

დავით კურაპალატის მიერ გაგზავნილმა ლაშქარმა ბრძოლა გაუმართა ტარონიტის ლაშქარს[161] (წყაროებიდან არ ჩანს, თუ სად მოხდა ეს ბრძოლა). განსაცდელში მყოფი იმპერატორის ხელისუფლება, როგორც იაჰია ანტიოქელი გადმოგვცემს, იძულებული გახდა რუსთა მთავრისათვის[162] ეთხოვა დახმარება[163]. კიევის მთავართან, ვლადიმირთან შეთანხმების მიღწევის შემდეგ, „988 წელს რუსთა დამხმარე ლაშქარი იქნა გამოგზავნილი ბიზანტიაში"[164].

---

[159] В. Розен, გვ. 24.

[160] ეს თანამდებობა ბაგრატს ალბათ ტარონის დამოუკიდებლობის გაუქმების შემდეგ, 976 წლამდე ჰქონდა მიღებული.

[161] В. Розен, გვ. 23.

[162] იაჰია ანტიოქელი რუსთა მთავარს მეფის ტიტულით იხსენიებს.

[163] В. Розен, გვ. 23.

[164] В. Г. Василевский, Труды, т. I, 1908, გვ. 199.

კედრენესა და ზონარას გადმოცემით, ამ ლაშქარმა უდიდესი როლი შეასრულა აჯანყებულთა დამარცხების საქმეში[165].

ქალაქის მისადგომებთან აჯანყებულებმა, რომელთაც დელფინოსი მეთაურობდა, მარცხი განიცადეს და მათი მეთაურიც ტყვედ ჩავარდა, რომელსაც ბასილ კეისარმა ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით კურაპალატის მიერ გაგზავნილმა მხედრობამ, სწორედ იმ დროს, როდესაც წარმატებით ჩაატარა ბრძოლა და დაამარცხა ტარონიტი, გაიგო, რომ რუსთა და ბერძენთა[167] გაერთიანებული ძალების საშუალებით იმპერატორმა დაამარცხა ფოკას ლაშქარი ხრისოპოლთან, ხელთ იგდო ზღვის სანაპირო ოლქები და ფოკას განკარგულებაში მყოფი ყველა ხომალდი[168]. ამ ცნობის მიღებისთანავე დავით კურაპალატის მიერ გაგზავნილი ლაშქრის სარდალი და ბაგრატის ორი შვილი, რომელთა სახელებს იაჰია ანტიოქელი არ აღნიშნავს, უკან დაბრუნდნენ[169].

ფოკას დამარცხება ტაოს ხელისუფლებისათვის სამწუხარო მოვლენა იყო. ტარონიტის დამარცხების შემდეგ უკან დაბრუნებულ სარდლებს რატომღაც თავის მართლება დასჭირდათ დავითთან. იაჰია ანტიოქელი ხაზს უსვამს, რომ მათ „თავი იმართლეს მასთან (ე. ი. დავითთან — ვ. კ.) იმით, რომ შეასრულეს ის, რასაც მათგან ის (დავითი — ვ. კ.) მოითხოვდა, ე. ი. დაამარცხეს ტარონიტი“[170].

რატომ უნდა გაჯავრებოდა დავითი თავის გამარჯვებულ სარდლებს და რად უნდა დასჭირებოდათ მათ თავის მართლება? მიუხედავად აჯანყებულთა ძირითადი ბირთვის დამარცხებისა, როგორც ქვემოთ გავეცნობით, დერჯანიისა და ტარონის მიდამოებში მოქმედი სამხედრო ძალები, ქართველი მხედართმთავრის, ჩორდვანელის მეთაურობით, კიდევ განაგრძობდნენ ბრძოლას ბასილ კეისრის ხელისუფლების წინააღმდეგ. იქნებ დავით კურაპალატის გაჯავრება და საყვედური თავისი სარდლისა და ბაგრატის ორი შვილის მიმართ იმით იყო გამოწვეული, რომ ისინი ტარონიტის დამარცხებით დაკმაყოფილდნენ და დერჯანიისა და ტარონის

---

165 В. Василевский, Труды, т. 1, 1908, გვ. 198—199.

166 Всеобщая история Степаноса Таронского (Асохика), გვ. 179.

167 იგულისხმება ბიზანტიელთა.

168 В. Розен, Император Василий Болгаробойца. Извлечения из летописи Яхи Антиохийского, გვ. 24.

169 იქვე.

170 იქვე.

მიდამოებში ჩორდვანელის მეთაურობით მოქმედ ძალებს არ შეუ-
ერთდნენ. სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ტარონელი ბაბა ფო-
კას დამარცხების ამბებს მოგვითხრობს და შემდეგ განაგრძობს:
„იმ პირთა რიცხვიდან, რომლებიც ბარდა ფოკასთან ერთად განდ-
გნენ, კიდევ დარჩა ზოგიერთი, როგორც, მაგ., ბერი თორნიკეს
ძმისწული მაგისტრი ჩორდვანელი[171], რომლის ძალები დერჯანისა
და ტარონის მხარეებში იყო მოფენილი. ბასილ კეისარმა მის
(ჩორდვანელის — ვ. კ.) წინააღმდეგ პატრიკი ჟანი, იგივე პორტეზი
გაგზავნა, რომელმაც ორჯერ გაუმართა ბრძოლა ჩორდვანელს და
უკანასკნელ ბრძოლაში, რომელიც დერჯანიის მხარეში, ბაგარანდის
მინდორზე, 990 წელს მოხდა, ჩორდვანელი მოკლეს"[172]. ამიერი-
დან მთელ საბერძნეთში მშვიდობიანობა დამყარდაო[173].

იაჰია ანტიოქელი პატრიკ ჩორდვანელისა და პატრიკ ჟანს შო-
რის ბრძოლის შესახებ არაფერს გვეუბნება, მაგრამ გადმოგვცემს,
რომ „ბასილ კეისარი განრისხებული იყო ქართველთა მეფე დავი-
თზე და ალ-ხალიდიათის მფლობელ ბაგრატის ორ შვილზე იმი-
ტომ, რომ ისინი ფოკას დაეხმარნენ. ერთ-ერთი პატრიკის, ჟაკ-რუ-
სოს მეთაურობით ჯარი გაგზავნა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად,
მან (ჟაკ-რუსომ — ვ. კ.) ბრძოლა გაუმართა ბაგრატის შვილებს,
რომელთაგან უფროსი მოკლა, ხოლო უმცროსი გააძევა"[174].

ჩვენი მიზნისათვის საჭიროა მოვიტანოთ სტეფანოზ ტარონე-
ლის (ასოღიკის) კიდევ ერთი ცნობა ჩორდვანელის შესახებ. იგი
გადმოგვცემს, რომ სომეხთა წელთაღრიცხვით 437 (=988) წელს
ეგვიპტის ამირას აზიზას შვილი დიდი ლაშქრით ბიზანტიის სამ-
ფლობელოების მოსარბევად გამოემართა და ანტიოქიის მიდამოებს
დაესხა თავს. კეისრის განკარგულებით მის წინააღმდეგ დალასანოს
მაგისტრი გაიგზავნა. პირველად თითქოს ბერძნებმა გაიმარჯვეს,
მაგრამ შემდეგ, ძარცვა-გლეჯაში გართულ ბერძნებს (ბიზანტიე-
ლებს) მტერი ისევ დაესხა თავს, დაამარცხა ისინი და მაგისტრი
დალასანოსიც ძმითა და შვილით ბრძოლაში დაიღუპა. მებრძოლთა
ნაწილმა გაქცევით უშველა თავს, ხოლო დიდი ნაწილი ლაშქრისა,

---

[171] ქვემოთ გავეცნობით, რომ ეს ჩორდვანელი იოვანე თორნიკეს შვილი
უნდა იყოს და არა ძმისშვილი.

[172] Всеобщая история, გვ. 180.

[173] იქვე.

[174] В. Розен, გვ. 27.

თორნიკეს ძმისშვილთან, მაგისტრ ჩორდვანელთან ერთად ტყვედ წაიყვანესო[175].

სტეფანოზ ტარონელს ეს ამბავი თავის ნაშრომში სხვა საკითხებთან ერთად ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არ აქვს მოყვანილი. იგი ჯერ X საუკუნის 90-იანი წლების ამბებს მოგვიყვანს, შემდეგ უკან იხევს და ა. შ.

ჩორდვანელი, რომელიც აჯანყებულთა ერთ-ერთი აქტიური მეთაური იყო და სიკვდილამდე ამ საქმის ერთგული დარჩა, საეჭვოა, რომ 988 წელს ტყვედ წაეყვანა არაბებს. ამ წელს აჯანყებამ განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია და ჩორდვანელიც მაშინ აჯანყებულთა ბანაკში უნდა ყოფილიყო. ან როგორ მოხდა, რომ 988 წელს არაბთა მიერ ტყვედ წაყვანილი ჩორდვანელი X საუკუნის 80-იანი წლების დამლევს დერჯანიისა და ტარონის რაიონებში მოქმედ აჯანყებულთა ბანაკს ჩაუდგა სათავეში? იქნებ ქრონოლოგიური შეცდომაა სტეფანოზ ტარონელის ცნობაში და უფრო ადრე დაატყვევეს იგი?

ამასთანავე საგულისხმოა, რომ თითქოს ჩორდვანელია ქართველთა ლაშქრის ის მეთაური, რომელიც, ქემალედდინის ცნობით, ალეპოსათვის ბრძოლაში ავანგარდს მეთაურობდა. თუ ამ მხედართმთავრის გვარსახელის არაბულ ტრანსკრიფციაში, როგორც ამას ვ. როზენი ფიქრობდა, ქართული **ელ** დაბოლოება იგულისხმება, მაშინ ასეთის შესაძლებლობა არაა გამორიცხული. შეიძლება ისიც გვეფიქრა, რომ ეს იგივე ჩორდვანელია, რომელსაც სტეფანოზ ტარონელი იხსენიებს. მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან ავანგარდის მეთაური ბრძოლაში დაღუპულა.

ჩორდვანელი ტაოს ცნობილი საგვარეულოს წარმომადგენელი იყო. 977 წლის ერთი ხელნაწერის მინაწერებიდან ჩანს, რომ იგი, როგორც აღნიშნული იყო, იოვანე ვარაზვაჩეს (იოვანე მთაწმიდელის) ძმის, ცნობილი ქართველი მხედართმთავრისა და შემდეგ ათონის მთაწმიდის ქართველთა მონასტერში ბერად შემდგარი იოვანე თორნიკეს შვილი უნდა იყოს[176]. ჩორდვანელის ძმა — ბაგრატი, რომელიც პატრიკის ტიტულით იხსენიება, 998 წელს ქ. ხლათის აღებისათვის დავით კურაპალატის მიერ წარმოებული ბრძოლის დროს დაიღუპა[177].

---

[175] Всеобщая история, დასახ. გამოცემა, გვ. 190—191.

[176] თ. ჯ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 109.

[177] ნ. ემინის მიერ გამოცემულ ასოღიკის შრომის რუსულ თარგმანში ეს ბაგრატი იოვანე თორნიკეს ძმისშვილად იხსენიება (გვ. 193), მაგრამ მთარგ-

ჩორდვანელის საგვარეულოს წარმომადგენლები ასევე ისეთი ცნობილი ქართველი მოღვაწეები, როგორიც იყვნენ: [illegible] და ეფთჳმე მთაწმიდელები, გიორგი წინამძღვარი, იოანე ბერაძე, დავითი „სამოთხის“ გადამწერი და ერთი მწ[illegible]ბერ-დის კრებულისა“[178].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამრიგად, ჩორდვანელი ეკუთვნოდა იმ ქართველ პატრიოტთა და ცნობილ პირთა წრესა და საგვარეულოს[179], რომლებიც ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს მშობლიური ქვეყნის დაწინაურებასა და განვითარებას. უცხოობაში მყოფი ათონის მთაწმიდის ზემოხსენებული ქართველი მოღვაწეები მთელ თავიანთ ძალასა და ენერგიას მშობლიური კულტურის გამდიდრება-განვითარებას ახმარდნენ. ბერძნებისაგან შევიწროებული ქართველები ცდილობდნენ პოლიტიკურადაც გაძლიერებულიყო მათი სამშობლო, რომელიც ერთადერთი ექმაგებოდა მათ.

ჩორდვანელი დავით კურაპალატის პოლიტიკის განხორციელებისათვის ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი უნდა ყოფილიყო. მისი ბრძოლა ბიზანტიის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების წინააღმდეგ ტაო-კლარჯეთისა და საერთოდ საქართველოს პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა. მართალია ნ. ლომოური, როცა აღნიშნავს: «Грузинские правители стремились по ме-

---

მნელი იქვე შენიშნავს: «В подлиннике стоит որդի Թառնիկայ արքայի, т. е. «сын монаха Торника». Вместе «сын» мы поставили «племянник» на основании предыдущего разсказа нашего автора. См. гл. XXXVII—В списке акад. Броссе также стоит: «Сын Торника» (Всеобщая история, გვ. 193). როგორც თ. ჟორდანია შენიშნავს, ემინი აქ შეცდომას უშვებს (ქრონიკები, გვ. 109). სტეფანოზ ტარონელის (ასოღიკის) ნაშრომის XXXVII თავში ჩორდვანელია მოხსენებული (იხ. Всеобщая история, გვ. 191) და არა ბაგრატი.

178 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 110.

179 ამ ძლიერი პატრიოტული პოლიტიკური დასის სათავეში დავით კურაპალატი იდგა. იგი დიდი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე იყო, ქართული ენისა და კულტურის დიდი მოამაგე. „ქართული კულტურისათვის ესოდენ დიდი ჰირნახულობა მან იმით დააგვირგვინა, რომ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას მტკიცე საფუძველი დაუდო“ (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, 1966, გვ. 23). წყაროები აშკარად მიუთითებენ, რომ დავითის ერთგული ქვეშევრდომები, საერო თუ საეკლესიო მოღვაწენი, სამშობლოში იყვნენ ისინი თუ ბიზანტიურ სამყაროში, მტკიცედ ატარებდნენ დავითის იდეებს როგორც უკანასკნელის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგაც.

ре возможности освободиться даже от чисто внешней опеки Византии»[180].

ჩორდვანელის მოქმედებაც ამ მიზნებს ემსახურებოდა.

ბაგრატის შვილების დამარცხების შემდეგ, საკეისროს ... დღის წესრიგში ტაოს წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი დადგ... რაპალატისა და მისი თანამოაზრეებისათვის უკვე ... ყოფილიყო, რომ აჯანყება დამარცხდა და ტაოს მმართველი წრეების იმედიც აღარ გამართლდა. ამიტომ მათ უნდა დაეწყოთ ზრუნვა ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად. მართალია, ტაო-კლარჯეთი ამ დროს ძლიერი იყო, მაგრამ სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მტრული პოლიტიკური ერთეულებით იყო გარემოცული.

ამასთანავე მას საქართველოს სამეფო-სამთავროებიდანაც არ ჰქონდა დახმარების იმედი. გავიხსენოთ, რომ 988 წელს კლდეკარის საერისთავოს გამო გამწვავდა დამოკიდებულება, ერთი მხრივ, ბაგრატ მესამესა და მეფე გურგენს, ხოლო მეორე მხრივ, დავით კურაპალატსა და მის მოკავშირეებს შორის.

მართალი არის გ. არაქელიანი, რომელიც ბიზანტიის მიერ სამხრეთ ტაოს სამეფოს მიტაცების საკითხს ეხება და აღნიშნავს, რომ ეს ფაქტი «Можно объяснить слабостью грузинских и армянских Багратидов, внутренними феодальными раздорами как среди армянских, так и среди грузинских феодалов»[181].

ასეთ ვითარებაში ტაოს არ შეეძლო ბრძოლა გაემართა გაძლიერებული ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებისათვის და, როდესაც უკანასკნელმა მტერი დაამარცხა და ჯერი ტაოზე მიდგა, იაჰია ანტიოქელის გადმოცემით, „ქართველთა მეფე დავითმა დანაშაულის პატიება და შენდობა სთხოვა (ბასილ კეისარს — ვ. კ.) და აღუთქვა, რომ მისი (დავითის — ვ. კ.) გარდაცვალების შემდეგ, რადგანაც მას (დავითს — ვ. კ.) არ ჰყავს შვილი და არც სხვა ვინმე მემკვიდრე, და თვითონაც ძალზე მოხუცია, მისი სამფლობელო შეუერთდება მის (ბასილის — ვ. კ.) სახელმწიფოს. ამასთანავე სთხოვა იმპერატორს, რომ ნება მიეცა მისთვის (დავითისათვის — ვ. კ.) გაეგზავნა იმპერატორის კარზე თავის დიდებულები, რათა კეისარს შესაძლებლობა ჰქონოდა წინასწარ მიეღო მათგან ფიცი იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათი ხელმწიფის—დავითის გარდა-

---

[180] Н. Ломоури, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

[181] Г. Г. Аракелян, История Киликийского армянского государства, 1952, გვ. 55.

ცვალების შემდეგ ისინი ქალაქს (ალბათ სამხრეთი ტაოს სამეფოს რეზიდენცია, ოლთისი იგულისხმება — ე. ქ.) კეისარს [illegible]ემ-დნენ[182].

როგორც გავეცანით, ტაოს ხელისუფლება, კერძოდ, დავით III, იძულებული გახდა თავისი სამფლობელო ანდერძით, კეისრისადმი გადაეცა. ეს ფაქტი არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული მკვლევართა მიერ. ყველა მკვლევრის ძირითად წყაროს ამ საკითხზე იაჰია ანტიოქელის ზემოთ მოტანილი ცნობა წარმოადგენს, მაგრამ იგი ყველას ერთნაირად როდი ესმის. ივ. ჯავახიშვილი წერდა: როცა იმპერატორმა დავითის დასჯა განიზრახა, უკანასკნელმა „კეისარს შენდობა სთხოვა და თავი მხოლოდ იმით იხსნა, რაკი კვლავ მორჩილება აღუთქვა და დაჰპირდა, რომ მის სიკვდილის შემდგომ მთელ თავის სამფლობელოს, ვითარცა უძეო და უმკვიდრო, ბიზანტიის კეისარს უანდერძებდა"[183]. მკვლევარი აქ იაჰია ანტიოქელის ცნობას იმეორებს, მაგრამ უმატებს სიტყვა „მ თ ე ლ ს", ე. ი. ფიქრობს, რომ დავითმა მთელი თავისი სამფლობელო აღუთქვა იმპერატორს.

აკად. ს. ჯანაშია იმავე ისტორიკოსის ცნობის საფუძველზე აღნიშნავს, რომ ბარდა ფოკას დამარცხების შემდეგ „დავითი იძულებული გახდა, სიკვდილის შემდეგ, თავის სამფლობელოს იმპერატორს შეჰპირებოდა"[184]. როგორც ვხედავთ, მკვლევარი აქ იაჰია ანტიოქელის ცნობას უფრო ზუსტად გადმოგვცემს და სიტყვა „მთელს" არ უმატებს, არ ცნობს საჭიროდ მის დამატებას, და

---

[182] В. Р о з е н, Император Василий Болгаробойца, Извлечения из летописи Яхи Антиохийского, დასახ. გამოცემა გვ. 27. 1967 წელს ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემულ ბიზანტიის ისტორიის II ტომში ქართველებისა და სომხების მიერ ფოკასადმი დახმარების შესახებ არის საუბარი და ნათქვამია, რომ ბასილ კეისარმა «В 990г... совершил поход на Кавказ против правителя Иверии Давида и Багратидов, оказавших помощь Варде Фоке. Соединенные войска Багратидов и Давида были разбиты» (История Византии, II, გვ. 225).

ამ განმარტებას რამდენადმე სიზუსტე აკლია. მართალია, ჩორვანდელის მეთაურობით მებრძოლ ლაშქარში ქართველები და სომხები უნდა ვიგულისხმოთ, მაგრამ ეს იყო აჯანყებულთა უკანასკნელი ნაშთების ლიკვიდაცია და დავით ბაგრატიონის სამფლობელო ბიზანტიელებს მაშინ არ დაურბევიათ. ყოველ შემთხვევაში წყაროები ამის შესახებ არაფერს გადმოგვცემენ.

[183] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, 1948, გვ. 126.

[184] Об одном примере искажения исторической правды. По поводу книги Н. Токарского «Архитектура древней Армении», 1947, გვ. 29.

შემდეგ განაგრძობს: „არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ დავითს ამ იძულებით „ნაანდერძევში“ ლაპარაკი იყო ამას წინათ ბიზანტიისაგან მიღებულ ოლქებზე“[185], ე. ი. იმ მიწა-წყალზე, რომელიც 979 წელს მიიღო ტაოს ხელისუფლებამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოაღნიშნული ორი მოსაზრებიდან აკად. ი. ჯავახიშვილის მოსაზრება უფრო სწორი უნდა იყოს. დავით კურაპალატმა ბიზანტიის იმპერატორის ხელისუფლების წინაშე დიდი დანაშაული ჩაიდინა. იმ დროს, როცა ამ ხელისუფლების ყოფნა-არყოფნის, დაღუპვა-გადარჩენის საკითხი წყდებოდა, იგი კეისრის მტერს მიემხრო და ბასილის ხელისუფლება დასაღუპად გასწირა. ასეთი მძიმე დანაშაულისათვის გამარჯვებული ბასილის ხელისუფლება დავითისაგან უსათუოდ მძიმე სასყიდელს მოითხოვდა და 979 წელს მიღებული ოლქების ანდერძით გადაცემას არ დასჯერდებოდა. ეს ოლქები, წინანდელი პირობის თანახმად, დავითის სიკვდილის შემდეგ მაინც ბიზანტიას უნდა დაბრუნებოდა: „მისცეს მეფეთა ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი კურაპალატსა, რაჲთა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ“, ე. ი. თუ ამ მიწა-წყლის შეპირებას დასჯერდებოდა კეისარი, ფაქტიურად ის დაუსჯელს დატოვებდა ტაოს ხელისუფლებას, რაც ნაკლებ საფიქრებელია.

* * *

X საუკუნის უკანასკნელ ათ წელში ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებისა და ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლების ურთიერთობის შესახებ ცნობები ნაკლებად მოგვეპოვება. ეს პერიოდი ტაო-კლარჯეთის ძლიერებისა და აქტიური პოლიტიკის წარმოების პერიოდია. ამ დროს ვერ ვხედავთ ბიზანტიას ტაო-კლარჯეთის მიმართ ვერც ხელისშემშლელისა და ვერც დამხმარის როლში.

საკეისროსთან შეთანხმებისა და საკითხის უბრძოლველად მოგვარების შემდეგ ტაოს ხელისუფლებამ საქართველოსა და სომხეთის მიმართ მტრულად განწყობილი პოლიტიკური ერთეულების ტერიტორიის ხარჯზე თავისი სამფლობელოს გაფართოება დაიწყო. 990 წელს ნეპერკერტისა და სხვა მოსაზღვრე მხარეების მმართვე-

---

[185] Об одном примере искажения исторической правды. По поводу книги Н. Токарского „Архитектура древней Армении“, 1947, გვ. 29.

ლის, ბადის გარდაცვალებისთანავე ტაო-კლარჯეთის ლამ[illegible] ვანის ტბის ჩრდილო სანაპიროზე ცნობილ ქალაქ[illegible] და [illegible] ცენტრს მანასკერტს შემოარტყა ალყა[186]. უცხო ტომთა [illegible] ელემენტები აქ მაგრად იყვნენ ფეხმოდგმულნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის დროზე, სახალიფოს მომძლავრების [illegible] სომხეთის ბევრ თემში მუსლიმანობა გავრცელდა. „ასე მაგალითად: მარტიროპოლის თითქმის მთელი მოსახლეობა გამუსლიმანდა, ქალაქის სახელიც შეიცვალა და მარტიროპოლის ნაცვლად მაიაფარიკინი დაერქვა. სომხეთის ხელისუფალნი იძულებულნი გახდნენ მთელი რიგი ქალაქები (მანასკერტი, ხლათი, ბერკლი, არჭეში და სხვა) ხალიფებისათვის დაეთმოთ, რომლებმაც იქ თავისი ამირები და ამირას ნაცვლები დასვეს[187].

---

186 სტეფანოზ ტ ა რ ო ნ ე ლ ი, როდესაც იგი ამირა ბადის სიკვდილისა და დავით კურაპალატის მიერ მანასკერტის ალყის შესახებ მოგვითხრობს, წერს: ამირა ბადი რომ გარდაიცვალა სომეხთა კურაპალატმა დავითმა ქალაქ მანასკერტს ალყა შემოარტყაო (Всеобщая история, დასახ. გამოცემა, გვ. 191). სომეხი ისტორიკოსის ამ განცხადებამ მისცა ალბათ საფუძველი ზოგიერთ მკვლევარს ეთქვა, რომ დავით კურაპალატი წარმოშობით თითქოს სომეხი იყო. მაგ. თავის ერთ კაპიტალურ ნაშრომში ფრანგი მკვლევარი გ. შლუმბერჟე წერდა: «Le plus important prince d'Iberie sous la lointaine suzeraineté byzantine était alors l'illustre curopalate, Davith de Daïk'h, surnomme le Grand, prince d'origine arménienne» (Gustave S c h l u m b e r g e r, L'Epopée byzantine, Paris, 1896, გვ. 415).

სტეფანოზ ტარონელს მართლაც ჰქონდა საფუძველი ეთქვა, რომ X საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს სამხრეთ ტაოს მმართველი დავითი სომეხთა კურაპალატიც იყო, იმიტომ რომ დავითის სამფლობელოში სომეხთა მიერ დასახლებული დიდი ტერიტორია იყო გაერთიანებული და დავითიც, რა თქმა უნდა, ამ ტერიტორიაზე მცხოვრები სომხების მბრძანებელიც იყო. მაგრამ სტეფანოზის ზემოთ მოტანილი ცნობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ ისე, რომ სტეფანოზს დავითი სომხად მიაჩნდა.

სამწუხაროდ, ამ მხრივ უცხოელ მკვლევართა შეცდომას ზოგიერთი საბჭოთა მკვლევარიც იმეორებს. მაგ. ნ. ტოკარსკი თავის ნაშრომში — «Архитектура древней Армении» (Академия наук Арм. ССР, Институт истории, Ереван, 1946), ცდილობს ყოველგვარი საბუთის გარეშე ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის ძირითადი ბირთვი და მმართველი საგვარეულო სომხებად აღიაროს. ტოკარსკის ამ ცალმხრივ მსჯელობას საფუძვლიანი კრიტიკა მიუძღვნა აკად. ს. ჯანაშიამ (იხ. Об одном примере искажения исторической правды. По поводу книги Н. Токарского «Архитектура древней Армении», Издательство «Заря Востока», Тбилиси, 1947).

187 Н. С к а б а л а н о в и ч, Византийское государство и церковь в XI веке, დასახ. გამოცემა, გვ. 191.

ფრიად საყურადღებოა, რომ როგორც მანასკერტი, იგე ხლა-
თი და არჭეში, ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე მდებარე-
ეს სამი ძლიერი ციხე-სიმაგრე და სავაჭრო ცენტრი ერთ-
რიაზე იყო (უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით), ... 979
წელს ბიზანტიის კეისარმა დავით კურაპალატის მფლობელობაში
ცნო. როგორც აღნიშნული იყო, ამ მხარეში ადრე მოიკიდა ფეხი
მუსლიმანობამ და მაჰმადიანი ამირები ბიზანტიელთა ბატონობას
გაურბოდნენ. ამიტომ ასეთი მხარის დავით კურაპალატზე გადა-
ცემით საკეისრო არაფერს კარგავდა.

990 წელს დავითის მიერ მანასკერტის განთავისუფლებისათვის
ბრძოლა გვაფიქრებინებს, რომ ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთი
მხარე — აპაჰუნიქი და მისი სამხრეთი რაიონები მანასკერტისა და
ხლათის ჩათვლით, რომლებიც ბიზანტიის მთავრობამ სხვა ოლქე-
ბთან ერთად 979 წელს დავითს გადასცა, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო
განთავისუფლებული უცხო ძალისაგან, არ იყო შემომტკიცებული
დავითის მიერ. ანდა ეს რაიონები ხელახლა გადავიდა ბადის ხელ-
ში იქნებ მაშინ, როცა სკლიაროსმა ხელმეორედ მოუწყო აჯანყება
კეისარს. ჩვენ უფრო შესაძლებლად ის მიგვაჩნია, რომ ბარდა
სკლიაროსის პირველი აჯანყების დროს, როცა ბადმა უკან დაიბ-
რუნა თავისი სამფლობელო და მანასკერტიც შემოიმტკიცა, შემ-
დეგ სიკვდილამდე ხელიდან არ გაუშვია იგი.

ხანგრძლივი და მწვავე ბრძოლის შემდეგ მტრები ქალაქიდან
განდევნეს. მანასკერტი ქართველებმა აიღეს. დავით კურაპალატი
ცდილობდა საქართველოსა და სომხეთის საზღვრები გაეწმინდა
მტრულად განწყობილი ელემენტებისაგან და შეექმნა ამ რაიონებ-
ში თავისი დასაყრდენი. ამ მიზნით მანასკერტიდან მუსლიმანი მოსა-
ხლეობის განდევნის შემდეგ მან იქ ქართველები და თავისი ქვე-
შევრდომი სომხები ჩაასახლა. ტაოს მიერ ამ მხარის განთავისუფ-
ლებას უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა
ჰქონდა

მანასკერტიც ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა
და ხლათისა და არჭეშის შემდეგ კარნუ-ქალაქისაკენ მომავალ გზა-
ზე პირველი მსხვილი სავაჭრო ცენტრი და გამაგრებული ადგილი
იყო. სომხებისა და ქართველების მიმართ მტრულად განწყობილი
პოლიტიკური ერთეულების პლაცდარმის მოშლას ამ მხარეში თანა-
ბარი მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის. ამიტომ იყო, რომ სამხრეთი-
დან დამპყრობლების შემოსევებით არა ერთხელ შეწუხებული
სომხური სამეფო-სამთავროები ყოველთვის ტაოს სამეფოსთან იყ-

ვნენ და აქტიურად იბრძოდნენ არაბი თუ თურქი ერდიოლების წინააღმდეგ.

სამხრეთით მოსაზღვრე საამიროების წინააღმდეგ სომეხთა და ქართველთა ბრძოლას ტაოს ხელისუფლებაც ეწეოდა, ბიზანტიის ვასალი თავისუფლად მოქმედებდა და საკეისრო მის საქმეებში არ ერეოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტია თვითონაც იყო ყოველთვის დაინტერესებული დაეპყრო ვანის ტბის სანაპიროები, იგი ახლა იქ ტაო-კლარჯეთის ვავლენის გავრცელების წინააღმდეგ არ გამოდიოდა. რა თქმა უნდა, საკეისროს ასეთ ნეიტრალიტეტს თვით ბიზანტიის ინტერესები განსაზღვრავდა.

სომხეთისა და ტაო-კლარჯეთის სამხრეთით არსებული მაჰმადიანური პოლიტიკური ერთეულები ბიზანტიისათვის სანდონი არ იყვნენ და არა მარტო არაბთა მბრძანებლის დასაყრდენი ხდებოდნენ ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ ყოველგვარი შემთხვევის გამოყენებას ცდილობდნენ ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების წინააღმდეგ.

გავიხსენოთ, რომ 986 წელს, როდესაც ბასილ კეისარმა ბულგარებთან ბრძოლაში მარცხი განიცადა, და ამით გათამამებული ბარდა სკლიაროსი მცირე აზიაში მობრუნდა, აპაჰუნიქისა[188] და ნეპერკერტის, ანუ მაიაფარიკინის (იგივე მარტიროპოლის) მმართველი ბადი სკლიაროსს დაუყოვნებლივ ამოუდგა მხარში.

ტაოს ხელისუფლების მიერ განთავისუფლებული მანასკერტი, როგორც გავეცანით, წინათ ჯერ ბადის, ხოლო შემდეგ მისი მემკვიდრეების სამფლობელოში შედიოდა. საკეისროსადმი მტრულად განწყობილი ასეთი პოლიტიკური ერთეულების ხარჯზე ტაოს ტერიტორიის გაზრდა არ ეწინააღმდეგებოდა ბიზანტიის ინტერესებს. დავით კურაპალატმა ხომ მთელი თავისი სამფლობელო მისცა ბიზანტიას ანდერძით. თუ ამ პირობას ბიზანტიის ხელისუფლება იურიდიული ძალის მქონე საბუთად თვლიდა და დავითის სამფლობელოს თავისად უყურებდა, რატომ არ უნდა სდომოდა მას ტაოს მიწა-წყლის გაფართოება? პირიქით, ქართველთა მიერ წარმოებული ბრძოლითა და სისხლის ღვრით იმ ტერიტორიას ზრდიდა, რომელიც, როგორც თვითონ საკეისრო ფიქრობდა, ბიზანტიის იმპერიის განკარგულებაში უნდა გადასუ-

---

188 აპაჰუნიქი ვანის ტბის ჩრდილო დასავლეთით მდებარეობდა და, როგორც გავეცანით, იგი ერთ-ერთი ოლქი იყო იმ ექვს ოლქს შორის, რომლებიც ბიზანტიის კეისარმა დავით კურაპალატს გადასცა.

ლიყო. ეს უნდა ყოფილიყო ტაოს მიერ წარმოებული შეტევითი ომის დროს ბიზანტიის პასიურობის ერთ-ერთი მიზეზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა აღნიშნულისა, ბიზანტიის საგარეო ვითარებასაც საფანადოდ უნდა ემოქმედა ამ საკითხზე: მცირე აზიის ანალიტიკა ჩაქრობაში რუსთა დახმარებას, იმის გამო, რომ კიევის მთავართან, ვლადიმირთან დადებული პირობის შესრულებაზე ბასილის ხელისუფლებამ ყოყმანი დაიწყო, ყირიმში რუსთა შეტევა და ხერსონესის ალყა მოჰყვა შედეგად. ხოლო ამ საკითხის მოგვარებისთანავე, 991 წელს, ბიზანტიამ ბულგართა წინააღმდეგ განაახლა ბრძოლა.

მწვავე და ხანგრძლივ ომში ჩაფლულ ბიზანტიის ხელისუფლებას მთავარ საზრუნავად ეს ომი მიაჩნდა და აღმოსავლეთის რაიონებს, საიდანაც უშუალოდ ბიზანტიის ინტერესებს ახლა არავინ ემუქრებოდა, ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაგები ხდება, რომ ბულგართა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმული ბიზანტია არ შეუშლიდა ხელს ტაო-კლარჯეთს მაჰმადიანი პოლიტიკური ერთეულების წინააღმდეგ ბრძოლაში. პირიქით, ტაო-კლარჯეთის შეტევითი ომი ჩრდილოეთის ომში ჩაბმულ ბიზანტიას აღმოსავლეთში საქმეს უკეთებდა და არაბებსა და სპარსელებს ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას არ აძლევდა. მანასკერტის განთავისუფლების შემდეგ ტაო-კლარჯეთი სამხრეთის მიმართულებით აგრძელებს შეტევას, მაგრამ საამიროები კონტრშეტევაზე გადმოდიან, ბრძოლა მწვავე ხასიათს იღებს.

ამ ბრძოლაში სომხები და ქართველები ერთად გამოდიან დავით ბაგრატიონის მეთაურობით საერთო მტრის წინააღმდეგ. ეს ერთიანობა, ურთიერთსამხედრო დახმარება იმის საფუძველი ხდება, რომ ბრძოლები უმეტეს შემთხვევაში მათი გამარჯვებით მთავრდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი II

ბიზანტიის მიერ სამხრეთი ტაოს დაპყრობა

§ 3. ბასილ კეისრის ლონისძიებანი. ომი სამხრეთ ტაოში

1001 წელს დავით კურაპალატი გარდაიცვალა და ბასილ კეისარი ტაოს დასაპყრობად მოვიდა. დავითის ერთგულები მტრულად შეხვდნენ ბიზანტიის მბრძანებლის ამ აგრესიულ ღონისძიებას. წყაროები გვაფიქრებინებს, რომ კეისარი წინასწარ გრძნობდა ტაოს აზნაურთა განწყობილებას და საჭირო თადარიგს იკავებდა, გარკვეული ღონისძიებანიც ჩაატარა.

ტაოს დასაპყრობად ბასილ კეისრის წამოსვლის შესახებ არაბი ისტორიკოსი იაჰია ანტიოქელი, სომეხი ისტორიკოსები სტეფანოზ ტარონელი და არისტარქე ლასტივერტელი, ბიზანტიელი ისტორიკოსი კედრენე და ქართველი ისტორიკოსი — „ქართლის მატიანის“ ავტორი გვაძლევენ სათანადო ცნობებს. პირველი ორი— იაჰია ანტიოქელი და სტეფანოზ ტარონელი გადმოგვცემენ, რომ დავითის გარდაცვალება ბასილ კეისარმა მაშინ გაიგო, როცა იგი კილიკიის ტარსში იმყოფებოდა[189].

ამ ამბის გაგებისთანავე იგი მელიტინის მხარისაკენ გამოეშურა და აქედან ხანძითის გავლით მეოთხე არმენიაში მივიდა. არშამუნიკის მხარეში, ქ. ერიზანში მყოფმა კეისარმა მიიღო ნეპერკერტისა და აპაჰუნიქის ამირა, ბადის დისშვილი, მუმაჰდიდ-ალ-დაული, რომელიც დიდად დაასაჩუქრა და მაგისტრის ტიტულიც უწყალობა[190]. ამასთანავე, სტეფანოზ ტარონელის ცნობით, კეისარ-

---

[189] Всеобщая история Степаноса Таронского, დასახ. გამოცემა, გვ. 199; В. Розен, Император Василий Болгаробойца. Извлечения из летописи Яхи Антиохийского, დასახ. გამოცემა, გვ. 41.

[190] Всеобщая история, გვ. 199—200; В. Розен, გვ. 41—42, 336, შენ. 280.

მა ბრძანება გასცა, რომ მეოთხე არმენიასა და ტარონში დაბანაკებული ლაშქარი მზადყოფნაში ყოფილიყო[191].

მუმაჰდიდ-ალ-დაულის ასეთი წახალისება იმაზე მიგვითითებს, რომ კეისარი დავით კურაპალატისა და მისი ერთგული ტაოელების მტრებს უკავშირდება. როგორც ცნობილია, ჯერ ამირა ბადი ხელ-ლო შემდეგ მისი შემცვლელი და დისშვილი მერვანი, ხოლო უკანასკნელად მერვანის ძმა მუმაჰდიდ-ალ-დაული დავით კურაპალატის მტრები იყვნენ.

დავით კურაპალატთან მტრობაც აკავშირებდა ამირა ბადს მოჯანყე სკლიაროსთან, რომელსაც ბადი ბაღდადიდან დაბრუნებისა და ხელმეორედ აჯანყების დაწყებისთანავე მიეშველა. მაშინ ეს უკანასკნელიც ბასილ კეისრის მტერი იყო, მაგრამ X—XI საუკუნეთა მიჯნაზე, როცა კეისარს სკლიაროსი და მისი მსგავსი ადამიანები ალარ აწუხებდნენ და ტაოს დაპყრობა სურდა, ახლა მუმაჰდიდ-ალ-დაული შესაძლებელია მისთვის საჭირო გამხდარიყო და ამიტომ დააჯილდოვა იგი.

არც ის იყო შემთხვევითი, რომ კეისარმა განკარგულება გასცა მეოთხე არმენიასა და ტარონში დაბანაკებული ლაშქრის მზადყოფნის შესახებ. იგი წინააღმდეგობას მოელოდა ქართველთაგან. ამიტომ იყო, რომ ზემოაღნიშნულ მხარეებში დაბანაკებული ლაშქრის მზადყოფნა საკმარისად არ ჩათვალა და 6000 შეიარაღებული რუსთა მხედრისა და ანტიოქიის მმართველისა და მისი ლაშქრის თანხლებით მოვიდა ტაოში[192].

1001 წელს სამხრეთ ტაოში ბასილ კეისრის ლაშქრობის შესახებ სომეხი და არაბი ისტორიკოსებისაგან რამდენადმე განსხვავებულ ცნობებს გვაძლევს ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე. იგი წერს: „შინაურ ომთა და ზრუნვათაგან რომ განთავისუფლდა მეფე (ე. ი. ბასილი — ვ. კ.) დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ როგორ დაესაჯა სამოელი[193] და დანარჩენი ტოპარქები, რომლებმაც ძალიან აიშვეს თავი იმით, რომ მეფის წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს და რომაელთა სახელმწიფოს არა მცირედი ზიანი მიაყენეს, ის გაემართა თრაკიისა და მაკედონიის მხარეებში და ჩავიდა თესალონიკეში... იქ მმართველად დატოვა მაგისტროსი გრიგოლ ტარონელი და მისცა მას დიდძალი ჯარი, რათა სამოელის იერიშები შეეკავებინა, თვითონ კი გამობრუნდა და სატახტო

---

[191] Всеобщая история, გვ. 200.

[192] В. Розен, Император Василий Болгаробойца. Извлечения из летописи Яхи Антиохийского, დასახ. გამოცემა, გვ. 41.

[193] სამოელი ბულგართა განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურია.

ქალაქზე გავლით იბერიაში ავიდა; დ ა ვ ი თ კურაპალატი გრდაცვლილიყო და თავისი სამფლობელოების მემკვიდრედ მეფე დაეწერა. იბერიაში რომ ჩავიდა, მიცემული მემკვიდრეობა დაიდგინა. ხოლო კურაპალატის (ძმა) გიორგი (ალბათ გურგენ [illegible] ძმეება), შიდა იბერიის მმართველი, დაარწმუნა [illegible] ყოფილიყო თავისი საკუთარი სამფლობელოთი და სხვისას არ შესეოდა, შეკრა მასთან ზავი, მძევლად მისი ვაჟი მიიღო და ფინიკიაში წავიდა; თან წაიყვანა იბერიის დიდგვარიანები, რომელთაგან უმთავრესნი იყვნენ ბაკურიანი, თევდატე და ფერსი, ღვიძლი ძმები, რომელნიც მან პატრიკიოსთა ხარისხში აიყვანა"[194].

ბაკურიანის და თევდატეს შესახებ ისტორიამ ცნობები ნაკლებად შემოგვინახა, ფერსის შესახებ წყაროები გადმოგვცემს, რომ იგი საქართველოს სამეფო ხელისუფლების აქტიური დამხმარის როლში გამოსულა და მაკედონელთა დინასტიის წინააღმდეგ ბრძოლის მსხვერპლიც კი გამხდარა.

კეისრის მოქმედება, როცა მან ტაოს აზნაურები სამშობლოს მოაცილა და წაიყვანა, სრულიად გასაგებია. მას ამ აზნაურების „პატრიკიოსთა ხარისხში" აყვანა კი არ აინტერესებდა, არამედ ვერ ენდობოდა მათ. ყველაზე უფრო საშიში პირები წაიყვანა, ხოლო დარჩენილებს, იაჰია ანტიოქელის ცნობით, „მმართველად ბერძენთაგანი დაუნიშნა"[195]. მაგრამ არც დარჩენილები აღმოჩნდნენ კეისრის ერთგულნი.

სუმბატ დავითის ძის გადმოცემით, როდესაც ბასილი დავითის სამფლობელოში მოვიდა, „მისცნეს მას ციხენი აზნაურთა ამა დავითისათა, და დაიპყრა ბასილი მეფემან მამული დავით კურაპალატისა".[196] როგორც აღვნიშნეთ, ტაოს ყველა აზნაური ბასილ კეისრის მომხრე არ იყო, მაგრამ აზნაურთა უმეტესობა, ჩანს, შიშით დაემორჩილა მას.

იგივე მემატიანის ცნობით, როცა ბასილი დავით კურაპალატის მიწა-წყალზე იმყოფებოდა, „მივიდეს მის წინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფე და მამა მისი გურგენი"[197].

---

[194] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. V, გვ. 45—46.

[195] В. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

[196] სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გამოცემული ე. თაყაიშვილის მიერ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 27, 1949, გვ. 68.

[197] იქვე.

ჩანს, მამა და შვილი კეისართან საომრად განწყობილი არ წასულან და ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, „ალბათ დავით კურაპალატის სამფლობელოს მიღების იმედით“[198] მიეგებენ მას. ბასილმა გურგენ და ბაგრატ ბაგრატიონებს დიდებული შეგებება [illegible] წყო, მაგრამ დავით კურაპალატის მთელი სამფლობელო [illegible] ზოგიერთი რაიონისა, რომელსაც ქვემოთ შევეხებით, თვითონ მიისაკუთრა და მამა და შვილი გაწბილებული დატოვა. სამაგიეროდ, თითქოს დიდი პატივი სცა უკანასკნელთ და „გურგენს მაგისტროსობა, და ბაგრატს კურაპალატობა“[199] უბოძა.

ბიზანტიის მბრძანებელმა ეს უკანასკნელი ამბავი შეგნებულად გააკეთა, „რათამცა ვითარ მტერ ყუნა ერთმანეთისა მიმართ მამაძენი ესე, და ამით ღონითა იმძაცვაო“[200], წერს სუმბატ დავითის ძე, ე. ი. კეისარი ფიქრობდა, რომ მამას შვილისათვის კურაპალატის პატივი შეშურდებოდა და ისინი წაიჩხუბებდნენ, მაგრამ შეცდა გურგენი, კეისარს მიუხვდა და „ვერა აღძრა გული მისი ზაკვითა ამით მიზეზითა“[201]. შეხვედრამ სისხლისღვრის გარეშე მაინც არ ჩაიარა.

თავისი თხზულების დასასრულს ასოღიკი გადმოგვცემს: ერთი მხრივ ბასილი, და მეორე მხრივ ბაგრატი და გურგენი რომ ერთმანეთს შეხვდნენ, „უკანასკნელთა უკან გამგზავრების დღეს ბერძენთა ბანაკში ძლიერი ბრძოლა მოხდა სულ უბრალო საქმის გამო. დავით კურაპალატის ვასალები და დიდებულები, რომლებიც იქ იყვნენ მისულნი, ბერძენთა ბანაკთან ახლოს იდგნენ. რუსთა ქვეითი ლაშქრიდან ერთ-ერთ ჯარისკაცს თავისი ცხენისათვის თივა მიჰქონდა, მივიდა მასთან ერთი იბერიელი და წაართვა იგი. მაშინ ამ რუსთან მეორე რუსმა მიირბინა დასახმარებლად. იბერიელმა თავის ამხანაგებს დაუძახა, რომლებმაც მოკლეს რუსი ჯარისკაცი. მთელი ლაშქარი საბრძოლველად აღსდგა. რუსთა ლაშქარი 6000 კაცისაგან შედგებოდა და შეიარაღებული იყო შუბებითა და ფარებით.

---

[198] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, 1948, გვ. 128.

[199] სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, დასახ. გამოცემა, გვ. 68.

[200] ი ქ ვ ე.

[201] ი ქ ვ ე.

ბასილ კეისარმა მაშინ სთხოვა ისინი რუსთა მეფეს, როდესაც მან თავისი და უკანასკნელს ცოლად მისცა[202]... ტაოს ყველა დიდებული და ვასალი მათ წინააღმდეგ გამოვიდნენ და დამარცხდნენ. იქ დაიხოცნენ: დიდი მთავართა-მთავარი პატრიკიოსი (...), ოჩოპენტრეს ორი შვილი — გაბრიელი და [illegible] ... [illegible] შვილიშვილი ჩორდვანელი და სხვა მრავალი"[203].

სტეფანოზ ტარონელის (ასოღიკის) გამგრძელებელი არისტარქე ლასტივერტელი ალბათ ასოღიკის ცნობებიდან გამომდინარე მოგვითხრობს: ტაოში მოსულ ბასილს ამ პროვინციის კეთილშობილთა ჯგუფის მებრძოლები შეხვდნენ. თითოეული მათგანი დიდად დაასაჩუქრა ბასილმა ტიტულით ან ხარისხით, მათი ღირსების მიხედვით. შემდეგ, — განაგრძობს არისტარქესი, — არ ვიცი რა მიზეზის გამო, ბრძოლა დაიწყო რუსებად წოდებულ დასავლეთის ლაშქარსა და კეთილშობილ რაზმს შორის. კეთილშობილთა რაზმიდან ამ ადგილზე ოცდაათი ყველაზე დიდებულთაგანი დაიხოცა[204].

აკად. ვ. ვასილევსკი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ თვის საბაბით ბრძოლის ატეხას რაღაც მიზეზი უნდა ჰქონოდა. იგი წერს: 989 წელს „ბარდა ფოკა, როგორც პსელოსიდან და თვით ასოღიკიდან ვიცით, ბერძენთა ძალებს გარდა, მისადმი ქართველთა თანაგრძნობას ეყრდნობოდა. ბრძოლაში, რომელშიც მისი ბედი წყდებოდა, ქართველთა ქვეითი ჯარი შეადგენდა მის საუკეთესო ლაშქარს... ასოღიკი, — განაგრძობს ვასილევსკი, — პირდაპირ ამტკიცებს, რომ ფოკამ, სამეფო ქალაქის — კონსტანტინეპოლის წინააღმდეგ საბერძნეთისა და იბერთა ლაშქრით დაიწყო ბრძოლა"[205].

---

[202] როდესაც ბარდა ფოკა აჯანყდა და მაკედონელთა დინასტიას დიდი საფრთხე შეუქმნა, გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა ბასილ კეისარმა კიევის მთავარს ვლადიმირ სვიატოსლავის ძეს დახმარება სთხოვა. უკანასკნელმა თხოვნის შესრულების ერთ-ერთ პირობად ბიზანტიის მეფის ასული (ბასილ მაკედონელის და) ცოლად მოითხოვა. კეისარს არ სურდა ვლადიმირის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება, ვინაიდან ბიზანტიის სამეფო კარი დაუშვებლად მიიჩნევდა „ბარბაროსებთან" დამოყვრებას. მაგრამ ბასილ მაკედონელს მეტი გამოსავალი არ ჰქონდა და თანხმობა განაცხადა.

[203] Всеобщая история, გვ. 200—201; შდრ. Труды В. Г. Василевского, I გვ. 200—201.

[204] Պատմութիւն Արիստակեայ Վարդապետի Լաստիվերտցւոյ. თბილისი, 1912, გვ. 4; შდრ. Труды В. Г. Василевского, I, გვ. 202.

[205] Труды В. Г. Василевского, I, გვ. 203.

ამასთანავე ვასილევსკი აღნიშნავს, რომ „ბარდა ფოკას მომხრე ქართველები 989 წელს უმთავრესად ახლად ორგანიზებულ რუსთა კორპუსის მიერ დაზარალდნენ“[206]. რუსებმა ბიზანტიის არმიაში ქართველების ადგილი დაიკავეს. ამის გამო ქართველები შეურაცხყოფილნი დარჩნენ. ეს უნდა ყოფილიყო ბრძოლის მიზეზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარი მოსაზრება აქვს გამოთქმული ამ საკითხზე პროფ. ი. ცინცაძეს. მისი განმარტებით, „სისხლისღვრა თვით ბერძნების ბანაკში მყოფ რუსებსა და ქართველებს შორის მოხდა, სახელდობრ ქართველი ჯარისკაცის მედიდურობით“[207]. მისივე მოსაზრებით, „რაკი ეს კონფლიქტი საქართველოს ბიზანტიასთან დამოკიდებულებაში იმ ხანად არაფერს არ ცვლიდა და იგი არც ამ სახელმწიფოების პოლიტიკური ურთიერთობის ნიადაგზე არ იყო წარმოშობილი“[208], შესაძლებელია ამიტომ არ შემოგვინახა ქართულმა ისტორიოგრაფიამ კონფლიქტის შესახებ ცნობებიო[209].

მართლაც ქართული წყაროები ერთ სიტყვასაც არ გადმოგვცემენ ამ სისხლისღვრის შესახებ. მაგრამ ვასილევსკის მოსაზრება ჩვენ მაინც ანგარიშგასაწევად მიგვაჩნია. ბრძოლას რაღაც მიზეზი უნდა ჰქონოდა და საბაბად შესაძლებელია უმნიშვნელო რამ გამხდარიყო. ვასილევსკი არ არის მართალი, როცა იგი ბრძოლის მიზეზს რუსებისადმი ქართველების უკმაყოფილებაში ეძებს. სინამდვილეში ეს მიზეზი ბიზანტიის აგრესიულ პოლიტიკაშია საძიებელი.

აღარაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ, როგორც ამას სამართლიანად აკად. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, რუს-ვარიაგები და ქართველები თანაბარი ხარისხის მოვლენას არ წარმოადგენდნენ ბიზანტიის ლაშქარში[210].

ისინი ისევე არ წარმოადგენდნენ თანაბარი ხარისხის მოვლენას ბიზანტიის ლაშქარში, როგორც ამ დროის ბიზანტია-საქართველოსა და ბიზანტია-რუსთა ურთიერთობა არ იყო თანაბარი ხასიათის. ბიზანტიაში რუსთა ლაშქარი ხან მოკავშირე ლაშქრის სახით იყო

---

[206] Труды В. Г. Василевского, I, გვ. 203.

[207] ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, 1956, გვ. 14.

[208] ი ქ ვ ე.

[209] ი ქ ვ ე.

[210] იხ. რეცენზია ი. ცინცაძის წიგნზე — ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI ს.ს.). მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1951, ნაკვეთი 29, გვ. 301—302.

წარმოდგენილი, ხან კი — დაქირავებული ლაშქრის სახით ტაღმასა თუ პროვინციაში. მონაწილეობდა აღმოსავლეთის, დასავლეთისა თუ ჩრდილოეთის ბრძოლებში. ბიზანტიელებისა და რუსების ურთიერთობის საფუძველი სულ სხვა იყო და ქართველებისა და ბიზანტიელებისა კი სულ სხვა. ამასთანავე ქართველები ჩრდილოეთისა (ბულგართა წინააღმდეგ) და დასავლეთის ფრონტებზე არ მონაწილეობდნენ ბიზანტიასთან ერთად მაშინდელ ბრძოლებში. ისინი მხოლოდ აღმოსავლეთის ფრონტზე იყვნენ ბიზანტიის მოკავშირეები საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რამდენადაც საქართველოს სამეფო-სამთავროები, ეს ფორმალური ვასალები, პოლიტიკურად უფრო ახლოს იყვნენ ბიზანტიასთან, ვიდრე რუსები, იმდენად აქ მხედართმთავრისა თუ პროვინციის მმართველის თანამდებობაზე ქართველთა ყოფნის ხშირი შემთხვევა გვაქვს.

ზოგიერთ ავტორს და მათ შორის ვ. ვასილევსკისაც, რომლის ძირითად მიზანს არ შეადგენდა საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობის შესწავლა, ზოგ შემთხვევაში სწორად არ აქვს წარმოდგენილი ეს საკითხი. ამის მიზეზი პირველ ყოვლისა რუსი მკვლევრებისათვის ქართული წყაროების მიუწვდომლობა უნდა იყოს. ძირითადად ბიზანტიურ წყაროებზე დაყრდნობით, მათ ხშირად საქართველო ბიზანტიის მოხარკედ ჰყავთ წარმოდგენილი, ხოლო ქართველობა — გაქირავებას მოწყურებული, ბიზანტიის იმპერიის ლაშქრის შემვსებად. ბიზანტიის მიერ მიტაცებული მიწა-წყლის ხარჯზე წარმოქმნილ იბერიის თემს დამოუკიდებელ საქართველოსთან აიგივებენ, რამაც არ შეიძლება გაუგებრობა არ გამოიწვიოს. ზოგიერთი მკვლევრის არასწორ შეხედულებას ამ საკითხზე ჩვენ ქვემოთ შევეხებით.

როგორც გავეცანით, ტაოში მოსულმა ბასილ კეისარმა „დაიპყრა... მამული დავით კურაპალატისა". გასაგებია, ქართველთა ბანაკი და პირველ რიგში გურგენი და ბაგრატი ძლიერ უკმაყოფილონი დარჩებოდნენ ბიზანტიის ხელისუფლების მოქმედებით. განა იმისათვის შეხვდნენ ისინი ბიზანტიის მბრძანებელს, რომ საკეისროს მიერ ტაოს მიწა-წყლის დაპყრობას დასწრებოდნენ? რა თქმა უნდა, შეხვედრას სულ სხვა მიზანი ჰქონდა, მაგრამ ეს არ გამართლდა და კეისრის მოქმედებას ბაგრატისა და გურგენის გულისწყრომა და ზიზღი უნდა გამოეწვია ბიზანტიის ხელისუფლებისადმი. მით უმეტეს, რომ ისტორიკოსი ბასილის მიერ დავით კურაპალატის ნაქონი მიწა-წყლის ნაწილის წაღებაზე კი არ ლაპა-

რაკობს, არამედ დავითის მთელ სამფლობელოს უნდა გულისგამ-ბდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღებას იპყრობს ისტორიკოსის ცნობა იმის შესახებ, რომ ორ ბანაკს შორის კონფლიქტი და სისხლისმღვრელი ბრძოლა აღუდგა მას შემდეგ, რაც კეისრის ვერაგული მიზნები უკვე გარკვეული იყო. ბრძოლა სწორედ გურგენისა და ბაგრატის უკან დაბრუნების დღეს მოხდა.

ტენდენციები, რომლებიც ამ დროს საქართველოს გაერთიანების სასარგებლოდ ვითარდებოდა, ბიზანტიის ხელისუფლებისათვის ცნობილი იყო. ამიტომ ყველა შესაძლებელ ღონისძიებას იხმარდა ის საქართველოს ცალკე პოლიტიკური ერთეულების მმართველთა შორის შუღლისა და მტრობის ჩამოსაგდებად. ამ გარემოებას სუმბატ დავითის ძის ზემოთ მოტანილი ცნობაც ადასტურებს. მაგრამ კეისრისა და მისი ხელისუფლების ასეთი მოქმედების მიზანს, ჩანს, ქართული პოლიტიკური წრეები და მათი წარმომადგენლები კარგად ამჩნევდნენ და მტრის ანკესზე ყოველთვის არ წამოეგებოდნენ. იგივე მემატიანის გადმოცემით, „გურგენ ჭეშმარიტი და მართალი იყო და ვერა აღძრა გული მისი ზაკჳთა ამით მიზეზთა და ვერა უძლო ღონის ძიებათა“[211].

ბიზანტიის მბრძანებლის ასეთ მოქმედებას სხვა მიზანიც ჰქონდა. მისთვის ახლა საქართველოს შედარებით ვრცელი ტერიტორიის მფლობელის, ბაგრატ გურგენის ძის დაერთგულებას უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე პატარა კუთხის, ჩრდილო ტაოს მმართველის გულის მოგებას, და ამიტომაც მისცა მან ბაგრატს კურაპალატის ტიტული. ამასთანავე ბიზანტიელთა მიერ დავით კურაპალატის სამფლობელოს მიტაცებით ბაგრატ III უფრო უკმაყოფილო უნდა ყოფილიყო კეისრისა, ვიდრე გურგენი. ბაგრატი, როგორც დავით კურაპალატის ნაშვილევი, უკანასკნელის მემკვიდრედ თვლიდა თავს. ამას ბიზანტიის ხელისუფლებაც კარგად ამჩნევდა და ვრცელი სამფლობელოს საფასურად ბაგრატს კურაპალატის ტიტულს აძლევდა.

ბიზანტიის მიერ სამხრეთი ტაოს სამეფოს მიტაცება ქართველთათვის დიდი დანაკლისი იყო და ამდენად, ცხადია, გარკვეულ პოლიტიკურ წრეებს ამ მოვლენისადმი თავისი დამოკიდებულება

---

[211] სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, დასახ. გამოცემა, გვ. 68.

უნდა გამოემჟღავნებინათ. ასოღიკის, არისტარქე ლასტივერტელისა და სუმბატ დავითის ძის ცნობებში დადასტურებული ფაქტი, 1001 წელს რუს და ქართველ ლაშქარს შორის სისხლისმღვრელი შეტაკების შესახებ, ბიზანტიის აგრესიით დაზარალებულ და შეწუხებულ ქართველთა მწარე პროტესტი იყო საკეისროს [illegible]

მემატიანეს ცნობა: ბასილ კეისარს „მიუცხეს... ციხენი აზნაურთა ამა დავითისათა", არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ აზნაურებმა, რომელთა ციხეები კეისარმა დაიკავა, სურვილით გადასცეს ისინი იმპერატორს. მოსვლისა და მხარის დაპყრობის ინიციატორი ბიზანტიის ხელისუფლება იყო და ის არავის მოუწვევია.

დავით კურაპალატის ბევრი ქვეშევრდომი სამხრეთი ტაოს აზნაურთაგან დავითის სიკვდილის შემდეგაც და, კერძოდ, 1001 წელს რომ ბიზანტიის მომხრე არ იყო, ამას სტეფანოზ ტარონელის (ასოღიკის) სხვა ცნობაც ადასტურებს: ტაოს მიტაცებისა და რუსთა და ქართველთა შორის სისხლისმღვრელი შეტაკების შემდეგ ბასილ კეისარმა თავისი ლაშქრით სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით განაგრძო გზა. მაგრამ ხლათისა და ბაგრევანდის მოელის შემდეგ ბიზანტიის მბრძანებელს ისევ ტაოში დასჭირდა მოსვლა. ჩანს, იქ საქმე ისე არ მოგვარდა, როგორც ეს ბიზანტიის მთავრობას სურდა, ტაოს აზნაურები განუდგნენ მას და ბასილ კეისარს ხელმეორედ ლაშქრობა დასჭირდა ამ მხარეში.

ბასილი ბაგრევანდიდან პირდაპირ ტაოს პროვინციის ქალაქ ოლთისში გამომგზავრებულა. ტაოში მოსულს დიდი ბრძოლა დასჭირდა და „დაიპყრა ყველა სიმაგრე, მიუვალი ადგილები და ჩააბარა ისინი ერთგულ პირებს"[212]. სტეფანოზ ტარონელის ეს ცნობაც აქვთ ალბათ მხედველობაში ბიზანტიის ისტორიის მკვლევრებს, როცა წერენ: «Некоторые из иверийских князей не захотели признавать завещания Давида, и Василий поспешил на Кавказ»[213].

ჩანს, ბიზანტიის ხელისუფლებისათვის ნაცადი გზა-ხერხით — გადაბირებითა თუ სხვა გზით — საკეისრომ მაინც იშოვა ტაოში მომხრეები, რაც ფეოდალური ურთიერთობის დროს სრულიად ბუნებრივია. დაშინებულმა კეისარმა, სამხრეთ ტაოში თავისი მდგო-

---

[212] Всеобщая история Степаноса Таронского (Асохика), გვ. 201.
[213] История Византии, II, 1967, გვ. 225.

მარეობის გასამტკიცებლად სხვა ღონისძიებებსაც მიმართავ და. ასოღიკის გადმოცემით, ყველა უნდო აზნაური „თვით წაიყვანა, ბა-თა ბერძენთა მიწაზე დაესახლებინა ისინი“[214]. ე. ი. მემატიანის მიერ აქ შედარებით ლმობიერად გამოთქმულ სიტყვებში ის შინ-არსია, რომ ბიზანტიის ხელისუფლებამ იძულებით ... წინააღმდეგ მებრძოლი მრავალი ტაოელი, მოაცილ... ლიურ მიწა-წყალს და უცხო ქვეყანაში გარეკა.

ქართველებს არ შეეძლოთ შერიგებოდნენ ამ დიდ დანაკლისს, და პირველ ყოვლისა ჩრდილო ტაოს მმართველი გურგენ ბაგრატის ძე ბაგრატიონი გამოეხმაურა მას. სტეფანოზ ტარონელის (ასოღიკი) გადმოცემით, ბიზანტიისადმი განაწყენებული გურგენ მეფე „მთელი თავისი ლაშქრით თავს დაესხა ტაოს ბხარეს (იგულისხმება ბიზანტიის მიერ მიტაცებული სამხრეთი ტაო — ვ. კ.) და ის დაიპ-ყრო. ალყა შემოარტყა უხტიკის (ოლთისი) პატარა სიმაგრეს, მაგ-რამ მცირეოდენი ზიანიც ვერ მიაყენა ვერც ამ ციხესა და ვერც სხვა რომელიმე სიმაგრეს. ამის გამო მთელი თავისი მხედრობა მამრუანის ველებზე გაიყვანა და იქ დაბანაკდა. ეს რომ მეფემ გაი-გო, უბრძანა კანიკლ მაგისტროსს, რომ ბერძენთა მთელი ლაშქრით გურგენის წინააღმდეგ წასულიყო. კანიკლი სომეხთა წელთაღრი-ცხვით 450 წელს (=1001) მოვიდა და ბასიანის მხარეში დაბანაკდა: ორივე მხარემ მთელი წელი დაჰყო იმ ადგილას. ზამთარი რომ დადგა, მაშინ კანიკლმა მოლაპარაკება დაიწყო გურგენთან. ამბო-ბენ, იმპერატორი დათანხმდა, რომ შეასრულებდა მის (გურგენის — ვ. კ.) სურვილებს“[215]. ამის შემდეგ ზავი შეუკრავთ და ორივე მხარე თავისი გზით წასულა.

ეს საინტერესო ცნობა გურგენის ლაშქრობის შედეგზე ვერ გვაძლევს გარკვეულ წარმოდგენას. ამ ცნობიდან არ ჩანს რაში გამოიხატა კეისრის მიერ გურგენის სურვილების დაკმაყოფილება.

სამხრეთი ტაოს დაკარგვით გამოწვეული დიდი დანაკლისის მიუხედავად, საქართველოს მმართველ წრეებს ჯერჯერობით არ შეეძლოთ ორგანიზაცია გაეკეთებინათ მთელი ძალებისათვის და ბრძოლა გაემართათ ბიზანტიის წინააღმდეგ. ჩრდილო ტაოს ხელი-სუფლება, რომელიც მარტო გამოეხმაურა სამხრეთი ტაოს დაკარ-გვის საკითხს, ვერ შეძლებდა აგრესორის უკუგდებას.

---

[214] Всеобщая история, გვ. 201.

[215] Всеобщая история, გვ. 201—202; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, 1948, გვ. 128—129.

ბაგრატ მესამის ხელისუფლებას, რომელიც ამ დროს საქართველოს გაერთიანებისათვის იბრძოდა, ჯერ თავისი [illegible] ელოს ახლო მოსაზღვრე ქართული თემების შემოერთების საკითხი უნდა გადაეჭრა. კახეთ-ჰერეთი და თბილისის [illegible] სამეფოს გარეთ იყვნენ და ახლა მას მოკავშირეები [illegible] ნენ. პირიქით, ისინი ბაგრატ მესამის ხელისუფლების გაძლიერებაში თავის საზიანო მოვლენას ხედავდნენ და მოსალოდნელია მათი მმართველები ხელისშემშლელის როლშიც კი გამოსულიყვნენ.

ასევე ითქმის არტანუჯის მმართველ ბაგრატიონების მიმართაც, რომელთაც საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლი ძალები უკვე კარზე მისდგომოდნენ და ვინ იცის, შესაძლებელია, დამოუკიდებლობის აღსასრულის მოახლოებას თვითონვე გრძნობდნენ. ასეთ ვითარებაში საქართველოს საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში მათი გულგრილობა მოსალოდნელი და ბუნებრივი იყო.

თუმცა ბიზანტიის იმპერიას ბულგართა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა ჯერჯერობით თავის სასარგებლოდ ვერ გადაეჭრა, მაგრამ შინაგანი შფოთი და აჯანყებანი მან დასძლია და შესაძლებლობა ჰქონდა ძირითადი ძალები საქართველოს წინააღმდეგ გამოეყენებინა. ამიტომ, ჯერ კიდევ გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესში მყოფ საქართველოს არ შეეძლო ბრძოლა გაემართა ბიზანტიისათვის. ასეთის შესაძლებლობას ის გიორგი პირველის მმართველობის დროს, XI საუკუნის მეორე ათეული წლების მეორე ნახევარში დაინახავს, როდესაც ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების მთელი ძალები და ყურადღება ჩრდილოეთით, ბულგართა წინააღმდეგ იქნება მიმართული.

*

* *

ტარონის დაპყრობამ საშუალება მისცა ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებას თანდათანობით გაევრცელებინა თავისი გავლენა მოსაზღვრე მაჰმადიან პოლიტიკურ ერთეულებზე. მაგრამ ამ დროს ყველაზე დიდი შენაძენი აღმოსავლეთის მიმართულებით ბიზანტიისათვის სამხრეთი ტაოს სამეფო იყო. ამ მხარეს უდიდესი ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა საკეისროსათვის. თუ ტარონის მიწა-წყლის დაპყრობით ბიზანტიამ სახალიფოსა და სომხეთის სამეფო სამთავროების წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნა პლაცდარმი, ტაოს სამეფოს ხელში ჩაგდებით ქართველთა მიწა-წყალზეც შემოდგა ფეხი და იმ დროის სომხეთის ორ ძლიერ

პოლიტიკურ ერთეულს, ანისისა და ვასპურაკანის სამეფოებსაც უშუალოდ დაემუქრა.

ეკონომიური და სტრატეგიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველოს არც ერთ მხარეს არ ჰქონდა ისეთი მნიშვნელობა ბიზანტიისათვის, როგორც სამხრეთი ტაოს სამეფოს. ამ მხარის ხელში ჩაგდება არა მარტო საქართველოსა და სომხეთის ექსპანსიისათვის უხსნიდა გზას ბიზანტიას, არამედ აღმოსავლეთის მიმართულებით ისტორიულად მტრულად განწყობილ პოლიტიკური ერთეულების წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო პირობებს უქმნიდა მას.

დავით კურაპალატის სამფლობელოს დაპყრობით ბიზანტიამ გზა გაიკაფა ვანის ტბის რაიონისაკენ, სადაც მრავალი და უდიდესი ეკონომიური ცენტრი და სამხედრო სტრატეგიული პუნქტი არსებობდა. ზოგიერთ ამ პუნქტზე შვილისადმი დატოვებულ ანდერძში კონსტანტინე პორფიროგენეტი წერდა: „თუ ეს სამი ციხე — ხლიატი, არზე და ბერკრი[216] მეფის (ე. ი. ბიზანტიის კეისრის — ვ. კ.) ფლობაში იქნება, სპარსთა ჯარი რომანიის წინააღმდეგ წამოსვლას ვერ შესძლებს, რადგან ისინი რომანიისა და არმენიის შუაში არიან და წარმოადგენენ ჯარებისათვის ღობესა და საფარსო“[217].

ბიზანტიის იმპერიის მუდმივსა და ბუნებრივ საზღვარს ვანის ტბის სანაპიროები არ წარმოადგენდა, მაგრამ საკეისროს მიერ აღმოსავლეოით წარმოებული აგრესია, ხშირად რომ წარმატებით მთავრდებოდა, უფლებას აძლევდა ბიზანტიის მბრძანებელს სტრატეგიულად მისთვის საჭირო ეს მხარე „რომანიისა და არმენიის“ სასაზღვრო რაიონად გამოეცხადებინა.

სამხრეთი ტაოს დაპყრობის შემდეგ ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებამ ახლად მიტაცებული მიწა-წყლის ხარჯზე, ე. წ. იბერიის თემი — საკატეპანო[218] დააარსა და იქ მმართველად თავისი

---

216 ბერკრი ვანის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე იყო.

217 გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 4, ნაკვ. II, 1952, გვ. 254.

218 როგორც აღნიშნული იყო, ზოგიერთი მკვლევარი (ვ. ვასილევსკი, თ. უსპენსკი, მ. ლევჩენკო და სხვ.) ხშირად იბერიის თემს დამოუკიდებელ საქართველოსთან აიგივებს და უკანასკნელი ბიზანტიის მოხელის ხელქვეით, საკეისროს მოხარკე ქვეყნად ჰყავს წარმოდგენილი. ეს საკითხი, როგორც ქვემოთ გავეცნობით, ბიზანტიის ისტორიის ზოგიერთ თანამედროვე მკვლევარსაც ასე ესმის.

იბერიის მიერ ბიზანტიის მიმართ გარკვეულ მოვალეობაზე იმის შემდეგ არის საუბარი წყაროებში, როდესაც ბიზანტიამ დავით კურაპალატის სამფლო-

მოხელე დანიშნა. საკეისროს მიერ ამ შენაძენის შესახებ კარლ მარქსი წერდა: «Василий II обеспечивает северную границу Малой Азии присоединением Кавказской горной страны Иверии»[219].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთვის საინტერესო დროის მონაკვეთში ბიზანტიის იმპერიაში თემის უფროსები სტრატეგოსის, დუკისა ან კატეპანის პატივს ატარებდნენ. დუკისა ან კატეპანის პატივის მატარებელი პირი ამავე დროს სტრატეგოსის წოდების მქონებელი იყო, მაგრამ ყველა სტრატეგოსს დუკისა ან კატეპანის პატივის ტარების უფლება არ ჰქონდა. სტრატეგოსთაგან მხოლოდ ზოგიერთი იყო დუკი ან კატეპანი, კერძოდ ის, რომელსაც, შედარებით სხვასთან, განსხვავებული მდგომარეობა ეკავა[220].

სტრატეგოსთან შედარებით დუკისა ან კატეპანის ეს უპირატესობა იმით იყო გაპირობებული, რომ პირველის ფუნქცია უმთავრესად სამოქალაქო ხასიათის იყო, ხოლო უკანასკნელის — სამხედრო[221], ისე როგორც დუკისა და კატეპანის, სტრატეგოსის კომპეტენციაში სამხედრო ხელმძღვანელობაც შედიოდა, მაგრამ რამდენადაც დუკისა და კატეპანის პატივით განაპირა თემების მმართველები იყვნენ აღჭურვილი, მათი ძირითადი მოვალეობა სამხედრო ხელმძღვანელობა იყო, ხოლო სტრატეგოსისა, როგორც შიდა თემის მმართველის — სამოქალაქო[222]. ამიტომ იყო, რომ სადუკატოები და საკატეპანოები, როგორც განაპირა თემები და სტრატეგიუ-

---

ბელო დაიპყრო და იბერიის თემი, საკატეპანო შექმნა. ერთადერთი ცნობა, სადაც უფრო ადრეა ლაპარაკი იბერიელთა მიერ ბიზანტიის სასარგებლოდ ხარკის გადახდაზე, ეს არის სტეფანოზ ტარონელის ცნობა, სადაც ნათქვამია: იოანე ციმისხის (969—976) ნებაყოფლობით დამორჩილდნენ და მის სასარგებლოდ ხარკი იკისრეს სამხრეთით საამიროებმა, ჩრდილოეთით სარმატებმა და აღმოსავლეთით იბერიელებმაო (Всеобщая история, დასახ. გამოცემა, გვ. 128). მაგრამ სხვა წყაროებით ეს ცნობა არ დასტურდება, არსად არ არის საუბარი ხარკის შესახებ. არაბთა ბატონობის ხანაში და მის მომდევნო წლებშიც საქართველოს ცალკეული პოლიტიკური ერთეულების ურთიერთობა ბიზანტიასთან ისეთ ხასიათს ატარებდა, რომ არც შეიძლებოდა ხარკზე ყოფილიყო ლაპარაკი.

[219] Архив Маркса и Энгельса, т. V, 1948, გვ. 43.

[220] Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI в., 1884, გვ. 187.

[221] იქვე.

[222] იქვე, გვ. 188.

ლი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი, შიდა, ჩვეულებრივ თემებზე უფრო მაღლა იდგნენ[223].

აღნიშნულიდან გამომდინარე გასაგებია, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბიზანტიის ხელისუფლება სამხრეთი ტაოს ყოფილი სამეფოს მიწა-წყლის ხარჯზე შექმნილ ებერის თემს, რომლის მმართველი კატეპანის პატივით იყო აღჭურვილი.

იბერიის თემი — საკატეპანო გახდება შემდეგ იმ სამხედრო ძალების შტაბი, რომელსაც ბიზანტიის იმპერია სომხეთის პოლიტიკური ერთეულების დასაპყრობად და საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებდა.

როდესაც ბიზანტიის იმპერიის მიერ სამხრეთი ტაოს მიტაცებაზე ვსაუბრობთ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის ვრცელი მიწა-წყალი, რომელიც, დავით მესამის მამულობით სამფლობელოსთან ერთად, 979 წელს მიღებული ვრცელი ოლქებისაგან შედგებოდა. ამდენად მას უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობაც ჰქონდა ბიზანტიის იმპერიისათვის. თუ ბრძოლაში მონაწილეობის შედეგად მიღებული ოლქები, ეკონომიური თვალსაზრისით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სამხრეთი ტაოს ხელისუფლებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე იყო, ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა მათ ბიზანტიის იმპერიისათვისაც. იმ უდიდესი სავაჭრო გზის თანდათანობით დაუფლებას, რომელიც სახალიფოდან წამოსული სომხეთისა და ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა მიწა-წყალზე გავლით ტრაპიზონში მიემართებოდა, დიდი ეკონომიური შემოსავალი შეეძლო გაეჩინა ბიზანტიის სამეფო სალაროსათვის. ამ გზაზე ხომ არაერთი მნიშვნელოვანი ქალაქი და სავაჭრო ცენტრი იყო.

*

* *

XI საუკუნის დასაწყისიდან ახალი ხანა იწყება ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობაში, რომელიც X საუკუნის მეორე ნახევარში შემზადდა.

იმ დროს, როდესაც ბიზანტიის იმპერიაში დაუსრულებელი შინაგანი და საგარეო შფოთი და ბრძოლა წარმოებდა, იმპერიის შინაგან პოლიტიკურ ბრძოლებში ტაო-კლარჯეთი ხშირად აქტიურად ერეოდა, საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლი სო-

---

[223] Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI в., 1884, გვ. 193.

ციალური ძალები წარმატებით იბრძოდნენ ქვეყნის გაერთიანებისა და ერთიანი, ცენტრალური ხელისუფლების შექმნისათვის.

X საუკუნის 70-იანი წლების დასასრულიდან საქართველო აღარ იყო ის, რაც 975 წლამდე. თუ წინათ აფხაზთა მეფეები ან სამეფო ტახტის პრეტენდენტები თვით აძლევდნენ ხშირად საუბალებას ბიზანტიას აფხაზთა სამეფოს შინაგან საქმეებში ჩარევისას (გავიხსენოთ ბიზანტიის კეისრის მიერ აფხაზთა სამეფო ტახტის პრეტენდენტის ბაგრატ დემეტრეს ძის გამოგზავნა, ამ უკანასკნელის მიერ ადარნასე იოანეს ძის მოკვლა და აფხაზთა სამეფო ტახტის ხელში ჩაგდება; თეოდოსის გამოგზავნა თავისი ძმის, დემეტრე ლეონის ძის წინააღმდეგ და სხვ.), ამიერიდან მდგომარეობა იცვლება.

ქვეყნის ეკონომიური დაწინაურების საფუძველზე წარმოშობილი პირობები და სოციალური ძალები, როგორც განვითარების ობიექტური გამოვლინება, შინაგანი პოლიტიკური და ეკონომიური გათიშულობის მოსპობის აუცილებლობის საკითხს სვამდნენ. ეს ტენდენციები და ქვეყნის შემდგომი ეკონომიური აღმავლობის საჭიროება ცენტრალიზაციის სრულყოფას მოითხოვდა, რომლის განხორციელება, სამშობლოს თავდაცვის საქმესაც დიდად ემსახურებოდა.

ბაგრატ III გამეფების პირველ წლებში შიდა ქართლის, დასავლეთ საქართველოსა და სამხრეთ საქართველოს ნაწილის ბაგრატიონთა ერთი წარმომადგენლის მფლობელობის ქვეშ გაერთიანება დიდი გარდატეხის წერტილი იყო გაერთიანებისათვის ხანგრძლივ ბრძოლაში. „ეს გაერთიანება პრინციპულად განსხვავდებოდა ყველა იმ სამხედრო და პოლიტიკური კავშირებისაგან, რომელთაც ხშირად ვხვდებით VIII—IX საუკუნეების მანძილზე საერთო მტრებისა თუ ურთიერთშორის წარმოებული ბრძოლების დროს"[224]. კონსტანტინე აფხაზთა მეფის, გიორგისა თუ ლეონ გიორგის ძის მიერ აღმოსავლეთის მიმართულებით წარმოებული შეტევა ძლიერი რეაქციის შედეგად საბოლოო მიზანს ვერ აღწევდა.

მართალია, X საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს მნიშვნელოვანი რაიონების გაერთიანება ბაგრატ III ხელქვეით დიდი ნაბიჯი იყო საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი იყო გასაკეთებელი. რეაქციულად განწყობილი ელემენტები დამარცხებული არ იყვნენ და ხშირად უწყობდნენ

---

[224] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, 1963, გვ. 5.

ხელს ბიზანტიას საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ წინა პერიოდთან შედარებით ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობაში მდგომარეობა არსებითად მაინც შეიცვალა; ბიზანტიას ცალკეულ სამეფო-სამთავროებთან კი აღარ ჰქონდა [illegible] XI საუკუნის დამდეგიდან ძირითადად გაერთიანებ[illegible] ცე მონარქიული ხელისუფლების დამყარების ტენდენციების მქონე ქვეყანასთან, რომელიც გარეპოლიტიკური ძალის, კერძოდ, ბიზანტიის ფორმალურ სიუზერენობასაც ველარ ეგუებოდა.

ჩრდილო ტაოს მმართველის, გურგენ ბაგრატიონის მიერ დაწყებული ბრძოლის შეწყვეტით არ დამთავრებულა ბიზანტიის მიერ მიტაცებული, სამხრეთი ტაოს მიწა-წყლის დაბრუნებისათვის ბრძოლა. არ შეიძლებოდა აგრესორის ამ მიღწევას ქართველი ხალხი შერიგებოდა და ეს უკანასკნელი თავისი მმართველი წრეებისაგან წართმეულის დასაბრუნებლად ბრძოლის ორგანიზაციას მოითხოვდა. მაგრამ ბაგრატ მესამემ თავის სიცოცხლეში ვერ მოასწრო ბრძოლის განახლება. ჯერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეები უნდა შემოეერთებინა მას, კერძოდ, ჩრდილო ტაოსა და არტანუჯის მმართველი ბაგრატიონების მიწა-წყალი უნდა გამხდარიყო მისი სამეფოს უცილობელი ნაწილი, რომლითაც ის უშუალოდ სამხრეთი ტაოს ყოფილი სამეფოს მიწა-წყალს მიადგებოდა.

ჩრდილო ტაოს შემოერთება, გურგენ ბაგრატის ძის გარდაცვალების შემდეგ, 1008 წელს გახდა მხოლოდ შესაძლებელი. ამის შემდეგ ჰერეთ-კახეთი დაიმორჩილა ბაგრატის ხელისუფლებამ და უკანასკნელად, 1011—1012 წლებში, ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს სამფლობელოს დაეუფლა ის. ყველა ეს ღონისძიება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩრდილო ტაოს, რომელიც უბრძოლველად უნდა გადასულიყო ბაგრატის განკარგულებაში, დიდ ბრძოლებსა და ღონისძიებებს მოითხოვდა, რომლის წარმატებით გადაჭრის გარეშე, საგარეო მტრის, ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება სამხრეთი ტაოს მიწა-წყლის დაბრუნებისათვის შეუძლებელი და მიზანშეუწონელი იქნებოდა.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ, როდესაც ბაგრატ მესამემ თავისი თანამემამულეების, კლარჯეთის მფლობელ ბაგრატიონების მიმართ უკიდურეს ღონისძიებას მიმართა, მათი ორი წარმომადგენელი ბაგრატ სუმბატის ძე და დემეტრე გურგენის ძე ბიზანტიის ხელისუფლებასთან ეძებენ თავშესაფარს და უკანასკნელიც სიამოვნებით მიიღებს მათ[225].

---

[225] სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, დასახ. გამოცემა, გვ. 69.

ბაგრატის მიერ განდევნილთა და ბიზანტიის ხელისუფლების კავშირურთიერთობა საქართველოს გაერთიანება-გაძლიერების წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებით იყო გაპირობებული. საქართველოს გაძლიერებაში რომ ბიზანტია თავის საზიანოს ხედავდა, ეს სუმბატ დავითის ძის სხვა ცნობიდანაც ჩანს. სუმბატ ამ დროის საქართველოს სიძლიერეს ალეგორიულად ბაგრატის პიროვნების ყოვლისშემძლეობაში გამოხატავს და აღნიშნავს, რომ ბაგრატმა „მეფე სპარსთა თჳს მეგობრად და ერდგულყო სიბრძნითა თჳსითა უფროს სახლეულთა თჳსთასა, და რამეთუ ბერძენთა მეფესაცა შიში აქუნდა ამის ყოვლადვე"[226].

რატომ ეშინოდა ბიზანტიის მბრძანებელს? ბიზანტიის ტერიტორიაზე საქართველოს შეჭრა მოსალოდნელი არ იყო და არც საკეისრო იფიქრებდა ამას. თუმცა, საქართველოს გაძლიერება უკანასკნელის მიმართ ბიზანტიის მომავალ აგრესიულ გეგმებს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ამ დროს ერთადერთი, რომელიც შიშის საფუძველს უქმნიდა ბიზანტიას, სამხრეთი ტაოს სამეფოს მიწა-წყლისათვის ქართველთა გულისტკივილი უნდა ყოფილიყო.

საქართველოს ხელისუფლება სათანადო მომენტს უცდიდა, მისი ყოველი ნაბიჯი, ქვეყნის გაერთიანება-გაძლიერებისაკენ მიმართული, სამხრეთი ტაოს ყოფილი სამეფოს მიწა-წყლის დაბრუნებისათვის ბრძოლის დაწყებას აახლოებდა, ეს ბიზანტიის ხელისუფლებას კარგად ესმოდა და სწორედ ამიტომ „შიში აქუნდა" მას.

ფაქტის წინაშე მყოფ ბიზანტიის ხელისუფლებას არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია მზარდი საქართველოსათვის. მან თავიდანვე ქართველი მეფეების გადაბირება-დაერთგულების და მათ მიმართ წამახალისებელი ღონისძიების კურსი აიღო და ბაგრატ მესამესაც კურაპალატობა უბოძა. მაგრამ ამავე დროს ბაგრატის ხელისუფლების გაძლიერებას ხელს უშლიდა და საქართველოს ერთიანობა-გაძლიერების მოწინააღმდეგე ძალებს თავშესაფარს აძლევდა. გაერთიანების პროცესში მყოფი საქართველო, დღეს თუ ხვალ ერთ ძლიერ სამეფოდ წარმოქმნილი, ბიზანტიის იმპერიას უნდა დაპირისპირებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს ერთ ფეოდალურ სახელმწიფოდ გადაქცევისათვის ბრძოლა შეუფერხებლად როდი მიმდინარეობდა.

---

[226] სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, დასახ. გამოცემა, გვ. 68.

§ 4. ბრძოლის განახლება სამხრეთი ტაოს გასათავისუფლებლად. გიორგი I

ბაგრატ მესამის მეფობის დროს, 1014 წლამდე, საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლმა ძალებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ერთიან ფეოდალურ სამეფოში მოექცა საქართველოს ... წა-წყალი თბილისის საამიროსა და ზოგიერთი სხვა რაიონის გამოკლებით, მაგრამ ერთმეფობის მოწინააღმდეგე ძალები საბოლოოდ დამარცხებული არ იყვნენ და დამოუკიდებლობის აღსადგენად ყოველგვარი შემთხვევის გამოყენებას ცდილობდნენ.

ბაგრატ მესამის გარდაცვალების შემდეგ, 1014 წელს, 16 წლის ახალგაზრდა, გიორგი პირველი გამეფდა. სეპარატიზმის მომხრე და ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე ძალები შეეცადნენ ხელისუფლების სათავეში მყოფი პირის მცირეწლოვანება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ და დაუყოვნებლივ დაიწყეს ბრძოლა მიზნის მისაღწევად. სუმბატ დავითის ძე გადმოგვცემს, რომ „დაჯდა რა ესე გიორგი მეფედ, განუდგა ამას ქუეყანა ჰერეთ-კახეთისა, და ღადრობითა აზნაურთა“[227] შეიპყრეს ერთიანი საქართველოს მეფის ხელისუფლების მომხრე ერისთავები, ხოლო ჰერეთსა და კახეთს „კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი“[228].

ამრიგად, 1010 წელს შემოერთებული ჰერეთ-კახეთი აზნაურთა წყალობით საქართველოს სამეფოს ისევ ჩამოსცილდა და დამოუკიდებლობა მოიპოვა. გიორგის ხელისუფლების პირველი საზრუნავი ჰერეთ-კახეთის დაბრუნება უნდა ყოფილიყო, მაგრამ მან მთელი თავისი ენერგია სამხრეთი ტაოს მიწა-წყლის დაბრუნებისათვის ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლას მოანდომა და სიცოცხლე ისე დაამთავრა, რომ საქართველოს სამეფო ხელისუფლებას კახეთ-ჰერეთის შემოსაერთებლად ზრუნვა არ დაუწყია.

1001 წელს, დავით კურაპალატის სამფლობელოს მიტაცების შემდეგ, ბიზანტიის იმპერიამ კვლავ განაახლა ბრძოლა ბულგართა წინააღმდეგ და მთელი ყურადღება ამიერიდან იქით გადაიტანა. ბრძოლამ ხანგრძლივი და მწვავე ხასიათი მიიღო. თანმიმდევრულ ბრძოლაში მოგების სასწორი თანდათან ბიზანტიისაკენ იხრებოდა. 1014 წელს ბულგართა ლაშქარმა უდიდესი მარცხი განიცადა. მტერმა მრავალრიცხოვანი ტყვე ჩაიგდო ხელში. ბასილ კეისრის განკარგულებით ყველას თვალები დასთხარეს, ას კაცზე ერთი ცალ-

---

[227] სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, დასახ. გამოცემა, გვ. 69.

[228] იქვე.

თვალა დატოვეს, რომელთა საშუალებით თვალებდათხრილი ათასეულები ბულგართა განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურს სამოელს გაუგზავნეს[229]. ამ ვერაგული მოქმედების შედეგად ბასილმა ძიელო სამარცხვინო ზედმეტსახელი — „ბულგართა მმუსვრელი". — მიუხედავად ამისა, ბულგარელ ხალხს ბრძოლაზე ხელი ადგილ, არ აუღია, რომელიც კიდევ 4 წელს გაგრძელდა.

ბულგარელი ხალხის ხანგრძლივსა და ძლიერ წინააღმდეგობას ბიზანტიის მიმართ არ შეიძლებოდა აღმოსავლეთში ბიზანტიის მოწინააღმდეგე ქვეყნები არ წაეხალისებინა. ჩანს, საქართველოს მთავრობამაც გადაწყვიტა ესარგებლა ბიზანტიის ამ მოუცლელობით და ბრძოლა დაეწყო ტაოს მიწა-წყლის გასათავისუფლებლად. მაგრამ, როგორც ქვემოთ გავეცნობით, მარტო საქართველო როდი იყო ამ დროს დაინტერესებული ტაოს მიწა-წყლიდან ბიზანტიის განდევნით. ამ მხარის განთავისუფლება სომეხთა სამეფო-სამთავროების ინტერესებშიც შედიოდა და ისინიც ქართველებს ამოუდგნენ მხარში ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

არაბი ისტორიკოსი იაჰია ანტიოქელი გადმოგვცემს, რომ „როდესაც ბასილი ბულგარებს ეომებოდა, ენერგიულად იბრძოდა მის წინააღმდეგ აფხაზთა მეფე გიორგი, რომელსაც სურდა ზიანი მიეყენებინა მისი (გიორგის — ვ. კ.) სამფლობელოს მოსაზღვრე ბიზანტიის რაიონებისათვის. გიორგიმ დაიპყრო ყველა ის ციხე, რომელიც დავით კურაპალატმა კეისარს დაუთმო"[230].

საქართველოს პოლიტიკური წრეების იმედი იმის შესახებ, რომ ისარგებლებდნენ ბიზანტიის მოუცლელობით და გაათავისუფლებდნენ ტაოს, არ გამართლდა. ბიზანტიამ 1018 წელს შეძლო წელში გაეტეხა ბულგართა წინააღმდეგობა[231].

კონსტანტინეპოლში დაბრუნებულმა გამარჯვებულმა კეისარმა წინადადება მისცა გიორგი მეფეს, რათა დაუყოვნებლივ დაეცალა მას მის მიერ დაკავებული ტაოს მიწა-წყალი და ციხე-სიმაგრეები.

სომეხი ისტორიკოსის, არისტარქე ლასტივერტელის ცნობები-

---

[229] История Болгарии, დასახ. გამოცემა, გვ. 96.

[230] В. Розен, გვ. 51. ამ ცნობაში ის ადგილები და ციხე-სიმაგრეები იგულისხმება გიორგის მიერ დაპყრობილად, რომლებიც მამულობით ეკუთვნოდა დავით კურაპალატს და არა ის, რომელიც 979 წელს მიიღო.

[231] Պատմութիւն, დასახ. გამოცემა, გვ. 7.

დან ჩანს, რომ ტაოელები, რომლებიც 1001 წელს კეისრისაგან ბა-
ბა-გადასახლებას გადაურჩნენ, ენერგიულად იბრძოდნენ ბიზან-
ტიის ბატონობისაგან ტაოს გასათავისუფლებლად. არისტარქესი
გადმოგვცემს, რომ ბულგართა წინააღმდეგ ბრძოლიდან დაბრუნე-
ბულმა თვითმპყრობელმა ბასილმა ეპისტოლე გაუგზავნა გიორგი
მეფეს და მისწერა, რომ დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ის, რაც
ბასილმა დავით კურაპალატის მამულიდან გიორგის მამას, ბაგრატს
აჩუქა და მხოლოდ თავისი მამულით დაკმაყოფილებულიყო. მაგ-
რამ გიორგიმ კეისრის წინადადება არ შეიწყნარა და ამაყად უპა-
სუხა, რომ „რასაც მამაჩემი ფლობდა, იმისაგან ერთ სახლსაც არა-
ვის მივცემო". ამ პასუხით განრისხებულმა ბიზანტიის მბრძანებელ-
მა ლაშქარი გაგზავნა ქართველთა წინააღმდეგ და დაავალა მას,
რათა ძალით დაეპყრო სადავო ქვეყანა, მაგრამ, — განაგრძობს არის-
ტარქესი, — ბიზანტიელთა წინააღმდეგ მამაცი ტაოელნი გამოვიდ-
ნენ და ბრძოლიდან, რომელიც უხტიგის (ოლთისის) ახლოს მოხდა,
რომაელთა ლაშქარი გააქციესო[232].

ამ ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ ტაოელებმა, გიორგის ლაშ-
ქართან ერთად, აქტიური ბრძოლა გააჩაღეს ბიზანტიელთა წინააღ-
მდეგ, რომლის შედეგად კეისრის პირველმა ცდამ, განედევნა ტაო-
დან გიორგის ლაშქარი, მარცხი განიცადა. მაგრამ არისტარქესის
მიერ გადმოცემული გიორგის სიტყვები, „რასაც მამაჩემი ფლო-
ბდა, იმისაგან ერთ სახლსაც არავის მივცემო", გაუგებარია. გამო-
დის, რომ გიორგი I თითქოს მარტო იმ მიწა-წყლის შენარჩუნე-
ბისათვის იბრძოდა, რომელიც 1001 წელს ბასილმა დავით კურა-
პალატის სამფლობელოდან ბაგრატ III „დაუთმო".

არისტარქე ლასტივერტელის ზემოთ მოტანილი ცნობიდან გა-
რკვევით ჩანს, რომ ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლება ახლა იმა-
ზე მეტს მოითხოვს გიორგი ქართველთა მეფისაგან, რაც ბიზან-
ტიამ 1001 წელს მიიტაცა. რომელ მიწა-წყალს უნდა გულისხმო-
ბდეს ბიზანტიის კეისარი მის მიერ ბაგრატისათვის ნაჩუქრად, ახ-
ლა რომ ისევ მოითხოვს? სამხრეთი ტაო და მისი სამხრეთი თუ
სამხრეთ-აღმოსავლეთ-დასავლეთი რაიონები, დავითს რომ ეკუთ-
ვნოდა, 1001 წელს მიიტაცა ბასილმა და აქედან ბაგრატისათვის
არაფერი „დაუთმია". აქ ერთადერთი შეიძლება ის მიწა-წყალი
იგულისხმებოდეს, რომელიც კლარჯეთისა და ჩრდილო ტაოს მმა-
თველ ბაგრატიონების სამფლობელოს ფარგლებში იყო და წინათ
სამხრეთი ტაოს მბრძანებელს ეკუთვნოდა.

---

232 Պատմութիւն, დასახ. გამოცემა, გვ. 7.

თუ ეს ასეა, იმპერატორის ამ მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში, ბიზანტია საქართველოს სამეფოს სიღრმეში შეიჭრებოდა. ეს კი პოლიტიკურად მეტად სახიფათო იყო და საქართველოს მთავრობა, რა თქმა უნდა, ამ დათმობაზე არ წავიდოდა. მეტიმ კეისარმა უარი მიიღო არა მარტო არისტარეს ელჩობის ცნობაში აღნიშნულ მიწა-წყლის განთავისუფლებაზე, არამედ იმაზედაც, რომელიც უკვე მიტაცებული ჰქონდა ბიზანტიას და ახლა ქართველებმა დაიკავეს.

რა ძალებს ეყრდნობოდა, რისი იმედი ჰქონდა საქართველოს ხელისუფლებას, როცა ძლიერი ბიზანტიის იმპერიის წინაშე ქედი არ მოიხარა და დათმობაზე არ წავიდა? სხვას რომ თავი გავანებოთ, ჰერეთ-კახეთიც აღარ ემორჩილებოდა ამ დროს გიორგი პირველს. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ჯერ ტარონის დამოუკიდებლობის მოსპობით, ხოლო შემდეგ სამხრეთი ტაოს სამეფოს მიწა-წყლის მიტაცებით ბიზანტიამ უშუალო საფრთხის წინაშე დააყენა სომხეთის სამეფო-სამთავროები. ამიტომ ყოველგვარი მოძრაობა, რომელიც ხელს შეუშლიდა ბიზანტიას აღმოსავლეთის, კერძოდ, სომხეთის მოსაზღვრე რაიონების ექსპანსიის საქმეში, სომხეთის პოლიტიკური ერთეულებისათვის ხელსაყრელი იყო და, გასაგებია, ისინი ასეთ მოძრაობას აქტიურად დაეხმარებოდნენ.

როგორც ქვემოთ გავეცნობით, სომხეთის გარკვეული პოლიტიკური ერთეულები, კერძოდ კი ანისის სამეფო, საქართველოს მოკავშირეები იყვნენ ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში და მეზობელი ხალხის ამ მხარდაჭერას მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა ქართველებისათვის. ამასთანავე, როგორც წყაროებიდან ჩანს, საქართველოს მთავრობას წინასწარ ჰქონდა გათვალისწინებული ის, თუ როგორ უნდა გამოეყენებინა მას ბიზანტიის გარე-პოლიტიკური მდგომარეობა, კერძოდ, ჩანს, იმედს ამყარებდა იმაზე, რომ ბიზანტიასთან ბრძოლის დაწყების შემთხვევაში მას მხარს დაუჭერდნენ საკეისროსადმი მტრულად განწყობილი აღმოსავლეთის მაჰმადიანური პოლიტიკური ერთეულებიც.

იაჰია ანტიოქელის გადმოცემით, როცა გიორგი მეფეს კეისარმა წინადადება მისცა მიწა-წყლისა და ციხე-სიმაგრეების დაცლის შესახებ, გიორგიმ არამცთუ განკარგულება არ შეასრულა, ქედი არ მოიხარა და კეისარს შენდობა არ სთხოვა, მან ეგვიპტის ხალიფასთან ალ-ჰაქიმთან დაიწყო საიდუმლო მოლაპარაკება. წინადადებას აძლევდა, რომ ორივე მხარე თავიანთი ქვეყნებიდან შესეოდა ბიზა-

ნტიის მიწა-წყალს[233]. გიორგის ეს ტაქტიკური გეგმა კარგად [illegible] ფიქრებული იყო და მის განხორციელებას მართლაც შეეძლო ბიზანტიის იმპერია უდიდეს საფრთხეში ჩაეგდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ-ჰაქიმი ბიზანტიის იმპერიასთან მტრულ დამოკიდებულებაში იყო[234], ჩანს, სომეხ-ქართველთა ერთიანობა და ალ-ჰაქიმის [illegible] ორგი მეფის საიდუმლო მოლაპარაკების შინაარსი ცნობილი გახდა ბიზანტიის ხელისუფლებისათვის და ის, პირველი მარცხის შემდეგ, დაუყოვნებლივ შეუდგა სამზადისს გადამწყვეტი ომისათვის. მაგრამ, თვალის ახვევის მიზნით, ბასილ კეისარმა სირიაში ლაშქრობა გამოაცხადა და განკარგულება გასცა, რომ ანტიოქიაში სურსათი, ფურაჟი და იარაღი გაეგზავნათ, მზადების ნამდვილი მიზანი არ გაამჟღავნა.

ბასილი საქართველოს წინააღმდეგ გამოლაშქრების თავის განზრახვას და ომისათვის მზადების ნამდვილ მიზანს ისეთი კონსპირაციული წესით ინახავდა, რომ „ყველანი დარწმუნებული იყვნენ, რომ ბერძენთა მეფე მართლაც ასურეთს მიემგზავრებოდა, მაგრამ სწორედ უკანასკნელ დროს პირი საქართველოსაკენ იბრუნა და გიორგი მეფის წინააღმდეგ გამოილაშქრა“[235].

იაჰია ანტიოქელის გადმოცემით, 1021 წელს, ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ბასილ კეისარი ფილომიდიაში იმყოფებოდა, ალ-ჰაქიმი გარდაიცვალა[236]. შესაძლებელია ეს გარემოებაც იყო იმის მიზეზი, რომ ეგვიპტის ხალიფასთან საქართველოს მთავრობის სამხედრო კავშირი სინამდვილეში აღარ განხორციელდა. ბიზანტიის მბრძანებელმა დაუყოვნებლივ დაძრა თავისი ლაშქარი საქართველოს წინააღმდეგ.

ბიზანტიის ხელისუფლების ასეთმა მოქმედებამ და თვალის ამხვევმა პოლიტიკამ, ჩანს, ნაყოფი გამოიღო, საქართველოს მთავრობის ყურადღება შეანელა და კარზე მომდგარ მტერს ის სათანადოდ მომზადებული ვერ დახვდა. მართალია, საქართველოს ლაშქარს ბიზანტიის მიერ მინატაცები გარკვეული ადგილები და ციხე-სიმაგრეები უკვე დაკავებული ჰქონდა, მაგრამ აქ მყოფი ქართველი მეციხოვნე ლაშქარი, ბიზანტიის იმპერიის მრავალრიცხოვან ლაშქარ-

---

[233] История Византии, II, 1967, გვ. 225.

[234] В. Розен, გვ. 61; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 132.

[235] В. Розен, გვ. 62; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, II, გვ. 132.

[236] იქვე.

თან შედარებით, მცირე იყო და სასწრაფოდ საჭირო გახდა ძალთა მობილიზაცია.

„ქართლის მატიანის“ ავტორის გადმოცემით, „ამბავი ბასილი, მეფე ბერძენთა... ყოვლითა სპითა საბერძნეთისა და უცხოთესლითა ურიცხჳთა“[237]. იაჰია ანტიოქელი მოგვითხრობს, რომ, როდესაც გიორგიმ გაიგო ბასილის საქართველოსაკენ წამოსვლის ამბავი, სასწრაფოდ შეკრიბა თავისი ლაშქარი და სხვებიც მოიწვია, ვისი მოწვევაც შესაძლებელი იყო. ამ ლაშქრით გავიდა თავის საფლობელოს განაპირა მხარეში და სურვილი ჰქონდა ბიზანტიის იმპერატორთან ბრძოლისა[238].

აღნიშნულ ცნობას „ქართლის მატიანის“ ავტორიც ადასტურებს. მისი გადმოცემით, როცა გიორგიმ კეისრის წამოსვლის ამბავი გაიგო „განვიდა სპითა დიდითა წინააღდგომად მისა და დაიბანაკეს ორთავე ქუეყანასა ბასიანისასა მრავალდღე და არა მიმართეს ბრძოლად ურთიერთას“[239].

საქართველოს ლაშქრის სარდლობამ, როდესაც შეამოწმა ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების ლაშქრის რაოდენობა და სიძლიერე, ბრძოლის დაწყება მიზანშეუწონლად ჩათვალა და უკან დახევის გადაწყვეტილება მიიღო. ამ გარემოებამ მტრის გააქტივება გამოიწვია და ის ქართველთა ლაშქარს უკან დაედევნა.

საქართველოს ლაშქრის სარდლობამ, ჩანს, მტრის ხელის შეშლის მიზნით მნიშვნელოვანი ობიექტების განადგურება გადაწყვიტა და ცნობილი ქალაქი ოლთისი გადაწვა. გარკვეული სტრატეგიული მოსაზრებით საქართველოს ლაშქრის სარდლობას არ სურდა ჯერჯერობით ბრძოლა გაემართა მტრისათვის. მაგრამ უკანდახეულ ქართველთა ლაშქრის ჩამკეტს, ე. ი. უკანამავალთ, ბიზანტიის ლაშქრის მეწინავე ლაშქარი წამოეწია და „სოფელსა, რომელსა ჰქჳან შირიმნი“[240] მათ შორის ბრძოლა გაიმართა. არისტარქე ლასტივერტელის გადმოცემით, მოპირდაპირეთა შეხვედრა და ომი „პატარა ზღვის ახლოს“ (იგულისხმება ჩილდირის ტბა — ვ. კ.) მოხდა, „რომელსაც პალაკაციო ეწოდება“[241].

ბრძოლის დროს ორივე მხარე დაზარალდა. ქართველი მემა-

---

[237] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955, გვ. 284.

[238] В. Розен, გვ. 62.

[239] ქართლის ცხოვრება, I, დასახ. გამოცემა, გვ. 284.

[240] იქვე.

[241] Պատմութիւն, დასახ. გამოცემა, გვ. 13.

ტიანე გადმოგვცემს, რომ „მოისრნეს ორკერძოვე მრავალად, მეტ-ლნეს ერისთავნი და დიდებულნი: რატი, ძე ლიპარიტისი, და ბუ-რსი. და გუანად ეწია ჴმა გიორგი მეფესა, ვითარმედ ომი არს უკა-ნა-მავალთა ზედა“[242].

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც საქართველოს ლაშქრის ძირითადმა ბირთვმა [illegible] ნაწილის ბრძოლაში ჩაბმა გაიგო, სასწრაფოდ უკან დაბრუნდა და ბრძოლის ველზე მივიდა იმ დროს, როცა ბიზანტიის ძირითადი ლაშქარიც უკვე მოსულიყო. ბრძოლის ამ ამბავს „ქართლის მატი-ანის“ ავტორი შემდეგნაირად აგვიწერს: „მოვიდა... ბასილი მეფე ყოვლითა სპითა მისითა. შეკრბეს იმიერ და ამიერ, იქმნა ბრძოლა დიდი, და მოსრნეს ბერძენნი ფრიად, და წარმოიღეს ავარი, ეზომ გაგრძელდა მათ შორის ბრძოლა, რომელ, სივლტოლად განემზადა ბასილი მეფე“[243].

ბრძოლაში მოპოვებული უპირატესობა ქართველებმა ვერ შეი-ნარჩუნეს. იგივე მემატიანე გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „სულმოკლე იქმნეს ქართველნი, მორიდეს და წარმოვიდეს“[244]. ამ გარემოებამ მტერი კიდევ უფრო წაახალისა და ქართველებს უკან დაედევნა. არისტარქე ლასტივერტელის გადმოცემით, ბასილ კეისარმა „ქვეყნის სხვადასხვა მხარეში ჯარები გაგზავნა (და) უბ-რძანა (მათ)' არავინ შეებრალებინათ — არც ბავშვი, არც ქალი, არც მოხუცი, არც ახალგაზრდა... და ასე დაანგრია და მოსპო 12 მხა-რე“[245].

მრავალი ქართველი მეომარი ამ ბრძოლის მსხვერპლი გახდა. უკან დახეული საქართველოს ლაშქარი სამცხეზე გამოვლით თრია-ლეთში მოვიდა. ბიზანტიის ლაშქარმა კოლა-არტაან-ჯავახეთზე გამოვლით შეტევა განავითარა და შეუბრალებლად გაანადგურა შე-სანიშნავი კულტურის მქონე და მეურნეობის მხრივ განვითარებუ-ლი საქართველოს ეს მხარე. არაბი ისტორიკოსის იაჰია ანტიოქე-ლის გადმოცემით, ბიზანტიის მბრძანებელმა ბასილ კეისარმა მრა-ვალი სოფელი გაძარცვა და გადაწვა. ხოლო ორასიათასზე მეტ კაცს (რა თქმა უნდა, გადაჭარბებულია — ვ. კ.) თვალები დასთხა-რა[246]. მტერი ჯავახეთის გზით თრიალეთში შემოიჭრა და მოპირდა-პირეთა შორის ხელახალი ბრძოლის სამზადისი გაჩაღდა. „ქართლის

---

[242] „ქართლის მატიანე“, ქართლის ცხოვრება, დასახ. გამოცემა, გვ. 284—285.

[243] ი ბ ე ვ ე.

[244] ი ბ ე ვ ე.

[245] Պատմութիւն, დასახ. გამოცემა, გვ. 13.

[246] В. Розен, გვ. 62.

მატიანის“ ავტორის გადმოცემით, თრიალეთში მოსულმა გიორგი მეფემ „მოირთო ძალი კახეთისა და ჰერეთისა“[247].

აქ, გიორგის ლაშქარში ჰერ-კახთა გამოცხადება ეხებოდეთ იპყრობს ყურადღებას. ეს მხარეები, როგორც [illegible] ბაგრატ მესამის გარდაცვალებისთანავე განუდგნენ [illegible] ალია, ჩვენ არ გვაქვს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცა გიორგის ხელისუფლება ამ დროს, მაგრამ, ჩანს, მას ბრძოლა არ დაუწყია კახეთ-ჰერეთის ხელახლა შემოსაერთებლად და ის ბიზანტიის წინააღმდეგ ომში ჩაება.

საქართველოს მეფის ხელისუფლების გაძლიერება ჰერეთისა და კახეთის დამოუკიდებლობის მომხრე ძალებისათვის ხელსაყრელი არ იყო და, ამდენად, ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლის გამარჯვებით დამთავრებაც მათთვის სასურველი არ იქნებოდა. განა მცირე შემთხვევები გვაქვს იმისა, რომ საქართველოს გაერთიანებისა და ერთიანი სამეფოს ხელისუფლების მოწინააღმდეგე ძალები მტრის, კერძოდ, ბიზანტიის აგენტისა და დამხმარის როლში გამოდიოდნენ საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ? თითქოს ახლაც ასე იყო მოსალოდნელი ჰერეთისა და კახეთის მმართველი წრეებისაგან, მაგრამ პირიქით მოხდა და თუ „ქართლის მატიანის“ ავტორის ცნობას დავუჯერებთ, ბრძოლაში ისინი გიორგის მიეშველნენ.

ამ საკითხზე მსჯელობის დროს ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ, სუმბატ დავითის ძის გადმოცემით, გიორგი მეფემ „მოიყუანა წანარნი და შაქნი“[248], ხოლო „ქართლის მატიანის“ ავტორის ცნობით, ანა დედოფლისეული ნუსხის მიხედვით, როგორც ნათქვამი იყო, „მოირთო ძალი კახეთისა და ჰერეთისა“[249]. ვახტანგისეული რედაქციის მიხედვით კი თრიალეთში მოსული „კუალად გაძლიერდა გიორგი მეფე, მოერთო ძალი ლაშქარითა კახეთისა და ჰერეთისა: რამეთუ მოიყუანნა წანარნი და შაქნი“[250].

აკად. ივ. ჯავახიშვილი, როდესაც ამ საკითხს ეხებოდა ჰერეთსა და კახეთს არ აღნიშნავდა და წერდა: „თრიალეთში მოსულს ქართველთა მეფეს მოუვიდნენ მეშველნი წანარნი და შაქნიო“[251].

---

247 ქართლის ცხოვრება, I, დასახ. გამოცემა, გვ. 285.

248 სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, დასახ. გამოცემა, გვ. 70.

249 ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1942, გვ. 179.

250 ქართლის ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, წიგნი II, ტ. I. 1897, გვ. 312.

251 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, 1948, გვ. 133.

აღნიშნული ცნობებიდან ნათლად არ ჩანს „წანარნი და შაქნი“, ჰერეთისა და კახეთის მბრძანებლების მიერ გამოგზავნილი თუ მოყვანილი, მათი ქვეშევრდომი იგივე კახეთისა და ჰერეთის ლაშქარია თუ ამ მხარეთა მმართველებისაგან დამოუკიდებლად მოვიდნენ გიორგის ბანაკში? ჰერ-კახნი რომ წანარ-შაქელებად იყოს ხსენიებული მემატიანის მიერ, უჩვეულო და გასაკვირი აქ არაფერია. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ლაშქარი კახეთისა და ჰერეთის მმართველების ხელქვეითია და მათი განკარგულებით არის მოსული თუ მოყვანილი გიორგი მეფესთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ აღნიშნული ვარაუდი სწორია, მაშინ შემდეგი მოსაზრება უნდა დავუშვათ: ბიზანტიის წინააღმდეგ ომში ჩაბმული და მძიმე მდგომარეობაში მყოფი გიორგი მეფის ხელისუფლება ახლა დათმობაზე უნდა წასულიყო ჰერეთისა და კახეთის დამოუკიდებლობის მომხრე ძალების მიმართ. გიორგის ხელისუფლებამ ალბათ მათი დამოუკიდებლობა ცნო და ამან განაპირობა ჰერეთისა და კახეთის ლაშქრის გიორგის ბანაკში გამოცხადება. ამის გარეშე შეუძლებელი იყო გიორგი მეფის ხელისუფლებასა და ჰერ-კახთა მმართველებს შორის საერთო ენის გამონახვა. ამრიგად, ამჯერადაც გარეშე ძალა აფერხებს საქართველოს ცენტრალიზაციის საქმეს.

თუ ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების დროს, როდესაც ბასილ კეისარი ბულგართა წინააღმდეგ ბრძოლით იყო დაკავებული, ასეთი ნაბიჯის საჭიროებას გიორგი მეფის ხელისუფლება ნაკლებად გრძნობდა, საკეისროს გამარჯვების ფაქტის წინაშე მყოფი ის ჰერეთის და კახეთის მიმართ, თუ უკანასკნელნი ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას აღუთქვამდნენ, დათმობაზე უნდა წასულიყო. შეიძლება ამით აიხსნას ის ფაქტიც, რომ ჰერეთისა და კახეთის ლაშქარი გიორგის ბანაკში დაგვიანებით გამოცხადდა.

ამრიგად, ბიზანტიის აგრესიულ პოლიტიკას, საქართველოსათვის სხვა უდიდესი ზარალისა და უარყოფით შედეგებთან ერთად, ჰერეთისა და კახეთის შემოერთებისათვის ბრძოლაზე დროებით ხელის აღება და მისი დიდი ხნით გადადებაც უნდა მოჰყოლოდა შედეგად.

ჰერეთისა და კახეთის ლაშქრის გიორგის ბანაკში გამოცხადების შემდეგ, გიორგი მეფემ ბრძოლის განახლება გადაწყვიტა, მაგ-

რამ მრჩევლებმა ამის ნება არ მისცეს და „დაუშალეს... შებმა მეორედ“[252].

ზამთრის მოახლოებისა და ალბათ იმის გამოც, რომ ქართველებმა ძალა მოიკრიბეს, ბიზანტიის მბრძანებელმა ბრძოლის გაგრძელება მიზანშეუწონლად ჩათვალა და იმავე გზით, რომლითაც მოვიდა, ჯავახეთზე და არტაანზე გავლით, უკან დაბრუნდა. „ქართლის მატიანის“ ავტორი გადმოგვცემს, რომ კეისარმა უკან დაბრუნებისას „კუალად უბოროტესადრე შურისგებით მოაოჯრნა ქუეყანანი იგი“[253], რომელიც გამოვლის დროს გაანადგურა. საქართველოდან გასული იმპერატორი თავისი ლაშქრით ტრაპიზონში მივიდა, რომელმაც „ქუეყანასა ხალდისასა, მახლობელად ქალაქსა ტრაპიზონთასა“[254] დაიზამთრა.

როდის უნდა დაწყებულიყო ბრძოლა ბიზანტია-საქართველოს შორის და როდის დამთავრდა ამ ომის პირველი პერიოდი? ჩვეულებრივ, სათანადო წყაროების საფუძველზე, ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ ომი საქართველოსა და ბიზანტიას შორის 1021—1023 წლებში მიმდინარეობდა, ე. ი. დაიწყო 1021 წელს და დამთავრდა 1023 წელს. ვინაიდან ზოგიერთი მოვლენის გასათვალისწინებლად ამას მნიშვნელობა აქვს, საჭიროა დავადგინოთ დაახლოებით ისიც, თუ წლის რომელ დროს დაიწყო და დამთავრდა ეს ომი?

„ქართლის მატიანის“ ავტორის გადმოცემით, ბაგრატ III გარდაიცვალა „ქრონიკონსა ორას ოცდათოთხმეტსა, თუესა მაისსა შვდსა, დღესა პარასკევსა“[255] (=1014 წლის 7 მაისი), ხოლო ამიერიდან „მეფე იქმნა ძე მისი გიორგი“[256]. რომლის გამეფებიდან „მეშვიდესა წელსა... გამოვიდა ბასილი, მეფე ბერძენთა, მას ზედა ყოვლითა სპითა საბერძნეთისათა და უცხოთესლითა ურიცხვთა“[257].

ამრიგად, აღნიშნული ცნობის თანახმად, ბასილ კეისრის გამოლაშქრება გიორგის წინააღმდეგ 1020 წლის მაისსა და 1021 წლის მაისს შორის. გიორგის მეფობის „მეშვიდესა წელსა“ მომხდარა.

---

[252] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 285.
[253] ი ქ ვ ე.
[254] ი ქ ვ ე.
[255] ი ქ ვ ე, გვ. 283.
[256] ი ქ ვ ე.
[257] ი ქ ვ ე.

მაგრამ არ ჩანს, კერძოდ, რომელ წელსა და რა დროს მოხდა ეს. როცა ბიზანტიის ლაშქარმა უკან დაიხია და ტრაპიზონის ახლოს დაბანაკდა, ზამთრის პირი უნდა ყოფილიყო. ამიტომ თითქოს 1020 წლის შემოდგომაზე უნდა მომხდარიყო პირველი ბრძოლა ბიზანტიასა და საქართველოს შორის, მაგრამ სომეხი ისტორიკოსი ალიტარქე ლასტივერტელი დანამდვილებით მოგვითხრობს, რომ ამჯერად ბასილ კეისარი სომეხთა წელთაღრიცხვის 470 (=1021) წელს მოვიდა აღმოსავლეთში დიდი ჯარით და კარინის ველებზე დაბანაკდა, საიდანაც გიორგი ქართველთა მეფეს დესპანები გაუგზავნა და იგი თავისთან დაიბარაო[258].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე ამის შემდეგ სუმბატ დავითის ძისა და „ქართლის მატიანის“ ავტორის ცნობები იმის შესახებ, რომ საქართველოდან გასვლის შემდეგ ბასილ კეისრის ლაშქარმა „დაიზამთრა ქუეყანასა ხალდისასა, მახლობელად[259] ქალაქსა ტრაპიზონთასა“[260] 1021 — 1022 წლების მიჯნის ზამთარს უნდა გულისხმობდეს. თუ ეს ასეა, ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ, რომ ბიზანტიის ხელისუფლება 1021 წლის პირველ ნახევარში „გამოვიდა“ საქართველოს წინააღმდეგ. მოპირდაპირეთა შორის ბრძოლის მოლოდინმა („დაიბანაკეს ქუეყანასა ბასიანისასა მრავალ დღე“), და შემდეგ ბრძოლამ 1021 წლის დაზამთრებამდე გასტანა, რის შემდეგ მტერმა საქართველო დატოვა და დასაზამთრებლად ხალდიაში წავიდა.

ბასილ კეისრის ტრაპიზონში მოსვლის შემდეგ მოპირდაპირეთა შორის ზავზე დაიწყო მოლაპარაკება და „ვიდოდეს მათ შორის მოციქულნი ზავისა და სიყუარულისათჳსო“[261], — გადმოგვცემს ქართველი მემატიანე. მაგრამ ბიზანტიის ცბიერი ხელისუფლება ამით არ დაკმაყოფილდა. მან ენერგიულად დაიწყო ზრუნვა, რათა მოკავშირეები ჩამოეცილებინა საქართველოსათვის და დაემარტოხელებინა ის. ეს მოკავშირეები კი, როგორც ითქვა, ანისის სამეფო და სომხეთის სხვა ზოგიერთი პოლიტიკური ერთეულები იყვნენ.

---

258 Պատմութիւն. დასახ. გამოცემა, გვ. 11.

259 სუმბატის ცნობაში სიტყვა — „მახლობელად“ გამოტოვებულია.

260 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 285; სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ. 69.

261 „ქართლის მატიანე“, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 285.

* * *

ბიზანტიასა და საქართველოს შორის წარმოებულ ამ ომში ქართველებისა და სომხების ურთიერთდახმარებისა და კავშირის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლილ, საგანად არავის გაუხდია[262], ხოლო სომხურ ისტორიოგრაფიაში ერთ დროს არასწორი შეხედულება იყო გავრცელებული, რომელიც, ვფიქრობთ, სომეხი ისტორიკოსის, ვარდანის ერთი ცნობიდან გამომდინარეობდა.

ვარდანის ცნობით, როცა ბიზანტიის კეისარმა, ბასილმა „მეფეთა-მეფის დავით კურაპალატის სიკვდილი გაიგო, კარის ველებზე მოვიდა და დაბანაკდა. ამ ამბავმა ანისის მეფე იოვანე-სუმბატი შეაშინა და პატრიარქი პეტრე საჩქაროდ გაგზავნა ბასილთან საჩუქრებით, ვინაიდან იბერიის მეფე ავიწროებდა იოვანეს, ამ უკანასკნელმა პატრიარქს აქტის დაწერა უბრძანა, რომლის ძალით ის თავისი სიკვდილის შემდეგ ქ. ანისს ბერძნებს უტოვებდა... ბასილმა სიხარულით მიიღო ეს ცნობა. გამოიძახა თავისთან იბერიის მეფე გურგია, რომელიც არ წავიდა მის (ბასილის — ვ. კ.) გამოძახებაზე. ამით გაჯავრებული იმპერატორი, მის (იბერთა მეფის — ვ. კ.) წინააღმდეგ წავიდა, მოარბია მისი თორმეტი მხარე და დასაზამთრებლად ხალდიის ქვეყანაში დაბანაკდა“[263].

ვარდანის ეს ცნობა, რომელიც არისტარქე ლასტივერტელის ერთი ცნობის არასწორი გაგებისა თუ დამახინჯების შედეგი უნდა იყოს, გაუგებრობაზე არის დამყარებული და მოვლენები, როგორც ქრონოლოგიურად, ისე შინაარსობლივად, არეულია. ავტორი 1001 წლისა და 1021—1022 წლების ამბებს ურევს ერთიმეორეში, ხოლო ორივეს, როგორც ჩანს, იოვანე-სუმბატსა და გიორგი პირველს შორის მომხდარ კონფლიქტს უკავშირებს და საკითხზე ყალბ წარმოდგენას გვაძლევს[264].

ვარდანის ამ არასწორი ცნობიდან გამომდინარეობს ალპათ

---

262 ამ სტრიქონების ავტორი მოკლედ ეხება ამ საკითხს თავის ნაშრომში: „საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის ისტორიიდან (ანისის საკითხი XI საუკუნეში)“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 51, 1953; გვ. 55—83; ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის წარსულიდან, 1962, გვ. 153.

263 Всеобщая история Вардана Великого, თარგმანი სომხურიდან რუსულად ნ. ემინისა, 1861, გვ. 117—118.

264 ამ საკითხზე იხილეთ ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, ანისის საკითხი... გვ. 60—66.

სომეხი ისტორიკოსის, ვ. აბაზას აზრი იმის შესახებ, თითქოს გიორგისთან ბრძოლაში დამარცხებამ აიძულა იოვანე-სუმბატი ეფელი თავისი სამეფო ბიზანტიისათვის გადაეცა[265]. ჩვენი აზრით, ასევე არასწორ დასკვნას აკეთებს ამ საკითხზე ნ. მურავიოვი, ამის გამარტებით, „საქართველოს მეფემ გიორგი II (უნდა იყოს გიორგი I — ვ. კ.)... დედაქალაქი (ე. ი. ანისი — ვ. კ.) დაიპყრო. ამან აიძულა სუსტი ნებისყოფის მეფე იოვანე-სუმბატი"[266] თავისი სამფლობელო ანდერძით ბიზანტიის იმპერატორისათვის გადაეცაო.

საქართველოსა და სომხეთის სამეფო-სამთავროებს შორის რომ ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი შუღლი და მტრობა ხშირად იჩენდა თავს მიწა-წყლის მიტაცებისათვის, ეს სადავო არ არის. მაგრამ ანისის სამეფოს ბიზანტიისათვის გადაცემა საქართველოსა და ანისის სამეფოებს შორის ბრძოლის შედეგად არ მომხდარა. ამიტომ ამ მხრივ ზემოაღნიშნულ ისტორიკოსთა აზრი ამ საკითხზე არასწორად მიგვაჩნია.

ბიზანტიელი ისტორიკოსი კედრენე დამაჯერებლად გადმოგვცემს, რომ 1021—1022 წლებში, ბიზანტია-საქართველოს შორის ომის დროს, ანისის მეფე იოვანე-სუმბატი გიორგი ქართველთა მეფის მოკავშირე იყო. კედრენე წერს: „როდესაც აფხაზთა მთავარმა გიორგიმ (იგულისხმება გიორგი I—ვ. კ.) იარაღი ააღარუნა რომაელების წინააღმდეგ, მისი მოკავშირე იყო იოვანესიკეც (Ἰωβανεσίκης), რომელიც ფლობდა ანისის ქვეყანას"[267]. ბიზანტიური და სომხური წყაროების საფუძველზე ცნობილი მკვლევარი ლებო ვრცელ განმარტებას იძლევა იმის შესახებ, რომ 1021—1022 წლების ბრძოლაში იოვანე-სუმბატი გიორგის მოკავშირე იყო[268]. ასევე ფიქრობდა ცნობილი მკვლევარი, იენის უნივერსიტეტის პროფესორი გ. გელცერი[269].

რით უნდა ავხსნათ კედრენესა და ვარდანის ცნობების წინააღმდეგობა? ან საიდან უნდა გამომდინარეობდეს აზრი იმის შესახებ, რომ გიორგი იბერთა მეფე ავიწროებდა იოვანე-სუმბატს და თით-

---

[265] В. А. Абаза, История Армении, 1888, გვ. 79.

[266] Н. Н. Муравьев, Грузия и Армения, часть I, 1888, გვ. 266.

[267] გეორგიკა, V, გვ. 59; К. Ган, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, часть II, 1889, გვ. 40.

[268] Lebeau, Histoire du Bas-Empire, XIV, გვ. 334—335.

[269] Очерк политической истории Византии, წიგნში: Очерки по истории Византии под редакцией и с предисловием В. К. Бенешевича, вып. I, 1912, გვ. 106.

ქოს ამან გახადა ის იძულებული თავისი სამეფო კეისრისათვის ეანდერძა? ჩვენი აზრით, როგორც ვარდანის, ისე გვიანდელი ხანის ზოგიერთი მკვლევრის განმარტებებს არისტარქე ლასტივერტელის ცნობა უნდა ედოს საფუძვლად. იგი გადმოგვცემს: „[illegible] მეფის გაგიკ I შემდეგ „მამის ხელისუფლების მემკვიდრეობა [illegible] ვე შვილები: სუმბატი, რომელსაც იოვანეს უწოდებდნენ და მისი ღვიძლი ძმა აშოტი დარჩნენ... აშოტი,.. იყო მხნე, ახოვანი და ომის მოყვარე. ქვეყნის გაყოფისას მათ წინააღმდეგობა გაუწიეს ერთმანეთს და კანონი და სამართალი ესაჭიროებოდათ. ამის გამო მოვიდა აფხაზთა მეფე გიორგი და არწმუნებდა მათ მშვიდობიანად მორიგებულიყვნენ, და მისცა ნაწილად ორსახელოვან სუმბატს ანისის სიმაგრე სანახებითურთ... ხოლო აშოტს მისცა ქვეყნის შიდა მხარე, რომელიც ესაზღვრებოდა სპარსეთსა და ქართლს. მოეწონა ეს სუმბატს და დაბრუნდა თავის ქალაქში“[270].

„ერთ-ერთმა ერისთავმა, — განაგრძობს არისტარქესი, — აშოტის მხედრობიდან, შესჩივლა გიორგის, რომ შატიკი ჩემი მკვიდრი ადგილია, რომელიც სუმბატმა უსამართლოდ ჩამომართვაო. მოისმინა რა ეს გიორგიმ, დიდად განრისხებულმა, ჯარი დაადევნა მას (სუმბატს — ვ. კ.). როცა ჯარი სასწრაფოდ მივიდა სუმბატთან, მას (სუმბატს — ვ. კ.) თავისი სხეულის სიმძიმის გამო არ შეეძლო ამხედრება, ხოლო ერისთავები, რომლებიც მას ახლდნენ, გაიქცნენ. ბევრი მათგანი (გიორგის მიერ გაგზავნილმა მდევნელებმა — ვ. კ.) დახოცეს, რომელთა გვამები ანისის კარამდე მიმავალ გზას მოეფინა... ხოლო სუმბატი შეიპყრეს და გიორგისთან მიიყვანეს, რომელმაც (სუმბატის) დაპატიმრება ბრძანა. შემდეგ სამი ციხე აიღო და სუმბატი გაათავისუფლა“[271].

ბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ საქართველოსა და ანისის სამეფოების, გიორგისა და იოვანე-სუმბატის ურთიერთდახმარებაზე არისტარქე ლასტივერტელის ამ ცნობაში არაფერია ნათქვამი. იოვანე-სუმბატმა კი, როგორც ქვემოთ გავეცნობით, მართლაც გადასცა ანდერძით ბიზანტიის კეისარს თავისი სამეფო. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვარდანის განმარტება არისტარქე ლასტივერტელის ამ ცნობიდან გამომდინარეობს და ვარდანმა იოვანე-სუმბატის მიერ ანისის ბიზანტიისათვის გადაცემის მიზეზად გიორგი ქართველთა მეფესა და იოვანე-სუმბატს შორის წამოჭრი-

---

270 Պատմութիւն, დასახ. გამოცემა, გვ. 9.

271 ი ქ ვ ე, გვ. 10.

ლი კონფლიქტი ჩათვალა[272], რაც კედრენეს ცნობას ეწინააღმდეგება. მაგრამ უკანასკნელის ცნობებს რომ თავი გავანებოთ, თვით არისტარქე ლასტივერტელის ცნობების ანალიზიდანაც ჩანს, რომ იოვანე-სუმბატი ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში გიორგის მოკავშირე უნდა გამხდარიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგის მიერ იოვანე-სუმბატის დატყვევებისა და განთავისუფლების ამბის მოთხრობის შემდეგ არისტარქე განაგრძობს: „ხოლო აშოტს, რომლის გარშემო მყოფი ადგილები დიდებულებს მისგან უსამართლოდ წაეღოთ და მათ ხელში იყო, არ შეეძლო ამის მოთმენა. ამის გამო მიატოვა თავისი ქვეყანა... წავიდა ბერძენთა კარად... და... დასახმარებლად ჯარს მოითხოვდა. მიიღო რა დახმარება, შეიჭრა თავის ქვეყანაში... დაიპყრო მრავალი მხარე, ციხე და გაძლიერდა უმეტეს, ვიდრე ყველანი“[273].

თუ გიორგი ქართველთა მეფის შუაკაცობით ან ზეგავლენით ანისის იოვანე-სუმბატისათვის მიკუთვნებით ეს უკანასკნელი კმაყოფილი დარჩა, გასაგებია, ამ კმაყოფილებას აშოტის უკმაყოფილება უნდა მოჰყოლოდა. ამიტომ, აშოტის მიერ ბიზანტიელთა მოწვევა ბრძოლაში დასახმარებლად იოვანე-სუმბატის წინააღმდეგაც უნდა ყოფილიყო მიმართული. ამ გარემოებას ბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი გიორგი ქართველთა მეფისა და იოვანე-სუმბატის ურთიერთკავშირი უნდა განეპირობებინა. მართლაც, ისინი ერთად იბრძვიან საკეისროს წინააღმდეგ. საკითხის ამგვარად ახსნის გარეშე გაუგებარი იქნებოდა ბიზანტიელი ისტორიკოსის კედრენესა და სომეხი ისტორიკოსის არისტარქე ლასტივერტელის ცნობები, რომელთაგან პირველი გიორგისა და იოვანე-სუმბატის ბიზანტიელთა წინააღმდეგ ურთიერთკავშირზე მოგვითხრობს.

იმის ნათელსაყოფად, რომ 1021 — 1022 წლებში ანისის საძეფო საქართველოს მოკავშირე იყო ბიზანტიის წინააღმდეგ, კიდევ მოვიტანთ კედრენეს ერთ ცნობას: „როდესაც ბასილ მეფე იბერიაში გაემგზავრა და ბრძოლა გაუმართა გიორგის, აოტა იგი და გააცამტვერა, იოვანესიკეს შეეშინდა, ვაითუ მეფემ, განრისხებულმა, რომ გიორგის მოკავშირე ვიყავი, საშინელი რამ არ დამმართოსო,

---

[272] ამ კონფლიქტის ზოგიერთი შედეგის შესახებ იხილეთ გ. გელცერი, Очерк политической истории Византии, წიგნში: Очерки по истории Византии под редакцией и с предисловием В. К. Бенешевича, вып. I, 1912, გვ. 106.

[273] Պատմութիւն, დასახ. გამოცემა, გვ. 11; შდრ. გ. გელცერი, Очерк политической истории Византии, დასახ. გამოცემა, გვ. 106.

ქალაქის გასაღებებით ეახლა მეფეს, დანებდა მას და გასაღებებიც გადასცა. მეფემ მოუწონა მას ეს გამჭრიახობა, უბოძა მას მაგისტრის ტიტული და უთხრა, სანამ ცოცხალი ხარ ამისისა და ეკრეთწოდებული დიდი არმენიის (μεγάλης Ἀρμενίας) [illegible] ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲡᲐᲓᲛᲘᲡᲐᲛᲔᲥᲔ იყავიო"[274].

სომხეთისა და საქართველოს ურთიერთობის განხილვა ჩვენ აქ არ გვევალება, მაგრამ, როგორც ვხედავთ, მათი ამ დროის პოლიტიკური ცხოვრება ისე არის დაკავშირებული ერთიმეორესთან, რომ ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის განხილვა სომხეთის სამეფო-სამთავროებისაგან მოწყვეტილად შეუძლებელია.

ამჟამად სომხურ ისტორიოგრაფიაში სადავო აღარ არის ის ამბავი, რომ 1021—1022 წლების ბრძოლებში სომხეთის ორი პოლიტიკური ერთეული, კერძოდ, ანისის სამეფო და მასთან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი ვანანდის სამეფო აქტიურად ეხმარებოდნენ საქართველოს ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში[275]. რაც შეეხება ვასპურაკანის სამეფოს, პირდაპირი ცნობა იმის შესახებ, რომ ის საქართველოს მოკავშირე იყო, არ გვაქვს. მაგრამ საყურადღებოა, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განადგურების შემდეგ, როდესაც საქართველოდან გასულმა ბიზანტიის ლაშქარმა ტრაპიზონთან დაიზამთრა და მისი სარდლობა სამზადისს შეუდგა, რათა გაზაფხულზე თავს დასხმოდა ისევ საქართველოს, ბიზანტიის ხელისუფლებამ პირველ ყოვლისა ვასპურაკანის სამეფოს დაპყრობა-დამორჩილებისათვის დაიწყო ზრუნვა.

ვასპურაკანს როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბიზანტიისათვის. ის დიდ პლაცდარმს უქმნიდა საკეისროს როგორც სამხრეთის მიმართულებით საამიროების წინააღმდეგ, ისე საქართველოს მოკავშირე ანისის სამეფოსა და სომხეთის სხვა პოლიტიკური ერთეულების დასაპყრობადაც. ვასპურაკანის მეფე სენექერიმი გიორგი პირველის სიმამრი იყო. ბიზანტიის მთავრობამ დაჟინებით მოითხოვა მისგან, რათა თავისი სამეფო სენექერიმს იმპერატორისათვის გადაეცა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პირობის შესრულება ვასპურაკანის სამეფო ხელისუფლებისათვის მეტად ძნელი იყო, ბიზანტიის მთავრობამ აიძულა ის თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვის მოთხოვნაზე აგრესორს დათანხმებოდა.

---

[274] გეორგიკა, V, გვ. 59—60; К. Ган, Известия... II, გვ. 40—41.

[275] История армянского народа, ч. I, под редакцией Б. Н. Аракеляна и А. Р. Иоанисяна, Ереван, 1951, გვ. 151.

სომხურ ისტორიოგრაფიაში, როდესაც ვასპურაკანის სამეფოს დამოუკიდებლობის დაკარგვაზე მსჯელობენ, აღნიშნავენ, რომ „ვასპურაკანის სამეფო, რომელიც თურქთა ტომების უამრავ თავდასხმებს განიცდიდა, ბიზანტიის აგრესიის მორიგი მსხვერპლი და. იმპერატორმა ბასილ მეორემ, დახმარების აღმოჩენის ... 1022 წელს აიძულა სენექერიმ არწრუნი მთელი ვასპურაკანი ბიზანტიის იმპერიისათვის გადაეცა, რომლის მაგივრად მცირე სომხეთში მემკვიდრეობით მისცეს მას ქალაქი სევასტია თავისი მიდამოებით“[276].

ვასპურაკანის სამეფო მართლაც განიცდიდა ამ დროს ძლიერ შევიწროებას თურქთა ტომების მიერ, რამაც ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ბიზანტიას ამ მხარის ექსპანსიისათვის. მაგრამ არ იქნებოდა სწორი იმის უგულებელყოფა, რომ 1021 წლის მეორე ნახევარში, საქართველოსა და მისი მოკავშირეების პირველ ბრძოლაში დამარცხებამაც უდიდესი როლი შეასრულა ვასპურაკანის დამოუკიდებლობის დაკარგვის საქმეში.

მართალია, სპარსეთის მხრიდან წამოსულმა მომთაბარე ტომებმა 1016 წლიდან მძიმე პირობები შეუქმნეს ვასპურაკანის სამეფოს, მაგრამ თურქთა ეს ძალა არ წარმოადგენდა ისეთ საშიშ მოვლენას, როგორიც მომდევნო წლებში თურქ-სელჩუკთა შემოსევა იყო. საქართველოსა და სომხეთის სამეფო-სამთავროების ურთიერთდახმარების შემთხვევაში, თურქთა ამ თავდასხმებით გამოწვეული საშიშროების თავიდან აცილება ადვილად შეიძლებოდა, მაგრამ ბიზანტიამ მოუსპო მათ ამის შესაძლებლობა. ამ სამეფო-სამთავროთა ძირითადი ძალები ბიზანტიის აგრესიამ მიიზიდა, ასეთ პირობებში ვასპურაკანს ვერ დაეხმარებოდნენ.

ვასპურაკანის სამეფოზე თურქთა თავდასხმები ობიექტურად ბიზანტიისათვის ხელშემწყობი მოვლენა იყო ამ მხარის დასაპყრობად. ახლა ვასპურაკანის მმართველ წრეებს გამოსავალი აღარ ჰქონდათ. ბიზანტიის დიპლომატია წინდახედულად მოიქცა: იგი შეეცადა აეძულებინა სენექერიმი სამეფოს გადაცემაზე მანამ, სანამ ბიზანტიასა და საქართველოს შორის ზავის შესახებ პირველი შეთანხმება იქნებოდა მიღწეული. სწორედ ამ დროს ჰქონდა ბიზანტიას ყველაზე უფრო ხელსაყრელი მომენტი: სამხრეთიდან მომთაბარე ტომები უტევდნენ ვასპურაკანს, არწრუნთა სიძესა და იქნებ მოკავშირესაც,

---

[276] История армянского народа, ч. I, გვ. 151; შდრ. Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, 1884, გვ. 191—192.

საქართველოს მეფეს გიორგის, რომელმაც მარცხი განიცადა, როგორც ნათქვამი იყო, არ შეეძლო სენექერიმს დახმარებოდა, ასევე არ შეეძლოთ დახმარებოდნენ მას ბიზანტიისაგან, „ანადგურების საშიშროების წინაშე მყოფი ანისისა და ვანანდის სამეფოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ვერაგული „ანადგურებით ბიზანტიამ თავისი მწარე ხელი უჩვენა ვასპურაკანის ხელისუფლებას და დააშინა ის. უმწეო მდგომარეობაში მყოფმა სენექერიმმა სამეფო ბიზანტიას გადასცა, მაგრამ ვასპურაკანის სომეხი მოსახლეობა ბიზანტიის ბატონობას ვერ შეეგუა და მალე აღიმაღლა ხმა მის წინააღმდეგ.

ბიზანტიის მბრძანებელს ახლა იოვანე-სუმბატის მიერ მორჩილების აღიარება და ანისის სამეფოს საქართველოს სამეფოსაგან ჩამოცილება აღარ აკმაყოფილებდა. მას სურდა საბოლოოდ დაეპყრო ანისი და ამით სომხებსა და ქართველებს შორის პოლიტიკური კავშირ-ურთიერთობის განახლების შესაძლებლობაც მოესპო.

კედრენეს გადმოცემით, ბასილ კეისარმა იოვანე-სუმბატს „მოსთხოვა წერილობითი საბუთი, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ მთელი ეს სამფლობელო გადავიდოდა მის (მეფის) განკარგულებაში და რომაული სახელმწიფოს ნაწილი იქნებოდა“[277].

სამწუხაროდ, ანისის წარჩინებულთა გარკვეული ნაწილი, რომელთა შორის პირველი კათალიკოსი პეტროსი იყო, სამშობლოს მოღალატისა და ბიზანტიის იმპერიის აგენტის როლში გამოვიდა, კეისარს მხარი დაუჭირა და მისი სურვილის დაკმაყოფილება მოითხოვა. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სომხეთის ძირითადი მასა აგრესორისა და შინა გამცემთა წინააღმდეგ იბრძოდა და დამოუკიდებლობის დაკარგვას ადვილად არ ურიგდებოდა.

იოვანე-სუმბატის მიერ კეისრისათვის ანისის სამეფოს ანდერძით გადაცემის შესახებ სომხეთის ისტორიის მკვლევრები შემდეგს გადმოგვცემენ: 1022 წელს, როდესაც ბასილ მეორესა და საქართველოს მეფე გიორგის შორის ტრაპიზონში ზავზე მოლაპარაკება დაიწყო, „ანისის სამეფოდან ამ მოლაპარაკებას კათალიკოზი პეტრე ესწრებოდა, რომელიც სომეხ ფეოდალების სურვილისამებრ ბიზანტიის მომხრე იყო... გაიგო რა ბასილ მეორემ კათალიკოზის განწყობილება, მაშინვე მოითხოვა მისგან, რომ ანისის სამეფო ბიზანტიას გადასცემოდა. კათალიკოზმა თანხმობა განაცხადა, მაგრამ ვინაიდან მას ანისის მცხოვრებლების ეშინოდა, დაბრუნება დიდხანს ვერ გადაწყვიტა. სუსტი ნებისყოფის მეფემ იოვანე-სუმბატმა

---

[277] გეორგიკა, V, გვ. 60; К. Ган, II, გვ. 41.

ბიზანტიისა და გამყიდველ-კათალიკოზის ზეგავლენით, ხელი მოაწერა სამარცხვინო ანდერძს, რომლის თანახმად მისი ხელმწიფის შემდეგ ანისის სამეფო ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში უნდა შესულიყო"[278].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, იოვანე-სუმბატს საქართველოსთან მტრობა-ვერ ვერ კი არ გადაუცია ბიზანტიისათვის თავისი სამეფო, პირიქით, ის საქართველოს მოკავშირე იყო და ამიტომ, გამარჯვებულმა საკეისრომ, სომხეთის რეაქციული ძალების — მსხვილი ნახარარების დახმარებით, ანისის ანდერძით გადაცემაზე აიძულა იგი.

ბიზანტიის ხელისუფლებამ ვასპურაკანისა და ანისის დამორჩილებით მიზანს მიაღწია — საქართველოს მოკავშირეები ჩამოაცილა.

1021 წელს ანისის სამეფომ თურქთა ძლიერი თავდასხმა განიცადა. ამ გარემოებამაც ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ბიზანტიას, რომ ანისის მეფის ხელისუფლებაზე ზეგავლენა მოეხდინა.

ბიზანტიისათვის სომხეთის სამეფო-სამთავროების დაპყრობას, გარდა სტრატეგიულისა, უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობაც ჰქონდა. სომხეთის ტერიტორიით აღმოსავლეთი და დასავლეთი უკავშირდებოდა ერთიმეორეს. ბაგრატუნიანთა სამფლობელოს უდიდეს ეკონომიურ მნიშვნელობას იოანე კათალიკოზის ცნობებიც ადასტურებს: IX საუკუნის დამლევს, როდესაც საჯის ძე ამირა აფშინი, ბაგრატუნიანთა მიერ ბიზანტიასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებით აღშფოთებული, სუმბატ I წინააღმდეგ გამოემართა, უკანასკნელი თავისი ელჩებით არწმუნებდა მას, რომ ეს გარემოება, ე. ი. ბიზანტიასთან კავშირი, სახელმწიფოს მხოლოდ დადებით შედეგს მოუტანს, გზა გაეხსნება ვაჭრებს ბიზანტიაში და ამით ხალიფა თავის ხაზინას გაამდიდრებსო[279]. თუ სომხეთზე გზის გახსნა სახალიფოს კარგ შედეგს მოუტანდა, გასაგებია, ბიზანტიას ამ მხარის დაპყრობა ეკონომიურად ბევრ რამეს შესძენდა.

§ 5. ქართველების დამარცხება და მისი მიზეზები. ზავი ბიზანტიასთან

ბიზანტიის მიერ სომხეთის სამეფოების დამორჩილებას არ შეიძლებოდა უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა საქართველოზე.

---

[278] **История армянского народа, I,** დასახ. გამოცემა, გვ. 151.

[279] იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოსცა ა. ცაგარეიშვილმა, 1965, გვ. 62.

როცა ტრაპიზონში დაბანაკებულმა ბიზანტიის სარდლობამ გადაწყვეტილება მიიღო აფხაზთა ქვეყნიდან შეეტია საქართველოსათვის, უკანასკნელმა დაუყოვნებლივ დაიწყო ზავზე მოლაპარაკება.

არაბი ისტორიკოსის, იაჰია ანტიოქელის [illegible] გიორგის დესპანი მივიდა ამ დროს ბასილთან და [illegible] დიში მოიხადა. გიორგის დავალებით კეისარს გადასცა, რომ გიორგი მეფე დაუთმობს იმპერატორს დავით კურაპალატის ნაქონ მთელ სამფლობელოს და ციხეებს, მისცემს მას აგრეთვე მძეულად თავის შვილს ბაგრატს და თავის სიცოცხლეში მისი მორჩილი და ერთგული იქნება. იმპერატორი დათანხმდა ამ წინადადებაზე და გიორგის ელჩებს თან გააყოლა თავისი წარმომადგენლები, რათა მათ პირობა ჩამოერთმიათ გიორგი მეფისა, ქართველი წარჩინებულებისა და ქართული ქრისტიანული ეკლესიის მეთაურებისათვის, რომ უკანასკნელებს თავიანთი სიტყვა არ უარეყოთ[280].

არაბი ისტორიკოსის აღნიშნულ ცნობას ქართველი მემატიანეც, კერძოდ, „ქართლის მატიანის" ავტორიც ადასტურებს, რომელიც აღნიშნავს, რომ „ვიდოდეს მათ შორის მოციქული ზავისა და სიყუარულისათჳს"[281]. ამრიგად, შეთანხმება მოხდა და ბასილ კეისარი საქართველოს მთავრობის დანაპირების მისაღებად გაემზადა.

რამდენადაც საქართველოს მთავრობის ასეთი გადაწყვეტილება მისი კრიტიკული მდგომარეობითა და იძულებით იყო გამოწვეული, არ შეიძლებოდა ეს შეპირება გულწრფელი ყოფილიყო და, ჩანს, ამას ბიზანტიის მთავრობაც კარგად ამჩნევდა, რაც მან მძეულის მოთხოვნასა და ფიცის ჩამორთმევაში გამოხატა.

საქართველოს მთავრობისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ის გარემოება, რომ ბიზანტიის კეისრის ხელისუფლებას არც ისე მტკიცე ნიადაგი ჰქონდა. სამხედრო ფეოდალური არისტოკრატიის ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბიზანტიაში სკლიაროსისა და ფოკას აჯანყებათა დამარცხებით არ დამთავრებულა. მიუხედავად იმისა, რომ X საუკუნეში საიმპერიო ხელისუფლებამ დიდი ბრძოლა ჩაატარა მსხვილი მიწათმფლობელი ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ, მან მიზანს საბოლოოდ მაინც ვერ მიაღწია. XI საუკუნეში, ეყრდნობოდნენ რა მათ განკარგულებაში მყოფ სამხედრო ძალებს, მაღალი არისტოკრატიის წარმომად-

---

280 В. Розен, გვ. 63.

281 ქართლის ცხოვრება, I, დასახ. გამოცემა, გვ. 285.

გენლები აჯანყებებით ხშირად დიდ საფრთხეს უქმნიდნენ იმპერატორებს[282].

იაჰია ანტიოქელის გადმოცემით, ისარგებლეს რა იმ გარემოებით, რომ ბასილ კეისარი საქართველოს (აფხაზთა) ომებ[illegible] ბრძოლით იყო დაკავებული, ბარდა ფოკას შვილ[illegible] ფოკა და ანატოლიის მმართველი ქსიფე შეთანხმდნენ და ბასილს აჯანყება მოუწყვეს[283].

ცნობამ ამ აჯანყების შესახებ იმპერატორთან მაშინ მიაღწია, როდესაც ის საქართველოს ხელისუფლებასთან დადებული შეთანხმების სისრულეში მოსაყვანად ემზადებოდა. ამ გარემოებამ, ერთი მხრივ, იმპერატორის ხელისუფლება საგონებელში ჩააგდო და მას განზრახვის შესრულებაზე დროებით ხელი შეუშალა, ხოლო მეორე მხრივ, ქართველები გაამხნევა და გიორგის ხელისუფლებამ გადაწყვიტა უარი ეთქვა ბიზანტიის ხელისუფლებისათვის პირობის შესრულებაზე.

საქართველოს მთავრობის ეს ნაბიჯი უსათუოდ წინასწარ განაზრები იყო და როგორც მისთვის, ისე ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში მისი მოკავშირეების, სომხეთის სამეფო-სამთავროებისათვის ნიკიფორე ფოკასა და ქსიფეს აჯანყების სამზადისი ცნობილი უნდა გამხდარიყო. აკად. ვ. ვასილევსკი, რომელიც საქართველოსა და ბიზანტიას შორის მაშინდელი ბრძოლის ამბებს ეხება, წყაროების ანალიზის საფუძველზე აღნიშნავს: „როდესაც გიორგი პირველი ბასილს ებრძოდა, გამოირკვა, რომ მას კავშირი ჰქონდა ბასილის შინაგან მტერთან ნიკიფორესთან, იმ ბარდა ფოკას შვილთან, რომელმაც წინათ დიდი თანაგრძნობა პოვა ქართველებში"[284].

სომხური წყაროების თანახმად, ქსიფესთან და ფოკასთან ერთად ბასილ კეისრის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში მონაწილეობას იღებდნენ იოვანე-სუმბატი (ანისის მეფე — ვ. კ.), მისი ძმა აშოტი[285] (სევანის დაბლობის, გუგარქისა და მისი ახლო რაიონე-

---

[282] Charles Diehl, Études byzantines, 1905, გვ. 142—143.

[283] В. Розен, გვ. 63.

[284] Труды, т. I, გვ. 211.

[285] არა ერთხელ ყოფილა შემთხვევა, რომ მმართველი დინასტიის წარმომადგენელს მტრის დამხმარის როლში გამოსვლა ან „ღონედ უძლურებისა" საკუთარი საქმის მტრის ხელით გაკეთების ცდა სანანებელი გახდომია. ასევე უნდა ითქვას იოანე-სუმბატის ძმის აშოტის შესახებაც, რომელიც ერთ დროს თვითონ იწვევდა ბიზანტიელებს დასახმარებლად, ხოლო ახლა კი საკეისროს აგრესიის წინააღმდეგ იბრძოდა.

ბის მმართველი, — ვ. კ.) და ვასპურაკანის ყოფილი მეფის სენექერიმის შვილი დავითი"[286].

იოვანე-სუმბატისა და დავით სენექერიმის ძის აჯანყებულებთან კავშირი სრულიად ბუნებრივი იყო. იოვანე-სუმბატი ბიზანტიის იმპერატორისადმი იძულებით მიცემული პირობის [illegible] და ალბათ ბასილის დამარცხებით, ხოლო დავით სენექერიმის ძე — მამულობითი სამფლობელოს დაბრუნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენადაც ბიზანტიის აგრესია თანაბრად ემუქრებოდა სომხეთისა და საქართველოს სამეფო-სამთავროებს, მათი ურთიერთკავშირი, და აგრეთვე საკეისროს შიგნით იმპერიის შემასუსტებელი ყოველგვარი პოლიტიკური მოძრაობის მათ მიერ ერთობლივი გამოყენება, სრულიად გამართლებული და ბუნებრივი იყო.

საქართველოსა და სომხეთის სამეფოების აჯანყებულებთან კავშირმა ბიზანტიის მთავრობა საგონებელში ჩააგდო. ამიტომ იყო, რომ, „ქართლის მატიანის" ავტორის გადმოცემით, „დიდად შეძრწუნდა მისთჳს ბასილი"[287] კეისარი.

საქართველოსა და სომხეთის მმართველი წრეების მოლოდინი იმის შესახებ, რომ აჯანყებას მათთვის სასურველი შედეგი მოჰყვებოდა, არ გამართლდა. ნიკიფორე ფოკასა და ქსიფეს ერთობლივი მოქმედება დიდხანს არ გაგრძელებულა. ისინი, როგორც იაჰია ანტიოქელის ცნობებიდან ჩანს, თავიდანვე უნდობლობით უყურებდნენ ერთმანეთს[288].

ქსიფემ ნიკიფორე ფოკას სიკვდილი გადაწყვიტა. ამ მიზნით მან 1022 წლის 15 აგვისტოს[289] თათბირი მოიწვია, თათბირის შემდეგ განდობილი კაცები გააყოლა მას და მოაკვლევინა. ქსიფესათვის გვიან გახდა გასაგები ალბათ, რომ ფოკას მკვლელობას აჯანყებულთა ბანაკის შესუსტება და იმპერატორის ძალების გაძლიერება მოჰყვებოდა. მართლაც, ფოკას ლაშქარი სასწრაფოდ დაიშალა და მისი ერთგულებიდან ქსიფეს ბევრი მტრად აღუდგა. უკანასკნელმა ბრძოლა წაგებულად ჩათვალა და იმპერატორის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით ფოკას მოკვეთილი თავი ბასილს გაუგზავნა.

იმპერატორმა, რომლისთვისაც ცნობილი გახდა საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება, ფოკას მოკვეთილი თავი გიორგი

---

[286] В. Розен, გვ. 374—375, შენ. 378.

[287] ქართლის ცხოვრება, I, დასახ. გამოცემა, გვ. 286.

[288] В. Розен, გვ. 63.

[289] იქვე, 64.

მეფეს გამოუგზავნა. იგივე ისტორიკოსის გადმოცემით, ამით მან მოაგონა საქართველოს ხელისუფლებას, რომ აჯანყებულთა გამარჯვების იმედით მიღებული გადაწყვეტილება, პირობის უარყოფის შესახებ, მცდარია, აჯანყება დამარცხდა, მასზე იმედის [illegible] შეუძლებელია და ის — იმპერატორი ქართველებს [illegible][290].

ქსიფე, რომელიც კეისარს შეპყრობილი მიჰგვარეს, უკანასკნელმა სიკვდილით არ დასაჯა. ჩამოართვა მას ქონება; როგორც გიორგი კედრენე გადმოგვცემს, აიძულა ბერად აღკვეცილიყო და ანტიგონის კუნძულზე გადაასახლა.

წყაროებიდან ჩანს, რომ გიორგი ქართველთა მეფესთან ერთად ბიზანტიაში მყოფი ზოგი ქართველიც იყო აჯანყების საქმის კურსში. მათ იცოდნენ რა მზადდებოდა მაკედონელთა დინასტიის წინააღმდეგ და კავშირიც ჰქონდათ აჯანყების მეთაურებთან. კედრენე წერს, რომ როცა მეფეს ქსიფესა და ნიკიფორეს (ქართული წყაროებით — წარვეზი) აჯანყების ამბავი „აუწყეს, მისი ბანაკი შიშმა და ძრწოლამ მოიცვა: ეშინოდათ ვაითუ აბაზგებსა და აჯანყებულთა შუა მოვემწყვდეთ და ცუდი დღე დაგვადგესო (ხმები დადიოდა, ქსიფიას კაცები ამის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებენ აბაზგიის (ე. ი. საქართველოს — ვ. კ.) მთავართანო)"[291].

ბიზანტიელი ისტორიკოსის ეს ცნობა და გიორგი პირველის მოქმედების შესახებ არსებული სხვა წყაროები სრულ საფუძველს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ გიორგი მეფეს კავშირი ჰქონდა აჯანყებულებთან. ამ კავშირის დამყარებაში კი გარკვეული როლი უნდა შეესრულებინათ ბიზანტიაში მყოფ იმ ქართველებს, რომლებმაც აჯანყებაში მიიღეს მონაწილეობა.

წყაროებში დაცული ცნობები იმის შესახებ, რომ გიორგი მეფემ პირველი მარცხის შემდეგ ჯერ თანხმობა განუცხადა კეისარს მის მოთხოვნაზე, მაგრამ შემდეგ უარყო შეთანხმება და საომრად მზადება დაიწყო[292], იმის შედეგი უნდა იყოს, რომ მან აჯანყებულებთან გაბა კავშირი და დიდ იმედებს ამყარებდა მათ წარმატებებზე.

გიორგი პირველი ყოველგვარ საშუალებას იყენებდა ბიზანტიის წინააღმდეგ და არ არის გასაკვირი, რომ მას ქსიფესა და ნიკიფო-

---

[290] В. Розен, გვ. 65.

[291] გეორგიკა, V, გვ. 46—47.

[292] В. Розен, Император Василий Болгаробойца. Извлечения из летописи Яхи Антиохийского, გვ. 65; „ქართლის მატიანე", ქართლის ცხოვრება, I, გვ. 286—287.

რესთან, როგორც მაკედონელთა დინასტიის წინააღმდეგ მიმართულ, ბიზანტიის იმპერიის დამასუსტებელ, აჯანყების მეთაურებთან, ჰქონოდა კავშირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ნათქვამი იყო, აღნიშნულ შეთქმულებაში მონაწილეობით და შეთქმულების ბედით არა მარტო საქართველოს საქმეფო ხელისუფლება იყო დაინტერესებული, არამედ მასში აქტიურად მონაწილეობდა ბიზანტიაში მოღვაწე ზოგი ქართველი, რომელთა შორის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურას ფერის ჯოჯიკის ძე წარმოადგენდა.

ფერის ჯოჯიკის ძე როგორც ქართულ, ისე სომხურ და ბიზანტიურ წყაროებში საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა. მას ერთ დროს დიდი თანამდებობა ეკავა ჩრდილო ტაოს მმართველის, ქართველთა მეფის გურგენ ბაგრატის ძე ბაგრატიონის სამეფო კარზე. ზემოთ გავეცანით, რომ 998 წელს, როცა ამირა მამლან აბელ-ხაჯის ძე დავით კურაპალატის წინააღმდეგ გამოემართა და ქართველთა და სომეხთა ქვეყნები უნდა დაერბია, სომხეთა მეფე გაგიკმა დავითს 6000 რჩეული მეომარი მიაშველა მთავართმთავრის გრიგოლ პაჰლავუნის ძის, ვაჰრამის მეთაურობით. ასევე, გურგენ ქართველთა მეფემ დავითს გაუგზავნა 6000 რჩეული ცხენოსანი მოლაშქრე მთავართმთავრის ფერის ჯოჯიკის ძის მეთაურობით[293].

ეს ომი ქართველებმა და სომხებმა, გაბრიელ ოჩოპენტრეს ძის მეთაურობით, ბრწყინვალე გამარჯვებით დაამთავრეს. ბრძოლაში გამარჯვების ერთ-ერთი ორგანიზატორი და მეთაური ფერის ჯოჯიკის ძე იყო, რომლის ხელქვეითები უნდა ყოფილიყვნენ ამ ომის გმირები ძმები გამრეკელები.

შემთხვევითი არ იყო, რომ 1001 წელს ბასილ კეისარმა სხვა ქართველ წარჩინებულებთან ერთად ფერის ჯოჯიკის ძე სამშობლოს მოაცილა და იძულებით ბიზანტიაში წაიყვანა. იგი, ჩანს, მშობლიური ქვეყნის დიდი პატრიოტი იყო და მისი ტაოში დატოვება ბასილ კეისრისათვის სრულებითაც არ იყო ხელსაყრელი. ასევე ცნობილი პიროვნება იყო ფერისის მამა ჯოჯიკი, რომელიც იოვანეთორნიკესთან ერთად ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ ლაშქარს მეთაურობდა[294]. იგი ეკონომიურად ძლიერ,

---

[293] Всеобщая история Степаноса Таронского, დასახ. გამოცემა, გვ. 194.

[294] იქვე, გვ. 135.

დიდი რანგის ადამიანთა წრეს ეკუთვნოდა და, როგორც გავიგეთ, მას საკუთარი „მეგანძურთა-უხუცესი“ ჰყავდა.

ფერის ჯოჯიკის ძის მოღვაწეობას დიდად აფასებდნენ XII ს. ქართველი მოღვაწეები. როცა გიორგი ხუცეს მონაზონი გიორგი მთაწმიდელის შესახებ გვესაუბრება, წერს: „ხოლო უწყი, [illegible] ვალთა გსურის სმენად, თუ ვინა ისწავა ბერძული [illegible] დაგვუნჯა საფასე ესე მოუკლაბელი? — ფ ე რ ი ს ჯ ო ჯ ი კ ი ს ძ ე მ ა ნ, დის სიძემან ბასილი ბაგრატის ძისამან... ამან ფერის და მეუღლემან მისმან განიზრახეს კეთილად, რათა კაცი საღმრთო იძიონ სულისა მათისა კეთილისა მასწავლებლად, და უწესოებისა დამაყენებლად, და რათა ყოვლადვე მახლობელად მათდა იყოს. ამის პირისათჳს ორთავე გამოიძიეს და დაამტკიცეს, ვითარმედ გიორგი მწერლისა უგონიერესსა ვერვის ჰპოებენ. ამისთჳს დიდითა ვედრებითა და ქენებითა გიორგი მწერალი[295] წარიყვანეს და ყოველი საქმე მათი, სულიერი და ხორციელი, მას დაამორჩილეს. ხოლო ამან გიორგი, ნეტარი ძმისწული თჳსი, ყრმა გიორგი თანა წარიტანა: რამეთუ ფრიად ეკმარებოდა ზეპირით კანანახობასა, რამეთუ თჳთ მოხუცებული იყო“[296].

ფერის ჯოჯიკის ძესთან მისულმა გიორგი მწერალმა და მისმა ძმისშვილმა „დაყვეს მრავალი ჟამი კეთილსა და ღუთისა სათნოსა ცხოვრებასა შინა. ხოლო ამისა შემდგომად რისხჳთა ბ ა ს ი ლ ი მეფისათა ფერსოს თავი წარეკუეთა: რამეთუ განდგომილებაჲ დასწამესო“[297].

მოტანილი ცნობებიდან ჩანს, რომ გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების აღმწერი დიდად აფასებდა ფერის ჯოჯიკის ძის მოღვაწეობას, მაგრამ შეთქმულებაში მისი მონაწილეობის შესახებ მკრთალად მოგვითხრობს და მისი ცნობით გამოდის, თითქოს ეჭვმიტანილი იყო მხოლოდ ფერისი ამ საქმეში.

„ქართლის მატიანის“ ავტორის გადმოცემით, როცა კეისარს განუდგნენ ქსიფე და „წარვეზი, ძე ფოკას განდგომილისა... წარიდგინნეს ქუეყანა აღმოსავლეთისა. და დიდად შეძრწუნდა ამისთჳს ბასილი, გარნა პატივსცა ღმერთმან მასვე, და მოკლა წარვეზი ქსი-

---

[295] ეს გიორგი ბიძა იყო გიორგი მთაწმიდელის. თავის დროზე იგი „იყო მწერალთა ზედა მთავრად კურაპალატისათა“ (ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა, ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, 1901, გვ. 288).

[296] ი ქ ვ ე, გვ. 290.

[297] ი ქ ვ ე.

ფე: და დადგეს რომელნი მორთულ იყვნეს. ხოლო ქსიფეს მიეგო ცრუობა წარვეზისა: რამეთუ შეიტყუეს ციხესა დალასანოსა[298]... შეიპყრეს და მოჰგუარეს ბასილი მეფესა, და მან ექსორია ყო კუნძულსა რომელსამე. და მისთანათა მრავალთა მოჰკუეთა თავი მახვლითა, რომელთა თანა იყო ფერის, ძე ჯოჯიკისი, ბათისავით ტაოელი, სხუანი იყვნეს ბერძენნი"[299].

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო მკაფიო ცნობას ფერის ჯოჯიკის ძის მიერ აჯანყებაში მონაწილეობის შესახებ ბიზანტიელი ისტორიკოსი კედრენე გვაძლევს. მისი მსჯელობიდან იგულისხმება, რომ გიორგი პირველის ბრძოლა ბიზანტიის წინააღმდეგ და შეთქმულთა მიერ მოწყობილი აჯანყება ბიზანტიაში ურთიერთკავშირში მყოფ ერთ მოვლენას წარმოადგენდა. იგი ჯერ მოგვითხრობს, თუ როგორ მოექცა კეისარი გამარჯვების შემდეგ გიორგი ქართველთა მეფეს და მის შვილს ბაგრატს, ხოლო შემდეგ განაგრძობს: „სხვებს კი იმათ რიცხვიდან, ვინც ქსიფიასა და ფოკას ეხმარებოდნენ, ქონება ჩამოართვა და დაატუსაღა, სიკვდილით მხოლოდ პატრიკიოსი ფერსი დასაჯა, რომელიც ყველაზე უწინარეს მიეკედლა აჯანყებულებსო"[300].

1021—1022 წლებში ბიზანტია-საქართველოს შორის წარმოებული ომისა და ბიზანტიაში ბასილ მაკედონელის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში ქართველთა მონაწილეობასთან დაკავშირებით საინტერესოა აგრეთვე ქართველი მოღვაწის, ზაქარია ბერის შესახებ არსებული ცნობები.

არისტარქე ლასტივერტელის ცნობით, როცა ბიზანტიის მთავრობა გიორგი ქართველთა მეფისაგან დავით კურაპალატის ნაქონ ციხეებს მოითხოვდა, გაგზავნა (კეისარმა — ვ. კ.) მასთან (გიორგისთან — ვ. კ.) დესპანები და ტკბილი სიტყვებით სწერდა მას, რომ, რაც მემკვიდრეობით შენი არაა, ხელი აიღე იმაზე და მშვიდობიანად იყავი შენს წილზე და ნუ დამიბრკოლებ გზას სპარსეთისაკენო. მაგრამ მან არ მიიღო ეს წინადადება. შემდეგ ზაქარია ეპისკოპოსი მიუგზავნა, რომელმაც დააჯერა გიორგი და დაუთმო ბასილს, რასაც სთხოვდა. ჩამოართვა ხელწერილი გიორგის

---

[298] თეოფილაქტე დალასანოსი ბასილ კეისრის ერთგული პირი იყო. იაჰია ანტიოქელის ცნობით, ბასილ კეისარმა, როცა აჯანყების ამბავი გაიგო, დალასანოსი ანატოლიის მმართველად გაგზავნა და აჯანყებულთა წინააღმდეგ გარკვეული დავალებები მისცა. (В. Розен, გვ. 64).

[299] ქართლის ცხოვრება, I, დასახ. გამოცემა, გვ. 286—287.

[300] გეორგიკა, V, დასახ. გამოცემა, გვ. 48. არისტარქეს ცნობით კი ფერისის სიძე ანდრონიკეც სიკვდილით დაუსჯიათ (Ματθαίου, გვ. 22).

და სიხარულით წავიდა ბასილთან. მას მალემსრბოლი დაეწია და მოახსენა, რათა ზაქარიას წერილი უკან დაებრუნებინა. ბასილი კი ზაქარიას გაუბრაზდა აჯანყებულებიდან მოგზავნილი ხარო, ბრძანა: ენა მოკვეთეთ და კონსტანტინეპოლს გაგზავნეთ[302]

სომეხი ისტორიკოსის ეს ცნობა რამდენადმე გაუგებარია, ეს გიორგი ქართველთა მეფემ პირობა დაარღვია და ამ საქმეში ზაქარია ბერს არაფერი წილი ედო, რატომ უნდა დაესაჯა კეისარს ასე მკაცრად იგი? მაგრამ ამ გაუგებრობის თავიდან აცილებაში ბიზანტიელი ისტორიკოსის სკილიცეს ცნობა გვეხმარება. იგი შეთქმულთა შორის ზაქარია ბერსაც იხსენიებს და პირდაპირ აღნიშნავს, რომ ზაქარიას „შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ენა მოჭრესო"[303]. თუმცა სკილიცე ზაქარია ბერს 1025 წლის შეთქმულების მონაწილედ და ამის გამო დასჯილად თვლის. მართლაც, ქართველების, კერძოდ, გიორგი პირველის მონაწილეობა 1025 წლის შეთქმულებაში ეჭვმიუტანელი წყაროებით დასტურდება. ძნელია ამ ორი წყაროს შეთანხმება იმის შესახებ, თუ რომელ შეთქმულებაში მიიღო მონაწილეობა ზაქარია ბერმა, მაგრამ ჩვენი მიზნისათვის მთავარი ისაა, რომ ზაქარია ბერი შეთქმულების მონაწილე იყო და ამის გამო დასაჯეს იგი.

სამწუხაროდ, საისტორიო ლიტერატურაში კარგად არ არის გარკვეული ზაქარია ბერის ვინაობა. არისტარქე ლასტივერტელი მას ვალაშკერტელად იხსენიებს. თ. ჟორდანია ფიქრობს, რომ „ვალაშკერტად უნდა იგულისხმებოდეს აწინდელი ალაშკერტი ევფრატის ხეობაში"[304]. მისივე მოსაზრებით, ზაქარია ვალაშკერტელის კათედრა უნდა „ყოფილიყო ის ეკლესია, რომლის ნაშთი 1030 წლის წარწერით იპოვება კაღიზმანის მახლობლად სოფელ ჩანგლში... ჩანს, ქართველ ერს, — წერს თ. ჟორდანია, — იმ დროს სჭერია რამდენიმე ნაწილი ევფრატის ხეობისა და სომხეთისაო"[305]. შესაძლებელია ეს იგივე ვალარშაკერტი იყოს, რომელიც ევფრატის უკიდურეს სათავეში მდებარეობდა[306].

ექვთიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილ და ზაქარია ვალაშკერტელისათვის გადაწერილ ერთ „რჩოვლის კანონის" მინაწერებში

---

[302] Պատմութիւն, დასახ. გამოცემა, გვ. 24—25.

[303] Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, С.-Петербург, 1884, გვ. 9.

[304] ქრონიკები, I, გვ. 155.

[305] იქვე.

[306] იხ. История армянского народа, I, 1944, გვ. 62—63 (რუკა).

ვკითხულობთ: 1) „უფალო იესო ქრისტე... ადიდე შენ მიერითა წარუვალითა დიდებითა ზეცისა სასუფეველსა წმიდა მამათ-მთავარი ზაქარია ვალაშკერტელი“. 2) „ღმერთო, ადიდე ზაქარია მამათ-მთავარი აქა და საუკუნესა“[307].

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. ჟორდანია იმოწმებს ერთი ტყავის წიგნის [illegible], ადიდე ორთავე შინა ცხოვრებათა ზაქარია მამადმთავარი ბანაელ სჳნგელოზი“, და აღნიშნავს, რომ ზაქარია ვალაშკერტელი უნდა „გამხდარიყოს ბანაელ სჳნგელოზადო“[308]. თუ ზაქარია „ვალაშკერტელი“ იყო მაშინ, როცა მას ენა მოჰკვეთეს, ამის შემდეგ ის, რა თქმა უნდა, „ბანაელ სჳნგელოზი“ ვერ გახდებოდა.

თუ შეთქმულების მონაწილე ზაქარია ბერის ზუსტი ვინაობის დადგენა შეუძლებელია, ის კი შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ იგი საქართველოს სამეფოში შემავალი საეკლესიო ობიექტის მამამთავარი კი არა, ქართული პროვინციის, მაგრამ ბიზანტიის იმპერიის მიერ დაპყრობილი რომელიღაც საეკლესიო ცენტრისა და მისი მრევლის მამამთავარია. ამიტომ იყენებს მას ბასილ კეისარი როგორც მოციქულს. ამ შემთხვევაში თ. ჟორდანიას მოსაზრება სწორი უნდა იყოს და არისტარქე ლასტივერტელის ვალაშკერტად ევფრატის ხეობაში არსებული ალაშკერტი უნდა იგულისხმებოდეს, სადაც ბასილ კეისარს ხელი მიუწვდებოდა.

ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ საეკლესიო ცენტრებში მყოფი ქართველი მოღვაწეები მუდამ შევიწროებასა და დამცირებას განიცდიდნენ ბიზანტიელთაგან, ისინი ამით უკმაყოფილო იყვნენ და არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ ზაქარია ვალაშკერტელიც ამ უკმაყოფილოთა რიცხვს ეკუთვნოდეს.

აჯანყებულთა დამარცხების შემდეგ ბიზანტიის კეისარი დიდი ლაშქრით კვლავ ბასიანში მოვიდა და საქართველოს მთავრობას ქართველების მიერ დაკავებული დავით კურაპალატის ნაქონი მიწა-წყალი და ციხე-სიმაგრეები მოსთხოვა. მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორის ხელისუფლებამ შინაგანი შფოთი შეანელა და ახლა ის მთელი თავისი ძალებით საქართველოს პირისპირ დადგა, უკანასკნელს გამარჯვების რწმენა მაინც არ დაუკარგავს და ბიზანტიის იმპერიის წინაშე ქედი არ მოუხრია.

„ქართლის მატიანის“ ავტორის გადმოცემით, „გიორგი მეფემან წარავლინა ზჳადი ერისთავი სპითა მისითა და უბრძანა, რათამცა

---

307 ქრონიკები, I, გვ. 155.

308 იქვე, გვ. 168.

ზავის მიპყრობითა მცირედ-ხან"[309] შეაჩეროს მტერი. ზვიად ერისთავს უკან მიჰყვა მეფე „სპითა ძლიერითა და განიზრახვდა ესრეთ: „უკეთუ ინებოს ომი (ბიზანტიის კეისარმა — ვ. კ.) განვემზადებით მისთჳსცა"[310]. სუმბატ დავითის ძის გადმოცემით, [illegible] ზავის დადება სურდა ბიზანტიის მთავრობასთან, მაგრამ [illegible] ველები — აზნაურები არ დაეთანხმნენ ამაზე და „აზრახეს მას ბრძოლად"[311].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანალოგიურ ცნობას არაბი ისტორიკოსი იაჰია ანტიოქელიც გვაძლევს ამ საკითხზე. ეხება რა გიორგი პირველის მეთაურობით ბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლას, იგი წერს: „საქმე იმაში იყო, რომ გიორგი პირველს ერთი მისი ვაზირი სახელად რ-ფად-ს ურჩევდა"[312] ბასილ კეისრისათვის მიცემული ფიცი და უკანასკნელის ნდობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა, მომზადებულიყო და კეისრისათვის ბრძოლა გაემართაო.

საქართველოს მეფის ხელისუფლების მომხრე პირთა ასეთი მოქმედება იმით უნდა აიხსნას, რომ ბიზანტიის იმპერიის მთავრობის წინადადება დავით კურაპალატის მთელი მიწა-წყლისა და ციხე-სიმაგრეების გადაცემის შესახებ, მძიმე და საშიშ პირობებს უქმნიდა საქართველოს. ასე ხსნის ამას აკად. ივ. ჯავახიშვილიც[313]. ამით, როგორც აღვნიშნეთ, მტერი საქართველოს სიღრმეში შემოდიოდა და ქვეყანას დიდ საფრთხეს უქმნიდა.

საქართველოს ლაშქარმა დასწრება ამჯობინა და მტერს პირველმა გაუმართა ბრძოლა ისე, რომ „თჳთ მეფე გიორგი და უძლიერესი ლაშქარი მისი არღარა მისულ იყო ჯერეთ ყოველადვე"[314].

პირველად უპირატესობა ქართველთა ლაშქარმა იგდო ხელთ და „აოტეს ზოგი ბასილის ლაშქრისა"[315], მაგრამ ბრძოლის სასწო-

---

309 ქართლის ცხოვრება, I, დასახ. გამოცემა, გვ. 287.

310 ი ქ ვ ე.

311 სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, დასახ. გამოცემა, გვ. 70.

312 В. Розен, გვ. 65; ვ. როზენი შენიშნავს, რომ «Р-фа-д-с быть может тождественен с Липаритом Кедрина» (იქვე, 375, შენ. 381). მაგრამ ივანე ჯავახიშვილის სამართლიანი განმარტებით „დედანში თავდაპირველად „ზვადი" ეწერებოდა: რომ აქეთგან „რფად-ი" წარმომდგარიყო, ამისათვის საკმარისი იყო პირველ ასოს წერტილი მერმინდელ გადამწერს მეორე ასოზე გადაეტანა, მაშინ ორთავ ასოების გამოთქმა შეიცვლებოდა. ვინც არაბული ანბანი იცის, მას ამგვარი შეცდომა არ გაიკვირვებსო" (ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, 1948, გვ. 133—134).

313 ი ქ ვ ე. 133.

314 სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, დასახ. გამოცემა, გვ. 71.

315 ი ქ ვ ე. გვ. 70.

რი მალე მტრის მხარეზე გადაიხარა. ქართველთაგან მრავალი ბრძოლას შეეწირა და გამარჯვება ბიზანტიის ლაშქარს ხვდა. ბოისტარქე ლასტივერტელის გადმოცემით, ეს ბრძოლა 1022 წლის 11 სექტემბერს ქ. ერზერუმის ახლოს, შერფთან მომხდარა[316].

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა აღინიშნოს, რომ მთავარ ძალას, რომლისწყალობითაც ბიზანტიამ გამარჯვებას მიაღწია, კიდევ საიმპერიო ხელისუფლების კარზე მყოფი დაქირავებული რუსთა ლაშქარი შეადგენდა, სწორედ მათმა ბრძოლაში ჩაბმამ გადაჭრა ომის ბედი ბიზანტიის სასარგებლოდ. სუმბატ დავითის ძის გადმოცემით, როდესაც ბრძოლა გაჩაღდა „გამოვიდეს მიერ კერძო ტალმანი მეფისანი რუსნი, და არა განერა ერთიცა პირველ მისრულთა მათ თჳნიერ მცირეთასა"[317] ქართველთა ლაშქრიდანო.

მოპირდაპირეთა შორის ისევ დაიწყო ზავზე მოლაპარაკება. საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა მისთვის მეტად მძიმე პირობებზე დათახმებოდა ბიზანტიას. ზავი დაიდო, რომლის თანახმად საიმპერიო ხელისუფლებამ დავით კურაპალატის მთელი მიწა-წყალი მიითვისა. მან საქართველოს მთავრობა იმ მიწა-წყლის გადაცემაზედაც კი აიძულა, რომელიც დავით კურაპალატს ჰქონდა „ტაოსთა... კოლა-არტაანთა და ჯავახეთს"[318]. სწორედ ეს უნდოდა ბიზანტიის მთავრობას, რომლის მეშვეობით მან საქართველოს სიღრმეში შემოდგა ფეხი. ბიზანტიის ვერაგი ხელისუფლება ამითაც არ დაკმაყოფილდა და გიორგი მეფეს თავისი უფროსი შვილი, საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე ბაგრატი, მძევლად გამოართვა იმ პირობით, რომ სამი წლის შემდეგ უკან დააბრუნებდა.

შესაძლებელია ბიზანტიასა და საქართველოს შორის ომი კიდევ გაგრძელებულიყო, მაგრამ ბიზანტიის მხრივ მის დამთავრებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ბიზანტიის იმპერატორს ბასილს „შიში აქუნდა საბერძნეთით კუალადცა განდგომილებისა"[319].

ამრიგად, ხანგრძლივი ბრძოლის დროს, რომელიც საქართველოსა და ბიზანტიას შორის წარმოებდა, ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების მიზანი მარტო დავით კურაპალატის მიწა-წყლის მი-

---

[316] Histoire d'Arménie par Arisdaguès de Lasdiverd, traduite par E-Prud'-homme, გვ. 34; შდრ. Труды В. Г. Василевского, т. I, 1905, გვ. 112.

[317] სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ. 71.

[318] „ქართლის მატიანე", ქართლის ცხოვრება, I, გვ. 288.

[319] სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ. 71.

ტაცება არ ყოფილა, ის ამით იწყებდა საქართველოს საბოლოო დამორჩილებისათვის ბრძოლას. მაგრამ თუ ახლა საქართველომ სამხრეთ ტაოსათვის ბრძოლაში წააგო, იმდენად მაინც მოასწრო საკუთარი ძალების გაერთიანება, რომ ბიზანტიას შემდგომი წინსვლის საშუალება აღარ მისცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბიზანტიამ საქართველოს მართ თავისი ძირითადი მიზანი, მთლიანად დაემორჩილებინა ის, ვერ განახორციელა. მაგრამ 1021—1022 წლების ბრძოლაში დიდი ზიანი მიაყენა მას და იმ დროის კვალობაზე აყვავებული მხარის, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი რაიონების განადგურებასთან ერთად, სამხრეთი ტაოს სამეფოს მიწა-წყალი მთლიანად მიიტაცა.

ოშკის ცნობილი ეკლესიის ერთი წარწერა, სადაც ბასილ II და მისი ძმა კონსტანტინე არიან მოხსენებული, რომელიც, ე. თაყაიშვილის აზრით, „1021—1025 წლებს უნდა მიეკუთვნოთ“[320], გვიდასტურებს, რომ სამხრეთ ტაოსთან ერთად თორთომიც ბიზანტიის ხელში გადასულა და, გასაგებია, სამხრეთი ტაოსა და თორთომის მთელი აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის ვრცელი ტერიტორია, დავით კურაპალატს რომ ეკუთვნოდა, ბიზანტიის იმპერიის ხელში უნდა გადასულიყო.

სამხრეთი ტაოს მიწა-წყლისათვის ბრძოლაში საქართველოს დამარცხების შესახებ და ბაგრატის მძევლად წაყვანასთან დაკავშირებით მ. კახაძე წერდა: „ჩვენ სადაოდ არ მიგვაჩნია, რომ დამპყრობელისაგან მძევლის აყვანა ყველგან და ყოველთვის „დამპყრობელის“ შიშითაა ნაკარნახევი და სადაც მძევალზეა საუბარი, იქ არსად აგრესიის ობიექტი ნამდვილად დაპყრობილი და ბოლომდე დამარცხებული არაა“[321].

ეს საერთოდ სწორი მსჯელობაა, მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიაში არავის გაუხდია სადავოდ საკითხი იმის შესახებ, რომ ამ დროს ბიზანტიას საქართველო არ დაუპყრია: თუ დაიპყრო და საბოლოოდ დაიმორჩილა, მაშინ რაღა საჭირო იყო ათეული წლების განმავლობაში ბრძოლა საკუთარი და საქართველოს შინაგანი რეაქციული ძალების საშუალებით, საქართველოს წინააღმდეგ რომ აწარმოებდა ბიზანტია? ორ მოპირდაპირე მხარეთა შორის სამხრეთი ტაოსათვის ბრძოლაში საქართველო დამარცხდა და მან ეს მხარე

---

[320] Е. Такайшвили, Археологическая экскурсия 1917-го года в Южные провинции Грузии, 1952, გვ. 63.

[321] მ. კახაძე, ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, 1954, გვ. 21.

ვერ დაიბრუნა, მაგრამ ამით სრულებითაც არ შელახულა მისი სუ-
ვერენული სახელმწიფოებრივი მდგომარეობა და ბიზანტიის სიუ-
ზერენობა წინანდებურად ფორმალური დარჩა.

ბიზანტიის გამარჯვება არა მარტო მისი ძალაუფლების აიხ-
სნას, არამედ პატრონყმური საქართველოსა და [illegible]ების შინაგანი მდგომარეობითაც. გავიხსენოთ, რომ კახეთ-ჰერეთი აზნაურთა წყალობით გიორგი I გამეფებისთანავე განუდგა და მტერთან პირველი შებრძოლების დროს თანამემამულეთა ბანაკში არ აღმოჩნდა.

თბილისის საამირო ცალკე განაგრძობდა კიდევ არსებობას და, როგორც „ქართლის მატიანის" ავტორის ცნობიდან ირკვევა, დავით კურაპალატის ქვეშევრდომ აზნაურთა გარკვეული ნაწილიც თავისი ქვეყნის მოღალატისა და ბიზანტიის დამხმარის როლში გამოდიოდა: „ციხენი რომელ პირველ გაეცნეს აზნაურთა დაულოცნა და მისცნა"[322] გიორგიმ ბასილ კეისარსო. ამ გარემოებას დაერთო აგრეთვე ის, რომ ბიზანტიამ შეძლო მოკავშირეები ჩამოეცილებინა საქართველოსათვის.

ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი, თუ როდის უნდა დაწყებულიყო ომი ბიზანტიასა და საქართველოს შორის და როდის დამთავრდა მისი პირველი პერიოდი. მეორე პერიოდის შესახებ წყაროებში ბუნდოვანი და ზოგჯერ ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნობები მოიპოვება. როგორც იაჰია ანტიოქელი გვარწმუნებს, დაზავება ბიზანტიასა და საქართველოს შორის თითქოს 1023—1024 წლებში მომხდარა[323]. მაგრამ ამ თარიღს ქართული და სომხური, და თვით იაჰია ანტიოქელის სხვა ცნობებიც საეჭვოდ ხდიან.

„ქართლის მატიანის" ავტორის ცნობით, როდესაც საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე, ბაგრატ გიორგის ძე, ბასილმა მძევლად წაიყვანა, გიორგი პირველს „აღუთქუა ფიცითა აღთქმა, ვითარმედ: „წელსა მესამესა გამოგიგზავნო ძე შენი". და იყო სამ წელ ქალაქსა სამეფოსა კოსტანტინეპოლეს. და წელსა მესამეს გაძოგზავნა ვითარცა აღუთქვა"[324]. ეს ცნობა ბუნდოვანია და არ ჩანს სამი წლის შემდეგ დააბრუნა კეისარმა ბაგრატი სამშობლოში თუ მესამე წელს.

როგორც სუმბატ დავითის ძე ამტკიცებს, დაზავების შემდეგ, „წარვიდა ბერძენთა მეფე ბასილი და თანა წარიტანა ბაგრატ ყრმა

---

[322] „ქართლის მატიანე", ქართლის ცხოვრება, I, გვ. 288.
[323] В. Розен, გვ. 65—66.
[324] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 289.

მცირე და აღუთქვა გიორგის წარმოგზავნა ბაგრატისი შემდგომად სამისა წლისა. გარდაჴდეს რა სამნი წელნი, მაშინ წარმოგზავნა ბასილი მეფემან ქალაქით კონსტანტინეპოლით ბაგრატ ძე გიორგისა, ვითარცა იგი აღუთქუა"[325]. იაჰია ანტიოქელის ცნობით კი, კეისარს ბაგრატი თითქოს იმ პირობით წაუყვანია, რომ მხოლოდ [illegible] განმავლობაში უნდა ჰყოლოდა იგი ბიზანტიაში, [illegible] ლი.[326]

სუმბატ დავითის ძის ცნობა უფრო დამაჯერებლად გამოიყურება, მისი ავტორი სხვა ავტორებთან შედარებით მოკლენის უფრო ახლო თანამედროვე უნდა იყოს. მისი აზრით, ბრძოლა საქართველოსა და ბიზანტიას შორის 1023 წელს კი არ დამთავრებულა, როგორც იაჰია ანტიოქელი ფიქრობს, არამედ 1022 წლის დამლევს.

„ცნობილია, რომ კეისრის მიერ განთავისუფლებული და კონსტანტინეპოლიდან წამოსული ბაგრატ გიორგის ძე ჯერ კიდევ თავის სამშობლოს საზღვრებში შემოსული არ იყო, რომ ბასილ II გარდაიცვალა. ბიზანტიის მბრძანებლის გარდაცვალების შესახებ ოშკის წარწერაში ვკითხულობთ: „გარდაიცვალა თჳ მპყრობელი წმიდაჲ მეფჱ ბერძენთაჲ ბასილი, ქორონიკონსა სმე (=245). თთვესა დეკენბერსა იბ"[327], ე. ი. ამ ცნობის თანახმად, ბასილ კეისარი 1025 წლის 12 დეკემბერს გარდაიცვალა (თუმცა ბიზანტიური წყაროები ბასილ კეისრის გარდაცვალების თარიღად 1025 წლის 15 დეკემბერს ასახელებენ, მაგრამ ამ მცირე განსხვავებას აქ ჩვენი მიზნისათვის მნიშვნელობა არა აქვს). თუ ბასილი 1025 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში გარდაიცვალა და ეს ბაგრატის განთავისუფლებისა და კონსტანტინეპოლიდან წამოსვლის შემდეგ ისე ჩქარა მოხდა, რომ ბასილის გარდაცვალებამდე საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრემ თავის სამშობლოს საზღვრებში შემოსვლა ვერ მოასწრო, ბაგრატის კონსტანტინეპოლიდან გამომგზავრება დეკემბრის დასაწყისში უნდა ვიგულისხმოთ. ეს გარემოება არაბი ისტორიკოსის, იაჰია ანტიოქელის სიტყვებითაც მტკიცდება. ის გადმოგვცემს, რომ „გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე ბასილ მეფემ გიორგი აფხაზთა მეფის ძე ბაგრატი გაათავისუფლაო"[328].

იაჰია ანტიოქელის ცნობას თუ დავუჯერებთ, რომ ბაგრატ უფლისწული კეისარმა ორი წლის ვადით წაიყვანა, მაშინ თითქოს

---

[325] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 289.
[326] В. Розен, გვ. 65.
[327] სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ. 87.
[328] В. Розен, გვ. 70.

საკითხი გარკვეულია და 1025 წლის დეკემბრის ფარგლებიდან ეს ორ წელს გამოვაკლებთ, ომი 1023 წლის დამლევს დამთავრებულა, რაც ომის დამთავრების იაჰიასეულ თარიღს ამართლებს.

ეხებოდა რა ბიზანტია-საქართველოს შორის ომის დაწყების საკითხს, აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „ეს ხდება იაჰია ანტიოქელის სიტყვით 1023—1024 წ. ყოფილა დადებული. ქართველი მემატიანის სიტყვებითგანაც ჩანს, — განაგრძობს ავტორი,— რომ ეს ზავი დადებული ყოფილა 1023 წელს"[329]. მაგრამ იქვე შენიშნავდა, რომ „თუმც მტ´ნე ქ´ჲ-ს ეს თარიღი პირდაპირ დასახელებული არა აქვს, მაგრამ იქ აღნიშნულია, რომ ამ ზავის ჩამოგდების დროს მძევლად წაყვანილი ბაგრატ უფლისწული კეისარს საქართველოში 1025 წელს... დაუბრუნებია... ამასთანავე მასვე მოხსენებული აქვს, რომ ბაგრატი კეისარს კონსტანტინეპოლიდან საშობლოში გამოუსტუმრებია „წელსა მესამესა"... მაშასადამე უფლისწულს ბიზანტიაში დაუყვია სრული 2 წელიწადი და რამდენიმე თვე. თუ ამ 2 წელიწადს მისი დაბრუნების თარიღს 1025 წ. გამოვაკლებთ ჩვენ დაგვრჩება 1023 წ. მისი კონსტანტინეპოლში წამოყვანისა და ზავის ჩამოგდების თარიღიო"[330].

როგორც ჩანს, მკვლევარს წყაროების წინააღმდეგობა უგრძნია და მას მხოლოდ „ქართლის მატიანის" იმ ცნობისათვის გაუწევია ანგარიში, რომელიც ბაგრატის უკან დაბრუნებას „წელსა მესამესა" აღიარებს და არა იმ ცნობებისათვის, რომლებიც გადმოგვცემს, რომ ბაგრატმა სამი წელი დაჰყო მძევლობაში.

იაჰია ანტიოქელის სხვა ცნობების თანახმად, ანტიოქიის მმართველის, ნიკიფორე ქსიფესა და ნიკიფორე ფოკას შეთანხმება და კეისრის წინააღმდეგ მათი გამოსვლა 1022 წლის პირველ ნახევარში მომხდარა. ქსიფეს განკარგულებით ფოკას მკვლელობის აქტი 1022 წლის 15 აგვისტოს შეუსრულებიათ[331]. ამის შემდეგ აჯანყებულები, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურობა დალასანოსს ჰქონდა მინდობილი, დაიქსაქსენ და, როგორც წყაროებიდან ჩანს, საქართველოს წინააღმდეგ გამზადებული ლაშქარი იმპერატორს აჯანყებულთა წინააღმდეგ არ გაუგზავნია. ე. ი. კეისრის ხელისუფლება მზად იყო და მას შესაძლებლობა ჰქონდა აჯანყების დამარცხებისთანავე საქართველოს წინააღმდეგ ემოქმედა. საიმპერიო

---

[329] ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 134.

[330] იქვე, შენ. 2.

[331] В. Розен, გვ. 64.

ხელისუფლების ინტერესებიც ამას მოითხოვდა და მართლაც, როგორც ზემოთ გავეცანით, მეორე დიდი ბრძოლა ბიზანტიელებსა და ქართველებს შორის 1022 წლის 11 სექტემბერს მომხდარა, სადაც ქართველები დამარცხებულან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ არისტარქე ლასტივერტელის ამ ცნობას ვენდობით, თანავე გავითვალისწინებთ „ქართლის მატიანის“ ავტორისა და სუმბატ დავითის ძის ნათქვამს, რომ ქართველების დამარცხებისა და უკან დახევის შემდეგ ბიზანტიის ლაშქრის სარდლობას კი არ შეუწყვეტია ბრძოლა, არამედ „წარმოუდგა... უკანა“ ქართველებს და აიძულა ისინი მათთვის მეტად არახელსაყრელ ზავზე დათანხმებოდნენ მტერს, და ამას დავუმატებთ იგივე ავტორების ცნობებს იმის შესახებ, რომ 1025 წლის დეკემბრის თვეში განთავისუფლებულმა ბაგრატმა სამი წელი დაჰყო მძევლობაში, მაშინ ომის დამთავრება და ბიზანტია-საქართველოს შორის ზავის დადება 1022 წლის დამლევს უნდა ვიგულისხმოთ.

*
* *

ბასილის მმართველობის უკანასკნელ ხანებში ბიზანტიის იმპერიას უდიდესი წარმატებები ჰქონდა მოპოვებული როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. ეს იმპერია ახლა დუნაიდან ევფრატამდე იყო გადაჭიმული. საქართველოსთან ზავის დადებისა და სამხრეთი ტაოს ხელმეორედ მიტაცების საკითხის მოგვარების შემდეგ, ჩანს, საიმპერიო ხელისუფლებამ დასავლეთისაკენ გადაიტანა მთავარი ყურადღება და 1025 წლის აპრილის თვეში საჟურის ორესტის მეთაურობით სიცილიის ექსპედიცია გაამზადა[332].

ორესტს სამხრეთ იტალიის კატეპან ბოიოიანთან ერთად კუნძულ სიცილიის დაპყრობა დაევალა. დასავლეთში განზრახული რთული ოპერაციების გამო ბასილ კეისარს აღმოსავლეთში, კერძოდ, საქართველოს წინააღმდეგ, ბრძოლა აღარ განუახლებია. პირიქით, მან, დათქმული ვადის გასვლის შემდეგ, საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე, ბაგრატ გიორგის ძე გაათავისუფლა და უკან გამოგზავნა. განზრახული იყო, რომ სიცილიის ექსპედიციაში თვით ბასილსაც უნდა მიეღო მონაწილეობა. მაგრამ ამ დროს ბა-

---

[332] Ф. И. Успенский, История Византийской империи, т. III, 1948, გვ. 33; История Византии, II, 1967, გვ. 225.

სილი გარდაიცვალა და ექსპედიციაში მონაწილეობა ვერ მოასწრო. ხოლო ორესტისა და კატეპან ბოიოიანის ხელმძღვანელობით სიცილიაზე მოწყობილმა ექსპედიციამ მარცხი განიცადა.

ბასილ კეისრის ძმამ და შემცვლელმა კონსტანტინე, მერვემ, დასავლეთის ფრონტის ხელმძღვანელობისა და გაძლიერების ნაცვლად, ბასილის გარდაცვალებისთანავე საქართველოსთან მტრული დამოკიდებულება განაახლა. ამ მტრული დამოკიდებულების პირველი ნაბიჯი იმაში გამოიხატა, რომ ბასილის მიერ განთავისუფლებულ ბაგრატ გიორგის ძეს დაუყოვნებლივ დაადევნა „მანდატურნი", რათა იგი უკან დაებრუნებინათ.

სუმბატ დავითის ძე ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: კონსტანტინეპოლიდან წამოსული „მოიწია ბაგრატ ტაოს და შემოვიდა თჳსსა მამულსა ბანას. თანა-მოყოლითა მისად კატაბანისა აღმოსავლისათა ზღურამდე ბაგრატის მამულისა... ხოლო შერაიქცა კატაბანი იგი, მოემთხუევნეს მას მანდატურნი წიგნითა ესრეთ წერილითა, ვითარმედ, „მიიცვალა ბასილი მეფე, ძმა ჩემი და ვიქმენ მე მეფე ყოვლისა საბერძნეთისა, და აწ სადაცალა მოწვეულ იყოს საჴელმწიფოსა შინა[333] ძე გიორგისი ბაგრატ გარეგე აქციე იგი სწრაფით და წინაშე ჩუენსა მოგზევნე"[334]. ამ ბრძანების წამკითხველი კატეპანი „მსწრაფლ მოიქცა და დევნა უყო ბაგრატს, გარნა ვერა ეწია მას, რამეთუ თჳსსა მამულსა შემოსრულ იყო იგი"[335].

კატეპანმა ველარ მიუსწრო ბაგრატს თავის სამოქმედო მიწაწყალზე; იმ დროს წამოეწია, როდესაც უკანასკნელი თავისი სამეფოს საზღვრებში შემოვიდა, ამიტომ კატეპანმა კეისრის ბრძანება ვერ შეასრულა და უკან დაბრუნდა. ამ ამბავს „ქართლის მატიანის" ავტორი ასე მოგვითხრობს: კეისრის ბრძანების შესასრულებლად უკან დაბრუნებული კატეპანი, როდესაც ბაგრატს „მოეახლა, იხილა, რომელ სიმრავლე დიდძალი მიგებებულიყო წინა: დიდებულნი, ერისთავნი და აზნაურნი ტაოელნი, მესხნი და ქართველნი, რომელთა არა იყო რიცხჳ სიმრავლისა მათისა. შეიქცა გარე და უთხრა მანდატურსა, რომელი მოწეულ იყო: უკეთუ ძალ გიც შენ, აქციე, ჩემგან კულა ესე აღარა ეგებისო"[336].

---

[333] „ქართლის მატიანის" ავტორის ნაშრომში ეს ადგილი ასე იკითხება: „მიწევნულ იყოს განსაგებულსა შენსა".

[334] სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ. 71.

[335] ი ქ ვ ე.

[336] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 289.

ე. ი. პროვინციის მმართველმა — კატეპანმა კეისრის მიერ გამოგზავნილ კაცს უთხრა, რომ ჩემგან ახლა ეს შეუძლებელია, და შენ თუ შეგიძლია დააბრუნეო. სუმბატ დავითის ძე ბედნიერ მოვლენად თვლის ბაგრატის მიერ ბიზანტიელთაგან თავის დაღწევას და წერს: „ეჰა დიდი საკვრველი მოწყალება ღმრთისა, ვინცა განერა მართალი ჴელთაგან შემპყრობელთა და მტერთა მისთასა"[337].

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე კეისრის მიერ ბაგრატ გიორგის ძის უკან დაბრუნებისათვის ზომების მიღება შემთხვევითი არ იყო; იგი გარკვეულ პოლიტიკურ ამბებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. როგორც ცნობილია, მაკედონელთა დინასტიის წარმომადგენლებსა და ბიზანტიის მსხვილ ფეოდალურ არისტოკრატიას შორის წარმოებული ბრძოლა ნიკიფორე ფოკასა და ნიკიფორე ქსიფეს დამარცხებითაც არ დამთავრებულა. მსხვილი არისტოკრატიის გამოსვლა დროებით იქნა შეჩერებული და ის ხელსაყრელ მომენტს უცდიდა განზრახვის განსახორციელებლად. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადაიდგა მაღალი თანამდებობის მქონე არისტოკრატიის წევრების მიერ მაშინ, როცა ხელისუფლება ბასილ მაკედონელიდან მისი ძმის, კონსტანტინეს ხელში გადადიოდა[338]. სიკვდილის წინა დღეებში ბასილ მეორეს ხელი შეუშალეს, გამოეძახებინა ნიკეიდან მისი ძმა კონსტანტინე და მეფობა დაელოცა მისთვის[339]. მაგრამ, როცა ბასილი გარდაიცვალა და კონსტანტინე ტახტს იკავებდა 1025 წელს, შეთქმულების მომხრეებმა ვერ შეძლეს გაბედული მოქმედება: მათი საქმიანობა ვერ გასცილდა სამზადისს, რომელიც კონსტანტინეს ტახტზე ასვლისთანავე იქნა აღმოჩენილი[340].

ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების საწინააღმდეგო მოძრაობას ყველაზე მეტი საფუძველი საკეისროს მიერ დაპყრობილ, ეკონომიურად შევიწროებულ და თავისუფლება წართმეული ქვეყნებში გააჩნდა. ამიტომ, შემთხვევითი როდია, რომ კონსტანტინე კეისრის წინააღმდეგ დაწყებული მოძრაობის ცენტრად, 1022 წელს ბიზანტიელთა მიერ დაპყრობილი ვასპურაკანის ყოფილი სამეფო იქცა, ხოლო მოძრაობას სათავეში ბასილ მეორის სიკოცხლეში ვასპურაკანის მმართველად დანიშნული ნიკიფორე კომნენოსი ჩაუდგა[341].

---

[337] სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ. 72.

[338] Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, გვ. 6.

[339] იქვე.

[340] იქვე, გვ. 7.

[341] იქვე.

არისტარქე ლასტივერტელის გადმოცემით, კონსტანტინე VIII თითქოს მშვიდობის მოყვარე იყო და მის დროს „განისვენა ქვეყანამ... მაგრამ იყო ვინმე კომნიანოსი კაცი მამაცი და ბრძოლის მოყვარე, რომელიც დაედგინა მის (კონსტანტინეს — ვ. კ.) ძმას (ბასილს — ვ. კ.) ვასპურაკანის მხარის მთავრად. მან ბევრი ნაკეთები მამაცობისა გამოაჩინა... და განითქვა სახელი ბერძენ-აღმოსავლეთში. მან მეფის (ბასილის — ვ. კ.) სიკვდილის შემდეგ ცუდი რამ განიზრახა — შეკავშირებოდა გიორგის და გამეფებულიყო აღმოსავლეთში“[342].

ამ ცნობის საფუძველზე ნ. სკაბალანოვიჩი წერდა: «У Комнина была преступная мысль сделаться царем востока и для этого он заключил даже договор с Георгием, царем Абхазским»[343].

არისტარქე ლასტივერტელის ზემოაღნიშნულ ცნობას არაბი ისტორიკოსი, იაჰია ანტიოქელიც ადასტურებს. თუმცა იგი გიორგი ქართველთა მეფის შეთქმულებასთან კავშირზე არაფერს ამბობს, მაგრამ აღნიშნავს, რომ სამეფო კარის ზოგიერთმა მოხელემ კონსტანტინეს წინააღმდეგ შეთქმულება განიზრახა: უნდოდათ ბარდა ფოკას ერთ-ერთი შვილი გაემეფებინათ[344], მაგრამ შეთქმულება მალე აღმოჩნდა და მისი მონაწილეებიდან ბევრს კონსტანტინემ თვალები დასთხარაო[345].

ეჭვს გარეშე, გიორგი პირველისა და ნიკიფორე კომნენოსის შეთანხმებას, ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების ზოგიერთ დიდთანამდებობის პირთა ჩანაფიქრთან ერთად, ბასილის სიცოცხლეში უნდა ჩაყროდა საფუძველი. არისტარქე ლასტივერტელის გადმოცემით, ბასილმა იმ დროს, როცა კეისარი კონსტანტინეპოლში იმყოფებოდა ბრძანება გასცა, მარბენალი გაეგზავნათ და წერილობითი განკარგულება გაეტანებინათ ნიკეის მხარეში მყოფ კონსტანტინესთან, რომ ის დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო დედაქალაქში. ხელქვეითებმა წერილის გაგზავნა შეაჩერეს; მათ არ სურდათ კონსტანტინეს გამეფება. ბასილისათვის გასაგები გახდა მათი ვერა-

---

342 Պատմութիւն, დასახ. გამოცემა, გვ. 30.

343 Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, დასახ. გამოცემა, გვ. 8.

344 კედრენეს ცნობით, ბარდა ფოკას ძე, შვილი მოჯანყე ბარდა ფოკასი, თითქოს ცრუ დასმენის შედეგად დასაჯა კონსტანტინემ (В. Розен, Император Василий Болгаробойца, გვ. 385, შენ. 414).

345 В. Розен, გვ. 70.

გობა; იგი ავადმყოფი ადგა ლოგინიდან და სათანადო ზომები მიიღო: კონსტანტინე სასწრაფოდ იქნა მოყვანილი ნიკეიდან. ბასილმა მას გვირგვინი დაადგა და იმპერატორად გამოაცხადა, თვითონ კი დაწვა და ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა[346].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანს, ბასილ კეისრისათვის მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში გასაგები გახდა შეთქმულებისათვის მზადება, მაგრამ ზომების მიღება ვერ მოასწრო და, იმავე ისტორიკოსის გადმოცემით, სიკვდილის წინ კონსტანტინეს დაუბარა, რომ მოჯანყეები სასტიკად დაესაჯა.

როგორც აღვნიშნეთ, ბასილი ისე ჩქარა გარდაიცვალა, რომ მის სიცოცხლეში საქმის გამოძიების დაწყებაც ვერ მოესწრო. ე. ი. მისთვის ცნობილი არ უნდა ყოფილიყო შეთქმულებაში გიორგის მონაწილეობა. კონსტანტინეს გამეფებისთანავე შეთქმულთა მეთაური ნიკიფორე კომნენოსი დედაქალაქში გამოიძახეს, და თანამოაზრეებთან ერთად მკაცრად დასაჯეს.

ბერძენი ისტორიკოსი სკილიცე, რომელიც ცდილობს ნიკიფორე კომნენოსის უდანაშაულობა და უკანონოდ დასჯა დაამტკიცოს, აღნიშნავს, რომ კომნენოსმა არაბებთან შეტაკების დროს თავის ლაშქარს ფიცი ჩამოართვა, რომ სიკვდილამდე იბრძოლებდნენ და დაიხოცებოდნენ სტრატეგოსთან ერთად[347]. ნ. სკაბალანოვიჩი კომენტარს უკეთებს სკილიცეს ამ ცნობას და აღნიშნავს, რომ კომნენოსმა ფიცი და ხელწერილი ჩამოართვა ლაშქარს არა სტრატეგოსის, არამედ იმპერატორის ერთგულებაზე[348]. სკილიცეს ცნობას იმეორებს ბიზანტიელი ისტორიკოსი კედრენე. ვ. როზენი, იხილავს რა კედრენეს ამ ცნობას, შენიშნავს, რომ «Комнин пострадал совсем не без вины, как нас уверяет Кедрин»[349].

ამრიგად, ნიკიფორე კომნენოსის მიმართ მკაცრი სასჯელის გამოტანა უსაფუძვლოდ არ უნდა მომხდარიყო და არისტარქე ლასტივერტელის ცნობა, როგორც ამას ნ. სკაბალანოვიჩი და ვ. როზენი ფიქრობენ, უფრო ნდობის ღირსია, ვიდრე სკილიცესა და კედრენესი.

ქართველი ხალხი და მისი მმართველი წრეები, რომელთა მიმართ ვერაგისა და მტარვალის როლი შეასრულა ბიზანტიის ხელი-

---

346 Պատմութիւն, დასახ. გამოცემა, გვ. 28—29.

347 Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, დასახ. გამოცემა, გვ. 7.

348 იქვე.

349 В. Розен, გვ. 385—386, შენ. 418.

სუფლებამ 1021—1022 წლებში[350], არ შეიძლებოდა რევანშისა და წაგებული საქმის გამოსწორების მოლოდინში არ ყოფილიყვნენ. გიორგი პირველის ხელისუფლება საქართველოში და ბიზანტიელთა დინასტიის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები ბიზანტიაში, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ურთიერთკავშირში იყვნენ დაინტერესებული და ყოველგვარი მოძრაობა ბასილისა თუ კონსტანტინეს ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული, გიორგი პირველისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო. ამიტომ, არისტარქე ლასტივერტელის ცნობა ნიკიფორე კომნენოსის და გიორგი პირველის ურთიერთკავშირის შესახებ, მომხდარი ფაქტის დამადასტურებელ საბუთად უნდა ჩაითვალოს.

თუ კონსტანტინე კეისრის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობის ცენტრი ვასპურაკანი იყო და ამ მოძრაობის სათავეში ნიკიფორე კომნენოსი იდგა, გასაგებია, ჯერ კიდევ ბასილის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში კონსტანტინეს გამეფების წინააღმდეგ მომხდარი ხელყოფა კომნენოსის გარეშე არ შეიძლებოდა მომხდარიყო. ამასთანავე, როგორც არისტარქეს ცნობას გავეცანით, ეს ამბები გიორგისათვის, როგორც კომნენოსის მოკავშირისათვის, ცნობილი უნდა ყოფილიყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ნათელია, რომ საქართველოს 1022 წლის შემდეგაც ერთი წუთით არ მოუხსნია დღის წესრიგიდან ბიზანტიის მიერ უკანონოდ მიტაცებული ქართველთა მიწა-წყლის დაბრუნებისათვის ბრძოლა. გიორგის კავშირი ნიკიფორე კომნენოსთან უსათუოდ ამ მიზანს ემსახურებოდა, მაგრამ ის ბასილის გარდაცვალებისთანავე გამომქღავნდა და ბაგრატ მეოთხის უკან დაბრუნებისათვის სასწრაფო ზომების მიღებაც ამ ამბის გამომქღავნებას უნდა მოჰყოლოდა შედეგად.

---

350 ამ წიგნის აწყობის შემდეგ გამოქვეყნდა ო. ცქიტიშვილის სტატია—„მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის მეფობის ხანაში" („მაცნე", № 4, 1968). სამწუხაროდ, ავტორის მოსაზრებებისა და სტატიაზე დართული მასალების გათვალისწინება ტექნიკური მიზეზის გამო ვერ მოვახერხეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი III

ბიზანტიის აგრესია XI ს. 30—40-იან წლებში და საქართველოს სოციალური ფენები

§ 6. ბიზანტიელთა შემოჭრა საქართველოს სამეფოს ტერიტორიაზე. დემეტრე უფლისწული

საქართველოს მიერ ბიზანტიის შინაპოლიტიკურ ბრძოლებში ხშირი მონაწილეობა, საიმპერიო ხელისუფლების წინააღმდეგ რომ იყო მიმართული, კიდევ უფრო აქეზებდა მას ეზრუნა საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობისათვის.

ბიზანტიის ხელისუფლების გადაწყვეტილება ბაგრატის უკან დაბრუნების შესახებ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი პრაქტიკული ნაბიჯი იყო. ეჰვს გარეშე, ბიზანტიის მთავრობას განზრახული ჰქონდა ემოქმედა საქართველოს სამეფოზე ისე, როგორც მან მომდევნო წლებში ანისის სამეფოს მიმართ გააკეთა.

აკად. ვ. ვასილევსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ბასილ მეორის უკაცური და უმოქმედო ძმა, კონსტანტინე VIII, „მთელი თავისი მეფობის განმავლობაში (1025 — 1028 წწ.) ჰიპოდრომებით და თეატრებით უფრო იყო დაკავებული, ვიდრე მტრებისაგან საზღვრების დაცვით. მტრებს შორის კი ყველაზე საშიში სარკინოზები იყვნენ“[1]. როგორც აღვნიშნეთ, ბასილ კეისრის მიერ მომზადებული და სიცილიაში გაგზავნილი ექსპედიცია მარცხით დამთავრდა და ამის შემდეგ კონსტანტინეს მთავრობას იქ მნიშვნელოვანი ოპერაციები აღარ უწარმოებია, სამაგიეროდ მან საქართველოს დასაპყრობად დაიწყო აქტიური მოქმედება.

---

[1] Труды, т. I, гз. 212

ბასილ II გარდაცვალების დღიდან ბიზანტიის შინაპოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეული ცვლილება ხდება. ბიზანტიის იმპერიის ერთადერთი მმართველი, რომელმაც შედარებით სხვა იმპერატორებთან უფრო გაბედულად სცადა საზღვარი დაედო, იმპერიის მსხვილ მიწათმფლობელთა გაუმაძღარი მადა ბასილ II იყო. თუმცა, თანმიმდევრული არც ის იყო წვრილ ... ნეობის გაჩანაგების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ მან წინა დროის კეისრებთან შედარებით შეძლო ერთდაგვარი პრაქტიკული ნაბიჯი გადაედგა ამ საქმეში. იმპერატორმა ხელში აიღო აგრეთვე არმიის ხელმძღვანელობაც, რასაც მტკივნეულად განიცდიდა მაღალი სამხედრო არისტოკრატია[2].

ბასილის გარდაცვალების შემდეგ ბიზანტიის ხელისუფლება თანდათანობით ანელებს მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდის შეზღუდვის პრაქტიკას. ამ გარემოებას, რომლის განმარტებას ქვემოთ შევეცდებით, ერთდაგვარად ხელი უნდა შეეწყო ბიზანტიის მოსაზღვრე საქართველოს რაიონებიდან დიდი აზნაურების ბიზანტიისაკენ მიდრეკილებისათვის.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ XI საუკუნის დასაწყისიდან ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობაში ახალი ხანა იწყება, ამიერიდან ბიზანტიის იმპერიას ძირითადად გაერთიანებულ საქართველოსთან აქვს საქმე და მას აღარ შეუძლია საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების ურთიერთშორის მტრობა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. მაგრამ კვლავ ადგილი აქვს ქართველ უფლისწულთა შორის ბრძოლას ბიზანტიის სასარგებლოდ. ამასთანავე ამავე საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობაში ბიზანტიის აგრესიული პოლიტიკის ხელშემწყობი სხვა მოვლენა იჩენს თავს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ამიერიდან საიმპერიო ხელისუფლება ახალ მოკავშირეებს გაიჩენს საქართველოში მსხვილი ფეოდალების სახით და მათი დახმარებით XI საუკუნის სამოციან წლებამდე ძლიერ ბრძოლას აწარმოებს საქართველოს დასასუსტებლად, მის დასამორჩილებლად.

1027 წელს გიორგი I გარდაიცვალა და საქართველოს სამეფო ტახტზე მცირეწლოვანი ბაგრატ IV ავიდა. ბიზანტიის ხელისუფლებამ გააძლიერა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რაიონებში აგენტურა მხარეთა მფლობელების, დიდი აზნაურების გადასაბირებლად. უკანასკნელებმაც ბიზანტიის მხარეზე გადასვლა სასარგებ-

---

[2] История Византии, II, 1967, გვ. 218.

ლოდ დაინახეს და, სუმბატ დავითის ძის გადმოცემით, ბაგრატის გაშეფებისთანავე „აზნაურნი ტაოელნი წარვიდეს საბერძნეთს: ვაჩე კარიჭის ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოანე, და ამათთან უმრავლესნი აზნაურნი ტაოსა, რომელნიმე ციხოვანნი და რომელნიმე ... ნი განუდგეს ბაგრატს და მიერთნეს კონსტანტინეს, ... ბერძენთა მეფისასა"[3].

ბიზანტიის მხარეზე გადასულ აზნაურთა მიზნების გასათვალისწინებლად ინტერესმოკლებული არ არის იმის გარკვევა, თუ ვინ არის ბიზანტიის ორიენტაციის მომხრე. ვინც კეისარს ფაქტიურად მიემხრო ყველა თანაბრად არის დაინტერესებული ამით, თუ გარკვეული პირების ინტერესებიდან გამომდინარეობს მათი მოქმედება?

ტაოს აზნაურთა ურთიერთობაზე სწორი წარმოდგენა რომ გვქონდეს, ვიცოდეთ თუ რა დამოკიდებულებაში არიან დანარჩენი აზნაურები, მაგ. ვაჩე კარიჭის ძესთან და მისი რანგის პირებთან, მაშინ საკითხი გასაგები იქნებოდა.

ზემოაღნიშნულ ცნობას კი იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ვაჩე კარიჭის ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოანე წარმმართველი პირები არიან, ხოლო „ამათთან" ერთად წასულნი ვაჩესა და იოანეს ნება-სურვილის მიხედვით მოქმედებენ. სწორედ ამ უკანასკნელთა ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს ბიზანტიის მხარეზე გადასვლა. მათი რანგის ადამიანებისათვის უკვე შექმნილია ხელსაყრელი პირობები ბიზანტიაში. ამიტომაც შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ბასილის გარდაცვალების შემდეგ, კონსტანტინეს მიერ მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდის შემზღუდველი კანონების გაუქმებისთანავე, უფრო აშკარა ხდება ტაო-კლარჯეთის აზნაურთა მისწრაფება ბიზანტიისაკენ.

ქართველ მსხვილ ფეოდალთა ბიზანტიის მხარეზე გადასვლის მიზეზის ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას მეზობელი სომხეთის მაგალითიც გვიდასტურებს. როცა ბიზანტიის იმპერიამ საფრთხის წინაშე დააყენა ბაგრატუნიანთა სამფლობელოს — ანისის სამეფოს არსებობის საკითხი, სომეხმა მსხვილმა ნახარარებმა ბიზანტიის იმპერიის მხარის დაჭერის გზა აირჩიეს, დაეხმარნენ მას საკუთარი ქვეყნის, ანისის მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში იმიტომ,

---

[3] სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ. 72; შდრ. „ქართლის მატიანე", ქართლის ცხოვრება, I, გვ. 291. ამ საკითხზე იხილეთ აგრეთვე ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 135.

რომ უკანასკნელი სომხეთის მსხვილ ნახარართა გაძლიერების წინააღმდეგ, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისათვის იბრძოდა. ჩანს, სომეხი ნახარარებიც ბიზანტიის ხელისუფლებისადმი მორჩილებას ამჯობინებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებამ საქართველოში ლაშქრობისა და ამ ქვეყნის დამორჩილების პირობები შეამზადა. საქართველოსთან 1022 წელს დადებული ზავის პირობებიც ფეხქვეშ გათელა და ბაგრატის გამეფების მეორე წელს ქვეყნის დასაპყრობად ძლიერი ლაშქარი გამოგზავნა. ამ ლაშქრობის ამბავს „ქართლის მატიანის" ავტორი ასე მოგვითხრობს: „კონსტანტინე მეფემან, მოქცევასა ოდენ წელიწდისასა[4] გამოგზავნა პარკიმანოზი ლაშქრითა ურიცხჳთა, მოვიდა და ჩამოდგა, და მოაოჯრნა იგივე ქუეყანანი, რომელნი ბასილი მეფესა მოეოჯრნეს"[5].

იაჰია ანტიოქელის ერთი ცნობის თანახმად, თითქოს ქართველების მოქმედება იყო იმის მიზეზი, რომ კონსტანტინე კეისარმა საქართველოს მოსარბევად ლაშქარი გამოგზავნა. როცა მცირეწლოვანი ბაგრატი გამეფდა, სამეფო კარის მოხელეებმა ურჩიეს მას გამოეყენებინა ხელსაყრელი დრო და მოეთხოვა კეისრისაგან „იმ ციხეების დაბრუნება, რომლებიც მისმა მამამ ბასილ მეფეს დაუთმო"[6]. მემატიანე განაგრძობს, რომ კონსტანტინე კეისარმა მეფობის მესამე წელს ნიკოლოზ „პარაკიმომენის" მეთაურობით დიდი ჯარი გამოგზავნა და საქართველო მოარბიაო"[7].

ქართულ წყაროებში ანალოგიური ცნობა ჩვენ არა გვაქვს. არც ერთი ქართული წყარო არ ასახელებს იმის მიზეზს, თუ რა საბაბით დაარღვია კონსტანტინე კეისრის მთავრობამ ბასილ II და გიორგი I შორის დადებული შეთანხმება. მაგრამ არაბი ისტორიკოსის ზემოთ მოტანილი ცნობა საყურადღებოა და ადვილი შესაძლებელია, როგორც გიორგი პირველის მოღვაწეობის დროს, ახლაც საქართველოს მეფის ხელისუფლების ერთგულ პირებს მცირეწლოვანი მეფისათვის აღნიშნული წინადადებით მიემართათ.

---

[4] ივ. ჯავახიშვილი აქ კონსტანტინე კეისრის გამეფების მეორე წელს გულისხმობს (ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 135). ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ ბაგრატის გამეფების მეორე წელი იგულისხმება. ეს ლაშქრობა 1028 წელს იყო და სწორედ ეს წელი ბაგრატის გამეფების მეორე წელია. კონსტანტინე კი, როგორც ვიცით, 1025 წელს გამეფდა.

[5] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 291—292.

[6] В. Розен, გვ. 70.

[7] იქვე.

ქართველ წარჩინებულთა ეს მოთხოვნა სრულიად გონივრული იყო. მათი წინადადება ალბათ იმ ციხეებისა და რაიონების გასათავისუფლებას გულისხმობდა, რომლებიც ჩრდილო ტაოში, კოლა-არტაანსა და ჯავახეთში ჰქონდა დავით კურაპალატს და 1021-1023 წლების ომის შედეგად ბიზანტიამ ჩაიგდო ხელში. სწორედ ბიზანტიის აქ შემოჭრა უქმნიდა საქართველოს სამეფოს საფრთხეს. ბიზანტიას ეს ციხეები საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად ჭირდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ იაჰია ანტიოქელის ცნობიდან არ ჩანს, რომ ქართველებმა წინასწარ, კეისრის მიერ ლაშქრის გამოგზავნამდე, პრაქტიკული ნაბიჯი გადადგეს ბიზანტიის მიერ მიტაცებული ამ რაიონებისა და ციხე-სიმაგრეების გასათავისუფლებლად. ამ ცნობიდან ირკვევა, რომ ქართველ აზნაურთა გარკვეულმა ნაწილმა ზემოაღნიშნული წინადადებით მიმართა მხოლოდ მეფეს.

საინტერესოა რატომ თვლიდნენ წარჩინებულები ხელსაყრელ დროდ 1027 თუ 1028 წელს? ალბათ ბასილის გარდაცვალების შემდეგ ბიზანტიის სამეფო კარზე შექმნილმა არეულობამ და ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებამ მისცა ამის საფუძველი ქართველ დიდებულებს.

ბიზანტიის მთავრობამ, რომლისთვისაც ალბათ ცნობილი გახდა ქართველთა ეს განაზრახი, თავისი აგრესიული გეგმის განხორციელებისათვის დაიწყო ბრძოლა. საქართველოს წინააღმდეგ ლაშქარი გამოგზავნა. სამწუხაროდ, მტერმა ისე სწრაფად გაანადგურა სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, რომ ქართველებმა ძალთა ორგანიზაცია და წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლეს. უნდა ვიფიქროთ, რომ ტაო-კლარჯეთის აზნაურები ყველა არ უჭერდა მხარს ბიზანტიას, მაგრამ ამ მხარეთა მმართველ და გავლენიან ზოგიერთ დიდ აზნაურთა მტრის მხარეზე გადასვლის გამო ბრძოლისა და წინააღმდეგობის ორგანიზაცია ტაო-კლარჯეთის აზნაურთაგან ვერავინ იკისრა.

ნიკიტა პარაკიმანოსი ახლა საქართველოს სიღრმეში, შიდა ქართლისაკენ გამოეშურა და თრიალეთში, კლდე-კარის ციხე-სიმაგრემდე ისე მოვიდა, რომ არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. მაგრამ იქ ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა. „ქართლის მატიანის“ ავტორის ცნობით, ნიკიტა პარაკიმანოსმა მოალწია „ციხესა ჭუეშე კლდე-კართასა“, რომელიც „მას ჟამსა ჰქონდეს ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავსა, ძესა ლიპარიტისასა“. უკანასკნელმა „შემოიკრიბნა სხუანიცა აზნაურნი, დაუდგეს განძათა და შეებნეს ციხესა

ქუეშე. რაჟამს იხილა პარკიმანოზმან, რომელ ვერას აგნებდა, შეიქ-ცა გარე"[8].

კლდე-კარის ციხესთან ბიზანტიელთა წინააღმდეგ ბრძოლაზე სუმბატ დავითის ძის ნაშრომშიც არის სათანადო ცნობა, „შემონახული, მაგრამ ის შინაარსობლივად რატომღაც არ ემთხვევა „ქართლის მატიანის" ავტორის ცნობას. იქ ვკითხულობთ: პარაკიმანოსის მიერ ტაო-კლარჯეთის მორბევის შემდეგ, „რამეთუ მიიწია ესე თრიალეთს ციხესა ქუეშე კლდეკართასა, სადა იგი იყუნეს მაშინ აზნაურნი ბაგრატისანი, და ბრძოლა ყუეს, გარნა არა დიდად"[9], როგორც ვხედავთ, სუმბატ დავითის ძე ლიპარიტ ლიპარიტის ძეს საერთოდ არ იხსენიებს და მტრის წინააღმდეგ ქართველ აზნაურთა მეთაურობით ამ ბრძოლას მცირე მნიშვნელობას ანიჭებს. „ქართლის მატიანის" ავტორის ცნობა უფრო დამაჯერებლად გამოიყურება.

ნიკიტა პარაკიმანოსი ხომ ქართლის დასაპყრობად მოდიოდა! „თუ ბაგრატის მომხრე აზნაურებმა კეისრის სარდალსა და ლაშქარს სუსტი წინააღმდეგობა გაუწიეს, ... რამ აიძულა ეს უკანასკნელი ხელი აეღო ბრძოლაზე და უკან გაბრუნებულიყო? ნიკიტა პარაკიმანოსმა ხომ ვერც კლდეკარის ციხე-სიმაგრე აიღო და ვერც შიდა ქართლში გადმოსვლა შეძლო ამ დროს"[10].

როგორც ნათქვამი იყო, ყველა აზნაური საგარეო მტრის — ბიზანტიის ხელისშემწყობის როლში არ გამოდიოდა. ამ აზნაურთა წინააღმდეგობამ აიძულა ბიზანტიის ძლიერი ლაშქარი და მისი სარდალი უკან გაბრუნებულიყო. წინააღმდეგობის გამწევ აზნაურთა სათავეში კი, მაშინ, ბიზანტიის იმპერიის მომავალი მოკავშირე და საქართველოს მეფის ხელისუფლების დაუცხრომელი მტერი, ლიპარიტ ლიპარიტის ძე იდგა.

ეხებოდა რა ბიზანტიის მიერ ამ დროს წარმოებულ ექსპანსიურ პოლიტიკას საქართველოს მიმართ, აკად. კ. კეკელიძე წერდა: „ბერძნები არავითარ საშუალებას, ქრთამსა და მოსყიდვასაც კი, არ ერიდებოდნენ, რომ ქართველი დიდებულები იმპერატორის მხარეზე გადაებირებინათ. იმათ ისინი ბიზანტიაში იწვევდნენ, მიწა-წყალსა და ადგილ-მამულებს ურიგებდნენ იქ, დიდ თანამდებობასა და

---

[8] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 292.

[9] სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ. 72.

[10] ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, ბაგრატ მეოთხისა და ლიპარიტ ლიპარიტის ძის ურთიერთობიდან, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, 1951, გვ. 243.

ჩინ-ორდენებს აძლევდნენ, ხოლო მათ ქვეყანასა და აღმოსავლეთს საქართველოში თვითონ ეპატრონებოდნენ და ივერიის თემს უერთებდნენ"[11].

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თქმა უნდა, ბიზანტიის მომხრე აზნაურებიდან ყველა ვერ მიდიოდა ბიზანტიაში. ბიზანტიას საქართველოშიც ხომ უნდა ჰყოლოდა თავისი აგენტები.

ჩვენ არ გვაქვს პირდაპირი ცნობები იმის შესახებ, რომ ვაჩე კარიჭის ძის, იოანე ბანელისა თუ სხვა განდგომილ აზნაურთა მაშულები იბერიის საკატეპანოს შეუერთდა. ჩრდილო ტაო და მისი ცენტრი ბანა, როგორც ბაგრატ IV, ისე მისი მემკვიდრის — გიორგი II დროს, საქართველოს მეფის ხელისუფლების განკარგულებაში ჩანს. ბიზანტიასა და საქართველოს შორის მომხდარი ბრძოლისა თუ შეთანხმების შესახებ ბევრი ისეთი ცნობები აღარ შემოგვინახა ისტორიამ, რომელიც საშუალებას მოგვცემდა საკითხი უფრო ნათლად წარმოგვედგინა.

ნიკიტა პარაკიმანოსის ღონისძიებანი საქართველოს მიწაწყლის მორბევისა და აზნაურთა გადაბირების შესახებ ზემოაღნიშნულით არ დამთავრებულა. ალბათ ნიკიტასა და ბიზანტიის სხვა აგენტების მცდელობამაც იმოქმედა და „განდგეს კუალად აზნაურნი და მისცნეს ციხენი (ბიზანტიის კეისარს — ვ. კ.). ჩანჩუხამან ერისთავმან შავშეთისამან, მისცა ციხე წეფთისა, თვთ. წარვიდეს იგინი საბერძნეთს"[12]. როგორც ვხედავთ, შავშეთიდან ბიზანტიის მომხრე პირველ ყოვლისა ამ მხარის ერისთავია, მაგრამ მას, ჩანს, აზნაურთა უმრავლესობა არ მიჰყვება და უკანასკნელი აგრესორის წინააღმდეგ იბრძვის.

იმ დროს, როდესაც ქვეყანა საშიშროების წინაშე იდგა, სამშობლოს დაცვა ქართული ქრისტიანული ეკლესიის წარმომადგენლებმა იკისრეს. იგივე მემატიანის გადმოცემით, „აღაშენა სიმაგრე საბა მტბევარ ებისკოპოსმან მახლობელად ტბეთის ეკლესიასა და სახელსდვა მას სვეტი, და შეკრიბა მაშინ მან ერი თვსი და შევიდეს მას შინა თვთ მტბევარ ებისკოპოსი და ეზრა ანჩელ ებისკოპოსი და შავშეთისა აზნაურნი და განძლიერდა მას შინა"[13].

როგორც გავეცანით, ჩრდილო ტაოდან საერო და საეკლესიო პირები: ვაჩე კარიჭის ძე და „ბანელი ეპისკოპოსი იოანე", პირვე-

---

[11] ვ. ჯ ე ვ ე ლ ი ძ ე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 231.

[12] სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ. 72.

[13] ი ქ ვ ე.

ლები გადავიდნენ ბიზანტიის მხარეზე და თან გაიყოლეს „სიმრავლე აზნაურთა“. „აზნაურთა სიმრავლე“ არ ნიშნავს იმას, რომ ტაოს აზნაურთაგან უმრავლესობა მათ გაჰყვა: გაყოლილთაგან, ვფიქრობთ, ბევრს ძალად მოახვიეს თავიანთი [illegible] ბიზანტიელმა და კარიჭის ძემ.

შავშეთიდანაც პირველად ამ მხარის ადმინისტრაციული მეთაური და უმსხვილესი ფეოდალი ჩანჩუხა ერისთავი მიემხრო ბიზანტიას, რომლის ორიენტაციას შავშეთის აზნაურთა უმრავლესობა და ძირითადი მასა მხარს არ უჭერდა იმიტომ, რომ უკანსკნელთათვის ბიზანტიის ხელისუფლებისა და მისი კანონების ქვეშ ყოფნა ხელსაყრელი არ უნდა ყოფილიყო.

ტაო-კლარჯეთის აზნაურთა უმრავლესობა და ძირითადი მასა რომ ბიზანტიას მხარს არ უჭერდა ამის შედეგი უნდა იყოს ძირითადად ის, რომ ბიზანტიამ ტაო-კლარჯეთის დამორჩილება ვერ შეძლო.

XI საუკუნეში ქართველ აზნაურთა ბიზანტიის მხარეზე გადასვლის საკითხს ბევრი გამოჩენილი მკვლევარი ეხება. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებულ მრავალ საინტერესო საკითხთაგან ეს საკითხი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. ყველა მკვლევარი, ვინც კი ამ საკითხს ეხება, ქართველ აზნაურთა ბიზანტიის მხარეზე გადასვლის მიზეზს საკეისროს მიერ წარმოებულ მოსყიდვა-გადაბირების პოლიტიკაში ხედავს. ივ. ჯავახიშვილი წერდა, რომ „ბერძნები არავითარ საშუალებას, ქრთამსა და მოსყიდვასაც არ ზოგავდნენ, რომ ქართველი დიდებულები თავიანთი მეფის წინააღმდეგ აემხედრებინათ და კეისრის მხარეზე გადმოებირებინათ“[14]. „თავიანთი ვერაგულის ქცევით და ცბიერებით ბიზანტიელებმა წადილს ადვილად მიაღწიეს“[15]. ასე ხსნის ამ მოვლენას, როგორც ზემოთ გავეცანით, პროფ. კ. კეკელიძეც და ყველა მეცნიერი, ვინც ამ საკითხს შეხებია.

მეცნიერთა ეს განმარტება სადავო არ არის. ბიზანტიის ვერაგი ხელისუფლება მართლაც ბევრ საქმეს აკეთებდა მოსყიდვა-გადაბირებით, მაგრამ არ იქნებოდა სწორი მოვლენის ასახსნელად მარტო ამ მიზეზის აღმოჩენით დავკმაყოფილებულიყავით და უფრო ღრმა საფუძვლის მონახვა არ გვეცადა.

---

[14] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 135.

[15] ი ქ ვ ე.

ყველაფერი ის, რაც XI საუკუნის 20-იანი წლებიდან ხდებოდა ქართველი აზნაურების ბიზანტიისადმი ორიენტაციის სახით, არ შეიძლება ამ აზნაურთა მოტყუებით და მოსყიდვა-გადაბირებით ავხსნათ. ამ მოვლენას თავისი სოციალურ-ეკონომიური საფუძველი ბი უნდა ჰქონოდა და მკვლევარი ვალდებულია ეს ფუძენი ბი დაადგინოს. მაგრამ საკითხს რომ ამომწურავი პასუხი გავცეთ, მოცემული ხანის ბიზანტიისა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის ღრმად შესწავლა და ურთიერთ-შედარებაა საჭირო, რაც ამჟამად ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება, და ამიტომ იძულებული ვართ ძირითადად მზა მასალების ზოგადი მიმოხილვით დავკმაყოფილდეთ.

1021—1022 წლებში სამხრეთი ტაოს მიწა-წყლისათვის წარმოებულ ბრძოლაში დამარცხებით, როგორც ცნობილია, საქართველო ბიზანტიის მორჩილი ქვეყანა არ გამხდარა. ქართული ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს შექმნა-ჩამოყალიბებისათვის მებრძოლი ძალები — ერთი მხრივ, და საქართველოს დამორჩილებით დაინტერესებული ბიზანტიის აგრესიული ძალები — მეორე მხრივ, სამხრეთ ტაოში შეხვდნენ ერთმანეთს. მაგრამ თუ ტაოს მიტაცება ბიზანტიამ შედარებით ადვილად შეძლო, აქ შეაჩერეს ის ქვეყნის ერთიანობისა და თავდაცვისათვის მებრძოლმა ძალებმა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბიზანტიის მიერ წარმოებულ ბრძოლას, მოეხდინა მთელი საქართველოს ექსპანსია, ბიზანტიისათვის საბოლოო გამარჯვება არ მოჰყოლია. ეს ფაქტი საქართველოს შინაგანი სოციალურ-ეკონომიური განვითარებით უნდა ავხსნათ.

ბიზანტიის წარუმატებლობა და საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება იგივე მოვლენებმა და ძალებმა განაპირობეს, რამაც საქართველოს გაერთიანება.

არაბთა ბატონობით შექმნილი ეკონომიური და პოლიტიკური სიძნელეების პირობებშიც, VII—VIII საუკუნეებში, ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში სწრაფად ვითარდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ქვეყანას ერთი ცენტრი არ გააჩნდა, უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად სოციალურ-ეკონომიური განვითარების გზას ის მაინც განაგრძობდა.

როგორც ცნობილია, არაბთა ბატონობის ხანაში საქართველოს მიწა-წყალზე ხუთი პოლიტიკური ერთეული ჩამოყალიბდა. ამ სამეფო-სამთავროების წარმოქმნა იყო ქვეყნის სამეურნეო და ეკონომიური ცხოვრების აღმავლობის ობიექტური გამოვლინება და

ერთგვარი პირობების შემზადება საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს წარმოსაქმნელად. რამდენადაც საქართველო სამეურნეო და ეკონომიური ცხოვრების განვითარებას განაგრძობდა, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფის [illegible] მისი გაჩერება არ შეიძლებოდა და შემდგომი განვითარებისა [illegible] ცვის ინტერესები შესაფერის ადმინისტრაციულ გაერთიანებას მოითხოვდა. ამასთანავე „ხელისუფლების ცენტრალიზაცია ქმნიდა პირობებს შემდგომი ეკონომიური განვითარებისა და კულტურული აღმავლობისათვის“[16].

საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბებით დიდ აზნაურთა, ფეოდალთა და ერისთავთა ძველი უფლებები, ჯერ კიდევ VI საუკუნიდან რომ მოიპოვეს, ჩანს, დიდად არ შელახულა. „მთავარი დიდი და წარჩინებული ქვეყანასა ამას“[17] გიორგი ჩორჩანელი და მისი რანგის ადამიანები IX—X საუკუნეებშიც შეუზღუდველი უფლებებით სარგებლობდნენ. გიორგი ჩორჩანელის ვრცელ მიწა-წყალზე უნებართვოდ ფეხის შემდგმელი ხომ „კადნიერ და ურცხვნო ქმნილ“ იყო! ყველამ, ვისაც გიორგის კუთვნილ უღრან ტყეშიც კი ფეხის შედგმა სურს, ამის შესახებ ნებართვის მისაღებად წინასწარ უნდა „მეცნიერჰყოს“ გიორგი.

IX საუკუნის მეორე ნახევარში სამცხის დიდმა აზნაურმა მირიანმა, რომელსაც დიდი ძალა შესწევდა, თვითნებობით და მძლავრობით თავისი შვილი არსენი „დაადგინა კათალიკოზად თანადგომითა და კურთხევითა მცირედთა ეპისკოპოსთაჲთა“[18]. ამაზე მას წინ აღუდგნენ „ქართლისა ეპისკოპოსნი“ ეფრემ დიდის მეთაურობით და „მირიან არსენის მამისათჳს ფრიად გულწყებულ იყვნეს“[19]. გუარამ აშოტის ძე მამფალმა მირიანისა და არსენის მოწინააღმდეგეებს დაუჭირა მხარი და ჯავახეთში საეკლესიო კრება მოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ გუარამი თავგამოდებით ცდილობდა მირიანი და მისი შვილი დაემარცხებინა, გრიგოლ ხანძთელის დახმარებით უკანასკნელებმა გაიმარჯვეს და გუარამი დამარცხდა.

---

[16] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX—X სს.), 1963, გვ. 136.

[17] ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 1) იოანე საბანის ძე, 2) ბასილ ზარზმელი, კ. კეკელიძის რედაქციით, 1935, გვ. 154.

[18] გიორგი მ ე რ ჩ უ ლ ე, ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, პ. ი ნ გ ' ო რ ო ყ ვ ა ს გამოცემა, 1949, გვ. 89.

[19] ი ქ ვ ე.

მირიანი, სამცხის ეს დიდი აზნაური, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების საბრძანებლის ფარგლებში მყოფი, უკანასკნელთა ერთ-შევრდომი უნდა იყოს. მაგრამ მიუხედავად ამისა მან თავისი გაიტანა და გუარამის სურვილის წინააღმდეგ კათალიკოსის [illegible] ბაზედაც თავისი შვილი დანიშნა. დიდ აზნაურთა [illegible] მთავართა მიერ მთავრისა თუ მეფის ანგარიშის გაუწევლობის ფაქტი ჩვენ სხვაც მრავალი მოგვეპოვება, მაგრამ საწინააღმდეგო ღონისძიებანი ბაგრატ III გამეფებამდე დიდ აზნაურთა მიმართ ნაკლებად გვხვდება.

X საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან ბაგრატ III ხელისუფლება შეტევაზე გადადის ურჩ აზნაურთა წინააღმდეგ. ბრძოლა მწვავე ხასიათს იღებს. XI საუკუნის 20-იან წლებში ტაო-კლარჯეთის მსხვილ აზნაურთა ბიზანტიაში გაქცევა იმ ურჩობის გაგრძელება იყო, რასაც ადგილი ჰქონდა X საუკუნის 90-იან წლებში.

1011—1012 წლებში ბაგრატ III მიერ კლარჯეთის მფლობელ ბაგრატიონთა მკაცრად დასჯა იმას მოწმობს, რომ ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა-განმტკიცების მომხრე ძალებსა და დამოუკიდებლობის მოტრფიალე სოციალური ფენის წარმომადგენლებს შორის შეურიგებელი წინააღმდეგობა იყო.

დიდი აზნაურები, როცა ისინი ბიზანტიის მხარეზე გადადიოდნენ, მიწათმფლობელობის ფეოდალური წესისა და მწარმოებელ საზოგადოებაზე უფლებების კიდევ უფრო განმტკიცების შესაძლებლობას მოელოდნენ ბიზანტიაში. ასეთივე სოციალურ-ეკონომიური საფუძველი ამოძრავებდა ამ დროს სომხეთის ზოგიერთ დიდ ნახარარსაც, რომლებმაც XI საუკუნის 40-იან წლებში სამშობლოს მოღალატის როლი შეასრულეს და ანისის სამეფო ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებას გადასცეს. მართალია გ. არაქელიანი, რომელიც სომხეთის მსხვილი ნახარარების შესახებ წერს: «Феодалы, сторонники Византии, надеялись при помощи византийского правительства упрочить свою власть над крестьянством, над народными массами»[20].

მიწათმფლობელობის ფეოდალური წესის განმტკიცებისათვის ბრძოლა, რა თქმა უნდა, მაშინ პირველად არ იწყება საქართველოში. ის აქ დიდი ხნის მომხდარი ფაქტი იყო. მაგრამ დიდ ფეოდალთა მიერ ახლა წარმოებულ ბრძოლას მონაპოვრის შენარჩუნებისა

---

[20] История Киликийского армянского государства, გვ. 60.

და, ფეოდალის ბუნებისათვის დამახასიათებელი, კიდევ უფრო განდიდება-შეუვალობის მოპოვების მიზანი ჰქონდა.

ბიზანტიის იმპერიაში ადრე დაიწყო წვრილმიწათმფლობელთა მიმძლავრების ხარჯზე მსხვილი მიწათმფლობელობა. ამასთანავე გლეხობაზე ცენტრალიზებულმა დაჭერა [illegible] ბრძოლა გაამწვავა, რომელმაც უმაღლეს მწვერვალს ჯერ კიდევ IX საუკუნეში მიაღწია (აჯანყება თომა სლავის მეთაურობით, პავლიკიანთა მოძრაობა და სხვ.). მაგრამ გლეხთა მოძრაობამ მარცხი განიცადა და იმპერატორ ბასილ I (867—886) რეაქციულმა პოლიტიკამ უზრუნველყო სამეფო კარის დიდ მოხელეთა და პროვინციის მსხვილ მიწათმფლობელთა გამარჯვება[21].

IX საუკუნის დამლევიდან ბიზანტიაში უდიდესი გავლენა მოიპოვეს ფეოდალური არისტოკრატიის იმ წევრებმა, რომლებიც პროვინციებში ფლობდნენ დიდ მამულებს, მაგრამ ისინი მიღწეულით არ კმაყოფილდებოდნენ და თავგამოდებით ცდილობდნენ სამფლობელოების გაფართოებას, იტაცებდნენ და ეუფლებოდნენ გლეხთა და სტრატიოტთა[22] კუთვნილ მიწის ნაკვეთებს, პირად დამოკიდებულებაში, საკუთარ პარიკებად[23] აქცევდნენ გლეხთა და სტრატიოტთა მასებს[24].

ამავე საუკუნის დამლევიდან და განსაკუთრებით X საუკუნეში მწვავე ბრძოლა მიმდინარეობს ბიზანტიაში. დედაქალაქის დიდებულები და სამეფო კარის მოხელეები სასოფლო თემების „დამცველის“ როლში გამოდიან და ამავე დროს ზრდიან მათ მიმართ გადასახადებს. სასოფლო თემების შენარჩუნების წინააღმდეგ აქტიურად იბრძვიან პროვინციის ფეოდალები და გამარჯვების სასწორიც მათკენ იხრება[25].

საერო სფეროს პარალელურად ბრძოლა ჩაღდება ბიზანტიის ეკლესიაშიც, კონსტანტინეპოლის პატრიარქი ფოტიოსი და მისი

---

[21] Две Византийские хроники X века, Псамафийская хроника, Иоан Камениата, Взятие Фессалоники, Предисловие, перевод и комментарии А. П. Каждана. Москва, 1959, გვ. 11.

[22] στρατιώτης მრ. στρατιῶται — თავისუფალ გლეხთა საფუძველზე წარმოშობილი სამხედრო მოახალშენე ბიზანტიაში, რომელიც მემკვიდრეობით ჰქმნიდა სამხედრო მსახურთა წოდებას.

[23] ბერძ. παροικος — მეზობელი, მოახალშენე. ფეოდალურ დამოკიდებულებაში მყოფი ძირითადი ჯატეგორია გლეხობისა ბიზანტიაში.

[24] А. П. Каждан, წიგნში: «Две Византийские хроники X века», დასახ. გამოცემა, გვ. 11.

[25] იქვე, გვ. 12.

მოწაფე ნიკოლოზ მისტიკოსი პროვინციის ფეოდალთა ინტერესების დამცველ ახალ მოძღვრებას შეიმუშავებენ, რასაც წინ აღუდგება სამღვდელოების ნაწილი და განსაკუთრებით მონასტრები[26].

გლეხთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ბიზანტიის მსხვილმა ფეოდალებმა IX—X საუკუნეებში გლეხური თემების უმეტესი ნაწილის დამორჩილებაც შეძლეს. მიითვისეს თემის უფლებები და მიისაკუთრეს სათემო მიწები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელს იმპერიაში, განსაკუთრებით მცირე აზიაში დიდი მამულების, ყმებისა და საკუთარი ჯარის პატრონი ადგილობრივი ძლიერი საგვარეულოები წარმოიშვენ. IX—X საუკუნეების იმპერატორების გაუბედავმა ღონისძიებებმა, საზღვარი დაედოთ მსხვილ მიწათმფლობელთა გაძლიერებისათვის, შედეგი ვერ გამოიღო[27].

სამხედრო-ფეოდალური არისტოკრატიის პარალელურად მამულების ხელში ჩასაგდებად ბიზანტიაში სამეფო კარის ბიუროკრატიული აპარატის დიდი თანამდებობის მრავალი პირიც იბრძოდა. მიწათმფლობელთა და დიდმოხელეთა შერწყმით წარმოიშვა დიდმფლობელთა ძლიერი კლასობრივი ჯგუფი, რომელიც X საუკუნეში გლეხური თემებისა და წვრილი გლეხური მეურნეობის საშიშ მტრად გამოდის[28].

საგლეხო მიწათმფლობელობასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ე. წ. სამხედრო ნაკვეთები, რომლებზედაც ძირითადად ბიზანტიის თავდაცვა იყო დამყარებული. მიზეზებმა, რომლებმაც დამოუკიდებელი გლეხური მეურნეობის გაქრობა გამოიწვია, განაპირობა სამხედრო ნაკვეთების გაქრობაც[29].

მაკედონელთა დინასტიის ბატონობის (867—1056 წწ.) ხანა ბიზანტიაში „აგრარულ სფეროში შეძლებულთა მიერ უძლურთა მიწების მიტაცებისა და ღარიბთა დამონებისათვის ბრძოლის ხანგრძლივი პროცესით ხასიათდება“[30].

ბიზანტიის ისტორიის ცნობილი მკვლევრის აკად. ვ. ვასილევსკის განმარტებით, X საუკუნე წარმოადგენს პერიოდს, როდესაც გაძლიერებული მიწათმფლობელთა არისტოკრატია მწვავე თავდასხმებს აწარმოებს წინა საუკუნეებში მომრავლებული თავისუფალი

---

[26] А. П. Каждан, წიგნში: «Две Византийские хроники X века», დასახ. გამოცემა, გვ. 12.

[27] Charles Diehl, Etudes byzantines, 1905, გვ. 142—143.

[28] М. В. Левченко, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

[29] იქვე, 152.

[30] იქვე, გვ. 150.

წვრილ-გლეხური მეურნეობისა და გლეხური თემების წინააღმდეგ[31].

წვრილ-მესაკუთრეთა და გლეხური სათემო მიწების მიტაცება ბიზანტიაში უბრძოლველად არ ხდებოდა და ხშირად [illegible] საზოგადოების აჯანყება საფრთხის წინაშე აყენებდა [illegible] კლასს. საიმპერიო ხელისუფლება, იყო თუ არა ეს მისთვის ხელსაყრელი, ბუნებრივია, მაინც მწარმოებელი საზოგადოების წინააღმდეგ, ფეოდალთა კლასის დასაცავად გამოდიოდა და ამით მსხვილ მიწათმფლობელთა ინტერესებს ემსახურებოდა. თომა სლავისა და პავლიკიანთა მოძრაობის ჩაქრობის შემდეგ ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების რევანში დიდად დაეხმარა მიწათმფლობელებს წვრილ-გლეხური მეურნეობისა და სათემო მიწების მიტაცებაში.

ამასთანავე არმიის სათემო წყობის სისტემა ბიზანტიაში სტრატიოტთა მასას მეთაურთა პირად დამოკიდებულებაში აქცევდა. ეს მეთაურები კი ადგილობრივი მსხვილი მიწათმფლობელები იყვნენ და თავის მდგომარეობას შემდგომი აღზევებისათვის იყენებდნენ. „X საუკუნისათვის იმპერიაში თანდათანობით ჩამოყალიბდა სამხედრო ფეოდალური არისტოკრატია, რომლის ტიპიური წარმომადგენლები აზიაში იყვნენ დალასანოსი, ფოკა, სკლიაროსი, კომნენოსი, პალეოლოგი“[32] და სხვ.

ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი ხვედრითი წონის მქონე ეს სოციალური ძალა ყოველთვის მოითხოვდა ცენტრალური ხელისუფლებისაგან, რომ მის ნება-სურვილსა და მოთხოვნას ანგარიში გასწეოდა. მწვავე ბრძოლაში გამარჯვების სასწორიც ხშირად მათ მხარეზე იხრებოდა. მცირე აზიის მსხვილ მიწათმფლობელთა სამხედრო არისტოკრატიას არა ერთხელ დაუსვამს ბიზანტიის საიმპერიო ტახტზე თავისი წარმომადგენელი, რომლიდანაც ეს არისტოკრატია თავისი ინტერესების დაცვასა და მიწათმფლობელობის ფეოდალური წესის განმტიცებისათვის მოქმედების სრულ თავისუფლებას მოითხოვდა, რაც წვრილი მეურნეობებისა და გლეხური თემების მიტაცება-გაჩანაგების ხარჯზე ხდებოდა.

რადგან წვრილი მეურნეობისა და გლეხური თემების მსხვილ მიწათმფლობელთა მიერ მიტაცება ცენტრალური ხელისუფლების

---

[31] В. Г. Василевский, Материалы для внутренней истории византийского государства, собрание сочинений, т. IV, გვ. 256; შდრ. М. В. Левченко, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

[32] М. В. Левченко, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

სიძლიერეს ძირს უთხრიდა, ხშირად იმპერატორები გუშინდელი მოკავშირისა და თანაიდეოლოგების ნება-სურვილის წინააღმდეგ მათი მოქმედების შეზღუდვას ცდილობდნენ, მაგრამ მიღებული ზომები უშედეგოდ რჩებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგარეო პოლიტიკური ვითარების გართულებას ეკლესიისა ყოველთვის თან სდევდა გლეხური მეურნეობის მიტაცება. 922 წელს რომანოზ I ლეკაპენი იძულებული შეიქნა კანონი გამოეცა, რომლითაც იგი მსხვილ მიწათმფლობელთა მიერ გლეხური მეურნეობების მიტაცების შენელებას შეეცადა, მაგრამ ამან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო: მსხვილ ფეოდალთა მიერ წვრილი მეურნეობის მიტაცება არ შეჩერებულა.

943 წელს რომანოზ ლეკაპენმა ხელმეორედ გამოსცა კანონი, რომლითაც 922 წლის კანონის ცხოვრებაში გატარებას მოითხოვდა მაგრამ მმართველმა წრეებმა ის არ განახორციელეს[33].

მოვლენათა ასეთმა მსვლელობამ ბიზანტიის იმპერიაში ცენტრალური ხელისუფლების სამხედრო დასაყრდენის — სამხედრო კოლონების დაშლა გამოიწვია. ხოლო ამ გარემოებამ X საუკუნის პირველ ნახევარში ბიზანტიის სამხედრო დამარცხება განაპირობა. ამავე დროს მსხვილ ფეოდალთა აღვირახსნილი მოქმედების შედეგად სახალხო მოძრაობა დაიწყო. 932 წლის ახლო ხანებში მცირე აზიაში დიდმა სახალხო მოძრაობამ იფეთქა, რომლის სათავეში ვასილ მაკედონელი იყო. სახალხო აჯანყების საშიშროებამ აიძულა ბიზანტიის ხელისუფლება (კონსტანტინე VII — 945—959) კიდევ მიეღო ერთდაგვარი ზომები მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდის შესანელებლად.

სამხედრო ფეოდალური არისტოკრატიის ძლიერმა და თავმოწონე წარმომადგენლებმა ხელისუფლების ასეთი მოქმედება ვერ მოითმინეს და რიგი ფეოდალური აჯანყებები მოაწყვეს. 963 წელს მცირე აზიის მსხვილ ფეოდალთა წარმომადგენელმა ნიკიფორე II ფოკამ იმპერატორის ტახტი ჩაიგდო ხელში. მან თანაიდეოლოგთა სასარგებლოდ 967 წელს ახალი კანონი გამოსცა, რომლითაც მსხვილ ფეოდალთა მიერ მიწების მიტაცებას, წვრილი მეურნეობებისა და გლეხური თემების გაჩანაგებას, მეტი გასაქანი მისცა[34].

ამ მოვლენამ კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო ნიკიფორეს მკვლელისა და იმპერატორის ტახტზე მისი შემცვლელის, მცირე

---

[33] М. В. Левченко, დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

[34] იქვე, 160.

აზიის მსხვილ მიწათმფლობელთა სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენლის, იოანე ციმისხის (969—976) დროს. იოანე ციმისხიც თანაიდეოლოგების სასარგებლოდ მოქმედებდა.

პროვინციის აზნაურებისა და მსხვილმიწათმფლობელთა გაძლიერების შედეგი იყო ის, რომ XI საუკუნეში ეკონომიდნენ რა ლაშქარსა და ძლიერებას, მაღალი წოდების ფარომადგენლებმა არა ერთხელ შეარყიეს იმპერატორის ტახტი ძლიერი აჯანყების მოწყობით[35].

ბიზანტიის ბატონობა დაპყრობილ-დამორჩილებული ხალხისათვის ძნელი ასატანი იყო. ამიტომ კეისრის ტახტისა თუ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ პოლიტიკურ დასებსა და პიროვნებებს საშუალება ჰქონდათ პროვინციის ხალხი ბიზანტიის წინააღმდეგ ადვილად აემხედრებინათ. X საუკუნის დასასრულისა და XI საუკუნის 20-იანი წლების აჯანყებები ბიზანტიაში პროვინციის ფეოდალთა უფლებების შეზღუდვის ცდის შედეგი იყო. თუმცა ამ აჯანყებებმა მარცხი განიცადეს, მაგრამ ბასილ II არც ისე თანმიმდევრულმა ცდამ, შეეზღუდა მსხვილ მიწათმფლობელთა ინტერესები, როგორც ნათქვამი იყო, უკანასკნელთ დიდად ვერ შეუშალა ხელი.

პროვინციის ფეოდალების ეკონომიურმა სიძლიერემ ქვეყნის პოლიტიკური მმართველობის მათ ხელში გადასვლა გამოიწვია. თუ წინათ სტრატეგის თანამდებობაზე ადგილობრივი პირის დანიშვნა აკრძალული იყო,... X საუკუნეში პროვინციის დიდმა ფეოდალებმა მხარის მმართველობა მემკვიდრეობადაც კი გაიხადეს.

XI საუკუნეში ფართოდ ვრცელდება ბიზანტიაში ფეოდალების მიმართ ე. წ. ექსკუსიის[36] უფლება, სამეფო ხელისუფლების გამგებლობიდან მამულების გამოყოფისა და გარკვეული პირობით ფეოდალებზე გადაცემის შესახებ. ფართო ხასიათს იღებს აგრეთვე ფეოდალებისადმი მამულების ბოძების — შეწყალების წესი. ეს ე. წ. „პრონიის“ წესი „ხელს უწყობდა მსხვილ მიწათმფლობელთა გამრავლებას და მათი სოციალური ძლიერების ზრდას“[37]. მიწის ბოძებისა (პრონიის) და ექსკუსიის წესმა ხელი შეუწყო გლეხებზე ფეოდალების ხელისუფლების ბატონობის გაფორმებას.

---

[35] Charles D i e h l, Etudes byzantines, დასახ. გამოცემა, გვ. 143.

[36] ექსკუსია (ლათ.: სიტყვიდან — excutio) ბიზანტიაში ფეოდალის უფლებათა ერთიანობა მის სამფლობელოში.

[37] М. В. Левченко, გვ. 170.

უწყალებულს ხშირად მამული ეძლეოდა არა მხოლოდ სიცოცხლის განმავლობაში, არამედ მემკვიდრეობით — სამუდამოდ, რასაც პსელოსის ერთი წერილი გვიდასტურებს, საიდანაც ჩანს, რომ ერთი ასეთი მამული სამემკვიდრეოდ ამ წერილის ადრესატს უწყალობა კონსტანტინე მონომახმა. მას იმპერატორ[illegible] უწყალობა ხელშეუხებელი უფლებებით. სიგელში განმარტებული იყო, რომ პსელოსს შეუძლია ვისაც სურს იმას მისცეს ეს მამული. აძლევდა აგრეთვე სასამართლო უფლებებს ზოგიერთ საქმეებზე. პსელოსმა იმავე პირს, რომელიც მამულთან ერთად მას უწყალობეს, გადასცა მამული სამმართველოდ და სასამართლო საქმეებიც მას მიანდო"[38]. ამრიგად, მამულით პიროვნების შეწყალება ხდებოდა არა მარტო მიწა-წყლის ხელშეუხებლობის პირობით, არამედ სასამართლო ფუნქციებითაც.

პროვინციის მსხვილ მიწათმფლობელებსა და ფეოდალებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში დაწინაურების მრავალი საშუალება და ხელისშემწყობი პირობებიც ჰქონდათ ბიზანტიაში. ჩვენთვის საინტერესო ხანაში შეიძლებოდა არა მარტო ფაქტიურად არსებული, მოქმედი თანამდებობების ყიდვა, არამედ, როდესაც ყველა ვაკანტური თანამდებობა გაყიდული თუ დაკავებული იყო, მსურველთ მაინც შეეძლოთ იმპერატორებისაგან ტიტულის ყიდვა სამსახურის შეუსრულებლად. „ეს გარემოება პროვინციის მიწათმფლობელთა კლასს ახალი სამოხელეო და ტიტულატურის მქონე არისტოკრატიის რიგებში შესვლის გზას უადვილებდა"[39].

მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა იმასაც, რომ სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები, მათი კლასობრივი თუ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ცენტრის გაძლიერების სასარგებლო კანონებს არ ატარებდნენ, სასწორს ღარიბთა საზიანოდ, მიწების მიმტაცებელთა სასარგებლოდ ხრიდნენ. ხშირად ხელისუფლების ადგილობრივი მმართველები, განიცდიდნენ რა მემამულე-არისტოკრატიის გავლენას, თვალს ხუჭავდნენ უკანასკნელთა მიერ ღარიბთა წინააღმდეგ მიმართულ მოქმედება-ძალადობის დანახვაზე, „ყრუ რჩებოდნენ ღარიბთა განცხადების მიმართ"[40], ხოლო ცენტრალური ხელისუფლება ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლაში უძლური იყო.

---

[38] Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, დასახ. გამოცემა, გვ. 165.

[39] Труды В. Г. Василевского, т. IV, 1950, გვ. 254.

[40] იქვე.

ცნობილი რუსი ბიზანტოლოგის, ნ. სკაბალანოვიჩის აზრით, „ზოგი იმპერატორი მტკიცედ იცავდა იმ შეხედულებას, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის საჭიროა ღარიბთა, წვრილ-მიწათმფლობელთა და სათემო გლეხთა მფარველობა და ამის შესაბამისად მოქმედებდა. ზოგი კი არც ისე საჭიროდ [illegible] გაეტარებია ეს სახელმწიფოებრივი პრინციპი“[41]. გასაგებია, რამდენადაც თვით ღარიბთა ინტერესების დაცვა არ იყო ფეოდალურ ბიზანტიაში სახელმწიფოებრივი პრინციპი და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ერთი იმპერატორის მიერ ხელოვნურად შექმნილ კანონებს, რომლებსაც თითქოს წვრილ მეურნეთა ინტერესები უნდა დაეცვა, მეორე დაუყოვნებლივ აუქმებდა.

ჯერ კიდევ ლეონ VI (886—912) საგრძნობლად შეარბილა ის კანონები, რომლებიც პროვინციის მმართველებს თავის სამმართველო ტერიტორიაზე მსხვილი მამულების შეძენას უკრძალავდა. „რომანოზ არგვიროსი, კონსტანტინე მონომახი და ნიკიფორე ბოტანიატი, თავიანთი წარმოშობის მიხედვით, გვარის სიმპათიის გავლენით ხელისუფლების მქონე არისტოკრატიისაკენ იხრებოდნენ და მხურვალედ იზიარებდნენ მათ ინტერესებს“[42].

ბურჟუაზიული იდეოლოგიის თვალსაზრისზე მდგომი ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი მცდარ დასკვნებს აკეთებს ბიზანტიის ზოგიერთი კეისრის მოღვაწეობის შეფასების დროს. მაგ., ბიზანტიის ისტორიის ცნობილი მკვლევარი გ. ოსტროგორსკი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ჰერაკლე კეისარი, რომანოზ ლეკაპენი, ბასილ II მაკედონელი და სხვა ცნობილი ბიზანტიის კეისრები არ იყვნენ დაკავშირებული რომელიმე სოციალურ ჯგუფთან. გ. ოსტროგორსკის მოსაზრებით, ბიზანტიის საუკეთესო იმპერატორები იცავდნენ არა ამა თუ იმ ვიწრო ჯგუფის ინტერესებს, არამედ ბიზანტიის სახელმწიფოებრივ ორგანიზმს საერთოდ[43].

ამრიგად, ოსტროგორსკეს ბიზანტიის იმპერატორები ზეკლასიურ ადამიანებად მიაჩნია.

ამ შემთხვევაში გ. ოსტროგორსკი იმეორებს ვ. ვასილევსკის შეხედულებას: «Вооруженные старыми государственными преданиями византийские императоры гораздо яснее и строже

---

[41] Н. Скабаланович, დასახ. ნაშრომი, გვ. 248.

[42] იქვე.

[43] А. П. Каждан, რეცენზია წიგნზე: G. Ostrogorsky, Geschichte des Byzantinischen Staates, München, 1963 г., Вопросы истории, № 9, 1965, გვ. 174.

понимали свои обязанности в отношении ко всем подданным и прямо провозглашали, что власть монарха есть общее всем благо и что защита слабых и бедных против сильных и богатых есть ее первейший долг»[44].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასილ II მაკედონელმა რომ არც ისე მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩაატარა მიწათმფლობელთა ძლიერების ზრდის შესანელებლად, ეს სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ კეისარი თანაკლასელების ინტერესებს ღალატობდა. მისი ეს ხელოვნური ღონისძიებანიც ხომ ბასილის გარდაცვალებისთანავე კარგავენ მნიშვნელობას და ამიერიდან მსხვილ მიწათმფლობელებს გაძლიერების კიდევ უფრო მეტი გასაქანი ეძლევათ. რომანოზ არგვიროსმა (1028—1034) ბასილის მეფობის დროს შემოღებული „ალლილენგიაც"[45] დაუყოვნებლივ გააუქმა. XI საუკუნის 20-იანი წლებიდან ფეოდალებმა სასამართლო უფლებებიც მიითვისეს არა მარტო უშუალოდ მათზე დამოკიდებული ხალხის მიმართ, არამედ იმ თავისუფალ გლეხებზედაც, რომლებიც ფეოდალისადმი დამოკიდებული მოსახლეობის მიერ დაკავებული მხარეებისა და რაიონების ფარგლებში ცხოვრობდნენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, გასაგებია, იმ დროს, როდესაც ქართული ფეოდალური მონარქია ძლიერდებოდა და აქტიურ შეტევას აწარმოებდა ფეოდალთა წინააღმდეგ — ერთი მხრივ, ხოლო ტაო-კლარჯეთის მოსაზღვრე ბიზანტიის კუთვნილ მცირე აზიის რაიონებში მოვლენები პროვინციის ფეოდალთა და

---

[44] Труды, т. IV, 1930, გვ. 259.

[45] ტერმინი „ალლილენგია" ბიზანტიური წყაროების მიხედვით ორი მნიშვნელობით იხმარებოდა: ვიწრო გაგებით, იგი განსაზღვრავდა მიწისმფლობელის, ფეოდალის პასუხისმგებლობას ღარიბი მეზობლის უპატრონოდ მიტოვებული მიწის ნაკვეთზე გადასახადის გადახდის შესახებ. ეს მოვალეობა ბასილ II (976—1025) მიერ იქნა შემოღებული და რომანოზ III არგვიროსმა (1028—1034) გააუქმა. მეორე მხრივ, საგადასახადო ტრაქტატი ამ ტერმინით აღნიშნავდა მეზობლების ურთიერთმოვალეობასა და პასუხისმგებლობას სახელმწიფო გადასახადის მიწოდების შესახებ. ამ მნიშვნელობით იხმარება იგი ზოგიერთ სიგელში, სადაც ლაპარაკია გადასახადების გადახდის ურთიერთპასუხისმგებლობაზე (*ἀλληλεγγύως*). იგი აღნიშნავდა აგრეთვე ურთიერთდახმარების პრინციპზე დამყარებულ გლეხთა მოვალეობას (*ἀλληλεγγύως*): გლეხის მიერ გადასახადის გადახდის უარის თქმის შემთხვევაში საგადასახადო მოხელეები ამ გლეხის მაგიერ მისი თანასოფლელი გლეხებისაგან მოითხოვდნენ გადასახადს. (იხ. А. П. Каждан, Особенности феодальной собственности Византии, ВВ, X, 1956, გვ. 64).

მსხვილ მიწათმფლობელთა სასარგებლოდ ვითარდებოდა. — მეორე მხრივ, ტაო-კლარჯეთის მსხვილი აზნაურები ბიზანტიის ორიენტაციას ამჯობინებდნენ.

ტაო-კლარჯეთის მსხვილ ფეოდალთა ბიზანტიისაკენ მიმწრაფების შესახებ ნ. სკაბალანოვიჩი წერდა: „ეს ... ეფექტურად ... ბიზანტიის სასარგებლოდ საჭურისი ნიკიტა (იბერიის თემის მმართველი, რომლის მეთაურობით არა ერთხელ მოაწყო ბიზანტიამ ლაშქრობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში), «Он убедил некоторых иверийских магнатов отказаться от своих владений и отправиться в Константинополь; те сдались на убеждения, в Константинополе ласково были встречены, получили чины, подарки, а также деревни и города в наследственную собственность»[46].

მამულებისა და ქალაქების მემკვიდრეობით გადაცემა მარტო ქართველ ფეოდალთათვის არ შემოუღიათ ბიზანტიაში. ამ შემთხვევაში ბიზანტიის მხარეზე გადასულ ქართველ აზნაურებზე ის წესი ვრცელდებოდა, რაც საერთოდ იყო ბიზანტიაში. ნიკიტა საჭურისის მცდელობა ბევრს ვერაფერს მისცემდა ბიზანტიის ხელისუფლებას. საჩუქრები და თანამდებობანიც გადაბირების მეორეხარისხოვან საშუალებად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ქალაქებისა და სოფლების მამულობით, კერძო საკუთრებაში მემკვიდრეობით გადაცემა და იქ ფეოდალის უფლებების განმტკიცება გადაბირების მთავარი მიზეზი უნდა ყოფილიყო.

*

* *

ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის შესახებ მსჯელობისას, კერძოდ, საქართველოს ცალკეული სოციალური ფენების წარმომადგენელთა ორიენტაციის გარკვევის დროს ინტერესმოკლებული არ იქნება ქართული ქრისტიანული ეკლესიისა და მისი წარმომადგენლების ორიენტაციასაც შევეხოთ.

ქართული ქრისტიანული ეკლესია პროპაგანდისტისა და მებრძოლის როლში მხოლოდ მაშინ გამოდიოდა, როცა მტერი მას უქმნიდა საფრთხეს. საკუთარი ინტერესებისათვის ზრუნვას ქართული ეკლესიის ზოგიერთი მსახური ზოგჯერ მტრის მოკავშირის როლშიც კი გამოჰყავდა.

---

[46] Н. Скабаланович, დასახ. ნაშრომი, გვ. 201.

ცნობილია, რომ ქართული ქრისტიანული ეკლესია ერთმეფობაში და ქვეყნის გაძლიერებაში თავის სასარგებლო მოვლენას ხედავდა. საერო ფეოდალების გაძლიერება მას მიმძლავრებას უქადდა და ამდენად ის მისთვის ხელსაყრელი არ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაო-კლარჯეთის საერო ფეოდალებსა და ეკლესიის მამამთავრებს სხვადასხვა შეხედულება უნდა ჰქონოდათ ბიზანტიასთან დამოკიდებულების საკითხში. ამ შემთხვევაში, ის რაც საერო ფეოდალებს მოსწონდათ, ეკლესიის მამამთავრებისათვის მისაღები არ უნდა ყოფილიყო და, პირიქით, ის რაც ეკლესიის მამამთავრებს მოსწონდათ, საქართველოში, სამეფო ხელისუფლების გაძლიერების სახით, საერო ფეოდალებისათვის მიუღებელი იყო. ამიტომ იყო, რომ ხანგრძლივი ბრძოლის დროს, რომელიც საქართველოსა და ბიზანტიას შორის წარმოებდა, ეკლესიის მამამთავართა ბიზანტიაში წასვლისა და საკეისროსადმი მიმხრობის ნაკლები შემთხვევები გვაქვს.

შემთხვევითი არ არის ის გარემოებაც, რომ განსაცდელის დროს, 1028 წელს, როდესაც ბიზანტიის ლაშქარი საქართველოს შემოესია და „განდგეს კუალად აზნაურნი და...თჳთ წარვიდეს იგინი საბერძნეთს"[47], ტბეთისა და ანჩის ეკლესიების მამამთავრებმა, საბა მტბევარმა[48] და ეზრა ანჩელმა, ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციის საქმე ითავეს. მართლაც, სრულებითაც არ უნდა ყოფილიყო მაშინ ხელსაყრელი ქართული ეკლესიისა ან მონასტრის მსახურთათვის ბიზანტიის მბრძანებლობისა და პოლიტიკურ სფეროში მოქცევა. ეკლესია-მონასტრების უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში ამ დროს ისეთ მაღალ საფეხურზე იდგა, რომ მათი მესვეურები ბიზანტიაში ვერავითარ უკეთესსა და თავისთვის სასარგებლოს ვერ ნახავდნენ.

გავიხსენოთ ქართული ეკლესია-მონასტრების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ცოტა ადრე მომხდარი, მაგრამ მაინც დამა-

---

[47] სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ. 72.

[48] საინტერესო ცნობაა დაცული მტბევარის შესახებ „ხელმწიფის ჯარის გარიგებაში". იქ ნათქვამია: „მტბევარსა ზედა დარბაზს მისსა საჯდომსა უკანით მისსა მოლარეთ-უხუცესსა ფარი და ჴმალი აქვს უკანით, ამად რომე ერისთავიც არის შავშეთისა" (გარიგება ჴელმწიფის ჯარისა, გამოცემული ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, ქართველი ერის ისტორია, V, 1953, გვ. 218, 28).

ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ფიქრობდა, რომ „იქნება ეს უპირატესობა ტბეთის ეპისკოპოსებს საბა მტბევარის თავგანწირული და მამაცი სამხედრო ღვაწლის გამო... მიენიჭა ბაგრატ IV დროსო" (ქართული სამართლის ისტორია, II, 1929, გვ. 9).

ხასიათებელი, ზარზმაში მომხდარი ერთი ფაქტი. სოფელ ძარღუას მცხოვრები ვინმე გლეხი, თავისი „უფალის“ ნებართვის გარეშე, სერაპიონ ზარზმელის გარდაცვალების მესამე დღეს, ზარზმის ეკლესიის ფუძემდებლის საფლავზე მივიდა და, ბასილ ზარზმელის ანდერძით, ტირილის დროს თქვა: „არა განეშოროს საფლავსა ეგოლოგიდის არა მონაზონ იქმნეს“ და ევლოგიაჲცა იგი დადვას ადგილსა მას სამარხოსა მისისასა“[49]. მოისმინა რა ძარღუელი გლეხის ეს სიტყვები, „უბრძანა მამასახლისმან მნეთა ეკლესიისათა, რათა მიიღონ სამკარი და კუნკული (საბეჭური — ბერის ტანისამოსი და ბერის ქუდი — ვ. კ.) და აღკუეცონ კაცი იგი: ხოლო მათ სწრაფულ შეუდგინეს საქმე სიტყუასა და აღკუეცეს კაცი იგი და აღასრულეს მას ზედა ყოველი წესი მონაზონთა“[50].

როგორც ვხედავთ, ზარზმის ეკლესიის მამასახლისი სრულებით არ თვლის თავს ვალდებულად ძარღუელი გლეხის ეკლესიაში ბერად მიღება მის უფალს შეუთანხმოს. ასეთ შემთხვევაში საერო ხელისუფლება უღონოა ხელი შეუშალოს ეკლესიის მსახურთ. მაგრამ გლეხი რომ თავის სოფელში ბერის ტანსაცმლით გამოცხადდა, რომელიც თურმე მისი „უფალისათვის“ იყო საკმარ და მსრბოლ გზათა შორთა“[51], მისი ისევ „კუალად ერისაგან ყოფაჲ“[52] განიზრახეს. ხოლო „კაცმან მან, ვითარცა აგრძნა ვითარმედ არა უტევებენ ნებისაებრ მისისა, მაშინ აღიღო ევლოგიაჲ იგი და“[53], რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სირბილით ზარზმის ეკლესიას მიაშურა. მას მდევრები გამოუდგნენ, „რათა შეიპყრან და წარუღონ რაჲ იგი აქუნდა“[54]. მაგრამ ბერად შემდგარმა ძარღუელმა გლეხმა „სარკუმელსა ეკლესიისასა“ მიასწრო და „შეაგდო რაჲ იგი აქუნდა ჴელთ-საკოცელსა შინა გამოკრულ და ესრეთ უღონო რა იქმნეს მდევარნი იგი, ევედრნეს წინამძღუარსა გიორგის, რათა განეხუნენ კარნი ეკლესიისანი და რათა წმიდასა მას თაყუანი სცენ“[55].

მდევრებმა ძარღუელ გლეხზე და მის მიერ მოტანილ „ევლოგიაზე“ ხელი აიღეს და უკან გაბრუნდნენ. ყველაფერი ამით დამ-

---

[49] ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, I. იოანე საბანის ბე. 2. ბასილ ზარზმელი, პროფ. კ. კეკელიძის რედაქციით, 1935, გვ. 178.

[50] იქვე.

[51] იქვე.

[52] იქვე.

[53] იქვე.

[54] იქვე.

[55] იქვე. 179.

თავრდა და, როგორც ჩანს, შემდეგ ეკლესიის მამამთავარსა და ძარღუელი გლეხის „უფალს“ შორის დავაც არ წამოჭრილა. გლეხი მონასტერში ბერად დარჩა. ეს ფაქტი გარკვეულ სფეროში ეკლესია-მონასტრების განუსაზღვრელ უფლებებზე მიგვითითებს.

იმ დროის ქართული მონასტრის „კარები სოციალურ-ეკონომიკურ ტესობის მქონებელი პირისათვის მისი უფლების [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [

განეხილა. გუარამი თავგამოდებით ცდილობდა არ დაემტკიცებიათ არსენი კათალიკოზად, მაგრამ იგი დამარცხდა გრიგოლ ხანძთელთან პაექრობაში და „ზარ ჰკდა ჴელმწიფესა მას“[62]. ამრიგად არსენი კათალიკოზად დაამტკიცა, და გუარამმა და მისმა მომხრეებმა მარცხი განიცადეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთვის საინტერესო ხანაში საქართველოში ეკლესიის მამამთავართა რიცხვი მსხვილი ფეოდალების ხარჯზე იზრდებოდა, მაგრამ X—XI საუკუნეებში ქართული ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის შეკვეცაზე ცენტრალურ ხელისუფლებას არ უზრუნია. შემდეგ დროშიც საგადასახადო შეუალობით ყველაზე მეტად ეკლესია-მონასტრები სარგებლობდნენ. სასამართლო შეუალობა კი მხოლოდ ეკლესიას ჰქონდა (ივ. ჯავახიშვილი).

მართალია, საქართველოს სამეფო ხელისუფლების გაძლიერების საკითხში საერო ფეოდალები და ეკლესია ერთი და იგივე შეხედულების არ იყვნენ, მაგრამ მაინც „ერთადერთი დაწესებულება და ადამიანი, რომელთათვის ფეოდალები თავიანთ მამულსა და მონაგებს არ იშურებენ... თუმცა არა ყველა და არა ყოველთვის, არის ეკლესია-მონასტრები და ბერ-მონაზვნობა“[63].

ასეთი უპირატესობის მქონე ქართული ეკლესია საკუთარ თავზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე ხალხის გაჭირვებაზე. მას დავით აღმაშენებლის გამეფებამდე არავინ უშლიდა ხელს. ბაგრატ მეოთხის მიერ საქართველოში მოწვეული გიორგი მთაწმიდელი განცვიფრებაში მოიყვანა ეკლესიის მსახურთა სილაღემ. გიორგი ხუცეს-მონაზონი ერთი ეპისკოპოსის შესახებ წერდა: ეკლესიების შესამკობად და აღაპის დასადებად „სცვიდა სიმდიდრესა თჳსსა, ხოლო გლახაკთა ყოვლადვე არა მიხედვიდაო“[64]. ზოგიერთი კი გულგრილად შესცქეროდა ხალხის გაჭირვებას და თავისი გამდიდრების მიზნით ჰკრეფდა „ოქროსა და ვერცხლსა“[65], რაც ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მის დიდ უფლებასა და შეუზღუდველ მოქმედებაზე მიგვითითებს.

ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში, ქვეყნის გაერთიანების პირველ ხანაში, ეკლესია-მონასტრებისა და მათი მსახურების

---

[62] გიორგი მ ე რ ჩ უ ლ ე, ცხორება გრიგოლ ხანძთელისა. პ. ინგოროყვას გამოცემა, 1949, გვ. 94.

[63] ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 1. იოანე საბანის ძე, 2. ბასილ ზარზმელი, პროფ. კორნ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, 1935, გვ. 126.

[64] მ. ს ა ბ ა ნ ი ნ ი, საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 468.

[65] ი ქ ვ ე, გვ. 467.

მიმართ ჯერ კიდევ შეძორჩენილი იყო გრიგოლ ხანძთელის დროის შეხედულება, რომ ეკლესიის მსახურნი ქრისტეს მორჩილნი ვართ და „ვერვის ჴელწიფების მონებაჲ ორთა უფალთაჲ“-ს და „ეშმა-რიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არავისა ჴელმწიფებასა ქუეშე არიანო“[67].

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაბთა ბატონობის ხანაში ქართული ეკლესია „ეროვნულობის დროშის ქვეშ ეროვნული ფიზიონომიის შენარჩუნებას ქადაგებდა“.[68] იგი ქართული კულტურის დაცვა-შენარჩუნების როლში გამოდიოდა და ამ გარემოებამ მას დიდი ავტორიტეტი შეუქმნა, რომელიც მას X—XI საუკუნეებშიც გადმოჰყვა.

X საუკუნიდან დაწყებული, განსაკუთრებით კი XI საუკუნეში, ქართულ ეკლესია-მონასტრებში წარჩინებულთა და აზნაურთა მისწრაფება იმითაც უნდა აიხსნას, რომ ეს ორგანიზაცია შედარებით თავისუფალი იყო. მეფის ხელისუფლება შემავიწროებელ ღონისძიებებს მის მიმართ არ ატარებდა. პირიქით, იგი იცავდა საეკლესიო ობიექტებს საერო ფეოდალების — „მძლავრთა და ულმრთოთა კაცთა“-გან[69] — მიმძლავრებისაგან. ქართველი ფეოდალები საეკლესიო თანამდებობის მოპოვებისათვის ხალისით უხდიდნენ სასყიდელს სამეფო კარს, რის გამოც გიორგი მთაწმიდელი მეფის ხელისუფლებას კიცხავდა და აფრთხილებდა, რათა „არა ჰყიდდეს საეპისკოპოსოთა კაცთა მიმართ უწესოთა და უსწავლელთა, ყოვლითურთ სოფლისა შემსჭუალულთა და უწესოებათა და მიმოსლვათა შინა აღზრდილთა“[70]. ბიზანტიის ხელისუფლება კი ანალოგიურ ღონისძიებას საერო ტიტულების გაყიდვის სახით ახორციელებდა, არარსებულ თანამდებობებსაც კი ჰყიდდა.

ტაო-კლარჯეთის ბიზანტიისადმი პოლიტიკურად დამორჩილება ამ მხარის ქართული ეკლესიის ბიზანტიის ეკლესიისადმი დამორჩილებას გამოიწვევდა. ეს გარემოება კი სრულებითაც არ იყო ხელსაყრელი ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრების მსახურთათვის. ბიზანტიის ქრისტიანული ეკლესიის მსახურნი ხომ ქართული ეკლესია-მონასტრების მსახურთ თავიანთ ტოლად არ თვლიდნენ.

---

[66] გიორგი მერჩული. ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, პ. ინგოროყვას გამოცემა, 1949, გვ. 66.

[67] იქვე. გვ. 56.

[68] კ. კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 40.

[69] გიორგი II სიგელი 1072 წლისა, თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, 1896, გვ. 11.

[70] მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, დასახ. გამოცემა, გვ. 466.

გავიხსენოთ გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწისა და თავისი დროის მეცნიერის, გიორგი მთაწმიდელის სიტყვები ბიზანტიის ეკლესიის მსახურთა და, კერძოდ, ანტიოქიის პატრიარქის მიმართ: „უკუნურად შეგირაცხიეს ნათესავი ქართუშლთა... [illegible] ბრძენ და მძიმე გიყოფიანო“[71]. ქართული ეკლესიისა [illegible] ცნობილი იყო ისიც, თუ რაოდენ ძალღონეს წირავდნენ ქართველი ბერ-მონაზვნები ბერძნული ეკლესიის იდეურ-პოლიტიკური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლას. ბერძნები „ქართველებს შესაფერისი პატივით არ ეპყრობოდნენ“[72].

თუმცა, ბიზანტიის ეკლესია დიდმფლობელი ორგანიზაცია იყო და ბევრი ეკლესია-მონასტერი ე. წ. ექსკუსიით — ე. ი. იმუნიტეტით — საგადასახადო, ადმინისტრაციული და სასამართლო დამოუკიდებლობით სარგებლობდა, მაგრამ ეს არ ეხებოდა მთელს სასულიერო სფეროს და საჭიროების შემთხვევაში ბიზანტიის იმპერატორები ეკლესიის პოლიტიკური და ეკონომიური გაძლიერების შემზღუდველ ღონისძიებებს ატარებდნენ.

ვინაიდან მონასტრების ხელში დიდი მამულების დაგროვება და მწარმოებელი საზოგადოების გადასვლა ცენტრის დასუსტებას იწვევდა, ნიკიფორე ფოკამ 964 წელს კანონი გამოსცა, რომლითაც ახალი მონასტრების დაარსება აკრძალა და ძველებს მამულების შეძენის უფლება წაართვა. ხოლო მონასტრების ხელთ მყოფი მამულები მძიმედ დაბეგრა. მეორე მხრივ, როგორც მსხვილი მიწათმფლობელების წარმომადგენელმა, უკანასკნელთა ინტერესების დაცვის მიზნით, 967 წელს ახალი კანონი გამოსცა და გააუქმა ის კანონი, რომელიც სტრატიოტების მიმძლავრებას მსხვილ მიწათმფლობელთაგან საზღვარს უდებდა. ე. ი. ნიკიფორე ფოკა, როგორც მსხვილი მიწათმფლობელებისა და სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენელი, უკანასკნელთა ინტერესებს იცავდა და ეკლესიას ავიწროებდა.

როგორც აღნიშნული იყო, ცენტრალიზაციის პრინციპს ბიზანტიის იმპერიაში ყველა იმპერატორზე უფრო მეტად ბასილ II ატარებდა. მიუხედავად ამისა, მან საჭიროდ დაინახა, რომ ეკლესიის მსახურთა თხოვნით ნიკიფორეს მიერ შემოღებული კანონი გაეუქმებია, მაგრამ 1001 — 02 წლებში გამოცემული „ალლილენგიით“ ეკლესია-მონასტრებსაც დააკისრა, რომ ღარიბ-ღატაკთა მიერ გადასახადის გადახდის შეუძლებლობის შემთხვევაში ისინი არიან პასუ-

---

[71] მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე. დასახ. გამოცემა, გვ. 462—463.
[72] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 184.

ხისმგებელი. ეს იმდენად მძიმე აღმოჩნდა ეკლესია-მონასტრებისათვის, რომ პატრიარქი სერგი და ეპისკოპოსები იძულებული გახდნენ ეთხოვათ ბასილისათვის „ალლილენგიის“ გაუქმება ეკლესიის მიმართ. მაგრამ თხოვნა უშედეგოდ დარჩა[73].

ბიზანტიის ეკლესია სახელმწიფოს სასარგებლოდ ორგანიზაცია იყო. საეკლესიო სფეროში სახელმწიფო — ორგანიზაცია უფრო მოქნილად მოაწყო, ვიდრე საერო ფეოდალებთან. ამა თუ იმ სამიტროპოლიტოში შემავალი საეპისკოპოსოების მაგიერ სახელმწიფოს წინაშე გამოსაღების — გადასახადის შესახებ პასუხისმგებელი მიტროპოლიტი იყო. ეს გარემოება მძიმე მდგომარეობას უქმნიდა სამიტროპოლიტოებს.

ეპისკოპოსები ზოგ შემთხვევაში ანადგურებდნენ საეპისკოპოსოებს და გადახდის უნარს უკარგავდნენ მათ. ხშირად კი, როდესაც გადასახადის გადახდისა და ამკრეფის მოსვლის დრო მოახლოვდებოდა, იმალებოდნენ და საეპისკოპოსოს შემოსავალიც თან მიჰქონდათ. ასეთ შემთხვევაში მიტროპოლიტები იძულებული იყვნენ თვით ეგოთ პასუხი სახელმწიფო ხაზინის წინაშე.

სინოდმა, 1027 წელს, მიტროპოლიტთა უხერხული მდგომარეობიდან გამოყვანის მიზნით, ერთდაგვარი გაუბედავი ნაბიჯი გადადგა. კერძოდ, დადგენილება მიიღო, რათა მდიდარი საეპისკოპოსოები დახმარებოდნენ სამიტროპოლიტოებს, დაებრუნებინათ ერთ დროს მიტროპოლიტებისაგან „ხარისტიკის“[74] სახით მიღებული მონასტრები, რადგან შეუსაბამო და უსამართლოა სამიტროპოლიტოები დაჯარიმდნენ ყოველგვარი გადასახადით ღარიბი საეპისკოპოსოების ნაცვლად, ამიტომ მდიდარი ეპისკოპოსები უნდა დაეხმარონო მათ[75]. შედარებით უფრო გაბედული ნაბიჯი ამ საკითხზე 1028 წელს გადადგა სინოდმა მდიდარ ეპისკოპოსთა მიმართ[76].

---

[73] Н. Скабаланович. Византийское государство и церковь 1884, გვ. 244—245; М. В. Левченко, გვ. 166.

[74] ხარისტიკი (ბერძ. Χαριστικός) — გულუხვი, მწყალობელი. ბიზანტიაში ამ ტერმინით აღინიშნებოდა მონასტრისა და მისი კუთვნილი მიწის პირობით, შეწყალების სახით გადაცემა სასულიერო ან საერო პირისადმი (ხარისტიკარისადმი). ეს სისტემა X საუკუნიდან გავრცელდა ბიზანტიაში და ჩვეულებრივ ხარისტიკის მიცემას ხარისტიკარზე აწარმოებდნენ მეფე, ეპისკოპოსები და კერძო პირები, რომელთაც საკუთარი მონასტრები ჰქონდათ.

[75] Н. Скабаланович, დასახ. ნაშრომი, გვ. 269.

[76] იქვე, გვ. 270.

ბიზანტიაში ფართოდ იყო გავრცელებული „ხარისტიკის“ პრაქტიკა. მისი გაცემა ხშირად ამღების თხოვნით ხდებოდა. მაგრამ ამასთან ერთად მონასტერი ზოგჯერ თვით სთხოვდა პოლიტიკურად და ეკონომიურად ძლიერ პიროვნებას, რომ მას „ხარისტიკის“ სახით აეღო ეს მონასტერი. უკანასკნელი გარემოება [illegible] ვითი და იმაზე მიგვითითებს, რომ ის ალბათ ძლიერი მფარველის მოძებნასა და ვინმედან მიმძლავრების თავიდან აცილებასაც ისახავდა მიზნად.

XI საუკუნის მოღვაწეს, ბიზანტიის იმპერატორის კარზე დიდად მიღებულსა და გავლენის მქონე პსელოსს რამდენიმე მონასტერი ჰქონდა ამ წესით აღებული; აგრეთვე „შემონახულია პსელოსის წერილი, რომელიღაც მონასტრის ბერების მიმართ, რომლებმაც მისი (პსელოსის — ვ. კ.) ხელისუფლების ქვეშ მონასტრის მიღება სთხოვეს მას. მაგრამ, ალბათ იმიტომ, რომ ღარიბი მონასტერი პსელოსს ვერ მოუტანდა რაიმე სარგებლობას, უარი უთხრა მიღებაზე“[77].

„ხარისტიკის“ შემოღების წესს თან მოჰყვა ის ამბავი, რომ გარკვეული პირები ცდილობდნენ „ხარისტიკის“ სახით ერთხელ მიღებული მონასტრები სამემკვიდრეო საკუთრებად გადაექციათ, ამასზე ხელს აღარ იღებდნენ. არ ასხვავებდნენ რა საკუთარ ქონებაში, ისინი არა მარტო თვით უწევდნენ ექსპლოატაციას ამ მონასტრებს, არამედ ასაჩუქრებდნენ და ჰყიდდნენ კიდეც სხვა პირებზე[78].

1027 და 1028 წლების კონსტანტინეპოლის სინოდის დადგენილებაში მკვეთრი პროტესტია გატარებული თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა თუ სხვა გზით „ხარისტიკის“ მითვისების წინააღმდეგ. 1028 წლის სინოდის დადგენილებით ეპისკოპოსებსა და მიტროპოლიტებს დაევალათ გაძევება იმ პირის, ვინც „ხარისტიკის“ უფლებას ბოროტად გამოიყენებდა[79].

1027 წლის სინოდის დადგენილებაში გატარებულია აზრი, რომ ვისაც „ხარისტიკა“ მიტროპოლიტისაგან აქვს მიღებული, ვალდებულია დაუბრუნოს სამიტროპოლიტოს, თუ მიტროპოლიტი განიცდის მატერიალურ საჭიროებას. მაგრამ „ხარისტიკის“ მქონენი არ თვლიდნენ სავალდებულოდ სინოდის ამ შეხედულებას და ეს

---

[77] Н. Скабаланович, დასახ. ნაშრომი, გვ. 259—260.

[78] იქვე.

[79] იქვე. 261.

დადგენილება საკმარისი არ აღმოჩნდა ხარისტიკის გასაკუთრების ტენდენციის აღმოსაფხვრელად[80].

მიუხედავად ამ ღონისძიებისა, მონასტრების გასაკუთრებისა და გასხვისების ტენდენცია მაინც ღრმავდებოდა.

ისე როგორც ყოველთვის და ყველგან კლასობრივ საზოგადოებაში, ბიზანტიაშიც ეკლესია, ქრისტიანული რელიგია და გაბატონებული კლასი, პირველ რიგში კი ამ კლასის დამცველი საიმპერიო ხელისუფლება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ. ეკლესიის მაღალი თანამდებობის პირები ქვეყნის საერო პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდნენ და საერო ხელისუფლებაც ეკლესიის საქმეებში აქტიურად ერეოდა. „სახელმწიფო ხელისუფლება საქმიან მონაწილეობას იღებდა საეკლესიო საკითხებში და ითვისებდა ეკლესიის მაღალი თანამდებობის პირთა გადაყენებისა და დანიშვნის უფლებებს"[81].

ნ. სკაბალანოვიჩი მდიდარი და დამაჯერებელი წყაროების საფუძველზე სამართლიანად მიუთითებს, რომ „ისე როგორც იმპერატორის არჩევა სენატისა და ხალხის მიერ ძალის გამოყენების ფაქტის დამფარველი პოლიტიკური ფიქცია იყო, ასევე საეკლესიო კრების მიერ პატრიარქის არჩევა, უმეტეს შემთხვევაში, მოგონილი, საეკლესიო კრებით დადგენილი, ეკლესიის სფეროში იმპერატორის სახით ფიზიკური ძალის შეჭრის დამფარველი ფიქცია იყო. სინამდვილეში, იმპერატორის ნება-სურვილი იყო ერთადერთი მნიშვნელობის მქონე ფაქტორი პატრიარქის ტახტზე აყვანის დროს"[82].

ზემოაღნიშნულის გარდა, პერიოდულად აღმოცენებული სხვადასხვა სექტებს შორის ბრძოლა, რომელიც ღრღნიდა ბიზანტიის ეკლესიას, საქართველოს ქრისტიანული ეკლესიის მსახურთ არ აძლევდა იმის მაგალითს, რომ მათ ბიზანტიის ორიენტაცია აერჩიათ[83].

---

[80] Н. Скабаланович, დასახ. ნაშრომი, გვ. 261.

[81] იქვე.

[82] იქვე, 366.

[83] კონფესიონალური საკითხების ცნობილი მკვლევარი მ. საბინინი IX—XI საუკუნეების ბიზანტიის ეკლესიის მდგომარეობას შემდეგნაირად ახასიათებს: «Император нарушал твердо установленный закон церкви и беспорядки церковные являлись печальными плодами таких отноше-

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ჩვენ რამდენადმე გადაჭარბებულად გვეჩვენება განმარტება იმის შესახებ, რომ XI საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში „მცხეთის საკათალიკოზო ტახტის ეპისკოპოსებმა საქართველოს ეკლესიის ერთიანობა გასტეხეს და მტერს (ბიზანტიას — ვ. კ.) მრავლად მიუვიდნენ". მართალია, ერთიანობის გამტეხნი ამ შემთხვევაში საქართველოს ეკლესიაშიც აღმოჩნდნენ, მაგრამ საერო ფეოდალებთან შედარებით უფრო მცირე და არა „მრავლად".

ბიზანტიის ეკლესიამ საიმპერიო ხელისუფლების წინაშე უდიდესი ავტორიტეტი მხოლოდ XI საუკუნის 80-იანი წლებიდან მოიპოვა, როცა საგარეო მტრები და სექტანტები (პავლიკიანები და სხვ.) ბიზანტიის სახელმწიფოს დიდ საფრთხეს უქმნიდნენ. მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესია მხარში ამოუდგა საიმპერიო ხელისუფლებას. ამ მხრივ განსაკუთრებით ალექსი კომნენოსის მოღვაწეობის ხანაა დამახასიათებელი. მაგრამ საქართველოში ამავე დროიდან მოვლენები საწინააღმდეგო მიმართულებით ვითარდებოდა. ერთმმართველობის ინტერესები ეკლესიის ფეოდალური ფრთისა და მისი ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლას გარდუვალს ხდიდა.

ბიზანტიისა და საქართველოს ეკლესიების შესახებ ამ მცირე ცნობების მოტანა და მათი შედარებაც სათანადო საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ XI საუკუნის დასასრულამდე ქართული ქრისტიანული ეკლესია, ბიზანტიის ეკლესიასთან შედარებით, თავისუფლად გრძნობდა თავს და მის მამამთავრებს ბიზანტიისაკენ არაფერი იზიდავდა.

ний: соблазн в народе, вмешательство своекорыстного папства, потворство епископов и духовенства, низвержение патриарха, посрамление власти патриаршей в лице Евфимия, позорным образом наказанного, развитие враждебных церковных партий и пр.» (М. Сабинин, Очерки внутренней истории Византийско-восточной церкви в IX, X, XI веках, Москва, 1878, გვ. 39; იხ. ამ საკითხზე აგრეთვე: Дж. Б. Бьюри (J. B. Bury), Государственный строй Византийской империи, историко-юридический этюд, წიგნში: Очерки по истории Византии под редакцией и с предисловием В. К. Бенешевича, вып. II, СПб, 1912, გვ. 20—21.

[84] საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958, გვ. 142.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბა მტბევარ ეპისკოპოსის მეთაურობით მოწყობილ აჯანყებისა და წინააღმდეგობის ორგანიზაცია ძნელი დასაძლევი აღმოჩნდა ბიზანტიელთათვის და „ვერ წაუღეს ქუეყანა მტერთა“[85]. ნიკიტა პარაკიმანოსმა, რომელსაც კონსტანტინე კეისრის მიერ მინდობილი ჰქონდა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი, „მოავლინა მუნ... იოვანე ხარტულარი სახელით ვალანგ ლაშქრითა დიდძალითა“[86].

ხალხის გადაბირებისა და გეგმის განხორციელებისათვის კეისარმა ბრძოლის სხვა საშუალებაც გამონახა. როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, 1011—1012 წლებში ბაგრატ III კლარჯეთის მფლობელ ბაგრატიონთა წინააღმდეგ უკიდურეს ზომებს მიმართა, კონსტანტინეპოლში გაქცეული „ძე სუმბატისი ბაგრატ და ძე გურგენისი დემეტრე“ კეისრის კარზე იმყოფებოდნენ და ბიზანტიის ხელისუფლება ახლა მათ გამოყენებას შეეცადა. როდესაც დიდძალი ლაშქრით იოვანე ხარტულარი ნიკიტა პარაკიმანოსმა ტაოკლარჯეთში გამოგზავნა, „თანა მოსცა მას ძე გურგენ კლარჯისა დემეტრე, რეცა შესატყვევნელად ქუეყანისა მკვდრთა“[87].

ამრიგად, კლარჯეთის მკვიდრთა ძოტყუებისა და გადაბირების მიზნით, ვითომ დემეტრე კლარჯის შელახული უფლების აღდგენისათვის, ბრძოლა დაიწყო ბიზანტიის ხელისუფლებამ. ძალისა და იარაღის გამოყენებასთან ერთად მან ჩვეული ხერხი, მოსყიდვა-გადაბირების მეთოდიც გამოიყენა და დაბალ ფენებზედაც მოახდინა ზეგავლენა. მემატიანის გადმოცემით, ბიზანტიის აგენტებმა იმდენი შეძლეს, რომ მათი მცდელობის შედეგად „მიიქცეს ერნი, სოფელნი უგუნურ-უსუსურნი ცნობითა და გონებითა და გამოადგინეს ლაშქარნი სვეტსა მას ტბეთისასა და ჰბრძოდის ძლიერად მრავალ ღონედ“[88].

ჩანს, ბიზანტიის აგენტებმა ადგილობრივ მკვიდრთა მხოლოდ

---

[85] „ქართლის მატიანე“, ანასეული ნუსხა, გვ. 182.

[86] სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ. 73. სუმბატის ცნობის ამ ადგილს ჩვენ ვკითხულობთ გ. გელაშვილის შესწორების მიხედვით (გ. გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. სუმბატ დავითის ძე და „მატიანე ქართლისა“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 87, 1960, გვ. 254).

[87] სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ. 73.

[88] ი ქ ვ ე.

ნაწილის გადაბირება შეძლეს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლნი, რომლებიც „ამაგრდნენ „სუეტსა მას შინა“, მტერმა ვერ დაიმორჩილა. მემატიანე, რომელიც ქართველთა მტკიცე ნებისყოფასა და [illegible] ლოცვა-კურთხევის ძალას მიაწერს, აღნიშნავს [illegible] „სუეტსა მას შინა“ მყოფნი „ვითარცა ერთგულნი და ჭეშმარიტნი მარტვილნი საღმთონი თავთა თჳსთა განწირვიდეს და სისხლთა დასთხევდეს სიტყჳსაებრ მოციქულთასა და განძლიერდებოდეს“[89].

ბიზანტიის აგენტების მიერ წარმოებულ მოსყიდვა-გადაბირების ღონისძიებებსა და სამშობლოს დაცვისათვის მებრძოლი ძალების საპასუხო ზომებს მოკლედ, მაგრამ მშვენივრად გადმოგვცემს ქართველი მემატიანე: საბა მტბევარი და მისი თანამებრძოლები „ყოველთავე ეტყოდეს, ვითარმედ, ნუმცა შეგვიტყუებენ ჩუენ ლიქნანი ესე და საფასენი მსწრაფლ წარმავალნი, არამედ მოვიგოთ მადლი ერთგულებისა და გვირგვინი ახოვნებისა“[90], ხოლო „მბრძოლნი იგი გარემოდგომილნი მათდა ლიქნიდეს აღთქმითა და ქადაგებითა კეთილითა საფასეთათა“[91]. ე. ი. ბიზანტიის აგენტები ყოველგვარ საშუალებებს ხმარობდნენ ადგილობრივ მკვიდრთა გადასაბირებლად.

მტრის ასეთი მეთოდი იმას მოწმობდა, რომ ძლიერ წინააღმდეგობას ჰქონდა ადგილი. არ არსებობდა ამ დროს რაიმე ეკონომიური და პოლიტიკური საფუძველი, რომელიც ტაო-კლარჯეთის დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებს ბიზანტიისაკენ მიიზიდავდა. პირიქით, თუ ჩვენ მიერ ზემოაღნიშნული ვარაუდი სწორია, რომ ტაო-კლარჯეთის აზნაურთა მაღალი ფენის წარმომადგენლები მათთვის სასარგებლო მოვლენების განვითარებას ხედავდნენ ბიზანტიაში და ამიტომ მიიწევდნენ იქით, მწარმოებელი, დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებისათვის სრულებით არ იყო ხელსაყრელი იგივე გზა, რომელსაც დიდი აზნაურები ადგნენ. ეს უკანასკნელნი ხომ შეუვალობისა და ქვეშევრდომების მიმართ მსხვილ ფეოდალთა დიდი უფლებების გავრცელების ტენდენციებს ხედავდნენ ბიზანტიის იმპერიაში.

ვინ უნდა იყოს მაინც ის „ერნი... უგუნურ-უსუსურნი“, რომლებიც ბიზანტიასა და დემეტრეს მიემხრო? კლარჯეთი, ცენტრით — არტანუჯი, XI საუკუნის დამდეგამდე, როგორც ნათქვამი იყო,

---

[89] სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ. 73.

[90] ი ქ ვ ე.

[91] ი ქ ვ ე.

ბაგრატიონთა ერთ შტოს, ადარნასე აშოტის ძის შთამომავლებს ეკუთვნოდა, რომელთა წარმომადგენელი, ბაგრატ მესამის ბრძანებას გადარჩენილი და ბიზანტიაში გაქცეული, „რეცა შესატუალნელად ქუეყანისა კაცთათჳს“ გამოგზავნილი, დემეტრე იყო. კლარჯეთის ბაგრატიონებს თავიანთი სახელმწიფო ყმები „წურილისა ერისაგანი“ ჰყავდათ, რომლებიც ბაგრატ III მიერ კლარჯეთ-ტაოს თების შემდეგ საქართველოს სამეფო ყმებად თუ გლეხებად უნდა ქცეულიყვნენ. მწარმოებელი საზოგადოების ამ წევრებთან უნდა გამოენახა საერთო ენა ბიზანტიის აგენტებს. სწორედ მათ „გამოადგინეს ლაშქარნი სუეტსა მას ტბეთისასა, და ბრძოდეს ძლიერად მრავალღონედ“.

მეტად რთული ვითარებაა: არტანუჯის ციხე ბაგრატ მეოთხისადმი ერთგულებით განთქმულ იოანე ერისთავს, აბუსერს აქვს. დემეტრე კლარჯის მომხრე „წურილისა ერისაგანი“, რომელშიც ჩვენ პირობითად სახელმწიფო გლეხებს, იგივე „მდაბიორებს“ ვგულისხმობთ, იოანე აბუსერს ან მის მსგავსთ, მეფისადმი ერთგულთ, უნდა ემორჩილებოდნენ, მაგრამ ისინი, ვიღაცისადმი უკმაყოფილონი, ბიზანტიისა და დემეტრეს მხარეზე გამოდიან. მათი თანაკლასელები კი, მწარმოებელი საზოგადოების სხვა წევრები ასე როდი იქცევიან. საბა მტბევარ ეპისკოპოსის მიერ შეკრებილ „ერის“ წევრებში მწარმოებელი საზოგადოების წევრები უნდა იგულისხმებოდეს, რომლებმაც მტერთაგან მიუდგომელი გახადეს ციხე-სიმაგრე.

ბიზანტიისა და დემეტრე კლარჯის მომხრე-მოწინააღმდეგეთა შესახებ სუმბატისა და „ქართლის მატიანის“ ავტორის ცნობები ყველაფრის გათვალისწინების შესაძლებლობას არ იძლევიან. მაგრამ ის კი ჩანს, რომ მწარმოებელი საზოგადოების ერთი და იგივე კლასის, მაგრამ შესაძლებელია სხვადასხვა კატეგორიის ხალხი ორად გაიყო: ერთი ნაწილი ბიზანტიას და დემეტრეს მიემხრო, ხოლო მეორე — თავდაცვის მომხრე ძალებს. ერთი და იგივე კლასის, მაგრამ სხვადასხვა კატეგორიის ხალხს ვგულისხმობთ სუმბატ დავითის ძის მიერ ორჯერ ხსენებულ „ერის“ წევრებში.

სუმბატი ჯერ საბა მტბევარის შესახებ მოგვითხრობს: „შეკრიბა მაშინ მან ერი თჳსი“ და ციხეში ჩააყენაო. ხოლო შემდეგ დემეტრე კლარჯის მხარეზე გადასულთა შესახებ წერს: „მიიქცეს ერნი, სოფელნი უგუნურ-უსუსურნი ცნობითა და გონებითა“.

როგორი გაგებითაც არ უნდა ხმარობდეს ავტორი აქ ტერმინ „ერს“, ორივე შემთხვევაში ძირითადად სოფლის მწარმოებელი

საზოგადოება იგულისხმება. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ თავდაცვითი ბრძოლის მონაწილე „შავშეთის აზნაურნი“ ყველის ავტორს ცალკე ჰყავს მოხსენებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწარმოებელი საზოგადოების პოლიტიკური [illegible] ეროვნული სხვადასხვა მიმართულება შესაძლებელია [illegible] ეროვნული მდგომარეობით აიხსნას: ეს ორი ჯგუფი ცალ-ცალკე იმის წინააღმდეგ იბრძვის, ვინც მას აწუხებს: ბიზანტიისა და დემეტრეს მომხრეები საქართველოს სამეფო ხელისუფლებასა და მის მოხელე-ფეოდალებს გაურბიან, ხოლო საბა მტბევარისა და ეზრა ანჩელის მომხრენი — ვიღაც სხვას. არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ უკანასკნელნი ბიზანტიაში გაქცეულ ქართველ ფეოდალთაგან — ჩანჩუხა ერისთავისა, ვაჩე კარიჭის ძისა და მათი რანგის ადამიანებისაგან ექსპლოატაციას განიცდიდნენ, მათი უკმაყოფილონი იყვნენ, რაც საბა-მტბევარ ეპისკოპოსის მხარდაჭერაში გამოავლინეს.

შავშეთ-კლარჯეთის „წურილი ერის“ აღნიშნული მოქმედების ასე ახსნა ჩვენ სრულიად კანონზომიერად გვეჩვენება და ორივე მხარის მოქმედებაში კლასობრივი ბრძოლის ნიშნებს ვხედავთ. მაგრამ მათი ბრძოლის მოსალოდნელი ობიექტური შედეგები ერთიმეორისაგან განსხვავდებოდა: საბა-მტბევარ ეპისკოპოსის მომხრეთა ბრძოლა საქართველოს ცენტრალიზაციასა და პროგრესს უწყობდა ხელს, ხოლო დემეტრეს მომხრეთა მოქმედება რეაქციული ხასიათის იყო.

ტაო-კლარჯეთის მიწა-წყალზე ბიზანტიის გაბატონება და მისი კანონების გატარება კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობასა და დამონებას უქადდა ადგილობრივ მკვიდრ მწარმოებელ საზოგადოებას. მაგრამ ისინი ამას ვერ ითვალისწინებდნენ.

აზნაურთა მაღალი ფენის წარმომადგენლები მოსყიდვის გარეშეც შეიძლებოდა ბიზანტიის ორიენტაციის მომხრე გამხდარიყვნენ. ამიტომ არის, რომ ქართველი მემატიანეები ვაჩე კარიჭის ძის, იოვანე ბანელის, ჩანჩუხა ერისთავისა და მათი რანგის ადამიანების ბიზანტიის მხარეზე გადასვლის ამბების მოთხრობის დროს ერთხელაც არ აღნიშნავენ საფასესა და მოსყიდვას, მაგრამ, როცა დაბალი ხალხის გადაბირებაზეა საუბარი, აქ „ლიქნანი“ და „საფასენი“ სჭრიან საკითხს („ლიქნანი“ და „საფასენი“ აზნაურთა დაბალი ფენების წარმომადგენელთა გადასაბირებლადაც უნდა ყოფილიყო საჭირო).

ბიზანტიის მოწინააღმდეგე ქართველ აზნაურთა შორის, ჩანს,

ბაგრატ მეოთხისადმი ერთგულებით ცნობილი, იოვანე ერისთავი, აბუსერი ასრულებს თვალსაჩინო როლს, რომელსაც „ციხე-არტანუჯისა ჰქონდა“[92]. უნდა ვიფიქროთ, რომ იოვანე ერისთავისათვის სრულებით არ იყო ხელსაყრელი დემეტრე ბაგრატიონის დაბრუნება და ის, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ბაგრატის მხარეზე იბრძოდა.

საფიქრებელია, რომ იოვანე ერისთავი „შეწყალებულ“ აზნაურთა ჯგუფს ეკუთვნოდა. ამ ეტაპზე შეწყალების წესი ქვეყნის ცენტრალიზაციის სასარგებლოდ მოქმედებდა. სწორედ XI საუკუნის სინამდვილეს ეხება ივ. ჯავახიშვილის განმარტება: „საქართველოს მეფეთა ხელში „შეწყალების“ წესი დიადი და ძლიერი იარაღი იყო მათ პოლიტიკის განსახორციელებლად. ვინც მათი „ერთგული მსახური“, მათ წადიერებათა და ბრძანებათა „მოსწრაფედ“ აღმასრულებელი გამოდგებოდა, უფრო „შეწყალებული“-ც იქნებოდა. „შეწყალებით“ მეფე თავის ერთგულთ ზურგს უმაგრებდა, ეკონომიურად აღონიერებდა, „ყმათა“ რიცხვს უმრავლებდა“[93].

მართალია, ფეოდალური ურთიერთობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე „შეწყალების“ წესი ქვეყნის ცენტრალიზაციის საზიანო მოვლენად გადაიქცა, იგი „ძირს უთხრიდათვით იმ საქმეს, რომლის განხორციელებასაც მეფეებმა ეგოდენი ძალა შეალიეს“[94], მაგრამ მოცემულ ეტაპზე, XI საუკუნეში, კერძოდ იმ დროს, როცა საქართველო ბიზანტიასთან იყო ჩაბმული თავდაცვით ომში, „შეწყალების“ წესი საქართველოს მეფეებს მომხრეებს უმრავლებდა. ცენტრის დასუსტების მომხრე ძალებს, საზოგადოების პროგრესულ ნაწილთან კავშირში მყოფი მეფის ერთგულნი—„შეწყალებულნი“ უპირისპირდებოდნენ.

ბაგრატ III დროს საქართველოს მეფის ხელისუფლების განკარგულებაში მიწების უდიდესი ფონდი დაგროვდა. ამ გარემოებამ მეფეს ერთგულთა რიცხვის გამრავლებისა და გაძლიერების შესაძლებლობა მისცა. კლარჯეთის ბაგრატიონთა განადგურების შემდეგ, გასაგებია, ამ მხარის გამგებლებად ბაგრატ მეფე თავისი ბრძანების „მოსწრაფედ“ შემსრულებლებს დაადგენდა. სწორედ მათ რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს იოვანე ერისთავიც.

---

[92] „ქართლის მატიანე“, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 293.
[93] ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაწ. I, 1928, გვ. 93.
[94] იქვე.

დემეტრე ბაგრატიონის მოსვლამ და ბიზანტიის დოსტიებებმა, ჩანს, დიდი არევ-დარევა შეიტანეს ქართველთა შორის, ამიტომ „ქართლის მატიანის“ ავტორი გადმოგვცემს, რომ „ქუეყანათ ამათ შინა იქმნნეს ბრძოლანი და შუღლნი და მი-და-მოსვლანი“[95]. მაგრამ კონსტანტინე კეისარს არ დასცალდა [illegible] თავისი გეგმის განხორციელება. ბიზანტიელთა ვერაგული მოქმედებით გაჯავრებული სუმბატ დავითის ძე გადმოგვცემს: „ხოლო ესე ვითარად რა ღელვად აღტეხილად იგუემებოდა აღმოსავლეთი, მსწრაფლ ეწია რისხუა უმსჯავროსა მას მეფესა კონსტანტინეს, მსგავსად ივლიანეს უსჯულოსა უწყალობისათჳს ბაგრატ მეფისა ჩუენისა, მოოჴრებისათჳს მამულისა მისისა და მოსწრაფედ მოეწერა პარკიმანოს-პროედროსსა თჳსსა, რათა მსწრაფლ შეიქცეს იგი ლაშქრითურთ თჳსით და მოვიდეს კონსტანტინეპოლედ“[96]. ბერძენთა ლაშქრის მეთაურმა ბრძანება შეასრულა და „წარემართა მსწრაფლ“[97] კონსტანტინეპოლში. მაგრამ სანამ იგი დედაქალაქში მივიდოდა, „მოიცვალა კოსტანტინე მეფე“[98], რომელმაც „დაუტევა შემდგომად მისსა მეფობა რომანოზს ნათესავსა და მიმდგომსავე თჳსსა“[99].

ამით დამთავრდა დემეტრე კლარჯის გამოყენების ცდა ბიზანტიელთა მიერ, დემეტრეს შემდგომი ბედის შესახებ წყაროები აღარაფერს მოგვითხრობენ.

§ 7. ქართველები რომანოზ არგვიროსის საწინააღმდეგო შეთქმულებაში. ქართველთა ელჩობა ბიზანტიაში და მისი შედეგები

კონსტანტინე VIII 1028 წ. 15 ნოემბერს გარდაიცვალა. სამი დღით ადრე, ე. ი. 12 ნოემბერს, რომანოზ არგვიროსი კონსტანტინეს საშუალო ქალიშვილზე, ზოიაზე დაქორწინდა და კონსტანტინეს გარდაცვალებისთანავე სამეფო ტახტი დაიკავა.

---

[95] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 293.

[96] სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ. 73.

[97] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 293.

[98] ი ქ ვ ე.

[99] სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ. 73. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სუმბატ დავითის ძისა და „ქართლის მატიანის“ ავტორის ცნობები ბიზანტიელთა ლაშქრის საქართველოდან გაწვევის დროის შესახებ დაზუსტებას უნდა საჭიროებდეს. საქართველოდან საკეისროს ლაშქრის გაწვევა კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ უფრო არის მოსალოდნელი, ვიდრე მის სიცოცხლეში.

მისი მეფობის (1028—1034 წწ.) პირველ ხანებში დროებით შეწყდა ბიზანტიის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ექტიური მოქმედება. ეს გარემოება კონსტანტინეს გარდაცვალებით კი არა, ბიზანტიის შინაგანი და საგარეო პოლიტიკური სირთულეებია ნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობილია, რომ იმპერიის აღმოსავლეთის საზღვრებზე მყოფი არაბთა საამიროები ყოველთვის ცდილობდნენ ზიანი მიეყენებინათ ბიზანტიის სანაპირო სამფლობელოებისათვის. ასეთ საამიროთა შორის პირველი ადგილი ალეპოს საამიროს ეკავა. მას რომანოზ არგვიროსის მეფობის დროს ბედუინთა მეთაურის, სალიხ იბნ-მირდასის შთამომავლები მართავდნენ, რომლებმაც 1029 წელს ძლიერ დაამარცხეს ანტიოქიის დუკა და საქმე ისე გართულდა, რომ რომანოზ არგვიროსმა სამხედრო ექსპედიციის მოწყობა გადაწყვიტა.

რომანოზს სურდა გაეხსენებია მუსლიმანებისათვის ის, რაც ნიკიფორე ფოკასა და იოანე ციმისხის დროს დაემართათ და დიდი ექსპედიცია მოაწყო. იმპერატორის ფართო გეგმის თანახმად იგი იერუსალიმამდე უნდა მისულიყო. ფილომიდიაში რომ მივიდა, მასთან ამირას ელჩები გამოცხადდნენ საჩუქრებით და ბოდიში მოუხადეს. იმპერატორს შეეძლო საქმე უბრძოლველად, თავის სასარგებლოდ მოეგვარებია, მაგრამ ჩაშალა მოლაპარაკება და ალეპოსაკენ დაიძრა[100].

მოგვითხრობს რა რომანოზის მიერ ამ ლაშქრობისათვის მზადებას, როგორც უგუნურ მოქმედებას, პსელოსი ირონიულად წერს: იმპერატორმა ყველა ჯურის ლაშქარი შეკრიბა და გაამზადა. გაადიდა ლეგიონები, შეაგროვა დაქირავებული ძალები და გაამრავლა ისინი რიცხობრივად. ფიქრობდა, რომ პირველი იერიშით ხელთ იგდებდა ბარბაროსებს. იმედი ჰქონდა, რომ თუ რიცხობრივად უფრო ჯეროვნად შეკრებდა ლაშქარს და განსაკუთრებულ მრავალფეროვნებას შეიტანდა ბერძნულ წყობაში, როდესაც ის თავისი და მოკავშირეთა[101] უზარმაზარი ლაშქრით თავს დაესხმოდა მტერს, უკვე ვერავინ ვერ გაუმაგრდებოდა[102].

პსელოსის ეს ცნობა გვაფიქრებინებს, რომ არაბთა წინააღმდეგ ლაშქრობის სამზადისთან დაკავშირებით გაიწვია ბიზანტიის

---

[100] Ф. И. Успенский, История Византийской империи, т. III, 1948, გვ. 48—49.

[101] აქ მოკავშირეთა ლაშქარში რუსთა ლაშქარი უნდა იგულისხმებოდეს (იხ. Труды В. Г. Василевского, т. I, გვ. 113—114).

[102] Труды В. Г. Василевского, т. I, გვ. 212—213.

მთავრობამ საქართველოდან ლაშქარი და გარკვეული წლების განმავლობაში საკეისროს აღარ ეცალა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა განეახლებია.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ბიზანტიისა და საქართველოს ურთიერთობის გაცნობისას ყურადღებას იპყრობს ... რომ ამ დროს თითქმის არც ერთი შინაპოლიტიკური ბრძოლა ბიზანტიაში არ მომხდარა ისე, რომ ამ ბრძოლაში საქართველოს ან ბიზანტიაში მყოფ ქართველ მოღვაწეებს მონაწილეობა არ მიეღოთ. უკანასკნელთა მოქმედება, როგორც ნათქვამი იყო, ხშირ შემთხვევაში საქართველოს სამეფოს ინტერესებს ემთხვეოდა და ბიზანტიის აგრესიული საიმპერიო ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული.

რომანოზ არგვიროსს გამეფებისთანავე მოწინააღმდეგე პარტია გაუჩნდა ბიზანტიაში და ამ პარტიამ კონსტანტინე VIII უმცროსი ქალიშვილის თეოდორას პრიორიტეტის დაცვის საბაბით, ბრძოლა დაუწყო არგვიროსს. იმპერატორის მოწინააღმდეგე პარტიაში უმთავრესად იმპერიის დასავლეთი ნაწილის სხვადასხვა მხარის მმართველები იყვნენ გაერთიანებული და მას თეოდორას პარტიას უწოდებდნენ. რომანოზის ხელისუფლების წინააღმდეგ განზრახული შეთქმულება, რომელსაც ეს პარტია აწყობდა, ალეპოს საამიროს წინააღმდეგ გალაშქრებამდე იქნა გამომჟღავნებული და მონაწილენი დასაჯეს.

ბიზანტიური წყაროების თანახმად, კერძოდ, კედრენესა და, როგორც ფიქრობენ, ტურინოს კომპილაციის ავტორის ცნობების მიხედვით, ამ შეთქმულების მონაწილე ყოფილა ორი ქართველი მოღვაწე გიორგი და ვარაზვაჩე[103]. იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრების მიხედვით კი შეთქმულებაში მონაწილეობა მიუღია ათონის მთაწმიდის ქართველთა მონასტრის წინამძღვარს გიორგის[104]. ზოგი მკვლევარი ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებულ გიორგისა და ვარაზვაჩეს ერთ პიროვნებად მიიჩნევს და მას გიორგი წინამძღვართან აიგივებს. აკად. კ. კეკელიძე წერდა: „გიორგი ვარაზვაჩე... გარდაიცვალა მონავატს ექსორიობაში ყოფნისას, სადაც ის გაგზავნეს პოლიტიკურ შეთქმულებაში მონაწილეობისათვისო"[105]. ზოგი კი

---

[103] M. Brosset, Additions et éclaircissement à l'histoire de la Géorgie, 1851, გვ. 219.

[104] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გვ. 50.

[105] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 88.

ფიქრობს, რომ ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებული ალანყების მონაწილე გიორგი სხვა პირია და იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრების გიორგი კი — სხვა. დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანია და ა. ნატროშვილი ფიქრობდნენ, რომ ბიზანტიურ წყაროებში ხსენებული გიორგი „გიორგი მაგისტროსია“[106].

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხს იმის შესახებ, ერთი პიროვნებაა გიორგი — ვარაზვაჩე თუ ორი, და აგრეთვე იმას, გადასახლებაში გიორგი მაგისტროსი გარდაიცვალა თუ გიორგი წინამძღვარი, პროფ. ლ. მენაბდემ მიაქცია ყურადღება. ის ფიქრობს, რომ „გიორგი და ვარაზვაჩე სხვადასხვა პირია“[107], გადასახლებაში გიორგი წინამძღვარი გაიგზავნა და არა მაგისტროსი[108].

ვინ იყო გიორგი წინამძღვარი? იგი წარმოშობით ბიზანტიის ორიენტაციის მოწინააღმდეგე ტაოს დიდებულთა წრეს ეკუთვნოდა. ათონის მთაწმიდის ქართველთა მონასტრის რიგით მესამე წინამძღვარი იყო. ამ მონასტრის ფუძემდებელმა იოვანე მთაწმიდელმა სიკვდილის წინ შვილი ექვთიმე დაადგინა წინამძღვრად და „შემდგომად თჳსა უბრძანა, რაჲთა გიორგის დაუტეოს მამობაჲ, რომელი-იგი თჳსივე იყო მათი, კაცი სახელოანი და ფრთხილი ჴორციელთა საქმეთა ზედა. და კუალად უბრძანა, რაჲთა გიორგი შემდგომად მისა სხუაი დაუტევოს წინამძღუარი რომელი იპოოს სიტყჳთ და საქმით სხუათა უმჯობესი ძმათა შორის“[109].

იოვანე მთაწმიდელი, ჩანს, დიდად აფასებდა ამ გიორგის. გიორგი მთაწმიდელი იოვანეს სიტყვებს ასე გადმოგვცემს: ათონის მთაწმიდის ქართველთა ლავრას ბიზანტიის მეფეების „ჴელთა შეეჰვედრებ და ჩემ თანა მონათა და მლოცველთა მათთა ეფთჳმეს და გიორგისო“[110].

გიორგიმ 1019 წელს ჩაიბარა ათონის მთაწმიდის ქართველთა მონასტრის წინამძღვრობა. ექვთიმე, რომელიც ამიერიდან მთლიანად

---

[106] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, I, 1892, გვ. 173; А. Н а т р о е в, Иверский монастырь на Афоне, 1909, გვ. 215—216; დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, წიგნში: ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოცემა, გვ. 170, შენ. 2.

[107] ძველი ქართული მწერლობის კერები, II, ხელნაწერი, გვ. 445—450. ციტირებულია ავტორის ნებართვით, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

[108] ი ქ ვ ე.

[109] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გვ. 26.

[110] ი ქ ვ ე.

მწიგნობრობის საქმეს ჩაუჯდა, არ იყო კმაყოფილი გიორგის მოქმედებით იმიტომ, რომ გიორგიმ „კნინლა-და უმეტესნი [illegible] წესთა-განნი შეცვალნა და თჳსსა ნებასა და განზრახვასა შეუდგა და სხუათა რათმე წესთა და კანონთა ენება დამტკიცებაჲ"[111]. ეროვნული ბიბლიოთეკა

ექვთიმე და სხვა ქართველი მოღვაწეები [illegible] ეუბნენ გიორგის. მათ არ მოსწონდათ, რომ მან „ბერძენნი ფრიად რაჲმე შეიყუარნა და განამრავლნა და სრულიად მათდა მიმართ მიდრკა, ხოლო ქართველნი, ვითარცა ნასხურნი რაჲმე და უნდონი, უგულებელს-ყვნა და შეამცირნა"[112].

მიუხედავად ასეთი უკმაყოფილობისა, ჰაგიოგრაფი მაინც აღნიშნავს, რომ გიორგი „ჯორციელთა საქმეთა ზედა ფრთხილ იყო და მის ჟამისა წარჩინებულთა და მთავართა წინაშე სახელოვან და მთაჲ ყოველი დიდად პატივსსცემდა და ეკრძალებოდაო"[113]. ამასთანავე გიორგის მოქმედებას, როცა მან ბერძნები მოამრავლა ქართველთა მონასტერში, ჰაგიოგრაფი რამდენადმე თითქოს ამართლებს და წერს, რომ ვინაიდან „ფრიადი ერი საჴმარ იყო სივრცისათჳს მონასტრისა და სიმრავლისათჳს სამსახურებელთაჲსა, და ჩუენ არა დავდგებოდეთ, ბერძენთა მიექცა და იგინი განამრავლნაო"[114].

მკითხველს რომ სწორი შეხედულება დარჩეს გიორგი წინამძღვარზე, იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრების აღმწერი განაგრძობს: „გარნა, ვინათგან ჭეშმარიტისა ჯერ-არს თქუმაჲ, უკეთუ-მოვიდის ვინმე ქართველი, რომელსა კრებულსა შინა შეეძლოს მსახურება, რაჲცა ეჴმარებინ, ყოვლითავე ფერითა აღაშენის, ხოლო უკუეთუ კრებულსა შინა არა ენების ყოფაჲ, სადაცა სოხასტერთა მონასტრისათა ენების დაჯდომაჲ, პურსა არავის უყენებნ ქართველსაო"[115].

განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა გიორგი წინამძღვარი საეკლესიო დიდი თანამდებობის მქონე და წარჩინებულ შემონაზვნებულ ქართველთადმი. იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრების აღმწერის სიტყვებით, „ესე კულა ვითა შავი გრიგოლ იყო და ზაქარია მირდატის ძჱ და არსენი და სხუანი ესევითარნი კაცნი. დიდითა პა-

---

[111] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გვ. 49.
[112] ი ქ ვ ე.
[113] ი ქ ვ ე.
[114] ი ქ ვ ე, გვ. 50.
[115] ი ქ ვ ე.

ტივითა პატივ-სცემნ და მოწლედ მოიკითხავნ და, ვითარცა ჰნებავნ, აღაშენებნ"[116].

როგორც ვხედავთ, გიორგი წინამძღვარი, რომელსაც ამ ანდერძის მატარებელ წინამძღვართა (მამასახლისთა) შორის [illegible] დვით გიორგი პირველი შეიძლება ვუწოდოთ, მეტადრ [illegible] პიროვნებად გამოიყურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრების ზოგიერთი ადგილიდან გამომდინარე მკვლევრებს სხვადასხვა შეხედულება აქვთ ამ გიორგიზე. ცნობილია, რომ ხარბი ბერძენი ბერ-მონაზვნები თავგამოდებით ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ ათონის მთაწმიდის ქართველთა მონასტერი და სიმდიდრე. ისინი განსაკუთრებით მაშინ გააქტიურდნენ, როცა გიორგი წინამძღვარი კეისარმა გადაასახლა და იგი „ექსორიობასა შინა" გარდაიცვალა. გიორგი მთაწმიდელი მოგვითხრობს, რომ „ვითარცა მამაჲ გიორგი ექსორიობასა შინა მიიცვალა და ჩუენ ფრიად შემცირებულ ვიყვენით, ჟამი პოვეს ბერძენთა და ვითარცა ცეცხლნი აღეგზნნეს ჩუენ ზედა და სრულიად აღმოფხურაჲ ჩუენი ენება და დაპყრობაჲ სამკჳდრებელისა ჩუენისაჲ. და უმძიმესი ესე იყო, რამეთუ რომელსა-იგი მაშინ წინამძღრობაჲ ეპყრა, იგი იყო შემწე მათდა, გიორგი უკეთური[117], არაჲთ უმოლხინესი პირველისა მის გიორგისი, რომელი წინააღუდგებოდა დიდსა ათანასის, დაღაცათუ უკუანაჲსკნელ შეინანა"[118].

გიორგი ხუცეს-მონაზონი თავის ნაშრომში: „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა", წერს: გიორგი რომ გარდაიცვალა (ლაპარაკია გიორგი მთაწმიდელზე) მისი საფლავის გაკეთებამდე ცხედრის დროებითი შესანახი ადგილის მოძებნის დროს „ბრძანებითა... მამათა და წამე-

---

[116] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, დასახ. გამოცემა, გვ. 50.

[117] ეს გიორგი აკად. ა. შანიძეს ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვრად ჰყავს მიჩნეული (იხ. ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, დასახ. გამოცემა, საძიებელი „გიორგი"). მაგრამ იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრების ტექსტის ამ ადგილის სწორი გაგება პროფ. კ. კეკელიძემ მოგვცა. მისი განმარტებით, „უკეთური" გიორგი წინამძღვარი იყო „არა ქართველთა მონასტრისა, არამედ ათონის ყველა მონასტრისა. ის ყოფილა ე. წ. პროტი, ე. ი. პირველი (πρῶτος) უფროსი ათონის მონასტრების წინამძღვართა შორის" (ეტიუდები, III, 1955, გვ. 66). მას იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრების აღმწერი ადარებს IV საუკუნის მოღვაწე გიორგის („არაჲთ უმოლხინესი პირველისა მის გიორგის"), რომელმაც „არიანოზთა ხრიკებით უზურპაციით ჩაიგდო ხელში ანტიოქიის ეპისკოპოსის ტახტი" (ი ქ ვ ე, გვ. 68).

[118] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, დასახ. გამოცემა, გვ. 52.

ბითა ყოველი ძმათათა, განვაღეთ ლუსკუმა ნეტარისა მამისა გიორგის მშენებლისაჲ, ეკლესიისა შტოსა შინა, მარცხენით კერძო, დამართებით ლარნაკსა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმისათ"[119].

ჰაგიოგრაფი განაგრძობს, რომ დროებით შეწყვეტილი გიორგი მთაწმიდელისა, „კიდობნით აღმოვიყვანენ [illegible] შინა მარმარილოსასა, გიორგის თანა მაშენებელისასა, დავკრძალეთ ჭეშმარიტად ვითარცა მეორედ მაშენებელი და შემამკობელი ეკლესიათა"[120].

როგორც აღნიშნული ცნობებიდან ჩანს, ათონის მთაწმიდის ქართველ მოღვაწეებს გიორგის ნეშტი გადმოუსვენებიათ მონავატიდან და სპეციალურად გაკეთებულ „ლუსკუმაში" შეუნახავთ. რატომ დააფასეს გიორგი ასე დიდად ქართველმა მოღვაწეებმა? თუ იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრების აღმწერს დავუჯერებთ, გიორგის თითქოს „არცა ერთი რაჲ ზრუნვაჲ აქუნდა ქართველთა აღორძინებისაჲ, არამედ სრულიად ბერძენთა მიექცა და იგინი განამრავლნა და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მიიცვალა ექსორიობასა შინა, ვითარცა ზემო მოვიჯსენეთო"[121].

ჰაგიოგრაფის ეს ცნობა და ათონის მთაწმიდის ქართველ მოღვაწეთა მიერ გიორგის ესოდენ დაფასება ერთმანეთთან შეუთავსებელი ჩანს. მაგრამ ვინაიდან წყაროები გიორგის აღმშენებლობით მოღვაწეობაზე მიგვითითებენ, საფიქრებელია, ამიტომ დააფასეს ის.

ბერძნული წყაროებიდან ჩანს, რომ გიორგის დიდი აღმშენებლობითი ღონისძიებანი ჩაუტარებია ათონზე. ამ წყაროების თანახმად, იოვანე მთაწმიდელსა და იოვანე-თორნიკეს აუგიათ წინამორბედის ეკლესია, ხოლო გიორგის — ღვთისმშობლის სახელობის მთავარი საკრებულო ტაძარი[122]. ამასთანავე ზოგიერთი მკვლევარი მას მიაწერს ათონზე ქართველი ახალგაზრდებისათვის სასწავლებლის დაარსებას[123]. მაგრამ გიორგის ესოდენ დაფასების საფუძველი მარტო აღნიშნული მოღვაწეობა არ უნდა ყოფილიყო.

---

[119] ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, 1901, გვ. 347.

[120] იქვე.

[121] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, დასახ. გამოცემა, გვ. 51.

[122] П. Успенский, История Афона, т. III, გვ. 304, 306.

[123] А. Натроев, Иверский монастырь на Афоне, 1909, გვ. 214—215.

იოვანესა და ეკვთიმეს ცხოვრების ავტორი, როცა ქართველთადმი გიორგის დამოკიდებულების შესახებ ზემოთ მოტანილ ცნობებს გადმოგვცემს, იქვე აღნიშნავს, რომ „ამას ესევითარსა [illegible]ესა შინა გარდაჴდეს ჟამნი რავდენნიმე და ამისა შემდგომად ჟამსა [illegible] რომანოზ მეფისათა, დიდად წარჩინებულ იქმნა გიორგი [illegible] რომანოზ მეფისა და დიდად საკუთარ და პატივცემულ. და მერმე— თუ ვითარ იქნა, ღმერთმან უწყის — განდგომილებაჲ და ორგულებაჲ დასწამეს დიოგენისა ვისთჳსმე რომლისთჳს თქუეს, თუ მისი უნდაო მეფობაჲ გიორგის და ამის მიზეზისათჳს ექსორია-იქმნა გიორგი მონავატს და მუნ აღესრულა ექსორიობასა შინა“[124].

ა. ნატროშვილი ფიქრობდა, რომ გიორგი შეცდა, როცა ქართველთა მონასტერში ბერძნები მოამრავლა, მათ არ დაინდეს შემდეგ არც გიორგი და არც სხვა ქართველები. ცილი დასწამეს გიორგის და იგი რომანოზ არგვიროსს გადაასახლებინესო[125].

ბერძენთა მიერ გიორგისადმი ცილისწამების შესაძლებლობა გამორიცხული არ არის. მაგრამ ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ გიორგი უბრალოდ არ იყო დასჯილი და ქართველებმაც კარგად იცოდნენ შეთქმულებაში მისი მონაწილეობის ამბავი. მაგრამ ისინი ჩვეულებრივ ერიდებოდნენ ხმაურს ასეთ ფაქტებზე. ბიზანტიური წყაროები და ქართლის მატიანის ავტორი ფერის ჯოჯიკის ძეს, როგორც გავეცანით, 1022 წლის შეთქმულების აქტიურ მონაწილედ მიიჩნევენ, კიდევ მეტი, კედრენე პირდაპირ მიუთითებს, რომ ფერის ჯოჯიკის ძე „ყველაზე უწინარეს მიეკედლა აჯანყებულებსო“, მაგრამ გიორგი ხუცეს-მონაზონი იმის შესახებაც წერს, რომ „განდგომილებაჲ დასწამესო“.

პროფ. კ. კეკელიძე, რომელიც თავის არაერთ ნაშრომში ეხება გიორგი წინამძღვრის ვინაობის, მოღვაწეობისა და შეთქმულებაში მონაწილეობის საკითხს, იმ დასკვნამდე მიდის, რომ „1029 წელს ქართველთა ათონის მონასტრის წინამძღვარი გიორგი I ვარაზვაჩე[126]

---

124 ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გვ. 50.

125 А. Натроев, Иверский монастырь на Афоне, გვ. 215.

126 როგორც ზემოთ გავეცანით, პროფ. კ. კეკელიძე გიორგი წინამძღვარს კედრენესეულ ვარაზვაჩესთან აიგივებს.

მეთაურობს იმ საიდუმლო საქმიანობას, რომელსაც მარტოდ აქვს რომანოზ არგვიროსის ტახტიდან ჩამოგდებაო“ [127].

ათონის მთაწმიდის ქართველი მოღვაწეების მიერ მომხდარი ფაქტის აღიარების გაუბედაობა, ამ შემთხვევაში [illegible] მათი პოლიტიკური პირობებით აიხსნას: კეისრის [illegible] ეს მყოფი ათონელი ქართველები სიფრთხილით ეკიდებოდნენ ალბათ ბიზანტიის მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულებაში. საერთოდ, ქართველთა და, კერძოდ, ათონის მთაწმიდის იბერთა მონასტერში მყოფ მოღვაწეთა მონაწილეობის აღიარებას.

იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრების ავტორი შეთქმულების მონაწილედ, როგორც ნათქვამი იყო, ქართველთაგან მხოლოდ გიორგი წინამძღვარს ასახელებს. ბერძნული წყარო, კერძოდ, კედრენეს ცნობა კი გიორგისა და ვარაზვაჩეს ასახელებს. რაც შეეხება ტურინოს კომპილაციას, ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრებით, იგი, დამახინჯებული ფორმით, კედრენეს განმეორებაა[128], ხოლო მ. ბერძნიშვილის მოსაზრებით, დამოუკიდებელი, სხვა წყაროებზე დამყარებული ნაშრომია, მაგრამ მასში მოხსენებული გიორგი იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრების აღმწერი გიორგი მთაწმიდელია[129]. ასე რომ, თუ ამ მკვლევრებიდან რომელიმეს დავუჯერებთ, ჩვენი მიზნისათვის ტურინოს კომპილაციას მნიშვნელობა აღარ აქვს.

ამრიგად, ჩვენთვის საინტერესო საკითხის ახსნა კედრენეს შრომაში და ქართულ წყაროში უნდა ვეძიოთ. პირველი პირდაპირ მიუთითებს, რომ „თეოდოსი პატრიკის ძმისშვილები გიორგი და ვარაზვაჩე[130]... შეთქმულებისათვის მაგრად გაროზგილი, სახალხოდ გამოყვანილი და გადასახლებაში გაგზავნილი იქნენო“[131].

---

[127] ეტიუდები, I, 1955, გვ. 241—242.

[128] ს. ყაუხჩიშვილი, ტურინოს კომპილაციისათვის, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, IV, 1924, გვ. 355.

[129] მ. ბერძნიშვილი, ტურინოს კომპილაციის გამო, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, 1966, გვ. 159—166.

[130] აქ ნ. სკაბალანოვიჩი შენიშნავს: «Очевидно, родственники монаха Закарии, которому Константин VIII отрезал язык, и который приходился сродни Феодату» (Византийское государство и церковь в XI веке, დასახ. გამოცემა, გვ. 21).

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ნ. სკაბალანოვიჩი სკილიცეს ცნობას ეყრდნობა და ზაქარია ბერს კონსტანტინეს მიერ დასჯილად მიიჩნევს. ჩვენ კი, როგორც ზემოთ გავეცანით, არისტარქე ლასტივერტელის ცნობა უფრო სანდოდ მივიჩნიეთ და ზაქარია ბერი ბასილ კეისრის მიერ დასჯილად ჩავთვალეთ.

[131] M. Brosset, Addit., გვ. 219; К. Ган, Известия... II, დასახ. გამოცემა, გვ. 39.

თ. ჟორდანია, ა. ნატროშვილი და დ. ბაქრაძე კედრენეს ცნობაში დასახელებულ გიორგისა და ვარაზვაჩეს საერო პირებად მიიჩნევენ და ამდენად მათ გიორგი წინამძღვართან არ აიგივებენ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ამ ავტორთა მსჯელობით, საქმე გვაქვს აჯანყების სამ ქართველ მონაწილესთან და არა ერთთან. მართლაც, კედრენეს ცნობების მიხედვით, გიორგი და ვარაზვაჩე — „Γεώργιος τε καὶ βαρασβαζέ" — ორი პიროვნებაა და მათი წარმოდგენა ერთ პიროვნებად, ყოველ შემთხვევაში ამ ცნობის მიხედვით, არ შეიძლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავითარი საფუძველი არ გვაქვს ვამტკიცოთ, რომ კედრენესა და გიორგი მთაწმიდელის შრომებში ნაჩვენები გიორგი ერთი და იგივე პირია. ეს წყაროები უფრო იმას გვაფიქრებინებს, რომ გიორგი, მისი ძმა ვარაზვაჩე და გიორგი წინამძღვარი სხვადასხვა პირებია და სამივე მონაწილეობდა აჯანყების მზადებაში.

ბერძნული ცნობების თანახმად, ვარაზვაჩე შემდეგაც გამოჩნდება პოლიტიკურ ასპარეზზე ბიზანტიაში. მკვლევრები ფიქრობენ, რომ იგი ალბათ რომანოზ არგვიროსის (1028—1034) შემდეგ დაბრუნეს გადასახლებიდან და დიდი თანამდებობაც მისცეს მას. ის იმ ვარაზვაჩედ მიაჩნიათ, რომელიც „პროტოსფათერის" ტიტულს ატარებდა და ქ. ედესის მმართველი იყო, რომელმაც თავისი გონიერი მოქმედებით ქალაქი მაჰმადიანთა ურდოებისგან იხსნა[132]. ხოლო გიორგი იმ გიორგად მიაჩნიათ, რომელიც ათონის ივერიის მონასტრის №№ 56, 73 და 96 ალაპებში მაგისტროსად და ამავე მონასტრის დიდ მოამაგედ იხსენიება[133].

წარმოშობით გიორგი და ვარაზვაჩე დავით კურაპალატის ქვეშევრდომ ტაოს წარჩინებულთა იმ წრეს ეკუთვნოდნენ, რომელიც ტაოში ბიზანტიის გაბატონების წინააღმდეგ გამოდიოდა. გიორგისა და ვარაზვაჩეს ბიძებმა და ალბათ მამამაც ჯერ კიდევ მაშინ გამოამჟღავნეს სამშობლოსადმი სიყვარული, როცა ბიზანტიამ სამხრეთი ტაო მიიტაცა და ამით უკმაყოფილო გურგენ ბაგრატიონი თავისი

---

132 M. Brosset, Addit., გვ. 219; К. Ган, Известия, II, გვ. 39—40; მ. ჯანაშვილი, ქართველთა მატიანე, გვ. 22.

133 А. Натроев, Иверский монастырь на Афоне, გვ. 216; თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 174; დ. ბაქრაძე, წიგნში: ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოცემა, გვ. 170, შენ. 2; M. Brosset, Addit., გვ. 219 — 220; ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი ალაპებით 1901, გვ. 230, 235, 240.

ლაშქრით სამხრეთ ტაოში შეიჭრა. კედრენე გადმოგვცემს, რომ კეისარმა გიორგი (გურგენი) დააშოშმინა, მაგრამ „თან წაიყვანა იბერიის დიდგვარიანები, რომელთაგან უმთავრესნი იყვნენ ბაკურიანი, ფევდატე და ფერსი, ღვიძლი ძმები, რომელნიც [illegible] ხარისხში აიყვანაო“[134].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ფევდატეს ძმისშვილები და იქნებ ფერსის შვილები არიან გიორგი და ვარაზვაჩე, იმ ფერსისა (ფერის ჯოჯიკის ძის), რომელიც ერთ დროს „ყველაზე უწინარეს მიეკედლა აჯანყებულებს“ და ბასილ კეისარმა სიკვდილით დასაჯა.

წყაროები არაფერს გადმოგვცემს, თუ ვისთან იყვნენ დაკავშირებული გიორგი, ვარაზვაჩე და გიორგი წინამძღვარი, ან რა მიზანი ჰქონდა მაშინ მათ მონაწილეობას შეთქმულებაში. შეიძლება გვეფიქრა, რომ მათ რაიმე კავშირი ჰქონდათ საქართველოს იმ განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურებთან, რომლებიც 1028 წელს, ბაგრატ IV მცირეწლოვანების გამო, ბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ იბრძოდნენ. მაგრამ ასეთი მოსაზრება ბუნებრივი იქნებოდა, ამ შეთქმულებას რომ კონსტანტინე მაკედონელის წინააღმდეგ, მის სიცოცხლეში ჰქონოდა ადგილი. ამ შემთხვევაში შეიძლება იგი ჩაგვეთვალა იმ პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელებად, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1025 წელს (გიორგი მეფის მონაწილეობით). მაგრამ ეს ქართველი მოღვაწეები კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ რომანოზ არგვიროსის საწინააღმდეგო შეთქმულებაში იღებდნენ მონაწილეობას. ამდენად ჯერ კიდევ დაუდგენელი რჩება შეთქმულებაში მათი მონაწილეობის მიზეზი და მიზანი.

საკეისროს სამხედრო თუ სამოქალაქო დაწესებულებებში დიდ თანამდებობაზე მყოფი ყველა ქართველი, როგორც ნათქვამი იყო, როდი იბრძოდა იმპერიის ცენტრის, ბიზანტიის ხელისუფლების გაძლიერებისა და მიღწევების წინააღმდეგ. იმ დროს, როდესაც ბევრი ქართველი რომანოზის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში იღებდა მონაწილეობას, ზოგი მისი ერთგულის როლში გამოდიოდა და თავდადებით ემსახურებოდა მას.

რომანოზ არგვიროსის წინააღმდეგ მოქმედება ზემოთ აღნიშნულით არ დამთავრებულა. როდესაც ბიზანტიის მბრძანებელი იარაღს ისხამდა და საამიროების დასასჯელად ემზადებოდა, მოწინააღმდეგეები ენერგიულად ამზადებდნენ შეთქმულების განხორციელე-

---

[134] გეორგიკა, V, გვ. 46.

ბის პირობებს და ჯარშიც კი მოაწყვეს კეისრის ღალატის ორგანიზაცია: შეთქმულთა გეგმით, როდესაც მტრის წინააღმდეგ ბრძოლა გაჩაღდებოდა, უნდა მიეტოვებიათ რომანოზი და ის მოწინააღმდეგის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო[135].

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ზემოთ გავეცანით, გამარჯვების იმედით გაბრაზებულმა რომანოზ კეისარმა ამირას ელჩებს უარყოფითი პასუხი გასცა და „ალეპოსაკენ დაიძრა". როდესაც ბიზანტიის დაშქარი მტერს უნდა შებმოდა, შეთქმულება გამჟღავნდა. სომეხი ისტორიკოსის, მათეოს ედესელის გადმოცემით, რომანოზს ეს საფრთხე მისმა ერთ-ერთმა სარდალმა, აბუკაპმა[136] (აბუჰარბი — ვ. კ.) აცნობა[137], რომელმაც კეისარი დიდი საფრთხისაგან გადაარჩინა. იმპერატორმა დაუყოვნებლივ მიიღო სათანადო ზომები, მაგრამ, ეჭვს გარეშე, ამ გარემოებამ უდიდესი როლი შეასრულა იმ სამარცხვინო დამარცხებაში, რომელიც ამ დროს რომანოზმა განიცადა: «Потерпел страшное поражение от одного князя из династии Келабидов».[138] თავზარდაცემულმა თავი ანტიოქიაში შეხიზვნით გადაირჩინა. შეთქმულების შიშით უნდა ყოფილიყო გამოწვეული აგრეთვე ისიც, რომ ბრძოლაში დამარცხების შემდეგ კეისარმა „მხოლოდ ერთი ღამე დაჰყო ანტიოქიაში"[139] და მეორე დღეს კონსტანტინეპოლისაკენ გაეშურა.

არაბი ისტორიკოსი იბნ-ალ-ასირი პირდაპირ მიუთითებს, რომ 300000-იანი მოლაშქრით ალეპოს ახლოს მისულმა რომანოზ არგვიროსმა, როგორც კი გაიგო შეთქმულების ამბავი, იმ დღესვე დაიწყო უკან დახევა. იგი წერს: ბერძენთა მეფის ბანაკში იმ პირთაგან, რომლებიც მეფესთან ყველაზე ახლოს იყვნენ, ზოგი მტერი

---

[135] Н. Скабаланович, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

[136] აბუკაპი დავით III კურაპალატის ერთ-ერთი ქვეშევრდომის შთამომავალია (M. Brosset, Addit., 1851, 219) და ის თ. ეორდანიას, სამართლიანად, ქართველად მიაჩნია. ხოლო ნ. სკაბალანოვიჩის აზრით, «как показывает самое имя, был армянин» (Византийское государство и церковь, 1884, გვ. 21). ნ. სკაბალანოვიჩი, რა თქმა უნდა, ცდება. მათეოს ედესელი მიუთითებს, რომ ეს აბუჰარბი დავით კურაპალატის ერთ-ერთი ყოფილი მცველი იყო (В. Розен, Император Василий Болгаробойца, დასახ. გამოცემა, გვ. 326). აბუჰარბის სახელის მატარებელი ჩვენ რამდენიმე ქართველი მოღვაწე ვიცით და მათ შორის იოვანე მთაწმიდელის სიმამრიც, რომელიც კეისრის კარზე ცნობილი პირი იყო.

[137] M. Brosset, Addit., 1851, p. 219; Н. Скабаланович, გვ. 21; თ. ეორდანია, ქრონიკები, I, 1892, გვ. 173.

[138] К. Маркс, Архив Маркса и Энгельса, т. V, 1938, გვ. 70.

[139] Ф. И. Успенский, т. III, გვ. 49.

იყო მისი და ზოგი ერთგული. ორგულთა შორის იყო დუკას შვილი[140], ერთ-ერთი ბერძენი დიდებული. მას უნდოდა მეფის დაღუპვა, რათა თვით გამეფებულიყო. ამ მიზნით მან შეგნებულად, ხელსაყრელ პირობებში ურჩია მეფეს წინსვლის გაგრძელება. მაგრამ როცა მეფემ წინსვლა გააგრძელა, ამ დროს [illegible] ერთ-ერთი მისი ქვეშევრდომი, სამხედრო პირი [illegible] აბუჰარბი) და აუწყეთ, რომ დუკასა და ლულუს[141] შვილებმა 40 კაცს ფიცი დაადებინეს, რომ თავს დასხმოდნენ მეფეს და მოეკლათ. მეფე საშინელმა შიშმა შეიპყრო და იმ დღესვე იწყო უკან დახევა[142].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ბიზანტიაში მყოფ ქართველ მოღვაწეთაგან ზოგი რომანოზ არგვიროსის წინააღმდეგ იბრძოდა, ზოგი კი მისი მიზნების განხორციელების უერთგულესი რჩებოდა.

შინაგანი და საგარეო რთული პოლიტიკური მდგომარეობა საშუალებას არ აძლევდა ახლა ბიზანტიის ხელისუფლებას ბრძოლა გაეგრძელებია საქართველოს წინააღმდეგ. პირიქით, ახლა მას საქართველოსთან დამოკიდებულების კურსი უნდა შეეცვალა. სხვა შემთხვევაში მოსალოდნელი იყო, რომ საქართველო ბიზანტიის ამ დამარცხებით ისარგებლებდა და გაიმეორებდა იმას, რაც გიორგი I მმართველობის დროს გააკეთა მან სამხრეთი ტაოს მიწა-წყლის დასაბრუნებლად. მაგრამ ახლა ეს საქართველოს აღარ შეეძლო და ამის მიზეზი არა მარტო ბიზანტიელთა მიერ მოწყობილი რამდენიმე გამანადგურებელი ლაშქრობა იყო, არამედ ტაო-კლარჯეთის აზნაურთა მაღალი ფენის ზოგიერთი წარმომადგენლის ვერაგობა, კერძოდ იმ პირებისა, რომლებმაც სამშობლოს ღალატისა და საკეისროს მხარეზე გადასვლის შედეგად საქართველოს ძალები დაასუსტეს. რაც მთავარია, ძლიერი საფრთხე შეუქმნეს მას იმ მიმართულებით, იმ რაიონებში, რომლებიც ბიზანტიას ესაზღვრებოდა და საიდანაც სამხრეთი ტაოს მიწა-წყლის დაბრუნებისათვის ბრძოლა უნდა განახლებულიყო.

საქართველოს ახლა ქვეყნის სიღრმეში ჰყავდა მტერი შემოშვებული და შესაძლებლობის შემთხვევაში ჯერ მისი აქედან განდევნა იყო საჭირო. საქართველო მაშინ, როგორც ჩანს, იმით

---

140 ვ. როზენის მოსაზრებით, აქ ანტიოქიის დუკას დამიანე დალასანოსის შვილი, კონსტანტინე დალასანოსი იგულისხმება (Император Василий Болгаробойца, დასახ. გამოცემა, გვ. 314, სქ.).

141 იგულისხმება მანსურ ლულუს ძე, რომელიც, იაჰია ანტიოქელის გადმოცემით, ალეპოს ამირა იყო (В. Розен, გვ. 50).

142 იქვე, გვ. 314.

იყო დაინტერესებული, რომ ბიზანტიასთან კეთილმეზობლური დამოკიდებულება დაემყარებია.

იმ დროს, როდესაც ბიზანტიის მთავარი ყურადღება ევფრატის სანაპიროებისაკენ იყო მიპყრობილი, საქართველოს ხელისუფლებამ ბიზანტიასთან შეთანხმების შესახებ მოლაპარაკების დაწყება გადაწყვიტა. სუმბატ დავითის ძის გადმოცემით, კონსტანტინე კეისრის გარდაცვალების „წელსა მესამესა სანატრელმან დედოფალმან მარიამ, დედამან ბაგრატ მეფისამან, შეიმოსა სიმჭნე და ახოვნება ... და წარვიდა კონსტანტინეპოლედ წინაშე რომანოზ მეფისა ვედრებად მისსა, რათა მშვიდობა ჰყოს აღმოსავლეთისათვის, რათა არღარა იყოს ბრძოლა ბერძენთა და ქართველთა და გლახაკნი დაწყნარებულნი და მყუდრო იყუნენ“[143].

მარიამის ბიზანტიაში მოგზაურობის თარიღს მემატიანე არ უჩვენებს. აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით კი ეს მოგზაურობა 1030—1031 წლებში უნდა მომხდარიყო. ამ საკითხზე არაბი ისტორიკოსი იაჰია ანტიოქელი გვაძლევს სათანადო ცნობებს, მაგრამ მისი ცნობის თანახმად, მარიამის ელჩობა კონსტანტინეპოლში თითქოს კონსტანტინე კეისრის სიცოცხლეში მოხდა. იგი გადმოგვცემს, რომ „დედოფალმა — სენექერიმის ასულმა და მისმა შვილმა ბაგრატმა ბოდიში მოიხადეს კონსტანტინე კეისრის წინაშე და სთხოვეს მას, რომ ეპატიებია რაც მოხდა. შეპირდნენ სრულ მორჩილებას და იმას, რომ ყოველთვის შეასრულებდნენ მის სურვილებს“[144]. შეთანხმებულან და ამის შემდეგ ნიკოლოზ პარაკიმანოსი საქართველოდან წასულა.

ჩვენ ქართველი მემატიანის ცნობა უფრო სწორად მიგვაჩნია და შეთანხმება მარიამ დედოფლის ელჩობის შედეგად, როგორც ამას სხვა ცნობებიც გვიდასტურებს, რომანოზის დროს უნდა მომხდარიყო. იმის გამო, რომ ბიზანტიის ხელისუფლება წაგებული საქმის გამოსწორებას ცდილობდა, ევფრატის სანაპიროსაკენ ლაშქრობისათვის ემზადებოდა და, კერძოდ, ედესის დასაპყრობად იბრძოდა, საკეისროსადმი საქართველოს მტრული დამოკიდებულება ბიზანტიისათვის ხელსაყრელი არ იყო და, ამიტომ, მარიამ დედოფლის ელჩობამ შედეგი გამოიღო.

---

[143] სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ. 73.
[144] В. Розен, გვ. 70.

როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლებასაც ხანგრძლივი ᲫᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ დამყარება სურდა ბიზანტიასთან. ამიტომ მარიამ დედოფალი არა მარტო დაზავებისათვის წასულა კეისართან, არამედ „ძიებად პატივისა კურაპალატობისა ძისათჳს [illegible] არს ჩვეულება და წესი სახლისა მათისა, და [illegible] ცოლისა“[145]. ბაგრატს წინათ მაგისტროსობა ჰქონდა მიღებული ბიზანტიის ხელისუფლებისაგან: ბიზანტიელი მემატიანის, გიორგი კედრენეს სიტყვით, მძევლობაში მყოფ ბაგრატს კეისარმა „მაგისტროსობა უბოძა... და უკან გაისტუმრაო“[146].

კონსტანტინეპოლში მარიამ დედოფალს კეისარმა „აღუსრულა ყოველი სათხოველი სიხარულით: მოსცნა ფიცნი და სიმტკიცენი ერთობისა და სიყვარულისათჳს, დაუწერა ოქრობეჭედნი, მისცა პატივი კურაპალატობისა[147] და მოსცა ცოლად ბაგრატისთჳს ელენე დედოფალი“[148].

---

[145] „ქართლის მატიანე“. ქართლის ცხოვრება, I, დასახ. გამოცემა, გვ. 294.

[146] გეორგიკა, V, გვ. 48.

[147] ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის შესახებ მსჯელობის დროს ყურადღებას იპყრობს ზოგიერთი ქართული წყაროს ცნობა, სადაც საქართველოს მეფეები „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ კურაპალატად იხსენიებიან. თუ არ ვცდები, პირველად ამ ტიტულით ბაგრატ IV არის მოხსენებული მელქისედეკ კათალიკოსის დაწერილში (იხ. მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, გამოცემული ნ. ბერძენიშვილის მიერ, საქართველოს მუზეუმის მოამბე VI, 1931, გვ. 293).

ამასთანავე მანგლისის ერთ წარწერაში ვკითხულობთ: „მფბსა ღთვდმყ... ისა გ˜ი ყ˜ლისა ა/ღ/მოსა/ვლეთისა კურაპალატისა“ (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, 1964, გვ. 28). აკად. ნ. ბერძენიშვილი ყურადღებას აქცევს აქ დასახელებულ გიორგის ტიტულს და აღნიშნავს: „საინტერესოა როდის მიიღეს ქართველმა ბაგრატიონებმა „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ კურაპალატის ტიტული. X ს-ნის კურაპალატები ჩვეულებრივ მარტივად კურაპალატად იწოდებიანო“ (საქართველოს ისტორიის საკითხები, I, 1964, გვ. 28).

წყაროების გაცნობა კი ნათელყოფს, რომ XI საუკუნის საქართველოს მეფეები, გარდა ორიოდე საბუთისა, ყველა სხვა მრავალრიცხოვან წერილობით წყაროებში მარტივად „კურაპალატად“ იხსენიებიან. მცხეთის საბუთშიც კი, სადაც ბაგრატ მეფე რამდენჯერმე არის ნახსენები, მხოლოდ ერთხელ თვით კათალიკოსი ამბობს: „ძლიერო ბაგრატ აფხაზთა მეფეო და... ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატო...“ (მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, დასახ. გამოცემა, გვ. 293). თვით ბაგრატი, როცა ამ საბუთს ამტკიცებს, წერს: „მე ბაგრატს... აფხაზთა მეფესა და კურაპალატსა ჴელითა ჩემითა დამიმტკიცებიაო“ (იქვე).

§ 8. ლიპარიტ ბაღვაში და დემეტრე უფლისწული ბიზანტიის ახალი მოკავშირეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოსა და ბიზანტიას შორის მშვიდობიანი ურთიერთობა არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო.

ბიზანტიის ხელისუფლებამ ევფრატის სანაპიროებისაკენ მიმართულებით დაწყებული ლაშქრობა, როგორც გავეცანით, ალეპოს ამირასთან ბრძოლის დროს მარცხით დაამთავრა. მაგრამ ამით მას ბრძოლაზე ხელი არ აუღია და, როგორც იაჰია ანტიოქელი გადმოგვცემს, გიორგი მანიაკის მეთაურობით მალე „ბერძნებმა ქალაქი ედესა დაიპყრეს"[149], რითაც აღმოსავლეთის ფრონტზე წინანდელი მარცხი ნაწილობრივ გამოასწორეს.

ბიზანტიის იმპერიის სამეფო კარსა და საქართველოს სამეფო კარს შორის დამყარებული ნათესაური კავშირი, რომელსაც შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა ჰქონოდა საქართველოსა და ბიზანტიას შორის მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად, ელენეს გარდაცვალების გამო მალე ჩაიშალა.

ბიზანტიის ხელისუფლება არ იყო გულწრფელი საქართველოს მიმართ და მარიამ დედოფლის მეთაურობით მიღწეული შეთანხმების დაცვას ყურადღებას არ აქცევდა. საქართველოსა და ბიზანტიას შორის მშვიდობიანობის დაცვის სურვილის შემთხვევაში მას თავშესაფარი არ უნდა მიეცა საქართველოდან გაქცეული ბაგრატის მოწინააღმდეგე ელემენტებისათვის.

ამასთანავე ქართული ნარატიული ძეგლები პირდაპირ მიუთითებს, რომ ბაგრატ III და ბაგრატ IV მხოლოდ კურაპალატობა უბოძა კეისარმა. პირველის შესახებ სუმბატ დავითის ძე წერს: „მოსცა... ბასილი მეფემან... ბაგრატს კურაპალატობა" (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 382), ხოლო მეორისა, „ქართლის მატიანის" ავტორი მიუთითებს: კეისარმა უბოძა „პატივი კურაპალატობისა" (იქვე, გვ. 294).

ზემოაღნიშნულის გამო საფიქრებელია, რომ XI საუკუნის ზოგიერთ წყაროში ქართველი მეფეების „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატად" ხსენება შემთხვევითია და არა ბიზანტიის კეისრისეული. ანდა სიტყვები — „ყოვლისა აღმოსავლეთისა" ხომ არ არის იდენტური „ყოვლისა საქართველოსა"? (შდრ. ცხორებაჲ იოანესი და ეფთჳმესი, გვ. 20, 51).

[148] „ქართლის მატიანე", ქართლის ცხოვრება, I, დასახ. გამოცემა, გვ. 294. ელენე, რომანოზ არგვიროსის ძმის, ვასილის ასული იყო (Н. Скабаланович, დასახ. ნაშრომი, გვ. 487).

[149] В. Розен, გვ. 72.

ცნობილია, რომ ბაგრატ მეოთხეს მისი ნახევარ-ძმა დემეტრე სამეფო ტახტზე ედავებოდა. უკანასკნელს საქართველოში თავისი მომხრეები ჰყავდა, რომლებმაც მეფობის წართმევის მიზნით ბაგრატს ბრძოლა გაუმართეს. დემეტრე უფლისწული [illegible] ალდე ანაკოფიის ციხეში მოკალათდნენ და, „ქრონიკონ-[illegible]“ ავტორის გადმოცემით, ტახტის პრეტენდენტების მომხრე-მოწინააღმდეგე „აზნაურთაგან იყო... მი-და-მო საუბარი“[150]. დემეტრე უფლისწული „ვერცა გაამეფეს, თუცა ვის გულსა ედვა, და ვერცა-ღა გამოინდვეს ბაგრატ მეფემან და დედამან მისმან“[151].

დემეტრეს მომხრეები უმცირესობაში აღმოჩნდნენ და გაწბილებულმა უფლისწულმა „მიმართა ბერძენთა მეფესა, და წარუტანა თანა ანაკოფია“[152]. ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებამ სიამოვნებით მიიღო საქართველოდან გაქცეული უფლისწული, საქართველოს მეფის ხელისუფლების შინაგანი და საგარეო მტრები ანაკოფიის ციხეში გამაგრდნენ და ამრიგად, ბიზანტიამ ახლა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის საზღვრებშიც შემოდგა ფეხი.

ბიზანტიური წყაროების საფუძველზე აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა, რომ დემეტრე უფლისწულის ბიზანტიაში წასვლა და ანაკოფიის ციხის ბიზანტიისათვის გადაცემა 1032 წელს მომხდარა[153]. ამრიგად, ბიზანტიის ხელისუფლება საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა — მსგავსად დემეტრე კლარჯისა, დემეტრე გიორგის ძეც საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბად უნდოდა გამოეყენებინა.

მართალია, ბიზანტიამ შეძლო გიორგი მანიაკის მეთაურობით ედესა დაეპყრო, მაგრამ ყოველთვის შეუფერხებლად როდი მიდიოდა მისი საქმე აღმოსავლეთისა თუ სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტებზე. როდესაც ეგვიპტის ლაშქარმა ტრიპოლისს ალყა შემოარტყა, მისი ამირა იბნ-ზაირაკი ბიზანტიაში გაიქცა და იმპერატორს დახმარება სთხოვა. რომანოზ არგვიროსმა ძალები შეკრიბა და ალექსანდრიის წინააღმდეგ ექსპედიცია მოაწყო. ამით კეისარს უნდოდა აეძულებინა ეგვიპტის მმართველი, რომ ხელი აეღო ტრიპოლისზე, მაგრამ ამ ექსპედიციას ბიზანტიისათვის სასურველი შედეგი არ მოჰყვა. რომანოზ არგვიროსს არც შინაგანი მდგომარეობა ჰქო-

---

150 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 295.

151 ი ქ ვ ე.

152 ი ქ ვ ე.

153 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 138.

ნდა დაწყნარებული. ინტრიგებმა, რომლებსაც რომანოზის მეფობის მთელს პერიოდში და განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში ჰქონდა ადგილი, რომლის მსხვერპლი თვით რომანოზ არგვიროსი გახდა[154], და საგარეო პოლიტიკურმა სირთულეებმა აიძულეს ბიზანტიის ხელისუფლება რამდენიმე ხნით გადაედო წინააღმდეგ ბრძოლა.

ბიზანტიასთან შეთანხმებისა და დროებით საგარეო საფრთხის შენელების შემდეგ საქართველომ სწრაფად იწყო მოძლიერება. „მოირჭუნა და ეუფლა ზემოსა და ქუემოსა თავის მამულსა ზედა ბაგრატ“[155]. სამეფო ხელისუფლებამ იმ მხარეების შემოსაერთებლად დაიწყო ზრუნვა, რომლებიც ჯერ კიდევ ერთიანი საქართველოს სამეფოს გარეთ იყო დარჩენილი. თუმცა, მცირეწლოვანი მეფე ბაგრატ IV ქვეყნის დამოუკიდებლად მართვის შესაძლებლობას ჯერჯერობით მოკლებული იყო და ის დიდგვარიანი აზნაურების სურვილს უფრო ასრულებდა, ვიდრე საკუთარ განზრახვებს. დიდი აზნაურებისათვის კი საქართველოს ერთიანი, ძლიერი სამეფოსა და მისი ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნა საზიანო იყო და ამდენად, ქვეყნის გაერთიანების ტენდენციები და მისი შომხრე ძალები წინააღმდეგობას აწყდებოდნენ.

ერთიანი საქართველოს მეფის ხელისუფლების გაძლიერების მოწინააღმდეგე და ურთიერთშორის მოქიშპე დიდი აზნაურების მოქმედების წყალობით XI საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისსა და დასასრულს ორჯერ ჩაიშალა თბილისის საამიროს შემოერთებისათვის წარმოებული ბრძოლა. როგორც ცნობილია, თბილისის საამიროს გაუქმებისა და მისი შემოერთების მოთავე, საკუთარი მიზნებით დაინტერესებული, კლდე-კარის ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტ ლიპარიტის ძე იყო. 1032 წელს „ლიპარიტ ლიპარიტის ძემან და ივანე აბაზას-ძემან, ქართლის ერისთავმან, მუხადგუერდსა გამოიტყუეს ტფილელი ამირა ჯაფარ, და შეიპყრეს და დიდი ხანი დაყვეს პატიმრობასა შინა“[156], მაგრამ ლიპარიტის გაძლიერების მოწინააღმდეგე აზნაურების ჩაგონებით ბაგრატ IV გაათავისუფლა

---

[154] 1034 წ. 11 აპრილს რომანოზ არგვიროსი, მეუღლის—ზოიასა და პაფლაგონელთა გამცემლობით, მსახურებმა აბანოში დაახრჩეს (История Византии, II, 1967, გვ. 264).

[155] „ქართლის მატიანე“, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 296.

[156] იქვე.

ამირა და ამით ლიპარიტს ჩაეშალა თბილისის საამიროს ხარჯზე თავისი სამფლობელოს გაფართოების გეგმა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ლიპარიტსა და მის მომხრეებს საამიროს წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა ჯერ სრულიად არ მიაჩნდათ და ფიქრობდნენ, რომ ამ ბრძოლას სასურველი შედეგით დაამთავრებდნენ. ამიტომ იყო, რომ 1037—38 წელს ლიპარიტის დაჟინებითი მოთხოვნით ხელახლა იწყება ბრძოლა თბილისის გასათავისუფლებლად. ამ ბრძოლაში ბაგრატ მეფეს კახელებიც ეხმარებიან. ორი წლის ბრძოლის შედეგად ქართველებმა ამირა და მისი ხელისუფლება ძლიერ შეავიწროვეს. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ალყაშემორტყმული თბილისი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და „ტფილელთა განიზრახეს მოცემა ტფილისისა"[157]. მაგრამ ფეოდალურმა შუღლმა და მტრობამ თავისი შედეგი გამოიღო და „რომელთამე დიდებულთა აფხაზთა მეფისათა ლიპარიტისაგან ფარულად გააზრახეს მეფესა არა განძება ამირასი და ფარულად ლიპარიტისაგან აჰკიდეს ზავი ამირასა, გამოაცხადეს და დაამკჳდრეს ამირა ტფილისსავე ზედა"[158].

ბაგრატმა თბილისზე ალყის მოხსნისთანავე კახეთის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა, ხოლო ლიპარიტი „მიერითგან შეიქმნა... ქუეგამხედვარად თავის პატრონისაგან"[159] და ის, საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლაში, ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებას დაუკავშირდა.

ამრიგად, ბიზანტიის ხელისუფლებას საქართველოს შინაგან საქმეებში ჩარევისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების ფორმალურ საბაბად დემეტრე უფლისწული ჰყავდა კონსტანტინეპოლში, საქართველოში კი ბრძოლის ფაქტიური მეთაური და საკეისროს მოკავშირე ლიპარიტი იყო. სწორედ ეს იყო მაშინდელი ფეოდალური საქართველოს გაბატონებული ფენების წარმომადგენელთა უდიდესი დანაშაული — ხელს უწყობდნენ მტერს საქართველოს განადგურებაში.

ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებისა და საქართველოს შინაგანი რეაქციული ძალების ურთიერთკავშირი ერთიანი, ძლიერი საქართველოს წარმოქმნის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ინტე-

---

157 „ქართლის მატიანე", ქართლის ცხოვრება, I, გვ. 297.

158 იქვე.

159 იქვე.

რესებმა განაპირობა: პირველი ცდილობდა საქართველო თავისი გავლენის ქვეშ მოექცია, ხოლო მეორე — საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნას ვერ ურიგდებოდა, დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ზრუნავდა და ცენტრის გაძლიერების წინააღმდეგ იბრძოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, იბნ-ალ-ასირის ერთი ცნობა ვფიქრობთ, რომ თითქოს ბაგრატის მიერ თბილისის საამიროს წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების ინტერესებშიც შედიოდა. იბნ-ალ-ასირის გადმოცემით, როდესაც ქართველები თბილისის ამირას წინააღმდეგ იბრძოდნენ „შეიტყვეს, რომ სელჩუკიანნი ამირას მოსაშველებლად მოდიოდნენ, რომ მათ გზადაგზა სომხეთი უკვე აეოხრებიათ, ამიტომ ქართველებმა სელჩუკიანთა შიშით ქალაქ თბილისს სწრაფად ალყა მოხსნესო“[159].

აკად. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ეს გარემოება „ქართველთა უცნაური აჩქარების ალბათ ერთ-ერთ მიზეზად უნდა ყოფილიყო“[161]. ქართველები „დარწმუნებულნი იყვნენ, — განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი, — რომ სელჩუკიანთა შემოსევა ქართველებს კეთილს არაფერს მოუტანდა და ქვეყნის აოხრებას ისევ ნებაყოფლობით დაზავება არჩიეს. ამ მხრივ ბაგრატისა და დიდებულთა გადაწყვეტილება გონივრული და ფრთხილი იყო. ვგონებ სწორედ ასე უნდა მომხდარიყო“[162].

ოღუზთა მოდგმის თურქთა შემოსევა წინა აზიის რაიონებში ადრე დაიწყო. იბნ-ალ-ასირის გადმოცემით, ჯერ კიდევ 1021 წელს, სელჩუკიანთა დინასტიის დამოუკიდებლად, ოღუზთა მოდგმის 10—20 ათასამდე კაცი შემოიჭრა სამხრეთ აზერბაიჯანში[163].

სამხრეთ აზერბაიჯანის მაშინდელი მმართველი ვახსუდან რავადიდი, იმ მიზნით, რომ თურქთა ეს ჯგუფი განძის შედაღიანებისა და ბიზანტიის წინააღმდეგ გამოეყენებინა, შეუთანხმდა მათ და მისცა დასასახლებელი ადგილები[164].

---

[160] იბნ-ალ-ასირი (Fragment de géographes et d'historiens arabes et persans inédits... traduits et accompagnés de notes critiques, par M. Defrémeri, journal Asiatique, juin, 1849, p. 483. შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, 1949. გვ. 140.

[161] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 140.

[162] ი ქ ვ ე.

[163] Т а р и х-а л-К а м и л ь И б н-а л-А с и р а, Перевод П. Жузе, Баку, 1940, გვ. 111; შდრ. История Азербайджана, I, გვ. 130.

[164] История Азербайджана, გვ. 130.

მეორე საკმაოდ მოზრდილი რაზმი ოღუზებისა იმ დროს მოვიდა სამხრეთ აზერბაიჯანში, როცა თბილისის ამირა და დიდებულები ქართველებს ძალზე შეეიწროებული ჰყავდათ. რეიდან წამოსული თურქთა ეს მომთაბარეები სწორედ 1038 წელს შეიჭრნენ სამხრეთ აზერბაიჯანში. ვახსუდანმა ოღუზთა ეს ჯგუფი [illegible] და დაასახლა, ხოლო მათი ერთ-ერთი ბელადის ქალიშვილი ცოლად შეირთო[165], მაგრამ მომთაბარე თურქებმა თავისი არ მოიშალეს, ძარცვა-გლეჯა დაიწყეს და აიძულეს ვახსუდანი გასწორებოდა მათ ბელადებს: მან 1040 წელს ოღუზების დიდი ჯგუფი თავრიზში მოიწვია, მოულოდნელად თავს დაასხა შეიარაღებული რაზმი და ბევრი ამოხოცა, ხოლო 30 წარჩინებული დაატყვევა[166].

ამასთანავე ზოგი წყარო იმასაც მოგვითხრობს, რომ სელჩუკთა შთამომავლების მეთაურობით ჯერ კიდევ ადრე, სულთან მაჰმუდ ღაზნელის (998—1030) მოღვაწეობის დროს, თურქმანები სომხეთისა და ბიზანტიის საზღვრებს შემოესიენ. მირხონდის ცნობით, სამარყანდის მმართველმა ალი-თეგინმა ანუ ილექ-ხანმა დიდი ლაშქარი შეაგროვა სელჩუკის შთამომავლების თოღრილ-ბეგისა და ჩაღრი-ბეგის წინააღმდეგ. როცა უკანასკნელებმა ეს გაიგეს, შეთანხმდნენ, რომ თოღრილი ველად წასულიყო. ჩაღრი-ბეგი კი 30000 ცხენოსნით ნადავლის საძიებლად დასავლეთისაკენ გამოემართა[167], ხელიდან გაუსხლტა ტუსის მმართველს, გაიარა რეი და სომხეთისა და ბიზანტიის საზღვრებამდე მივიდა[168].

საყურადღებოა, რომ როცა ჩაღრი-ბეგმა ბიზანტიის საზღვრებს მიაღწია, აქ მას დახვდა და შეუერთდა ადრე მოსული თურქმანების ერთი ტომი. დიდი ნადავლით დატვირთული ჩაღრი-ბეგი უკან გაბრუნდა[169].

რაც შეეხება სელჩუკიანთა მეთაურობით დასავლეთისაკენ წამოსულ ოღუზთა იმ დიდ ბირთვს, რომელიც დაპყრობითი მიზნით წამოვიდა ირანისაკენ, ჯერჯერობით სამხრეთ აზერბაიჯანამდე არ იყო მოსული. მართალია, 1035 წელს ღაზნის სულთნის წინააღ-

---

[165] Тарих-ал-Камиль Ибн-ал-Асира, გვ. 111; История Азербайджана, I, გვ. 130.

[166] Тарих-ал-Камиль Ибн-ал-Асира, გვ. 112.

[167] Материалы по истории туркменов и Туркмении, т. I, арабские и персидские источники, под редакцией С. Л. Волина, А. А. Ромашкевича и А. Ю. Якубовского, пер. А. А. Ромашкевича, 1939, გვ. 453.

[168] იქვე.

[169] იქვე.

მდეგ სელჩუკები ხორასანს უტევდნენ, ხოლო 1040 წლის მაისის თვეში სულთან მასუდის ჯარები სასტიკად დაამარცხეს, დაიპყრეს ხორასანი და ამიერიდან ღაზნის სასულთნოს ბედიც გადაწყვეტეს. ამასთანავე სელჩუკთა ამ წარმატების ხანას ემთხვევა ქართველთა მიერ თბილისზე ალყის მოხსნის დრო. მაგრამ ძნელი [illegible] ლია, რომ სელჩუკთა იმ დიდ ბირთვთან, რომელიც ჯერჯერობით შორს იყო სამხრეთ აზერბაიჯანიდან, ჯაფარს, თბილისის ამირას კავშირი დაემყარებინა. იბნ-ალ-ასირის ცნობიდან ხომ ჩანს, ამირას დასახმარებლად წამოსულ თურქებს თითქოს სომხეთი მოერბიათ[170]. ეს კი სწორედ ვახსუდანის სამფლობელოში თავშეფარებულ ოღუზთაგან იყო უფრო მოსალოდნელი.

ამრიგად, ზემოაღნიშნულის გამო უფრო ბუნებრივი იქნებოდა გვეფიქრა, რომ თბილისის ამირას სამხრეთ აზერბაიჯანში ადრე ორ წყებად მოსულ ზემოდასახელებულ თურქმანებთან შეეძლო დაკავშირება და, თუ მართლაც ასეთ კავშირს ადგილი ჰქონდა, იგი მეორე რაზმის მოსვლის შემდეგ, 1038 წლიდან 1040 წლამდე უნდა მომხდარიყო. ეს თარიღი კარგად უდგება თბილისისათვის ქართველების ბრძოლის თარიღს.

წინა აზიაში შემოჭრილი თურქთა ტალღები ჩვეულებრივ მცირე აზიისაკენ მიემართებოდნენ და ბიზანტიას საფრთხეს უქმნიდნენ. როგორც გავეცანით, ოღუზთა რაზმებმა ბიზანტიის იმპერიის გარკვეული რაიონები მოარბიეს და ვახსუდან რავვადიდის მიერ ოღუზების შეკედლებასაც ბიზანტიის წინააღმდეგ მათი გამოყენების მიზანი ჰქონდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, თბილისის ამირა, რომელიც ოღუზებთან და იქნებ ვახსუდან რევვადიდთანაც კავშირს ეძებდა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ ბიზანტიის მოწინააღმდეგეთა ბანაკში დგებოდა ისე, როგორც ამ ბანაკის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები ობიექტურად ბიზანტიის დამხმარედ გამოდიოდნენ. ამიტომ ბაგრატის მიერ ამირასთან საერთო ენის გამონახვას და ბრძოლის შეწყვეტას ბიზანტიის ყურადღება უნდა მიეპყრო. იქნებ ამ გარემოებასთანაც იყოს დაკავშირებული ლიპარიტის მიერ ურთიერთობის დამყარება ბიზანტიასთან, რომელიც დამხმარესა და მოკავშირეს ეძებდა საქართველოში.

---

[170] Defrémeri, Fragm., გვ. 483.

მართალია, ბაგრატის მიერ თბილისის დაპყრობაც წინააღმდეგებოდა ბიზანტიის ინტერესებს, მაგრამ თურქმანები მისთვის უფრო საშიშნი იყვნენ. იმპერიას საფრთხეს უქმნიდნენ და მათ წინააღმდეგ ბრძოლა უფრო გადაუდებელი ამოცანა უნდა ყოფილიყო მაშინ ბიზანტიისათვის, ვიდრე საქართველოს მეფის ხელისუფლებისათვის ხელის შეშლა თბილისის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. თუმცა, სანამ აღნიშნული მოსაზრების დამადასტურებელი საბუთები არ აღმოჩენილა, ის ჯერჯერობით მეტად ხელოვნური ჩანს.

იბნ-ალ-ასირის ცნობა და ზემოაღნიშნული მოსაზრება სიმართლედაც რომ ჩავთვალოთ, ბიზანტიის აგრესიული ძალებისა და ქართველი რეაქციონერების ურთიერთდაკავშირების მხოლოდ ხელისშემწყობ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ის და არა ძირითად მიზეზად.

საქართველოს მეფის ხელისუფლებამ კახეთის შემოსაერთებლად დაწყებული ბრძოლა წარმატებით განავითარა. კახეთის ერისთავთაგან ბევრი ბრძოლით დაიმორჩილა მეფემ, ხოლო ზოგიც „ქენებით აძლევდეს ციხეთა მათთა“[171].

XI საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში ბიზანტიისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა: ლიპარიტ ბაღვაშს და მის თანამოაზრეებს ძლიერი მოკავშირის გარეშე არ შეეძლოთ საქართველოს მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა. ამიტომ ისინი „ღონედ უძლურებისა თჳსისა“ ბიზანტიას უნდა დაკავშირებოდნენ, რითაც საშუალებას აძლევდნენ მას ნაკლები მსხვერპლის გაღებით მიეღწია თავისი მიზნისათვის. ამაში ეს აზნაურები „არაფერს არაპატრიოტულს არა ხედავენ“[172].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გაძლიერების მომხრე ძალები კახეთის შემოერთებისათვის წარმატებით იბრძოდნენ, „ქართლის მატიანის“ ავტორის გადმოცემით, ბაგრატ მეფე „ვერღარა ჩავიდეს კახეთად, და შემოიქცა“[173] უკან. ბრძოლის მიტოვებისა და უკან დაბრუნების მიზეზი ის იყო, რომ ლიპარიტ ბაღვაშმა, უსათუოდ ბიზანტიის დახმარების იმედით, აჯანყება მოუწყო ბაგრატს. ხოლო „შემდგომად მცირედისა ჟამისა გამოიყვანა ლიპარიტ

---

171 „ქართლის მატიანე“, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 298.

172 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, 1965, გვ. 26.

173 „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 298.

დემეტრე, ძმა ბაგრატისი, საბერძნეთით ბერძენთა მეფისა ლაშ-
ქრითა"[174] და მოკავშირეებმა ძლიერი ბრძოლა გაუმართეს ბაგრა-
ტის ხელისუფლებას. ისინი, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინა-
რე, დემეტრე უფლისწულის გასამეფებლად იბრძოდნენ.

ლიპარიტი, ეს ძლიერი ფეოდალი, შემდგომში [illegible]
გამდიდრებისა და დემეტრე უფლისწულის გამეფებისათვის [illegible]
ვდა. ალზეება მიზანი იყო მისი, ხოლო დემეტრეს გამეფება — ამ
მიზნის მიღწევის საშუალება. საკეისროს კი საქართველოს სამეფო
ტახტზე დემეტრეს დასმით ამ ქვეყნის დამორჩილება და მისი თავის
გავლენის ქვეშ მოქცევა სურდა. მართლაც, გამეფების შემთხვევაში
დემეტრე უფლისწულს ბიზანტიის აქტიური დახმარების გარეშე
ხელისუფლების შენარჩუნება არ შეეძლო და ეს გარემოება მას
იძულებულს გახდიდა საკეისროს ყურმოჭრილი მონა გამხდარიყო.
საქართველო ბიზანტიის ნება-სურვილის შემსრულებელ ქვეყნად
უნდა გადაქცეულიყო.

თუმცა "ქართველოში მოსულ ბერძენთა ლაშქარს და ლიპა-
რიტს „მიერთნეს სხუანიცა ვინმე დიდებულნი და აზნაურნი"[175],
ბაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, აზნაურთა უმრავლესობა
მაინც ბაგრატის მხარეზე დარჩა. ეს არა მარტო სამშობლოს დაც-
ვისა და დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებით, არამედ
დიდებულ აზნაურთა ურთიერთშორის შუღლითა და მტრობითაც
იყო გამოწვეული: აზნაურთა ის წრე, რომელმაც ლიპარიტ
ბაღვაშის გაძლიერების ხელის შეწლის მიზნით თბილისის საამიროს
შემოერთების საქმე ჩაშალა, ახლა მეფის ხელისუფლებას უნდა
ამოდგომოდა მხარში ბიზანტიისა და მისი მოკავშირის, ლიპარიტ
ბაღვაშის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მოკავშირეებმა, ბიზანტიელებმა და ლიპარიტმა, „მოვლეს ზე-
მო ქვეყანა და ჩამოვიდეს ქართლს, მოადგეს ატენს, არე-არე მოწუ-
ეს ქართლი"[176]. ახლა ბიზანტიისა და ლიპარიტის ძალები მარტო
როდი იბრძოდნენ საქართველოს მეფის ხელისუფლების წინააღ-
მდეგ. ჩანს, კახთა მმართველმაც საერთო ენა გამონახა მათთან და
„ჰყვეს ლიპარიტს კახნი და ბერძენნი"[177]. მაგრამ მოკავშირეებმა
„ვერ წაიღეს ატენი, რამეთუ ციხეთა-უფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს
ერთგულობასა ზედა ბაგრატისსა, თჳნიერ ფარსმან თმოგუელისა და

---

174 „ქართლის ცხოვრება", I, გვ. 298.
175 იქვე.
176 იქვე.
177 იქვე.

ბეშქენ ჯაყელისა, თუხარისისა ერისთავისა"[178]. ე. ი. ფარსმან თმოგველისა და ბეშქენ ჯაყელის, თუხარისის ერისთავის, გარდა, ციხის პატრონი აზნაურები ბაგრატს უჭერდნენ მხარს. ამიტომ იყო, რომ მოწინააღმდეგეებმა ატენის ციხე ვერ აიღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოპირდაპირეთა შორის ამჯერად ბრძოლა [illegible] ელებულა. „ქართლის მატიანის" ავტორის გადმოცემით, ვინაიდან „არე ზამთრისა მოწევნულ იყო, ბერძენთა ენება შელმართ წასლვა. დაეზავა ლიპარიტ აფხაზთა მეფესა. უბოძა მეფემან ქართლისა ერისთაობა (ლიპარიტს — ვ. კ.) წარვიდეს ბერძენნი საბერძნეთად და წარიტანეს დემეტრე თანა"[179].

არ იქნებოდა სწორი, რომ ბერძენთა გასვლა საქართველოდან მარტო ზამთრის მოახლოების შიშით აგვეხსნა; ბიზანტიის ხელისუფლების მიერ საქართველოდან ლაშქრის გაწვევა საკეისროს პოლიტიკური სირთულეებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ბიზანტიელთა საქართველოდან გასვლის მიზეზს თ. ჟორდანიამ მიაქცია თავის დროზე ყურადღება. მისი განმარტებით, როცა ბერძნებისა და ლიპარიტის ლაშქარი საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდნენ, ამ დროს „გამოჩნდნენ თათრები აღმოსავლეთში. ამის გამო ბერძნის ჯარი საქართველოდან გავიდა და ლიპარიტსაც სთხოვეს გაჰყოლოდა თათრებთან საბრძოლველად. მაშინ ლიპარიტი დაეზავა მეფეს და ალბათ ბერძნებს გაჰყვა"[180].

მკვლევარი მართალი არის იმაში, რომ ბერძენთა ლაშქრის საქართველოდან გასვლა ბიზანტიის პოლიტიკური მდგომარეობის გართულების შედეგი უნდა ყოფილიყო. მაგრამ თ. ჟორდანია ქრონოლოგიურ შეცდომას უშვებს და ადრე მომხდარი მოვლენა 1047—1048 წლებში გადააქვს. ამ წლებში მართლაც ჰქონდა ადგილი ბიზანტიის საზღვრებში თურქ-სელჩუკთა შეჭრას და სწორედ ამ გარემოებას უკავშირებს იგი საქართველოდან ბერძენთა ლაშქრის გაყვანას. ის წერს: ლიპარიტის აჯანყების „მსმენელმა ბაგრატ მეფემ კახეთს თავი დაანება და ქართლში ებრძოდა ლიპარიტის და დემეტრეს ლაშქარს ზამთრამდი. მაგრამ იმავე 1048 წელს გამოჩნდნენ თათრები აღმოსავლეთში"[181] და ბერძენთა ლაშქარიც საქართველოდან წავიდაო.

---

[178] „ქართლის ცხოვრება", I, გვ. 298.
[179] იქვე.
[180] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 197.
[181] იქვე.

თ. ჟორდანიას ეს დასკვნა გამოაქვს მათესა და იოანეს სახარების თარგმანის, მათეს თავის ერთი დაზიანებული მინაწერის საფუძველზე, სადაც კახთა მეფის, კვირიკე დიდის გარდაცვალების თარიღად, თ. ჟორდანიას წაკითხვით, 1048 წელი ჩანს. და ... „ქართლის მატიანის“ ავტორი თბილისის ალყის ამბავის ... ბის დროს აღნიშნავს, რომ „მას ჟამსა მოკლული იყო დიდი მეფე კახთა კვრიკე ოვსისა ვისმე მონისა მიერო“[182], თბილისის ალყის დროს ოსი „მონისა მიერ... ნადირობასა შინა“ მოკლულად მიაჩნია კვირიკე თ. ჟორდანიას და ყველა მოვლენა, რაც თბილისის საამიროს წინააღმდეგ ბრძოლის, კახეთის შემოსაერთებლად ბაგრატის გალაშქრებისა და ბერძენთა და ლიპარიტის მიერ ბაგრატის წინააღმდეგ ბრძოლის სახით ადრე მოხდა, 1047—1048 წლებში გადააქვს. მაგრამ, როგორც ამის შესახებ აკად. ნ. ბერძენიშვილმა მიუთითა, „მას ჟამსა მოკლულ იყო“ სრულიად არ ნიშნავს თითქო კვირიკე იმ წელს მოიკლა, როგორც ეს თ. ჟორდანიას ეგონა“[183].

ნ. ბერძენიშვილს გამოკვლეული აქვს, რომ „კვირიკე რანთა და კახთა მეფე უნდა მოკლულიყოს უწინარეს 1033 წლისა“[184]. ამრიგად, თ. ჟორდანიას მიერ მოვლენათა ასეთი დათარიღება სწორი არ არის.

ბერძენთა ლაშქრის საქართველოდან გასვლის მიზეზი რომ მივაკვლიოთ, ჯერ საჭიროა დავადგინოთ ის დრო, თუ როდის აუჯანყდა პირველად ლიპარიტი ბაგრატს, როდის ააღებინა მეფეს ხელი მან კახეთის შემოერთებისათვის ბრძოლაზე და როდის გაუმართეს ბრძოლა ბაგრატს დემეტრე უფლისწულმა, ბიზანტიის ლაშქარმა და ლიპარიტმა? მაგრამ, სამწუხაროდ, ქართული წყაროები არ უჩვენებს, თუ როდის მოხდა რომელიმე ზემოაღნიშნული მოვლენა.

სომეხი ისტორიკოსის, ვარდანის გადმოცემით, ბრძოლა ლიპარიტსა და ბაგრატს შორის თითქოს 1041—1042 წლებში უნდა დაწყებულიყო. ის გადმოგვცემს, რომ „ლიპარიტი განუდგა ბაგრატს და აიძულა ის აფხაზეთში გაქცეულიყო,... თვით დაეუფლა მხარეს და იმპერატორ მიხეილის დახმარებით დაიწყო მისი ბრძნულად

---

[182] ქრონიკები, I, გვ. 297.

[183] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მცხეთის საბუთი მე-XI საუკუნისა, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. 6, 1931, გვ. 247.

[184] ი ქ ვ ე. 255.

მართვაო"[185]. აქ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მიხეილ V. [illegible]ფატი ვიგულისხმოთ, რომელიც 1041 წლის დეკემბრიდან 1042 წლის მაისამდე მეფობდა. თუ ამ ცნობის მიხედვით ვიმსჯელებდით ილიპარიტის პირველ აჯანყებას მიხეილ V დრო[illegible] ვ[illegible]ით, მაშინ აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ მოცემ[illegible] — 1044—1045 წლები[186]—1042 წ. უნდა გადავიტანოთ. ამ დროს უნდა მოსულიყო ბერძენთა ლაშქარი და დემეტრე საქართველოში და მათი უკან გაბრუნება 1043 წელს იქნებოდა მაშინ საგულვებელი. თუ ასეთი დათარიღება სწორი აღმოჩნდებოდა, ჩვენ მოვნახავდით სრულიად ბუნებრივ მიზეზს იმისას, რამაც აიძულა ბიზანტიის მთავრობა თავისი ლაშქარი საქართველოდან გაეწვია. რა თქმა უნდა, ბიზანტიის იმპერიას, ისე როგორც ყოველთვის, ამჟამადაც ბევრი შინაგანი და საგარეო სირთულეები ჰქონდა, მაგრამ მათ შორის ყველაზე უფრო საგონებელში ჩამგდები 1043 წელს საკეისროს წინააღმდეგ კიევის სამთავროს გამოლაშქრება იყო.

ბერძნული წყაროების თანახმად, „1043 წლის ივნისის თვემდე რუსები ბიზანტიასთან მშვიდობიან დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ, ორივე მხარე უშიშრად აწარმოებდა ერთმანეთთან ვაჭრობას"[187]. მაგრამ ამ დროს კონსტანტინეპოლში მყოფ რუს ვაჭრებსა და ადგილობრივ ვაჭრებს შორის ხელჩართული ბრძოლა ატყდა, რუსთაგან ერთი მნიშვნელოვანი პირი მოკლეს. თითქოს ამის გამო, „ვლადიმერ იაროსლავის ძემ[188], რომელსაც კედრენე ამ დროს რუსთა მბრძანებლად თვლის,... დაუყოვნებლივ დაიწყო მზადება ლაშქრობისათვისო"[189].

პსელოსის გადმოცემით, „როდესაც საიდუმლოდ შეკრებილმა რუსებმა პროპონტიდის შიგნით თავი ამოყვეს, პირველად ზავზე ფიქრობდნენ ისინი, თუ ჩვენ დიდი ღირებულების გადასახადის მიცემაზე დავეთანხმებოდითო"[190]. მაგრამ ამ პირობის შესრულება ძნელი და შეუძლებელი იყო. მათ კი იმედი ჰქონდათ თავისი მრა-

---

[185] Всеобщая история Вардана Великого, перевод Н. Эмина, Москва, 1961, გვ. 123.

[186] ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 141.

[187] Труды В. Г. Василевского, т. I, გვ. 307.

[188] კიევის მთავარი ამ დროს იაროსლავი იყო და ლაშქრობის ინიციატივაც მას ეკუთვნოდა. ვლადიმერ იაროსლავის ძე კი იაროსლავის მიერ ბიზანტიის წინააღმდეგ გაგზავნილ ლაშქარს მეთაურობდა.

[189] Труды В. Г. Василевского, т. I, გვ. 307.

[190] იქვე, 35.

ვალრიცხოვნების და ფიქრობდნენ, რომ მაშინვე დაიპყრობდნენ ქალაქს მთელი მისი მცხოვრებლებით"[191].

კედრენეს გადმოცემით, „როდესაც რუსები ნამდვილად დაემუქრნენ საკეისროს,... ბიზანტიის მთავრობამ საჭიროდ ჩაუთვალა ქიდან გაეყვანა როგორც რუსი ვაჭრები, ისე რუსი სამხედროელები"[192]. იმავე მემატიანის ცნობით, „კონსტანტინეპოლში იცოდნენ, რომ რუსები მარტო არ მოდიოდნენ. მათ ბევრი მოკავშირე ჰყავდათ და ეს მოკავშირენი ჩრდილო ოკეანის კუნძულების მცხოვრებნი იყვნენ"[193]. ვასილევსკის განმარტებით, „არავითარი საფუძველი არ არსებობს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ აქ სკანდინავიისა და ისლანდიის მცხოვრებნი იგულისხმებიან"[194].

თუმცა, რუსთა ეს ლაშქრობა კონსტანტინეპოლში მათი წარუმატებლობით დამთავრდა[195], მაგრამ სანამ ბიზანტია მტერს დაამარცხებდა, მისი მდგომარეობა მეტად რთული იყო. ასეთ ვითარებაში მყოფი საიმპერიო ხელისუფლება, რა თქმა უნდა, საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად ვეღარ მოიცლიდა და იქიდან ლაშქარი უნდა გაეყვანა. მით უმეტეს, რომ რუს და ადგილობრივ ვაჭრებს შორის კონფლიქტი, როგორც ამჟამად ფიქრობენ, არა 1043 წელს, არამედ უფრო ადრე 1042 წელს უნდა მომხდარიყო კონსტანტინეპოლში[196], და ამ საბაბით კიევის მთავრის მზადება ბიზანტიის წინააღმდეგ კეისრისათვის აქედანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი. ამასთანავე 1043 წელს პაჭანიკთა უზარმაზარმა ლაშქარმა დუნაი გადალახა, გზადაგზა ყველაფერი გაანადგურა და ადრიანოპოლამდე მივიდა. ამ დროს პაჭანიკებთან ბრძოლაში მარცხი განიცადა კონსტანტინე მონომახმა და მას ძალზე ძვირად დაუჯდა პაჭანიკებისაგან მშვიდობის ყიდვა[197]. ამავე წელს ადგილი ჰქონდა მანიაკისა და კიდევ სხვათა აჯანყებებს[198].

ეს მოვლენები უნდა ყოფილიყო მიზეზი საქართველოდან ბერძენთა ლაშქრის გაყვანის. გარდა ამისა, როგორც ქვემოთ გავეცნო-

---

[191] Труды В. Г. Василевского, т. I, გვ. 35.

[192] იქვე, გვ. 308.

[193] იქვე.

[194] იქვე.

[195] История СССР, I, 1939, გვ. 103.

[196] История Византии, II, 1967, გვ. 350.

[197] М. В. Левченко, История Византии, დასახ. გამოცემა, გვ. 173.

[198] История Византии, II, 1967, გვ. 271.

ბით, იოვანე-სუმბატის მიერ მიცემული პირობის განადგურება და ბაგრატუნიანთა სამფლობელოს — ანისის სამეფოს დაპყრობისათვის იბრძოდა ამ დროს ბიზანტია და სომეხთა ძლიერი წინააღმდეგობის შედეგად მცირე ლაშქარი როდი სჭირდებოდა ამ მიზნისათვისაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიზანტიის ლაშქრისა და დემეტრე უფლისწულის საქართველოდან გასვლის შემდეგ საქართველოს მეფის ხელისუფლების თავისუფალი მოქმედება, რომელიც ქვეყნის ცენტრალიზაციის სასარგებლოდ იყო მიმართული, გვაფიქრებინებს, რომ შინაგანი რეაქციული ძალების მეთაური ლიპარიტ ბაღვაშიც ბერძნებთან ერთად მართლაც უნდა გასულიყო დროებით საქართველოდან.

„ქართლის მატიანის" ავტორის გადმოცემით, „კუალად განძლიერდა და მოირჭუნა ბაგრატ მეფემან თავის მამულსა ზედა"[199]. საქართველოს სამეფო ხელისუფლების ზოგიერთი ღონისძიება, რომლებიც ბიზანტიის ლაშქრის საქართველოდან გასვლის შემდეგ იქნა ჩატარებული, პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა საკეისროს ინტერესებს და, ცხადია, უკანასკნელი ამას ვერ შეურიგდებოდა. მტრული დამოკიდებულება და ბრძოლა სულ მალე განახლდა ამ ორ ქვეყანას შორის.

---

[199] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 297.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი IV

ანისის საკითხი. სომეხ-ქართველთა ძალების გაერთიანების ცდა

§ 9. ბრძოლა ანისისათვის

1021—1022 წლებში საქართველოსა და სომხეთის სამეფო-სამთავროებმა, როგორც გავეცანით, მარცხი განიცადეს ბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში და ანისის მეფე, იოვანე-სუმბატი ბაგრატუნი იძულებული გახდა თავისი სამეფო ანდერძით ბიზანტიის კეისრისათვის გადაეცა. ეს ანდერძი ითვალისწინებდა, რომ იოვანეს სიკვდილის შემდეგ მისი სამფლობელო ბიზანტიის იმპერატორის განკარგულებაში გადავიდოდა.

1041 წელს იოვანე-სუმბატი გარდაიცვალა. ბიზანტიის ხელისუფლებამ, იოვანე-სუმბატის მიერ მიცემული ანდერძის საბაბით, ანისის სამეფოს მიტაცებისათვის დაიწყო ზრუნვა და დაუყოვნებლივ გაგზავნა ლაშქარი ე. წ. ტრაპიზონის ხელშეკრულების სისრულეში მოსაყვანად. ნახარართა ერთი ჯგუფი, სარგიზ სივნიელის მეთაურობით, სამშობლოს გამყიდველისა და ბიზანტიის დამხმარის როლში გამოვიდა, ხოლო ნახარართა გარკვეული ნაწილი და სომხეთის ძირითადი მასა წინ აღუდგა აგრესორს და ძლიერი ბრძოლა გაუმართა მას.

დამოუკიდებლობის დამცველსა და ბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს სომხეთში ცნობილი მხედართმთავარი ვაჰრამ პაჰლავუნი ჩაუდგა სათავეში. ანისის მისადგომებთან მისული მტერი დამარცხდა, ხოლო ბიზანტიის აგრესიის მოწინააღმდეგე ძალების ინიციატივით, ანისის სამეფო ტახტზე 1042 წელს იოვანე-სუმბატის ძმისშვილი, გაგიკ II იქნა აყვანილი.

სამშობლოს მოღალატე და ბიზანტიის მომხრე ზოგიერთი ნახარარი გაგიკს ხელს უშლიდა ანისში გამეფებულიყო. ამიტომ მას ბრძოლით მოუხდა ტახტის დაკავება. ბიზანტიის საიმპერიო ხელი-

სუფლება კი შეეცადა გამოეყენებინა ეს მდგომარეობა და არისტარქე ლასტივერტელის გადმოცემით, ოთხჯერ მოაწყო გამანადგურებელი ლაშქრობა სომხეთში. სომხებმა მტერს არ დაუთმეს და სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა. ამ დროს სომხეთში ... ალებულ საშინელების მოგონებაზე არისტარქე ... წერს: ხელები მიკანკალებს, კალამი აღარ მემორჩილება და ველარ ვაგრძელებ მოთხრობასო[1].

მტრის პირველმა იერიშებმა მარცხი განიცადა, მაგრამ აგრესორმა ამ დამარცხებით როდი აიღო ხელი ანისის დაპყრობისათვის ბრძოლაზე, პირიქით, მან უფრო გააძლიერა ბრძოლა მიზნის მისაღწევად. ამ ამბებთან დაკავშირებით ბიზანტიელი ისტორიკოსი კედრენე შემდეგს მოგვითხრობს: „გარდაიცვალა მეფე ბასილი; დიდი ხნის შემდეგ გარდაიცვალა იოვანესიკეც. ეს რომ გარდაიცვალა მისმა ვაჟმა[2] გაგიკმა ჩაიბარა მმართველობა, რომაელებთან მშვიდობას და კავშირს იცავდა, მაგრამ მამის სამფლობელო რომ მიიღო, არ ისურვა მისი გადაცემა რომაელებისათვის, თანახმად მამის მიერ გაცემული საბუთისა.

„მონომახოსმა ეს საბუთი რომ ნახა საბუთსაცავებში, მოსთხოვა ანისიც და მთელი დიდი არმენიაც[3], როგორც ბასილი მეფის მემკვიდრემ. გაგიკმა თავისი თავი აღიარა რომაელთა მონად, ხოლო მამის სამფლობელოს დათმობა არ ისურვა, ამიტომ მეფემ გადაწყვიტა ომი... შეკრიბა ჯარი და ჩააბარა ის ვესტის მიხაელ იასიტეს, რომელიც დანიშნული იყო იბერიის მთავრად, და მოუწოდა მას ომმა გაგიკის წინააღმდეგ. იასიტეც გაემგზავრა და, რამდენადაც შეეძლო ცდილობდა მეფის ბრძანება შეესრულებინა“[4].

იქნებ შემთხვევითი არ იყოს ის გარემოება, რომ ბიზანტიამ წინასწარ აამოქმედა საქართველოში თავისი აგენტები; ლაშქარიც გამოუგზავნა მათ და ბრძოლის გაჩაღება დაავალათ. არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობაც, რომ საქართველოს შიგნით ბრძოლის გაჩაღებით, როცა ბიზანტიამ დემეტრე და ლაშქარი გამოაყოლა ლიპარიტს, სომხეთში თავისუფალი მოქმედების გზასაც იკაფავდა

---

[1] Պատմութիւն, გვ. 55—56.

[2] გაგიკი იოვანე-სუმბატის ძმის, აშოტის შვილი იყო და არა იოვანე-სუმბატის. კედრენე აქ ცდება.

[3] ჩვენ ვფიქრობთ, რომ ანისის დაპყრობისათვის ბრძოლა იოვანე-სუმბატის გარდაცვალების შემდეგ, კონსტანტინე მონომახის გამეფებამდე, მიხეილის დროს უნდა დაწყებულიყო.

[4] გეორგიკა, V, გვ. 60—61.

საკეისრო. ქვემოთ გავეცნობით, რომ ბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ სომეხთა ბრძოლაში საქართველოს ჩარევა 1045 წ. ფაქტი გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხებმა დაუყოვნებლივ გაუკეთეს მობილიზაცია თავიანთ ძალებს, ჩანს, მტერს ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს. ... ლეს და, „რადგან იასიტეს (მიხეილის—ვ. კ.) საქმეები ცუდად მიმდინარეობდა, გაიგზავნა აგრეთვე დიდძალი ჯარით წინამძღოლი ნიკოლოზი, სხოლათა დომესტიკოსი და კონსტანტინე მეფის პარაკიმანოსი“[5], რათა გაგიკი დაემარცხებია.

ამ ბრძოლაში სომეხთა ძლიერ წინააღმდეგობას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ბიზანტიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ანისის სამეფოს მეზობელ მაჰმადიან მმართველებს დაკავშირებოდა და გამოეყენებია ბრძოლაში ისინი. ამ მიზნით, როდესაც იმპერატორმა მიხეილ ვესტის დასახმარებლად ნიკოლოზი გამოგზავნა, თან „წერილი გაუგზავნა აპლესფარეს (აბულ-სუვარს—ვ. კ.), დვინისა და მდინარე არაქსის გარშემო მდებარე პერსარმენიის მთავარს, რომელსაც მეფე მოუწოდებდა, შეძლებისდაგვარად, დაერბია დიდი არმენია და გაგიკის ქვემდებარე ქვეყანა“[6].

ნიკოლოზმა იმპერატორის წერილი აპლესფარეს (აბულ-სუვარს) გაუგზავნა. თვითონაც მისწერა წერილი და საჩუქრებითა და შეპირებებით აქეზებდა მას, რომ „მეფის სურვილები სისრულეში მოეყვანა“[7].

აპლესფარემ (აბულ-სუვარმა) თანხმობა განაცხადა ბრძოლაში მონაწილეობაზე, მაგრამ კეისრისაგან მოითხოვა საბუთი იმის შესახებ, რომ მას „უეჭველ მფლობელობაში ექნებოდა ყველა ის ციხე-სიმაგრე და ის ადგილები, რომლებსაც ის ომის ძალით გაგიკს წაართმევდა“[8].

კედრენეს ცნობით, იმპერატორმა თანხმობა განაცხადა დვინის ამირას მოთხოვნაზე და საამისო საბუთი, ოქრობეჭედიც გამოუგზავნა მას. ამ საბუთის მიღებისთანავე აპლესფარემ სომხეთის წინააღმდეგ დაძრა თავისი ლაშქარი. „ალყა შემოარტყა და დაიპყრო გაგიკის მრავალი ციხე-სიმაგრე“[9].

---

[5] გეორგიკა, V, ეგ. 61.
[6] იქვე.
[7] იქვე.
[8] იქვე, გვ. 62.
[9] იქვე.

გაგიკი, — განაგრძობს კედრენე, — „რომაელთა ჯარის მიერ დალაშქრული და დვინის მთავრის მიერაც დარბეული[10], სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, დაუზავდა პარაკიმომენს (ე.ი. ნიკოლოზს) და დანებდა რა მეფეს, ჩააბარა მას ქალაქი. როდესაც ეს მეფესთან გამოცხადდა, მან აღაზევა ის მაგისტრის პატივში, მეფისშვილ ძიერეო მან შემოსავლიანი ადგილები როგორც კაპადოკიაში, ისე ხარსიანის მხარეში და ლიკანდრესთან და ამ დროიდან ეწეოდა ის მშვიდობიანსა და უმღელვარო ცხოვრებასო"[11].

კედრენეს ამ ცნობის თანახმად ვითარება ისეა წარმოდგენილი, რომ „გაგიკი შეიარაღებულ წინააღმდეგობაზე ხელის აღებასთან ერთად თითქოს ანისის სამეფოს გაუქმებისა და ბიზანტიისათვის მისი გადაცემის თანახმაც გახდა. აგრეთვე ამ ცნობიდან გამოდის, რომ ბრძოლაზე ხელის აღების შემდეგ გაგიკი თავისი სურვილით წავიდა კონსტანტინეპოლში. ბიზანტიელი ისტორიკოსის ეს ცნობა ტენდენციური უნდა იყოს და თითქოს მისი ავტორი კეისრის ხელისუფლების ვერაგული მოქმედების გამომჟღავნებას ერიდებაო"[12].

ბიზანტიელთა მიერ ანისის სამეფოს დაპყრობისათვის ბრძოლის საკითხის გაშუქება აქ ჩვენს მიზანს არ შეადგენს, მაგრამ როცა ბიზანტიის იმპერია ანისის სამეფოს დასაპყრობად იბრძოდა და უკანასკნელის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, სომეხმა ხალხმა ქართველი ხალხი დაინახა საიმედო მოკავშირედ და ორივემ აგრესორის წინააღმდეგ ძალთა გაერთიანება სცადა.

ანისის დაპყრობისათვის ბიზანტიის ბრძოლის დროს აგრესორის წინააღმდეგ საქართველოს გამოსვლა ერთი თვალსაჩინო დამახასიათებელი აქტია ბიზანტია-საქართველოს მაშინდელი ურთიერთობის შინაარსის გასათვალისწინებლად. ის გამოვლინებაა აგრეთვე სომეხი და ქართველი ხალხების იმ ტრადიციული ურთიერთდახმარებისა, რომელიც ჩვეულებრივ მათი საერთო ინტერესებით იყო გაპირობებული.

---

[10] კედრენეს ეს ცნობა ზუსტი არ უნდა იყოს. სინამდვილეში, როგორც სომხეთის ისტორიის მკვლევრები გვარწმუნებენ, «Престарелому Ваграму и царю Гагику... удалось найти общий язык с эмиром и, без каких-либо столкнований, вернуть его с поля битвы обратно» (История армянского народа, I, 1944, გვ. 155).

[11] გეორგიკა, V, გვ. 62.

[12] კ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის ისტორიიდან (ანისის საკითხი XI საუკუნეში), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 51, 1953, გვ. 70.

ანისის დაპყრობისათვის ბიზანტიის ბრძოლისა და საიმპერიო ხელისუფლების ვერაგული მოქმედების შესახებ სომეხი ისტორიკოსის, ვარდანის ცნობა უფრო სწორი და ობიექტური უნდა იყოს, ვიდრე კედრენესი. მისი გადმოცემით, როცა ბაგრატუნიანთა ბაგვრეულოს შთამომავლები, გაგიკ პირველის შვილები, აშოტ IV და ანისის სამეფოს მფლობელი იოვანე-სუმბატი გარდაიცვალნენ, ალ-ხეთის სამეფო გვირგვინი აშოტის ვაჟს გაგიკს შესთავაზეს. მაგრამ ბერძნებმა, გაიხსენეს რა დამღუპველი ანდერძი ანისის შესახებ, გამოაცხადეს, რომ სიკვდილის შემდეგ ყოველი ანდერძი მტკიცე და ურყევია. მათ ფიცის მიცემით (აქ ბრძოლაზე არაფერს ამბობს ვარდანი — ვ. კ.), დასაჩუქრებისა და უკან დაბრუნების შეპირებით, გაგიკი კონსტანტინეპოლში გამოიძახეს, ამავე დროს, თავიანთი მმართველი დანიშნეს ქალაქში, სადაც გააუქმეს ორი გვირგვინი და ორი ტახტი პატრიარქისა და მეფის. რადგან მეფეცა და პატრიარქიც[13] იძულებით იყვნენ კონსტანტინეპოლში გამოძახებული, ისინი უკან აღარ დაბრუნებულან. ამიტომ გაგიკმა დაკარგა რა ყოველი იმედი, ნაცვლად (თავის სამეფოსა — ვ. კ.) კალანპახატი და პიზა მიიღო"[14].

ბიზანტიელთა მიერ ანისის სამეფოს ვერაგულად დაპყრობის შესახებ ფრანგი მკვლევარი ლებო წერდა: ბერძნებისა და თურქების მიერ შევიწროებული გაგიკი იძულებული გახდა იმპერატორს დამორჩილებოდა, თუმცა კატეგორიულად უარყო იმპერატორისათვის სამეფოს გადაცემა. მაგრამ სარგის ვესტი შეუჩნდა მას და დაჟინებით მოსთხოვა, რათა კონსტანტინეპოლს ჩაბარებოდა[15]. საკეისროში მიტყუების მიზნით იმპერატორი გაგიკს პიროვნებისა და სამეფოს დამოუკიდებლობის პატივისცემას შეპირდა და ფიცი მისცა. გაგიკი დათანხმდა კონსტანტინეპოლში წასვლაზე, მაგრამ იმ პირობით, რომ ბიზანტიის მომხრე პირებს (ანისში რომ იყვნენ) წერილობითი პირობა უნდა მიეცათ მისთვის, რათა გაგიკის არყოფნის დროს ანისი ბიზანტიისათვის არ ჩაებარებიათ. კონსტანტინეპოლში მისულ გაგიკს დიდი ზეიმით შეხვდნენ, მაგრამ მალე თავისუ-

---

[13] ვარდანის ცნობის ეს ადგილი რამდენადმე გაუგებარია: გაგიკ II-ის თანამედროვე სომეხთა კათალიკოსი პეტროსი ბიზანტიის მომხრე იყო და მისი იძულებით გამოძახება კეისარს არ დასჭირდებოდა. ნ. ემინის განმარტებით, აქ უფრო გვიან კონსტანტინე მონომახის მიერ გამოძახებული სომეხთა კათალიკოსი, ხაჩიკ II იგულისხმება (Всеобщая история Вардана Великого, გვ. 144, შენ. 474).

[14] Всеобщая история Вардана Великого, დასახ. გამოცემა, გვ. 124.

[15] Lebeau, XIV, გვ. 336.

ფლება წაართვეს და როდესაც ის ანისის გადაცემაზე უარს ამბობდა ამ დროს სომხეთის ნახარარებმა ქ. ანისისა და სახალხოს გასაღები იმპერატორს გაუგზავნეს. მეფეს არ სურდა დათანხმებოდა ამ აშკარა გამცემლობას, მაგრამ გრიგოლ მაგისტროსი[16].

ამრიგად, ბიზანტიის ცბიერმა ხელისუფლებამ [illegible] გამოყენებით ვერ შეძლო, სამშობლოს გამცემ სომეხ მსხვილ ნახარართა საშუალებით გააკეთა.

სომეხ ნახარართა წარჩინებულ ჯგუფს თავისი მდგომარეობის შენარჩუნება და გაძლიერება უფრო აინტერესებდა, ვიდრე სამშობლოს ბედი და ანისის დამოუკიდებლობა. ამიტომ ამ ჯგუფის წევრები (სარგის ვესტი, გრიგოლ მაგისტროსი, პეტროს კათალიკოსი[17] და სხვები) გაგიკისაგან დაჟინებით მოითხოვდნენ ბიზანტიის სურვილის დამორჩილებას. ტყუილად კი არ შიშობდა გაგიკ II, რომ კონსტანტინეპოლში მისი წასვლის შემდეგ ბიზანტიის მომხრე ძალები ანისს კეისარს გადასცემდნენ. მათ მართლაც ისარგებლეს გაგიკის წასვლით და იმპერატორისათვის ანისის გადაცემა დააჩქარეს.

§ 10. ანისის გადაცემა საქართველოს სამეფო ხელისუფლებისათვის

კონსტანტინეპოლში მოტყუებით მიწვეულ გაგიკს, რომელმაც პირველად უარყო ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების წინადადება ანისის სამეფოს გადაცემის შესახებ, თავისუფლება წაართვეს და იქ დააკავეს[18], ხოლო „ბიზანტიის ლაშქარი ისევ მიადგა ანისის კედლებს"[19]. მტრის ვერაგული მოქმედებით აღელვებული სომეხი მოსახლეობა „ხელახლად დაირაზმა ვაჰრამ პაჰლავუნის ირგვლივ"[20] და უკუაგდო მტერი. მაგრამ უკანასკნელს განზრახვაზე ხელი მაინც არ აუღია, ის შეტევას აძლიერებდა და ანისის სამეფოს საფრთხე თანდათან იზრდებოდა.

---

[16] Lebeau, XIV, გვ. 336—337.

[17] სომხური გრიგორიანული ქრისტიანული ეკლესიის მამამთავრის ბიზანტიის მხარეზე გადასვლა მაჰმადიანთა მომძლავრების შიშითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული. მაგრამ სომხეთის ქრისტიანული ეკლესია მალე იგრძნობს იმასაც, თუ რამდენად საზიანო იყო მისთვის სომხეთის დამოუკიდებლობის დაკარგვა და ბიზანტიისადმი დამორჩილება.

[18] Պատմութիւն, გვ. 60—61.

[19] История армянского народа, I, 1951, გვ. 152.

[20] იქვე.

გაგიკ II ბაგრატუნიანთა საგვარეულოს უკანასკნელი მეფე იყო ანისში. ბიზანტიის აგრესიის გაძლიერებისა და საფრთხის მოახლოებასთან დაკავშირებით, როდესაც გაგიკ II კონსტანტინეპოლში თავისუფლება-აღკვეცილი იყო და ანისის კედლებს ... ლაშქარი უტევდა, მწვავე ბრძოლა გაიმართა სომეხთა შორის ... ენტაციის საკითხზე. სამშობლოს მოღალატეთა ერთი დასი, რომლის წევრებმა გაგიკ II აიძულეს ბიზანტიაში წასულიყო, აგრესორს უჭერდა მხარს. მაგრამ არისტარქე ლასტივერტელის გადმოცემით, ქ. ანისის თავკაცებს შორის იყო კიდევ ორი მიმდინარეობა, რომელთაგან ერთი დავით დვინელისათვის ანისის გადაცემის მომხრე იყო, ხოლო მეორე მოითხოვდა ანისი საქართველოს მეფეს გადასცემოდა[21]. უკანასკნელმა დასმა, ჩანს, გონივრულად აწონ-დაწონა სომხეთისა და მისი მეზობლების ძალები, მათი ურთიერთგანწყობილება და ბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლ ძალად და თავის მოკავშირედ საქართველოს სამეფო დაინახა.

როცა კონსტანტინეპოლში მყოფ გაგიკისაგან ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლება მუქარით მოითხოვდა ანისის გადაცემას და ფიქრობდა, რომ საკეისროს აგენტების, სომეხ ნახარარების საშუალებით ანისში თავის საქმეს უმტკივნეულოდ აგვარებდა, საქართველოს მომხრე დასმა აქტივობა გააძლიერა და ბიზანტიელ აგრესორთა მოლოდინი დროებით ჩაშალა.

საქართველოს მომხრე დასმა მაშინდელ ვითარებაში უსათუოდ უკეთესი გამოსავალი მონახა: ამიერკავკასიის მიწა-წყალზე საქართველო (ბაგრატ IV სამეფო) იყო მხოლოდ იმ დროს შედარებით მსხვილი პოლიტიკური ერთეული, რომელიც ბიზანტიის იმპერიასთან ხანგრძლივ ბრძოლას არ შეუშინდა და თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ქედმოუხრელად იბრძოდა[22].

„ქართლის მატიანის" ავტორის გადმოცემით, როდესაც ანისში დასთა ბრძოლა გაჩაღდა, პოვა „სუემან ბაგრატისმან ჟამი; მოერთო ვესტი, ცხრითა ციხითა ანისისათა თჳნიერ ამბერდისათა[23] და მოს-

---

[21] **Պատմութիւն**, გვ. 61—62.

[22] ვ. კოპალიანი, სომხეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 72—73.

[23] მემატიანის ცნობა: „ცხრითა ციხითა ანისისითა თჳნიერ ამბერდისათა" მარტო ქ. ანისის ციხეებს არ უნდა გულისხმობდეს. აქ ანისის სამეფოს სხვადასხვა მხარეების ციხეებიც უნდა ჰქონდეს მემატიანეს მხედველობაში" (ვ. კოპალიანი, საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 76—78).

ცეს ანელთა ანისი ბაგრატის დედასა, რამეთუ მამულად ამბოდეს სომეხნი — სენექერემ სომეხთა მეფისა ასული იყო მარიამ დედოფალი, ბაგრატის დედა"[24].

„ქართლის მატიანის" ავტორის ამ ცნობებიდან გამომდინარე, აკად. მ. ბროსე წერდა: „Les expressions de l'Annaliste sont formelles; la ville d'Ani fut livrée à la mère de Bagrat".[25] მაგრამ შემდეგ, სომხური წყაროებიდან გამომდინარე, ბროსე განაგრძობს: „Les écrivaint arméniens disent, au contraire, qu'il y eut projet de la part des habitants, en 1045, quand le roi Gagic II eut été traitreusement attiré à C. P., par l'empereur Constantin—Monomaque; les uns, disent ils, voulaient se soumettre à David-sans-Terre, les autres à Aboul-sévar, mari de la soeur de ce David, d'autres enfin à Bagarat. Mais Vest—Sargis, l'un des personnages les plus influents de la ville, voulut absolument qu'on eût recours à l'empereur, et son avis prevalut".[26]

ვახუშტი ბაგრატიონი საქართველოსათვის ანისის გადაცემის შესახებ წერდა: ბერძნებისა და დემეტრე უფლისწულის საქართველოდან გასვლის „შემდგომად გაძლიერდა ბაგრატ მეფე, მოერთო ვესტი ცხრა ციხითა და ანისი მოსცეს დედასა ბაგრატისასა"[27]. „ქართლის მატიანის" ავტორის ზემოთ მოტანილი ცნობა იმის შესახებ, რომ ანელებმა ქ. ანისი ბაგრატსა და მის დედას მარიამს გადასცეს, საეჭვო არ უნდა იყოს. ქვემოთ გავეცნობით, რომ გარკვეული დროის განმავლობაში ანისს საქართველოს მეფის ხელისუფლების მიერ დანიშნული პირები მართავდნენ.

ჩვენი ცდის მიუხედავად, ვერ გავარკვიეთ, თუ ვინ არის ის ვესტი, რომელიც ბაგრატ IV მიემხრო, ან რა უფლებებით სარგებლობდა იმ დროს ის სომხეთში და ეს, ალბათ ერთ დროს კეისრის მიერ ხელდებული პიროვნება, რამ აიძულა, რომ ბაგრატს მიემხრო ცხრა ციხით? ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანის მიხედვით, თუ აქ სხვა რამე შეცდომა არ არის, მას ვასილი რქმევია. იქ ნათქვამია: „ვასილი დაემორჩილა ბაგრატ მეფეს ცხრა ციხით და განდიდდა ბაგრატი ფრიად" (ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გადმოთარგმნილი ქართულად და გამოცემული გამოკვლევითა და ლექსიკონითურთ ილია ა ბ უ ლ ა ძ ი ს მიერ, 1953, გვ. 226).

[24] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 299.

[25] M. B r o s s e t, Histoire de la Géorgie, I, 1849, გვ. 319, შენ. 2.

[26] ი ქ ვ ე.

[27] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოცემა, 1885, გვ. 156.

ამრიგად, ბიზანტიასა და საქართველოს შორის ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარმოებული ბრძოლა XI საუკუნის 40-ან წლებში ანისის სამეფოსათვის ბრძოლაში გადაიზარდა და წარმოიშვა ორი ძლიერი ბანაკი, რომელთაგან ერთ მხარეზე იყო ბიზანტია და მისი მოკავშირე, ანისში მოქმედი, სომხეთის მსხვილ მფლობელთაგან შემდგარი დასი, რომელთაც საქართველოს სამეფოს გაძლიერების მოწინააღმდეგე ქართველი რეაქციული ჯგუფი ამოუდგა მხარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიზანტიისა და მისი მოკავშირეების დამხმარის როლში გამოვიდა მაშინ აგრეთვე ტაშირ-ზორაკერტის მეფე დავით ბაგრატუნი, რომლის სამფლობელო საქართველოს სამეფოს ესაზღვრებოდა და ფეოდალურ საქართველოსა და ტაშირ-ზორაკერტის მმართველებს ბევრი რამ ჰქონდათ ურთიერთშორის სადავო. მაგრამ ძირითადი, რამაც ტაშირ-ზორაკერტის მმართველი ბიზანტიის მხარეზე დააყენა ის უნდა ყოფილიყო, რომ მისთვის ყოვლად მიუღებელი იყო ანისის სამეფოზე საქართველოს მეფის ხელისუფლების გავრცელება და საქართველოსა და ანისის სახით ერთი ძლიერი პოლიტიკური ერთეულის წარმოქმნა. ტაშის-ზორაკერტის სამეფო საქართველოსა და ანისის სამეფოების შუაში იყო და ამ უკანასკნელთა გაერთიანებას შეიძლება ტაშირ-ზორაკერტის სამეფოს დამოუკიდებლობის დასასრულიც მოჰყოლოდა შედეგად.

§ 11. საქართველოსა და სომხეთის ინტერესთა ერთიანობა

ბიზანტიის აგრესიული მოქმედების შედეგად საქართველოს მეფის ხელისუფლებისათვის ანისის გადაცემა, როგორც აღვნიშნეთ, საყურადღებო მოვლენა არის საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის ისტორიაშიც. ეს აქტი სომეხი და ქართველი ხალხების თანაბარი ინტერესებით იყო გაპირობებული და მიზნად ისახავდა ანისის სამეფოს გადარჩენას ბიზანტიელი დამპყრობლებისაგან. საკითხის ნათელსაყოფად საჭიროა გაირკვეს: 1. რომელი სოციალური ფენის წარმომადგენელი იყო ის პოლიტიკური დასი, რომელმაც ანისი საქართველოს მეფის ხელისუფლებას გადასცა და რა აკავშირებდა მას ამ უკანასკნელთან? 2. რატომ იყო მიუღებელი და საზიანო ბიზანტიის გამარჯვება იმ სოციალური ფენისათვის, რომელიც საქართველოს მეფის ხელისუფლებისათვის ანისის გადაცემას მოითხოვდა?

I. სომეხი ისტორიკოსის არისტარქე ლასტივერტელის გადმოცემით, როგორც ნათქვამი იყო, როდესაც ბიზანტიის კეისარმა ანისის მეფე გაგიკ II მოტყუებით კონსტანტინეპოლში მიიწვია და უკან აღარ გამოუშვა, 1045 წ. ანისი უმეფოდ [illegible] ბერძნებმა გადაწყვიტეს ქალაქი ან დავით დვინელისათვის, [illegible] მეფისათვის მიეცათ[28]. თუ გავიხსენებთ „ქართლის მატიანის" ავტორის ზემოთ მოტანილ ცნობას —„მისცეს ანელთა ანისი ბაგრატის დედასა" — გასაგები გახდება, რომ საქართველოს მეფის ხელისუფლებისათვის ანისის გადაცემის მომხრენი ანისის „მოქალაქეები" იყვნენ, ხოლო მოთავენი — თვითმმართველობის საბჭოს წევრები.

ფეოდალური ურთიერთობის ხანაში ეკონომიკასა თუ პოლიტიკაში ცოტად თუ ბევრად პრივილეგიური სოციალური ფენის ან მისი თითოეული წევრის პოლიტიკური ბრძოლა, ორიენტაცია და პრაქტიკული საქმიანობა ძირითადად სუბიექტურია და კერძო ინტერესებიდან გამომდინარეობს. XI საუკუნის 40-იანი წლების ქ. ანისის მცხოვრებთა ორიენტაციაზე მსჯელობის დროს ეს გარემოებაც უნდა იქნეს გათვალისწინებული.

როგორც ქართველი მსხვილი ფეოდალები, სომეხი ნახარარებიც საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ანისის სამეფოს ცენტრალიზაციისა და მეფის ხელისუფლების გაძლიერების წინააღმდეგ იბრძოდნენ. მიწის ფეოდალური საკუთრება და შეუვალობა წარმოადგენდა მათ მიზანს და სწორედ ამ წესის განმტკიცებისათვის იბრძოდნენ ისინი. ამავე დროს, ფეოდალური საზოგადოების წიაღში შეუმჩნევლად წარმოშობილი და საზოგადოების სარბიელზე ახლად გამოსული ვაჭართა და ხელოსანთა ფენა, ე.წ. „მოქალაქეები", თავისუფალი მოქმედების პირობების შექმნას საჭიროებდნენ და იბრძოდნენ[29] მისი რეალიზაციისათვის.

ეხებოდა რა ჩვენთვის საინტერესო ხანაში სომხეთის გარკვეული პირების ხელში მამულებისა და ქონების დაგროვების პროცესს, ი. მანანდიანი წერდა: «Можно... думать, что в рассматриваемую эпоху хозяйственная жизнь Армении перестраивалась на новых началах. Развитие ремесла и торговли, увеличение удельного веса национальной буржуазии, процветание и рост городских центров содействовали, несомненно, зарождению новых экономических и социальных отношений и возможно,

---

[28] Պատմութիւն, գլ. 61—62.

[29] ამ საკითხზე იხილეთ აგრეთვე ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის წარსულიდან, თბილისი, 1962, გვ. 156—166.

что эти новые силы с течением времени вызывали бы крушение феодального строя, если бы развитие это не было прервано событиями середины XI века и нашествием сельджуков»[30].

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა მკვლევრის ეს განცხადება, ფეოდალური ურთიერთობის ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობით შეცვლის შესახებ, მაშინ ნაადრევად გამოიყურებოდა, მაგრამ ფეოდალიზმის წიაღში წარმოშობილი ახალი პროგრესული სოციალური ძალების სწრაფი განვითარება იმ დროის სომხეთისა და საქართველოსათვის უდავოდ დამახასიათებელია.

არისტარქე ლასტივერტელის ცნობით, ბაგრატისათვის ანისის გადაცემის საქმეში პირველი ხმა ქალაქის თავკაცებს ეკუთვნოდათ. ისინი კი —„ქალაქის უხუცესები", „თავადები", „თავკაცები", ცხადია, ქალაქის მოსახლეობის ზედაფენიდან, მათ შორის ყველაზე უფრო ნდობით აღჭურვილ, საპატიო და პატივცემულ პირთაგან ირჩეოდნენ. ასეთებად კი პირველ რიგში მდიდარი და გავლენიანი მოქალაქეები, პრივილეგირებული დიდვაჭრები და ფინანსისტები იყვნენ"[31].

IX საუკუნიდან დაწყებული ქვეყნის ცენტრალიზაციისაკენ მიმართული მრავალი ღონისძიების განხორციელება სომხეთსა და საქართველოში რომ ხდებოდა, ამ ორი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების ობიექტური გამოვლინება იყო. მაგრამ მაშინდელ საზოგადოებრივ ურთიერთობაში არსებული უწესრიგობა შემდგომ განვითარებას ხელს უშლიდა. თავისუფალი აღებ-მიცემობის პირობების შექმნისა და ფეოდალური კარჩაკეტილობის შერბილებისათვის მეოცნებე საზოგადოების მზარდი ფენა („მოქალაქეები") ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებაში თავის სასარგებლო მოვლენას ხედავდა და ამიტომ მისი დამხმარის როლში გამოდიოდა. თავის მხრივ, ცენტრალური ხელისუფლება — სამეფო კარი „მოქალაქეთა" სახით მოკავშირეს ხედავდა და თვითნება ფეოდალთა წინააღმდეგ მის გამოყენებას ცდილობდა.

ცენტრალური ხელისუფლებისა და ვაჭარ-ხელოსანთა ინტერესები საკუთარ ქვეყანაში ერთმეფობას მოითხოვდა და მოვლენებიც მათ სასარგებლოდ ვითარდებოდა: „ფეოდალური ურთიერთობა

---

[30] Я. А. Минандян, О торговле и городах Армении, გვ. 149.

[31] შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, 1962, გვ. 38.

მომწიფების ასაკში შედიოდა და ამის შესაბამისად მკვეთრ პოლიტიკურ ერთეულთა გამსხვილების ტენდენციები დაეფენებით თავს იჩენდა"[32]. სანამ ცენტრალურ ხელისუფლებას ვაჭარ-ხელოსნები მოკავშირედ სჭირდებოდა, მათ შემავიწროებელ ღონისძიებებს არ ატარებდა; ამრიგად, უკანასკნელთა ხელისშემშლელად ფეოდალთა ჯგუფი რჩებოდა.

როგორც საქართველოში, ისე სომხეთში შინაგანი სოციალური ძალების ინტერესთა ეს შეუთავსებლობა საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის დროსაც იჩენდა თავს და ანისის მოქალაქეთა და სომხეთის მსხვილ ნახარართა ბიზანტიისადმი დამოკიდებულება ცალკეული მათგანის ინტერესებით ისაზღვრებოდა. ამიტომ, როცა სომხეთის მსხვილი ნახარარები ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებას მხარს უჭერდნენ, ქ. ანისის „მოქალაქეები", და არა მთლიანად „ქალაქის მკვდრნი", მეფის ხელისუფლების დამცველის როლში გამოდიოდნენ, ხოლო, როდესაც მათი ძალები მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში საკმარისი არ აღმოჩნდა, მოკავშირედ აირჩიეს განვითარებისა და სოციალურ ძალთა განწყობილების მხრივ თავისი ქვეყნის ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს სამეფო, რომელიც ახლა „კავკასიის შემკრებლის როლში გამოსვლას აპირებდა"[33]. ანისი საქართველოს მეფის ხელისუფლებას გადასცეს.

ბრძოლის გარკვეულ ეტაპზე მოვლენები ისე განვითარდა, რომ ყველაფერი ანისის „მოქალაქეთა" თავკაცების განზრახვის სასარგებლოდ მიმდინარეობდა, მაგრამ სამწუხაროდ ქალაქის გავლენიან პირთაგან ყველა როდი უჭერდა მხარს მათ ორიენტაციას. ზოგიერთი ბიზანტიისაგან უფრო მეტს მოელოდა, ვიდრე საკუთარი ან საქართველოს მეფის ხელისუფლებისაგან. პირველ ყოვლისა აქ იგულისხმება ამ ქალაქში მცხოვრები დიდებულები, ფეოდალური არისტოკრატია, ხოლო შემდეგ ვაჭრობით გამდიდრებული და პოლიტიკურად ფეოდალური არისტოკრატიის მდგომარეობამდე მისული დიდვაჭრების ის ნაწილი, რომელთა ხელში იყო სატრანზიტო-საქარავნო გზები. მოგვიანო ხანაში, როგორც ი. პეტრუშევსკი აღნიშნავს, ისინი «нередко действовали как контрагенты султанов,

---

[32] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, მნათობი, 1954, № 6, გვ. 121.

[33] იქვე.

фадишахов, ханов и крупных владетельных феодалов»[34] უკეთებს რა ანალიზს სომხეთის ამ დროის მდგომარეობას, გ. ალ-ქელიანი წერს: «Часть феодальной знати, купечество и церковь были связаны с Византией экономическими интересами благодаря транзитной торговле»[35].

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI საუკუნის ორმოციან წლებში, როდესაც ანისის სამეფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, მოგვიანო ხანის სულთნისა თუ ფადიშაჰის მაგივრობას ბიზანტიის კეისარი ასრულებდა, ხოლო დიდმფლობელი ფეოდალებისას—სომეხი მსხვილი ნახარარები. ბიზანტიის იმპერიის აგენტისა და სომეხი მსხვილი ნახარარების თანამოაზრის როლში გამოვიდა ანისის ზოგიერთი დიდვაჭარიც.

II. თუ XI საუკუნის 40-იანი წლების სომხეთისა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით ვიმსჯელებთ, ანისის „მოქალაქეთა“ ნაბიჯი გამართლებული უნდა ყოფილიყო. მაგრამ იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელიც სომეხ ვაჭარ-ხელოსნებს ბიზანტიისადმი ზურგის შექცევას უკარნახებდა. ეს ის გარემოება იყო, რომ საქართველოსა და სომხეთის სამეფო ხელისუფალთა დამოკიდებულება ვაჭარ-ხელოსნებისადმი განსხვავებული უნდა ყოფილიყო იმ დამოკიდებულებისაგან, რომელსაც ბიზანტიის ხელისუფლება X—XI საუკუნეებში პროვინციის ან უცხო ქვეყნის ვაჭარ-ხელოსნების, „მოქალაქეთა“ მიმართ იჩენდა.

თუ საქართველოსა და სომხეთის სოციალურ-ეკონომიური პირობები და პოლიტიკური მდგომარეობა ვაჭრობა-ხელოსნობაში ჩაბმულ ფართო მასებსა და მეფის ხელისუფლებას მოკავშირეებად ხდიდა, ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის ბიზანტიაში ასე არ იყო და კეისრის ხელისუფლებას მაშინ ვაჭარ-ხელოსანთა თვითმმართველობისა და დამოუკიდებელი ორგანიზაციების დამცველის როლში ვერ ვხედავთ. პირიქით, იმპერატორის უშუალო გამგებლობაში მყოფი კონსტანტინეპოლისა და სხვა ქალაქების ვაჭარ-ხელოსანთა მოქმედება მტკიცედ იყო შეზღუდულ-რეგლამენტირებული, ხოლო ქალაქის ძირითადი მასა — პოლიტიკურად უფლებააყრილი.

---

[34] И. П. Петрушевский, Городская знать в государстве хулагидов, «Совет. востоковед». V. 1948, გვ. 105; შდრ. შ. მესხია, საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (XI—XIII სს.). საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი, მიმომხილველი, ტ. II, 1951, გვ. 92.

[35] История Киликийского армянского государства, დასახ. გამოცემა, გვ. 59.

ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების მიერ ჯერ კიდევ ადრე დაწყებული ვაჭართა და ხელოსანთა თვითმმართველობის შემცვიწროებელი ღონისძიებანი ლეონ VI (886—912) ხელისუფლებამ დააგვირგვინა. მან მუნიციპალურ წყობილებას [illegible] ჩასცა მახვილი და ის გააუქმა. დახურა საქალაქო [illegible] ჯგუფრებს ქალაქის მოხელეების არჩევისა და საქალაქო მმართველობის დამოუკიდებლად წარმოების უფლებები წაართვა[36]. ამიერიდან «городские думы теряют всякое политическое значение и превращаются в декоративные принадлежности императорских торжественных выходов»[37].

ქალაქებისა და საქალაქო წყობილების მიმართ საიმპერიო ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულება XI საუკუნეშიც გრძელდება[38].

ზემოაღნიშნული იმას არ ნიშნავს, რომ ბიზანტიის მთავრობა ხელს უშლიდა ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებას, პირიქით, ამ დარგების ხელშემწყობმა ღონისძიებებმა X საუკუნისათვის ბიზანტიაში განაპირობა სიმდიდრით აღზევებული პირების მსხვილ მიწათმფლობელთა და მოხელეთა რიგებში გადასვლა[39]. მაგრამ საიმპერიო ხელისუფლება საქალაქო თვითმმართველობის განვითარებას ვერ ეგუებოდა და კონსტანტინეპოლის კორპორაციების ცენტრალური ხელისუფლებისადმი სრულმა დაქვემდებარებამ, ვაჭრობა-ხელოსნობის მოძველებული ფორმების დაკონსერვებამ, ქალაქის ეკონომიკის განვითარება დაამუხრუჭა.[40]

„მოქალაქეთა" გამოსვლები მიმართული იყო იმპერატორის მოხელეთა წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა საქალაქო დამოუკიდებლობის გადმონაშთების შენარჩუნებას.[41]

---

[36] Н. Скабаланович, Византийское государство и церковь, გვ. 233; М. В. Левченко, История Византии, გვ. 138—139.

[37] М. В. Левченко, გვ. 139.

[38] ზოგიერთი ბურჟუაზიული ისტორიკოსი ბიზანტიაში მსხვილი მიწათმფლობელობის წარმოშობის მთავარ მიზეზს ბიზანტიის ხელისუფლების მიერ ქალაქების შემცვიწროებელი ღონისძიებების შედეგად კაპიტალის ქალაქიდან სოფლად გადატანაში ხედავს. ამ არასწორი შეხედულების კრიტიკა მოცემულია ა. კაედანის რეცენზიაში დ. ანგელოვის ნაშრომზე: Феодализмът в Византия. Исторически преград, III (1946—1947), кн. 2 («Византийский временник», III, 1950, გვ. 279 და შემდ.).

[39] История Византии, II, 1967, გვ. 152.

[40] იქვე, გვ. 154.

[41] იქვე, გვ. 187.

საერთოდ, როგორც ფეოდალური ურთიერთობის აღმავლობის ხანა, XI—XII საუკუნეებში იზრდება პროვინციული ქალაქები ბიზანტიაში, ჩნდება ქალაქის დამოუკიდებლობის გაფორმების ელემენტები: ყალიბდება საბჭოები, „მოქალაქეთა“ საკრებულოები და შეიარაღებული რაზმებიც. XI საუკუნის დამლევს ... წარჩინებული „მოქალაქისაგან“ შემდგარი საბჭო ... მოვლენების შედეგად იზრდებოდა მოქალაქეთა მოძრაობა ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ იგი უშედეგოდ მთავრდებოდა და გამოყენებული იყო მხოლოდ ფეოდალური არისტოკრატიის მიერ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.[43]

ამრიგად, ბიზანტიის ქალაქების მდგომარეობა ვერ აძლევდა ანისის მოქალაქეებს იმის მაგალითს, რომ მათ ბიზანტიის ბატონობის, ანისის სამეფოს ბიზანტიის მიერ დაპყრობის სურვილი გამოეთქვათ. მათთვის არც ბიზანტიის ბატონობის ქვეშ ყოფნა იყო ხელსაყრელი და არც ბიზანტიის მომხრე ზოგიერთი სომეხი მსხვილი ნახარარის მიზნების განხორციელება. ბიზანტიის ქალაქების მაგალითი მხოლოდ ზოგიერთ სომეხ დიდვაჭარს აძლევდა საფუძველს ბიზანტიის ორიენტაცია აეღო.

სამეფო ხელისუფალთა მიერ საქალაქო თვითმმართველობის განვითარების ხელისშემშლელ ღონისძიებებს XI საუკუნის საქართველოსა და სომხეთში, თუ არ ვცდებით, ვერ ვხედავთ. ანისს უხუცესთა საბჭოს სახით თავისი თვითმმართველობა გააჩნდა, რომელიც სომხეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეულ როლს ასრულებდა, მან საქართველოს მეფის ხელისუფლებისადმი ანისის გადაცემის საკითხი გადაწყვიტა. იგივე უნდა ითქვას ქ. თბილისის „მოქალაქეთა“ მიერ არჩეულ უხუცესთა საბჭოს წევრების მიმართაც, რომლებმაც ბაგრატ IV რამდენჯერმე მიიწვიეს თბილისში და ქალაქი გადასცეს.

მოსპო რა საქალაქო თვითმმართველობა, ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებამ ხელუხლებლად დატოვა საკორპორაციო ანუ ამქრული ორგანიზაციები, როგორც არა საშიში დაწესებულებები, რომელთაც გარკვეული სამსახურის გაწევა შეეძლოთ საიმპერიო ხელისუფლებისათვის. მაგრამ კორპორაციისა და მისი თითოეული წევრის მოქმედება მტკიცედ იყო შეზღუდულ-განსაზღვრული „ეპა-

---

[42] История Византии, II, 1967, გვ. 257—258.

[43] იქვე, გვ. 258.

რქის წიგნის“ მიხედვით, მათ თავისუფალი მოქმედების საშუალება არ ჰქონდათ. მეფის ხელისუფლების მიერ დანიშნული ეპარქისა და მისი მოხელეების მიერ განსაზღვრული და შემოღებული რეჟიმის დამრღვევნი მკაცრად ისჯებოდნენ.

კორპორაციებზე ფართოდ იყო გავრცელებული ბიზანტიის ყოველგვარი ბეგარა. კორპორაციისა და მისი წევრის ბეგარის ხასიათი და რაოდენობა მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ისაზღვრებოდა. „ეპარქის წიგნის“ მიხედვით, როგორც კონსტანტინეპოლის, ისე პროვინციის ვაჭართათვის მრავალი შემზღუდველი კანონი არსებობდა, «Наказание плетьми и конфискация имущества ожидали провинциального торговца, если он пробудет в столице дольше трех месяцев»[44].

ვაჭარ-მრეწველობის ეკონომიური შევიწროების გზით დაგროვილმა სიმდიდრემ კიდევ უფრო შეუწყო ხელი ცენტრისა და პროვინციის მოხელე ფეოდალებს უდიდესი მიწები შეეძინათ წვრილი გლეხური მეურნეობის მიტაცების ხარჯზე. „რამდენადაც ამის გაძოანგარიშება შესაძლებელია, — წერდა XX საუკუნის დამდეგს ფრანგი მკვლევარი,—XI საუკუნეში, მარტო ქ. კონსტანტინეპოლიდან იმპერატორების სალაროში ყოველწლიურად შედიოდა 8,300,000 ოქროთი (plus de 550 million... d'aujourd'hui)“[45].

მოქალაქეთა ზედაფენას, რომელსაც მმართველობის ყოველგვარი უფლებები ჩამოართვა სახელმწიფომ, მეფის ხელისუფლების სურვილების მხოლოდ საზეიმოდ მოწონების უფლებები ჰქონდა შერჩენილი.[46]

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ 1042 წელს მიხეილ ხალაფატის ტახტიდან ჩამოგდებაში კონსტანტინეპოლის ფართო მასებმა საგრძნობი როლი შეასრულეს. ქალაქის ეპარხის ანასტასის მოწოდებამ, დაეწყნარებია ხალხი, შედეგი ვერ გამოიღო და სხვა უკმაყოფილო ძალების მონაწილეობით მიხეილ ხალაფატი ტახტიდან ჩამოაგდეს.

აკად. ი. მანანდიანის განმარტებით, ჩვენთვის საინტერესო დროის სომხეთის ქალაქებიც მეფისა ან დიდი ფეოდალების კუთვნილებას წარმოადგენდნენ და «управлялись они... сеньераль-

---

[44] М. В. Левченко, გვ. 149; შდრ. Charles Diehl, Études byzantines, გვ. 142—143.

[45] Charles Diehl, Études byzantines, გვ. 125.

[46] Византийская книга Эпарха. Вступительная статья, перевод, комментарии М. Я. Сюзюмова, Москва, 1962, გვ. 9.

ным режимом, должностными лицами, назначаемыми владетелями их, Багратидскими царями и другими крупными сеньерами»[47].

მაგრამ როგორც მაშინდელი საქართველოს, ისე სომხეთის ბინა-სოციალურ ძალთა ურთიერთგანწყობილება და [illegible] ლება მეფის ხელისუფლებას ქალაქის შემავიწროებ[illegible] ტიკის წარმოების საშუალებას არ აძლევდა და, ბიზანტიის ქალაქებთან შედარებით, სომხეთის ქალაქების მოსახლეობა თავს თავისუფლად გრძნობდა. სწორედ ამის შედეგად, როგორც ნათქვამი იყო, «с начала XI в. в Ани имелось самоуправление, которое возглавлялось «ерицами» — советом городских старейшин»[48].

წყაროების ღრმა ანალიზმა აკად. ნ. მარს უფლება მისცა ეთქვა, რომ ქ. ანისში «слагалась быть может, и сложилась самостоятельная городская жизнь с городскими старейшинами во главе и с законодательною в пределах города»[49].

ამრიგად, როგორც საქართველოს, ისე სომხეთის ქალაქების ძირითადი მოსახლეობისათვის ამ ეტაპზე საკუთარი მეფის ხელისუფლების გაძლიერება და მისი მფარველობის ქვეშ ყოფნა ხელსაყრელი და საჭირო იყო. ხოლო ბიზანტიისა და მისი მოკავშირე, სეპარატისტულად განწყობილი ფეოდალების გამარჯვება საზიანო და მიუღებელი იყო.

საქართველოს მეფის ხელისუფლებისათვის ანისის გადაცემის შემდეგ, როგორც წყაროებიდან ჩანს, ბაგრატ IV იქ მმართველად თავისი წარმომადგენლები დაუნიშნავს. ამ გარემოებას, გასაგებია, ბიზანტიის ხელისუფლება ვერ შეურიგდებოდა და ის ყოველგვარ ღონისძიებას იხმარდა ანისიდან საქართველოს მომხრე ძალების გასადევნად.

სამწუხაროდ, ქართველი მემატიანის ნაშრომში, და არც სხვა წყაროში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდა მდგომარეობა ანისში, რა გააკეთეს, როგორც მოკავშირეებმა, ბაგრატმა და ვესტმა, რა ბრძოლები ჩაატარეს ანისის „მოქალაქეებთან“ ერთად ბიზანტიის წინააღმდეგ და სხვ.

ისე როგორც საქართველოში, ანისში საქართველოს მომხრე ძალების დამარცხებისათვის ბრძოლის ხელმძღვანელობას ლიპა-

---

[47] О торговле и городах Армении, გვ. 164.

[48] История армянского народа, I, 1951, გვ. 142.

[49] Н. Я. Марр, Ани, 1939, გვ. 65. შდრ. შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 17.

პოლიტიკურად გაერთიანება. მაგრამ მარტო ამით როდი იყო დაინტერესებული თბილისის მოსახლეობა და მისი თვითმმართველობა, როდესაც ბაგრატს თბილისში ეპატიჟებოდნენ: აქ იგივე ფაქტორი მოქმედებდა, რამაც ანისის „მოქალაქეთაგან" ამ ქალაქის ბაგრატ მეოთხისათვის გადაცემა გამოიწვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარჩაკეტილი თბილისის საამიროს არსებობა სრულებითაც არ იყო ახლა ხელსაყრელი თბილისის ვაჭრისა თუ ხელოსნისათვის და, სულ ერთი იყო ქართველი იქნებოდა ის თუ არა, ერთიან საქართველოს სამეფოსთან თბილისის გაერთიანებით თავის სასარგებლო მოვლენას ხედავდა. ეს იყო ქვეყნის ეკონომიური აღმავლობის, საქალაქო ცხოვრების განვითარების, „მოქალაქეთა" პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლისა და ფეოდალური კარჩაკეტილობის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაჩინო ანარეკლი და გამოვლინება. მსგავსად ანისელებისა თბილისელები უკეთეს მფარველს ეძებდნენ.

აღნიშნული მოვლენის მთელი არსის განხილვა-წარმოჩენა ახლა ჩვენს მიზანს არ შეადგენს, მაგრამ რამდენადაც ბიზანტია-საქართველოს შორის ხანგრძლივი ბრძოლა საქართველოსა და სომხეთში შინასოციალურსა და კლასობრივ ბრძოლაშიც გადაიზარდა, ამ საკითხზე ზოგადი მსჯელობა აქ საჭიროდ მივიჩნიეთ.

§ 12. ბიზანტიის აგრესიის გაძლიერება და საქართველოს მომხრეთა დამარცხება

გაგიკ II, რომელმაც იმპერატორს უარი უთხრა ანისის სამეფოს გადაცემაზე, ჯერ თავისუფლება აღუკვეცეს, ხოლო შემდეგ სულ მალე ერთ-ერთ კუნძულზე გადაასახლეს. როცა ანისელებმა თავისი გაიტანეს და მტერი უკუაგდეს, საკეისროს აგენტებმა სომხეთში გააძლიერეს მოქმედება.

სარგის ვესტი, პეტროს კათალიკოსი და მათი მომხრე ნახარარები იქამდეც კი მივიდნენ, რომ კეისარს ყალბი წერილი გაუგზავნეს ანისის უხუცესთა საბჭოს წევრებისა და სომხეთის წარჩინებულთა სახელით იმის შესახებ, რომ თითქოს უკანასკნელნი მომხრე არიან გადასცენ კეისარს ქ. ანისი და შირაკის[61] მთელი

---

[61] ანისის სამეფო იგივე შირაკის სამეფოა.

მხარე. ამასთანავე წერილთან ერთად ბიზანტიის მბრძანებელს ქ. ანისის ორმოცი გასაღები გაუგზავნეს[62].

როცა კეისარმა წერილი და ქალაქის ორმოცი გასაღები მიიღო, დაუყოვნებლივ გამოიძახა გაგიკი, რათა ფაქტის წინაშე დააყენებინა ის და დაეთანხმებინა ანისის გადაცემაზე. [illegible] ლად კატეგორიული უარი განუცხადა გაგიკმა კეისარს, მაგრამ შემდეგ გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი დაეთანხმა კონსტანტინე მონომახს და თავისი სამეფოს ნაცვლად კაპადოკიაში ქ. პიზა და მისი მიმდგომი რაიონები მიიღო[63].

ბიზანტიის მთავრობა ფიქრობდა, რომ ამის შემდეგ ანისში მას წინ აღარავინ აღუდგებოდა. მაგრამ როგორც კი ამ ამბებმა ქ. ანისამდე მიაღწია, ქალაქის მოსახლეობამ დაუყოვნებლივ მოჰკიდა ხელი იარაღს. ბიზანტიის მთავრობამ 1045 წელს მეოთხეჯერ გამოგზავნა დიდი ლაშქარი ანისის დასაპყრობად[64]. მწვავე ბრძოლა გაიმართა ქალაქის მისადგომებთან, მაგრამ შინაგამცემლობამ საკითხი ბიზანტიის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

როცა ანისის ბედი წყდებოდა, დამპყრობთა და თავდამცველთა შორის ბრძოლა უმაღლეს მწვერვალზე ადიოდა და ბრძოლის სასწორი უკანასკნელის სასარგებლოდ იხრებოდა, სომეხ ნახარარებთან ერთად საქართველოს რეაქციული ძალების მეთაური ლიპარიტ ლიპარიტის ძეც მიეშველა ბიზანტიას. „ქართლის მატიანის“ ავტორის გადმოცემით, როდესაც საქართველოს ჩელისუფლებამ ბიზანტიის წინააღმდეგ მიმართული გარკვეული ღონისძიებანი ჩაატარა და თბილისის განთავისუფლებისათვის იბრძოდა, „კუალად იწყო ლიპარიტ მათვე ფიცხელთა საურავთა და გამოიტყუენა ანისით დედოფლისაგან აბუსერი, ერისთავი არტანუჯისა, და ხიხათა და ციხის-ჯუარისა და აწყურის ციხის პატრონი, და ივანე ერისთავი, ივანე დადიანი და გუარამ გოდერძის ძე, ბეჭის ციხისა პატრონი, — და შეიპყრნა იგინი ანისის კარსა“[65].

ასე მოკლედ მოგვითხრობს ქართველი მემატიანე ლიპარიტის მოქმედებასა და ანისში მყოფი ქართველი მმართველების დამარცხებასა და დატყვევებას. ის სიტყვას აღარ აგრძელებს იმის შესახებ, თუ რა მოხდა ამის შემდეგ ანისში. გამოდის, რომ აბუსერისა და მისი თანამებრძოლების შეპყრობით დამთავრდა თითქოს ყველაფერი,

---

[62] История армянского народа, I, 1944, გვ. 156.

[63] იქვე.

[64] Պատմութիւն Արիստակեայ վարդապետի Լաստիվերցւոյ, გვ. 55.

[65] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 300.

ანდა ეს იყო ბიზანტიის გამარჯვებისა და სომეხ-ქართველთა დამარცხების გადამწყვეტი ფაქტორი. საქართველოს მეფის ხელისუფლების მიერ ანისის მმართველად ქართველი ფეოდალების დანიშვნა ხომ ანისის მკვიდრთა მოთხოვნით მოხდა. საქართველოს მომხრე ძალები თავის სურვილებს უბრძოლველად არ [illegible], სამწუხაროდ, მარტო ლიპარიტი როდი მოქმედებდა ბიზანტიის სასარგებლოდ. ქალაქში მყოფმა კეისრის აგენტებმა მტერს შიგნიდან გაუღეს კარები. სისხლისმღვრელი ბრძოლა ქალაქის ქუჩებში გაგრძელდა და გამარჯვება საბოლოოდ მაინც მტერს ხვდა[66].

ამრიგად, ანისის მოსახლეობის დამარცხებაში ძირითადი ბრალი იმ სომეხ ნახარარებს მიუძღვით, რომლებიც ბიზანტიის დამხმარის როლში გამოდიოდნენ და მტერა კარები შიგნიდან გაუღეს. მაგრამ არ შეიძლება იმის უარყოფაც, რომ ლიპარიტის მოქმედებას, როცა მან დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ანელების მომხრე ქართველი ფეოდალები მოტყუებით შეიპყრო, დიდი უარყოფითი მორალური გავლენა უნდა მოეხდინა სამშობლოს პატრიოტ ანისელებზე.

როგორც დავინახეთ, ანისში მოქმედ პოლიტიკურ დასებს შორის ბრძოლის დროს პირველად სასწორი საქართველოს მომხრეთა სასარგებლოდ გადაიხარა, ბიზანტიის მოწინააღმდეგე ძალებმა დროებით თავისი გაიტანეს და ანისი საქართველოს მეფის ხელისუფლებას გადასცეს. მაგრამ შემდეგ სომეხ და ქართველ რეაქციონერთა უფრო აქტიურად გამოსვლამ მტრის მხარეზე და, აგრეთვე, ბიზანტიის მიერ ბრძოლის გაძლიერებამ საკითხი საკეისროს სასარგებლოდ გადაწყვიტა. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ანისში მოქმედი პოლიტიკური ორიენტაციის მქონე დასებიდან საქართველოს მომხრე დასი სხვაზე უფრო ძლიერი იყო და მისი დამარცხება ბიზანტიის აგრესიული ძალების, სამშობლოს გამცემ სომეხ ფეოდალებისა და საქართველოს რეაქციული ძალების ურთიერთაქტიურ დახმარებას შეეძლო მხოლოდ განეპირობებინა.

საერთოდ ანისის სამეფოსა, და, კერძოდ, ქ. ანისის ხელთგდება უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური შენაძენი იყო ბიზანტიისათვის. ქ. ანისი, რომელიც მნიშვნელოვან სატრანზიტო გზაზე აღმოცენდა და სწრაფად დაწინაურდა, XI საუკუნის პირველ ნახევარში ერმრავალი და უდიდესი სავაჭრო ცენტრი იყო. ამავე საუკუნის

---

[66] История армянского народа, I, 1944, გვ. 156.

სომეხი ისტორიკოსი, არისტარქე ლასტივერტელი ანისს „მსოფლიოში ცნობილ“ ქალაქს უწოდებს[67].

XI საუკუნის ქ. ანისზე ისტორიკოსის ასეთი შეხედულება ამ ქალაქის მაშინდელ ფაქტიურ მდგომარეობას სავსებით შეეფერება: «К концу X в. Ани являлся самим крупным городом Армении и одним из крупнейших городов Востока. В Ани насчитывалось до 10 тысяч жилых домов и около 100 тысяч жителей»[68]. ეს ქალაქი «в отношении торговли и промышленности пользовался значением мирового города»[69]. ქ. ანისს და მასზე გამავალ გზას ბიზანტიის საგაჭრო ინტერესებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ საკეისროს მმართველ წრეებს ანისისაკენ ეს გარემოებაც იზიდავდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თბილისის მცხოვრებლებმა ბაგრატ IV ზეიმით მიიღეს და ამირას სასახლე და ციხეები მეფეს ჩააბარეს, მაგრამ ბიზანტიისა და მისი მომხრეების მიერ ბრძოლის გაძლიერებამ ვითარება აგრესორის სასარგებლოდ შესცვალა. საქართველოს მეფის ხელისუფლებისათვის თბილისის გადაცემის მომხრე „მოქალაქეთა“ ძირითადი მასა უნდა ყოფილიყო, ხოლო ამ საქმის განხორციელების მოთავენი „მოქალაქეთა“ ზედაფენის წარმომადგენლები — „ბერნი ტფილელნი“ იყვნენ, რომლებშიც ჩვენ ქ. თბილისის „მოქალაქეთა“ თვითმმართველობის წევრებს ვგულისხმობთ. მაგრამ ისინი ყველაფრისა და ყოვლის შემძლენი როდი იყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ დიდ-ვაჭრები დიდი „პატივითა და გავლენით სარგებლობდნენ ძველ თბილისში, ისინი ქალაქში მოსახლე დიდებულთა წრეში მაინც არ ივარაუდებოდნენ და მხოლოდ მოქალაქეთა ზედაფენას ქმნიდნენ“[70]. თუმცა მომდევნო საუკუნეებისათვის მრავალი მაგალითი ვიცით იმისა, რომ საქართველოში „მოქალაქეთა მაღალი, გავლენიანი. ე. წ. საპატიო ფენა, ურტაღის წევრთა — დიდ-ვაჭართა სახით, ფეოდალურ არისტოკრატიასთან მჭიდრო ეკონომიური და ხან პოლიტიკური ურთიერთობის წყალობით, თანდათან იძენდა ყოველივე იმას, რაც უზრუნველყოფდა მის

---

[67] Я. А. Манандян, О торговле и городах Армении, გვ. 145. შდრ. Н. Я. Марр, Ани, 1939, გვ. 48.

[68] История армянского народа, I, 1951, გვ. 141.

[69] К. Костанянц, История Армении, გვ. 61.

[70] დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, თბილისის ისტორია, 1952, გვ. 179.

თანდათანობით გადასვლას ფეოდალური არისტოკრატიის რიგებში"[71].

ფეოდალური არისტოკრატიისათვის დამახასიათებელი ყოველგვარი თვისების შემძენი და პოლიტიკურად დაწინაურებული, იდეოლოგიურადაც ფეოდალური არისტოკრატიის ინტერესების მატარებელი ძალებიდან ... ლებოდა გადაქცეულიყო და მასთან ერთად იბრძოდა მსხვილ ფეოდალთა გაძლიერების ყოველგვარი ხელისშემშლელი მოვლენის წინააღმდეგ. მაგრამ ამას დიდ-ვაჭართაგან მხოლოდ ზოგიერთი აღწევდა და საერთოდ კი მოქალაქეთა და მისი ზედა ფენის ინტერესები ყოველთვის შეუთავსებელი იყო ფეოდალური არისტოკრატიის ინტერესებთან.

როდესაც ბაგრატს „ბერნი ტფილელნი" და ქალაქის მოსახლეობის ფართო ფენები ზეიმით შეხვდნენ, თბილისში შეიყვანეს, „მოართვნეს კლიტენი ქალაქისანი", ამირას სასახლე ჩააბარეს და მეფემ „აიღო ციხე ქალაქისა", „ისნელთა ჩააგდეს ჯიდი და არა მოსცეს ისნი"[72]. ვის გულისხმობს აქ მემატიანე „ისნელთა" სახით, რომლებმაც ხიდი ჩააგდეს და ისნის ციხიდან მეფის ხელისუფლებასა და მის მომხრეებს ბრძოლა გაუმართეს? აქ სამხედრო ფეოდალური არისტოკრატია უნდა იგულისხმებოდეს და იქნებ ეს იყო უცხო ძალა, ვინაიდან „მტკვრის მარცხენა ნაწილის სიმაგრეებში, უმთავრესად, მაჰმადიანური სამხედრო ფეოდალური არისტოკრატია ბატონობდა"[73], რომელთანაც საერთო ენის გამონახვა, ამ შემთხვევაში, ზოგიერთი ქართველი ფეოდალის მიერაც სრულიად შესაძლებელი იყო. ისანში „იყო თავმოყრილი მეფის მოწინააღმდეგე" ძალები[74].

სამეფო ლაშქარმა და მეფის მომხრეებმა თბილისში ბრძოლა გააგრძელეს, „დაუდგეს ფილაკავანნი და ბრძოდეს ისნსა"[75]. სწორედ იმ დროს მიიღეს ცნობა ბაგრატმა და მისმა მომხრეებმა ლიპარიტის მიერ ანისის ქართველი მმართველების შეპყრობის შესახებ, როდე-

---

[71] შ. მ ე ს ხ ი ა, საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 95.

[72] „ქართლის მატიანე", ქართლის ცხოვრება, I, გვ. 299—300.

[73] შ. მ ე ს ხ ი ა, დიდგორის ბრძოლა, გვ. 43.

[74] შ. მ ე ს ხ ი ა, დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, მ. დ უ მ ბ ა ძ ე, ა. ს უ ლ გ უ ლ ა ძ ე, თბილისის ისტორია, თბილისი, 1958, გვ. 39.

[75] „ქართლის მატიანე", ქართლის ცხოვრება, I, გვ. 300.

საც ისნის ციხის ასაღებად იბრძოდნენ. ეს ცნობა არ ნიშნავდა იმას, რომ ანისში მოქმედი საქართველოს მომხრე ძალები უკვე ამით დამარცხდნენ. მემატიანის სიტყვები იმის შესახებ, რომ ლიპარიტმა „გამოიტყუვნა ანისით“ ქართველი ფეოდალები და შეიპყრო, ... ხმობს იმას, რომ საქართველოს მომხრე ძალები ანისში ... უკვე დამარცხებული იყვნენ. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ რაღად ჭირდებოდა ლიპარიტს ქართველი ფეოდალების „გამოტყუება“ ან გამოყვანა „ანისის კარს“ და ამ გზით მათი შეპყრობა? მას შეეძლო ისინი ქალაქ ანისში დაეკავებინა. ჩანს, კიდევ იბრძოდნენ ანისში ბიზანტიის მოწინააღმდეგე ძალები, მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, მალე მარცხდებიან ისინი, რაზედაც ლიპარიტის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებსა და ანისში მყოფ ქართველი მოხელეების დაპატიმრებასაც, როგორც აღვნიშნეთ, არ შეიძლებოდა სათანადო გავლენა არ მოეხდინა. ბიზანტიისა და მისი მოკავშირეების საქართველოს მომხრე ძალებზე გამარჯვებამ ანისში არა მარტო ანისი დაიკარგვინა საქართველოს მეფის ხელისუფლებას, არამედ ხელი ააღებინა უკანასკნელს თბილისზე, ანაკოფიასა და ალბათ ხუფათზედაც.

„ანისის კარს“ მომხდარი ამბის გაგებისთანავე „დააგდო ტფილისი მეფემან და გავიდა ჯავახეთს“[76]. თბილისის მიტოვება და ჯავახეთში გადასვლა იმიტომ დასჭირდა საქართველოს მეფესა და მის ხელისუფლებას, რომ, ჩანს, ბიზანტია და მისი მოკავშირე ქართველი ფეოდალი ლიპარიტი ანისში მოპოვებული გამარჯვებით არ დაკმაყოფილდნენ, მათ საქართველოში შემოჭრა განიზრახეს და ამიტომ იყო, რომ ბაგრატი ჯავახეთში გადავიდა, მტერი ამ გზით უნდა მოსულიყო.

მართლაც, ამიერიდან საქართველოს ტერიტორიაზე განახლდება ბრძოლა მოპირდაპირეთა შორის და ის ხანგრძლივსა და მწვავე ხასიათს მიიღებს. მაგრამ სანამ ამ საკითხის მოთხრობას გავაგრძელებდეთ, საჭიროა დავადგინოთ დრო და თარიღი იმისა, თუ როდის წარმოებდა ანისისათვის ბრძოლა ბიზანტია-საქართველოსა და მათ მომხრე დასებს შორის, ან რამდენ ხანს მართავდნენ ანისს საქართველოს მეფის ხელისუფლების მიერ დანიშნული პირები?

ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ლიპარიტის მიერ მოწყობილი პირველი აჯანყების დროს, ერთი მხრივ, ბერძნებსა და ლიპარიტს, ხოლო მეორე მხრივ, ბაგრატს შორის 1044—1045 წწ. მიჯნაზე მოხდა დაზავება. და წერდა: „თუ გავიხსენებთ, რომ 1044—1045 წწ.,

---

[76] „ქართლის მატიანე“, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 300.

როდესაც ბაგრატი და ლიპარიტი შერიგდნენ „არე ზამთრისა მოწევნილ იყო“.., ხოლო როდესაც ბაგრატს ანისი შეაძლებინა, რომ იმ დროს 1045 წ. იყო, მაშინ ირკვევა, რომ ანაკოფიის ციხის გარეშოცვა და „მიწურვა ასაღებად“ 1046 წლის გაზაფხულამდე უნდა მომხდარიყო“[77].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თ. უსპენსკიც ივ. ჯავახიშვილის მოსაზრების მსგავს განმარტებას იძლევა. იგი წერს: «Византия постепенно крепляла свое влияние в Армении и, при Константине Мономахе в 1046 г. сделано было последнее приобретение... от царя Гагика II, уступившего империи свою столицу Ани и царство анийских Багратидов и получившего за это несколько городов в соседней феме»[78].

თუ ივ. ჯავახიშვილისა და თ. უსპენსკის განმარტებებს გავიზიარებთ, მაშინ იგულისხმება, რომ ბაგრატის მიერ დანიშნული პირები თითქოს 1046 წლის მეორე ნახევრამდე მართავდნენ ანისს.

„ქართლის მატიანის“ ავტორის მიერ მოვლენების თანმიმდევრულად გადმოცემას და იმის ჩვენებას, თუ წლის დროის რომელ მონაკვეთში მოხდა ანაკოფიის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დაწყება, იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ საქართველოს მეფის ხელისუფლებისათვის ანისის გადაცემა, ქართველების მიერ ანაკოფიის გასათავისუფლებლად ბრძოლის დაწყება, თბილისში ბაგრატის მოწვევა და ქართველი მოხელეების ანისიდან განდევნა ერთი წლის განმავლობაში, კერძოდ, 1044 წლის დასასრულიდან 1045 წლის დასასრულამდე უნდა მომხდარიყო. ყველა ეს ამბავი მემატიანეს ისე აქვს მოთხრობილი, რომ ცალკეულ მოვლენებს შორის დროის დიდი მანძილი არ უნდა ყოფილიყო.

ამბავს იმის შესახებ, რომ ბაგრატს ანელებმა ანისი გადასცეს, უშუალოდ მოსდევს მემატიანის სიტყვები: „იყო ჟამი ზაფხულისა და ბაგრატ აფხაზეთს იყო. მოადგა ანაკოფიას და მისწურა წასაღებელად“. სწორედ ამ დროს ბაგრატთან „მოვიდეს ტფილელნი ბერ-

---

[77] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 142.

[78] Ф. И. У с п е н с к и й, История Византийской империи, т. III, 1948, გვ. 84. როგორც უსპენსკის შრომის გამომცემელთა შენიშვნაშიც (გვ. 84) არის აღნიშნული, ბიზანტიელთა მიერ უკანასკნელი შენაძენი სომხეთში ანისი არ იყო. მათ უკანასკნელად, 1065 წ., ვანანდის სამეფო და მისი დედაქალაქი ყარსი (კარი) დაიპყრეს, რომელიც მალე ბიზანტიელებს თურქ-სელჩუკებმა წაართვეს.

ნი", მეფე თბილისში მოიწვიეს და ქალაქი გადასცეს. ამის შემდეგ კი, „ვითარ ამას შინა გარდაჴდეს დღენი ზაფხულისანი... ჴელად იწყო ლიპარიტ მათვე ფიცხელთა საურავთა, და გამოიტყუვნა ანისით" საქართველოს მეფის ხელისუფლების მიერ ამ ქალაქის მმართველად დანიშნული ქართველი ფეოდალები და „შეეყარნა ერეკი ანისის კარსა". აქ ზაფხულის დღეების გასვლაზეა საუბარი და არა წლის.

ამრიგად, თუ მემატიანის ზემოაღნიშნულ ნაამბობს ჩავუკვირდებით, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ანაკოფიის ციხის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დაწყება და თბილისში ბაგრატის მიწვევა ერთი და იგივე წლის ზაფხულში მომხდარა, ხოლო ამავე წელს, ზაფხულის გასვლის შემდეგ, ბიზანტიას ლიპარიტის დახმარებით ანისში საქართველოს მომხრე ძალები დაუმარცხებია[79]. ამ მოსაზრებას ეთანხმება აგრეთვე სომხური წყაროებიც, რომელთა საფუძველზე ს. ერემიანი წერს: «В 1045 году все Анийское царство было присоединено к Византийской империи»[80]. ეს იმას ნიშნავს, რომ ბაგრატის მომხრე ძალები ანისში 1045 წელსვე დამარცხებულან.

ჩვენს მოსაზრებას მხარს უჭერს ანაკოფიის ბერძნული წარწერებიც, სადაც ნათქვამია, რომ ბიზანტიის წარმომადგენლებმა ვინმე პროტოსპათარიოსმა ევგენიმ და ტაქსიარხმა კასის სარდალმა თეოდორე ბიალანტმა 1046 წლის თებერვლისა და მარტის თვეებში ანაკოფიის ციხე თუ სხვა ნაგებობანი შეაკეთეს[81]. თ. ყაუხჩიშვილი, რომელმაც ეს წარწერები გამოაქვეყნა, ფიქრობს, რომ ანაკოფიის ნაგებობათა შეკეთება საჭირო იქნებოდა „ალბათ მას შემდეგ, რაც ბაგრატ მეფესთან და მის მიერ დაყენებულ ჯართან ბრძოლის დროს ეს შენობები დაინგრენ"[82].

ამრიგად, თუ „ქართლის მატიანის" ავტორის ცნობას: როცა ბაგრატი „მოადგა ანაკოფიას", მაშინ „იყო ჟამი ზაფხულისა" 1046 წლის ზაფხულად მივიჩნევთ, მაშინ როგორღა გავიგოთ ამ ბრძოლაში დანგრეული თუ დაზიანებული შენობების ამავე წლის გაზაფხუ-

---

[79] ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, სომხეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (ანისის საკითხი XI საუკუნეში), გვ. 82, 83.

[80] История армянского народа, I, 1951, გვ. 152.

[81] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული წარწერები საქართველოში, 1951, გვ. 28.

[82] ი ქ ვ ე.

ლის თვეებში შეკეთება? ანაკოფიისათვის ბრძოლა უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო, ვიდრე ამას ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა.

წყაროები არაფერს გადმოგვცემს, თუ საიდან გაჩნდა „ანისის კარს“ ლიპარიტი, ან რა ძალა ახლდა მას, როდესაც ესოდენ რთული საქმე იკისრა. ის გარემოება, რომ ლიპარიტმა [illegible] ანისიდან „გამოიტყუენა“ თუ „გაიყვანა“, [illegible] მიერ ლიპარიტისადმი ნდობაზე უნდა მიგვითითებდეს. მართლაც, თუ ისინი ახლა ლიპარიტის სახით ბაგრატისა და თავიანთ მტერს ხედავდნენ, როგორ შეიძლებოდა, რომ ასე ადვილად მტრის მახეში გაბმულიყვნენ? აქ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება იჩენს თავს: საქართველოს მეფის ხელისუფლების მიერ ანისში დანიშნულ მოხელეებს იმ შემთხვევაში უნდა შეეხედათ ნდობის თვალით ლიპარიტისათვის, თუ ის საქართველოში იმყოფებოდა და მხარს უჭერდა იმ ღონისძიებების გატარებას, რომლებსაც მეფის ხელისუფლება ბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ ატარებდა. მაგრამ თ. ჟორდანიას აზრით, რომელსაც ჩვენც ვეთანხმებით, ლიპარიტის საქართველოში ყოფნა და აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მოსალოდნელი არ არის და ის ამ დროს ბიზანტიაშია საგულვებელი. თუ ეს ასეა, „ანისის კარს“ ბიზანტიიდან უნდა მისულიყო ლიპარიტი და ქართველ ფეოდალებსაც მისთვის ისე უნდა შეეხედათ, როგორც ბიზანტიის კაცისათვის. ამ შემთხვევაში გაუგებარი რჩება ის, თუ რა დიპლომატიური ხერხი იხმარა ლიპარიტმა, როცა ქართველი ფეოდალები თავის მახეში გაიბა. რა თქმა უნდა, აქ მრავალი მოსაზრების წამოყენება შეიძლება, მაგრამ ცნობების უქონლობის გამო დამაჯერებლად კი არაფრის თქმა არ ხერხდება.

ქვემოთ გავეცნობით, რომ ანისში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ლიპარიტი ბიზანტიის ლაშქრით საქართველოში მოდის და ბრძოლას გაუმართავს ბაგრატის ხელისუფლებას.

§ 13. ბრძოლის განახლება საქართველოს ტერიტორიაზე

ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებისათვის მარტო ანისში გამარჯვება არ იყო საკმარისი. მართალია, როგორც ნათქვამი იყო, ანისისათვის ბრძოლაში საქართველოს დამარცხებას თბილისის, ანაკოფიისა და ხუფათისათვის ბრძოლის შედეგიც უარყოფითად უნდა გადაეჭრა, მაგრამ ეს თავისთავად არ მოხდებოდა და იმდენად განხორციელდებოდა, რამდენადაც, ანისის საკითხის მოგვარების შემ-

დეგ, ბიზანტია საქართველოს მიერ შავი ზღვის სანაპიროებზე წარ-
მოებული შეტევის წინააღმდეგ ზომებს მიიღებდა. ეს გარემოება
ბიზანტიას საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის ჩვეულებრივი მე-
თოდით გაგრძელებას, შინაგანი რეაქციული ძალების გამოყენებით
ბრძოლას უკარნახებდა და ის ასედაც მოიქცა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სწორედ ბიზანტიის ამ განზრახვის წინააღმდეგ უნდა ყოფილ-
ყო მიმართული ბაგრატის ღონისძიება, როდესაც მან თბილისი „და-
აგდო“ და ჯავახეთში გადავიდა. ქართველი მემატიანის გადმოცემით,
ბაგრატის ჯავახეთში გადასვლის „შემდგომად გამოიყვანნა მაწყუ-
ერელმან მესხნი, განძითა ბაგრატისითა, შუელად მეფისა“[83].

ჯავახეთში გადასული მეფე, ალბათ სათანადო ლაშქრით, „დგა
ღრტილას“[84] და მტერს ელოდებოდა. როგორც მოსალოდნელი იყო,
ბიზანტიის მიზნების განხორციელებისათვის აქტიური მებრძოლი,
ლიპარიტიც ჯავახეთში გაჩნდა, რომელმაც „შეკრიბნა კახნი და
მოადგა ფოკათა“[85].

ლიპარიტს, რა თქმა უნდა, მარტო მის მიერ შეკრებილი „კახ-
ნი“ არ ახლდა. აქ მას ბერძენთა გარკვეული ძალაც უნდა მოჰყოლო-
და თან. ამის გარეშე შეუძლებელია ავხსნათ მაწყვერელის უცნაური
მოქმედება: ის „განძითა ბაგრატისითა შუელად მეფისა“ მოსული,
მალე „გამოექცა... მეფესა... და შეეზრახა ლიპარიტს“[86].

მაწყვერელის ეს მოქმედება მისი საკუთარი ინტერესებით უნდა
ყოფილიყო ნაკარნახები და ორიენტაციის შეცვლის გადაწყვეტილე-
ბა მხოლოდ მაშინ უნდა მიეღო მას, თუ ძალთა უპირატესობას და
ბრძოლის მოგების შესაძლებლობას ლიპარიტის მხარეზე დაინახავ-
და. და რომ ეს დაენახა, ლიპარიტს სახეზე უნდა ჰყოლოდა რეალუ-
რი ძალა. ამ ძალას კი არა მარტო „კახნი“ ან ლიპარიტის მომხრე
ქართველები შეადგენდნენ, არამედ ბიზანტიის ლაშქარიც, რომელიც
მას ანისიდან უნდა მოეყვანა საქართველოში. ამასთანავე ტაშირ-
ზორაკერტის მბრძანებელი დავითიც ლიპარიტთან აღმოჩნდება ბაგ-
რატის წინააღმდეგ ამ ბრძოლაში. იგი ისე უნდა ყოფილიყო დაინ-

---

[83] „ქართლის მატიანე“, ქართლის ცხოვრება, I, დასახ. გამოცემა, გვ. 33.

[84] იქვე.

[85] იქვე. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ლიპარიტი ფოკას მოადგა სწორედ სამხრეთიდან. ანისის სამეფოდან წასული ის ფარავნის ტბის სამხრეთ სანაპიროს, ფოკას უნდა მოდგომოდა, ხოლო ბაგრატი ჯავახეთის ჩრდილო რაიონში ბარალეთის ახლოს, ღრტილას იდგა.

[86] იქვე.

ტერესებული მაშინ საქართველოს სამეფო ხელისუფლების დასუ-
ტებით, როგორც „კახნი“. კახელების მოსვლაც ლიპარიტის ბანაკ-
ში იმის შედეგი უნდა იყოს, რომ ისინი ლიპარიტთან ბრძოლის
მოგებისათვის საჭირო რეალურ ძალას ხედავენ.

ლიპარიტის ჯავახეთში მისვლამ და მაწყვეტელისა [illegible]
მტრის მხარეზე მეფე საგონებელში ჩააგდო. ჩანს, მას სათანადო
ძალა არ გააჩნდა ბრძოლის საწარმოებლად. საჭირო იყო ლაშქრის
შესაგროვებლად ზომების მიღება. ამიტომ „ზამთრისა ბუქთა საში-
ნელთა გარდაიარა შავშეთი[87] და ჩავიდა ქართლს“[88]. ლიპარიტმა
კვლავ დემეტრე უფლისწულის გამოყენების გზა-ხერხს მიმართა.
„ქართლის მატიანის“ ავტორის გადმოცემით, ლიპარიტ ლიპარიტის
ძემ „გამოიყვანნა ახლად საბერძნეთით დემეტრე, ძმა ბაგრატ მე-
ფისა. ბერძენთა მეფისა განძი და ლაშქარი შემწე იყო“[89].

ქართველი მემატიანის ნაშრომის ამ უკანასკნელ წინადადებას
არაერთი მკვლევრის ყურადღება მიუქცევია და, ვინც ამ საკითხს
შეხებია, ყველა იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამ ცნობის თანახმად
ლიპარიტმა დემეტრე უფლისწული და ბერძენთა ლაშქარი ერთად
მოიყვანა ბიზანტიიდან. თუმცა, წინადადებიდან: „ბერძენთა მეფისა
განძი და ლაშქარი შემწე იყო“, არ ჩანს უცილობლად ის, რომ
ბერძენთა განძი და ლაშქარი დემეტრეს მოჰყვა, მაგრამ რამდენადაც
დემეტრე შეიარაღებული ამალის გარეშე შეუძლებელია მოსულიყო,
ჩვენც მკვლევართა ამ აზრს ვუერთდებით. მაგრამ ამით არავითარ
შემთხვევაში არ შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ მაწყვერე-
ლისა და დემეტრე უფლისწულის ლიპარიტთან მისვლამდე უკანას-
კნელის ბანაკში ბიზანტიელთა ლაშქარი არ იმყოფებოდა. ანისში
მყოფი ქართველი მოხელეები ლიპარიტმა ტყვედ ჩაიგდო, თბილი-
სიდან გასულ ბაგრატ მეფეს, სამხრეთიდან წამოსული ის გაბედუ-
ლად მიეგება ჯავახეთში, აიძულა კიდეც მეფე ქართლში გამოქცეუ-
ლიყო. ყოველივე ამისათვის გარკვეული ძალა ჭირდებოდა ლიპარიტს
და ეს ძალა თავიდანვე, ანისის კართან მოსვლის დღიდან უნდა ხლე-
ბოდა მას.

---

[87] „ქართლის მატიანის“ ავტორთან ეს სიტყვა დამახინჯებული უნდა
იყოს და აქ ალბათ თავდაპირველად შარვაშეთი იქნებოდა. თუ ბაგრატი ლრტი-
ლადან წამოვიდა, ის შარვაშეთზე გადმოვლით უნდა მოსულიყო ქართლში და
არა შავშეთზე.

[88] „ქართლის მატიანე“, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 300.

[89] ი ქ ვ ე.

ხანგრძლივ ბრძოლაში, რომელსაც ბიზანტია და მისი მოკავშირე ლიპარიტი საქართველოს წინააღმდეგ აწარმოებდნენ, არასოდროს არ ყოფილა შემთხვევა, რომ საქართველოს შინაგანი ძალების უმრავლესობა მტრის მხარეზე ყოფილიყო. XI საუკუნის საქართველოს სოციალურ ძალთა უმრავლესობა ქვეყნის დამოუკიდებლობას და ერთიანობას უჭერდა მხარს. თუ ეს ასე იყო, მაინც რას შეუშინდა ბაგრატი და მისი ხელისუფლება, რომლებმაც თბილისი მიატოვეს და ჯავახეთში გაიქცნენ? უეჭველად ლიპარიტი მარტო არ მოდიოდა სამხრეთიდან, მას სათანადო ძალაც ახლდა, რომლისაც ბაგრატს ეშინოდა. ქართველი მემატიანე დემეტრე უფლისწულის მოსვლის შემდეგ მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ უკანასკნელის მოსვლამ „განხეთქნა ამის სამეფოსა კაცნი: რომელნიმე წარუდგინნა დემეტრეს და რომელნიმე დარჩეს ბაგრატის ერთგულობასა შინა"[90]. რა თქმა უნდა, ლიპარიტს თანამოაზრეები აქამდეც უნდა ჰყოლოდა საქართველოში და ახლა მაწყვერელიც მის ბანაკში გადავიდა. მაგრამ ისინი მაინც უმცირესობას შეადგენდნენ. მათთვის გარეშე ძალის მოშველიება იყო საჭირო.

ორთავე მხარეზე ბრძოლის სამზადისი გაჩაღდა. ამ ამბავთან დაკავშირებით „ქართლის მატიანის" ავტორი შემდეგს მოგვითხრობს: „და იყუნეს თანამდგომ ლიპარიტისსა კახნი ძალითა მათითა, და დავით სომეხთა მეფე (989—1048—ვ. კ.) ძალითა მისითა[91] და განძლიერდა იგი ძალითა მათითა ამას კერძოსა ქართლისასა, და იყო მი-და-მო საურავი ჯელოვნებისა"[92].

მართალია, კახელებისა და ტაშირ-ზორაკერტის მეფის, დავითის ბრძოლაში ფაქტიური მონაწილეობის შესახებ ახლა მემატიანე არაფერს მოგვითხრობს, მაგრამ მისი ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ ისინი ლიპარიტისა და ბიზანტიის მხარეზე მზად არიან ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად.

---

[90] „ქართლის მატიანე", ქართლის ცხოვრება, I, გვ. 300.

[91] ამ დავითს ჩვენ ერთ დროს დავით დვინელად მივიჩნევდით და ერთ-ერთი სტატიის შენიშვნაში ვწერდით: „ბაგრატის წინააღმდეგ ლიპარიტისა და ბერძნების მხარეზე დავით დვინელის გამოსვლა ქ. ანისზე დავის შედეგი უნდა იყოს" (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, 1951, გვ. 258). მაგრამ წყაროებისა და მოვლენების შემდგომმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ დავითის დვინელად მიჩნევა შეცდომა იყო და იგი ტაშირ-ზორაკერტის მეფე დავითია, რომლისთვის საქართველოს მეფის ხელისუფლების გაძლიერება, განსაკუთრებით ბაგრატის მიერ ანისის შემოერთება, ყოვლად მიუღებელი იყო.

[92] „ქართლის მატიანე", ქართლის ცხოვრება, I, გვ. 300—301.

ამ დროს სამი ათასი ვარიაგი[93] გამოჩნდა საქართველოში, რომლის შესახებ „ქართლის მატიანის“ ავტორი, ანასეული ნუსხის მიხედვით, გადმოგვცემს: „და მოვიდეს ვარგნი სამი ათასი ალაი და დააყენა შუას გარე და მოიტანა თანა შვიდასი ალაი, მოვიდა ბაგრატ შიდათ ლაშქრითა და ამათ ვარანგითა, ესენი ერლარა მოილოდინნეს. მივიდეს და შეიბნეს თავსა სასირეთის ჭალისასა, გაიქცა შიდას ლაშქარი. და ომსა ამასვე შეიპყრეს აბუსერი[94] და სხუანიცა დიდებულნი მის თანა; და ვერღარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა (ბრძოლად); მისცნა ლიპარიტ პაშტნი, და წინა მათსა პურსა უკაზმიდეს, და ეგრეთ ლიხი გარდავლეს“[95].

როგორც ვხედავთ, მემატიანის ეს მეტად საინტერესო ცნობა ქართლის ცხოვრების ხელნაწერებში ისე დამახინჯებულად არის წარმოდგენილი, რომ მოვლენისა და მომხდარი ფაქტის ასახსნელად ადამიანს სწორი აზრის გამოტანა არ შეუძლია. „არ ჩანს სასირეთის ჭალისთავს მომხდარ ბრძოლაში მონაწილე ძალების განლაგება, ვერ ირკვევა, თუ ვის მხარეზე იყვნენ ვარანგები ამ ბრძოლაში“[96]. ამიტომ იყო, რომ მემატიანის ნაშრომის ამ ადგილის გაგებისათვის არაერთ მკვლევარს შეუწუხებია თავი, მაგრამ ზოგიერთ მათგანს არასწორად, თავისებურად აუხსნია ის და საკითხზე მცდარი დასკვნა აქვს მოცემული.

ვახუშტი ბაგრატიონს ვარიაგები, უდავოდ, ბაგრატის მხარეზე მოსულად მიუჩნევია და წერდა: „ბაგრატს მოერთნეს სამი ათასი ვარანგნი. მოიყვანა მეფემან შვიდასი მათგანი და შიდა-ქართველნი, გარნა მესხნი ვერღა-რა მოიცადა და ლიპარიტცა მოვიდა კახით და

---

[93] როგორც ეს მკვლევართა მიერ სათანადო ლიტერატურაში არის დამოწმებული, ესენი რუს-ვარიაგები არიან, რომლებიც ხშირად დაქირავებული და ზოგჯერ მოკავშირე ლაშქრის სახით დიდ როლს ასრულებდნენ ბიზანტიაში (იხ. Труды В. Г. Василевского, т. I, 1908).

[94] როგორც გავეცანით, აბუსერი და მისი თანამებრძოლები „ანისის კარს“ შეიპყრო ლიპარიტმა, მაგრამ ვინაიდან უკანასკნელის შვილი ბაგრატს ჰყავდა მძევლად, სასირეთის ჭალისთავს მომხდარი ბრძოლის წინ მძევალი და ტყვე მოპირდაპირეებმა გაცვალეს: „ძე ლიპარიტისი ივანე მძევლად დარჩა ბაგრატის ჯელთა შინა, და ითხოვა იგი ბაგრატისაგან, და ნაცვლად გაუშუა აბუსერი თავის ციხითა მშვდობით“ („ქართლის მატიანე“, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 300).

[95] ქართლის ცხოვრება, ანასეული ნუსხა. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1942, გვ. 187.

[96] კ. გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, ახალი ქართლის ცხოვრება, 1954, გვ. 261—262.

სომეხთა მეფით დავითით[97]. შეიბნეს სასირეთის ჭალასა-შინა, არამედ იძლივნეს ბაგრატისაჲნი და შეიპყრეს კვალად აბუსერი და სხვანი დიდებულნიცა და ვარანგთა ვერღა-რა უყვეს ბრძოლა. მისცა ლიპარიტ პაშტნი, მათ გარდავლეს ეგრეთვე ლიხი"[98].

მარი ბროსეს „ქართლის მატიანის" ის ადგილი, სადაც ... თა მოსვლაზე და ბრძოლაში მონაწილეობაზეა საუბარი, ... „Trois mille Varangues étant venus au secours de Bagrat, il les posta à Bach, en prit seulement sept cents, et s'avança avec les forces du Chida-Karthli, réunies à ces Varangues, sans attendre les Meskhes. L'on se battit à lentrée de la forêt de Sasireth; l'armée du Chida-Karthli tourna le boss... Les Varangues n'ayant pu prendre part au combat, Liparit fit donner des cribles, avec lesquels on prépara du pain, pour leur être présentè, de sorte qu'ils passèrent gaîment le temps"[99], როგორც ვხედავთ, მარი ბროსეც ბაგრატ მეფესთან მოსულად მიიჩნევდა ვარიაგებს და ქართლის მატიანის ზემოთ მოტანილი ტექსტის სისწორეში მას ეეჭვი არ შეპარვია.

ტექსტის სწორად გაგების პირველი ცდა ნიკო მარს ეკუთვნის, ხოლო მისი საბოლოოდ შესწორება და მეცნიერული დადგენა, ჩვენი აზრით, ნ. ბერძენიშვილმა მოგვცა.

ვ. ვასილევსკი, რომელიც ბიზანტიის ლაშქარში მყოფ რუს-ვარიაგებს, გარკვეული მიზნით, საქართველოს მიწა-წყალზე ეძებდა, „ქართლის მატიანის" აღნიშნული ცნობის ბროსეს ფრანგული თარ-

---

[97] ნ. ბერძენიშვილს ჯახელებისა და სომხების ამ ბრძოლაში მონაწილეობა საეჭვოდ მიაჩნდა და წერდა: როდესაც ვახუშტიმ ვარიაგები ბაგრატის მხარეზე დააყენა ლიპარიტი ულაშქროდ დარჩა. ამიტომ სიძნელის გადასალახავად ლიპარიტის მხარეზე ჯახელები და სომხითრები იყარაუდაო (რეცენზია ასე ცინცაძის ნაშრომზე: ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, 1951, გვ. 304).

თუმცა, როგორც აღნიშნული იყო, მემატიანე გარკვევით არ მიუთითებს ჯახელებისა და სომხითართა ბრძოლაში მონაწილეობის შესახებ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ისინი ლიპარიტის მხარეზე იყვნენ და ბრძოლაშიც მონაწილეობდნენ.

[98] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, დ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს გამოცემა, 1885, გვ. 156—157.

[99] Histoire de la Géorgie, I, 1849, გვ. 321. ბროსეს ეს თარგმანი ქართლის ცხოვრების ვახტანგისეული ტექსტის მიხედვით არის შესრულებული. ამიტომ დამახინჯებული ტექსტის შეცდომები თარგმანშიც არის განმეორებული.

გმანის სისწორეში დაეჭვებულა, ხოლო რედაქციას, რომელმაც ვ. ვასილევსკის შრომები გამოსცა, დარწმუნებულს ყოფილა, რომ თვით ვასილევსკისაც ეჭვი ეპარებოდა, თხოვნით მიუმართავს ნ. მარისათვის და უკანასკნელს ეს ადგილი ქართულად [illegible] გმნია: «Пришли Варанги три тысячи человек, [illegible] (Липарит) поставил их в Баше; собою взял (Липарит) семьсот человек, Баграт явился с войском внутренним (с войском из внутренней Карталинии). Варанги (бывшие с Липаритом) не смогли дождаться месхов, пришли, завязали бой (с Багратом) на рубеже Сасиретской долины. Внутреннее (приведенное Багратом из Внутренней Карталинии) войско, бежало»[100].

ნ. ბერძენიშვილმა, რომელმაც ტექსტის დამახინჯებული ადგილი იპოვა, გაასწორა ის და მისი დედნისეული, თავდაპირველი სახე შემდეგნაირად აღადგინა: „და მოვიდეს ვარანგნი სამი ათასი კაცი და დააყენა (ლიპარიტმა — ვ. კ.) ბაშს; გარდმოიტანნა თანა შვიდასი კაცი. და მოვიდა ბაგრატ შიდათ ლაშქრითა, და ამათ ვარანგთა მესხნი ველარა მოილოდინნეს, მივიდეს და შეებნეს თავსა სასირეთის ჭალისასა; გაიქცა შიდა ლაშქარი და ომსა ამასვე შეიპყრეს აბუსერი და სხუანიცა დიდებულნი მისთანა; ვერღარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა, მისცნა ლიპარიტ პაშტნი და წინა მათსა პურსა უკაზმიდეს და ეგრეთ ლიხნი გარდავლეს“[101].

იმის გამო, რომ ტექსტი დამახინჯებული იყო, იმ პირთა უმრავლესობა, ვინც ამ საკითხს შეხებია, ვარიაგებს ბაგრატ მეოთხესთან მოსულად თვლიდა და სასირეთის ჭალისთავს ბრძოლაში ბაგრატთან ერთად ვარიაგებიც დამარცხებულად მიაჩნდა. თუმცა, ტექსტის ზოგიერთი ადგილი და ამ დროს პოლიტიკურ ძალთა განწყობილება იმის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ დამახინჯებული ტექსტისათვის ავტორებს ეჭვის თვალით შეეხედათ.

აქ ჩვენი მიზნისათვის ტექსტისა და მისი შინაარსის სწორად გაგებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობაზე გვაქვს საუბარი, და თუ ვარიაგებს ბაგრატის მხარეზე მოსულად ჩავთვლიდით, მაშინ ბიზანტიის გზით, საიმპერიო ხელისუფლების სურვილით, ამ რუს-ვარიაგთა საქარ-

---

[100] Труды В. Г. Василевского, I, 1908, გვ. 319.

[101] ნ. ბერძენიშვილი, — ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 29, 1951, გვ. 309.

თველოში მოსვლის შესაძლებლობა უნდა გამოგვერიცხა. ხოლო თუ ისინი ლიპარიტის მხარეზე იყვნენ, რაც ტექსტის სწორად გაგების შემდეგ ნათლად ჩანს, მათ ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების ინტერესების დაცვის მიზნით უნდა ემოქმედნათ. ეს ქართველების პოლიტიკურ ვითარებაში სრულიად ბუნებრივი და [illegible] მოვლენა იქნებოდა.

„ქართლის მატიანის" ავტორის ნაშრომის ჩვენთვის საინტერესო ადგილის დამახინჯების შედეგად მრავალი მსჯელობა და გაუგებრობა წარმოიშვა ამ საკითხზე. ვ. ვასილევსკი, რომელიც ამ ტექსტის სისწორეში დაეჭვებულა, ითვალისწინებდა ალბათ იმას, რომ არსებული პოლიტიკური ვითარებისა და ძალთა განწყობილების დროს ბიზანტიიდან ბაგრატთან დამხმარე ლაშქრის მოსვლა მოსალოდნელი არ იყო, ამიტომ ის იმ შესაძლებლობას ხედავდა, რომ თავდაპირველად „ვარიაგების რაზმი ლიპარიტს და დემეტრეს წამოჰყვა („ბერძენთ მეფისა განძი და ლაშქარი შემწე იყო"), მაგრამ რადგან დემეტრე სასირეთის ჭალისთავს მომხდარი ბრძოლის წინ გარდაიცვალა („და ამისა პირველ მომკუდარ იყო ძმა ბაგრატისი დემეტრე"[102])... ვარიაგები ამის შემდეგ ბაგრატის მხარეზე უნდა გადასულიყვნენო"[103].

ჯერ ერთი, აღდგენილ-გასწორებული ტექსტიდან არ ჩანს, რომ ვარიაგები ბაგრატის მხარეზე იბრძოდნენ, მეორეც, ვასილევსკის ეს მოსაზრება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაწყნარებელი, თუ ვარიაგებს დემეტრეს მიერ უშუალოდ, ბიზანტიის გვერდის ავლით, დაქირავებულად ჩავთვლიდით. განა ასეთი შემთხვევა ცოტა ყოფილა ისტორიაში, როცა დამქირავებლის სიკვდილის ან მოკვლის შემდეგ დაქირავებული ლაშქარი მოპირდაპირის მხარეზე გადასულა? მაგრამ აქ ასეთ მოვლენასთან ჩვენ საქმე არ უნდა გვქონდეს იმიტომ, რომ ვარიაგები არც მოსულან ბაგრატთან და არც ბრძოლაში მიუღიათ მონაწილეობა მის მხარეზე.

„ქართლის მატიანის" ზემოთ მოტანილი გასწორებული ტექსტი ნათლად გვიჩვენებს, რომ ვარიაგები ლიპარიტთან მოვიდნენ, მის მხარეზე იბრძოდნენ და ომიც მოიგეს. და თუ ახლა იმ აზრსაც გავიზიარებთ, რომ ისინი ბიზანტიის მმართველი წრეების მინდობილობით მოქმედებდნენ, განა მარტო დემეტრეს ხელის შემყურენი უნდა ყოფილიყვნენ ისინი? ან განა დემეტრეს ინტერესები ამო-

---

[102] „ქართლის მატიანე" ანა დედოფლისეული ნუსხა, გვ. 188.
[103] Труды В. Г. Василевского, I, გვ. 314.

ქმედებდა ბიზანტიას, როდესაც რუს-ვარიაგები გამოგზავნა საქართველოს დასასუსტებლად გამოგზავნილი ვარიაგების მოქმედების განმსაზღვრელი საკეისრო იყო, დემეტრეს გარდაცვალებით სრულებითაც არ შეიძლებოდა შეცვლილიყო ბიზანტიის მიერ გამოგზავნილი ლაშქრის მიზნები. ტახტის [illegible] კვდილით მხოლოდ ფორმალური ბრძოლის საბაბი გამოეცალა ხელიდან ბაგრატის მოწინააღმდეგე ბანაკს, ძალები კი უცვლელი დარჩა, ხოლო რუს-ვარიაგების მოქმედების გეზის მიმცემად ისევ საკეისრო უნდა დარჩენილიყო.

ამ ომში რომ ვარიაგები ლიპარიტის მხარეზე იბრძოდნენ, იმითაც მტკიცდება, რომ ვარიაგთა ღვაწლითა და ბრძოლის შედეგით კმაყოფილმა „მისცნა ლიპარიტ პაშტნი[104] და წინა მათსა პურსა უკაზმიდეს და ეგრეთ ლიხნი გარდავლეს"[105] ვარიაგებმა. განა სურსათისა და მსახურის მიცემით გაუმასპინძლდებოდა ლიპარიტი ვარიაგებს, რომ ისინი ლიპარიტის მოწინააღმდეგე ბანაკში ყოფილიყვნენ? რა თქმა უნდა, არა. საფუძვლიანი დასაბუთება იმისა, რომ ვარიაგები ბაგრატის წინააღმდეგ იბრძოდნენ, დაინტერესებულ პირს ნ. ბერძენიშვილის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში შეუძლია იპოვოს.

3000 რუს-ვარიაგის საქართველოში მოსვლისა და ამის შესახებ „ქართლის მატიანის" ავტორის ნაშრომის ტექსტის სათანადო ადგილის გაგების საკითხს ვრცლად ეხება ი. ცინცაძე. იგი იხილავს ტექსტის ნ. მარისეულ შესწორებას და წერს: „წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ტექსტის მარისეული გაგება შეუძლებელს არაფერს შეიცავს. ვარანგების რაზმი შეიძლებოდა ლიპარიტის მხარეზე ყოფილიყო და მას იგი ბაგრატის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენებინა, ეს სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ჩვენს ხელთ არსებულ მასალებით დასაშვებ შესაძლებლობებს"[106]. შემდეგ

---

104 ამ სიტყვის შესახებ ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, რომ თუ აქ მსახურს ვიგულისხმებდით (պաշտել—სომხურად მსახურებას ნიშნავს), „მაშინ საქმე შემდეგნაირად წარმოგვიდგება. ლიპარიტმა თავის მოკავშირე ვარანგებს მისცა მსახურები, რომელნიც მათ „პურს უკაზმიდეს", ვიდრე გამარჯვებული ვარიაგები ლიხს გარდაივლიდნენ და თავისიანებს დაუბრუნდებოდნენ. ასეთი გაგების წინააღმდეგ არსებითად არაფრის თქმა არ შეიძლება და ის უფრო ბუნებრივად გამოიყურება" (ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 307).

105 „ქართლის მატიანე", ანასეული ნუსხა, გვ. 187.

106 ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI სს.), თბილისი, 1956, გვ. 36.

ვრცელი მსჯელობა აქვს მკვლევარს გამართული ამ საკითხზე, და როგორც ნ. მარისეულ, ისე ნ. ბერძენიშვილისეულ შეხედულებას აღარ ეთანხმება. იგი ანა დედოფლისეული ნუსხის ტექსტს ეძებ-ნობა და წერს: „ჩვენ თავის დროზე და ახლაც იმ აზრს ვიზიარებ, რომ ძირითადი გამოსავალი ჩვენთვის თვით მატიანის ტექსტი არ-ის. ამ ტექსტის ანალიზის საფუძველზე 3000 ვარანგი ბაგრატის მხარეზე აღმოჩნდა ლიპარიტთან ბრძოლის დროსო“[107].

აღნიშნულის შემდეგ ავტორი ნ. ბერძენიშვილთან განაგრძობს დავას და წერს: „ერთადერთი ცოტა თუ ბევრად მისაღები მოსაზ-რება ისევ ის შეიძლება იყოს, რომ ვარანგები არიან ბაგრატის მხარეზე[108] იმთავითვე“.[109]

ვარიაგთა რაზმის საქართველოში მოსვლის საკითხზე მსჯელო-ბის დროს, ბუნებრივია, ყურადღებას იპყრობს ის, თუ საიდან მო-ვიდნენ ისინი ლიპარიტთან. ბიზანტიის ხელისუფლების მიერ მათი გამოგზავნა არ გულისხმობს იმას, რომ ისინი კონსტანტინეპოლიდან არიან მოსული. ბიზანტია-საქართველოს მაშინდელი ურთიერთო-

---

[107] ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI სს.), 1956, გვ. 36.

[108] ერთ-ერთ სტატიაში ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება, რომ რუს-ვარიაგე-ბი ბიზანტიის ხელისუფალთა დავალებით უნდა იყვნენ მოსული საქართველო-ში არა ბაგრატ მეფესთან, რომლის ხელისუფლების დასასუსტებლად იბრ-ძოდა ბიზანტია, არამედ ლიპარიტთან, რომელიც კეისრის ნაცადი აგენტი იყო საქართველოში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, 1951, გვ. 258—261). ი. ცინცაძე არ იზიარებს ჩვენს მოსაზრებას და წერს: „დოც. ვ. კოპალიანი გვთავაზობს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ვარანგე-ბი ლიპარიტს გამოაყოლეს ბერძნებმაო“ (ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთი-ერთობის ისტორიიდან, დასახ. გამოცემა, გვ. 43). ჩვენ არ გამოკვეთქვამს მო-საზრება და არც ახლა ვფიქრობთ, რომ „ვარანგები ლიპარიტს გამოაყოლეს ბერძნებმა“ ისევე, როგორც არ ვიზიარებდი და არც ახლა ვიზიარებ მოსა-ზრებას იმის შესახებ, რომ „ვარანგები არიან ბაგრატის მხარეზე იმთავითვე“. ამ საკითხზე მსჯელობის დასასრულს დასახელებულ სტატიაში ვწერთ: „ჩვე-ნი აზრით, ვარიაგები ბიზანტიიდან ლიპარიტის ბანაკში არიან მოსულნი და... ბრძოლაც მათი დახმარებით მოიგო ლიპარიტმა“ (გვ. 261). აქ არ არის ნა-თქვამი, რომ „ვარანგები ლიპარიტს გამოაყოლეს ბერძნებმა“. ბიზანტიელე-ბის მიერ ანისის აღების შემდეგ რომ ლიპარიტს ბერძენთა ლაშქარი უნდა მოჰყოლოდა საქართველოში, რომელიც სასირეთის ჭალისთავს მომხდარი ბრძოლის წინა ჟამს „შემწე იყო“ ლიპარიტის და, აგრეთვე, როგორც ქვემოთ გავეცნობით, არყის ციხესთან ბრძოლის დროს „თანავე ჰყვეს“ ლიპარიტს, არ შეგვიძლია ვარიაგებად მივიჩნიოთ, ვინაიდან საამისო საბუთი არ გაგვაჩნია. ეს ლაშქარი სხვა არის და 3000 ვარიაგი, ბაშს რომ დააყენეს, სულ სხვა.

[109] ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 42.

ბის მთელი შინაარსი და ზოგიერთი წყარო გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ეს ვარიაგები ბიზანტიის მიერ მიტაცებული საქართველოს რომელიმე მხარეში იმყოფებოდნენ და აქედან მოვიდნენ ლიპარიტის დასახმარებლად. ი. ცინცაძე [illegible] მიუთითებს, რომ „ვარანგები შავი ზღვით არიან [illegible] ველოში“.[110]

ვ. ვასილევსკი ფიქრობდა, რომ კონსტანტინეპოლზე რუსთა თავდასხმის დროს ბიზანტიაში, კერძოდ, კონსტანტინეპოლში, რუსთა ლაშქარი იმყოფებოდა. მაგრამ ამასთანავე აღნიშნავდა, რომ «Как бы ни мало развито было национальное сознание и представление о народном или государственном единстве в те времена среди русских, все-таки, по-видимому, нельзя было вверять на безопасности императора, на охранения империи единоплеменников враждебного народа»[111]. ამიტომ, იმოწმებს რა კედრენეს, მკვლევარი განაგრძობს: რუსები უკვე თავდასხმით დაემუქრნენ კონსტანტინეპოლს. ბიზანტიის მთავრობამ საჭიროდ ჩათვალა დედაქალაქიდან გაიყვანოს როგორც რუსი ვაჭრები, ისე რუსი სამხედრო პირები — „დედაქალაქში მყოფი სკვითები (ე. ი. რუს-ვარიაგები — ვ. კ.), როგორც მოკავშირეები, პროვინციებში იქნენ გაფანტული“[112]. კედრენეს ამ ცნობის დადასტურებას ვასილევსკი პსელოსის ცნობაშიც პოულობს.

ცნობილია, რომ 1047 წლის სექტემბრის თვეში ბიზანტიის კეისარს, კონსტანტინე მონომახს ადრიანეპოლელი დიდი ფეოდალის, ლეონ თორნიკეს მეთაურობით ძლიერი აჯანყება მოუწყვეს. აჯანყებულები დედაქალაქს მიადგნენ და კეისრის ხელისუფლებას უდიდესი საფრთხე შეუქმნეს. ბიზანტიის ხელისუფლების მდგომარეობა განსაკუთრებით იმან დაამძიმა, რომ კონსტანტინეპოლში ამ განსაცდელის დროს იმპერატორის განკარგულებაში საჭირო ლაშქარი აღარ აღმოჩნდა[113]. პსელოსის ცნობით, როცა აჯანყებულთა ძალები დედაქალაქს მიადგნენ, კონსტანტინეპოლში „არც მოკავშირეთა და არც საკუთარი ლაშქარი არ იმყოფებოდა, გარდა მცირერიცხოვანი დაქირავებული რაზმებისა, რომელთა ჩვეულებრივ მოვალეობას მეფის ცერემონიული (სადღესასწაულო) გავლის

---

[110] ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 34.
[111] Труды, I, გვ. 308.
[112] ი ქ ვ ე.
[113] История Византии, II, 1967, გვ. 271—272.

დროს უკან გაყოლა შეადგენდა. რაც შეეხება აღმოსავლეთში მყოფ ლაშქარს, მისი ცალკეული ნაწილები შეკრებილიც არ იყვნენ ერთ რომელიმე ბანაკში, რომ ნიშნის მიცემისთანავე ჩქარა შეგროვილიყვნენ და საფრთხეში მყოფ იმპერატორს დასხმოდნენ. ისინი ერთი ბარბაროსის თავდასხმის მოსაგერიებლად ბერძნეთის ღრმეში გაიგზავნენო".[114]

ბერძნული ტექსტის უკანასკნელი ადგილი რუსულ თარგმანთან ერთად ვასილევსკის ასე აქვს მოტანილი: „Ὁ γέ τοι τῆς ἑῴας στρατὸς..ἐς τὰ βαθύτερα τῆς Ἰβηρίας ἐστρατοπεδεύκεισαν..."[115], რომელიც ასე უნდა ითარგმნებოდეს: „რაც შეეხება აღმოსავლეთით მყოფ ჯარს, მან იბერიის სიღრმეში გაილაშქრა".

ვასილევსკი ყურადღებას აქცევს ამ ცნობას და აღნიშნავს, რომ «Факт этот, указанный прямо всеми источниками, очень естественно может быть поставлен в связь с известным нам удалением из столицы и разсеяние русского или, что то же, варяжского корпуса»[115].

შემდეგ, ვარიაგების საქართველოში მოსვლის მიზეზი ვასილევსკის სურს დაუკავშიროს აღნიშნულ ამბებს და „ქართლის მატიანის" იმ ადგილს აქცევს ყურადღებას, სადაც ნათქვამია: „ლიპარიტ გამოიყვანნა ახლად საბერძნეთით დემეტრე, ძმა ბაგრატ მეფისა, ბერძენთა მეფისა განძი და ლაშქარი შემწე იყო", ხოლო ვინაიდან ვასილევსკის ქართულ წყაროზე ხელი არ მიუწვდებოდა, მას ბროსეს შემდეგი თარგმანით უსარგებლია: „Liparit fit venir de Grèce, une seconde fois, Démétré, frère du roi Bagrat, appuyé des troupes et des trésors de l'empereur".[116] და ეს რუსულად ასე უთარგმნია:" он (ლიპარიტმა — ვ. კ.) вызвал из Греции Димитрия, брата царя Баграта, который пришел (в Грузию), сопровождаемый греческим войском и снабженный греческими деньгами»[117]. ხოლო დემეტრესთან ერთად მოსულად მის მიერ აღიარებული ეს ლაშქარი ზემოთ დასახელებულ ვარიაგებად ჩაუთვლია და წერდა: «Войско, приведенное Димитрием из Греции, и 3000 варягов, пришедших на помощь Баграту (ამ შემთხვევაში ვასილევსკი „ქართლის მატიანის" ზე-

---

[114] Труды В. Г. Василевского, I, გვ. 303.
[115] იქვე.
[116] M. Brosset, Histoire de la Géorgie, I, გვ. 321.
[117] Труды, т. I, გვ. 313.

მოთ მოტანილი დამახინჯებული ტექსტიდან გამოდის — (ვ. კ.), конечно одно и то же".[118]

მკვლევარს აქ გარკვეული მიზანი ჰქონდა. მას ბიზანტიისა და რუსთა ურთიერთობა აინტერესებდა და საკეისროს ვარიაგებს ეძებდა, რომელთაგან 3000 კაცი საქართველოში [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

დგინა დემეტრეს"? ლიპარიტმა. უკანასკნელის შემწე იყო აგრეთვე „ბერძენთა მეფისა განძი და ლაშქარი", მაგრამ სრულებითაც არ ჩანს, რომ ბერძენთა ლაშქარი დემეტრე უფლისწულს მოჰყვა.

თუ პირველ შემთხვევაში მემატიანე გარკვევით [illegible] თხრობს, რომ ლიპარიტმა „გამოიყვანა დემეტრე [illegible] ფისა ლაშქრითა", მეორედაც ასე გარკვევით შეეძლო მოეცა მას განმარტება, თუ ახლაც დემეტრესთან ერთად მოსულად ეგულებოდა ის ლაშქარი, რომელიც ლიპარიტის „შემწე იყო". მაგრამ აქ მემატიანე არ უნდა ამბობდეს იმას, რომ „შემწე" ლაშქარი დემეტრეს მოჰყვა. როდესაც ტახტის პრეტენდენტი საქართველოში მოვიდა „ბერძენთა მეფისა განძი და ლაშქარი შემწე იყო" უკვე ლიპარიტის. უკანასკნელმა „განხეთქნა" ბაგრატის „სამეფოსა კაცნი", და ამის შემდეგ მოხდა აგრეთვე ლიპარიტ ბალვაშის მიერ „ანისის კარს" დატყვევებული აბუსერისა და ბაგრატთან მძევლად მყოფი ივანე ლიპარიტის ძის გაცვლა-გამოცვლა.

ამ ამბების დროს ვარიაგები არ ჩანან. გარკვეული დრო გავიდა და ამასობაში „განძლიერდა... ამას კერძოსა ქართლისასა" ლიპარიტი. „და იყო მი-და-მო საურავი ჭელოვნებისა". ხოლო შემდეგ „მოვიდეს ვარანგნი სამი ათასი კაცი". ლაშქარი, რომელიც ლიპარიტის „შემწე იყო" არც მოჰყოლია დემეტრეს და არც წასულა ის დემეტრეს გარდაცვალებისა და ლიპარიტის მიერ სასირეთის ჭალისთავს ომის მოგებისთანავე. მხოლოდ ვარიაგები წავიდნენ, „შემწე" ლაშქარი კი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ისევ ლიპარიტთან დარჩა.

სასირეთის ჭალისთავს დამარცხების შემდეგ საქართველოს მეფის ხელისუფლება მიხვდა, რომ ძლიერ მოწინააღმდეგეებთან ჰქონდა საქმე. ბაგრატმა მოლაპარაკება გადაწყვიტა ლიპარიტთან. საქართველოს მეფის მიზანი ისიც უნდა ყოფილიყო, რომ ლიპარიტი ჩამოეცილებია ბიზანტიისაგან. ამასთანავე, „ქართლის მატიანის" ავტორი გადმოგვცემს, რომ ბაგრატ მეფე შეუშინდა „სამეფოსა და მამულისა მისისა განხეთქილებასა"[122] და ამიტომ „უქმნა მუდარა ლიპარიტს და მცირედითა ცხენოსნითა მივიდა ლიპარიტის თანა ხოვლეს"[123], მაგრამ „რა ცნა ლიპარიტ მისლვა მისი,

---

[122] ქართლის ცხოვრება, გვ. 301.

[123] ი ქ ვ ე.

არა ნახა, გარიდა მუნით",[124] ხოლო ბაგრატი „შეიქცა... და წარ-
ვიდა აფხაზეთს"[125].

საქართველოს მეფის ხელისუფლებასა და ლიპარიტს შორის მტრობისა და შუღლის ჩამოვარდნის ძირითადი მიზეზები ჩვენ ზოგადად გვქონდა საუბარი. კედრენეს ამ მტრობისა და შუღლის მიზეზი ის იყო, რომ ბაგრატმა „შეურაცჰყო ლიპარიტის საწოლი... და ამ ჩადენილი საქმით აიძულა შეურაცჰყოფილი ლიპარიტი იარაღი აეღო ხელში ბაგრატის წინააღმდეგ".[126] კედრენეს ამ ცნობიდან გამომდინარე ივ. ჯავახიშვილი წერდა: „თუ ბიზანტიელ ისტორიკოსს გიორგი კედრენეს დავუჯერებთ, არც გასაკვირია, რომ ლიპარიტს მეფის ნახვა არ უნდოდა და ბაგრატის დაუძინებელ და შეურიგებელ მტრად გადაქცეულა... პირადად რომ ლიპარიტს ვერა დააკლო რა, ბაგრატმა ლიპარიტის ცოლს პატიოსნება აჰხადაო".[127] ასეთი „ბარბაროსული შურისძიება და მტრობა"[128], რომელიც „ბიზანტიაში გავრცელებული ყოფილა"[129], საეჭვოა, რომ საქართველოს მეფესა და მის ქვეშევრდომს შორის მომხდარიყო.

ბიზანტიელთაგან წახალისებული და გათამამებული ლიპარიტის მიერ საქართველოს მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას, და ხოვლეში ლიპარიტის მეფისადმი გულცივობას მ. კახაძემ დაუთმო თავის ერთ-ერთ ნაშრომში სათანადო ადგილი. მისი აზრით, ლიპარიტის ასეთი საქციელის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ იგი „მეფესთან...მაინცდამაინც პირნათლად ვერ იყო და ბაგრატის წინაშე უნდა წამდგარიყო, როგორც სამშობლოს მოღალატე"[130], და, შესაძლებელია, ბაგრატ მეფეს იგი კიდევაც დაესაჯაო.

ვფიქრობთ, რომ ლიპარიტს თავისი მოქმედება სამშობლოს წინაშე ჩადენილ დანაშაულად არ მიაჩნდა. ფეოდალური საზოგადოების წარჩინებული და ძლიერი წევრი აღზევება-გამდიდრებისათვის ბრძოლას სამართლიანად თვლიდა და მიზნის მისაღწე-

---

124 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 301.

125 იქვე.

126 გეორგიკა, V, დასახ. გამოცემა, გვ. 67.

127 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 144.

128 იქვე.

129 იქვე.

130 მ. კ ა ხ ა ძ ე, ლიპარიტ ლიპარიტის ძე და მისი ახლად აღმოჩენილი თხზულება, ენიმკის მოამბე, XIV, გვ. 83.

ვად გარეშე მტერთან კავშირსაც არ თაკილობდა. ლიპარიტი და მისი მსგავსი „აზნაურები თავიანთ საქციელში არაფერს არაპატრიოტულს არა ხედავენ“[131]. ეს ამ გვგონია აგრეთვე, რომ ხოვლეში ლიპარიტმა მარტო დასჯის შიშით არ ისურვა მეფესთან მოლაპარაკება. რა თქმა უნდა, მეფე ლიპარიტის დასჯით დაინტერესებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ იგ ამის შესაძლებლობას მოკლებული იყო. „ქართლის მატიანის“ ავტორი ხომ გარკვევით მოგვითხრობს, რომ ბრძოლაში დამარცხებულმა მეფემ „უქმნა მუდარა ლიპარიტს, და მცირედითა ცხენოსნითა მივიდა ლიპარიტის თანა ხოვლეს“, ე. ი. მცირერიცხოვანი რაზმის თანხლებით, მეფე მოსალაპარაკებლად იყო ლიპარიტთან მოსული და არა საომრად.

ლიპარიტს რომ შეთანხმების სურვილი ჰქონოდა, მეფის პირადად ნახვის გარეშეც შეეძლო მასთან მოლაპარაკების დაწყება, მაგრამ მან ეს არ ისურვა. მის ამ მდგომარეობამდე მისვლას საქართველოს შინაგანმა, ფეოდალურმა შუღლმა და მტრობამ შეუწყო ხელი. ბიზანტიისა და ლიპარიტის კავშირ-ურთიერთობის გამაპირობებელი მიზეზები და ძალები საქართველოში სრულებითაც არ შეცვლილა, ლიპარიტი მოკავშირეებთან ერთად იბრძოდა საქართველოს მეფის ხელისუფლების გაძლიერების წინააღმდეგ. პირველ რიგში კი ბიზანტია იდგა მის ზურგში და მის გარეშე ეს ქართველი ფეოდალი ვერ იმოქმედებდა, საკეისროს დახმარების გარეშე ის დამარცხდებოდა. ეს გარემოება XI ს. 50-იანი წლების მეორე ნახევარში დადასტურდა, როდესაც ლიპარიტს ბიზანტიის დახმარების ხელი მოაკლდა და იგი საბოლოოდ დამარცხდა. სხვა მიზეზებთან ერთად ესეც უნდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ ხოვლეში მისულ ბაგრატს ლიპარიტმა „გარიდა მუნით“.

სასირეთის ჭალისთავს ლიპარიტსა და ბაგრატს შორის ბრძოლის დროს დემეტრე უფლისწული უკვე გარდაცვლილი იყო და ამიერიდან ბიზანტიელებს დემეტრეს შელახული უფლებების აღდგენის, საქართველოში ლაშქრის დატოვებისა და ბრძოლის ფორმალური საბაბიც აღარ ჰქონდათ. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახეთ, საკეისროს ლაშქარი მაინც იმყოფებოდა ლიპარიტთან. რატომ? იმიტომ, რომ ეს ლაშქარი ბიზანტიელებს თავიანთი მიზ-

---

131 ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, 1965, გვ. 26.

ნების განსახორციელებლად ჰყავდათ საქართველოში, და არა დემეტრე უფლისწულის ინტერესების დასაცავად.

„ქართლის მატიანის“ ავტორის გადმოცემით, ლიპარიტთან მოლაპარაკების ჩაშლის „შემდგომად მცირედი[illegible] ერისთავმან კალმახისამან, გრიგოლ ერისთავ[illegible] შეაერთეს სიტყუა და შეიწჯვნეს მათ თანა სხუანიცა აზნაურნი მესხნი, და უკმეს მეფესა ბაგრატს. და წარმოემართა ლაშქრითა, გარდამოვლო გზა რკინისჯუარისა, და შეკრბეს არყის-ციხეს“[132].

ბაგრატი და მისი ქვეშევრდომები ბრძოლისათვის გაემზადნენ, მაგრამ, ჩანს, ბიზანტიელები და ლიპარიტი სასირეთის ჭალისთავის ბრძოლაში გამარჯვებით თვითკმაყოფილებას არ მისცემიან და მზად იყვნენ, მოპირდაპირის გამოლაშქრების შემთხვევაში ბრძოლა გაემართათ მისთვის. მოწინააღმდეგის განზრახვისა და მოქმედების გაგებისთანავე „შეკრიბა თავისი ლაშქარი, და მოირთნა კახნი და სომეხნი“[133] ლიპარიტმა, რომელსაც „ბერძენნიცა თანავე ჰყვეს“[134]. მოულოდნელად დაესხა თავს არყის ციხესთან მყოფს მეფის ლაშქარს და დაამარცხა.

საიდან გაჩნდა ახლა ბერძენთა ლაშქარი, რომელიც ლიპარიტს „თანავე ჰყვეს“? თუ ვასილევსკის მოსაზრებას დავუჯერებთ, სასირეთის ჭალისთავს ბრძოლის წინ დემეტრე უფლისწულთან ერთად მოვიდა ბერძენთა ლაშქარი საქართველოში რუს-ვარიაგების სახით და ეს ლაშქარი იგივეა, რომელიც თითქოს ბაგრატის მხარეზე იბრძოდა. მაგრამ ვარიაგები ხომ ლიპარიტმა გაამგზავრა, რომლებმაც „ლიხნი“ გარდავლეს და „უკან დაბრუნდნენ თავიანთ მეტომეებთან“.[135] ისინი, რა თქმა უნდა, შემდეგ ლიპარიტთან აღარ დაბრუნებულან. მაშასადამე, როდის და საიდან უნდა მოსულიყო ლიპარიტთან ბერძენთა ის ლაშქარი, რომელიც არყის-ციხესთან ბრძოლის დროს მას „თანავე ჰყვეს“?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ანისის კარს“ გამარჯვების შემდეგ საქართველოში წამოსული ლიპარიტი ბერძენთა ლაშქრის თანხლებით უნდა მოსულიყო საქართველოში, და ეს ლაშქარი ახლაც „თანავე ჰყვეს“ მას. ბიზანტიის იმპერიას მარტო ანისში როდი

---

[132] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 301.

[133] ი ქ ვ ე.

[134] ი ქ ვ ე.

[135] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, — ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 29, 1951, გვ. 307.

უქმნიდა საფრთხეს საქართველოს გაძლიერება, უკანასკნელი ბომბა-ვი ზღვის სანაპიროებზედაც აწარმოებდა შეტევას საკეისროს წინა-აღმდეგ. ამიტომ ბიზანტიის ლაშქრის ანისიდან საქართველოში გადმოსროლა სრულიად გამართლებული, ტაქტიკური ... და ღონისძიება იყო ბიზანტიის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, ჩვენ მაინც გაურკვეველი გვრჩება საკითხი, თუ ვისი დავალებით, საიდან მოვიდა და სად წავიდა ის 3000 რუს-ვარიაგი, რომლის ნაწილი სასირეთის ჭალისთავს ბრძოლაში ლიპარიტის მხარეზე იყო და შემდეგ „ლიხნი" გარდავლო? ნ. ბერძენიშვილი წერდა: „საფიქრებელი ხდება, რომ ისინი (რუს-ვარიაგები—ვ. კ.) ზღვით მოვიდნენ: სანაოსნო პუნქტში—ბაშს—დააყენეს". ამასთანავე ნ. ბერძენიშვილი ფიქრობდა, რომ „ეს ვარანგები ბიზანტიაში არ დაბრუნებულან, თუნდაც რომ იქიდან მოსული ყოფილიყვნენ. ბერძნული წყაროები ასეთ მოსაზრებას უჭერენ მხარსო".[136] ამ საკითხის ასახსნელად იქნება ისევ პსელოსის ზემოთ მოტანილი ცნობა გამოგვადგეს.

ვასილევსკიმ პსელოსის ეს ცნობა, ძირითად მიზანთან ერთად, იმისთვისაც გამოიყენა, რომ ცუდად თარგმნილი ქართველი მემატიანის ნაშრომის ტექსტის შინაარსი გაემართლებია, და რუს-ვარიაგები დემეტრე უფლისწულთან ერთად მოსულად ჩათვალა. მის ამ უკანასკნელ მოსაზრებას, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჩვენ არ ვეთანხმებით. მაგრამ პსელოსის ცნობას საქართველოში ვარიაგების მოსვლის საკითხთან კავშირი უნდა ჰქონდეს.

ბიზანტიელი მწერლის ცნობიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ზემოთ მოტანილი ადგილის ბოლო ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ აღმოსავლეთში მყოფი ნაწილები ერთი ბარბაროსის თავდასხმის მოსაგერიებლად „იბერიის სიღრმეში გაიგზავნენ". ბიზანტიის მიერ მიტაცებულ საქართველოს მიწა-წყალზე, ანუ იბერიის საკატეპანოში, ახლა ჩვენ ბიზანტიის საწინააღმდეგო მოქმედებას ვერ ვხედავთ.

საკეისროს ხელისუფლება, როგორც ქვემოთ გავეცნობით, დვინის ამირას წინააღმდეგ იბრძოდა ამ დროს. მაგრამ დვინის ამირა აბულ-სუარი თავდამსხმელი არ იყო და მას კი არ იგერიებდა ბიზანტია, არამედ, პირიქით, თავს ესხმოდა. ე. ი. ვინ უნდა

---

136 ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, — ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 29, 1951, გვ. 307.

იგულისხმებოდეს პსელოსის თვალში ბარბაროს თავდამსხმელად? არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ ბიზანტიის მმართველ წრეებს, რომელთა წევრი თვით პსელოსიც იყო, ანისისათვის ბრძოლაში ქართველების ჩარევა და ვერეთელ ოსეთიესა და ხუფათის გასათავისუფლებლად საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოებული ბრძოლა თავდასხმად მიეჩნიათ, ხოლო ბაგრატ მეფე — ბარბაროს თავდამსხმელად. როგორც ზემოთ გავეცანით, 1045 წელს ბაგრატ მეფე წარმატებით იბრძოდა ანაკოფიის გასათავისუფლებლად და ამავე დროს „ქუთათისისა სამოქალაქოსა ლაშქარი, და გურიელნი აზნაურნი და ლომსიანნი მოიყვანნა ხუფათსა“[137].

თუმცა რუს-ვარიაგთა საქართველოში მოსვლის თარიღი არა ნაკლებ ორი წლითაა დაცილებული ანისის, ანაკოფიისა და ხუფათისათვის ბრძოლის ამბებიდან, მაგრამ ბიზანტიასა და მის მოკავშირეებთან ბრძოლაში მხოლოდ ანისში დამარცხდნენ ქართველები და საქართველოში კი კვლავ გრძელდებოდა ბრძოლა მტრების წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში 1047 წელს ბიზანტიის ხელისუფლების მიერ აღმოსავლეთში მყოფ რუს-ვარიაგების საქართველოში („იბერიის სიღრმეში“) გამოგზავნის შესაძლებლობა არ უნდა იყოს გამორიცხული.

ბიზანტია-საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური ურთიერთობა იმაზე მიგვითითებს, რომ ვარიაგები მარტო იმ ამოცანის შესასრულებლად კი არ უნდა ყოფილიყვნენ წამოსული თუ გამოგზავნილი, რაც მათ სასირეთის ჭალისთავს ბრძოლაში შეასრულეს. საფიქრებელია, რომ საერთოდ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა ჰქონდათ მათ დავალებული.

თუ პსელოსის ცნობები იმაზე მიგვითითებს, რომ რუს-ვარიაგთა ლაშქარი ბიზანტიის ხელისუფლების მიერ უნდა იყოს გამოგზავნილი საქართველოში, ჯერჯერობით ძნელია იმის დადგენა, თუ საიდან მოვიდნენ ისინი. თუმცა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პსელოსის ამ ცნობაში ზემოხსენებული 3000 რუს-ვარიაგიც უნდა იგულისხმებოდეს და იგი იმპერიის აღმოსავლეთის რომელიღაც პროვინციიდან, შესაძლოა იბერიის რომელიმე კუთხიდან არის წამოსული (ისინი შეიძლება ყოფილიყვნენ როგორც იბერიის საკატეპანოს ტერიტორიაზე ან ხალდიის თემში, ისე სამხრეთ ტაოსთან ერთად ბიზანტიის მიერ 1021—1022 წლებში მიტაცებულ,

---

137 „ქართლის მატიანე“, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 299.

თუ ტაო-კლარჯეთის აზნაურთაგან ბიზანტიისათვის გადაცემულ. საქართველოს სამეფოს სამხრეთ-დასავლეთ რაიონების ტერიტორიაზე მყოფ ციხე-სიმაგრეებშიც). ქვემოთ გავეცნობით, რომ XI საუკუნის 50-იან წლების დასაწყისშიც იმყოფებოდნენ ... იბერიისა და ხალდიის თემებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყაროების გულდასმით შესწავლამ და ანალიზმა საფუძველი მისცა ვასილევსკის ეთქვა, რომ «Халдия (იგულისხმება შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო, მთავარი ქალაქი ტრაპიზონით—ვ. კ.) и Грузия (იბერიის თემი — საკატაბანო და საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი რაიონები, სადაც ბიზანტიის ლაშქარი იმყოფებოდა—ვ. კ.) является постоянным местопребыванием варягов, а они сами являются простыми защитниками византийских пограничных областей»[138].

სასირეთის ჭალისთავსა და არყის-ციხესთან ბრძოლების შედეგმა კიდევ უფრო გაზარდა საფრთხე. ქართველი მემატიანე გადმოგვცემს, რომ არყის-ციხესთან ბრძოლაში გამარჯვებულმა ლიპარიტმა და მისმა მომხრეებმა „შეიპყრეს სულა, კალმახისა ერისთავი, და მრავლითა ტანჯვითა და ძელსა გასუმითა სთხოვა კალმახი, და არა მისცა. მასვე ომსა შეიპყრეს გრიგოლ, ძე აბუსერისი, და სთხოვეს არტანუჯი სიკუდილისა ქადებითა, და მისცა“[139].

ამ მნიშვნელოვანი ქალაქის, არტანუჯის გადასვლა ლიპარიტის ხელში კიდევ უფრო აძლიერებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში საკეისროს გავლენას. არტანუჯის დაკავების შემდეგ ლიპარიტმა „მოირჭუნა... ზემოსა ქუეყანასა და აღიხუნა ციხენი, და მიიერთნა თავადნი კაცნი“[140]. ამრიგად, ბიზანტიამ და მისმა აგენტმა საქართველოში, ლიპარიტმა, ქალაქების, ციხე-სიმაგრეებისა და მხარეების დაპყრობასთან ერთად, ზოგი ფეოდალიც გადაიბირეს, რაც მათ პოლიტიკურ გამარჯვებას ნიშნავდა.

საქართველოში ლიპარიტთან მყოფ ბერძენთა ლაშქრის დანიშნულება, როგორც ჩანს, მარტო საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა არ იყო. ბიზანტია მარჯვედ იყენებდა ამ ლაშქარს სხვა მიზნების განსახორციელებლადაც.

---

[138] Труды, т. I, გვ. 321.

[139] „ქართლის მატიანე“, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 302.

[140] იქვე.

ზემოთ გავეცანით, რომ ბიზანტიის ხელისუფლებამ, როდესაც ის ანისის სამეფოს დასაპყრობად იბრძოდა და სომეხთა ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა, დვინის ამირას, აბულ-სუარის გამოყენება სცადა და მას, ანისის სამეფოს მიწა-წყლის ნაწილზე, კომპენსაცია აღუთქვა. ამ შეთანხმების თანახმად, ბიზანტიის მიერ ანისის სამეფოს დამორჩილების შემდეგ, დვინის ამირამ გაგიკ II სამფლობელოდან ზოგიერთი მხარე და ციხე-სიმაგრე მიისაკუთრა. სომეხთა წინააღმდეგობის დაძლევისა და ანისის სამეფოს დაპყრობის შემდეგ, მადაგახსნილმა საიმპერიო ხელისუფლებამ, აბულ-სუარს ისევ მოსთხოვა უკანასკნელის მიერ დაპყრობილი ის მხარეები და ციხე-სიმაგრეები, რომლებიც წინათ ანისის სამეფოში შედიოდა.

აბულ-სუარმა უარი განუცხადა კეისარს მოთხოვნის შესრულებაზე, რისთვისაც საიმპერიო ხელისუფლებამ დვინის ამირას წინააღმდეგ ლაშქრობა გადაწყვიტა. გიორგი კედრენეს გადმოცემით, კონსტანტინე მონომახმა განკარგულება მისცა სარდალ ნიკოლოზს, რათა რომაელებისა და იბერიელების ჯარით, დიდ სომხეთში მდგომ ჯართან ერთად, რომელსაც წინათ გაგიკი მეთაურობდა, ომი დაეწყო აბულ-სუარის წინააღმდეგ. ნიკოლოზმა ლაშქარი შეჰყარა, რომლის მეთაურობა იასიტე ვესტასა და მაგისტრ კონსტანტინეს მიანდო.[141]

რომაელი სარდლები თავს დაესხნენ დვინს, მაგრამ მწვავე ბრძოლაში ბიზანტიელებმა მარცხი განიცადეს. კედრენეს გადმოცემით, ბრძოლის დროს რომაელთა დიდი უმრავლესობა დაიღუპა[142], გადარჩენილებმა კი უკან დაიხიეს. ბიზანტიის ხელისუფლებამ საქმის გამოსწორებისათვის ზრუნვა დაიწყო: ნიკოლოზსა და იასიტეს თანამდებობა ჩამოართვა და იასიტეს მაგიერ იბერიის მმართველად კეკავმენოსი დანიშნა, ხოლო ნიკოლოზის მაგიერ ლაშქრის მთავარსარდლობა კონსტანტინე საჟურისს, წარმოშობით სარკინოზს მიანდო.[143]

განახლებულმა სარდლობამ დვინზე შეტევის მაგიერ ამირას სხვა ციხე-სიმაგრეების დასაპყრობად დაიწყო ბრძოლა, დაი-

---

141 გეორგიკა, V გვ. 63.

142 იქვე, გვ. 64.

143 იქვე, გვ. 64—65. წყაროებში არის ბუნდოვანი ცნობები იმის შესახებ, თითქოს იასიტეს შემდეგ მონომახმა ლეონ თორნიკე დანიშნა იბერიის მმართველად, რომელიც ალბათ მალე დაითხოვა (იხ. Н. Скабаланович, 202).

ბყრო ბევრი მათგანი და შემდეგ ხალიდონიის ციხეს შემოარტყა ალყა, ხანგრძლივ ბრძოლაში მეციხოვნეები ძალზე შეაშფოთებს და დადგა დრო, რომ ბიზანტიელებს ეს ციხე-სიმაგრე უნდა ალოთ, მაგრამ სწორედ ამ დროს ლეონ თორნიკეს მეთაურობით იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყება მოხდა. გიორგი ალანელის გადმოცემით, საფრთხეში ჩავარდნილმა კონსტანტინე [illegible] დაუყოვნებლივ მისწერა მის მიერ მთავარსარდლად დანიშნულ კონსტანტინეს, რათა „დაეტოვებია ყოველგვარი საქმეები და სასწრაფოდ წამოსულიყო მთელი თავისი ჯარით სატახტო ქალაქში“[144]. ბრძანების მიღებისთანავე კონსტანტინემ შეწყვიტა საბრძოლო მოქმედება და ზავი შეკრა დვინის ამირასთან.

როგორც ჩანს, ბიზანტიელთა მიერ დვინის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლას წინ უსწრებდა სასირეთის ჭალისთავსა და არაყის-ციხესთან მომხდარი ბრძოლები. ამიტომ იყო, რომ ლიპარიტმა საქართველოს მეფის ხელისუფლების მომხრეთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, დვინელთა წინააღმდეგ ბრძოლის დროსაც მიაშველა თავისი „მადლიანი“ ხელი ბიზანტიას და, როგორც „ქართლის მატიანის“ ავტორი გადმოგვცემს, „გარეს-გარე წარვიდა ლიპარიტ მითვე ლაშქრითა დვინად, და ულაშქრა ბერძენთა მეფესა დვინელსა ზედა, და შემოიქცა თავის ქვეყანად“[145].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლიპარიტმა იმ ლაშქრით „ულაშქრა ბერძენთა მეფესა დვინელსა ზედა“, რომელიც არაყის ციხესთან ბრძოლის დროს „თანავე ჰყვეს“ მას „ბერძენთა“ სახით. და შემდეგ ამავე ლაშქრით „შემოიქცა“ ის „თავის ქუეყანად“, ე. ი. საქართველოში.

არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ ბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი პოლიტიკოსებისათვის ცნობილი ყოფილიყო კონსტანტინეპოლში შექმნილი, მონომახის მოწინააღმდეგე პარტიის საქმიანობა, რომლის სათავეში ლეონ თორნიკე მოექცა. თუმცა, ჯერჯერობით საამისო ცნობები არ მოგვეპოვება.

აჯანყებულები, რომლებიც 16 სექტემბერს გამოვიდნენ და, რომლებსაც ბულგართა წინააღმდეგ მოქმედი მაკედონელთა და სხვა ლაშქარიც შეუერთდა, მალე კონსტანტინეპოლს მიადგნენ და კონსტანტინე მონომახის ხელისუფლების ყოფნა-არყოფნის სა-

---

[144] გეორგიკა, V, გვ. 66.
[145] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 392.

კითხი სასწორზე დააყენეს[146]. თ. უსპენსკი სამართლიანად ფიქრობდა, რომ კონსტანტინე მონომახის მოწინააღმდეგე პარტიის გამოსვლა ახლა შემთხვევითი არ იყო და რომ ამ პარტიამ საუკანადო დრო შეარჩია: ბიზანტია აღმოსავლეთის საზღვრებზე აწარმოებდა ბრძოლებს და კონსტანტინეპოლში მცირე ლაშქარი პყავდა. გარდა ამისა, იმპერიის საზღვრებს თურქ-სელჩუკები მოდგომოდნენ და თავდასხმით იმუქრებოდნენ[147].

მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიის ხელისუფლება უდიდესი საფრთხის წინაშე იდგა და დვინის საამიროს წინააღმდეგ წარმატებით წარმოებულ ბრძოლაზედაც კი ხელი აიღო, მას არ შეეძლო საქართველო უყურადღებოდ დაეტოვებია. ბიზანტიის ლაშქრის მიერ საქართველოს მთლიანად დატოვების შემთხვევაში საკეისროს წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება იყო მოსალოდნელი საქართველოში, რომელიც შესაძლებელია ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლის დიდ ხანძრად გადაქცეულიყო აღმოსავლეთში. ამიტომ საკეისროს ლაშქარი კიდევ დიდხანს რჩება საქართველოში, და კეისარი მას ლიპარიტთან ერთად, თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ გამოიყენებს.

---

[146] История Византии, II, 1967, გვ. 972.

[147] Ф. И. Успенский, История Византийской империи, т. III, 1948, გვ. 54.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი V

თურქ-სელჩუკთა გაძლიერება და ცვლილებანი ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობაში

§ 14. კარინის ომი. საქართველო ბიზანტიის მოკავშირე

აღმოსავლეთში წარმოებული ხანგრძლივი ომების შედეგად ბიზანტიის იმპერიამ XI საუკუნის 40-იანი წლებისათვის ბევრი ქვეყანა დაუმორჩილა თავის გავლენას.

საკეისროს ახალი შენაძენი აღმოსავლეთში თურქ-სელჩუკთა მომძლავრების წინა ხანებში ანისის სამეფო იყო, რომლის დაპყრობით ბიზანტია საამიროებისაკენ იკაფავდა გზას და ახალი ქვეყნების შემოერთებაზე ოცნებობდა. მაგრამ დაპყრობილი ქვეყნების მიმართ ბიზანტიის უხეშობამ, საერთოდ, და, კერძოდ, სომხეთისა და საქართველოსადმი საიმპერიო ხელისუფლების ვერაგულმა დამოკიდებულებამ ეულ მალე საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო და ბიზანტიას დიდად ავნო.

როცა საქართველოსა და სომხეთის სამეფო-სამთავროები ბიზანტიის მოკავშირედ გამოდიოდნენ, ამით ისინი დამოუკიდებლობას იცავდნენ და ბრძოლის ველზე ხალისით მიდიოდნენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბიზანტიამ სამხრეთ ტაოსა და სომხეთს დამოუკიდებლობა წაართვა, ხოლო შემდეგ საქართველოს დაპყრობისთვისაც ენერგიულად დაიწყო ზრუნვა, ცხადია, სომხებსა და ქართველებს საკეისროსთან საერთო აღარაფერი ექნებოდათ. ამ გარემოებამ საკეისროსათვის უარყოფითი როლი შეასრულა იმ საბედისწერო ომებში, რომლებსაც ის XI საუკუნის 40-იანი წლებიდან იმპერიის საზღვრებში შემოჭრილ თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ აწარმოებდა.

ბიზანტიის ისტორიის ცნობილი მკვლევარი თ. უსპენსკი სომხეთისა და საქართველოსადმი ბიზანტიის მაშინდელი დამოკიდებულების შესახებ სამართლიანად აღნიშნავდა, რომ საიმპერიო ხელისუფლებამ საქართველოსა და სომხეთის [illegible] წინდაუხედავი ღონისძიებები ჩაატარა «имели [illegible] чевны результаты для охраны восточной границы»[1]. ბიზანტიის ხელისუფლება თავის მოქმედების შედეგს მაშინ მიხვდა, როდესაც საქმის გამოსწორება უკვე შეუძლებელი იყო.

1040 წლის მაისს, სულთან მასუდის დამარცხებისა და ხორასნის დაპყრობის შემდეგ თურქ-სელჩუკებმა დაპყრობითი ომები დასავლეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით კიდევ უფრო გააძლიერეს. თოღრილ-ბეგმა, რომელმაც დანდონაკანის ველებზე ბრძოლის მოგებისთანავე თავი ხორასნის მმართველად გამოაცხადა, შეტევა განავითარა და მცირე დროის განმავლობაში ხელთ იგდო გურგანი, ტაბარისტანი, ხორეზმი, აზერბაიჯანი და თანამედროვე ირანის ნაწილი, რის შემდეგ ბიზანტიის სხვა სამფლობელოებთან ერთად სომხეთსაც მიადგა და იმპერიას საფრთხე შეუქმნა. ახლა მტერი უბრალო მოთარეშებისა და ალაფის მიზნით კი არა, დასაპყრობად მიადგა კეისრის სამფლობელოებს.

1048 წელს თოღრილ-ბეგმა, ჰასანის მეთაურობით, სომხეთის დასაპყრობად ლაშქარი გამოგზავნა[2]. თურქ-სელჩუკთა ამ ლაშქრობის შესახებ გიორგი კედრენე გადმოგვცემს: სულთნის მიერ რომაელების წინააღმდეგ გამოგზავნილმა ასანმა თავრიზი გაიარა და ვასპურაკანში შევიდა. გზაზე ის ყველაფერს სპობდა და ანადგურებდა. როდესაც თურქთა დიდი ჯარი ასანის მეთაურობით ვასპურაკანში შეიჭრა, ამ პროვინციის მმართველმა არონ ვესტმა ქ. ანი-

---

[1] Ф. И. Успенский, История Византийской империи, т. III, 1948, გვ. 53.

[2] თ. უსპენსკის განმარტებას რამდენადმე სიზუსტე აკლია, როდესაც წერს: «Первые пограничные недоразумения возникли в Армении, где напор турок-сельджуков вызвал желание отдаться под покровительство христианской империи. Таков был Сенекерим, царь Васпуракана..., который уступил империи свои владения в обмен на города Севастию, Ларису и некоторые другие местности» (Ф. И. Успенский, История Византийской империи, III, 1948, გვ. 84). 1021—1022 წლებში რომ ვასპურაკანს თურქები დაესხნენ, მათი წინამძღოლები სელჩუკის შთამომავლები არ უნდა ყოფილიყვნენ.

სისა და იბერიის მმართველს კეკავმენოსს[3] მისწერა, საბრალოდ მიეშველებია ლაშქარი არონისათვის. კეკავმენოსმა წერილის მიღებისთანავე შეაგროვა ჯარი და არონთან გაემგზავრა. რომანელ ხალიფლები გაერთიანებული ლაშქრით დაესხნენ თურქებს და ნაღმდეგე გაანადგურეს[4].

ტურინოს კომპილაციის ავტორის ცნობით, ჰასანის შემოჭრის დროს ბრძოლა ბერძნებსა და თურქებს შორის მოხდა „სტრაღნა მდინარეზე... ამ ბრძოლაში დამარცხდნენ თურქები და მათი სარდალი ჰასანიც მოკლეს. ამის შემდეგ სულთანი თოღრილ-ბეგი კიდევ შეკრებს დიდძალ ლაშქარს და იბრაჰიმ ალიმის (აბრაჰ ალიმი) მეთაურობით გაგზავნის ბერძნების წინააღმდეგ“[5].

სელჩუკების მბრძანებლის მიერ მეორედ გამოგზავნილი ლაშქარი, ჩანს, პირვანდელზე უფრო ძლიერი იყო და დიდი ძალა იყო საჭირო მის დასაპირისპირებლად. სელჩუკებმა, რომლებიც ახლა სამხრეთიდან მოვიდნენ, «пройдя Васпуракан, они очутились в Багреванде и затем вступили в плодородную Басенскую долину»[6]. არისტარქე ლასტივერტელის გადმოცემით, მათ ცეცხლითა და მახვილით მოსპეს და გაანადგურეს ამ დროს სომხეთის მრავალი მხარე. იმავე ისტორიკოსის გადმოცემით, წარღვნისებურად მოეცლინენ მაშინ სელჩუკები ქვეყანას[7].

საქართველოსა და სომხეთის მიმართ ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების ვერაგული დამოკიდებულების შედეგი ახლა გასაგები უნდა გამხდარიყო საკეისროს მმართველი წრეებისათვის: ბიზანტიის მიერ ძალად დაპყრობილი და დამოუკიდებლობა დაკარგული სომხეთი გულგრილად უნდა შეხვედროდა სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს. ხოლო საქართველოს ხელისუფლებასთან ბიზანტიის მმართველ წრეებს არ შეეძლოთ ჯერჯერობით საერთო ენის გამონახვა. საქართველოდან მხოლოდ ლიპარიტ ბაღვაში რჩებოდა ახლა ბიზანტიის მოკავშირედ.

---

[3] არონ ვესტი ვასპურაკანის მმართველი იყო და კატეპანის წოდებას ატარებდა, ხოლო კატაკალონ კეკავმენოსი 1047—1049 წლებში იბერიისა და ანისის მმართველი იყო და დუკას წოდებით იყო აღჭურვილი.

[4] გეორგიკა, V, გვ. 68—69.

[5] ს. ყაუხჩიშვილი, ტურინოს კომპილაციისათვის. თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, IV, 1924, გვ. 354.

[6] История армянского народа, 1951, გვ. 153.

[7] Պատմութիւն, გვ. 65, 73.

თურქ-სელჩუკთა მბრძანებლის მიერ ხელმეორედ [illegible]ის გამოგზავნისა და ბრძოლაში ლიპარიტის მონაწილეობის შესახებ კედრენე მოგვითხრობს: ასანის დამარცხებისთანავე სულთანმა კიდევ გამოგზავნა დიდი ჯარი რომაელების წინააღმდეგ [illegible] ნახევარძმის, აბრაამ ალიმის[8] წინამძღოლობით. [illegible] ლებმა მოითათბირეს, თუ როგორ აწარმოონ ბრძოლა, დაიხიეს იბერიაში და იქ ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ „ოსურტრუდ“ წოდებულ რომელიღაც მინდორზე, ღია ცის ქვეშ დაბანაკდნენ, ხოლო მოსახლეობა — ქალები, ბავშვები, და ამასთანავე ყველა ძვირფასი ნივთები ციხე-სიმაგრეებში ჩაკეტეს. იმპერატორთან წერილით შიკრიკი გაგზავნეს და მოწინააღმდეგის ჯარების მოსვლა აცნობეს[9].

კეისარმა, რომელსაც სომეხი მოსახლეობისა და საქართველოს ხელისუფლების დახმარების იმედი არ ჰქონდა, ბრძოლაში ლიპარიტის გამოყენება გადაწყვიტა და კატაკალონ კეკავმენოსსა და არონ ვესტს უბრძანა: თავი შეეკავებინათ ბრძოლის დაწყებაზე მანამ, სანამ რომაელების დასახმარებლად იბერთა ჯარით ლიპარიტი მოვიდოდა, ხოლო ლიპარიტს შეუთვალა: „თუ რომაელთა მოკავშირედ და მეგობრად თვლი თავს, სასწრაფოდ წამოიყვანე მთელი ჯარი, რაც კი შენ ხელთაა, მოდი და შეუერთდი რომაელთა სარდლებს და მათთან ერთად იომე ბარბაროსების წინააღმდეგ“.

ბიზანტიელმა სარდლებმა კეისრის ბრძანება შეასრულეს. ფრთხილად ეჭირათ თავი და ლიპარიტის მოსვლამდე არ უნდოდათ ომში ჩაბმა[10].

ლიპარიტ ბაღვაშმა, როგორც კი მიიღო კეისრის დავალება, „წყნარად შეკრიბა თავისი ხალხი და შეაიარაღა იგი“[11], რათა სასწრაფოდ მიშველებოდა კეისრის სარდლებს, მაგრამ სანამ ის ჯარს შეაგროვებდა, — განაგრძობს კედრენე, — დრო გავიდა. ამასობაში აბრამ თურქთა სარდალმა გაიგო რომაელების იბერიაში დახევის ამბავი და უკან გამოუდგა მათ. იმპერატორის სარდლებმა, ლიპარიტის მოსვლამდე ომში ჩაბმის თავიდან აცილების მიზნით, დაიხიეს ძნელად მისადგომ, ყოველი მხრიდან ციცაბო და თხრილებით

---

[8] გეორგიკა, V, გვ. 70—72.
[9] იქვე, გვ. 72.
[10] იქვე.
[11] იქვე.

შემოფარგლულ ადგილებში[12] და იქ დაბანაკდნენ, ამავე დროს ლიპარიტს მისწერეს, რომ სასწრაფოდ წამოსულიყო რომაელთა დასახმარებლად.

როცა რომაელი სარდლები ლიპარიტის მოლოდინში იყვნენ, თურქებმა დაიპყრეს მჭიდროდ დასახლებული არძე[13] [illegible] იგი და რომაელების ჯარს დაედევნენ. ლიპარიტის [illegible] დეგ კეისრის სარდლები ზემოთ დასახელებული გამაგრებული ადგილიდან დაბლობში ჩამოვიდნენ და მთის ძირას, კაპეტრონის ციხესთან დაბანაკდნენ[14].

როდესაც თურქები მიუახლოვდნენ მოწინააღმდეგეს, რომაელთა სარდალმა კეკავმენოსმა ურჩია არონსა და ლიპარიტს თავს დასხმოდნენ თურქებს, სანამ ისინი უწესრიგოდ დახეტიალობდნენ. მაგრამ, კედრენეს გადმოცემით, „ლიპარიტმა არ მოინდომა იმ დღეს ბრძოლა, ვინაიდან შაბათი იყო, სექტემბრის თვის თვრამეტი რიცხვი, მეორე ინდიქტიონისა, ხოლო ლიპარიტი უბედურ დღეთა რიცხვს მიაკუთვნებდა შაბათს, და ამ დღეს ომის წარმოებაზე უარი უნდა თქმულიყო“[15].

ბიზანტიელთა ბანაკი მზად არ იყო ბრძოლისათვის. ამით ისარგებლა თურქთა სარდალმა, სწრაფად გაემართა მოწინააღმდეგისაკენ და მოულოდნელად დაესხა თავს[16].

---

[12] გეორგიკა, V, გვ. 73.

[13] თურქთა ეს ლაშქრობა, როგორც სომხურსა და ქართულ საისტორიო მწერლობაშია დადგენილი, 1048 წელს მოხდა. ქ. არცნი თურქებს ამ წელს არ გაუნადგურებიათ. ეს ქალაქი მომდევნო წელს დაიმორჩილეს სელჩუკებმა. კედრენე თუ მისი წყარო ამ შემთხვევაში, ჩანს, ანაქრონიზმს უშვებს, არასწორ ცნობას იძლევა და ალბათ, აქედან გამომდინარე, თ. უსპენსკი ცდება, როდესაც ქ. არცნის დარბევას იბრაგიმის ამ ლაშქრობას მიაწერს. იგი წერს: «Ибрахим бросился в армянскую область Арзанену, в верховьях Тигра, и овладел столицей её Арзаном (по-армянски Арцн), очень богатым и торговым городом, где, по словам Матфея Здесского, совершалось богослужение в 800 церквах (sic — ვ. ჯ.). В стенах взятого уже города турки еще шесть дней должны были вести отчаянную борьбу с жителями» (Ф. И. Успенский, История Византийской империи, III, 1948, გვ. 86). ყოველივე ეს 1049 წელს მოხდა, როდესაც თურქ-სელჩუკებმა «опустошили армянские земли вплоть до Тарона и Арцна. Крупный торговый центр Арцн, славившийся своим богатством, был сравнен с землей» («История армянского народа», I, 1951, გვ. 153).

[14] გეორგიკა, V, გვ. 75.

[15] იქვე.

[16] იქვე, გვ. 76.

ბიზანტიელი სარდლები და მათი მოკავშირე ლიპარიტი იძულებული გახდნენ საბრძოლო მდგომარეობა მიეღოთ. მარჯვენა ფრთას კეკავმენოსი, მარცხენას აორნი და ცენტრს ლიპარიტი მეთაურობდა. კეკავმენოსის წინააღმდეგ აბრამი, აორნის წინააღმდეგ თურქთა მეორე სარდალი, ხვარასნელი, ხოლო ლიპარიტის წინააღმდეგ ასპამ სელარი, აბრამის ნახევარძმა, იდგა. ბრძოლა საღამოჟამს დაიწყო, რომელმაც მეტად მწვავე ხასიათი მიიღო და დიდხანს გაგრძელდა.

კედრენეს გადმოცემით, კეკავმენოსმა და აორნმა დაამარცხეს მათ პირისპირ მდგომი მტერი და მთელი ღამე სდიეს მას. მაგრამ ლიპარიტს არ გაუმართლდა ამ ომში და ტყვედ ჩავარდა. გამარჯვებული და ბრძოლის ველიდან დაბრუნებული რომაელი სარდლები, — განაგრძობს კედრენე, — ლიპარიტს უცდიდნენ, მაგრამ, როდესაც აღარ გამოჩნდა, საგონებელში ჩავარდნენ, ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ რა შეიძლებოდა შემთხვევოდა მას. ამ დროს „მოვიდა ერთი ჯარისკაცი ლიპარიტის რაზმიდან და აცნობა სარდლებს, რომ ლიპარიტი დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა"[17], რომელიც სხვა ტყვე იბერიელებთან ერთად თან წაიყვანეს თურქებმაო. ამ ამბის გაგონებამ თავზარი დასცა ბიზანტიელ სარდლებს[18].

ბიზანტიასა და თურქ-სელჩუკებს შორის ამ ბრძოლისა და ომში ქართველთა მონაწილეობის შესახებ სტეფანოზ ორბელიანიც გვაძლევს სათანადო ცნობებს. მისი გადმოცემით, ლიპარიტი ტყვედ კი არ ჩავარდნია თურქებს, არამედ მოუკლავთ ამ ბრძოლაში იბერიის აზნაურთა შურიანობის ნიადაგზე. ლიპარიტის მკვლელობა შეიქნა თითქოს იმის მიზეზი, რომ ბერძენ-ქართველთა ლაშქარი დამარცხდა და თურქებმა გაიმარჯვეს[19].

ზემოაღნიშნულ ამბებს ეხება „ქართლის მატიანის" ავტორის ცნობა, სადაც ნათქვამია: დვინის ლაშქრობიდან ლიპარიტის დაბრუნების „შემდგომად წელიწდისა მოქცევისა გამოჩნდეს თურქნი სულტნისანი, ბარაჰიმ-ილმისანი ქუეყანასა ბასიანისასა. გამოვიდა ბერძენთა მეფისა ლაშქარი, და უხმეს ლიპარიტს. და წარვიდა ლიპარიტ შუელად ბერძენთა ყოვლითა ლაშქრითა ამისა ზედაჲს

---

[17] გეორგიკა, V, გვ. 77.

[18] იქვე.

[19] О великом нахарарстве Орбелианов. Исследования и статьи Н. О. Эмина, Москва, 1896, გვ. 360—361.

კერძისათა[20]. შეიბნეს ორდროსა და უკუმიასა ქუემოთ და გაქ-
ციეს ყოველი სპა საბერძნეთისა და ლიპარიტისა თურქთა"[21].

„ქართლის მატიანის" ეს ცნობა აშკარად გვაუწყებს ბიზანტიელთა მარცხზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესო ცნობას გვაწვდის სტეფანოზ ორბელიანი ომის შესახებ, თუ რა რაოდენობისა და სახის ლაშქარი წაიყვანა ლიპარიტმა ამ ბრძოლაში. მისი გადმოცემით, კეისრის „მოწოდებისთანავე ლიპარიტთან გამოცხადდა მასთან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი 700 დიდი აზნაური[22] და 16.000 მამაცი მეომარი. ლიპარიტმა აიყვანა აგრეთვე 10.000 კაცისაგან შემდგარი სამეფო ლაშქარი. ამ ლაშქრით იგი ვანანდის მხარეში, ყარსის ველებისაკენ გაემართა, სადაც მას 15.000 კაცისაგან შემდგარი რუმის ლაშქარი შეუერთდა და ამრიგად, 41.000 მხედარი შეგროვდა"[23]. იგივე ისტორიკოსის გადმოცემით, როდესაც ლიპარიტი და მისი მოკავშირეები შეიკრიბნენ, მოწინააღმდეგე, რომელსაც ახლო მხარეები გაენადგურებია, კარინისის ველზე იდგა. ბრძოლაც აქ უნდა მომხდარიყო[24].

სტეფანოზ ორბელიანის ზემოთ აღნიშნული ცნობიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს 10.000 კაცისაგან შემდგარი სამეფო ლაშქა-

---

[20] გეოგრაფიული სახელწოდება „ზედაჲს კერძისათა", მტკვრის სათავეების XI საუკუნის სახელწოდებას — „ზენა სოფელს" უნდა შეესატყვისებოდეს და ამდენად შიდა ქართლის ლაშქარი არ უნდა გვეგულისხმა ლიპარიტთან. თუმცა, საფიქრებელია, რომ ახლა ლიპარიტს შიდა ქართლის ლაშქრის გარკვეული ნაწილიც შეეძლო ბრძოლაში წაეყვანა.

[21] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 302.

[22] თუ ჩვენ XI საუკუნის ქართველი დიდი აზნაურის ეკონომიურსა და პოლიტიკურ ხვედრით წონას გავითვალისწინებთ, ლიპარიტს არ შეიძლებოდა თავის ხელქვეით 700 დიდი აზნაური ჰყოლოდა და ამდენად ეს ცნობა გადაჭარბებულია.

[23] О великом нахарарстве Орбелианов, გვ. 359, შდრ. დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, საქართველოს მეფე ბაგრატ IV, გვ. 30; ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, დ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს შენიშვნა, გვ. 159.

უნდა შევნიშნოთ, რომ თურქთა წინააღმდეგ ამ ბრძოლის შესახებ სტეფანოზის მიერ მოცემული ზოგიერთი ცნობა მეტად ბუნდოვანია და შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ავტორმა არასწორი ცნობებით ისარგებლა. მაგრამ მისი ცნობა ლიპარიტის მიერ ომში წაყვანილი ლაშქრის შემადგენლობის შესახებ — საინტერესო და ანგარიშგასაწევია.

[24] О великом нахарарстве Орбелианов, გვ. 358, შდრ. ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, დ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს შენიშვნა, გვ. 159.

რი, რომელიც თავის ქვეშევრდომთაგან მეკრებილ ლაშქართან ერთად ლიპარიტმა ბრძოლაში წაიყვანა. ვის, რომელ საქართველო ლაშქარს უნდა გულისხმობდეს აქ ავტორი? არა გვგონია, რომ ლიპარიტისა და ბიზანტიის ლაშქრის მიერ დამარცხებულ ბაგრატ მეოთხეს, რომელსაც სასირეთის ჭალისთავსა და არაგვის-ციხესთან მეუნეველი ჭრილობა არ ჰქონდა ჯერ მოშუშებული, დასავლეთ საქართველოში იყო განდევნილი და აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსვლასაც ვერ ბედავდა, 10.000 კაცისაგან შემდგარი ლაშქარი მიეცა თავისი საშიში მტრისათვის.

თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ლიპარიტის დატყვევების შემდეგ ბაგრატი ბერძენთა მხარეზე იბრძვის თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ, მაგრამ ეს მოხდა მას შემდეგ, როცა დატყვევებული ლიპარიტი თოღრილთან გაგზავნეს, ლიხთ-იმერეთში განდევნილი ბაგრატი დიდებულებმა ლიხთ-ამერეთში გამოიყვანეს, მეფედ მიიჩნიეს და ერთმმართველი გახადეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ 10.000 მეომარში ლიპარიტთან მყოფი ბიზანტიის ლაშქარი იგულისხმება, რომელიც ანისიდან საქართველოში უნდა მოჰყოლოდა მას, არაგვის-ციხესთან ბრძოლის დროს „თანავე ჰყვეს“ და შემდეგ დვინში ბერძენთა დასახმარებლად წაიყვანა. მაგრამ ამ ლაშქარს გარდა კიდევ არის საგულვებელი ამ დროს საქართველოში ბიზანტიის ლაშქარი. კერძოდ, როგორც ნათქვამი იყო, საფიქრებელია, რომ მიწა-წყალი და ციხე-სიმაგრეები „რომელი ჰქონდა დავით კურაპალატსა ტაოსთა, ბასიანს კოლა-არტანთა და ჯავახეთს“ და 1021—1022 წლების ბრძოლების დროს მიიტაცა ბიზანტიამ, არ შეეძლო საკეისროს მეციხოვნე ლაშქრის გარეშე დაეტოვებია. ბიზანტიის ინტერესები და მისი პოლიტიკური მდგომარეობა მოითხოვდა, რომ მას აქ ახლა ლაშქარი ჰყოლოდა, რომლის საბოლოოდ განდევნა და ციხე-სიმაგრეების განთავისუფლება, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გიორგი II მმართველობის დროს შეძლო მხოლოდ საქართველომ. ამრიგად, ზემოაღნიშნული 10.000 კაცისაგან შემდგარი სამეფო ლაშქარი ბიზანტიის ლაშქარი უნდა იყოს და არ შეიძლება ის საქართველოს მეფის ხელისუფლების ლაშქრად ვიგულისხმოთ[25].

1048—1050 წლებში ბიზანტიას მეტად რთული პოლიტიკური მდგომარეობა ჰქონდა. აღმოსავლეთიდან თურქ-სელჩუკები

---

[25] იხილეთ ამ საკითხზე აგრეთვე ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის წარსულიდან, 1962, გვ. 167—168.

ესხმოდნენ თავს, ხოლო ჩრდილოეთიდან პაჭანიკები ანადგურებდნენ იმპერიის განაპირა რაიონებს. 1048 წელს, ე. ი. იმავე წელს, როდესაც ბიზანტიის ლაშქარმა კარინისის ველზე მარცხი განიცადა, პაჭანიკთა უზარმაზარმა ლაშქარმა (ცედრენეს გადმოცემით, თითქოს 800.000 კაცმა)[26] ტირახის მეთაურობით დუნაი [illegible] ბიზანტიის ქვეშევრდომ ბულგართა ქვეყანას შეესია. [illegible] საიმპერიო ხელისუფლებამ შეძლო მტრის დამარცხება და ტყვედ წამოყვანილი თუ გადმობირებული პაჭანიკების გამოყენებაც კი სცადა აღმოსავლეთის ფრონტებზე, მაგრამ იმედი არ გაუმართლდა: 15 ათასი კაცისაგან შემდგარი პაჭანიკთა ცხენოსანი ლაშქარი, რომელიც კონსტანტინე მონომახის ხელისუფლებამ აღმოსავლეთის ფრონტზე გაგზავნა, ქ. დამასტრიასთან მივიდა და იქ აჯანყდა. მომთაბარე ცხენოსნებმა ბოსფორზე გასცურეს და თვისტომ პაჭანიკებთან შეერთების შემდეგ იმპერიის საზღვრებში თარეში დაიწყეს.

1049 წელს პაჭანიკთა წინააღმდეგ გაგზავნილი კეისრის ლაშქარი სასტიკად დამარცხდა და მისმა სარდალმა ნიკიფორე საჭურისმა გაქცევით უშველა თავს. ამის შემდეგ პაჭანიკებმა თავისუფლად მიჰყვეს ხელი იმპერიის პროვინციებისა და განსაკუთრებით მაკედონიის ძარცვას. 1050 წლის 8 ივლისს კი პაჭანიკები ადრიანოპოლთან გამოჩნდნენ, სადაც მწვავე ბრძოლაში ბიზანტიელები კვლავ დამარცხდნენ. თუმცა, იმპერიის დამხმარე ლაშქრის მიახლოების გაგებაზე პაჭანიკები დაიფანტნენ და გამარჯვება ბოლომდე ვერ მიიყვანეს, მაგრამ მაკედონიასა და თრაკიას შეესიენ და ამ ქვეყნებს დაუწყეს რბევა. ამავე დროს, ზოგიერთი მათი ცხენოსანი რაზმი კონსტანტინეპოლის მისადგომებთანაც კი აღმოჩნდა.

საფრთხეში ჩავარდნილმა საიმპერიო ხელისუფლებამ ყოველგვარი ზომები მიიღო პაჭანიკთა წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ იმპერიას აღმოსავლეთშიც ძლიერ ჰქონდა გართულებული მდგომარეობა, იძულებული გახდა აქედანაც გაეწვია სამხედრო ძალები. ნიკიფორე ვრიენოსისა და მიხეილ პატრიკის მეთაურობით მოწყობილი ექსპედიციის დროს ბიზანტიელებმა დიდად ავნეს პაჭანიკებს, მაგრამ საბოლოოდ მათი დამარცხება-დამორჩილება საკეისროდ მაშინ ვერ შეძლო და ბოლოს კეისრის ხელისუფლება იძულებული გახდა საკითხი შეთანხმებით მოეგვარებია, რაც საიმ-

---

[26] Труды В. Г. Василевского, т. I, зз. 12.

პერიო ხელისუფლებას ძვირად დაუჯდა, მაგრამ დროებით საქანიკ-
თა თარეშის შეწყვეტას მიაღწია.

უკეთესი მდგომარეობა, როგორც ნათქვამი იყო, აღმო-
სავლეთში ჰქონდა ბიზანტიას. სელჩუკები სწრაფად ძლიერდებო-
ნენ და იმპერიის საფრთხეც იზრდებოდა. ღაზნის მმართველის,
მასუდის მომდევნო სულტნის მავდუდის ენერგიული ცდა, წაერთ-
მია სელჩუკებისათვის ხორასანი, მარცხით დამთავრდა. მაგრამ
მავდუდიმ ბრძოლა მაინც განაგრძო და სამხედრო კავშირი შეკრა
ინდოეთის მეფესთან, თურქესტანსა და სხვა მეზობელ მხარეებთან.
1049—1050 წწ. იგი უზარმაზარი ლაშქრით ხორასნისაკენ გაემარ-
თა, მაგრამ გზაზე ავად გახდა, ღაზნაში დაბრუნდა და იქ გარდაიც-
ვალა. ამრიგად, ღაზნეველთა მიერ თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ
მოწყობილი ბრძოლის ეს ორგანიზაციაც ჩაიშალა და ამიერიდან
სელჩუკებს მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ მთავარი ყურადღება
დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, ბიზან-
ტიის საზღვრებისაკენ გადაეტანათ.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა საქართველოს მიმართ საკეის-
როს აქტივობის შენელება გამოიწვია. ბიზანტიას აღარ ეცალა
ახლა საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად და ეს საკითხი
დროებით გადადო, მაგრამ პოლიტიკური მდგომარეობის ცოტად
თუ ბევრად გამოსწორების შემდეგ ისევ შეეცდება მის განახლე-
ბას. „ქართლის მატიანის" ავტორის გადმოცემით, როდესაც ლიპა-
რიტი კეისრის მოწერილობის თანახმად ბიზანტიელთა დასახმარებ-
ლად გაემართა და საქართველოდან ლაშქარიც გაიყვანა, ბაგრა-
ტის ხელისუფლებას დასავლეთიდან აღმოსავლეთში გადმოსვლის
შესაძლებლობა მიეცა: „დიდებულთა ამის სამეფოსათა და შვილთა
ლიპარიტისთა, ივანე და ნიანია, იძებნეს უშიშოება და გამოიყ-
ვანეს მეფე მეფედ (ე.ი. ბაგრატი — ვ. კ.) და კუალად მოირჭუნა და
შეიპყრნა შვილნი ლიპარიტისნი: აიღო უფლისციხე და გამოუშუა
იოანე"[27]. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ლიპარიტის მეო-
რე ვაჟი „ნიანია ალბათ მძევლად შეუნახავს"[28] მეფეს.

საქართველოს შინაგანი რეაქციული ძალების მეთაურის, ლი-
პარიტის დატყვევებით საქართველოს მეფის ხელისუფლებამ საში-
ში მტერი მოიცილა, მაგრამ ბიზანტიამ ძლიერი მოკავშირე დაკარგა.

---

[27] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 302.
[28] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 145.

თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში დამარცხებამ ბიზანტიის ხელისუფლება აიძულა საქართველოსთან საერთო ენის გამონახვისათვის ეზრუნა. თუმცა, როგორც ნათქვამი იყო, ჩანს, მას დროებით სურდა საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმება, რათა თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენებინა ივანე ხელადი. მაგრამ დეგ ისევ განეგრძო მასთან მტრული დამოკიდებულება. მაგრამ პოლიტიკური მდგომარეობის შემდგომმა გართულებამ განაზრახის შესრულების საშუალება არ მისცა ბიზანტიის მთავრობას.

როგორც ჩანს, ხანგრძლივი ბრძოლით თავმობეზრებულს, საქართველოს ხელისუფლებასაც სურდა ბიზანტიასთან საერთო ენის გამონახვა. ამიტომ მან დახმარება აღმოუჩინა საკეისროს სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთანავე უკანასკნელთა წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს ინტერესებშიც შედიოდა.

1048 წელს კარინისის ველზე ბრძოლით არ დამთავრებულა თურქ-სელჩუკთა შემოსევები. ერთი წლის შემდეგ ისინი კვლავ შემოიჭრნენ იბერიის თემში, მოარბიეს ვრცელი ტერიტორია და, როგორც ნათქვამი იყო, მიწასთან გაასწორეს ცნობილი სავაჭრო ცენტრი და ძლიერი ქალაქი არცნი, რომლის მცხოვრებთა ნაწილი «перебралась в соседний город Карин, с этих пор получивший название Арзрум, т. е. «Арцна румов» (греков)»[29].

როგორც ჩანს, სწორედ თურქთა ამ ლაშქრობის დროს გახდა იძულებული ბიზანტიის ხელისუფლება დახმარება ეთხოვა საქართველოსათვის. მემატიანის ცნობით, თურქ-სელჩუკებს „წასაღებელად მიეწურა განძა. გამოგზავნა თავისა ნაცვლად ბერძენთა მეფემან ლიხტური ლაშქრითა დიდითა, და აწვეს ბაგრატ ყოვლითა ლაშქრითა მისითა, და წაჰყვა თანა“[30].

როცა ბიზანტიას აღმოსავლეთიდან დიდი საფრთხე ემუქრებოდა, სელჩუკი მბრძანებლების — თოღრილ-ბეგისა და მისი ძმის, იბრაგიმს შორის «вспыхнула усобица, окончавшаяся поражением Ибрагима в 1049—1050 гг.».[30ა] იქნებ ამ გარემოებამ გარკვეული როლი შეასრულა იმაში, რომ თურქებმა განძასთან ბრძოლა ვერ გაუმართეს მოწინააღმდეგეს.

ჩანს, განძასთან მყოფი თურქთა ლაშქარი მრავალრიცხოვანი არ იყო, ამიტომ ბერძნებისა და ქართველების გაერთიანებული

---

[29] История армянского народа, I, 1951, გვ. 153.

[30] „ქართლის მატიანე“, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 302.

[30ა] Ф. И. Успенский. Движение народов...გვ. 15.

ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლა მიზანშეუწონლად ჩათვალეს „და მორიდეს თურქთა“[31], ხოლო ბიზანტიელებმა „დაირჩინეს განძისა ქუეყანა“[32].

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიის იმპერიას ბიზანტიელებმა გაძლიერებისა და პაჭანიკთა თავდასხმების გამო უდიდესი საფრთხე ელოდა, საქართველოს მიმართ მტრულ დამოკიდებულებას მაინც არ ცვლიდა და თვალყურს ადევნებდა საქართველოს გაძლიერებისაკენ მიმართულ ყოველგვარ ნაბიჯს, როგორც მიუღებელს საკეისროსათვის.

თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც მოკავშირე, ბაგრატ მეფე უფრო გამოადგებოდა ბიზანტიას, ვიდრე ლიპარიტი, მაგრამ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში მას ლიპარიტის მსგავსი მოკავშირე არ ჰყავდა, და სწორედ ამიტომ კეისარმა ყოველგვარი ზომები მიიღო ლიპარიტის ტყვეობიდან გამოსახსნელად.

ბიზანტიის მოუცლელობითა და მისი მოკავშირის, ლიპარიტ ბალავშის საქართველოში არყოფნით ახლაც ისარგებლა ბაგრატის ხელისუფლებამ და ქვეყნის შემომტკიცებას შეუდგა, კვლავ გახდა შესაძლებელი საქართველოს მეფის ხელისუფლებას ქ. თბილისი ჩაებარებია.

„ქართლის მატიანის“ ავტორის გადმოცემით, განძიდან ქართველთა ლაშქრის დაბრუნების შემდეგ, „უკმეს ტფილელთა და მისცეს ტფილისი ბაგრატს, და შეიყვანეს შინა. და იყო სიხარული და მშვდობა დიდი“[33].

ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებას საბოლოოდ მაშინ დაეკარგა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის მადა, როცა თურქ-სელჩუკთა იერიშებმა ბიზანტიის წინააღმდეგ თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია და მარცხის გამოსწორება შეუძლებელი გახდა. ჯერჯერობით კი კეისარი ვერ შეეგუა იმ აზრს, რომ საქართველოს მიმართ წინანდელ განზრახვაზე ხელი აეღო. ამიტომ იყო, რომ კონსტანტინე მონომახმა ენერგიულად დაიწყო ზრუნვა ლიპარიტის გამოსახსნელად.

ამასთანავე, როცა კეისარი ლიპარიტის გამოხსნაზე ზრუნავდა, თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგაც ფიქრობდა ალბათ მის გამოყენებას. მაგრამ ლიპარიტის გამოხსნის მთავარი მიზანი მაინც საქართველოს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა იყო. მარტო

---

31 „ქართლის მატიანე“, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 302.

32 იქვე.

33 იქვე.

თურქთა წინააღმდეგ ლიპარიტის გამოყენების მიზანი რომ ჰქონო-და კეისრის ამ ზრუნვას, მაშინ შეიძლებოდა გაუმართლებლად მიგვეჩნია კონსტანტინე მონომახის ეს ღონისძიება. კეისარმა ლიპა-რიტის დატყვევების შემდეგ ხომ უფრო ძლიერი მოკავშირეობა [illegible] ყენა მხარში საქართველოს სამეფო ხელისუფლებისა [illegible] თა წინააღმდეგ.

გიორგი კედრენეს გადმოცემით, როდესაც იმპერატორმა ლი-პარიტის ტყვედ წაყვანის ამბავი გაიგო, მან არონ ვესტის მდივანი, გიორგი დროზე გაგზავნა სულთანთან და ძვირფასი საჩუქრები გა-ატანა თან, რათა გამოეხსნა ლიპარიტი[34].

სულთანმა კეისრის ელჩები მიიღო და გამოსასყიდი ქონებაც მიითვალა, მაგრამ ლიპარიტს განთავისუფლების პირობად მაჰმა-დიანობის მიღება მოსთხოვა. სომეხი ისტორიკოსის, ვარდანის გადმოცემით, ლიპარიტმა უარყო სულთნის წინადადება, მაგრამ თურქთა მბრძანებელმა მაინც გაათავისუფლა ის და, როგორც კედრენე გადმოგვცემს, გააფრთხილა, ასეთი სიკეთე დაემახსოვ-რებინა და ხელი აეღო თურქთა მტრობაზე[35].

თოღრილ-ბეგის მიერ ლიპარიტის განთავისუფლების ფაქტი და ლიპარიტისა და თურქთა შემდგომი ურთიერთობის შესახებ არსებული ცნობები გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ლიპა-რიტმა სულთანს ერთგულების პირობა მისცა.

მათე ედესელის (ურჰაელის) სიტყვით, ლიპარიტი სულთან თოღრილ-ბეგთან ტყვეობაში ორ წელიწადს ყოფილა[36] და „რო-გორც სინას მთის მონასტრის ერთ ქართულ ხელნაწერის... მინაწე-რითგან ჩანს, — წერდა ივ. ჯავახიშვილი,—ლიპარიტი ტყვეო-ბითგან 1051 წელს განთავისუფლებულა: „კ᾽ე ოკმელი სახელით ოდენ ხუცესი“ თავის მინაწერში ამბობს სახელდობრ: სინას მთის ქართველთა მონასტერში მე „მოვიწიე ქორონიკონსა ს᾽ოა (1051 წ. — ვ. კ.), მას ჟამსა დავწერე ესე, ოდეს ლიპარიტ თორქთა გაუშვესო“[37].

როგორც გიორგი კედრენესა და არისტარქე ლასტივერტელის ცნობებს გავეცანით, ბრძოლა, რომლის დროსაც ლიპარიტი დაატ-

---

[34] გეორგიკა, V, გვ. 78.

[35] იქვე.

[36] Chronique de Matthieu d'Édesse (962—1136), avec la continuation de Grégoire le Prêtre, jusqu'en 1152, traduits en français, M. Edouard Dulaurier, Paris, 1858, გვ. 88.

[37] ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 146.

ყველეს „1048 წელს ენკენისთვეში მომხდარა“. თ. ჟორდანია კი აღნიშნავს, რომ „1050 წლის დამდეგს ლიპარიტი ბერძნებს ძალეულებია და დიდს ორდრორის ომში თათრებს ტყვედ წაუყვანათ“[38], ხოლო მისი განთავისუფლება და საქართველოში მოსვლა ამავე —1050 წელს მოხდაო[39].

ვინაიდან გიორგი კედრენესა და არისტაკეს ლასტივერტელის ცნობები და ზემოთ აღნიშნული ვინმე „კ ̇ ე ოკმელის“ მინაწერი ერთიმეორეს უახლოვდება, ჩვენც ეს მიგვაჩნია უფრო სარწმუნოდ. ისე როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, კარინისის ველზე ბრძოლისა და ლიპარიტის დატყვევების თარიღი 1048 წლის სექტემბრის (ახლით — ოქტომბრის) თვე უნდა იყოს, ხოლო განთავისუფლებისა — 1051 წელი.

თ. ჟორდანიას შეცდომა იმითაც არის გამოწვეული, რომ, როგორც აღნიშნული იყო, მას წინა წლებში მომხდარი მოვლენები: ლიპარიტის პირველი აჯანყება და უკანასკნელისა და ბერძნების ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ, ანისის გადაცემა საქართველოს მეფის ხელისუფლებისათვის და ყოველივე ის, რაც 1045 წელსა და უფრო ადრეც მოხდა, 1048 წელს გადმოაქვს[40], ხოლო 1048 წელს მომხდარი ამბები — მომდევნო წლებში.

§ 15. კეისარი შემარიგებლის როლში

ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების მიერ ტყვეობიდან გამოსყიდული ლიპარიტი, ქართველი მემატიანის გადმოცემით, „შემოვიდა ანისს“. ამის გამგებმა ბაგრატ მეფემ „დააგდო... ტფილისი ლიპარიტის გზით, აღმოვლო ქართლი და მოვიდა ჯავახეთს. განძლიერდა ლიპარიტ, რამეთუ მსახურებისათჳს ბერძენთა მეფისა ტყუე-ქმნილი იყო. წარვიდა საბერძნეთს და ნახა ბერძენთა მეფე და მოირთო ბერძენთა მეფისაგან ძალი. და ვერღარა დაუდგა ბაგრატ“[41].

საქართველოს მეფის ხელისუფლების მიერ თბილისის მიტო-

---

[38] ქრონიკები, I, გვ. 196.

[39] ი ქ ვ ე.

[40] ი ქ ვ ე, გვ. 196—198.

[41] „ქართლის მატიანე“, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 303.

ვება და ჯავახეთში გადასვლა შეუძლებელია იმით ავხსნათ, რომ ის ლიპარიტსა და მის მომხრე ზოგიერთ ქართველ აზნაურს შეუშინდა. როგორც ვიცით, საქართველოს სამეფო ხელისუფლებას ამ დროს, შედარებით, ქვეყანა შემომტკიცებული ჰქონდა, ლიპარიტს ადგილ-სამყოფელიც აღარ გააჩნდა საქართველოში და მომხრე ძალების თავისუფლად შეგროვების საშუალებაც ექნებოდა. მაშ, რას შეუშინდა საქართველოს ხელისუფლება, როდესაც მან თბილისი „დააგდო" და ჯავახეთში გადავიდა? ეჭვი გარეშე, აქაც ბიზანტია არის დამნაშავე. როგორც ქართველი მემატიანის ზემოთ მოტანილი ცნობიდან და აგრეთვე მათე ედესელის გადმოცემით[42] ჩანს, ტყვეობიდან განთავისუფლებული და ანისში მოსული ლიპარიტი საქართველოსაკენ კი არ აგრძელებს გზას, კეისართან მიდის და იმპერატორი ლაშქარს აძლევს მას საქართველოს წინააღმდეგ. სწორედ ამას მოელოდა საქართველოს ხელისუფლება და ამიტომ გაეშურა ის სამხრეთ-დასავლეთისაკენ. სომეხი ისტორიკოსი ვარდანი გარკვევით გადმოგვცემს, რომ „რადგან იმპერატორმა მოითხოვა ლიპარიტი, უკანასკნელი წავიდა მასთან, წამოიყვანა მისგან ლაშქარი და იბერიაში დაბრუნდა"[43].

ზემოთ გამოთქვით მოსაზრება, რომ განთავისუფლების პირობად შესაძლებელია ერთგულება აღუთქვა ლიპარიტმა თურქ-სელჩუკთა მბრძანებელს, რასაც ბიზანტიის ხელისუფლებასა და ლიპარიტს შორის არსებულ ძველს ურთიერთობაზე გავლენა უნდა მოეხდინა. მაგრამ რამდენადაც საკეისროს მიზანი — საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლისა — უცვლელი რჩებოდა, კონსტანტინე მონომახმა ლიპარიტი სიამოვნებით მიიღო და ლაშქარიც კი მისცა.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი ცნობებიდან ნათელი ხდება ბიზანტიის ლაშქრის საქართველოში ლიპარიტ ბაღვაშთან რამდენჯერმე მოსვლის, აქ ყოფნის ხანგრძლიობისა და აქედან წასვლის პროცესი: პირველად 1042 წელს მოდის, როცა ლიპარიტმა დემეტრე უფლისწული მოიყვანა „ბერძენთა მეფისა ლაშქრითა". ეს ლაშქარი დაახლოებით ერთნახევარი წელი იყო საქართველოში და 1043 წელს „წარვიდეს ბერძენნი საბერძნეთად და წარიტანეს დემეტრე თანა"; მეორედ — 1045 წლის დამლევს ლიპარიტს ანისიდან მოჰყავს ბიზანტიის ლაშქარი, რომელიც 1048 წელს გადის საქარ-

---

[42] Chronique de Matthieu d'Edesse, გვ. 88.

[43] Всеобщая история, გვ. 125.

თველოდან, როცა „წარვიდა ლიპარიტ შუელად ბერძენთა“ უკანასკნელად — 1051 წელს, როცა ლიპარიტი ტყვეობიდან [illegible] და „მოირთო ბერძენთა მეფისაგან ძალი“[44].

საქართველოს ხელისუფლებას, რომელსაც [illegible] ბიზანტიისა და მისი მოკავშირე ლიპარიტ [illegible] საქართველოს სამეფო კარისადმი, არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია მოსალოდნელი საფრთხისათვის და მტერს ჯავახეთში მიეგება.

ბიზანტიამ და მისმა მოკავშირეებმა, საქართველოს რეაქციულმა ძალებმა, კვლავ გააჩაღეს ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ.

სამწუხაროდ, ბრძოლის იმ რთულსა და მწვავე მომენტებზე, რაც ბიზანტიელებისა და ლიპარიტის აღმოსავლეთ საქართველოში შემოჭრას უნდა მოჰყოლოდა შედეგად, მეტად ძუნწი და ბუნდოვანი ცნობები გვაქვს შემონახული.

სომეხი ისტორიკოსი ვარდანი გადმოგვცემს, რომ ბერძენთა ლაშქრის თანხლებით საქართველოში მოსულმა ლიპარიტმა „შეიპყრო ბაგრატ მეფე, გაგზავნა იმპერატორთან და თვითონ დაეუფლა მხარეს“[45].

ვარდანის ეს ცნობა ქართული წყაროებით არ დასტურდება. მართალია, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებამ მიაღწია იმას, რომ საქართველოს მეფე კონსტანტინეპოლში მიიყვანა, მაგრამ პატიმრის სახით კი არ გაუგზავნიათ იგი ბიზანტიაში, აიძულეს თვითონ წასულიყო. ქართველი მემატიანის გადმოცემით, მიიღო რა ლიპარიტმა „ბერძენთა მეფისაგან ძალი“, საქართველოში მოსულს „ვერღარა დაუდგა ბაგრატ“[46].

ცხადია, ბაგრატ მეფე იმიტომ „ვერღარა დაუდგა“ ლიპარიტს, რომ უკანასკნელი ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების ძალებით იყო გამაგრებული. ამიტომ ვერ დავეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ „ბაგრატ მეფეს ისედაც (ე. ი. ბიზანტიის დახმარების გარეშეც — ვ. კ.) წინააღმდეგობა ვერ გაეწია ლიპარიტისათვისო“[47].

ლიპარიტსა და მის ქართველ მომხრეებს რომ დამოუკიდებლად შეძლებოდათ საქართველოს მეფის ხელისუფლებისა და მისი მომ-

---

[44] ბიზანტიის ლაშქრის ამ მოძრაობაში არ იგულისხმება 3000 რუსვარიაგი.

[45] Всеобщая история, გვ. 125.

[46] „ქართლის მატიანე“, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 303.

[47] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 146.

ხრე ძალების დამარცხება, მაშინ ისინი ასე დიდად არ შეიწუხებდნენ თავს საქართველოს საგარეო მტერთან, ბიზანტიასთან ალიანსის დასამყარებლად. ხანგრძლივი ბრძოლა, მეფის ხელისუფლებასა და ლიპარიტის მომხრე ძალებს შორის რომ მიმდინარეობდა საქართველოში, ხშირად პირველის დამარცხებით [illegible] მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ლიპარიტთან [illegible] რი დამხმარე ლაშქარი არ ყოფილიყო.

საქართველოს შინაგანი ძალებიდან უმრავლესობა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობასა და დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლას უჭერდა მხარს. დიდ აზნაურთა შორის შუღლი და მტრობაც უკანასკნელთა გარკვეულ ნაწილს ამ უმრავლესობის მხარეზე აყენებდა. ამიტომ იყო, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ლიპარიტი და მისი მომხრე დასი მანამდე აწარმოებდა ბრძოლას საქართველოს მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ, სანამ ბიზანტია ეხმარებოდა მას; მოაკლდა ბიზანტიის დახმარება და დამარცხდა კიდეც.

წყაროებში არ ჩანს, სად და როგორ შეხვდნენ მტერს თბილისიდან ჯავახეთში გადასული საქართველოს თავდაცვისათვის მებრძოლი ძალები, რა წინააღმდეგობა გაუწიეს მას და სხვა. როგორც ჩანს, ტყვეობიდან დაბრუნებისთანავე, ბერძენთა დახმარებით, ლიპარიტს არამცთუ აღუდგენია თავისი ძველი მდგომარეობა საქართველოში, არამედ მეტიც შეუძენია: მთელი აღმოსავლეთი საქართველო, მისი სამხრეთ-დასავლეთის რაიონებით მიუტაცებია და სამეფო ხელისუფლების ბევრი მომხრე დასავლეთ საქართველოში განუდევნია.

ხანგრძლივი და მწვავე ბრძოლის შემდეგ საქართველოს შინაგანმა და საგარეო მტრებმა იძულებული გახადეს ბაგრატ IV ბიზანტიასთან დამოკიდებულებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის კურსი ერთხელ კიდევ შეეცვალა. მან თავისი მცირეწლოვანი ვაჟი გიორგი „დაუტევა ქუთათისს მეფედ სამეფოს ზედა აფხაზეთისასა“[48] და თვით კონსტანტინეპოლში წავიდა. ეს იყო ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად ბიზანტიისა და მისი მოკავშირეების მიერ მიღწეული უდიდესი გამარჯვება.

კონსტანტინეპოლში ბაგრატის ამ გამგზავრების შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ბაგრატმა, ბიზანტიაში გამგზავრებამდე, თავისი

---

[48] „ქართლის მატიანე“, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 303.

შვილი გიორგი მთელ საქართველოს, ქართლისა, მესხეთისა და აფხაზეთის მეფედ კი არ დასვა, არამედ მარტო „სამეფოსა ზერა აფხაზეთისასა“. როგორც ჩანს, ქართლი და მესხეთი ლიპარიტმა ვერ-რია და ბაგრატს იქ ხელი არ მიუწვდებოდა“[49].

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდის უნდა წასულიყო ბაგრატი ბიზანტიაში? ქართველი მატიანე გადმოგვცემს, რომ როცა ბაგრატი კონსტანტინეპოლში მივიდა „მას ჟამსა იყო ბერძენთა მეფე კონსტანტინე მონომახი“[50]. უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, 1054 წელს გარდაიცვალა და, ამრიგად, ბაგრატის კონსტანტინეპოლში მისვლა 1054 წელზე უფრო გვიან არაა საგულვებელი.

ბაგრატი რომ კონსტანტინე მონომახის მეფობის დროს არის მისული კონსტანტინეპოლში, ეს ალავერდის სახარების მინაწერიდანაც დასტურდება. იქ ნათქვამია: „დაიწერა კალიპპოს, ლავრასა წ᾽ისა ღ᾽თისმშობლისასა, მეფობასა კონსტანტი მონომახისასა... და ბაგრატი აფხაზთა მეფის ნოველისიმოსისა სამეფოს ყოფასა“[51].

როგორც მოსალოდნელი იყო, ბიზანტიის კეისარმა წლობით გააჩერა ბიზანტიაში საქართველოს მეფე. ქართველი მემატიანის გადმოცემით, „ლიპარიტის სათნოთა სწრაფით ვერღარა შემოიქცა ბაგრატ თავის მამულსა ზედა, და დაყო მუნ სამი წელიწადი“[52]. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „რაკი ქართველი მემატიანე ამტკიცებს, რომ ბაგრატი საბერძნეთში 3 წელიწადს დარჩა, ხოლო მიხეილ VI სტრატიოტიკოსი 1056—1057 წ. მეფობდა, კონსტანტინე მონომახი—1054 წ. გარდაიცვალა, ამიტომ ირკვევა, რომ საბერძნეთში ბაგრატი წასულა კონსტანტინე მონომახის მეფობის უკანასკნელ წელიწადს, ანუ 1054 წ. და სამი წელიწადი დარჩენილა, ესე იგი საქართველოში 1057 წ. მიხეილ სტრატიოტიკოსის მეფობის დროს დაბრუნებულა“[53].

როგორც ქვემოთ გავეცნობით, ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლება საქართველოს მეფის ხელისუფლებისა და მისი მოწინააღმდეგე ძალების შემარიგებლის როლში გამოდის. საკეისროს მმართველი წრეების მიერ საქართველოსადმი დამოკიდებულების კურსის შეცვლა შემთხვევითი არ იყო.

---

[49] ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 146.

[50] „ქართლის მატიანე“, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 303.

[51] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 203.

[52] „ქართლის მატიანე“, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 303; შდრ. ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, გვ. 159.

[53] ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 147.

XI საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ბიზანტიის ძალა-პერიო ხელისუფლებამ შეძლო პაჭანიკთა თარეშის დროებით შენელება. ამასთანავე თურქ-სელჩუკების შინაგანი შფოთიცა და ბრძოლის გამო აღმოსავლეთიდანაც შენელდა დროებით [illegible]ვა, მაგრამ თოღრილ-ბეგმა დაამარცხა მოწინააღმდეგ[illegible] უფრო მეტი სიძლიერით განაახლა შეტევა ბიზანტიის წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა სულთანი შინაგან მოწინააღმდეგეებს სდევნიდა, კედრენეს გადმოცემით, ის იბერიაში (იგულისხმება ბიზანტიის მიერ დაპყრობილი მიწა-წყალი, იბერიის თემი) შეიჭრა, გაანადგურა და გადასწვა ყველაფერი, რაც ხელთ მოხვდა. „ამიტომ მეფემ სასწრაფოდ დაიბარა დასავლეთიდან მიხეილ აკოლუფოსი და ი ბ ე რ ი ა ში გაგზავნა. ეს რომ იქ ჩავიდა შეკრიბა ხალდიასა და იბერიაში გაფანტული ფრანგები (ბრანჯები) და ვარანგები[54]. და იჩქაროდა რამენაირად შეეფერხებინა სულტანის თავდასხმები (სულტანი აიყარა და თავრეზისაკენ წავიდა)"[55].

თურქთა ამ ლაშქრობამ უდიდესი ზიანი მიაყენა ქართულ და სომხურ რაიონებს იბერიის თემში. მტერმა მანასკერტის ციხე-სიმაგრის აღებაც სცადა, მაგრამ ვერ შეძლო: ალყა მოხსნა და პირობა მისცა თავის თავს, რომ ახალი ძალით მოვიდოდა მომდევნო წლის გაზაფხულზე[56]. სომხური წყაროების მიხედვით, ეს იყო სელჩუკების მესამე დიდი ლაშქრობა სომხეთისა და იბერიის თემის მიწა-წყალზე, რომელიც 1054 წ. მოხდა[57].

---

[54] ი. ცინცაძე ფიქრობს, რომ „შესაძლებელია ეს ის ვარიაგები იყოს, რომელნიც ლიპარიტმა თურქთა ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ კეისრისაგან მიიღო დამხმარედ და ამ ძალებზე დაყრდნობით ბაგრატი აიძულა საბერძნეთში წასულიყო" (ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, დასახ. გამოცემა, გვ. 37). მიუხედავად იმისა, რომ ლიპარიტის მიერ წამოყვანილი ეს ლაშქარი „ვარანგების" სახელით წყაროებში არ იხსენიება, ი. ცინცაძის მოსაზრება საყურადღებოა, როცა იგი „ხალდიასა და იბერიაში გაფანტულ" მოქირავე ლაშქართან ლიპარიტის კავშირს ხედავს.

[55] გეორგიკა, V, გვ. 81; შდრ. В. Г. Васильевский, Труды, I, გვ. 321.

[56] Ф. И. Успенский, История Византийской империи, III, 1948, გვ. 86—88.

[57] История армянского народа, I, 1951, გვ. 154—155.

ვ. გ. ვასილევსკი და თ. ი. უსპენსკი თურქთა ამ ლაშქრობას 1053 წლით თარიღებენ (იხ. В. Г. Васильевский, Труды, т. I, გვ. 321; Ф. И. Успенский, История Византийской империи, III, 1948, გვ. 86—87).

ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებამ სომხეთისა და საქართველების მიმართ 1053 წელს კიდევ ერთი შემავიწროებელი ღონისძიება ჩაატარა. გიორგი კედრენეს გადმოცემით, [illegible] კონსტანტინე მონომახი „აშენებდა დიდი მოწამ[illegible] სახელობის ეგრეთწოდებულ მანგანის მონასტერს და უხვად ხარჯავდა ამ მშენებლობისათვის სახელმწიფო ფულებს... ისეთ გაჭირვებაში ჩავარდა, რომ ამის გამო ყოველგვარ მევახშეობას მიმართავდა და უმართებულო და გამოგონილ გადასახადებს ადებდა ხალხს; ჩააყენა უღვთო და უწმინდური გადასახადის ამკრეფლები და მათი მეშვეობით აგროვებდა ფულს უსამართლო წყაროებიდან. დაშალა აგრეთვე იბერიული ჯარი, დაახლოებით ორმოცდაათი ათასი კაცისაგან შემდგარი, ლეონტი სერვლიას მეშვეობით, და ნაცვლად ჯარისკაცებისა ამ (იბერიის) მხარეებიდან დიდძალს გადასახადებს კრეფდა“[58].

აღმოსავლეთის პროვინციების და, კერძოდ, იბერიის თემის შესახებ გიორგი კედრენე წერდა: „განუწყვეტელი თავდასხმებისა და ძარცვა-გლეჯის გამო ყველაფერი ნადგურდებოდა. ამიტომ იბე-

---

[58] გეორგიკა, V, დასახ. გამოცემა, გვ. 81—82.

აღნიშნულ ცნობაში ნაჩვენები „იბერია“ თ. ი. უსპენსკის, ჩანს, საქარ თველოდ მიუჩნევია და წერდა: «Следует вспомнить известие писателей Скилици и Глика, что Грузия содержала прежде 50 тысяч войска с целью защиты против азиатских хищников, но что Мономах переложил эту натуральную повинность на денежную и тем лишил восточную границу империи самой крепкой защиты» (История Византийской империи, III, 1948, გვ. 85—86).

სამწუხაროდ, უსპენსკის ეს შეცდომა განმეორებულია ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემულ ბიზანტიის ისტორიის II ტომში (პასუხისმგებელი რედაქტორი დ. ს. სკაზკინი, ტომის რედაქტორი ა. პ. კაჟდანი, ავტორი გ. ლიტავრინი). იქ ნათქვამია: «Константин распустил 50-тысячное грузинское войско, приказав, чтобы поступавшие раннее в качестве опсиния воинам налоги с нескольких областей передавались теперь в казну» (История Византии, II, 1967, გვ. 270).

საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ კედრენეს ზემოაღნიშნული ცნობა ეხება იბერიის თემს, ამ თემის ხარჯზე შედგენილ ლაშქარს, რომელიც არა ერთხელ გამოუყენებია ბიზანტიას საქართველოს წინააღმდეგაც. კონსტანტინე მონომახის მეფობის ხანაში (1042—1055) და საერთოდ XI საუკუნეში, როგორც ნათქვამი იყო, საქართველოს მოსახლეობა არაფერს იხდიდა ბიზანტიის სასარგებლოდ. არც 50 ათასიან ლაშქარს ინახავდა ის და არც ამ რაოდენობის ქართველთა ლაშქარს იცნობს ისტორია ბიზანტიის სამსახურში საქართველოს ტერიტორიაზე.

რიის მდიდარი ქვეყანაც, რომელმაც უკვე წინათაც განიცადა რბევა და დასუსტებული იყო, საბოლოოდ დაეცა და განადგურდა"[59].

იბერთა ლაშქრის განთავისუფლებისა და ჯარისკაცების მაგვ-
რად დაპყრობილ სომხებისა და ქართველებისათვის ფულადი
სახადის დაკისრების მიზეზი შეუძლებელია მარტო ი
რითაც ბიზანტიელი ისტორიკოსი ხსნის. საიმპერიო ხელისუფლება
არც ისე წინდაუხედავი იყო, რომ, როცა მას ძლიერი და საშიში
მტერი თურქ-სელჩუკთა სახით კარზე ჰყავდა მომდგარი და სწორედ
იბერიისა და ვასპურაკანის თემებში იყო შემოჭრილი, ეკლესია-
მონასტრებისათვის მიექცია ყურადღება და მანგანის მონასტრის
აგების ინტერესებზე აღმოსავლეთის ფრონტის ბედ-იღბალი გაეცვალა.

ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებას დაპყრობილი ქვეყნების განწყობილების მტრის მიერ გამოყენების შიშით არა ერთხელ მიუმართავს ადგილობრივ მცხოვრებთა ხარჯზე შემდგარი ლაშქრის შემცირებისა და ცენტრალური ხელისუფლების განკარგულებაში მყოფი დაქირავებული ლაშქრის გადიდების მეთოდისათვის.

ახლა, როდესაც იბერიის თემში შემავალი სომეხი და ქართველი მოსახლეობის ბიზანტიისადმი მტრული განწყობა უკანასკნელისათვის გასაგები იყო, ხოლო თურქ-სელჩუკთა მომძლავრების გამო საკეისროს აღმოსავლეთის საზღვრებზე უჭირდა, საიმპერიო ხელისუფლების მიერ იბერთა ლაშქრის დაშლა-დათხოვნა უფრო ბუნებრივი იქნებოდა ბიზანტიის მიერ ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის უნდობლობით აგვეხსნა.

იმის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად სანდო იყვნენ იბერიელები ბიზანტიელებისათვის, ერთი საყურადღებო დეტალი გიორგი კედრენეს ნაშრომშია შემონახული. იქ ვკითხულობთ, რომ კონსტანტინე მონომახმა თურქთა წინააღმდეგ ლაშქარი გაგზავნა. სარდლებს შორის მსჯელობა გაიმართა ხელსაყრელი სტრატეგიული ადგილის ამორჩევის შესახებ, პატრიკიოსი კონსტანტინე მათ იბერიისაკენ მიუძღვებოდა, მაგრამ სხვებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, არავითარ შემთხვევაში იბერიაში მისვლა არ შეიძლებაო, ვინაიდან იქ „მტრებად თვლიან არა მარტო რომაელთა მტრებს, არამედ თვით რომაელებსაცო"[60].

საკეისრო, რომელმაც სომხეთის პოლიტიკური ერთეულებისა და სამხრეთი ტაოს დამოუკიდებლობის მოშლით თავისი ხელით

---

[59] გეორგიკა, V, გვ. 82.

[60] იქვე, გვ. 80.

დაანგრია აღმოსავლეთიდან წამოსული ბარბაროსების შემაკავებელი ბარიერი, ახლა სხვადასხვა ხერხით ცდილობს მდგომარეობის გამოსწორებას, გულის მოგების მიზნით ხან ეფრიზნუალიდებს ადგილობრივ მმართველებს, ხან უნდობლობას ...

ბიზანტიის მომხრე ელემენტები, როგორც გავეცანით, მანამდეც იმყოფებოდნენ საკეისროს მიერ მიტაცებულ სომხეთისა და საქართველოს მიწა-წყალზე, სანამ მას ბიზანტია დაიპყრობდა, მაგრამ საიმპერიო ხელისუფლება მაინც არ ენდობოდა მათ და აღნიშნულ მხარეთა დაპყრობის შემდეგ ადგილობრივ მმართველებად თავის კაცებს გზავნიდა. თურქ-სელჩუკთა მომძლავრებისა და აღმოსავლეთის პროვინციებში უდიდესი საფრთხის შექმნის შემდეგ, დაპყრობილი ქვეყნების მცხოვრებთა თვალის ახვევისა და გულის მოგების მიზნით, ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლება იძულებული გახდა ძველი პოლიტიკა შეეცვალა. ახლა ის ადგილობრივ მკვიდრ სომეხ ნახარართა შორის საკეისროსათვის ყველაზე უფრო სანდო პირებს არჩევს და მმართველებად ნიშნავს.

ანისის მმართველად სომეხი, მსხვილი ნახარარი, ვინმე ბაგრატი დანიშნა, ხოლო სამხრეთ სომხეთის—ვასპურაკანისა და ტარონის ჩათვლით—მმართველად ბიზანტიის ორიენტაციის მომხრე გრიგოლ პახლავუნი. მაგრამ ისინი, როგორც ბიზანტიის აგენტები, «не пользовались авторитетом среди армянского населения»[61]. ბიზანტიის მოხელეები, რომლებსაც საკეისრო ენდობოდა, არა მარტო მშობლიური ხალხის ნება-სურვილის წინააღმდეგ მოქმედებდნენ, არამედ დაჩაგრული მწარმოებელი საზოგადოების მიერ მოწყობილ ყოველგვარ სოციალურ მოძრაობასაც სისხლში ახშობდნენ. ცნობილი თონდრაკელების[62] მოძრაობის განადგურებაში ბიზანტიის

---

[61] История армянского народа, I, 1951, გვ. 153.

[62] თონდრაკელების მოძრაობა IX ს. შუა წლებში დაიწყო. მან ეს სახელწოდება ერთ დროს სამხრეთი ტაოს მმართველის დავით III სამფლობელოში შემავალ აპაპუნიის მხარეში მდებარე დაბა თონდრაკიდან მიიღო. «Здесь начал свою проповедь виднейший из предводителей тондракитов, Смбат Зарехаванци» (А. Г. Иоаннисян, Движение тондракитов в Армении (IX—XI вв.), Вопросы истории, 1954, № 10, გვ. 101). ამ მოძრაობამ როგორც ეკლესიას, ისე ფეოდალურ წყობილებას სომხეთში საშიში მდგომარეობა შეუქმნა: «Тондракиты отрицали бессмертие души и возможность потусторонней жизни. Спасение человека они искали на земле. Здесь именно хотели они построить «царство небесное» — справедливый общественный строй, устраняющий социальный гнет и устанавливающий равенство» (იქვე, გვ. 104).

თონდრაკელების მოძრაობა ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში

ლაშქრის საშუალებით, მაგისტრმა გრიგოლ პახლავუნმა მტარვალის როლი დაიმსახურა[63].

აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციებ არა მარტო სომხეთის მიმართ აიძულებდა საიმპერიო ხელისუფლებას დამოკიდებულების სხვადასხვა გზა-ხერხი ეძებნა, [illegible] ბული იყო საქართველოს მიმართაც ძველი დამოკიდებულების კურსი ერთხელ კიდევ გადაესინჯა.

როცა ბაგრატ IV ბიზანტიის კეისრის კარზე იმყოფებოდა და საიმპერიო ხელისუფლება თავისი პოლიტიკური მდგომარეობის

მიმდინარეობდა, მათ წინააღმდეგ ბრძოლას სომხეთში სამეფო საგვარეულო — ბაგრატიდები და მსხვილი ფეოდალები უდგნენ სათავეში. ამასთანავე X საუკუნის მეორე ნახევარში სამხრეთი ტაოს მმართველს, დავით ბაგრატიონს სომხეთისა და საქართველოს ფეოდალებთან კავშირში საამიროების წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად ალბათ თონდრაკელების წინააღმდეგაც ბევრჯერ გაულაშქრია. თუმცა ისე, როგორც ერთ დროს ხურამიტები სახალიფოს მიერ დაპყრობილ აზერბაიჯანისა და სპარსეთის პროვინციაში სახალიფოს წინააღმდეგ (იხ. М. С. Иванов, Очерк истории Ирана, 1952, გვ. 38—41), თონდრაკელებიც არა ერთხელ გამოსულან ჯერ არაბ დამპყრობთა, ხოლო შემდეგ ბიზანტიის აგრესიული ძალების წინააღმდეგ.

XI საუკუნის ორმოციან წლებში, როდესაც ანისის დამოუკიდებლობის მომხრეები — ერთი მხრივ, ხოლო ბიზანტიის აგრესიის მომხრე ძალები — მეორე მხრივ, ანისში ერთიმეორეს ებრძოდნენ, გრიგოლ მაგისტროსმა «обвинял армянского царя Гагика II в том, что тот оказался бессильным побороть тондракитов» (А. Г. Иоаннисян, გვ. 107).

გარედან მოსული აგრესიული ძალები, ადგილობრივი ეკლესია და მსხვილი ფეოდალები, ყველა თონდრაკელებს ებრძოდა. ბიზანტიელმა აგრესორებმა თონდრაკელების წინააღმდეგ ბრძოლაში სომეხი ფეოდალებისა და სომხეთის ეკლესიისადმი დახმარება ამ ქვეყნის დასაპყრობად გამოიყენეს. იმოწმებს რა ას. მნაცაკანიანს: «О некоторых главных вопросах движения тондракитов» (Изв. АН Армянск. ССР, 1954, № 3), ა. გ. იოანესიანი წერს: «Интересно отметить, что... путем тщательного анализа ряда намеков Гр. Магистроса вскрывается тот важный факт, что вооруженное сопротивление, оказанное византийцам в 1045 г., собравшимся за стенами Ани, столицы ширакских Баградитов, массами горожан и сельчан, развертывалось под знаменем ереси тондракитов» (А. Г. Иоаннисян, დასახ. ნაშრომი, გვ. 108).

არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ გაგიკ II ლმობიერება თონდრაკელებისადმი, რაშიც გრიგოლ მაგისტროსი მას ბრალს სდებდა, ბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებით ყოფილიყო გამოწვეული. თუ ეს ასეა, ბაგრატ IV ანისში მიმწვევი დასის თონდრაკელებთან კავშირის შესაძლებლობაც არ უნდა იყოს გამორიცხული.

[63] История армянского народа, I, 1951, გვ. 154.

გაუმჯობესებაზე ოცნებობდა, თურქ-სელჩუკებმა, თუმცა, არა ბიზანტიის იმპერიის ხარჯზე, მაგრამ მაინც, კიდევ ერთი ფიდესი პოლიტიკური გამარჯვება მოიპოვეს: 1055 წელს ისინი სასალიფოს დედაქალაქში, ბაღდადში შეიჭრნენ, დაამხეს ბალავარ ... ლობის სათავეში მყოფი ბუიდთა დინასტია და ... უფლება. პოლიტიკურად დასუსტებული აბასიდების წარმომადგენელი ხალიფა ალ-ქაიმი იძულებული გახდა თოღრილ-ბეგის ბატონობა ეცნო. უკანასკნელმა ხალიფას ერთგულების ფიცი მისცა და სამაგიეროდ თურქთა მიერ დაპყრობილი მთელი აზიის სამფლობელოს ინვენსტიტურა მიიღო. ამ გარემოებამ ფაქტის წინაშე დააყენა ბიზანტიის იმპერია: აღმოსავლეთში საკეისროსათვის ცუდი პირობები მზადდებოდა.

იმის გამო, რომ ბიზანტიის ხელისუფლება პოლიტიკური მდგომარეობის განვითარებას უცდიდა, რომელსაც უნდა განესაზღვრა საქართველოსთან საკეისროს დამოკიდებულება, ბაგრატი სამი წლის განმავლობაში გააჩერეს კონსტანტინეპოლში. როგორც ნათქვამი იყო, ქართველი მემატიანე გვარწმუნებს, რომ „ლიპარიტის სათნოთა სწრაფით ვერღარა შემოიქცა ბაგრატ თავის მამულსა ზედა“, მაგრამ ბიზანტიის ხელისუფლება ახლა მოვლენებს ზვერავდა: არკვევდა იმას, თუ ვისი მხარის დაჭერა აჯობებდა: საქართველოს მეფის ხელისუფლებისა თუ მისი მოწინააღმდეგე ძალების? შექმნილი მდგომარეობა საიმპერიო ხელისუფლებას უფრო ძლიერისადმი მხარდაჭერას უკარნახებდა, მას ახლა ძლიერი მოკავშირე ესაჭიროებოდა და ამიტომაც საქართველოს მეფის ხელისუფლებისაკენ გადაიხარა. მაგრამ ვინაიდან თურქ-სელჩუკთა შეტევას ბიზანტიის წინააღმდეგ ჯერ კიდევ თავისი კულმინაციური წერტილისათვის ვერ მიეღწია, კეისარი დამსახურებულ მოკავშირეს მთლად ვერ ღალატობდა, პოლიტიკური ვითარების კიდევ თავის სასარგებლოდ განვითარებას უცდიდა და საქართველოს მეფის ხელისუფლებისა და რეაქციული ძალების მეთაურის, ლიპარიტის მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულების გზას ამჯობინებდა, კეისრის შუაკაცობით ბაგრატმა და ლიპარიტმა „ერთმანეთში ზავი შეკრეს იმ პირობით, რომ ბაგრატი იქნებოდა ბატონი და მთავარი მთელი იბერიისა და აბაზგიისა, ხოლო ლიპარიტი — ერთი ნაწილის, მესხეთის (τῆς Μεσχίας) მთავარი იქნებოდა სიკვდილამდე, ხოლო ბაგრატს ცნობს ბატონად და მეფედ“[64].

---

[64] გიორგი კედრენი. გეორგიკა, V, გვ. 68, შდრ.: M. Brosset, Histoire de la Géorgie, I, 1849, გვ. 324—325.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ კეისრის შუამავლობით ლიპარიტს მესხეთი ხვდა. ჩანს, ბიზანტიის ხელისუფლება კიდევ იქერს თადარიგს და იმპერიის მოსაზღვრე, საქართველოს კუთვნილი რაიონების მმართველად მაინც ერთგულ ლიპარიტს არჩევს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

§ 16. ლიპარიტ ბაღვაშის დამარცხება. საქართველოს განთავისუფლება ბიზანტიის გავლენისაგან

ლიპარიტ ბაღვაშმა, როცა ბაგრატ IV კონსტანტინეპოლში იმყოფებოდა, მცირეწლოვანი ტახტის მემკვიდრე გიორგი უფლისწული საქართველოს მეფედ აკურთხებინა, თავისი თავი მის აღმზრდელად გამოაცხადა, და, ამრიგად, ლიპარიტი საქართველოს უგვირგვინო მეფე გახდა. ბიზანტიიდან წამოსული ბაგრატ მეფე დასავლეთ საქართველოში მოვიდა. აღმოსავლეთ საქართველოში კი, სადაც ლიპარიტი იყო გაბატონებული, გადმოსვლასაც ველარ ბედავდა. ლიპარიტმა „მოირჭუნა ზემოსა კერძსა დაუკლებელად, და იყო მოყუარედ მისა ხუარასანს დოღლუბეგ სულტანი და საბერძნეთს ბერძენთა მეფე, და ზრდიდა ბაგრატის ძესა გიორგის მცირესა სახელითა მეფობისათა, ხოლო ბაგრატს აქუნდა ლიხსა ქუემოთი კერძი დაწყობით“[65].

ქართველი მემატიანის ეს ცნობა ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებასაც ადასტურებს იმის შესახებ, რომ როდესაც სულთანმა ლიპარიტი გაათავისუფლა, უკანასკნელმა ალბათ ერთგულება აღუთქვა პირველს.

როგორც აღნიშნული იყო, საქართველოს მეფე ბაგრატი კონსტანტინე მონომახის მეფობის დასასრულს მისულა ბიზანტიაში. იქ 3 წელიწადს დარჩენილა და, შემდეგ, მიხეილ სტრატიოტიკოსის მეფობის დროს უკან გამოუსტუმრებიათ. სწორედ ამ წლებში, მარტო საგარეო მტრის, თურქ-სელჩუკთა ლაშქრის თარეში და თავდასხმები როდი აწუხებდა ბიზანტიას. მას შინაგანი მდგომარეობაც არ ჰქონდა დაწყნარებული.

1056 წლის 21 აგვისტოს მაკედონელთა დინასტიის უკანასკნელი შთამომავალი თეოდორა გარდაიცვალა და საიმპერატორო კა-

---

[65] „ქართლის მატიანე“, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 304.

რის გავლენიანმა პარტიამ იმპერატორად მიხეილ სტრატეგოსი წამოაყენა. მაგრამ უკანასკნელს დიდხანს არ დასცალდა მეფობა. იმპერიის აზიური მხარის დიდმა ფეოდალებმა და სამხედრო სარდლობამ დაუყოვნებლივ დაიწყეს ბრძოლა მიხეილ VIII-ის მომხრე პარტიის წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილის ხელისუფლებას საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლისა და აქაური რეაქციული ძალების დახმარების შესაძლებლობა აღარ ჰქონდა. საქართველოს მიმართ ძველი პოლიტიკის გაგრძელება აღარც იყო ახლა ხელსაყრელი მისთვის. ამიტომ არა მარტო ბაგრატი დააბრუნა საქართველოში, არამედ, სულ მალე, ლიპარიტის დახმარებაზედაც აიღო ხელი. ამ გარემოებამ უკანასკნელის დამარცხებაში უდიდესი როლი შეასრულა.

როცა ბაგრატ მეფე დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა და აღმოსავლეთში გადმოსვლას ვერ ბედავდა, ლიპარიტის მოწინააღმდეგე აზნაურებმა ლიპარიტი და მისი შვილი ივანე შეიპყრეს, დასავლეთ საქართველოდან ბაგრატ მეფე მოიხმეს და მამა და შვილი მას გადასცეს. ხოლო ლიპარიტის მეორე შვილი ნიანია, რომელმაც კლდეკარის ციხე-სიმაგრეში შეხიზვნა განიზრახა, „არა შეუშუეს მამისა მისისა ციხოვანთა“[66] და ბიზანტიის მიერ დაპყრობილ სომხეთში გაიქცა, საიდანაც სამშობლოში დაბრუნებას ველარ ეღირსა და „მოკუდა ანისს ბერძენთა ყმობასა შინა“[67].

ჩანს, ბიზანტია ველარ ეხმარებოდა ახლა ლიპარიტს. საკეისროს ლაშქარი, რომელიც წინათ ლიპარიტს „თანავე ჰყვეს“, ველარ უმაგრებს ახლა მას ზურგს. საქართველოში კი ის უმცირესობაში აღმოჩნდა და დამარცხდა. მაგრამ „ეს არ იყო მეფის სტრატეგიული გამარჯვება“[68]. დიდი აზნაურების განდგომის საფუძველი ხელუხლებელი რჩებოდა. ის ვინც დღეს მეფეს ეხმარებოდა, შეიძლება ხვალ მეფის წინააღმდეგ გამოსულიყო. ბაგრატ IV გარდაცვალების შემდეგ, გიორგი II მეფობის დროს, ეს აშკარა და ნათელი გახდება.

„ქართლის მატიანის“ ავტორის გადმოცემით, დამარცხებულმა ლიპარიტმა „შეჰვედრა ძე თჳსი ივანე მეფესა. დარჩა არგუეთის მამული ივანეს, ეფუცა ლიპარიტ მეფესა შეუცოდლობისათჳს, და

---

[66] „ქართლის მატიანე“, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 304.

[67] ი ქ ვ ე, გვ. 305.

[68] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, 1965, გვ. 26.

გაუშუეს და წარვიდა სამეფოსა"[69]. ე. ი. საქართველოს ხელისუ-
ფლებამ მოჯანყე მამა და შვილი არ დასაჯა. ლიპარიტი გაათავისუფ-
ლა და ბიზანტიაში წასვლის საშუალება მისცა, ხოლო ივანეს მი-
სი მამულობითი სამფლობელო არგვეთი დაუტოვა. ამით
რდა ლიპარიტის პოლიტიკური მოღვაწეობა. ბერად აღკვეცილ
ათონის მთაწმიდის ქართველთა მონასტერში ანტონის სახელწო-
დებით ცნობილი ლიპარიტი ლიტერატურულ მოღვაწეობას ჰკი-
დებს ხელს.

ჩანს, ივანე ლიპარიტის ძეს არგვეთის მამული არ აკმაყოფი-
ლებდა, ის წაგებული საქმის გამოსწორებაზე ოცნებობდა და მიზ-
ნის მიღწევისათვის დახმარებას ისევ ბიზანტიის საიმპერიო ხელი-
სუფლებასთან ეძებდა. ამიტომ, ქართველი მემატიანის გადმოცე-
მით, განთავისუფლებისა და არგვეთის მამულში დაბრუნების
„შემდგომად მცირედისა ჟამისა გაიპარა და წარვიდა ივანე საბე-
რძნეთს"[70].

დამსახურებული მოკავშირის შვილი იმპერატორმა კარგად
მიიღო და ისაკ კომნენოსმა ის ჰაშტიანკისა და არშარუნიკის მმარ-
თველად დანიშნა[71]. თუმცა, როგორც ქვემოთ გავეცნობით, მან
მალე კეისრის ხელისუფლებისადმიც ორგულობა გამოიჩინა და
1059 წელს საქართველოში დაბრუნებულს ბაგრატის ხელისუფლე-
ბამ მამისეულ სამფლობელოსთან ერთად სპასალარის თანამდე-
ბობაც უბოძა.

საქართველოს მეფის ხელისუფლების ზემოთ აღნიშნული გა-
ძარჯვება, როგორც ნათქვამი იყო, სრულებითაც არ ნიშნავდა იმ-
ას, რომ ერთიანი საქართველოს მეფის ხელისუფლების გაძლიერე-
ბის მოწინააღმდეგე ძალები საბოლოოდ დამარცხდნენ. დროებით
დატუქსულ-დამარცხებულები კვლავ წამოყოფდნენ ხოლმე თავს
და მეფის მონარქიული ხელისუფლებისაკენ მიდრეკილებას ებრ-
ძოდნენ. მეფეს არც შეეძლო საბოლოოდ მოესპო იმ სოციალური
ფენის წევრთა გაძლიერების საფუძველი, რომლის პირველი წარ-
მომადგენელიც თვითონ იყო.

ლიპარიტის დამარცხების შემდეგ მეფის ხელისუფლება მისი
რანგის ფეოდალებთან აგრძელებს ბრძოლას. ყველაზე ძლიერი,
ჩანს, ძმები აბაზას ძენი იყვნენ. ერთი მათგანი 1032 წელს ქართ-

---

[69] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 305.

[70] ი ქ ვ ე.

[71] M. B r o s s e t, Additions et eclaircissement à l'histoire de la Géorgie, 1851, გვ. 220; შდრ. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, გვ. 170, დ. ბაქრაძის შენიშვნა 2.

ლის ერისთავად ჩანს და ლიპარიტთან კავშირში იბრძვის თავისი სამფლობელოს გასაფართოებლად თბილისის საამიროს ხარჯზე.

ბაგრატ მეფის მიერ აბაზას ძეების დამორჩილების შესახებ გიორგი ხუცეს-მონაზონი წერდა: როდესაც გიორგი [illegible] საქართველოში იმყოფებოდა, „მას ჟამსა იქმნა [illegible] მეფისა: ოდეს იგი შეწევნითა ღუთისათა წინა აღმდგომნი თჳსისა მეფობისანი აბაზას ძენი შეიპყრნა. რომელთათჳს ყოველთა უწყით ჭეშმარიტებით, ვითარმედ შეპყრობაჲ მეფისა ეგულებოდა. ესე კაცნი ძლიერნი და ახოვანნი, სიმდიდრესა ზედა მკლავისა თჳსისასა მოქადულნი და სიმრავლესა ზედა ერისასა აღზეებულნი“[72].

აბაზას ძეების დამარცხებით კმაყოფილი ბაგრატ მეფე გიორგი მთაწმიდელს ეუბნებოდა: მათ წინააღმდეგ „მრავალგზის ჴელმეყო და ვერ ოდეს გამემარჯუაო“[73].

ამრიგად, ბიზანტიის მიერ საქართველოს რეაქციული ძალებისადმი აქტიური დახმარების შეწყვეტამ სწრაფად გამოიღო შედეგი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების სასარგებლოდ.

ბიზანტიის იმპერიაში მოვლენები საქართველოს სასარგებლოდ ვითარდებოდა. მაკედონელთა დინასტიის უკანასკნელი მმართველების დროს სამოქალაქო ხელისუფლების მქონე დიდი მოხელეები, სენატი და ეკლესია ბატონობდნენ, რომელთაც პროვინციის სამხედრო არისტოკრატია ვერ ურიგდებოდა.

მიხეილ სტრატიოტიკოსის მაგიერ სამხედრო პარტიამ იმპერატორად თავისი კანდიდატი, მცირეაზიელი მსხვილი მიწათმფლობელი და სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენელი ისაკ კომნენოსი წამოაყენა. ამ პარტიამ პატრიარქ მიხეილ კერულლარიის დახმარებით 1057 წლის 1-ელ სექტემბერს ისაკ კომნენოსი საზეიმო ვითარებაში კონსტანტინეპოლში შეიყვანა და მას იმპერატორის ტახტი ჩააბარა. უეჭველად, პოლიტიკურ პარტიებსა და ტახტის პრეტენდენტებს შორის ბრძოლა იმპერიის ძლიერებას ასუსტებდა, ბიზანტია საქართველოსათვის თანდათან ნაკლებ საშიში ხდებოდა.

ისაკ კომნენოსი, რომელიც სამხედრო არისტოკრატიის, კერძოდ, მცირე აზიის მსხვილ მიწათმფლობელთა ინტერესების გამომხატველ პროგრამის განხორციელებას შეუდგა, უდიდეს წინააღ-

---

[72] ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი, აღაპებით, 1902, გვ. 319.

[73] იქვე, გვ. 319—320.

მდეგობას წააწყდა. ამ გარემოებამ ის იძულებული გახადა ორი წლის მეფობის შემდეგ უარი ეთქვა ტახტზე. ამან კი სამხედრო პარტიის წინააღმდეგ სამოქალაქო ბიუროკრატიული მსხვილი მოხელეების ზეიმი გამოიწვია. კონსტანტინე დუკას მთავრობის ლონისძიებებმა, აღედგინა თავის უფლებებში სამოქალაქო ტვირთ-სუფლება, და ამ მიზნით სამხედრო-ფეოდალური პარტიის ძესუ-სტების ცდამ, რაც არმიისა და სამხედრო ხარჯების შემცირებაში გამოიხატა, კიდევ უფრო შეასუსტა იმპერიის თავდაცვისუნარიანობა[74].

თუ ბიზანტიამ ბულგარებთან და პაჭანიკებთან დროებით შეძლო საკითხის მოგვარება, თურქ-სელჩუკთა მიერ აღმოსავლეთიდან საფრთხის თავიდან აცილება მისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა და ამ გარემოებას უშუალო გავლენა უნდა მოეხდინა ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობაზე. საკეისროს ხელი უნდა აეღო საბოლოოდ საქართველოს მიმართ იმ პოლიტიკაზე, რომელსაც ის ბასილ II ხელისუფლების დროიდან დაწყებული, მაკედონელთა დინასტიის ბატონობის მთელ დროს, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში აწარმოებდა.

მიუხედავად აღნიშნულისა, საიმპერიო ხელისუფლება თადარიგს იკავებდა და საქართველოს მეფის ხელისუფლების უკმაყოფილო ელემენტებს თავშესაფარს მაინც აძლევდა. როგორც ნათქვამი იყო, ლიპარიტ ბაღვაშის დამარცხების შემდეგ მისი შვილი ივანე, ბაგრატ მეოთხის სურვილის წინააღმდეგ, ბიზანტიაში გაიქცა.

ივანე ლიპარიტის ძემ არ გაუმართლა ბიზანტიის მთავრობას. მან მტრობა დაუწყო ბიზანტიის ხელისუფლებას, განუდგა კეისარს და თურქ-სელჩუკებთან გაბა კავშირი, როცა უკანასკნელები ამიერკავკასიისა და ბიზანტიის შიწა-წყალზე მასიურ თავდასხმებს აწარმოებდნენ, ივანემ გზა გაუხსნა მათ ყარსისა და სხვა სომხური პროვინციების მიმართულებით[75].

სამწუხაროდ, წყაროებიდან ნათლად არ ჩანს, თუ რა იყო ივანე ბაღვაშის კეისრისადმი გაორგულების მიზეზი. სომეხი ისტორიკოსი არისტარქე ლასტივერტელი გადმოგვცემს, რომ ივანე ლიპარიტის ძეს პაშტიანკის მხარეში მიცემული ჰქონდა დიდი დაბა ერიზა და მისი მიდამოები მოსახლეობით. როცა გაიგო რომაელთა

---

[74] Ф. И. Успенский. История Византийской империи. III 1948, გვ. 62—63; М. В. Левченко, История Византии, 1940, გვ. 195.

[75] Г. Ф. Герцберг, История Византии, გვ. 236.

შორის ბრძოლა. წავიდა და მოტყუებით აიღო სიმაგრე ერანთა, ხოლო შემდეგ ალორის მხარეში, ჰ ა ვ ა ჭ ი ჩ ი ს სიმაგრეში დაბრუნდა. ქალაქი მას კარგად შეხვდა, მაგრამ ბრძანა შეეპყრათ ძსაჯული, რომელსაც აღმოსავლეთი ებარა, და ჩ ა ბ ა ნ ა ს ა ნ ა ბ ა ნ ა ს ა ნ ა ბ ა ნ ა ს ა ნ

ამ საკითხზე კაცხიდან წაღებულ სახარების მინაწერში ვკითხულობთ: „სახელითა მამისათა... ესე ანდერძი მე ივანე პროედროს, ძემან ლიპარიტ ე~ემან (ერისთავთ ერისთავისამან) პროედროსისა და პროდახონისამან (პროტოარხონისამან — ?) ... რე მას ჟამსა, ოდეს აფხაზთა მეფემან... კონსტანტინეპოლიტ მოვიყვანეს და მოვედ მამულსა ჩუენსა“[80]. ამავე სახარებაში ივანეს ყმებს ჩაუწერიათ: „ქ. ადიდენ ღ~ნ, ძლიერი და უძლეველი ბაგრატ, აფხაზთა და ქართველთა მეფემან და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსმან, გამოიყუანა კონსტანტინეპოლით ივანე პროშდროსი, ძე ლიპარიტ ერისთავთ ერისთავისა... და მოიყვანეს კაცხს, ეკლესიასა მათსა, თუესა აპრილსა ია (11) დღესა ახალკვრიაკესა...“, როდესაც „ესე წყალობაჲ მოიწია ღმერთისა მიერ ჩუენ მონათა მათთა ზედა... ქრონიკონი იყო სოთ“[81] (279), ე. ი. 1059 წ.

ისაკ კომნენოსი 1059 წლის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ სამეფო ტახტზე იყო, ხოლო ივანე ამავე წლის 11 აპრილს მოსულა ბიზანტიიდან საქართველოში. ამრიგად, ივანე ბაღვაში მისი მოამაგის, ისაკ კომნენოსის მეფობის დროს გაორგულებია ბიზანტიის მთავრობას. არისტარქე ლასტივერტელის ცნობა: „როცა გაიგო ბერძენთა შორის ბრძოლა ივანე ლიპარიტის ძემ“ იგი რომაელებს განუდგაო, იმაზე მიგვითითებს, რომ ივანე რაღაც მომენტის გამოყენებას შეეცადა, მაგრამ რატომ უღალატა მან ისაკ კომნენოსს, რომელმაც იგი, საქართველოდან გაპარული, დიდი მამულებით, თანამდებობით და, ჩანს, პროედროსის წოდებითაც დააჯილდოვა, გაუგებარია.

ბიზანტიის მთავრობისადმი ივანე ლიპარიტის ძის მტრობამ მისცა საფუძველი ბაგრატ მეოთხეს, სიამოვნებით მიეღო ბიზანტიის ხელისუფლების მიერ დევნილი ივანე და დიდი თანამდებობითა და მამულებით დაეჯილდოებია იგი. ბიზანტიის ორგულ ივანესათვის მამისეული დიდებისა და სამფლობელოების დაბრუნება და მისივე აყვანა საქართველოს სპასალარის ხარისხში, ბიზანტიის აშკარა საწინააღმდეგო მოქმედება იყო, მაგრამ კეისრის ხელისუფლებას აღარ შეეძლო ახლა ამ საკითხს გამოხმაურებოდა. მას ყოველმხრივ მძიმე მდგომარეობა ჰქონდა. არც ისე დიდი უნარით დაჯილდოებული კონსტანტინე დუკა შექმნილ მდგომარეობას თავს ველარ ართმევდა.

---

80 თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები... I, 1892, გვ. 203.

81 Закавказский Вестник, № 25, 1845, გვ. 249; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 149.

კონსტანტინეს მმართველობის დროს ბევრი ისეთი ბიბი მიადგა ბიზანტიის სახელმწიფოს, რომლის გამოსწორება შემდეგ შეუძლებელი გახდა[82]. სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგობამ ხელი შეუწყო აღმოსავლეთის რაიონებში და [illegible] სომხურ პროვინციებში თურქ-სელჩუკების წ[illegible] ნე დუკა საჭიროდ თვლიდა, რაც შეიძლება მეტად გაეწამებიათ თურქ-სელჩუკებს სომხეთის საერო და საეკლესიო მმართველი წრეები. პოლიტიკურ ალღოსა და შორსმჭვრეტელობას მოკლებული კეისარი სომეხთა განადგურებაში ბიზანტიის სასარგებლო მოვლენას ხედავდა და ფიქრობდა, რომ ეს ხელს შეუწყობდა სომხური ეკლესიის ბიზანტიის ეკლესიასთან გაერთიანებას[83].

კონსტანტინე დუკას ღონისძიებები, რაც სამხედრო ძალების შემცირებასა და თავდაცვითი საშუალებებისადმი გულგრილობაში გამოიხატა[84], ბიზანტიის სახელმწიფოსათვის დამღუპველი იყო მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებაში: პაჭანიკებმა, რომლებიც დროებით მიწყნარებული იყვნენ, 1059 წელს განაახლეს თავდასხმები ჩრდილოეთიდან. იტალიაში ნორმანები წარმატებით იპყრობდნენ ბიზანტიის ქალაქებს[85], 1064 წელს უზთა[86] უზარმაზარი ტალღა შეიჭრა ბულგარეთის მიწა-წყალზე პარისტრიონის (პარადუნავ) თემში. ამ თემის მმართველმა ვასილ აპოკავპმა და ცნობილმა სარდალმა ნიკიფორე ბოტანიატმა სასტიკი მარცხი განიცადეს უზთა წინააღმდეგ ბრძოლაში და თვითონაც ტყვედ ჩაუვარდნენ მტერს ხელში[87]. მაგრამ ყველაზე მეტი საშიში და თავზარდამცემი მაინც თურქ-სელჩუკები იყვნენ, რომლებიც აღმოსავლეთიდან უტევდნენ ბიზანტიის იმპერიას.

იოანე სკილიცეს გამგრძელებლის გადმოცემით, კონსტანტინე X დუკას მეფობის ხანაში ბიზანტიის იმპერიის თავდაცვის საქმე აღმოსავლეთის საზღვრებზე ისე შესუსტდა, რომ „მოსაზღვრე მხა-

---

[82] Г. Ф. Герцберг, История Византии, გვ. 236.

[83] იქვე.

[84] იქვე.

[85] М. В. Левченко, История Византии, გვ. 195.

[86] იგივე ღუზთა, ოღუზთა მოდგმის თურქები.

[87] История Болгарии, Москва, 1954, გვ. 113.

რეები მტრის ლუკმად იყო გამხდარი, ყველაფერი ინგრეოდა და ნადგურდებოდა თურქთა თავდასხმებისა და ძალადობის გამო... იბერიის მდიდარი ქვეყანაც, რომელმაც უკვე წინათაც განიცადა რბევა და დასუსტებული იყო, საბოლოოდ დაეცა[88] და „განადგურდაო“[89].

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ წინათ ბიზანტია აძლევდა თავშესაფარს საქართველოს მეფის ხელისუფლების ორგულ პირებს, ახლა საქართველოს მეფემ მიიღო, როგორც გავეცანით, ივანე ბაღვაშის სახით კეისრის მტერი და ორგული პიროვნება. მაგრამ ბიზანტიის ხელისუფლება, როგორც ქვემოთ გავეცნობით, მაინც შეეცდება საქართველოსთან კეთილმეზობლური დამოკიდებულება იქონიოს. ნათესაური კავშირის გაბმას ცდილობს ის ბაგრატიონთა სახლთან.

გიორგი ხუცეს-მონაზონის გადმოცემით, ჯერ კიდევ 1055—1056 წლებში „ოდეს... თეოდორა[90] დედოფალსა ეპყრა ბერძენთ მეფობაჲ, ითხოვა ბაგრატ მეფისაგან, რათა მოსცეს ასული თჳსი მართა[91] და შვილად თჳსად აღზარდოს“[92].

ეს ის დრო იყო, როცა საქართველოს მეფე ბაგრატ IV, ლიპარიტ ბაღვაშთან და ბიზანტიელებთან ბრძოლაში დამარცხებული, თავის დედასთან, მარიამთან ერთად კონსტანტინეპოლში წავიდა[93].

ბაგრატ IV დაეთანხმა თეოდორა დედოფალს და „წარმოგზავნა შვილი თჳსი მართა კაცთა თანა საკუთართა თჳსთა“[94]. მაგრამ 1056 წელს, სანამ მართა კონსტანტინეპოლში მივიდოდა, „თეოდო-

---

88 ამ ცნობას დღემდე იოანე სკილიცეს მიაწერდნენ (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, V, გვ. 8). მაგრამ ს. ყაუხჩიშვილის განმარტებით, „უკანასკნელი წლების კვლევა-ძიებამ ნათელ-ჰყო“, რომ იგი ეკუთვნის იოანე სკილიცეს ვიღაც უცნობ გამგრძელებელს (გეორგიკა, VI, გვ. 161).

89 ი ქ ვ ე, გვ. 162.

90 იგულისხმება კონსტანტინე VIII მაკედონელის ასული, რომელიც უკანასკნელი წარმომადგენელი იყო მაკედონელთა დინასტიის.

91 ბიზანტიურ წყაროებში ეს მართა მარიამის სახელითაა ცნობილი.

92 ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა, ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, თბილისი, 1901, გვ. 306.

93 იხ. ამის შესახებ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 146—147; ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, ბაგრატ მეოთხისა და ლიპარიტ ლიპარიტის ძის ურთიერთობიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, 1951, გვ. 272—274.

94 ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ... გიორგი მთაწმიდელისა, ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, თბილისი, 1901, გვ. 306.

რეები მტრის ლუკმად იყო გამხდარი, ყველაფერი ინგრეოდა და ნადგურდებოდა თურქთა თავდასხმებისა და ძალადობის გამო. იბერიის მდიდარი ქვეყანაც, რომელმაც უკვე წინათაც განიცადა რბევა და დასუსტებული იყო, საბოლოოდ დაეცა[88] ფრანგული ბიბლიოთეკა გურდაო"[89].

თუ წინათ ბიზანტია აძლევდა თავშესაფარს საქართველოს მეფის ხელისუფლების ორგულ პირებს, ახლა საქართველოს მეფემ მიიღო, როგორც გავეცანით, ივანე ბაღვაშის სახით კეისრის მტერი და ორგული პიროვნება. მაგრამ ბიზანტიის ხელისუფლება, როგორც ქვემოთ გავეცნობით, მაინც შეეცდება საქართველოსთან კეთილმეზობლური დამოკიდებულება იქონიოს. ნათესაური კავშირის გაბმას ცდილობს ის ბაგრატიონთა სახლთან.

გიორგი ხუცეს-მონაზონის გადმოცემით, ჯერ კიდევ 1055—1056 წლებში „ოდეს... თეოდორა[90] დედოფალსა ეპყრა ბერძენთ მეფობაჲ, ითხოვა ბაგრატ მეფისაგან, რათა მოსცეს ასული თჳსი მართა[91] და შვილად თჳსად აღზარდოს"[92].

ეს ის დრო იყო, როცა საქართველოს მეფე ბაგრატ IV, ლიპარიტ ბაღვაშთან და ბიზანტიელებთან ბრძოლაში დამარცხებული, თავის დედასთან, მარიამთან ერთად კონსტანტინეპოლში წავიდა[93].

ბაგრატ IV დაეთანხმა თეოდორა დედოფალს და „წარმოგზავნა შვილი თჳსი მართა კაცთა თანა საკუთართა თჳსთა"[94]. მაგრამ 1056 წელს, სანამ მართა კონსტანტინეპოლში მივიდოდა, „თეოდო-

---

88 ამ ცნობას დღემდე იოანე სკილიცეს მიაწერდნენ (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, V, გვ. 8). მაგრამ ს. ყაუხჩიშვილის განმარტებით, „უკანასკნელი წლების კვლევა-ძიებამ ნათელ-ჰყო", რომ იგი ეკუთვნის იოანე სკილიცეს ვიღაც უცნობ გამგრძელებელს (გეორგიკა, VI, გვ. 161).

89 იქვე, გვ. 162.

90 იგულისხმება კონსტანტინე VIII მაკედონელის ასული, რომელიც უკანასკნელი წარმომადგენელი იყო მაკედონელთა დინასტიის.

91 ბიზანტიურ წყაროებში ეს მართა მარიამის სახელითაა ცნობილი.

92 ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გიორგი მთაწმიდელისა, ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, თბილისი, 1901, გვ. 306.

93 იხ. ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 146—147; ვ. კოპალიანი, ბაგრატ მეოთხისა და ლიპარიტ ლიპარიტის ძის ურთიერთობიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, 1951, გვ. 272—274.

94 ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ... გიორგი მთაწმიდელისა, ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, თბილისი, 1901, გვ. 306.

რა დედოფალი აღესრულა"[95]. გიორგი ხუცეს-მონაზონის გადმოცემით, თეოდორა რომ გარდაიცვალა, „მეყსეულად მართა, ასული ბაგრატისი, სამეუფოდ შემოიყვანეს"[96]. ალბათ, რომ თეოდორა დედოფალი მართას გარდაცვლილ [illegible] დიდხანს აღარ დარჩენილა კონსტანტინეპოლში. მან იქ „მაშინ დაყო მცირედი ჟამი და კუალად ზემოვე წარიყვანეს"[97], ე. ი. ისევ საქართველოში დაუბრუნებიათ.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მართა ბაგრატის ასულის საქართველოში დაბრუნება[98] ბიზანტიაში სამხედრო პარტიის გამარჯვებასთანაც იყო დაკავშირებული. თეოდორას მიერ ბიზანტიის სამეფო ტახტზე დატოვებულ მიხეილ VI სტრატიოტიკოსს (1056 — 1057), როგორც აღნიშნული იყო, 1057 წელს ძლიერი აჯანყება მოუწყვეს სამხედრო პარტიის წარმომადგენლებმა და გაიმარჯვეს კიდეც. მათი მოქმედება და მიზანი სწორედ მაკედონელთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლების პოლიტიკისა და კურსის წინააღმდეგ იყო მიმართული. მიხეილ სტრატიოტიკოსის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ იქნებ აღარც კი ჰყავდა ვინმე გულშემატკივარი კონსტანტინეპოლში თეოდორას მიერ შვილად წაყვანილ ქართველ სეფექალს. მაგრამ სამხედრო პარტიის წარმომადგენლის, ისაკ კომნენოსის მიერ ბიზანტიის სამეფო ტახტის დატოვებისა და კონსტანტინე დუკას გამეფების შემდეგ მართას ისევ მოძებნიან და წაიყვანენ კონსტანტინეპოლში.

როგორც ნათქვამი იყო, კონსტანტინე დუკას მთავრობა დაინტერესებული იყო საქართველოსთან ნათესაური კავშირის დამყარებით, მაგრამ თავის დროზე თეოდორა დედოფლის მიერ მართა (მარიამ) ბაგრატის ასულის შვილად აყვანამ კიდევ უფრო მეტად

---

[95] ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ... გიორგი მთაწმიდელისა, გვ. 306.

[96] ი ქ ვ ე, გვ. 307.

[97] ი ქ ვ ე.

[98] თ. ჟორდანია ფიქრობს, რომ მართა პირველად 1054 წელს გაგზავნეს კონსტანტინეპოლში (ქრონიკები, I, გვ. 211). ამ მოსაზრებას იმეორებს აგრეთვე თ. ბრეგაძე (ნიკიფორე ვრიენოსი საქართველოს შესახებ, მახალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბილისი, 1954, გვ. 238).

როგორც აღნიშნული იყო, მართა იმ დროს წაიყვანეს პირველად კონსტანტინეპოლში, „ოდეს... თეოდორა დედოფალსა ეპყრა ბერძენთ მეფობაჲ". ეს კი 1055—1056 წლებში იყო და ამაზე ადრე მართას მიყვანა კონსტანტინეპოლში არ უნდა წარმოვიდგინოთ.

დააინტერესა ალბათ იგი, რომ მართა მისი რძალი და ბიზანტიის დედოფალი გამხდარიყო.

ცნობილია, რომ ტახტის დინასტიური მფლობელობის წესი ბიზანტიაში არ არსებობდა. მაგრამ მაკედონელთა ბატონობის ხანაში ამის ტენდენცია დაჟინებით იჩენს თავს. ამიტომ ... ამ საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენელი, ხანში შესული ქალი, თეოდორა დასვეს სამეფო ტახტზე 1055 წელს. კონსტანტინე დუკას მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავდა, ამიტომ დუკათა საგვარეულო რომ ბიზანტიის სამეფო ტახტზე განმტკიცებულიყო, გარკვეული მნიშვნელობა ექნებოდა იმასაც, რომ მაკედონელთა საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენლის, თეოდორა დედოფლის მიერ შვილად წაყვანილი მართა ბაგრატის ასული დუკების ოჯახის წევრისა და კონსტანტინე დუკას უფროსი შვილის, მიხეილის თანამეცხედრე გამხდარიყო.

მაგრამ ძირითადი, რაც საქართველოს სამეფო კართან მეგობრობასა და ნათესაური კავშირის დამყარებას უკარნახებდა მაშინ ბიზანტიის მთავრობას, საერთო მტრის, თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლა იყო. მართალია, საქართველო მაშინ ბიზანტიასთან ერთად არ იბრძოდა ამ საერთო მტრის წინააღმდეგ, დამოუკიდებლად აწარმოებდა თავდაცვით ომს (როგორც ცნობილია, თურქ-სელჩუკთა ტალღა პირველად 1065 წელს შემოიჭრა საქართველოში), მაგრამ ობიექტურად ეს ბრძოლა ბიზანტიის დახმარება იყო.

კონსტანტინე დუკამ ბაგრატ მეოთხეს სთხოვა, რომ მართა რძლად მიეცა მისთვის — მიხეილის საცოლედ. გიორგი ხუცესმონაზონის გადმოცემით, „ოდეს მოიწია ჟამი კუალად მოსთხოვა დუკიწმან და სძლად თჳსად სამეფოსა ამას ქალაქსა შემოიყვანა“[99] მართაო. ქართველი სეფექალი მეორეჯერ 1065 წელს მოუყვანიათ კონსტანტინეპოლში[100].

მოტანილი წინადადება: „ოდეს მოიწია ჟამი კუალად მოსთხოვა დუკიწმანო,“ თითქოს იმაზე მიგვითითებს, რომ მიხეილ კონსტანტინეს ძე დუკაზე მართას დაქორწინება წინასწარ, ქართველი სეფექალის კონსტანტინეპოლში პირველად მიყვანის დროს იყო შეთანხმებული.

1067 წელს კონსტანტინე დუკა გარდაიცვალა, რომელსაც სა-

---

[99] ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ... გიორგი მთაწმიდელისა, გვ. 307.

[100] კ. კეკელიძე, ძველი ქართველი მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 193.

მი ვაჟი: მიხეილი, ანდრონიკე და კონსტანტინე დარჩა. სიკვდილის წინ მეფობა შვილებს გადასცა და მათი არასრულწლოვანების გამო რეგენტობა თავის მეუღლეს, ევდოკიას მიანდო. ბიზანტიის და საგარეო პოლიტიკური ვითარება თანდათან რთულდებოდა. აღმოსავლეთიდან თურქ-სელჩუკები უტევდნენ სახელმწიფოს. სამეფოში კი მრავალმა უკმაყოფილომ წამოყო თავი და ქვეყანა ინტრიგებმა მოიცვა. ევდოკიას არ შეეძლო არსებულ ვითარებაში ქვეყნის მართვა.

შექმნილმა მდგომარეობამ ბიზანტიის სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ისევ სამხედრო პარტიის წარმომადგენელს ჩაუგდო ხელში. კონსტანტინე დუკას ქვრივმა ევდოკიამ მისი ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებაში ეჭვმიტანილ რომანოზ დიოგენზე დაიწერა ჯვარი 1068 წელს. დიოგენი კაპადოკიელი მსხვილი სამხედრო ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელი იყო. იგი შეეცადა აღედგინა კონსტანტინე დუკას მეფობის დროს შერყეული ბიზანტიის სამხედრო ძლიერება, მაგრამ უდიდეს წინააღმდეგობას წააწყდა: საიმპერიო ხელისუფლების დიდი თანამდებობის პირები და ეკლესიის მამამთავრები ყველა მის წინააღმდეგ დაირაზმა. გარეშე მტრებმა, განსაკუთრებით თურქ-სელჩუკებმა, გააძლიერეს გამანადგურებელი თავდასხმები. ბიზანტიის მაგალითმა ვერც დიოგენს ასწავლა ჭკუა. თურქ-სელჩუკთა მოზღვავების პირობებში იგი უხეშ პოლიტიკას ატარებდა აღმოსავლეთის პროვინციებში. მან წინამორბედი კეისრების პოლიტიკა გააგრძელა და აიძულებდა იმ სომხებს, რომლებიც ჯერ კიდევ თურქთაგან არ იყვნენ დაპყრობილი ბერძნული ქრისტიანული სარწმუნოება მიეღოთ[101].

კონსტანტინე დუკასა და რომანოზ დიოგენის მმართველობის ხანაში საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ გარდა ზემოაღნიშნულისა წყაროებში ნაკლებად მოგვეპოვება ცნობები. ბიზანტიის სამხედრო საქმიანობაში კი ქართველები ჯერ კიდევ აქტიურად მონაწილეობდნენ. რომანოზ დიოგენმა გამეფებისთანავე ბრძოლა დაიწყო ბიზანტიის პროვინციებში შემოჭრილ თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ, შეძლო გაენადგურებია მათი რამდენიმე მძარცველი რაზმი, შეიჭრა სირიაში და თურქ-სელჩუკებს ხელიდან გამოსტაცა იეროპოლი[102]. იოანე სკილიცეს გადმოცემით, როცა

---

[101] Всеобщая история Вардана Великого, перевел Н. Эмин, Москва, 1861, გვ. 82.

[102] Г. Ф. Герцберг, История Византии, გვ. 240.

დიოგენმა იეროპოლი აიღო და მას აკროპოლისი აუგო. „ეგონა ამ აკროპოლისის უფროსად ფარესმანე, ვესტი აპოკაპისა ტომით იბერი“[103].

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ წინათ, ხშირ შემთხვევაში, საქართველო ან [illegible] ლიმე ცალკეული პოლიტიკური ერთეული ბიზნატიის [illegible] იყო აღმოსავლეთიდან მოსული მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიერიდან საბოლოოდ წყდება ეს კავშირი. საგარეო მტრები, თურქ-სელჩუკები ბიზანტიასა და საქართველოს თავს ესხმოდნენ, მაგრამ ამ ორი ქვეყნის მდგომარეობა ერთნაირი მაინც არ იყო: ფეოდალური საქართველო შინაგანი და საგარეო პოლიტიკური სირთულეების მიუხედავად აღმავალი გზით მიდიოდა. ხოლო ბიზანტიას მრავალი მხრიდან უახლოვდებოდა უბედურება, რაშიაც ძირითადი დამნაშავე, შინაგან ლპობად მოვლენებთან ერთად, თურქ-სელჩუკები იყვნენ.

XI საუკუნის 70-იანი წლების დამდეგიდან ბიზანტიის პოლიტიკური ვითარება ისე წავიდა, რომ იგი იძულებული გახდა ყოველგვარ დათმობაზე წასულიყო საქართველოს მიმართ. 1071 წელს თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში რომანოზ დიოგენის დამარცხება მანაზკერტთან ბიზანტიისათვის მზის დაბნელების დასაწყისს წარმოადგენდა. ნიკიფორე ვრიენოსი სამართლიანად შენიშნავს, რომ მანასკერტის ბრძოლას არა მარტო თვით შეეწირა რომანოზ დიოგენი, არამედ მან რომის სახელმწიფოც თან გადაიყოლაო[104]. ტყვედ ჩავარდნილმა დიოგენმა სულთან ალფ-არსლანს განთავისუფლების ფასად მცირე აზიაში ვრცელი ტერიტორიის დათმობაც აღუთქვა. თუმცა დიოგენი ბიზანტიის სამეფო ტახტს ვეღარ ეღირსა, იგი ამ ტახტის დაბრუნებისათვის ბრძოლის მსხვერპლი გახდა და ბიზანტიის მთავრობამ დიოგენის მიერ გაცემული პირობის შესრულებაზე უარი განაცხადა, მაგრამ სელჩუკებმა მკაცრი შეტევა განავითარეს ბიზანტიის წინააღმდეგ.

რომანოზ დიოგენის შემდეგ ბაგრატ მეოთხის სიძე, 20 წლის მიხეილ კონსტანტინეს ძე დუკა ადის ბიზანტიის სამეფო ტახტზე (1071—1078). მან უარი განუცხადა ალფ-არსლანს დიოგენის მიერ მიცემული პირობის შესრულებაზე. ალფ-არსლანი მოკლეს 1072 წელს, მაგრამ თურქ-სელჩუკთა ახალი სულთანი დაჟინებით მოი-

---

[103] გეორგიკა, V, გვ. 82.

[104] Историческия записки Никифора Вриенния, переведенные с греческого при С-Петербургской духовной академии, 1858, зз. 51.

თხოვდა პირობის შესრულებას და მკაცრ შეტევას აწარმოებდა მისი რეალიზაციისათვის. მტრის კარგად შეიარაღებულსა და სწრაფად მოქმედ მხედრობას ვერ უმკლავდებოდა ბიზანტიის ლაშქარი. თუ წინათ სელჩუკები ალაფისათვის მოდიოდნენ და მერე [illegible] ბის შემდეგ სწრაფად ბრუნდებოდნენ უკან, ახლა უკვე ასე ადვილ იქცეოდნენ, იპყრობდნენ მხარეებს იქ სამუდამოდ დამკვიდრების მიზნით[105].

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად იმისა, რომ ახლა ბიზანტია მტრულ დამოკიდებულებას ველარ იჩენდა საქართველოსადმი, კეისარი ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა საქართველოსთან და ქართველი სეფექალი ბიზანტიის დედოფალი იყო, საქართველოს მთავრობამ მაინც ისარგებლა შექმნილი ვითარებით და დაიწყო თავის მიწა-წყალზე შემოჭრილი ბიზანტიელების განდევნა.

XI საუკუნის 70-იანი წლები ის ხანა იყო, როცა თურქ-სელჩუკთა მმართველ წრეებში მწვავედ დაიწყო საკითხის დასმა ირანის ცენტრალური რაიონებიდან სელჩუკთა ბრბოების განაპირა მხარეებში განთესვის შესახებ. ჩამორჩენილმა მომთაბარეებმა დიდი საფრთხე შეუქმნეს ირანის განვითარებულ ცენტრალურ რაიონებს. ცნობილ „სიასეტ-ნამეში“ აშკარად არის გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ თურქმანთა ძირითადი მასა ბიზანტიისა და საქართველოს საზღვრებზე ჰყოლოდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მოქმედებით გამოწვეულ ზიანს ირანში თავიდან ვერ ავიცდენთო[106].

ერთგული მრჩევლები სულთნებს ურჩევდნენ, რომ სხვა ქვეყნებზე ბატონობისათვის ლაშქრის სიმრავლეა საჭირო[107], ეს ლაშქარი კი მომთაბარე სელჩუკებისაგან შედგებოდა და ამდენად ამ ძალას მმართველი დინასტიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მის დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა. მაგრამ გაბატონებული საგვარეულო იმასაც გრძნობდა, რომ მაშინდელი ირანის „წარმოება-მეურ-

---

[105] Ф. И. Успенский. История Византийской империи, III, 1948, გვ. 97.

[106] А. Якубовский, Сельджукское движение и туркмены в XI в., Известия АН СССР, Отдел общественных наук, 1937, № 4. გვ. 946; შდრ. ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთი განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბილისი, 1957, გვ. 125.

[107] Сиасет-наме. Книга о правлении визиря XI столетия Низам ал-мулька, перевод профессора В. Н. Заходера, М.-Л., 1949, გვ. 166—167.

ნეობას, სამეწარმოქმედო ფეოდალურ კულტურას, ქალაქებსა და საქალაქო ცხოვრებას მომთაბარე თურქ-სელჩუკების პრიმიტიული მეურნეობა (მეჯოგეობა)"[108] განადგურებას უქადდა. ამიტომ იგი იძულებული იყო ირანიდან ამ მომთაბარე თურქების განსახლებაზე ეზრუნა. ირანის ჩრდილოეთ რაიონებში გადმოსახლებული და საქართველოს საზღვრებთან მოზღვავებული თურქები ჩვეულებრივ მოვლენად გაიხდიან საქართველოში თარეშს. 1073 წელს ისინი ორჯერ შემოიჭრნენ საქართველოს სამხრეთ რაიონებში.

„ქართლის მატიანის" ავტორის გადმოცემით, ამ წელს თურქთა მეორეჯერ თავდასხმის დროს „შეკრბა გიორგი მეფეთ-მეფე ყოვლითა სპითა მისითა, ზემოთა და ქუემოთა, და მოიყვანა მათ წინაშე აღსართან, კახთა მეფე, და დაჰმართეს ერთმანეთსა"[109]. ბრძოლა მოხდა ფარცხისთან და მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მაშინ დასუსტებული იყო შინაგანი ბრძოლით, ხოლო თურქთა სარდალს, სარანგს, საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქარი ჰყავდა, გამარჯვება მაინც ქართველებს ხვდათ.

ფარცხისთან ქართველების გამარჯვება გარკვეული წვლილი იყო ბიზანტია-საქართველოს საერთო მტრის, თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ეჭვს გარეშე, მტერთაგან შევიწროებული და საქართველოს სამეფო კართან ნათესაურ კავშირში მყოფი ბიზანტიის ხელისუფლება ფარცხისთან მომხდარი ამბების კურსში უნდა ყოფილიყო.

როგორც გავეცანით, XI საუკუნის პირველ ნახევარში ბიზანტია საქართველოს ზოგიერთ განაპირა რაიონებში შემოიჭრა და რამდენიმე ციხე-სიმაგრე დაიკავა. ამ ციხე-სიმაგრეებში ამავე საუკუნის 70-იანი წლების დამდეგაც საკეისროს ლაშქარი იდგა. შექმნილ ვითარებაში მოსალოდნელი იყო, რომ ბიზანტიას უბრძოლველად უნდა დაეცალა ისინი, მაგრამ კეისრის მთავრობა ასე არ მოიქცა და ქართველებმა ძალით განდევნეს ბიზანტიელები ამ ციხე-სიმაგრეებიდან. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ქართველთა ამ გამარჯვებაში ბიზანტიის პოლიტიკური მდგომარეობის გართულებამ დიდი როლი შეასრულა.

1072 წლიდან ალფ-არსლანის მაგიერ მისმა შვილმა, მეტად ენერგიულმა და შორსმჭვრეტელმა მელიქ-შაჰმა მიიღო „დიდ სელჩუკთა" სულთნის ტახტი. მან მცირე აზიის ფრონტი, ე. ი.

---

108 ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 125.
109 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 317.

ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმე თავის ნახევარძალს, სულეიმან ყუთულმიშის ძეს მიანდო.

სულეიმანმა დიდი ტერიტორია წაართვა ბიზანტიას. ფეოდალთა მიერ განაწამები მწარმოებელი საზოგადოება თავისუფალ მიწათმფლობელად გამოაცხადა და მხოლოდ გადასახადი დაუწესა მას. ასეთმა პოლიტიკამ ეს მწარმოებელი საზოგადოება თურქ-სელჩუკთა მხარეზე დააყენა და ხელი შეუწყო უკანასკნელებს დაპყრობითი ომების წარმოებაში.

1073 წელს ბიზანტიის მთავრობა იძულებული გახდა მთელი მისი ძალები დაერაზმა მტრის წინააღმდეგ. დიდი ლაშქარი იქნა გაგზავნილი ისაკ კომნენოსის მეთაურობით[110]. მაგრამ იგი, სანამ სელჩუკებს ომს გაუმართავდა, აჯანყებულ მოქირავე ნორმანთა ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება. ეს ლაშქარი სევასტიაში იმყოფებოდა და აჯანყება მოაწყო ურსელის მეთაურობით. უკანასკნელის წინააღმდეგ ბრძოლაში დასუსტებული კომნენოსის ლაშქარი დამარცხდა და ისაკიც ტყვედ ჩავარდა[111].

თურქ-სელჩუკებმა და აჯანყებულმა ნორმანებმა, ურსელის მეთაურობით, ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად წარმატებით გააგრძელეს შეტევა ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების ძალების წინააღმდეგ. ნორმანთა წინააღმდეგ გაგზავნილმა კეისრის ლაშქარმა სასტიკი მარცხი განიცადა და მათი მეთაური კესაროსი დუკა ტყვედ იქნა წაყვანილი. უკანასკნელი შეუთანხმდა ნორმანებს, აჯანყებულთა სათავეში ჩადგა, ბიზანტიის სამეფო ტახტის პრეტენდენტად გამოაცხადა თავი და შეტევა განაგრძო[112].

გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი მიხეილ VII დუკა და მისი ხელისუფლება იძულებული გახდნენ მელიქ-შაჰისათვის ეთხოვათ დამხმარე ლაშქარი აჯანყებულ ნორმანთა წინააღმდეგ საბრძოლველად. თურქ-სელჩუკთა მბრძანებელმა თანხმობა განაცხადა და სამაგიეროდ მცირე აზიის ის ვრცელი ტერიტორია, რომელიც უკვე თურქ-სელჩუკებს დაპყრობილი ჰქონდათ, მიხეილ დუკამ სულეიმან ყუთულმიშის ძის მფლობელობაში ცნო[113].

ასეთ მდგომარეობაში მყოფ ბიზანტიის მთავრობას აღარ შეეძლო შეენარჩუნებია საქართველოს ის განაპირა ციხე-სიმაგრეები,

---

110 Г. Ф. Герцберг, დასახ. ნაშრომი, გვ. 248.

111 იქვე.

112 Историческия записки Никифора Вриенния, გვ. 75.

113 Г. Ф. Герцберг, დასახ. ნაშრომი, გვ. 248.

რომლებიც XI საუკუნის პირველ ნახევარში დაიპყრო. სწორედ ამ გარემოებით ისარგებლა გიორგი მეორემ და, „ქართლის მატიანის“ ავტორის გადმოცემით, „წაუხუნა ბერძენთა ანაკოფია, თავადი ციხეთა აფხაზეთისათა, და მრავალნი ციხენი კლარჯეთისა, მაკვეთისა, ჯავახეთისა და არტანისა“[114].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ბიზანტია ღრმად ყოფილა შეძოჭრილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე. აღნიშნული მხარეების ციხე-სიმაგრეთა ნაწილი 1021—1022 წლებში უნდა გადასულიყო ბიზანტიის განკარგულებაში, როცა ბიზანტიელებმა ქართველები დაამარცხეს და ბასილ კეისარმა მიიტაცა „ქუეყანა, რომელი ჰქონდა დავით კურაპალატსა ტაოსთა, ბასიანს, კოლა-არტანთა და ჯავახეთს“[115]. ქართველმა ფეოდალებმა[116] ზოგიერთი მხარის ციხე-სიმაგრეთა ნაწილი ალბათ ბაგრატ IV მოღვაწეობის დროს გადასცეს ბიზანტიას. აღნიშნულ ციხე-სიმაგრეებშიც უნდა მდგარიყო მუდმივად ბიზანტიის ის ლაშქარი, რომელიც საკეისროს მოკავშირეს საქართველოში, ლიპარიტ ბალვაშს ყოველთვის „თანავე ჰყეს“, როგორც ბაგრატ მეოთხის, ისე თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

ანაკოფიისა და სხვა ციხე-სიმაგრეების განთავისუფლების დროს, როგორც ჩანს, დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ ქართველებს. გიორგი მეორემ თურქთა წინააღმდეგ დაიწყო შეტევა: „აღიღო ქალაქი კარისა, ციხე-ქუეყანა, და სიმაგრენი ვანანდისა და კარნიფორისანი, და იოტნა თურქნი მის ქუეყანისანი“[117].

როგორც ცნობილია, 1065 წელს კარი (ყარსი) და მისი მიმდგომი რაიონები ბიზანტიამ შეიერთა[118]. XI საუკუნის 70-იანი წლების დამდეგს, როცა იქ თურქ-სელჩუკთა ბრბოები შეიჭრენ, ეს

---

114 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 317.

ჩვენი აზრით, რამდენადმე სიზუსტე აკლია პ. ინგოროყვას განმარტებას „1073—1074 წლებში საქართველომ დაიბრუნა სამხრეთ სანაპირო ზონა,— დავით კურაპალატის ყოფილი პროვინციები, რომელიც დაპყრობილი ჰქონდა ბიზანტიას ბასილ კეისრის დროიდან“ (გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 278).

115 იქვე, გვ. 288.

116 იქვე, გვ. 291—292.

117 იქვე, გვ. 317.

118 სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის გადმოცემით, თურქების მიერ შევიწროებულმა კარის (ყარსის) მეფემ გაგიკ აბასის ძემ თავის სამფლობელო ბერძნებს გადასცა და სამაგიეროდ მიიღო ქალაქები: ცამენდავი (მეორე არმენიის საზღვარზე ამასიის აღმოსავლეთით), ლარისა (სევასტიის ახლოს), ამასია (პონტოში) და კომანა (კაპადოკიაში) (Всеобщая история Вардана Великого, перевел Н. Эмин, Москва, 1861, გვ. 127).

რაიონი ბიზანტიის სამფლობელოს ეკუთვნოდა. ამდენად, ქართველების მიერ იქიდან თურქთა განდევნა ბიზანტიის ინტერესებშიც შედიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ წინათ, ვთქვათ XI საუკუნის 40-იან წლებში ბიზანტია ვერ ითმენდა საქართველოს ჩარევას სომხეთში, 1045 წელს მკაცრი ბრძოლა გაუმართა მან სომეხ-ქართველთა ძალებს ანისისათვის და გამარჯვებულიც გამოვიდა, ახლა მდგომარეობა ისე შეიცვალა, რომ საქართველოს ხელში კარის (ყარსის) გადასვლა ბიზანტიას თავის სასარგებლო მოვლენად მიაჩნდა, მისთვის მთავარი იყო თურქ-სელჩუკებს არ ჰქონოდათ ის.

საქართველოში თურქთა ზემოაღნიშნული ორი ლაშქრობისა და ფარცხისთან ბრძოლის შესახებ „ქართლის მატიანის" ავტორი და დავითის ისტორიკოსი გადმოგვცემენ ცნობებს. სხვაობა მათ შორის ის არის, რომ „ქართლის მატიანის" ავტორის ცნობით ფარცხისის ომისა და სარანგის დამარცხების შემდეგ გიორგიმ ბიზანტიელები განდევნა საქართველოს ზემოთ დასახელებული ციხე-სიმაგრეებიდან. ამასთანავე აიღო კარი და „სიმაგრენი ვანანდისა და კარნიფორისანი".

დავითის ისტორიკოსი კი უკანასკნელი ამბების შესახებ არაფერს გვეუბნება და ფარცხისთან გიორგის გამარჯვების მოთხრობის შემდეგ პირდაპირ განაგრძობს: „წარვიდა მეფე გიორგი მამულსა თჳსსა ტაოს, და მოვიდა ბანას. ხოლო მუნ მოვიდა წინაშე მათსა ზორვარი აღმოსავალისა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი, და კარნუქალაქი, და კარი, და დიდად განიხარეს და განისუენეს. და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა, და განიყარეს"[119].

ივ. ჯავახიშვილი, როცა ამ ისტორიკოსების ცნობებს იხილავს, ჩანს, დავითის ისტორიკოსს ეყრდნობა და ფარცხისის ბრძოლის შემდეგ გიორგი II ხელისუფლების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე, რაც კარის (ყარსის) აღებისა და ვანანდისა და კარნიფორის სიმაგრეებიდან თურქთა განდევნაში გამოიხატა, არაფერს აღნიშნავს[120].

„ქართლის მატიანის" ავტორის ზემოთ მოტანილი ცნობები, რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია, და თუ ეს ასეა, გრიგოლ ბაკურიანის ძეს ის მიწა-წყალი გადაუცია (ბიზანტიის ხელისუფ-

---

[119] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 218.

[120] იხ. ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 317.

ლების სანქციით?) გიორგი მეფისათვის, რომელიც ქართველთა მეფე იყო უკვე განთავისუფლებული. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ბედნიერ-წყალი დიდხანს არ დარჩენილა საქართველოს სამეფო ხელისუფლების მფლობელობაში. სულ მალე, 1074 წელს, იგი ალყა-ალყრეს თურქ-სელჩუკებმა. ამ წელს ბიზნანტიამ საბოლოოდ ... ხელი აღმოსავლეთის ქვეყნებზე და თურქ-სელჩუკებს ჩაუგდო ხელში ისინი. სწორედ ეს მოახლოებული საფრთხე იყო მიზეზი, როცა ბიზანტიის მთავრობამ გრიგოლ ბაკურიანის ძის საშუალებით საქართველოს მეფის ხელისუფლებას გადასცა კარი (ყარსი) და მისი მიდამოები. მან უმჯობესად ჩათვალა საქართველოს დარჩენოდა სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი კარი, ვიდრე თურქ-სელჩუკებს, მაგრამ, როგორც ნათქვამი იყო, იგი მაინც თურქებმა დაიპყრეს.

იცვლება ბიზანტიის ოფიციალური წრეების შეხედულება საქართველოს მიმართ. თუ წინათ, მათი თვალსაზრისით, საქართველო ბიზანტიის ქვეშევრდომი იყო, ამიერიდან იგი დამოუკიდებელ ქვეყნადაა ცნობილი.

მეფე ისაკ კომნენოსის ძმას, იოანე კომნენოსს მისი ძმის მეფობის დროს დიდი თანამდებობა ეკავა ბიზანტიის სამეფო კარზე. იგი 1067 წელს გარდაიცვალა და რამდენიმე ვაჟი და ქალი დარჩა. როცა კონსტანტინე დუკას ქვრივმა ევდოკია მაკრემფოლიტისმა რომანოზ დიოგენზე ჯვარი დაიწერა, იოვანე კომნენოსის ქვრივმა ანა დალასინმა ევდოკიასა და დიოგენის მხარე აირჩია დაჯგუფებათა შორის ბრძოლის დროს. სამაგიეროდ იოვანე კომნენოსის უფროსი შვილი მანოელი პროტოპროედრისა და კურაპალატის ხარისხში აიყვანეს. მაგრამ, როცა რომანოზ დიოგენმა მარცხი განიცადა და მიხეილ დუკა გამეფდა, მან ეჭვი მიიტანა ანა დალასინზე და ერთ-ერთ კუნძულზე გადაასახლა[121].

კომნენოსთა საგვარეულო ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალური საგვარეულო იყო ბიზანტიაში, რომელსაც მომხრეც ბევრი ჰყავდა. ამ გარემოებას ანგარიში გაუწია მიხეილ დუკას მთავრობამ, მალე შეცვალა თავისი გადაწყვეტილება და იოვანე კომნენოსის ქვრივი ანა დალასინი გადასახლებიდან დააბრუნა. ამასთანავე მიხეილ დუკამ განიზრახა ნათესაური კავშირი დაემყარებია კომნენოსთა სახლთან და მისი განხორციელება მაშინდელი ბიზანტიის დედოფ-

---

[121] Ф. И. Успенский, История Византийской империи, т. III, зз. 70—71.

ლის მართა (მარიამ) ბაგრატიონის ახლო ნათესავის, კომნენოსთა სახლთან დაკავშირების გზით გადაწყდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ნიკიფორე ვრიენოსი გადმოგვცემს: დიოგენის თავიდან მოცილების შემდეგ ალექსიმ გამოიძახა იოვანე კომნენოსის ქვრივი ანა, [illegible]-და[122], რომელიც თავის ვაჟიშვილებთან ერთად გადასახლებაში იმყოფებოდა და ქორწინებია საშუალებით დაუმოყვრდა მას; მიხეილმა, რომელიც თვით იბერიის დამოუკიდებელი (ხაზი ჩვენია — ვ. კ.) მმართველის ასულზე, მარიამზე, იყო დაქორწინებული, თავისი მეუღლის ძმისშვილი (sic — ვ. კ.) ალანთა მფლობელის ასული ირინე[123] დააქორწინა ანას უფროს ვაჟზე, ისაკზეო[124]. მეფის წოდების ღირსად არც ნიკიფორე ვრიენოსი ხდის საქართველოს მბრძანებელს, მაგრამ დამოუკიდებელ მმართველად მაინც აღიარებს მას.

ამრიგად, XI საუკუნის 50-იანი წლების დასასრულიდან სულ სხვა შინაარსით დაიწყო ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობა. ამიერიდან ორივე ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ვითარება ისეთი გახდა, რომ მან გამორიცხა როგორც მტრული ურთიერთობის განხორციელება, ისე ერთმანეთისადმი აქტიური მოკავშირეობისა და დახმარების შესაძლებლობა.

---

122 იოვანე კომნენოსს ანასთან ხუთი ვაჟი და სამი ქალი ჰყავდა. უფროსი ვაჟი მანუელი, როგორც აღნიშნული იყო, ჯერ კიდევ რომანოზ დიოგენის დროს დაწინაურდა, მომდევნო ვაჟები ისაკი და ალექსი მიხეილ დუკას დროს მოიპოვებენ დიდ კარიერას, ხოლო შემდეგ, როგორც ქვემოთ გავეცნობით, გრიგოლ ბაკურიანისა და მარიამ დედოფლის დახმარებით ალექსი ბიზანტიის იმპერატორი გახდება.

123 ნიკიფორე ვრიენოსი ამ ირინეს, როგორც გავეცანით, მართას (მარიამის) დისშვილად იხსენიებს. მარი ბროსე დაეჭვებულა ვრიენოსის ცნობის სისწორეში და წერს: «Irène, princesse Alaine (probablement Aphkaze et fille de Démetré, frère du roi Bagrat)» (Additions... გვ. 227).

ლებოს განმარტებით კი ირინე საქართველოს მეფის ვასალის ალანთა-მეფის ასული იყო (Histoire du Bas-Empire, XV, გვ. 4).

„ქართლის მატიანის“ ავტორის ცნობით, ბაგრატ IV მეუღლე ოსთა მეფის, დოროლელის და იყო (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 313). ამიტომ საეჭვო ჩანს ნიკიფორე ვრიენოსის ცნობა იმის შესახებ, რომ ირინე მართას (მარიამის) დისშვილია. ამდენად ბროსეს მოსაზრება აწგარიშგასაწევია. ბაგრატის ძმა დემეტრე ხომ ბიზანტიის მმართველ წრეებთან დაკავშირებული, მათი კაცი იყო.

124 Исторические записки Никифора Вриенния, გვ. 51—52; შდრ. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. V, გვ. 306.

§ 17. მართა (მარიამ) ბაგრატიონისა და გრიგოლ ბაკურიანის როლი ალექსი კომნენოსის გამეფების საქმეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში კიდევ უფრო გართულდა ბიზანტიის პოლიტიკური მდგომარეობა. მცირეაზიელ მაგრად მოიდგეს ფეხი თურქ-სელჩუკებმა და 1077 წელს იკონიის ძლიერი სასულთნო ჩამოყალიბდა, რომლის პირველი სულთანი სულეიმან ყუთულმიშის ძე იყო.

ანა კომნენეს გადმოცემით, იმპერიის აღმოსავლეთის სამხედრო ძალები მიმოფანტული იყო, ხოლო თურქები აფართოებდნენ თავიანთ სამფლობელოს და დაიკავეს თითქმის მთელი ტერიტორია, რომელიც ევქსინოს პონტოს, ეგეოსისა და სირიის ზღვებს, საროსსა და სხვა მდინარეთა შორის მდებარეობს[125].

საგარეო სირთულეებს, ისე როგორც ყოველთვის, ახლაც თან დაემთხვა შინაგანი ბრძოლა ბიზანტიაში, თავი წამოყვეს ტახტის პრეტენდენტებმა[126]. მიხეილ დუკას მეფობის დროს ბიზანტიის სამეფო კარზე დიდ კარიერას მიაღწია ანგარებით განთქმულმა ნიკიფორემ, რომელიც ნიკიფორიცას სახელითაა ცნობილი. მან სამეფო კარზე პირველი მინისტრის თანამდებობაც ხელთ იგდო და მრავალგვარი უკანონო გადასახადი შემოიღო, რასაც შედეგად მოჰყვა პროვინციების მღელვარება[127].

ამასთანავე ნიკიფორიცას წაჩურჩულებით მიხეილ დუკამ უნდობლობის თვალით დაუწყო ცქერა პროვინციის მრავალ მმართველს და მათ შორის დირრახიის, ანუ დრაჩის მმართველს ნიკიფორე ვრიენოსს და მის ძმას იოვანეს. უკანასკნელებმა, რომელთათვის ცნობილი გახდა სამეფო კარის მათდამი განწყობილება, აჯანყება გადაწყვიტეს. მათთან კავშირი გააბა პაფლაგონიიდან კონსტანტინეპოლში მოსულმა ვასილაკმა[128]. ამრიგად, ისევ და-

---

[125] Анна Комнина, «Алексиада». Вступительная статья, перевод, комментарии Я. Н. Любарского. Москва, 1965, გვ. 62.

[126] Histoire de l'empire byzantin par Charles Diehl. Membre de l'institut, professeur à l'Université de Paris, 1924, გვ. 138.

[127] Ф. И. Успенский, История Византийской империи, т. III, გვ. 68—69.

[128] Исторические записки Никифора Вриенния, გვ. 96—99.

იწყო ძლიერი სამხედრო პარტიის მოძრაობა ბიზანტიის სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად.

აღნიშნულმა პარტიამ მოძრაობის ხელმძღვანელად ნიკიფორე ვრიენოსი[129] აირჩია. უკანასკნელმა 1077 წლის ნოემბრის თვეში მეფედ გამოაცხადა თავი და შეთქმულებმა მეფეობა დაიწყეს. მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებულებმა პირველ ხანებში დიდ წარმატებებს მიაღწიეს, მაინც შეძლო მათი დამარცხება სამეფო ლაშქარმა, რომლის ბრწყინვალე ხელმძღვანელი ალექსი კომნენოსი იყო[130].

ამ აჯანყების ჩაქრობისთანავე, 1078 წელს, მეორე აჯანყება იფეთქა, რომელსაც ანატოლიის სტრატეგი ნიკიფორე ბოტანიატი ჩაუდგა სათავეში. მან ბიზანტიის კეისრად გამოაცხადა თავი და დედაქალაქის მიმართულებით შეტევა დაიწყო. ამასთანავე თურქსელჩუკთა რაზმები მოიწვია და მათი დახმარებით ხელთ იგდო ნიკეა და ქალკედონიას მიუახლოვდა.

მიხეილ დუკას ხელისუფლებას არ აღმოაჩნდა სათანადო ძალები შეტევაზე გადმოსულ ბოტანიატის ლაშქრის დასაპირისპირებლად. თუმცა, ალექსი კომნენოსმა, რომელსაც მაშინ აღმოსავლეთის სხოლათა დომესტიკოსის თანამდებობა ეკავა, წინადადებით მიმართა მიხეილს, რომ არსებული ძალებით დაერტყათ ბოტანიატისათვის მანამ, სანამ ის დედაქალაქს მოადგებოდა, მაგრამ მეფემ არ მიიღო ამ ჭკვიანი მხედართმთავრის სტრატეგიული გეგმა[131].

დედაქალაქშიც საქმე ბოტანიატის სასარგებლოდ განვითარდა; დაიწყო მოქალაქეთა აჯანყება, შეიჭრენ სასახლეში და დაკავეს იგი. მიხეილმა ჯერ ვლახერნში შეაფარა თავი, ხოლო შემდეგ, 27 წლის ასაკში მყოფი, სტუდიის მონასტერში აღიკვეცა ბერად.[132] მართა (მარიამ) დედოფალმა და მისმა ვაჟმა კონსტანტინ

---

[129] ეს ნიკიფორე ვრიენოსი მამა იყო აღნიშნული ცნობების გადმომცემ ნიკიფორესი (Ф. И. Успенский, История Византийской империи III, გვ. 73).

[130] Анна Комнина, «Алексиада», გვ. 63—68.

[131] Исторические записки Никифора Вриенния, გვ. 115—116.

[132] თ. ჟორდანია. ფიქრობს, რომ მართას (მარიამის) ქმარი მიხეილი 107 წ. გარდაიცვალა. იგი წერს: „მართა (იგივე მარიამ) დედოფალი შემდეგ მეუღლის მიხაილ დუკაას სიკვდილისა (1071—1078), როგორც ჩანს, საქართველოში დაბრუნებულა, ხოლო 1081 წელს ისევ საბერძნეთში წასულ

ნემ პეტრეს სახელობის მონასტერს შეაფარეს თავი, ხოლო ბოტანიატი, რომელიც ბოლოს ალექსი კომნენოსმაც ცნო მეფედ, კონსტანტინეპოლში შეიჭრა და 3 აპრილს სოფიის ტაძარში მეფედ ეკურთხა[133].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოტანიატი გამეფებისთანავე მრავალნაირ წინააღმდეგობას აწყდა. მოწინააღმდეგეებმა ისიც გამოიყენეს ბრძოლის საბაბად, რომ ის სამეფო-საგვარეულოს შთამომავალი არ იყო და ბიზანტიის სამეფო კართან მას არაფერი აკავშირებდა, ამიტომ მლიქვნელები და მათ შორის ტახტიდან წასული მიხეილ დუკას ბიძა იოვანე, რომელსაც სამეფო კარზე კესარის თანამდებობა ეკავა, ურჩევენ ბოტანიატს, რომ მიხეილ დუკას მეუღლე მართა (მარიამი) შეირთოს ცოლად, რომელიც, როგორც გავეცანით, მონასტერში იყო თავშეფარებული. ტახტის ახალმა მპყრობელმა სასახლეში დააბრუნებინა მართა (მარიამ) დედოფალი და მისი შვილი კონსტანტინე[134].

ნიკიფორე ვრიენოსის გადმოცემით, ნიკიფორე ბოტანიატი უკვე მოხუცი იყო[135]. ამასთანავე ეს მესამე ცოლი იქნებოდა მისი, ხოლო მეორე ცოლი ევდოკია ჯერ ცოცხალი იყო. ცოცხალი იყო აგრეთვე მართა (მარიამ) დედოფლის პირველი ქმარი[136]. ამ უხერხულობის გარდა, ნეოკესარიის საეკლესიო კრების დადგენილებით მესამე ქორწინება სასტიკად იყო აკრძალული[137]. კიდევ მეტი, ნი-

---

(ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, I, 1893, გვ. 229).

მიხეილ დუკა 1078 წელს არ გარდაცვლილა. იგი, როგორც აღნიშნული იყო, ბერად აღიკვეცა და, ნიკიფორე ვრიენოსის გადმოცემით (Исторические записки Никифора Вриенния, დასახ. გამოცემა, გვ. 119; Histoire du Bas-Empire par Lebeau, т. XV, გვ. 64), ცოტა ხნის შემდეგ, პატრიარქმა თომამ ეფესოს მიტროპოლიტად აკურთხა (იხილეთ ამ საკითხზე ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, VI, გვ. 156, შენ. 2). რაც შეეხება მართა (მარიამ) დედოფალს, როგორც ქვემოთ გავეცნობით, იგი ნებით თუ უნებლიეთ ბიზანტიის სამეფო კარზე შექმნილ ისეთ პოლიტიკურ მოძრაობაში ჩაებმება, რომ მისი საქართველოში დაბრუნება მაშინ, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნებოდა.

[133] Исторические записки Никифора Вриенния, დასახ. გამოცემა, გვ. 119—120; შდრ. Ф. И. Успенский, История Византийской империи, т. III, გვ. 69.

[134] Histoire du Bas-Empire par Lebeau, т. XV, გვ. 4.

[135] Исторические записки Никифора Вриенния, გვ. 119.

[136] იქვე, გვ. 120.

[137] იქვე, შენ. 1.

კიფორე აღმსარებლის (მე-9 ს.) მეორე კანონით, მეორე ქორწინებაც არ შეიძლებოდა[138]. ყოველივე ამის გამო, ნიკიფორე ბოტანიატი და მისი მრჩევლები დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ, განსაკუთრებით კი ეკლესიამ გაილაშქრა.

ანა კომნენე მხატვრული ენით აგვიწერს მართა (მარიამ) დედოფლის სიმშვენიერეს, რომლის საფუძველზე გ. გერცბერგი წერს: ნიკიფორე ბოტანიატი მოხიბლა იმდროის ულამაზესი ქალის, ქართველი მთავრის[139] ასულის, დედოფალ მარიამის სიმშვენიერემ; არ გაუწია ანგარიში იმას, რომ დედოფლის ქმარი ჯერ ცოცხალი იყო და სამღვდელოებისა და დედაქალაქის აღშფოთების მიუხედავად, მარიამზე ჯვარი დაიწერაო[140].

მარიამმა თანხმობა განაცხადა ქორწინებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც ამას გ. გერცბერგი აღნიშნავს, ამით მას უნდოდა ტახტი შეენარჩუნებინა თავისი მცირეწლოვანი შვილისათვის, კონსტანტინესათვის[141].

---

138 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, აკად. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1941, შესავალი ნაწილი, გვ. 9.

139 გ. გერცბერგი აქ ბიზანტიური წყაროების ტრადიციას მისდევს, საქართველოს მეფეს ნამდვილი ტიტულით არ იხსენიებს და მთავარს უწოდებს.

140 Г. Ф. Герцберг, История Византии, გვ. 152.

141 აღსანიშნავია, რომ რატომღაც რუსულ საისტორიო ლიტერატურაში თანამედროვე ცნობილი მკვლევრებიც კი, ანგარიშს არ უწევენ ქართულ წყაროებს და ეს მართა (მარიამი) ალანად მიაჩნიათ. მაგ., ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემულ ბიზანტიის ისტორიის II ტომში ვკითხულობთ: «По совету кесаря Иоанна, он (Вотаниат) женился на жене своего предшественника, прекрасной аланке Марии» (История Византии, II, 1967, გვ. 290). ასევე ალანად არის წარმოდგენილი მართა ამ ნაშრომის სხვა გვერდებზე (გვ. 292). ოს ქალს უწოდებს მას აგრეთვე მ. ნ. ლიუბარსკიც (Анна Комнина, «Алексиада», Вступительная статья, перевод, комментарии Я. Н. Любарского, 1965, გვ. 10, 14 და სხვ.).

შეიძლება გვეფიქრა, რომ ქართული წყაროები, რომლებშიც მართას (მარიამის) ვინაობისა და თავგადასავლის შესახებ არის საუბარი, ძნელად ხელმისაწვდომია რუსი მკვლევრებისათვის, მაგრამ ძირითადი ძეგლი, რომელიც ამის შესახებ მოგვითხრობს დიდი ხანია თარგმნილია რუსულად (М. Сабинин, Полное жизнеописание святых Грузинской церкви, ч. II, СПб, 1872, გვ. 161—212) და ლათინურად (P. Peeters, Histoires monastiques géorgiennes: «Analecta Bollandiana», t. XXXVI—XXXVII, Bruxelles, 1917—1919 pp. 69 (74—159).

აღნიშნული შეცდომა იოანე სკილიცეს გამგრძელებლის ერთი არასწორი ცნობიდან უნდა მომდინარეობდეს. იქ ნათქვამია: ბოტანიატი არჩევანში

საინტერესოა თუ როგორ ჩატარდა ამ უკანონო ქორწინების დროს ჯვრისწერის პროცესი. ნიკიფორე ვრიენოსი გადმოგვცემს, რომ როდესაც ბოტანიატმა მარიამზე დაქორწინება გადაწყვიტა, უკანასკნელი გამოიძახეს პეტრეს მონასტრიდან, პირველ ყოვლისა ნიშნობა ჩაატარეს, ხოლო შემდეგ წავიდნენ ჯვრისწერის [illegible] სრულებლად და საკურთხევლის წინაშე დადგნენ. [illegible] რომელსაც ჯვრისწერა უნდა ჩატარებია, „შეეშინდა დაქვეითებისა, რადგანაც მეფე (მიხაელი) დუკა ქმარი (მარიამისა) და მეორე ცოლი ბოტანიატისი ჯერაც ცოცხლები იყვნენ. ეს რომ გაახსენდა და შეიგნო ისიც, თუ რა ცოდვას ჩაიდენდა მეძავეობისა და სამცოლიანობის კურთხევით, საკურთხევლიდან არ გამოდიოდა, აგვიანებდა ამ საქმეს. ამას რომ ხედავდა კესარი, მიხვდა (ყველაფერს), დაიწყო წუხილი, რომ გაიგებდა რა ამას პატრიარხი, დაშლიდა ჯვრისწერას და მყის ევდოკიას მხარეზე გადაიხრებოდა. რადგანაც არ სურდა თავისი აზრების გამოთქმა დამსწრეებთან, მან მიაპყრო თვალი შვილიშვილს მიხაელ დუკას და უნდოდა... გაეგებინებინა ის, რის თქმაც არ შეეძლო. ხოლო ჭაბუკი... მიხვდა რაც უნდა გაეკეთებია... მეორე მღვდელი მოამზადა ჯვრისწერის შესასრულებლად, რომელიც მანამდე დამალული ჰყავდა. ხოლო თითონ მიუახლოვდა საკურთხეველს და მოუხმო მღვდელს, რომელმაც ჯვრისწერის შესრულებაზე უარი თქვა. როცა მან ჰკითხა, თუ რატომ ეძახიან, მაშინ მიხაელმა წაავლო ხელი ტანსაცმელზე და ჩუმად გაიყვანა იქიდან, ხოლო მის ადგილზე დააყენა მეორე, რომელმაც შეასრულა მღვდელთმსახურება“[142].

ნიკიფორე ბოტანიატის მეფობა უფრო უდღეო აღმოჩნდა, ვიდრე მიხეილ დუკასი. ტახტის პრეტენდენტი ნიკიფორე ვრიენოსი ბოტანიატის წინააღმდეგაც განაგრძობდა ბრძოლას. როცა ალექსი კომნენოსის მეთაურობით (ალექსიმ მეორეჯერ გაუმართა ბრძოლა ვრიენოსს) ვრიენოსი დაამარცხეს, ვასილაკმა გააგრძელა

იყო, რომელი შეერთო: „დუკას მეუღლე მეორედ დიოგენეზე გათხოვილი ევდოკია, თუ ახლახან მმეფობი მიხეილის მეუღლე მარიამ ალანელი“ (გეორგიკა, VI, გვ. 164.)

[142] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, გვ. 311 — 312; შდრ. Исторические записки Никифора Вриенния, გვ. 120 — 121; Histoire du Bas-Empire par Lebeau, т. XV, გვ. 63—64.

მისი საქმე[143]. ბრძოლიდან დაბრუნებულ ალექსი კომნენოს მოსვლისთანავე უბრძანა ბოტანიატა, რომ ვასილაკის წინააღმდეგ გამგზავრებულიყო. ალექსიმ შეასრულა ბრძანება, დაამარცხა ვასილაკის ძლიერი ლაშქარი, რომელიც ძირითადად [illegible] ნორმანებისაგან შედგებოდა, ტყვედ ჩაიგდო ვ[illegible] ჯვებული დაბრუნდა[144].

ეს ბრძოლები მეტად მკაცრი და გამანადგურებელი იყო. თუ ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე ძალები ერთ უბანში მარცხდებოდნენ, სამაგიეროდ სხვა მხარეებში კიდევ უფრო ძლიერი ტალღის სახით წამოყოფდნენ თავს ცენტრის უკმაყოფილო ელემენტები. ასეთი მოვლენები პერმანენტულად იყო ბიზანტიაში და, გარეშე მტრების ძლიერი შეტევის პირობებში იგი საბედისწერო იყო სახელმწიფოსათვის.

ბოლოს, 1080 წლის დამლევს ძლიერი აჯანყება მოხდა მცირე აზიაში, რომლის სათავეში ალექსი კომნენოსის დის, ევდოკიას ქმარი ნიკიფორე მელისინი ჩადგა[145]. მანაც მეფედ გამოაცხადა თავი და ძლიერი შეტევა დაიწყო მიზნის მისაღწევად. და როცა ბოტანიატმა ალექსი კომნენოსს უბრძანა მელისინის წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურობა, ალექსიმ უხერხულად ჩათვალა ამ მოვალეობის შესრულება და სთხოვა მეფეს თავიდან აეცილებია მისთვის ეს საქმე[146].

---

143 Histoire de l'empire byzantin par Charles Diehl, გვ. 138.

144 Ф. И. Успенский, История Византийской империи, III, გვ. 72—73.

145 Histoire de l'empire byzantin par Charles Diehl, დასახ. გამოცემა, გვ. 138.

146 Ф. И. Успенский, История Византийской империи, III, გვ. 73.

ფრანგი მკვლევარი შ. დილი ბიზანტიის იმპერიის მაშინდელი გამოუვალი მდგომარეობის ძირითად მიზეზს XI საუკუნის 60—70-იანი წლების იმპერატორების სისუსტესა და უმოქმედობაში ხედავს. იგი წერს: «Malgré les réels périls qui menaçaient l'empire, pourtant, pour maintenir le prestige et la puissance de la monarchie, il eût suffi de princes énergiques, continuant les traditions d'une politique habile et forte» (Histoire de l'empire byzantin par Charles Diehl, გვ. 131).

სახელმწიფოს სათავეში მყოფ მტკიცე და გამოცდილ მმართველს, რა თქმა უნდა, გარკვეული როლის შესრულება შეუძლია, მაგრამ ბიზანტიის მაშინდელი მდგომარეობიდან გამოყვანა, მისი ძველი ძლიერებისა და პრესტიჟის აღდგენა-შენარჩუნება, მარტო პიროვნებებზე არ იყო დამოკიდებული.

სწორედ ამიერიდან უნდა ჩატეხილიყო ხიდი ბოტანიატსა და ალექსი კომნენოსს შორის. იწყება ბოტანიატის ხელისუფლების წინააღმდეგ საიდუმლოებით მოსილი ბრძოლა კომნენოსთა სახლის წევრებისა, რომლებსაც მართა (მარიამ) დედოფლის [illegible] დო მოკავშირე და მესაიდუმლე ამოუდგებათ მხარში.

როგორც აღნიშნული იყო, მართა (მარიამ) დედოფალი იმ პირობით დაქორწინდა ბოტანიატზე, რომ მის შვილს ბიზანტიის იმპერატორის ტახტს შეუნახავდნენ. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ბოტანიატს ტახტის მემკვიდრედ თურმე სინადინების საგვარეულოს წარმომადგენელი უნდა დაეტოვებია[147]...

როცა მართამ (მარიამმა) გაიგო მისი მეუღლის განზრახვა, დაუყოვნებლივ დაიწყო ძლიერი მოკავშირის ძებნა და არჩევანი, რა თქმა უნდა, კომნენოსთა სახლის წევრებზე შეაჩერა. უკანასკნელებს სასახლის მოხელეთა ინტრიგებიც უკარნახებდათ ფრთხილად ედევნებიათ თვალი მოვლენებისათვის. თუ ანა კომნენეს დავუჯერებთ, როცა ძმებმა ისაკმა და ალექსი კომნენოსებმა სამეფო კარზე დიდი ავტორიტეტი მოიპოვეს, მეფის ორმა მინისტრმა, წარმოშობით სლავებმა, ვორილმა და გერმანმა კომნენოსთა დაღუპვა განიზრახეს, რაც უკანასკნელთათვის ცნობილი გახდა. ამ საფრთხის თავიდან აცილება სლავი მინისტრების განდევნით შეიძლებოდა და ამის განხორციელება კი იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ ტახტი კომნენოსთა ხელში გადავიდოდა. რა თქმა უნდა, როცა პოლიტიკურ ბრძოლაზე და დაჯგუფებაზეა ლაპარაკი, აქ მარტო სლავი მინისტრები არ უნდა ვიგულისხმოთ.

როგორც გავეცანით, ჯერ კიდევ მიხეილ დუკას მეფობის დროს კომნენოსთა სახლი მართა (მარიამ) დედოფლის საგვარეულოს, ბაგრატიონთა სახლს დაუნათესავდა და ეს გარემოებაც აახლოებდა ბიზანტიის ქართველ დედოფალს კომნენოსთა სახლთან.

კომნენოსთა სახლის წევრებს მართა (მარიამ) ბაგრატიონის ასულთან დაახლოება იმიტომაც აინტერესებდათ, რომ ბიზანტიის სამეფო ტახტი მართას შვილს, კონსტანტინეს ეკუთვნოდა. დედოფალსა და ტახტის მემკვიდრეს, ჩანს, საკმაოდ ძლიერი პარტიაც უჭერდა მხარს და ეს გარემოებაც შორსმჭვრეტელ კომნენოსებს გამოსაყენებელ და ანგარიშგასაწევ მოვლენად ეხატებოდათ.

---

147 Ф. И. Успенский, История Византийской империи, III, გვ. 74; Г. Ф. Герцберг, История Византии, გვ. 254.

კომნენოსებმა გადაწყვიტეს კიდევ უფრო ახლო ნათესაური კავშირი დაემყარებიათ მართა (მარიამ) დედოფალთან. ანა კომნენეს გადმოცემით, სასახლის კარის ქალთა წრის საშუალებით დააყენეს საკითხი დედოფლის წინაშე, რომ ძმებ[illegible] [illegible]-დან ყველაზე უფრო ჭკვიანი და გამჭრიახი ალექსი [illegible] [illegible] მას, რაზედაც მართა (მარიამ) დედოფალი დათანხმდა[148].

ამ შეთანხმებას გარკვეული პოლიტიკური მიზანი ჰქონდა. მას კომნენოსთა სახლის წევრის მიერ ბიზანტიის სამეფოს ტახტის დაკავება ჰქონდა მიზნად დასახული და მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებაში ამის განხორციელება ორივე მხარისათვის ხელსაყრელი იყო: კომნენოსთა სახლის წევრებს ტახტის დასაპატრონებლად კონსტანტინე უფლისწულის უფლებები და დედოფლისა და ტახტის მემკვიდრის ძლიერი პარტიის დახმარება ესაჭიროებოდათ, ხოლო მიზნის განხორციელების შემთხვევაში, დედოფლისა და ტახტის მემკვიდრის წარმოდგენით, კონსტანტინე უფლისწულს გამეფებული კომნენოსი ტახტს შეუნახავდა.

ამასთანავე წინასწარ უნდა ყოფილიყო შეთანხმებული ისიც, რომ მართას (მარიამის) ღირსება და უფლებები, როგორც მეფის დედისა და ბიზანტიის დედოფლის, დაცული იქნებოდა[149].

ანა კომნენეს გადმოცემით, ერთ დღეს, დღესასწაულზე, როდესაც ძმები ისაკი და ალექსი მეფის სასახლეში იმყოფებოდნენ, ძველთაგან დადგენილი წესის მიხედვით[150] მოხდა შვილად აყვანა; მართამ (მარიამმა) იშვილა ალექსი კომნენოსი[151]. ამ გარემოებამ, განაგრძობს ანა კომნენე, შემდეგ დასავლეთის ჯარების დიდ დომესტიკოსს (ალექსის) ბევრი დარდი და საზრუნავი ააცილა თავიდანო[152]. ალექსის შვილად აყვანის შემდეგ კომნენოსებს შეეძლოთ მთელი თავიანთი გეგმა წარედგინათ მარიამისათვის[153].

---

148 Анна Комнина, «Алексиада», გვ. 92.

149 История Византийской империи, III, გვ. 75.

150 წესის თანახმად შვილად აყვანა ხდებოდა ეკლესიაში მღვდლის წინაშე. ამ შემთხვევისათვის მომზადებული ლოცვის შესრულებით. შვილად ასაყვანს ხელში ეჭირა ანთებული სანთელი, რომელზედაც შვილად ამყვანს გადაფარებული ჰქონდა თავისი წამოსასხამი.

151 იქვე.

152 Ф. И. Успенский, История Византийской империи, III, გვ. 75.

153 Сокращенное сказание о делах царя Алексея Комнина, გვ. 85.

ანა კომნენეს შრომიდან არ ჩანს, თუ როგორ შეხვდა თვით ნიკიფორე ბოტანიატი კომნენოსთა სახლისა და მართა (მარიამ) დედოფლის ამ დაახლოებას. ის კი ნათლად ჩანს, რომ ამიერიდან ისაკი და ალექსი სასახლის უფრო ხშირი სტუმრები გახდნენ. ამასთანავე ანას მოთხრობიდან ისიც იგრძნობა, რომ [illegible] ეჭვი ეპარებოდა კომნენოსების გულწრფელობაში. [illegible] ნასკნელები ერთგულებას ეფიცებიან მართა (მარიამ) დედოფალს, შემოგფიცავთო ეუბნებიან მას, რომ თქვენს შვილს კონსტანტინეს არ დაეკარგება მეფობაო.

როცა მართა (მარიამ) დედოფალმა და კომნენოსებმა ერთმანეთს საიდუმლოება ბოლომდე გაუმჟღავნეს და დაიწყო შეთქმულების მზადება ბოტანიატის წინააღმდეგ, 1081 წლის ზამთარში, თურქ-სელჩუკებმა დაიწყეს ძლიერი შეტევა ბიზანტიის წინააღმდეგ და ქ. კვიზიკი[154] აიღეს[155]. ნიკიფორე ბოტანიატის ხელისუფლებამ მათ წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურობა დასავლეთის დიდ დომესტიკოს ალექსი კომნენოსს მიანდო. ჩანს, ძმებმა კომნენოსებმა მათი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ხელსაყრელად დაინახეს ეს მოვლენა. ანა კომნენეს გადმოცემით, ახლა განსაკუთრებით გააძლიერეს ურთიერთობა მართა (მარიამ) ბაგრატიონის ასულთან და არწმუნებდნენ მას, რომ ისინი მისი ბედისათვის ზრუნავდნენ[156].

ამავე დროს, იგივე ავტორის გადმოცემით, კომნენოსებს აცნობეს საიდუმლოდ, რომ მეფის მინისტრებს ვორილსა და გერმანს განზრახული აქვთ ხელთ იგდონ ძმები კომნენოსები და თვალები დასთხარონ[157] მათ[158]. ე.ი. გაძლიერდა ინტრიგები სასახლეში კომნენოსთა წინააღმდეგ.

როცა ნიკიფორე ბოტანიატმა უბრძანა ალექსი კომნენოსს, რომ გარკვეული ჯარის ნაწილებით თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ

---

154 ქ. კვიზიკი პროპონტიდაში, ოპსიკიის მხარეში მდებარეობდა.

155 Ф. И. Успенский, История Византийской империи, გვ. 75.

156 Анна Комнина, «Алексиада», გვ. 95.

157 თ. ი. უსპენსკი არ იზიარებს ანა კომნენეს ცნობას იმის შესახებ, რომ სლავ მინისტრებს ვორილსა და გერმანს კომნენოსთა დაბრმავება ჰქონდათ განზრახული (История Византийской империи, III, გვ. 74). ანა კომნენეს ზოგიერთი ცნობა, ანას საკუთარ მამას რომ ეხება, შესაძლებელია ცალმხრივობისაგან დაზღვეული არ იყოს, მაგრამ ბიზანტიაში რომ ასეთ ვერაგობას ჩვეულებრივ ხშირად მიმართავდნენ, საყოველთაოდ ცნობილია.

158 Анна Комнина, «Алексиада», გვ. 96—97.

გამგზავრებულიყო, ალექსიმ ისარგებლა ამით და მის განკარგულებაში მყოფი დასავლეთის სხვა ძლიერი ნაწილებიც გამოიძახა, რათა თავისი მიზნისათვის, ტახტის ხელში ჩასაგდებად გამოეყენებია ისინი. მაგრამ ვორილმა დაუყოვნებლივ [illegible] ალექსი მეფე ბოტანიატს და ამიერიდან კიდევ უფრო [illegible] ალექსიმ [illegible] მლო მოძრაობა კომნენოსთა წინააღმდეგ, რომელსაც ვორილი და გერმანი მეთაურობდნენ. სამეფო კარის მოხელეებს შესაძლებელია ადვილად მოეხერხებიათ კომნენოსთა დაღუპვა, მაგრამ ეს ამბავი დაუყოვნებლივ აცნობა ალექსის ერთ-ერთმა ალანმა, რომელსაც მაგისტრის ჩინი ჰქონდა და ბიზანტიის სამეფო კარზე შინაურ კაცად იყო მიჩნეული. ანა კომნენე პირდაპირ მიუთითებს, რომ ამ საფრთხის შესახებ ალექსი კომნენოსისათვის ცნობის მიწოდებაში მართა (მარიამ) დედოფლის ხელი ერია, ალანი მაგისტრის წასვლა ალექსისთან და საფრთხის შეტყობინება მართა ბაგრატიონის ასულის გარეშე არ მომხდარა[159]. არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობაც, რომ ეს ალანი მაგისტრი ირინეს (ისაკის მეუღლე) საშუალებითაც იყო დაკავშირებული კომნენოსთა სახლთან.

როცა ალექსისათვის ყველაფერი ცნობილი გახდა, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, თანამოაზრეებთან მოთათბირების შემდეგ იგი პირველ ყოვლისა მიდის ქართველ მხედართმთავართან, გრიგოლ ბაკურიანის ძესთან[160], რომელმაც გულდასმით მო-

---

[159] Анна Комнина, «Алексиада», გვ. 97.

[160] გრიგოლ ბაკურიანის ძე საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა ბიზანტიის ისტორიაში. მისი მამა, დავით კურაპალატის ქვეშევრდომი, ქართველი დიდი აზნაური იყო. ზოგიერთ ცნობებს თავისი ვინაობის შესახებ თვით გრიგოლი გვაძლევს მის მიერ დაარსებულ პეტრიწონის მონასტრის წესდებაში: „ვიწყოთ ჩვენ საუბარი... შესახებ ადგილსამყოფელისა მის პეტრიწონად წოდებულისა ციხისა შეკრებილ მონაზონებისა, რომელნიც ქართული წერა-კითხვისა და ენის მცოდნენი არიან და მოთავსებული არიან ყველანი... ახლახან აშენებულ მონასტერში, რომელიც აღვაშენე მე გრიგოლმა, ღვთის ნებით სევასტოსმა და მთელი დასავლეთის დომესტიკოსმა, ღვიძლმა შვილმა ნეტარი ბაკურიანისა, ბრწყინვალე ერისთავთ-ერისთავისა, რომელიც წარმოშობით ვარ აღმოსავლეთელი მხარეებიდან, იბერთა უბრწყინვალესი გვარიდან“ (გეორგიკა, V, დასახ. გამოცემა, გვ. 99 A 148).

ამასთანავე პეტრიწონის მონასტრის ძმობის წევრებს გრიგოლ ბაკურიანის ძე მიმართავს: „ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი ვ ა რ თ და ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი მ ხ ე დ რ ო ლ ი ცხოვრება გამოვლილი გვაქვსო“ (იქვე, გვ. 101, 151). იხილეთ აგრეთვე გრიგოლ ბაკურიანის ძის შესახებ: კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 92—93; ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოცემა, მისივე შენიშვნა, გვ. 170, 177; ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, „გეორგიკა“, V, გვ. 83—84; А. А. Ц а г а р е л и, Сведения о памятниках

უსმინა მას და შემდეგ ყოველგვარი დახმარება აღუთქვა. ამასთანავე სწრაფი მოქმედება ურჩია და თან გააფრთხილა, რომ თუ ალექსი მოქმედებას დააყოვნებს, თვით გრიგოლი მოახსენებს მეფეს ალექსისა და მისი თანამოაზრეების განზრახვებს[161].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლმა და ალექსიმ ერთგულების ფიცი მისცეს ერთმანეთს, ამასთანავე აქვე შეთანხმდნენ, რომ გამარჯვების შემთხვევაში გრიგოლ ბაკურიანის ძე დასავლეთის დიდი დომესტიკოსის თანამდებობას მიიღებდა,[162] ე.ი. ალექსი კომნენოსის თანამდებობას დაიკავებდა.

ყოველივეს, რაც ამ დროს ბიზანტიაში ხდებოდა, ჩანს, საქართველოს მმართველი წრეები თვალყურს ადევნებდნენ. მაგრამ ამ ორი ქვეყნის რაიმე სამხედრო კავშირის დამყარება მაშინ შეუძლებელი იყო. ორივე ქვეყანას უჭირდა. საქართველოში ეს არის „დიდი თურქობის“ ხანა, როცა თურქ-სელჩუკები „მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალი“[163].

დავითის ისტორიკოსი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ამ დიდი გაჭირვების დროს „არა-სადათ იყო ღონე ჴსნისა და შეწევნისა, არცარა დამჴსნელი ამათ ძჳრთა, რომელ მოეცვა პირი ყოვლისა ქუეყანისა, რამეთუ ძალი ბერძენთაცა შემცირებულ იყო, და რომელნი ქუეყანანი მათ აღმოსავლეთს ჰქონდეს ზღუასა გარეთ, ყოველნი თურქთა დაეპყრა“[164].

ალექსი კომნენოსი და მისი თანამოაზრეები კონსტანტინეპოლიდან გაიქცნენ, თრაკიაში მივიდნენ, აჯანყებულთა მთავარ ბაზად დაბა ცურული აქციეს, ლაშქრის კონცენტრაცია მოახდინეს და შემდეგ დედაქალაქი აიღეს[165].

ამრიგად, ალექსი კომნენოსმა ტახტი ჩაიბარა, ხოლო ბოტანიატი, 1081 წლის 1 აპრილს, აიძულეს ბერად აღკვეცილიყო. ამ

грузинской литературы, III, გვ. XII, შენ.; თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, II, 1896, გვ. 155 და სხვ.).

161 Анна К о м н и н а, «Алексиада», გვ. 97.

162 ი ბ ე ვ ე.

163 დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 319.

164 ი ბ ე ვ ე, გვ. 321.

165 История Византии, II, 1967, გვ. 293.

მოვლენას, ისე როგორც ყოველთვის ანალოგიურ შემთხვევას, თან ახლდა სისხლისღვრა და შფოთი. ბულგართა, სლავთა და ბერძენთა ძლიერი რაზმები, რომლებიც ალექსის უჭერდნენ მხარს და ხარსიანის კარებით დედაქალაქში შეიჭრნენ, ცეცხლს ალბეთ მოედვნენ მის უბნებს, დაუზოგავად გაძარცვეს და გაანადგურეს ყველაფერი[166].

საყურადღებოა, რომ ამ ქარიშხლიან დღეებში, მართა (მარიამ) დედოფალი თავის შვილთან, მცირეწლოვან კონსტანტინესთან ერთად სასახლეში იყო და ფეხი არ მოუცვლია[167]. ანა კომნენე ამას იმით ხსნის, რომ უცხოობაში მყოფ ქალს, რომელსაც არ გააჩნდა თანამგრძნობი, არ სურდა უმისამართოდ გამოსულიყო სასახლიდან, რათა მის ვაჟს არაფერი უბედურება შემთხვეოდა, რომელიც ყოველთვის თან სდევს ასეთ მოვლენასო[168].

მარიამ (მართა) დედოფლის ასე მშვიდად ყოფნა იმის შედეგიც უნდა იყოს, რომ კომნენოსთა გეგმა მისთვის წინასწარ იყო ცნობილი, იგი ამ გეგმის შედგენა-განხორციელების მონაწილეც იყო და მისთვის მოულოდნელი არაფერი იქნებოდა. შეთქმულთა მიზნების განხორციელება მას საფრთხეს არ უქადდა.

როცა ყველაფერი მოთავდა და ალექსი კომნენოსმა ტახტი ჩაიბარა, მართა (მარიამ) დედოფალმა მოსთხოვა მას წითელი მელნით ხელმოწერილი ოქრობეჭედი, რომლის თანახმად მის შვილს კონსტანტინეს და თვით მას, მართა (მარიამ) დედოფალს, არამცთუ ხელს არ ახლებდნენ, არამედ კონსტანტინეს ალექსის თანამეფედ გამოაცხადებდნენ, რომელსაც უნდა დაედგა გვირგვინი და ეტარებინა წითელი წაღები[169].

წყაროები მიგვითითებს, რომ ალექსი კომნენოსმა უყოყმანოდ შეასრულა მართა (მარიამ) დედოფლის ეს მოთხოვნა[170]. ტა-

---

166 Г. Ф. Герцберг, История Византии, გვ. 255.

167 გ. გერცბერგი აღნიშნავს, რომ როცა ალექსი კომნენოსი კონსტანტინეპოლიდან გაიქცა და დედაქალაქზე შეტევისათვის ემზადებოდა, ამ დროს ოფიცერთა საბჭო შედგა, რომელმაც უგულებელყო ტყვეობაში მყოფი უფლისწულის, კონსტანტინე მიხეილის ძის, როგორც ტახტის მემკვიდრის, უფლებები და მეფედ ალექსი კომნენოსი წამოაყენაო (დასახ. ნაშრომი, გვ. 254). ანა კომნენეს ზემოთ მოტანილი ცნობის შემდეგ გერცბერგის ეს განმარტება კონსტანტინეს ტყვეობის შესახებ გაუგებარია.

168 «Алексиада», გვ. 116.

169 იქვე. გვ. 124.

170 საჭიროა შევნიშნოთ, რომ ამ თემასთან დაკავშირებულ საკითხებზე ბშირად წყაროები ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნობებს გვაძლევს, რომელ-

ხტის მპყრობელს ამის შესრულებაზე ის აიძულებდა, რომ, ჯერ ერთი იგი უდავოდ წინასწარ იყო შეთანხმებული და, რაც მთავარია, ტახტის მემკვიდრისა და მართა (მარიამ) დედოფლის ალიერი პარტიის მხარდაჭერა ჯერ კიდევ ესაჭიროებოდა კომნენოსებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართა (მარიამ) დედოფლისა და კონსტანტინე უფლისწულისადმი მიცემული პირობა რომ ეჭვმიუტანელი ყოფილიყო, ალექსი კომნენოსმა თავისი მცირეწლოვანი ქალიშვილი ანა კონსტანტინე დუკაზე დანიშნა. ბიზანტიის მომავალ დედოფლად აღიარა და ამიერიდან იგი მართა (მარიამ) დედოფლის ზედამხედველობით,

---

თა მექანიკური განმეორება ზოგიერთი ცნობილი მკვლევრის ნაშრომშიც გვხვდება. მაგალითად, თ. ი. უსპენსკი წერს: «Царица Мария очень благоволила к Алексею, и последний был духовно ею усыновлен» (История Византийской империи, III, გვ. 74). მაგრამ შემდეგ ამავე ნაშრომში მკვლევარი აღნიშნავს, რომ «При воцарении Алексея была сильна тенденция соединить новую династию с фамилией Дук, в этих видах предполагалось устроить брак Алексея с царицей Марией, супругой Михаила VII Дуки» (იქვე, გვ. 171—172).

ალექსი კომნენოსი და მართა (მარიამ) დედოფალი, როგორც შვილობილ-დედობილი, საეკლესიო წესით მანამდე დაუკავშირდნენ ერთმანეთს, სანამ ალექსი გამეფდებოდა. ამიტომ კომნენოსის გამეფების დროს შეუძლებელი იქნებოდა საკითხის დასმაც კი ალექსისა და მართა (მარიამ) დედოფლის ცოლ-ქმრული დაკავშირების შესახებ.

თ. უსპენსკი ალბათ ანა კომნენეს იმ ცნობიდან გამოდის, სადაც ნათქვამია: ვინაიდან აჯანყების დროს მარიამმა სასახლე არ დატოვა, ჩურჩული და მითქმა-მოთქმა შეიქმნა იმის შესახებ, რომ ალბათ მას ახალი მეფეც შეირთავს ცოლად (დასახ. ნაშრომი, გვ. 118). მაგრამ ასეთი რამ ალექსის აზრადაც არ მოსვლია (იქვე); მართლაც, ალექსი ისეთი წინდახედული პოლიტიკური მოღვაწე იყო, რომ ამ გაუმართლებელ საქციელს არ ჩაიდენდა. ჯერ ერთი, კომნენოსების და დუკთა სახლების ურთიერთნათესაური შეკავშირება უკვე განხორციელებული ფაქტი იყო, ალექსის ცოლად ჰყავდა იოანე დუკას, კესარის შვილიშვილი ირინე. მეორეც, ალექსიმ კარგად იცოდა, თუ რაოდენი ზიანი მიაყენა ნიკიფორე ბოტანიატს მისმა ფუქსავატურმა საქციელმა, როცა მან სრულიად წინდაუხედავად მართა (მარიამ) დედოფალს თავს მოახვია თავისი სურვილები. როგორც ცნობილია, ამისათვის ის რომის პაპმაც შეაჩვენა და დასავლეთი მტრად გადაჰკიდა. პაპის მიერ ადგილებზე დაგზავნილმა წერილებმა ბიძგი მისცა იმას, რომ დიდი ძალა დარაზმულიყო ნორმანთა ბელადის, ჰერცოგ რობერტ გვისკარის დროშის ქვეშ, რომელიც დუკთა უფლებების დაცვის საბაბით ბოტანიატის წინააღმდეგ გამოემგზავრა აღმოსავლეთისაკენ. ალექსის კიდევ უფრო დიდ ცოდვად ჩაეთვლებოდა საეკლესიო წესით გაფორმებული დედობილის ცოლად შერთვა. ანა კომნენეს ცნობები ამ საკითხზე სრულიად სწორი და მართალი ჩანს.

სპეციალურად სადედოფლოდ იზრდებოდა,[171] მაგრამ შემდეგ ალექსი კომნენოსმა ტახტის მემკვიდრედ თავისი შვილი იოანე გამოაცხადა, ამიტომ იყო, რომ, ანა კომნენეს ცნობით, მარიამი შემდეგ ალექსის საწინააღმდეგო შეთქმულების მონაწილე აღმოჩნდა[172]. კონსტანტინეც მალე გარდაიცვალა და მართა (მარიამ) დედოფლისა და მისი სარძლოს იმედებიც აღარ გამართლდა.

ალექსი კომნენოსმა ტახტზე ასვლისთანავე გრიგოლ ბაკურიანის ძეს დასავლეთის დიდი დომესტიკოსის თანამდებობა ჩააბარა. გრიგოლმაც, ამ ნიჭიერმა მხედართმთავარმა, უდიდესი სამსახური გაუწია ბიზანტიის სამეფო კარს. იგი დასაყრდენი იყო ალექსი კომნენოსისათვის თითქმის ყველა დიდ ბრძოლაში. იმის გასათვალისწინებლად, თუ რაოდენ თავდადებულად ემსახურებოდა გრიგოლ ბაკურიანის ძე ბიზანტიის სამეფო კარს, მოვიტანოთ თვით გრიგოლის განცხადება:

---

171 აღსანიშნავია, რომ მართა (მარიამ) დედოფალი და მისი შვილი კონსტანტინე, სანამ უკანასკნელი ცოცხალი იყო, ყურადღების გარეშე არ ტოვებდნენ და ეხმარებოდნენ ათონის მთაწმიდის ქართველთა მონასტერს. ამის შესახებ ამ მონასტრის ერთ აღაპში ვკითხულობთ: „თუ ესა ნოენბერსა: კ: აღაპი არის დედოფლისა ჩუენისა მარიამ მართა ყოფილისა და ძისა მათისა კონსტანტინე პორფიროგენისა: დიდთა და მრავალთა ქველისმოქმედებათა მათთათჳს, რომელ აჩუენნეს ჩუენ ზედა: პირველად განგუათავისუფლეს სიკრიტონისაგან, რომელნი მე სოლომნისათჳს გუთხოვდეს ხუთსა ლიტრასა, მათ მისცეს განძი ესე და აღმოჴცეს სოლომნი სიკრიტონისაგან. და კუალად სხუათა პრასტინთათჳს დიად იღუაწეს მეფეთა თანა, და მერმე მოსცეს ძმათა გასაყოფლად ლიტრა: ვ:“ (ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, თბილისი, 1901, გვ. 250).

საყურადღებოა, რომ ათონის მთაწმიდის ქართველთა მონასტერს ხშირად არც კეისრები აკლებდნენ მზრუნველობას. ნიკიფორე ბოტანიატმა ქართველთა მონასტერი ვრცელი მამულებით მოამარაგა, ხოლო ალექსი კომნენოსმა ათონის მთაწმიდა კონსტანტინეპოლის პატრიარქისაგან დამოუკიდებლად გამოაცხადა. გაანთავისუფლა ბერები ყოველგვარი სეერო და სასულიერო გადასახადებისაგან და დაამტკიცა პროტის, როგორც ძმათა შორის უფროსის სასამართლო უფლებები (Г. Ф. Герцберг, История Византийской империи, გვ. 276).

172 იხ. Анна Комнина, «Алексиада». Вступительная статья, перевод, комментарии Я. Н. Любарского, გვ. 249, 550—551. ამ ცნობის თანახმად მართა (მარიამი) მონაწილე იყო იმ შეთქმულების, რომელიც ნიკიფორე რომანოზის ძე დიოგენის მეთაურობით ალექსი კომნენოსის წინააღმდეგ ეწყობოდა და 1094 წელს საბოლოოდ გამომჟღავნდა («Алексиада», გვ. 259—260; 549, შენ. 899). მონაწილეობის მიზეზი კი ის უნდა ყოფილიყო, რომ «Незадолго до этого Константин был низложен и вместо него соправителем Алексея назначен Иоанн» (იქვე, გვ. 549, შენ. 899).

მამულები და ქონება, რომლებიც პეტრიწონის მონასტერს მოვახმარე, „მოგვენიჭა ჩვენ ჩვენი თვითმპყრობელი მეფეების სარწმუნო და პატიოსანი ოქრობეჭდით ნაცვლად ჩემი მრავალი დიდი სისხლისმღვრელი ბრძოლებისა და მსახურებისა, რომლებიც მე გავწიე ჭაბუკური ასაკიდან დაწყებული ვიდრე აწინდელ ასრემდე; არასოდეს არ დამიზოგავს სისხლი ჩემი, არც ჩემთან მყოფ ნათესავებისა, აგრეთვე არც ჩემი ხელქვეითი მრავალი ერისა, რომ კარგად ყოფილიყო მათი მეფობის ძალაუფლება, როდესაც მე მებრძანა, როგორც აღმოსავლეთის ისე დასავლეთის მხარეებში სამსახური გამეწია რომაული სახელმწიფოსათვის, ისე რომ საშინელ ტყვეობაშიც ჩავვარდნილვარ არა მცირედი ნათესავებითურთ და ერთგული მახლობლებითურთ; ყველა ესენი ჩემთან ერთად წარმართთა ხელში მოხვედრილან, თუ ვიტყვი იმასაც, რომ იშვიათად თუ ვინმე ჩვენი ტომისაგანი და ღვთივ ჩაგონებული სიყვარულით მსახურთაგანი საკუთარ სარეცელზე ბუნებრივი სიკვდილით მომკვდარა, — არ ვიტყუებ: ყველამ თავისი სისხლი დაღვარა... საბერძნეთის მტერთა მახვილით და ხელითო“[173].

ამ ცნობაში ბევრი რამ არის საყურადღებო. ჩანს, არა მარტო გრიგოლ ბაკურიანის ძე, არამედ ბევრი სხვა ქართველიც იმყოფებოდა ბიზანტიის სამსახურში XI საუკუნის მეორე ნახევარში. აქ, იბერიის თემში, საკატეპანოში მცხოვრები ქართველებიც იგულისხმებიან. გრიგოლ ბაკურიანის ძის მოღვაწეობისა და თავგადასავლის შესახებ ჩვენ ყველაფერი არ შემოგვინახა წყაროებმა. აქ მოტანილი ცნობიდან კი ის ჩანს ნათლად, რომ იგი ბრწყინვალე მხედართმთავრის როლს ასრულებდა ბიზანტიის ლაშქარში როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ფრონტებზე, რაზედაც ანა კომნენეც მოგვითხრობს[174]. ბიზანტიის კეისრების სამსახუ-

---

რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების „ძეგლის წერაში“ დაცული ცნობით მართა (მარიამი) ამ წელს ცოცხალი იყო. იქ ნათქვამია: „კეთილად მსახურისა და ღვთივ დაცულისა მეფისა ჩუენისა გიორგი (გ-ი) მეფეთა მეფისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა კ ე ს ა რ ო ს ი ს ა მრავალმცა არიან წელნი და ქამნი ცხოვრებისა მისისანი. კეთილმსახურისა... დედოფლისა ჩუენისა მ ა რ თ ა აგვსტინაჲსნი მრავალ არიან წელნი“ (თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 240—241; II, გვ. 70).

[173] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, გვ. 119.

[174] «Алексиада», გვ. 97, 201 და სხვ.

რით დაიწყო გრიგოლმა თავისი კარიერა და მათვე შესწირა თავისი სიცოცხლე[175].

1086 წელს ფილიპოპოლისა და მისი მოსაზღვრე ქალაქების „მწვალებელთა“ დიდი ტალღა გამოვიდა ბიზანტიის წინააღმდეგ ალიკიანთა და სხვათა სახით. „მწვალებელთა“ ბელადები პაჭანიკებს

---

175 ბიზანტიის ხელისუფლება არამცთუ ქართველების სახით ეძებდა და პოულობდა კიდეც ამ გაჭირვების დროს დამხმარესა და მოამაგეს, არამედ ქართველთა ნათესავებშიც ნახულობდა იგი მომხრეებს. XI საუკუნის 80-იანი წლების პირველ ნახევარში თურქთა დიდ სულთანს თავისი ძმა თუთუსი აუჯანყდა, რომელმაც 1084 წელს ხელთ იგდო ალეპო, ანტიოქია და მთელ სირიას დაეპატრონა (Сокращенное сказание о делах царя Алексея Комнина, труд Анны Комниной, перевод под редакциею профессора Карпова, С.-Петербург, 1859, გვ. 288—289, იქვე, შენ. 2). როდესაც სულთანი ამის გამო დიდ საფრთხეში აღმოჩნდა, მან ბიზანტიის კეისარს, ალექსი კომნენოსს ელჩი, ვინმე სიაუში, გაუგზავნა და თავისი ეპისტოლეთი სთხოვა კეისარს, რომ შეკრან ურთიერთშორის ნათესაური კავშირი და თუ კეისარი ამაზე დათანხმდება, სულთანი გაიყვანს თურქებს (შავი) ზღვის სანაპიროებიდან (იქვე, გვ. 289—290).

როგორც ჩანს, სიაუში მეტად სანდო კაცად მიაჩნდა დიდ სულთანს და თითქოს ბრძანებაც კი გაუტანებია მისთვის თურქთა მიერ დაკავებული მცირე აზიის ზოგიერთი სანაპირო ქალაქის თურქი მმართველების მიმართ ამ ქალაქების დაცლის შესახებ. მაგრამ სიაუშს ამ ბრძანების სისრულეში მოყვანისათვის მხოლოდ მას შემდეგ უნდა ეზრუნა, როცა სულთნის მოთხოვნებს კეისარი დააკმაყოფილებდა.

ანა კომნენე მიუთითებს, რომ როცა ალექსიმ ელჩი მიიღო და მასთან საუბარი გამართა, მისი სახით ჭკვიანი კაცი დაინახა და სთხოვა მას ეამბნა კეისრისათვის თავისი ვინაობა. საუბრის დროს გამოირკვა, რომ ელჩი სიაუში დედით ქართველი, იბერიელი იყო. ამის შემდეგ ალექსი შეეცადა თავის მხარეზე გადაეყვანა იგი და გაქრისტიანებაც შესთავაზა მას. უკანასკნელი დაეთანხმა კეისარს, მაგრამ თან დასძინა, რომ შემდეგ მისი დაბრუნება სულთანთან შეუძლებელი იქნებოდა (იქვე, გვ. 290).

კეისრის მიზანი, როცა ის სიაუშს თავისი წინადადებით მიმართავდა, ის იყო, რომ სულთნის მიერ სიაუშისათვის გამოტანებული წერილობითი ბრძანებით ესარგებლა და შავი ზღვის ზოგიერთი სანაპირო რაიონიდან თურქები გაედევნა. მართლაც, თუ ანა კომნენეს დაეჯერება, კეისარმა და მის მხარეზე გადასულმა ქართველთა სახლიშვილმა მოხერხებულად გამოიყენეს სულთნის ეს წერილობითი განკარგულება. სიაუში დაუყოვნებლივ გაემგზავრა ქ. სინოპში, წარუდგინა სულთნის ბრძანება ამ ქალაქის თურქ მმართველს ხარატიკს, რომელსაც ახლად დაპყრობილი ჰქონდა ეს მხარე, გააძევა ის იქიდან და მის მაგივრად მხარის მმართველად კონსტანტინე დალასანოსი დანიშნა. ასევე მოიქცა სიაუში ბევრი მხარისა და ქალაქის მიმართ და იქიდანაც გააძევა თურქები (იქვე, გვ. 290—291).

დაუკავშირდნენ და ბიზანტიის სამფლობელოებს რბევა დაუწყეს. ალექსი კომნენოსმა მათ წინააღმდეგ ბრძოლა დასავლეთის დიდ დომესტიკოს გრიგოლ ბაკურიანის ძესა და მის მოადგილეს ვრანს დაავალა[176]. ანა კომნენე მიუთითებს, რომ როდესაც ბაკურიანის ძემ თავისი ლაშქარი საბრძოლოდ გააწყო და ამავე დროს შეისწავლა, რომ მტერს მეტად ხელსაყრელი სტრატეგიული ადგილები უკავია და ამასთანავე იგი რიცხობრივად დიდად აღემატება ბიზანტიელთა ლაშქარს, გადაწყვიტა, ჯერჯერობით არ ჩაბმულიყო პირდაპირ ბრძოლაში, შეენახა თავისი ძალები. მაგრამ ვრანი ამ მოსაზრების წინააღმდეგ გამოსულა[177].

იგივე ავტორის ცნობით, როცა ვრანი ბაკურიანის ძის სტრატეგიული გეგმის წინააღმდეგ წავიდა და ბრძოლის დაწყება მოითხოვა, ბაკურიანის ძე დააფიქრა ამ გარემოებამ, სიმხდალე არ დამწამონო, და გასცა ბრძანება საომრად მომზადებისა და მოქმედების შესახებ[178].

ბრძოლის დაწყებისთანავე აშკარა გახდა, რომ გრიგოლ ბაკურიანის ძე სრულიად მართალი ყოფილა, როცა იგი მტრის პირდაპირ შეხვედრას ერიდებოდა. რიცხობრივად დიდი უპირატესობის მქონე მტრის ლაშქარმა გაიმარჯვა და გრიგოლიცა და ვრანიც ამ ბრძოლის მსხვერპლი გახდნენ[179].

ანა კომნენე შესანიშნავად აგვიწერს, თუ რაოდენ დიდი გლოვა გამოიწვია ბიზანტიის სამეფო კარზე ამ დამარცხებამ და გრიგოლ ბაკურიანის ძის დაღუპვამ. როცა ეს ამბავი ალექსი კომნენოსმა გაიგო, განსაკუთრებით ბევრი ცრემლი დაღვარა დიდი დომესტიკოსის, გრიგოლ ბაკურიანის ძის დაღუპვის გამო[180].

* * *

გრიგოლ ბაკურიანი ქართველი მხედართმთავარი იყო. მისი ვინაობის შესახებ ჩვენ თვით გრიგოლის სიტყვები მოვიტანეთ ზე-

---

კონსტანტინეპოლში დაბრუნებულმა სიაუშმა ქრისტიანობა მიიღო, ალექსი კომნენოსმა კი იგი ძვირფასი საჩუქრებითა და ერთ-ერთი მხარის დუკას თანამდებობით დააჯილდოვა.

[176] Ф. И. Успенский, История Византийской империи, III, გვ. 108; М. В. Левченко, История Византии, გვ. 200.

[177] «Алексиада», გვ. 201.

[178] იქვე, გვ. 202.

[179] იქვე.

[180] იქვე.

მოთ და საუბრის გაგრძელება არც კი იქნებოდა საჭირო, რომ თვით გრიგოლის უეჭველი განცხადება ზოგ მკვლევარს ამ ბოლო დროს საეჭვოდ არ მიეჩნია და ბაკურიანის ვინაობის საკითხი საეჭვოდ არ გაეხადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „Византийский Временник"-ის XXIX ტომში დაიბეჭდა ვ. ა. არუთინოვას სტატია: «К вопросу об «ἄνθρωποι» в «типике» Григория Пакуриана». როგორც სათაურიდან ჩანს, ავტორი მეტად საინტერესო საკითხს ეხება. ამასთანავე სპეციალურად ჩერდება გრიგოლ ბაკურიანის ვინაობის საკითხზე და ყოველგვარი საბუთის მოტანის გარეშე წერს: «Он происходил из знатного армянского рода из Тайка»[181].

ავტორის ეს განცხადება, როგორც თვით მიუთითებს, ნ. მარის წერილში—«Аркаун, монголское название христиан, в связы с вопросам об армянах-халкедонитах»[182] გამოთქმულ მოსაზრებაზეა დამყარებული.

აღნიშნული განცხადების შემდეგ ვ. არუთინოვას მოაქვს ე. ჰონიგმანის მიერ მოხაზული სქემა გრიგოლისა და მისი წინაპრების გენეალოგიის შესახებ და საკითხს ისე წარმოგვიდგენს, რომ ბასილ კეისრის მიერ სამხრეთი ტაოს მიტაცების დროს წაყვანილი ქართველი დიდებულებიც ვაჩე (ბაკურიანი), თევდატე და ფერსი (ფერის ჯოჯიკის ძე) თითქოს სომხები იყვნენ[183].

ავტორი იმდენად სანდოდ მიიჩნევს ნ. მარის მოსაზრებას გრიგოლ ბაკურიანის ეროვნების შესახებ, რომ აღარც თვით გრიგოლის განცხადებას უწევს ანგარიშს და არც სხვა წყაროებსა და მკვლევართა მოსაზრებებს აქცევს ყურადღებას ამ საკითხზე. იგი ისე იწყებს და ამთავრებს ამ თემაზე საუბარს, რომ ერთხელაც არ ახსენებს, თუ რა ეროვნების ხალხისათვის იყო განკუთვნილი პეტრიწონის მონასტერი; ნ. მარის ნაშრომში კი მხოლოდ იმ ადგილებს აქცევს ყურადღებას, სადაც გრიგოლ ბაკურიანის სომხურ წარმოშობაზეა საუბარი, ხოლო თვალს ხუჭავს იმაზე, სადაც გარკვევითაა ნათქვამი პეტრიწონის მონასტრის ქართულობაზე. ვ. არუთინოვას არ სურს დაინახოს აგრეთვე „პეტრიწონის მონასტრის წესდების" ის ადგილები, სადაც მისი ავტორი მრავალგზის აცხადებს „ჩვენ ქართველები ვართო". არუთინოვა, ცხადია, ვალდებული იყო ესეც აღენიშნა სწორედ იქ, სადაც გრიგოლ ბაკურიანის ვინაობის შესახებ საუბრობს და საამისოდ ნ. მარსაც იმოწმებს.

---

[181] В. А. Арутинова, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

[182] С.-Петербург, 1905, გვ. 18—25.

[183] В. А. Арутинова, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

ალბათ უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით წერს: «Родословное древо Григория, его краткий послужной список и упоминание о его богатстве понадобились нам для того, чтобы подчеркнуть, что этот феодал действительно был grand-seigneur»[184].

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ბაკურიანის ვინაობის საკითხს შეეხო ა. ალბანელი თავის სტატიაში პ. მურადიანი. მისი განცხადებით, გრიგოლ ბაკურიანი სომეხია, მაგრამ ქალკედონიტი გაქართველებული მხარიდან (ტაოდან). ამიტომ უწოდებს თავის თავს იგი ქართველს, მოცემულ შემთხვევაში „ქართველი“ და „სარწმუნოებით ქართველი“ სინონიმებიაო[185].

პ. მურადიანიც ამ შემთხვევაში ახალს არაფერს ამბობს. იგი სინამდვილეში ცდილობს დაიცვას ნ. მარი, რომელიც ნდობას უცხადებს ანა კომნენეს ერთ ფიქტიურ ცნობას და სურს დაამტკიცოს, რომ თითქოს მხოლოდ კონფესიონალური მოტივები უძევს საფუძვლად გრიგოლ ბაკურიანის ქართველად გამოცხადებას[186].

ნ. მარი ამ შემთხვევაში უგულებელყოფს როგორც რიგ წყაროებს, ისე მკვლევართა მოსაზრებებს ამ საკითხზე და, რაც მთავარია, თვით გრიგოლ ბაკურიანის ცნობას.

ანა კომნენე შეცდომით აღნიშნავს, რომ გრიგოლ ბაკურიანი სომეხი იყო[187], მაგრამ ამ ცნობას აშკარად ეწინააღმდეგება და უარყოფს, როგორც თვით გრიგოლის განცხადება, ისე სხვა ცნობები და წერილობითი წყაროები.

ჩვენ არ ვფიქრობთ აქ გრიგოლ ბაკურიანის ვინაობის შესახებ პეტრიწონის მონასტრის წესდებაში დაცული ცნობების ყოველმხრივ განხილვას, არც ზოგიერთი ტერმინის ფილოლოგიური მეთოდებით კვლევას შევუდგებით. გვინდა მხოლოდ მოვიტანოთ ზოგი მასალა, რომელიც ეწინააღმდეგება ანა კომნენეს ცნობას და რომელიც არ გვაძლევს უფლებას ეჭვი შევიტანოთ გრიგოლ ბაკურიანის განცხადების სისწორეში.

სომეხი ისტორიკოსი მათე ედესელი გარკვევით ამბობს, რომ გრიგოლ ბაკურიანის ძე ქართველი იყო[188]. ხოლო სუმბატ დავითის

---

184 В. А. Арутинова, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

185 П. М. Мурадян, К вопросу об оценке греческих и грузинских редакций «Типика» Григория Бакурнана (სომხურ ენაზე), историко-филологический журнал, 1 (40), Ереван, 1968, გვ. 105.

186 Аркаун, монгольское название христиан, 21.

187 «Алексиада», გვ. 97.

188 «Գրիգոր Բակուրտնին որդին՝ Վրացի ազգաւ», ժամանակագրութիւն, 1898, გვ. 148. ფრანგული თარგმანი, გვ. 123.

ძე წერს: იყო ფერის ჯოჯიკის ძე ქართველი"[189]. ზემოთ კი საკმაოდ იყო ნათქვამი იმის შესახებ, რომ ფერის ჯოჯიკის ძე გრიგოლს ბიძა იყო, ხოლო ბაკურიანი — მამა. ასე ფიქრობს ე. ჰონიგმანი[190] და ამ მოსაზრებას იზიარებს ვ. არუთინოვა, რომელიც ჰონიგმანის სქემის მიხედვით წერს: «Баграт—предед Григория Пакурчана, Джорджик, «князь князей»—его дед, Вече (იგივე ბაკურიანი—ვ. კ.)—его отец, Февдат и Ферс—дядья»[191].

ჯოჯიკისა და მისი შთამომავლების ეროვნების ძიების დროს, ვფიქრობთ, ქართველი და სომეხი ისტორიკოსების ცნობები უფრო ანგარიშგასაწევია, ვიდრე ანა კომნენეს ცნობა, რომელიც ნ. მარმა უზადოდ გამოაცხადა.

სუმბატი ისეთივე მნიშვნელობით ხმარობს სიტყვებს — „იყო ფერის ჯოჯიკის ძე ქართველი", როგორც გიორგი მცირე გიორგი მთაწმიდელის შესახებ: „მამაჲ ჩუენი გიორგი იყო ნათესავი ქართველი"[192]; ან კიდევ, როგორც იტყოდნენ: „ილარიონ ქართველი", „პეტრე ქართველი" და სხვ.

სომეხ ისტორიკოს სტეფანოზ ტარონელს, რომელიც თავისი დროის მოვლენებს აგვიწერს და ამ ამბების აქტიურ მონაწილედ გრიგოლ ბაკურიანის წინაპრებს ასახელებს, ისინი ყოველთვის ქართველებად ჰყავს წარმოდგენილი[193]. ასევე ქართველებად იცნობს მათ ბიზანტიის მაშინდელი ოფიციალური საისტორიო მწერლობა. ამის ნათელსაყოფად ერთხელ კიდევ მოვიტანოთ სკილიცესა და კედრენეს ცნობა: ბასილ კეისარმა, როცა ტაოს საკითხი „მოაგვარა" და „ფინიკიაში წავიდა, თან წაიყვანა ი ბ ე რ ი ი ს (ხაზი ჩვენია — ვ. კ.) დიდგვარიანები, რომელთაგან უმთავრესნი იყვნენ ბაკურიანი, ფევდატე და ფერსი, ღვიძლი ძმები, რომლებიც მან პატრიკიოსთა ხარისხში აიყვანა"[194].

ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ სკილიცესა და კედრენესათვის გასაგები იყო ცნება „იბერია" და „არმენია". არმენიელები და არმენია მათ მრავალჯერ ჰყავთ მოხსენიებული და ამ ტერმინებს არც ჯოჯიკის შვილებისათვის დაიშურებდნენ, მაგრამ ისინი არ მიაჩნდათ არმენებად და არც ამ სახელით მოიხსენიეს.

---

189 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 384.

190 Die Ostgrenze des byzantinischen Reiches von 363 bis 1071, nach griechischen, arabischen, syrischen und armenischen Quellen. Bruxelles 1935, 224.

191 დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

192 ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 109.

193 იხ. Всеобщая история, გვ. 193—194 და სხვ.

194 გიორგი კედრენე, გეორგიკა, V, გვ. 46.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ სკილიცესა და კედრენეს ცნობით, ზაქარია ეპისკოპოსი, რომელსაც ენა ამოკვეთეს, გრიგოლ ბაკურიანის ბიძის თევდატეს ნათესავი იყო, ხოლო არისტაქელასტივერტელი გარკვევით წერს, რომ ზაქარია ქართველი იყო[195].

მათე ედესელი[196], სტეფანოზ ტარონელი, იაჰია ანტიოქელი, ბიზანტიელი ისტორიკოსები და სხვა ავტორებიც გრიგოლ ბაკურიანს, მის წინაპრებსა და საერთოდ დავით კურაპალატის ქვეშევრდომ ტაოელებს ქართველებად მიიჩნევენ ისე, როგორც თვით ტაოელები თავიანთ თავს ქართველებად თვლიან და აქ არა მხოლოდ კონფესიონალური მოტივები მოქმედებს, ტაოელები ქართული ეროვნების ყველა ძირითადი ნიშნების მატარებელი არიან.

ქართული, სომხური და ბიზანტიური წყაროების საფუძველზე მკვლევრებს მტკიცედ სწამთ, რომ გრიგოლ ბაკურიანი და მისი წინაპრები ქართველები იყვნენ. ცნობილი მკვლევარი ვ. როზენი იაჰია ანტიოქელის ცნობას ეხება იმის შესახებ, რომ დამარცხებულმა დავით კურაპალატმა კათალიკოსი და დიდებულები გაგზავნა ბიზანტიაში, რათა მათ ერთგულების ფიცი მიეცათ ბასილ კეისრისათვის და შენიშნავს: «Между «сановниками» иверийскими может быть находилась и те братья Πακουριάνος, Φεβδάτος и Φέρσης, которых называет Кедрин»[198].

ედუარდ დულაურიერი, რომელმაც XII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის მათე ედესელის თხზულება თარგმნა ფრანგულად, გრიგოლ ბაკურიანის მამას ვაჩეს (იგივე ბაკურიანს) და ბიძებს თევდატეს და ფერისს შენიშვნებში ყველას ქართველ მეთაურებად, მთავრებად წარმოგვიდგენს[199].

ქართველი ხალხის ისტორიისა და კულტურის ცნობილი მკვლევრები: დ. ბაქრაძე, ალ. ცაგარელი, თ. ჟორდანია, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე და სხვები გრიგოლ ბაკურიანს ყოველთვის მიიჩნევდნენ როგორც „განთქმულ ქართველ მოღვაწეს“.

---

[195] Повествование Вардапета Аристакеса Ластивертци, перевод с древнеармянского, вступительная статья, комментарии и приложения К. Н. Юзбашяна. Москва, 1968, გვ. 60.]

[196] Chronique, გვ. 31.

[197] В. Розен... გვ. 24.

[198] იქვე, გვ. 226, შენ. 179.

[199] Chronique de Matthieu d'Édesse, გვ. 31, და საძიებელი, გვ. 521, 546, 547.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

В. У. КОПАЛИАНИ

ГРУЗИНО-ВИЗАНТИЙСКИЕ ПОЛИТИЧЕСКИЕ ВЗАИМООТНОШЕНИЯ В 970—1070 гг.

Резюме

Византия, являвшаяся передовым государством своей эпохи, граничила с грузинской землей и со дня своего возникновения (IV в.) имела близкие связи первоначально с отдельными грузинскими политическими образованиями, а с начала XI века — с объединенной Грузией.

До конца VIII века Западная Грузия находилась под влиянием Византии, а с этого времени, освободившись от этого влияния, было создано самостоятельное царство Эгриси—Абхазии. Образовавшееся в ту же эпоху Тао-Кларджетское княжество стало вассалом Византии.

Политические взаимосвязи Византии и Тао-Кларджети были обусловлены интересами борьбы против арабов. Поэтому, пока существовала опасность со стороны последних, Византия не могла проявлять враждебные действия по отношению к Тао-Кларджетским владетелям — Багратионам. Вассальная зависимость представителей этой династии от Византии носила формальный характер, один из Багратионов получал от императора титул курапалата и в борьбе с общими врагами выступал в роли его союзника. Византия иногда уступала отвоеванную у неприятеля территорию Багратионам, но проявляла к ним явное недоверие и требовала заложников. Вместе с тем и другим членам той же династии давались византийские придворные титулы, и этим император пытался разжечь вражду между ними.

В житии Иоанна и Евфимия читаем: «Царь греков отдал верхние страны Давиду Курапалату и потребовал от него детей азнауров в заложники»[1].

Передачу Давиду «верхних стран» нужно считать результатом того, что, согласно византийским источникам, в успешном походе против Киликии, предпринятом Никифором Фока на второй год своего царствования (964 г.), его союзниками были иверы и армены[2].

Тао-Кларджети являлось союзником Византии не только на восточном фронте, но и часто принимало активное участие во внутриполитических событиях империи. Как известно, в 979 году 12-тысячное войско Тао-Кларджети, под предводительством Иоанна-Торнике сыграло решающую роль в победе над восставшим Варда Склиром. К сожалению, на основе односторонних византийских источников, некоторые исследователи[3] неверно комментируют это событие, полагая, что Давид Курапалат будто бы принял участие в этой битве по просьбе полководца Варда Фоки, друга Давида[4]. В действительности, участие грузин в этой битве было вызвано просьбой греческого правительства и взаимным соглашением сторон[5].

---

[1] Житие св. Иоанна и св. Евфимия, подготовил к печати И. Джавахишвили, издал — А. Шанидзе, 1946, стр. 16.

[2] К. Ган. Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, II, 1890, стр. 37—38.

[3] Г. Ф. Герцберг. История Византии, перевод, примечания и приложение П. В. Безобразова, Москва, 1896, стр. 167; *G. Gelzer*, Abrist der byzantinischen Kaisergeschichte, русский перевод В. Н. Бенешевича «Очерки по истории Византии», СПб, 1912—1914, стр. 100; G. Ostrogorsky, *Geschichte* des byzantinischen Staates. München, 1940, стр. 211—212.

[4] Г. Г. Литаврин, в книге: «История Византии», II, 1967, стр. 218.

[5] По этому вопросу армянский историк Степанос Тарониский пишет: «Царь греческий Василий вызвал полководца Торника, родом иверийца, монашествовавшего на Святой горе, отправил его к Курапалату тайскому, Давиду, с предложением уступить последнему Хатто-иарич, с Келе-Сирией, Чор-Майри и Карин, Басен и крепостцу Севук в Мардахи, Харк и Апахуник, — что и уступил в самом деле, — если Давид пришлет ему на

Грузинские войска, возглавляемые грузинскими полководцами, и в дальнейшем продолжали военные действия в Византии. По сведению алепского историка-араба Кемалэддина, в 80-х годах X в., когда византийцы под предводительством Варда Фоки вошли в северную Сирию, роль авангарда выполняли грузины[1]. А затем, по сведениям Степаноса Таронского, они участвовали в войне против сына египетского эмира Азаза[2]. Однако Давид Курапалат не оставался до конца верным македонской династии. Он проводил самостоятельную политику, и, исходя из собственных интересов, в конце 80-х годов вместе с Варда Фокой боролся против императора Василия. А когда Фока был побежден, часть воинов в 990 г. продолжала борьбу под предводительством грузинского полководца Чордванели[3]. Однако восстание было подавлено, и Грузия не смогла избежать отрицательных результатов этого поражения: одержавшее верх византийское правительство вынудило Давида Курапалата завещать свое владение императору. В 1001 году Давид Курапалат умер, и его владения прибрал к рукам император Василий.

Переход южного Тао, этой пограничной провинции к агрессивному государству, явился крупным политическим по-

---

помощь войско. Курапалат Давид, собрав иверийския войска под начальство князя князей Джоджика, отправил с Ториком на войну против тирана Варда. Начиная с земли таронской, они начали опустошать страну греческую, подвластную тирану». (Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика, переведена с армянского и объяснена Н. Эмином, М., 1864, стр. 135; ср. M. Brosset, Additions et éclaircissements à l'Histoire de la Géorgie, depuis l'antiquité jusqu'en 1469, SPb, 1851, pp. 176—177; см. также Житие св. Иоанна и св. Евфимия в кн.: М. Сабинин, Полное жизнеописание святых грузинской церкви, ч. II, СПб, 1872, стр. 131—133; P. Peeters, Histoire monastiques géorgiennes: „Analecta Bollandiana", т. XXXVI—XXXVII, Bruxelles, 1917—1919, pp. 8(13)—68).

[1] См. В. Розен. Император Василий Болгаробойца. Извлечения из летописи Ахи Антихойского, 1883, стр. 163, прим. 127.

[2] Всеобщая история, стр. 190—191.

[3] Там же, стр. 180.

ражением для Грузии. Тем самым, Византия, с одной стороны, укрепила свои северо-восточные границы[1], а с другой стороны, создала военный плацдарм не только против Грузии, но и против армянских царств и княжеств. Это обстоятельство, как видно, хорошо понимали грузинские деятели и свое недовольство выразили в тех ожесточенных сражениях, которые произошли в 1001 году в Тао между войском императора и грузинами, а затем таойцы устроили заговор против Василия Македонского. Византия вторично покорила Южное Тао[2] и за счет грузинских и армянских провинций создала иверийскую фему, катепанство[3].

Этим успехам Византии способствовала также тогдашняя политическая ситуация в Закавказье: прогрессивные силы Грузии под руководством Баграта III все еще боролись за объединение страны. Армянские царства и княжества

---

1 Об этих успехах византийцев К. Маркс писал: «Василий II обеспечивает северную границу Малой Азии присоединением Кавказской горной страны Иверии» (Архив Маркса и Энгельса, т. V, 1948, 43).

2 См. Всеобщая история Степаноса Таронского, стр. 201.

3 Некоторые известные исследователи эту иверийскую фему отождествляют с Грузией. Напр., акад. Ф. Успенский писал: «Следует вспомнить известие писателей Скилицы и Глика, что Грузия содержала прежде 50 тысяч войска с целью защиты против азиатских хищников, но что Мономах переложил эту натуральную повинность на денежную и тем лишил восточную границу империи самой крепкой защиты» (История Византийской империи, т. III, 1948, стр. 95—83). Аналогичная ошибка повторяется во II томе истории Византии, изданной в 1967 году. Здесь читаем:

«Константин распустил 50-тысячное грузинское войско, приказав, чтобы поступившие ранее в качестве опсония войнам налоги нескольких областей передавались теперь в казну» (стр. 270). Здесь не только повторяется ошибка Успенского в смысле отождествления Грузии и Иверийской фемы, но еще более искажается факт тем, что говорится о роспуске «грузинского войска». На самом деле, это были нанятые византийским правительством за счет собираемых в Иверийской феме средств войска, которые неоднократно использовались и против Грузии.

также переживали междоусобные распри и розни. Это обстоятельство помогло Византии прибрать к рукам все владения Давида Курапалата, включая некоторые армянские провинции.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

С начала XI века начинается новый период в грузино-византийских взаимоотношениях. Раздробление арабского халифата способствовало возрождению хозяйственной, культурной и политической жизни Грузии, однако, и Византия освободилась от арабской опасности, и народы Закавказья потеряли значение союзников для правящих кругов Византии. Византия перешла в наступление с целью захвата земель этих народов, но ей противостояла Грузия, находившаяся в процессе объединения.

Для достижения цели обе стороны обращались к любым средствам: Византия пыталась использовать реакционные силы Грузии, а иногда и недовольные правящим феодальным классом низы, а Грузия старалась установить связь с силами, боровшимися против Македонской династии, ослабить могущество империи. Такую тенденцию уже проявляло Тао-Кларджети при Давиде Курапалате, оказав помощь восставшему Варда Фоке, а затем проводником такой политики стал царь объединенной Грузии Георгий 1, который несколько раз пытался использовать политические осложнения Македонской династии и недовольные элементы. Первый шаг в этом направлении сделал Георгий в конце второго десятилетия XI века, когда у императора были осложнены отношения с болгарами. Он вступил в Южное Тао и овладел им. Однако надежды Георгия не оправдались. Византия победила болгар и свои силы перебросила в Грузию.

Между противниками в 1021 году началась война. Грузию поддерживали армянские царства Ани и Ванада[1], грузинское

---

[1] Георгий Кедрен. Георгика, сведения византийских писателей о Грузии. V, греческие тексты с грузинским переводом издал и примечаниями снабдил Г. С. Каухчишвили, 1962, стр. 59; Lebeau, Histoire du Bas-Em-

правительство установило связь с руководителями заговора в Византии против Македонской династии[1] и, видимо, с грузинскими деятелями, участвовавшими в этом заговоре, среди которых видную роль играл Перис Джоджикиа-дзе[2]. Царь Георгий начал переговоры даже с египетским фатимидским халифом Аль-Хакимом об общей борьбе против Византии[3]. К противникам Византии присоединился также сын царя бывшего царства Васпуракана Санекериба Давид[4].

Несмотря на заранее подготовленные меры, в решающем бою Грузия осталась одна перед лицом сильного врага и в 1022 году была побеждена, она окончательно потеряла свою древнейшую провинцию Южное Тао.

Правительство грузинского царства в период деятельности Георгия I еще раз попыталось использовать недовольные элементы и претендентов на царский престол в Византии: в конце 1025 года оно стало участником заговора против Македонской династии[5]. Однако заговор был раскрыт, и его участники жестоко наказаны, а император Константин VIII возобновил борьбу против Грузии новыми методами.

С 20-х годов XI века Византия нашла новых союзников в лице одной части феодальной аристократии Грузии. Она использовала недовольство некоторых лиц, вызванное тенденциями централизации Грузии и не только открыла им путь для перехода на сторону Византии, но и неоднократно посылала войска для захвата грузинских владений. Переход некоторых крупных грузинских феодалов на сторону Византии в основном был обусловлен, с одной стороны, тенденцией усиления центральной власти в Грузии за счет ущемления прав

---

pire. XIV, стр. 334—335; История Армянского народа, 1, 1951, стр. 151; Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, 1884, стр. 191—192.

1 Георгий Кедрен. Георгика, V, стр. 46—47.

2 Там же, стр. 48.

3 В. Розен. Император Василий Болгаробойца. Извлечения из Летописи Яхъи Антиохийского, стр. 61; История Византии, II, 1947, стр. 225.

4 В. Розен. стр. 375, примеч. 378.

5 Պատմութիւն Աշխատակեաց վարդապետի Լաստիվերտցւոյ, Тифлис, 1912, стр. 30; Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, стр. 8.

удельных феодалов, а с другой стороны, выгодными условиями для удельных феодалов в Византии, что стало более наглядным после смерти Басилия Македонского (1025 г.).

В 1027 — 1028 годах Византия дважды выступала для захвата грузинских провинций Тао-Кларджети. На ее стороне оказались не только некоторые феодалы, но и часть производителей, представителей «простого люда» («цврили эти»)[1], в то время, как другая часть народа поддерживала сторонников сопротивления[2]. Видимо, каждый из них был на стороне того, кто боролся против его эксплуататора, в их действиях видны черты классовой борьбы. Большинство внутренних сил страны поддерживало сопротивление, и это обстоятельство, вместе с политическими осложнениями в империи, способствовало тому, что Византия не смогла захватить Северное Тао и Кларджети, вывела основные свои войска оттуда и заключила мир с царскими властями Грузии. Но в некоторых крепостях все же остались византийские гарнизоны.

В конце 20-х годов XI века грузинские деятели, находившиеся в Византии, продолжали участвовать в движении против императорской власти. Источники свидетельствуют о том, что участниками заговора против Романа Аргвира были игумен Афонского грузинского монастыря Георгий[3] и племянники Феодосия Патрикия Георгий и Вараз-Вече[4].

Как и следовало ожидать, мирные отношения между Византией и Грузией продолжались недолго. С 30-х годов XI века Византия вновь дает убежище элементам, недовольным грузинским царем. Она ищет в Грузии опору в феодальной верхушке и находит ее.

Объединение основных районов Грузии сыграло определенную роль в отношениях между царской властью и феода-

---

[1] «Матианей Картлисай» /«Летопись Грузии»/, «Картлис цховреба» /«История Грузии»/, 1, 1955, стр. 291.

[2] Сумбат Давитисдзе /Сумбат сын Давида/, там же, стр. 386.

[3] Житие св. Иоанна и св. Евфимия, стр. 50.

[4] M. Brosset, Addit, стр. 219; Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, стр. 21.

лами, которые самые реальные шансы для своего возвышения уже видели в сближении с царским двором и в связанных с этим милостях. Со времен царствования Баграта III (975—1014) царская власть имела возможность в обилии раздавать милости. Борьба феодалов за установление своего влияния при царском дворе и внешняя опасность на протяжении 30-х гг. XI века дважды помешала присоединению Тбилиси. С этого времени одна часть колебавшихся и реакционно настроенных феодалов присоединилась к агрессивной Византии, и борьба за оборону Грузии переросла во внутриполитическую и социальную борьбу.

* * *

С начала 40-х гг. XI века по-новому складывается совместная борьба Византии и некоторых грузинских крупных феодалов против централизации и усиления Грузии. Она ведется под предлогом защиты интересов претендента на грузинский престол, царевича Деметре. Этой борьбой фактически руководил грузинский феодал Липарит Багваши, недовольный властью Баграта IV, связавшийся с Византией после поражения в борьбе за влияние при царском дворе. В результате совместной борьбы грузинских реакционеров и Византии провалилось дело присоединения Кахети. Однако в то же время грузинскому царству объективно помогало осложнение политического положения Византии. Это вынудило союзников временно оставить свои враждебные намерения по отношению к Грузии. Источники и анализ хода событий наводят на мысль, что на этот раз уходу византийцев из Грузии могло способствовать и ухудшение русско-византийских отношений в 1042—1043 годах.

После этого грузинское царское правительство с успехом развивало борьбу за централизацию страны. Прогрессивные силы армян, притесняемые Византией, по инициативе «старейшин Ани», нашли общий язык с прогрессивными силами Грузии. Чтобы воспрепятствовать захвату Византией Армении, они попытались объединить армянско-грузинские силы и пе-

редали Ани грузинскому царю. В этом факте ясно проявилось единство интересов Армении и Грузии.

Для освобождения районов и крепостей, захваченных Византией, грузины предприняли наступление и на Черноморском побережье. И в Тбилиси шли дела в пользу Грузии: «старейшины Тбилиси» («берни тбилелни»), для которых на данном этапе было выгоднее распространение на Тбилиси власти грузинского царя, чем господство эмира, пригласили грузинского царя Баграта IV и передали ему город. Эти шаги «старейшин города» Ани и Тбилиси свидетельствовали о большом удельном весе третьего сословия и их значительном влиянии на политическую жизнь. Вместе с тем, их действия служили делу прогресса Грузии и Армении, однако, и реакционные силы не дремали.

Византия усилила наступление для захвата Анисского царства. В роли ее союзников выступили некоторые армянские и грузинские крупные феодалы. С их помощью в 1045 году Византия смогла захватить Анийское царство, а затем начала наступать на Грузию. В результате вмешательства внешних сил попытка присоединения Тбилиси к Грузинскому царству опять потерпела поражение.

Роль союзника Византии и руководителя реакционных сил вновь взял на себя Липарит Багваши. Борьба приняла затяжной характер, но греки и Липарит не смогли окончательно добиться цели. Это было обусловлено тем, что большая часть боровшихся сил Грузии была за оборону страны. В этом случае большинство азнауров также было на стороне царской власти. Нельзя согласиться с той мыслью, что Византия «всю силу и влияние грузинских азнауров часто использовала в своих интересах»[1]. Если бы это было так, то она легко бы достигла своей цели в Грузии. Липарит потому и обратился к Византии, что он оказался в меньшинстве в борьбе против царской власти. Поэтому он успешно боролся против царской власти до тех пор, пока ему помогала Византия.

---

[1] И. А. Джавахишвили. История грузинского права, кн. II, вып. 1, 1928, стр. 34.

А как только император прекратил помощь, с Липаритом расправились сами грузинские вельможи.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

С 50-х годов XI века начинается трудное время для Византии. В империи осложнилось как внутреннее, так и внешне-политическое положение; с севера наступали печенеги, с востока — турки-сельджуки. Вновь понадобилась помощь народов Закавказья. Власть империи несколько изменила курс отношений с Грузией. Теперь император стал выступать в роли примирителя грузинских крупных феодалов с царем. На данном этапе это его устраивало; Византия уже не могла активно помогать грузинским вельможам, и вместе с тем император полагал, что царская власть в Грузии более надежный союзник в борьбе с сельджуками. Это была одна из причин поражения Липарита Багваши, которого Баграт IV заставил постричься в монахи.

Поскольку в результате давления турок-сельджуков с востока надвигалась угроза для Византии, постольку она становилась безопаснее для Грузии. В 60-х годах династия Дуков вступает в родственные связи с царской фамилией Грузии. Дочь Баграта IV Марфа (по византийским источникам, Мария) становится невесткой императора Константина Дуки (1059—1667), а затем — царицей Византии[1].

---

[1] Как известно дочь грузинского царя Баграта IV Марфа /Мария/ была женой византийского императора Михаила VII Дуки /1071—1078/, а впоследствии вышла замуж за императора Никифора Вотаниата. Вместе с Григорием Бакурнани она играла значительную роль в деле воцарения Алексея Комнина (см. Анна Комнина, «Алексиада». Вступительная статья, перевод, комментарии Я. Н. Любарского, Москва, 1965, стр. 92—97, 116), а потом участвовала в заговоре против Алексея (см. там же, стр. 249, 550-551). Но некоторые известные исследователи неправильно определяют личность Марии. Напр., во втором томе «Истории Византии» читаем: «По совету кесаря Иоанна он (т. е. Вотаниат) женился на жене своего предшественника, прекрасной аланке Марии» /стр. 290/. Автор /А. П. Каждан/ в данном случае повторяет ошибку Я. Н. Любарского, который во вступлении к «Алексиаде» упоминает Марию как «Аланскую» (стр. 10, 14), хотя,

Наступление турок-сельджуков оказало на судьбы грузин двоякое влияние: с одной стороны, оно заставляло Византию отступать и этим объективно способствовало освобождению Грузии от византийского насилия, однако, с другой стороны, успехи турок и занятие ими территории Закавказья, нападения их на Грузию в 1065 и 1068 годах создавали для Грузии большую опасность.

В 1073 году турки-сельджуки дважды вторгались в южные районы Восточной Грузии. Несмотря на то, что грузинское царство в то время, в результате внутренних затруднений, было ослаблено, его правительство смогло объединить силы, царь Георгий привлек кахетинцев и одержал победу у Парцхиси. Вместе с тем турки были изгнаны из Карса и его окрестностей, захваченных ими у византийцев. Перед лицом этих фактов император, оставивший восточные районы под страхом наступления турок-сельджуков, признал переход Карса и его районов к Грузии.

В результате всего этого следовало ожидать, что Византия сама добровольно отдаст Грузии те пограничные крепости и районы, которые она захватила в первой половине XI века, однако, этого не произошло и ввиду того, что наступление на грузинскую землю турок-сельджуков еще не достигло кульминационной точки, Грузия воспользовалась политическими трудностями в Византии и, не приняв во внимание родственных связей Багратионов с византийским троном, посредством применения вооруженной силы освободила от византийцев Анакопию и «многие крепости Шавшети, Джавахети и Артаани».

Таким образом, в 70-х годах XI века Византия навсегда покинула грузинские земли. С этого времени и до завершения господства Комненов (1185) в Византии, Грузия продолжает развивать мирные отношения с Византией, а царь Грузии оставался формальным вассалом византийского императора лишь до начального периода царствования Давида Строителя (1089—1125).

судя по его же комментариям к тексту этого памятника, ему было известно, что Мария была дочерью грузинского царя Баграта IV-го (см. там же, стр. 464).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბაზა ვ. 100.
Абаза В. А. 101.
აბაზას ძენი 269, 270.
აბაზგები 111.
აბაზგია 266.
აბასიდები 266.
აბნიკის ციხე 18.
Aboul-sévar 200.
აბრამ ალიმი 246, 248.
აბრამი იხ. აბრამ ალიმი.
აბუკაპი (აბუპარბი), ტაოელი აზნაური, რომანოზ არგვიროსის სარდალთაგანი 175.
აბულაძე ილია 200.
აბულ-სუარი 237, 240.
.აბულ-ხაბრი, ტაოელი დიდებული აზნაური 76.
აბუსერი, არტანუჯის ერისთავი 213, 224, 226, 233, 239.
აბუპარბი, იოვანე მთაწმიდელის სიმამრი 23, 50.
აგარიანები 11.
ადანა 23.
ადარბადაგანი 21.
ადარნასე აშოტის ძე 13, 14, 161.
ადარნასე (აფხაზთა მეფე, იოვანე შავლიანის ძე) 86.
ადარნასე (აშოტ კურაპალატის მამა) 12.
ადარნასე (ძე ბაგრატ I მამფლისა) 15.
ადარნასე (კურაპალატი) 16.
ადარნასე II (კურაპალატი) 20.
ადრიანოპოლი 191, 251.
ადრიატიკის მხარე 58.
ადუდ-ალ-დაული (ბაღდადის ამირა) 52.
ავიდოსი 31, 58.
აზაზა (ეგვიპტის ამირა) 62.
Азаза, Сын египетского Эмира 306.
აზერბაიჯანი 244, 265.
Азербанджан 183.
აზია 31, 44, 266.
ათანასე დიდი (მის ლავრაში მივიდა იოვანე მთაწმიდელი) 24, 33, 34, 35.
ათანასე („დიდი ათანასი", ალექსანდრიის პატრიარქი, IV საუკ.) 169.
ათონი 39, 170, 172.
ათონის ივერთა მონასტერი 171, 173, 269, 270, 272, 300.
ათონის მთა 25, 45, 64, 167, 169.
ალავერდი 260.
ალ-არტაბაზი (ბიზანტიელი სარდალი) 30.
ალაშკერტი 115, 116.
ალანი 296.
ალბანელები 292.
ალდე (დემეტრე უფლისწულის დედა) 180.
ალეპო 47, 63, 165, 175, 179, 302.
Алепо 306.
ალეპოს საამირო 165, 166.
ალექსანდრია 180.
ალექსი კომნენოსი (ბიზანტიის კეისარი 1081—1118) 150, 286, 288, 289, 291—298, 302, 313.
ალი-თეგინი (სამარყანდის მმართველი) 184.
ალ-ისთახრი (არაბი გეოგრაფი, X საუკ) 44.
ალორის მხარე 272.
ალ-სუგური (იხ. კილიკია).
ალ-ჭაიმი (ხალიფა) 266.
ალფ-არსლანი (1063—1072) 279, 281.
Аль-Хаким 315.
ალ-ხალიდიათი (გეოგრ.) 29, 60, 62.
ალ-ჰაქიმი (ეგვიპტის ხალიფა) 92, 93.
ამასია 283.

ამბერდი (ციხე) 199.
ამიერკავკასია 5, 27, 28, 38, 100.
ანაბარცა (ქალაქი) 23.
ანა დალასინი (იოანე კომნენოსის ქვრივი) 285, 286.
ანა კომნენე 7, 287, 290, 294, 295, 298, 299, 300, 301, 303.
ანაკოფია („თავადი ციხეთა აფხაზეთისათა") 180, 210, 217, 218, 219, 220, 238, 283.
Анакопия 314.
ანასტასი (კონსტანტინეპოლის ეპარხი) 208.
Анатолия 44.
ანდრონიკე დუკა (მხედართმთავარი) 278.
ანელები 212, 214, 218.
ანი (იხ. ანისი).
Ани 43, 209, 215, 218, 265.
Ani 200.
Аниское царство 308, 312.
ანისი 44, 100—104, 193—194, 197—199, 202, 204, 210, 212—215, 217—220, 222, 229, 237, 256—257, 265, 268, 284, 311, 312.
ანისის კარი 207, 213, 217, 233, 236.
ანისის სამეფო 83, 92, 99, 103—104, 106—107, 129, 131, 139, 192—193, 195—197, 201, 205, 240, 243.
Анна Комнина 7, 287—288, 290, 294, 295, 296, 297, 300, 313.
ანტიოქია 30, 23, 53, 55, 62, 73, 93, 111, 122, 165, 169, 175, 302.
Антиохия 55.
ანტონი (იხ. ლიპარიტ ლიპარიტის ძე ბალვაში).
ანჩი 149.
აპაპუნი (იხ. აპაპუნიქი).
აპაპუნიქი 38, 69, 70—71, 264.
აპლესფარე (იხ .აბულ-სუარი).
აპრანიკი (მოქის მთავარი) 32.
არაბები 5, 10—12, 17—18, 20—21, 23, 25, 27, 45, 52—53, 63, 71, 127, 137, 165.
არაბი 7, 70, 90, 73, 47, 126.
არაქსი, მდინარე 12, 17—18, 195.
არაქსის სათაევები 38.
არაქელიანი გ. 65, 139, 205.
Аракелян Б. Н. 104.
Аракелян Г. Г. 65.
არაცანი, მდინარე 39.
არგვეთი 268—2[illegible]
არგუეთი (იხ. [illegible]
არზანანი 40.
Арзанен 41, 247.
არზე (იხ. არქეში).
არზრუმი (იხ. თეოდოსიუპოლი).
არისტარქე ლასტივერტელი 6—7, 43, 72, 75, 80, 90—92, 94—95, 99, 100, 102—103, 114—116, 118, 123, 126, 128, 172, 194, 199, 202, 203, 215, 245, 255, 256, 271—272.
Arisdagués de Lasdiverd 7, 118.
არკადიოპოლი 51.
არმენია 72, 83, 194.
Армения 19, 41, 66, 101, 218, 311, 312.
არმენიაკი 41.
Армены 305.
არონ ვესტი 244—248, 255.
არონი (იხ. არონ ვესტი).
არსენი (ნინოწმიდელი) 168.
არსენი (გვრპელი) 39.
არსენ მირიანის ძე 138, 151—152.
არტაანი 13, 118, 283.
Артаани 320.
Артануджи 15.
არტანუჯი 13—16, 20, 44, 82, 87, 95, 98, 161, 163, 236, 239.
არტანუჯის ციხე 161.
არყის-ციხე 236, 239, 241, 250.
არშარუნიკი (გეოგრ.) 72, 269, 272.
Арцн 247.
არცნი (ქალაქი) 43, 44, 247, 253.
არძე (იხ. არცნი).
არქეში 68, 69.
ასანი (იხ. ჰასანი).
ასპამ სელარი, თურქთა სარდალი 248.
ასოლიკი (იხ. სტეფანოზ ტარონელი).
ასურეთი 93.
ატალია 31.
ატენი 187.
აფშინი 107.

აფხაზეთი 189, 234, 259, 260.
აფხაზთა სამეფო 86.
აფხაზთა ქვეყანა 108.
ალათია მღვდელთმთავარი 32.
ალსართანი, კახთა მეფე 281.
აშოტ I კურაპალატი 11, 12, 14, 19.
აშოტ IV, იბერიელი კურაპალატი 16, 18.
აშოტი (ეისკასი) 14.
აშოტი, ძე ბაგრატ I მამფლისა 15.
აშოტ ბაგრატუნი, ტარონის მმართველი 60.
აშოტი, გაგიკ პირველის ძე 102, 103, 109, 194, 197.
აწყურის ციხე 213.

ბაგრატ I, მამფალი 14.
ბაგრატ II (რეგვენი) 13.
ბაგრატ III 21, 65, 74, 78, 79, 82, 86, 87, 88, 89, 91, 96, 98, 139, 159, 161, 163, 179.
Баграт III 313, 317.
ბაგრატ IV 108, 114, 118, 119—122, 124—125, 128—129, 131—132, 134—135, 149, 152, 161, 164, 177—183, 185—189, 192, 199, 202, 204, 209—212, 215—216, 218, 219, 221, 224, 233—234, 252—254, 259, 260, 265—268, 270, 272—273, 275, 286.
Баграт IV 211—214, 226, 231.
Bagrat IV 200, 225, 231.
ბაგრატ აშოტის ძე 13.
ბაგრატ დემეტრეს ძე, აფხაზთა ტახტის პრეტენდენტი, 86.
ბაგრატი, ძე ტარონის მთავრის 32.
ბაგრატი, ტარონის მთავარი 60, 65.
ბაგრატი, სომეხი დიდი ნახარარი 264.
ბაგრატ სუმბატის ძე, კლარჯი 87, 159.
ბაგრატი, ჩორდვანელის ძმა 63.
Багратиди 65.
ბაგრატიონები 7, 10—17, 19, 21, 85, 91, 131, 159, 161, 165.
ბაგრატიონი 20—21.
ბაგარანდის მინდორი 62.
Багаранд 245.
ბაგრევანდი 80.
ბადი, ხლათისა და ნეპერკერტის ამირა, 32, 52, 68, 69, 70, 72, 73.
ბადრიძე შ. 13, 17.
Баку 183.
ბაკურიანი, იბერიელი 296—297.
ბალკანეთი 26, 51.
ბანა 13, 124, 135, 284.
ბანელი (იხ. იოანე ბანელი).
ბანის წყალი 13.
ბარალეთი 221.
ბარამიძე ეგ. 13.
ბარაჰიმ ილიმი, თურქთა სარდალი 248.
ბარდა სკლიაროსი 24, 27—32, 34, 36—37, 39, 41—42, 45, 47, 50—53, 55—58, 60, 69, 70, 73, 108, 112, 142.
ბარდა ფოკა 31, 32, 36, 37, 40, 42, 48, 50—53, 55, 56—59, 61—62, 66, 76—77, 108, 126, 142.
ბარდა ფოკა, ძე ბარდა ფოკასი 126.
Басен 305.
ბასიანი 12—13, 38, 81, 94, 99, 116, 248, 250, 283.
ბასილი I მაკედონელი (ბიზანტიის კეისარი, 867—886) 140.
ბასილ ბაგრატის ძე 113.
ბასილ (იხ. ადარნასე, ძე ბაგრატ I მამფლისა).
ბასილ ზარზმელი 138, 150, 151 — 152
ბასილ II (ბიზანტიის კეისარი, 976 — 1025) 24, 27, 29—32, 34, 38, 49, 50, 52—56, 59, 61—62, 65, 67, 70, 71—76, 78, 80, 89—91, 93—95, 97—100, 105—106, 108, 109—110, 112—114, 116—121, 123—125, 127—134, 146, 147, 154, 172, 174, 179, 194, 250, 271, 283.
ბარტიკიანი რ. 15.
ბაქრაძე დ. 8, 19, 40, 41, 167, 173, 225, 249, 269.
Бакрадзе Д. 19.
ბაღდადი 27, 42, 52, 55, 73, 266.
Bach 225.
ბაში 226, 229.
Безобразов П. В. 9, 46, 51, 305.
Беляев Д. Ф. 19.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Бенешевич В. К. 9, 46—48, 101, 103, 158, 305.
ბერკრი (ბერქრი) 68, 83.
ბერძენი 29, 74.
ბერძენიშვილი ნ. 8, 12, 64, 77, 178, 186, 189, 204, 225—226, 228—229, 235—237, 268.
ბერძენნი (იხ. ბერძნები).
ბერძნები 39—40, 62, 77, 95, 136, 154, 168, 169, 171, 187—190, 192, 197, 200, 217, 221, 241, 253, 256—257.
ბერძნიშვილი მ. 172.
ბეშქენ ჯაყელი, თუხარისის ერისთავი 188.
ბიზანტია 5—8, 10—19, 21—23, 25—27, 32, 34—36, 42, 45, 49, 51, 53—54, 56, 60, 67, 69—72, 77—78, 80, 82—90, 92, 94, 99—101, 105, 107, 114, 116—122, 127—131, 133, 135, 136—137, 143—144, 148—149, 156—157, 159—162, 173, 177—179, 181—182, 184—186, 190—194, 195, 201, 205, 207, 209—210, 212, 214—215, 217, 221, 223, 241, 243—247, 252—254, 259, 269—270, 275, 277, 279, 282—284.
ბიზანტიელები 28, 47, 164, 218.
ბიზანტიელი 37.
ბიზანტიის იმპერია 58, 82, 92, 93, 95, 97, 112, 131, 140, 185, 237, 270.
ბითვინია 32.
ბოიოანი 123—124.
ბორის II 51.
ბორისი, ბულგარელი უფლისწული 54—55.
ბოსფორი 251.
ბრანჯები (იხ. ფრანგები).
ბრეგაძე თ. 276.
ბროსე მ. 8, 200, 225, 231, 286.
Brosset M. 166, 172, 173, 175, 231, 266, 269, 306, 310.
ბუკელარია 41.
ბულგარები 25, 26, 54, 59, 70, 71, 82, 89, 97, 271.
ბულგარეთი 26, 28, 51, 54, 58, 2[illegible] 274.
ბულგართმმუსვრელი (იხ. ბასილ II, ბ[illegible] ბიზანტიის [illegible]).
ბურგუნდები [illegible]
Бьюри Дж. Б. 158.
Bury J. B. 158.

გაბაშვილი ვ. 9, 280, 281.
გაბრიელ ოჩოპენტრეს ძე 76, 112.
გაგიკ I ანისის მეფე (990—1020) 102
გაგიკ აბასის ძე, ვანანდის მეფე 282.
გაგიკ კახთა მეფე 211.
გაგიკ II, ანისის მეფე 193—199, 20[illegible] 212—213, 218, 240.
Гагик II 265.
გაგიკ სომეხთა მეფე 21, 112.
Галис (Кизил-Ирмак) 40, 41.
გამრეკელები, ძმები 112.
Ган К. 23, 101, 104, 106, 172, 173, 305.
განძა 183, 253.
განძისა ქუეყანა 254.
გელაშვილი გ. 159.
გელზერი 9.
Gelzer 9, 46, 305.
გელცერი 74, 101, 103.
Георгий I 126, 308, 309.
Георгий II 314.
Георгий игумен 310.
Георгий, племянник Феодосия патрикия 310.
Γερασ Σμυρνακης 9, 46.
გერასიმე ზმირნაკი 9, 46.
გერმანი, სლავი მინისტრი 293, 29[illegible] 296.
Герцберг Г. Ф. 46, 51, 271, 274, 278, 282, 290, 293, 300, 305.
Gertzberg G. 9.
გერცბერგი გ. 9, 290, 298.
გვარამი (ერისთავი) 19.
გვრიტიშვილი დ. 215, 216.
გიორგი I 7, 82, 89, 90, 91—99, 101 103—105, 108—109, 111, 114, 115 117, 118, 120, 121, 123, 125, 126, 128 130, 132, 174, 176.

გიორგი აფხაზთა მეფე 86.
გიორგი ათონელი 23, 24, 25, 34.
გიორგი II 135, 250, 259—260, 268, 281, 283—285, 301.
გიორგი III 153.
გიორგი დროზი 255.
გიორგი — ვარაზვაჩე 167.
გიორგი კედრენე 7, 17, 23, 29, 30, 33, 36, 37, 40—43, 46—48, 61, 72, 73, 101, 102, 103, 106, 111, 114, 126—128, 171, 174, 190, 191, 194, 196, 197, 230, 234, 240—241, 244, 246, 248, 255—256, 261—263, 266.
გიორგი მაგისტროსი 167, 173, 174.
გიორგი მანიაკი 179—180.
გიორგი მაშენებელი (იხ. გიორგი წინამძღვარი).
გიორგი მერჩულე 12, 27, 38, 138, 151, 153.
გიორგი მთაწმიდელი 6, 24, 31, 33—34, 36—37, 39, 49—50, 113, 152, 153, 169—170, 270, 275.
გიორგი მცირე 6, 113, 152, 171, 270, 275, 276, 277.
გიორგი მწერალი 113.
გიორგი უკეთური „უფროსი ათონის მონასტრების წინამძღვართა შორის“ ე. ი. პირველი (Πρῶτος) 169.
გიორგი უფლისწული (იხ. გიორგი II).
გიორგი შუარტყელელი 151.
გიორგი ჩორჩანელი 138, 151.
გიორგი წინამძღვარი 64, 166—169, 173, 174.
გიორგი ხუცეს-მონაზონი (იხ. გიორგი მცირე).
გიორგი, IV საუკუნის მოღვაწე, ანტიოქიის პატრიარქი 169.
Глика 262, 307.
გოდერძი, ერისთავთ-ერისთავი 211.
Греция 231.
გრიგოლ არტანუჯის ერისთავი 236.
გრიგოლ ბაკურიანის ძე 284—287, 296, 300, 301—308.
გრიგოლ, გრიგოლი (ბერი, „შავი გრიგოლ“) 168.
გრიგოლ მაგისტროსი, სომეხი ნაბარალი 198, 265.
გრიგოლ პაპლავუნი 112, 264.
Григорий Бакурианиц 313.
გრიგოლი, ტარონის ერისთავი 20.
გრიგოლ ტარონელი, მაგისტროსი 32.
გრიგოლი, ტარონის მთავრის შვილი 32.
გრიგოლია კ. 224.
გრიგოლ აბუსერის ძე 239.
გრიგოლ ხანძთელი 138, 151, 152.
Грузия 19, 101, 239, 262, 310, 314-316.
გვრპელი, ჯოჯიკის მეგანძურთა უხუცესი 39.
გუარამ აშოტის ძე 138, 139, 151, 152.
გურგანი 244.
გურგენი, ქართველთა (იბერიის) მეფე 21.
გურგენ მეფეთა-მეფე 65, 74, 75, 78, 79, 81, 87, 112, 173.
გუარამ გოდერძის ძე, ბეჭის ციხის პატრონი 213.
გურგენ, ძე ბაგრატ I მამფლისა 15.
გურგენ ადარნასეს ძე მაგისტროსი 19.
გურგენ IV ერისთავთ-ერისთავი, მაგისტროსი 15.
გურგენ ბერი (იხ. გურგენ ადარნასეს ძე მაგისტროსი).
გურგია (იხ. გიორგი I).
გურიელნი 238.
გურიელნი აზნაურნი 211.
Gustave Schlumberger 46.

დავით აღმაშენებელი 152.
დავით ბაგრატუნი (იხ. დავით ტაშირ-ზორაკერტის მეფე).
დავით დვინელი 199, 202, 223.
დავით III კურაპალატი 10, 13, 20—21, 23—25, 28, 33, 35—40, 42—43, 45—46, 48—49, 53, 55—61, 64—75, 78, 80, 83—85, 89—91, 100, 108, 112, 114, 116, 118, 119—120, 133, 173, 175, 250, 283, 296.
დავით ბაგრატიონი (იხ. დავით III კურაპალატი).
დავით მეფეთა-მეფე (იხ. დავით III კურაპალატი).

Давид Курапалат 48, 57, 66, 305, 306, 308.
Davith Curopalat, 68.
დავითი, ტაშირ-ზორაკერტის მეფე (989—1048) 201, 223, 225.
Давид, сын Сенекерима 309.
დავითი, ძე ბაგრატ I მამფლისა 15.
დავითი, „სამოთხის“ გადამწერი 64.
David-sans-Terr 200.
დავით საღარურიანი 19.
დავით სენექერიმის ძე არწრუნი 110.
დავით II, ქართველთა მეფე და მაგისტროსი 15.
დალასანოსი 62, 122, 142.
დალასალოსელნი 114.
დამასტრია 251.
დამიანე ულასანოსი, ანტიოქიის დუკა, 176.
დანდონაკანის (დენდანეკანის) ველი 244.
დასავლეთ საქართველო 86.
დელფინოსი 61.
დემეტრე, ნახევარ-ძმა ბაგრატ მეოთხისა 180, 182, 187, 188, 190, 192, 194, 200, 210, 222, 223, 227, 228, 231, 232, 233, 235, 236, 237, 257, 286.
Деметре, брат Баграта 311.
Démetré, frère du roi Bagrat 231, 286.
დემეტრე კლარჯი (ძე გურგენ კლარჯისა) 87, 159, 161—163, 164, 180.
დემეტრე ლეონის ძე, აფხაზთა მეფე 86.
დერჯანია 61—63.
Двин 43.
დვინელნი 241.
დვინი 44, 195, 237, 240, 241, 248.
Джавахишвили И. А. 305, 312, 314.
Джоджик 306.
დიარბერქირი 52.
დიდი არმენია 195.
დილი შ. 292.
დირახი (გეოგრ.) 287.
დორღოლელი (ოსთა მეფე) 286.
დოღლუბეგ (იხ. თოღრილ-ბეგი).
Джанашия С. 38.
დრაჩი (იხ. დირახი).
დუკა, შეთქმული რომანოზ არგვეროსის წინააღმდეგ 176.
დუკიწი (იხ. კონსტანტინე დუკა).
დუმბაძე მ. 216.
დუნაი 26, 123, 191, 252.
დუნაის ბულგარეთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეგეოსის ზღვა 287.
ეგვიპტე 27, 62, 92—93, 180.
ედესა 177, 179, 180, 207.
Edouard Dulaurier 7, 255.
ევგენი, პროტოსპათარიოსი 219.
ევდოკია, კონსტანტინე დუკას ქვრივი, შემდეგ რომანოზ დიოგენის მეუღლე 278, 285.
ევდოკია, ნიკიფორე მელისინის მეუღლე 292.
ევსტათი მალეინი (იხ. იბნ-ალ-მალაინი).
ევფრატი 43, 59, 115, 123, 177, 179.
ევფრატის ხეობა 38, 115, 116.
ეზრა ანჩელი 135, 149, 162.
ელანთა (ციხე-სიმაგრე) 272.
ელენე, ბაგრატ IV მეუღლე 178, 179.
Эмин Н. 7, 29, 190, 248.
ემინი ნ. 32, 63, 64, 197.
Энгельс Ф. 44, 84, 175.
ენგელსი ფრიდრიხ 84.
Ереван 104.
ერემიანი ს. 219.
Эрзерум 44.
ერზინჯანი 59.
ერიზა (დაბა) 271.
ერიზანი 72.
ეფრემ დიდი 138.
ეფესო 289.
ეფთვმე მთაწმიდელი (იხ. ექვთიმე მთაწმიდელი).
ექვთიმე მთაწმიდელი 23, 24, 25, 33, 36, 49, 50, 64, 115, 166, 168, 169.
ევქსინის პონტოს ზღვა 287.
ეღნუტის ციხე 272.

Ваграм 196.
ვალანეი 53—55.
Валанеи 54—55.
ვალაშკერტელი (იხ. ზაქარია ეპისკოპოსი).
ვალაშკერტი (იხ. ალაშკერტი).
ვანანდი 283—284.

ვანანდის ციხე 249.
ვანანდის სამეფო 104, 106, 218.
Ванандское царство 308.
ვანის ტბა 38, 69, 70, 83.
ვარაზვაჩე 166, 172—174.
Вараз-Вачe, племянник Феодосия патрикия 310.
ვარანგები (იხ. ვარიაგები).
Varanques 225.
Варда Склир 8, 27, 32, 41, 46, 47, 311.
Варда Фока 48, 54—55, 57, 66, 305, 312, 314.
ვარდან დიდი 6—7, 100, 189, 197, 255, 257, 258, 283.
Вардан Великий 7, 190.
ვარიაგები (რუს-ვარიაგები) 51, 224—227, 229, 231, 233, 237, 261.
ვასილ ბოკავბი 274.
ვასილ მაკედონელი (X ს.) 143.
ვასილ პარაკიმანოსი 53—55.
ვასილაკი 287, 291—292.
ვასილევსკი ვ. 8, 76—78, 83, 109, 129, 141, 146, 191, 225—227, 230—232, 236—237, 239, 261.
Василевский В. Г. 8, 60—61, 76, 118, 142, 145, 165, 190, 224, 226—227, 231, 251, 261.
ვასილი (ვესტი?) 200.
Василий Болгаробойца (см. Василий II).
Василий II (976—1025) 29, 46, 47, 84, 311, 312, 313, 316.
Васпуракан 245.
ვასპურაკანი 105, 106, 110, 125, 126, 244, 263, 264.
ვასპურაკანის სამეფო 83, 104, 105.
ვაჩე კარიჭის ძე 131, 135, 136, 162.
ვახსუდან რავვადიდი 183—185.
ვახუშტი 40, 267, 273, 200, 224, 225, 249, 260, 269.
ვაჭრამ ბაქლავუნი 193, 198.
Вейделбаум Е. Г. 19.
Византия 19, 48, 65, 139, 172, 304, 305, 307, 308, 310.
Византийское государство 84.
ვიხიკი (გეოგრ.) 15.
ვლადიმირი, კიევის მთავარი 60, 71, 76.
ვლახერნი (ვლახერნის მონასტერი) 288.
ვოლგა 26.
ვორილი, სლავი მენიტერი 293, 295—296.
Вотаниат 290.
ვრანი, გრიგოლ ბაკურიანის ძის მოადგილე 303.
ვრიენოსი (იხ. ნიკიფორე ვრიენოსი).

Западная Грузия 304.
ზარზმა 40—42, 150.
ზარზმის ეკლესია 33.
ზაქარია ეპისკოპოსი 114—116, 172.
ზაქარია ვალაშკერტელი (იხ. ზაქარია ეპისკოპოსი).
ზაქარია მამადმთავარი („ბანაელ სჯნგელოზი") 116.
ზაქარია მირდატის ძე 168.
Заходер В. Н. 280.
ზედაჲს კერძი (გეოგრ.) 249.
ზემო ქვეყანა 42.
ზემო ქუეყანა 187.
ზემონი ქვეყანანი (იხ. ზემონი ქუეყანანი).
ზემონი ქუეყანანი 10, 35, 49—50.
ზენა სოფელი 249.
ზვიად ერისთავი 116—117.
ზოია, რომანოზ არგვიროსის მეუღლე 164, 181.
ზონარა 23, 33, 36, 61.

თავრიზი 184, 244.
თაყაიშვილი ე. 8, 40, 41, 74, 119.
თბილისელები 212.
თბილისი 129, 172, 179, 182, 183, 184—186, 210, 212, 215, 219, 221, 254, 257, 259.
თბილისის საამირო 82, 89, 120, 181—183, 212, 270.
თევდატე, ტაოელი აზნაური 74.
თეოდორა, რომანოზ I მეუღლე 16.
თეოდორა („ეპყრა ბერძენთ მეფობაჲ" 1055—1056 წწ.) 166, 275, 276, 277.

თეოდორე ბიალანტი 219.
თეოდოსიუპოლი 13, 17, 18, 38, 43, 44, 69, 118, 243, 284.
თეოფანო, რომანოზ II ქვრივი, ბასილისა და კონსტანტინეს დედა 22, 24, 34, 35.
თეოფანეს გამგრძელებელი 16.
თეოდოსი უსინათლო 86.
თეოფილაქტე დალასანოსი 114.
Фессалоника 140.
თესალონიკი 73.
თომა პატრიარქი 289.
თომა სლავი 142.
თონდრაკელები 264, 265.
თონდრაკი (გეოგრ.) 264.
თორთომი 13, 119.
თორნიკე (იხ. იოვანე თორნიკე).
თოღრილ-ბეგი 184, 244, 245, 250, 255, 261, 266.
თრაკია 32, 51, 73, 251, 297.
თრიალეთი 95—96, 133—134.
თუთუში 202.
თურქ-სელჩუკები 43, 183, 185, 213, 242—244, 245, 246, 250, 252, 253—254, 261, 263, 266, 271, 274, 277—279, 281, 284—285, 287, 295.
თურქები 43, 197.
თურქესტანი 252.
თურქი 70.
თურქმანები 186.
თუხარისი 188.

იაპია ანტიოქელი 7, 29—31, 36, 52—53, 55, 56, 58—62, 65—66, 72, 74, 132—133, 195, 240, 90, 92—95, 108, 109, 117, 120—122, 126, 177, 179.
Яхи Антиохийский 29, 31, 32, 52, 66.
Якубовский А. Ю. 184, 280.
იაროსლავი 190.
იბერია 21, 23, 42, 74, 76, 84, 103, 194, 231, 246, 257, 261—263, 266.
Иверы 305.
Иверия 84, 307.
იბერიელები 12, 13, 47, 84, 248.
იბერიელი 16, 38, 75, 302.

იბერიელი კურაპალატი 10.
იბერიის თემი 83—85, 76, 148, 237—239, 253, 261—263, 301.
იბერიის საკათალიკოსო (ან: ... თემი).
იბერიის ქვეყანა 275.
იბნ-ალ-ასირი 29, 175, 183—185, 186.
იბნ-ალ-მალაინი 30.
იბნ-ზაირაკი 180.
იბნ ხოსრო 42.
იბრაჰიმ ალიმი (აბრამ ალიმი) 245.
Ибрахим 247.
იეროპოლი 278—279.
იერუსალიმი 165.
ივანე დადიანი 213.
ივანე ერისთავი 213.
ივანე ლიპარიტის ძე 224, 233, 252, 268, 269, 271, 272—273.
ივანე ბალვაში (იხ. ივანე ლიპარიტის ძე).
ივანე პროედროსი (იხ. ივანე ლიპარიტის ძე).
ივანე, ძე სულისა 40.
Иванов 265.
Иверинская Фема 307.
ივლიანე უსჯულო 164.
იკონია 287.
ილია, ალექსანდრიის პატრიარქი 32.
ილექ-ხანი (იხ. ალი-თეგინი).
ინგოროყვა პ. 8, 12—13, 27, 38, 151, 152, 252, 283.
ინდოეთი 44.
Иоан Камениат 140.
Иоан, Кесар 290, 313.
იოანე ალექსის ძე 300.
იოანე ბანელი 131, 135, 162.
იოვანე დუკა, კესარი 289, 299.
იოანე დრასხანაკერტელი 107.
იოანე ერისთავი, აბუსერი 161—163.
იოანე ვარაზვაჩე (იხ. იოვანე მთაწმიდელი).
იოანე კომნენოსი, ანა დალასინის ქმარი 286.
იოანე საბანის ძე 138, 150—151, 152.
იოანე ოჩოპენტრეს ძე 76.
იოანე სკილიცე 7, 174—175, 178, 190.

იოანესიანი 265.
Иоаннисян А. Р. 104, 164—165.
იოვანე აბაზას ძე 181.
იოვანე ბერაჲ 64.
იოვანე ვრიენოსი 287.
იოვანე თორნიკე 28, 31, 34, 35, 37, 39, 45, 47, 48, 62—63, 112.
Иоване Торнике 311.
იოვანე მთაწმიდელი 23—24, 33—34, 36, 45, 49—50, 64, 166, 169, 175.
იოვანე-სუმბატი, ანისის მეფე 100—102, 103, 106, 107, 109, 110, 192—193, 194, 197.
იოვანესიკე (იხ. იოვანე-სუმბატი).
იოვანე ციმისხი, ბიზანტიის კეისარი (969—976) 26, 27, 29, 31, 51, 54, 84, 144, 195.
იოვანე ხარტულარი 159.
Ἰωβαννέκης 101.
Иран 43.
ირანი 44, 184, 244, 280—281.
Irène 286.
ირინე (ალანი) 286, 296.
ირინე, ალექსი კომნენოსის მეუღლე 299.
ისაკ კომნენოსი (ბიზანტიის კეისარი 1057—1059) 269, 270, 272, 273, 276, 285.
ისაკ კომნენოსი, ალექსი კომნენოსის ძმა 282, 286, 293, 294, 295.
ისთახრი 44.
ისლანდია 191.
ისნელნი 211, 216.
ისნი 211.
ისნის ველი 211.
ისნის ციხე 216—217.
იტალია 123, 273.
Южное Тао 313—315.

Кавказ 66, 80, 84.
კალანპახატი 197.
კალიპპო 260.
კალმახი (გეოგრ.) 236, 239.
კამა მდ. 26.
კამის ბულგარები 26.
კანიკლ მაგისტროსი 81.
კაპეტრონის ციხე 247.
კაპადოკია 30, 196, 213, 278.
კაპადოკიის თემი 41.
კაპანაძე დ. 45.
Каппадокия 41.
კიდანი ა. 8, 46, 206, 262.
Каждан А. П. 140, 146—147, 313.
კარი (ყარსი) 272, 283—284.
კარი (იხ. კარი, ყარსი).
Карин (см. Арзрум «Арцна румов») 253, 305.
კარინი (იხ. თეოდოდოსიუპოლი).
კარინის ველი 249, 251, 253, 256.
კარნიფორი 283.
კარიჭის ძე (იხ. ვაჩე კარიჭის ძე).
კარნუ-ქალაქი (იხ. თეოდოსიუპოლი).
Карпов 302.
Карс 43—44, 314.
Карталин 226.
კატაკალონ კეკაუმენი 240, 245—246, 248.
კალიზმანი 115.
Каухчишвили С. Г. 308.
კაცხი 273.
Кахадзе М. Л. 41.
კახაძე მ. 8, 27, 40—41, 57, 119, 234.
კახელები 211, 222, 223, 225.
კახეთი 10, 96—97, 129, 179, 182, 186, 188.
კახეთ-ჰერეთი 82, 87, 89, 92, 120.
Кахети 311.
კახნი 187, 211, 221—223, 236.
Кедрен 41, 127.
კედრენე (იხ. გიორგი კედრენე).
კეკაუმენ ბაგრატიდები 15.
კეკაუმენოსი (იხ. კატაკალონ კეკაუმენი).
კეკელიძე კ. 8, 12, 24, 34, 42, 134—136, 150—153, 166, 277, 290, 296, 305.
Кемаледдин 306.
კეჯეს ციხე 17.
კვიპროსი 23.
კვირიკე ოქელი (ე. ოქელი) 256.
კვირიკე, რანთა და კახთა მეფე 189.
კიევი 26—28, 54, 60, 71, 76.
კიევის სამთავრო 51, 190.
კვიზიკი, ქალაქი პროპონტიდაში 295.

კილიკია 10, 23, 50, 72.
Киликия 139, 305.
კისკასი (იხ. აშოტ კისკასი).
კლარჯეთი 12, 14, 87, 139, 159—160.
Кларджети 310.
კლდე-კარის საერისთავო 65.
კლდე-კარის ციხე 133—134, 268.
კლისურა 38.
კოლა (გეოგრ.) 13, 95, 118.
კოლა-არტაანი 118, 133, 250, 283.
კოლოკორ დელფინოსი 58.
კომანა 283.
კომნენოსები (ძმები) 293—295, 299.
კონსტანტი (იხ. კონსტანტინე VIII).
კონსტანტი მანკლავიტი 15, 19.
Константин VIII 309.
Константин Дук 313.
კონსტანტინე VIII, ბერძენთა (ბიზანტიის) მეფე (1025—1028) 24, 123—128, 131—132, 159, 164, 165, 166, 172, 174, 177, 275.
კონსტანტინე აფხაზთა მეფე 86.
კონსტანტინე, ბარდა სკლიაროსის ძმა 52.
კონსტანტინე დალასანოსი 176, 302.
კონსტანტინე დუკა, ბერძენთა (ბიზანტიის) მეფე (1059—1067) 271, 273—274, 276, 277—278, 285.
კონსტანტინე დუკა, მართას (მარიამის) ვაჟი 289, 290, 293—294.
კონსტანტინე მაგისტროსი 240.
Константин Мономах 262, 218, 307.
Constantin Monomaque 200
კონსტანტინე მონომახი (მონომახოსი), ბერძენთა (ბიზანტიის) მეფე (1042—1054) 145—146, 191, 194, 213, 230, 240—242, 251, 254, 255, 257, 260, 262—263, 267.
კონსტანტინე, პატრიკიოსი და ნაოსნობის დრუნგარი (იხ. კონსტანტი მანკლავიტი).
Константин Багрянородни 41.
Константин Порфирородни (см. Константин Багрянородни).
კონსტანტინე VII პორფიროგენეტი, ბერძენთა (ბიზანტიის) მეფე (945—952) 7, 12, 14—19, 83, 143.
კონსტანტინე საკუროსი 210.
კონსტანტინე, ბიზანტიელი სხრდალი 211.
კონსტანტინეპოლი [illegible] 31, 33—35, 54, 56, 59, 76, 90, 196—199, 115, 120—122, 124, 126, 156, 159, 164, 175, 177—178, 182, 190—191, 202, 205—206, 208, 215, 229, 230, 241—242, 251, 258—260, 266—267, 270, 272, 275—276, 287, 289, 297, 300.
Константинополь 43—44, 148.
კოპალიანი ვ. 28, 38, 56, 134, 199, 219, 229, 250.
კრეტა 22.

ლაკლაკი 151.
ლარისა 283.
Лариса 244.
Ласкин Г. 41.
Lebeau 19, 101, 197—198, 302.
ლებო 9, 101, 197, 286.
ლევენკო მ. 83.
Левченко М. В. 26, 28, 141—144, 155, 191, 206, 208, 271, 274.
ლეონ აფხაზთა მეფე 86.
ლეონ გრამატიკოსი 17.
ლეონ დიაკონი 31, 58.
Леон Диакон 58.
ლეონ თორნიკე 230, 240—241.
ლეონ მელისინი 53—55.
ლეონ პარსაკუტინსკი 58.
ლეონ VI, ბერძენთა (ბიზანტიის) მეფე (886—912) 106, 146.
ლეონი, ნიკიფორე ფოკას ძმა 31.
ლეონტი სერელია 262.
ლიკანდრე 196.
ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი 133—134, 179, 181—182, 185—190, 192, 194, 209—211, 213—214, 217, 218—227, 232—236, 239, 241, 246—249, 252, 254, 255—258, 266—269, 273.
Liparit 225, 231.
Литаврин Г. Г. 22, 26, 311.
ლიტავრინი გ. 8, 46, 262.
ლიუბარსკი ი. 7, 287, 290, 300, 313.

ლიხთ-ამერეთი 250.
ლიხთ-იმერეთი 250.
ლიხი 224—225, 267.
ლიხნი (ლიხი) 226, 228, 236—237.
ლიხტერი, ბიზანტიელი სარდალი 253.
ლომოური ლ. 11.
ლომოური ნ. 8, 41, 57, 64.
Ломоури Н. Ю. 27, 41, 42, 47, 65.
ლომსიანნი 211, 238.
ლორთქიფანიძე მ. 86, 138.
ლულუ, ალეპოს ამირა 176.

მავდუდი, ღაზნის სულთანი 252.
მათე ედესელი 6—7, 43, 175, 255, 257.
მათე ურჰაელი (იხ. მათე ედესელი).
მაიაფარიკინი (იხ. მარტიროპოლი).
მაკადდასი 29.
მაკედონია 32, 73, 251.
Малая Азия 84, 307.
Малая Каппадокия 41.
მამლან აბელ-ხაჯის ძე 21, 112
მამრუანის ველი 81.
მანანდიანი ი. 202, 208.
Манандян Я. А. 43, 44, 202, 215.
მანასკერტი 33, 68—71, 261, 279.
მანგანის მონასტერი 262—263.
მანგლისი 178.
მანიაკი, ბიზანტიელი სარდალი 191.
მანსურ ლულუს ძე, ალეპოს ამირა 176.
მანუელ კომნენოსი, პროტოპროედროსი და კურაპალატი 285—286.
მარდალიის კანტონი 38.
მართა (მარიამი), ბაგრატ IV ასული, ბიზანტიის დედოფალი 275, 276—277, 286—291, 293—296, 298—301.
Марфа (Мария) 319—320.
მარი ნ. 209, 229, 305—306.
მარიამ დედოფალი, ბაგრატ IV დედა 177—179, 200, 275.
მარიამი (იხ. მართა (მარიამი), ბაგრატ IV ასული).
Марр Н. 209, 215, 296.
მარტიროპოლი 28, 70.
Матфей Эдесский 247.
Matthieu d'Edesse 7
მარქსი კარლ 84.
Маркс Карл 44, 84, 175, 307.
მასუდი, ღაზნის სულთანი 195, 244, 252.
მაწყვერელი 221—223, 281.
მაჰმუდ ღაზნეველი (998—1030) 184.
Мелисин 54—55.
მელიტინი (მესამე არმენია) 29, 30, 52, 72.
მელიქ-შაჰი 281—282.
მელქისედეკ კათალიკოსი 178.
მენაბდე ლ. 167.
მეოთხე არმენია 73.
მერვანი, ამირა ბადის დისშვილი 73.
მესამე არმენია (იხ. მელიტინი).
მესოპოტომია 22, 27, 29.
მესხეთი 260, 266.
მესხია შ. 209, 215—216.
Месхи 226.
მესხნი 124, 221, 224, 226, 236.
მირიანი, სამცხის დიდი აზნაური 138—139.
მირხონდი 184.
მიქაელ ატალიატე 44.
მიხაელ იასისე, ვესტი 194.
Михаил VII Дука 299, 313.
მიხეილ აკოლუფი (აკოლუფოსი) 261.
მიხეილ ალ-ბურჯი 30.
მიხეილ დუკა (იოანე კესაროსის შვილიშვილი) 291.
მიხეილ VII დუკა, ბერძენთა (ბიზანტიელთა) მეფე (1071—1078) 278, 279, 282, 285—289, 291, 293.
მიხეილ კერულარი 270.
მიხეილ პატრიკი (პატრიკოსი) 281.
მიხეილ VI სტრატიოტიკოსი, ბერძენთა (ბიზანტიელთა) მეფე (1056—1057) 260, 267, 268, 270, 276.
მიხეილ V ხალიფატი (1041—1042) 189, 190, 208.
მნაცაკანიანი ა. 265.
მონავატი 166, 171.
Мономах (см. Константин Мономах)
მონომახი (იხ. კონსტანტინე მონომახი).
Москва 7, 29, 46, 51, 158, 190.
მუმაჰდიდ-ალ-დაული 72—73.
მუში (ქალაქი) 33.
Муравьев Н. Н. 101.

მურავიოვი ნ. 101.
მუხათგუერდი 181.
მცირე აზია 22—23, 28, 42—3, 45, 51, 53, 71, 141—144, 147, 185, 270.
მცირე სომხეთი 105.
მცხეთა 158, 178.

ნატროშვილი ა. 8, 167, 171, 173.
Натроев А. 170, 173, 176.
ნეოკესარია 289.
ნეპერკერტი 32, 50, 67, 70, 72.
ნიანია ლიპარიტის ძე 252, 268.
ნიკანდრი 22.
Низам-ал-Мульк 280.
ნიკეა 31, 126—127, 288.
ნიკიტა პარაკიმანოსი 133—135, 159.
ნიკიტა საჭურისი 149.
Никифор Ботаниат 313.
Никифор Вриенний 19.
ნიკიფორე აღმსარებელი 289—290.
ნიკიფორე, ბარდა ფოკას ძე 59, 109.
ნიკიფორე ბოტანიატი 274, 288—293, 295—297.
ნიკიფორე დიოგენი 300.
ნიკიფორე ვრიენოსი, დრაჩის მმართველი 251, 287.
ნიკიფორე ვრიენოსი, ანა კომნენეს მეუღლე 276, 279, 286, 288, 289.
ნიკიფორე კომნენოსი, ვასპურაკანის მმართველი 125—128.
Никифор Комнин 126—127.
ნიკიფორე მელისინი 292.
ნიკიფორე პატრიკიოსი, ბარდა ფოკას ძმა 58.
ნიკიფორე საჭურისი 251.
ნიკიფორე ფოკა, ბერძენთა (ბიზანტიის) მეფე (963—969) 22—26, 28, 31, 50—51, 110, 114, 122, 125, 143, 154, 165.
Никифор Фока 305.
ნიკიფორე ქსიფე (ქსიფიასი) 109—111, 113, 114, 122, 125.
ნიკიფორე (ნიკიფორიცა) 287.
ნიკოლოზ პარაკიმანოსი 132, 177.
ნიკოლოზ მისტიკოსი 141.
ნიკოლოზი, სხოლათა დომესტიკოსი და პარაკიმანოსი 195—196, 240.
ნიფიუსი 40.
ნორმანები 273, 282, 292.

ოვსი 189.
ოლთისი 66, 80, 81, 91, 94, 284.
ოლთისნი (იხ. ოლთისი).
ოლიმპის მთა 24.
ოპსიკიის მხარე 295.
ორბელიანი სტეფანოზ (იხ. სტეფანოზ ორბელიანი).
ორდროური (იხ. ოსურტრუ).
ორდრუ (იხ. ოსურტრუ).
ორესტი, ბიზანტიელი სარდალი 123—124.
ოსტგუთები 20.
ოსტროგორსკი გ. 146.
Ostrogorsky G. 47, 146, 305.
ოსურტრუ (გეოგრ.) 246, 249, 256.
ოღუზები 183—185.
ოშკი 119, 121.
ოჩოპენტრე 75.

პავლიკიანები 142.
პალაკაციო (იხ. ჩილდირის ტბა).
პანკალია 37.
პანკალიის ველი 31, 40, 42.
პანკალიის მინდორი (იხ. პანკალიის ველი).
პანკალიის ვაკე (იხ. პანკალიის ველი).
პარადუვნავ (იხ. პარისტრიონი).
Paris 7, 20, 37.
პარისტრიონი 274.
Парцхиси 314.
პარხალი 13.
პაფლაგონელები 181.
პაფლაგონია 41, 287.
პაშტიანკი (გეოგრ.) 269, 271—272.
პაჭანიკები 26, 51, 191, 251, 252, 254, 261, 271, 274, 302.
Peeters P. 46, 290.
პერეიასლავეცი 26.
Перис Джоджикис дзе 315.
პერსარმენია 195.
Петербург 8, 19.
Петр Фока (см. Петранос).
პეტრანოსი, ბიზანტიელი მხედართმთავარი 32.

Петранос 32.
პეტრე, ბულგართა მეფე 54.
პეტრე სტრატოპედარხი (იხ. ალ-არტაბაზი).
პეტრე, სომეხთა კათალიკოსი (იხ. პეტროსი, სომეხთა კათალიკოსი).
პეტრიწონის მონასტერი 291, 296, 301.
პეტროსი, სომეხთა კათალიკოსი 100, 106, 198, 212.
პეტრუშევსკი ი. 204.
Петрушевский И. П. 205.
Печенеги 313.
პიზა 197, 213.
პონტო 43.
Попов Д. 31, 58.
პორტეზი (იხ. ქანი).
პრესლავი 51, 54.
პრესნი (ქალაქი) 54.
პროპონტიდა 190, 295.
Prud-homme 7, 118.
პსელოსი 76, 145, 156, 165, 190, 230, 232, 237—238.

ჟაკრუსო (იხ. ქანი).
ქანი, პატრიკიოსი 62.
ქორდანია თ. 8, 32, 63—64, 115—116, 153, 167, 173, 175, 188—189, 256, 260, 273, 276, 288, 297, 301.
Жузе П. 183.

Rambaud A. 37, 20.
რატი, ძე ლიპარიტისა 95.
რეი 184.
რკინისჯუარი (გეოგრ.) 236.
რობერტ გვისკარი 299.
Розен В. 29—32, 36, 46—48, 52—56, 59, 60—62, 66, 72—74, 90, 93—94, 108—111, 117, 120, 122, 127, 132, 175—177, 179, 306.
როზენი ვ. 8, 46, 48—49, 53—54, 117, 127.
რომანოზ არგვიროსი, ბერძენთა (ბიზანტიელთა) მეფე (1028—1034) 146—147, 164—166, 171—177, 180—181.
რომანოზ დიოგენი, ბერძენთა (ბიზანტიელთა) მეფე (1068—1071) 278—279, 285.
რომანოზ I ლეკაპენი, ბერძენთა (ბიზანტიელთა) მეფე (919—944) 15—16, 19—20, 143, 146.
რომანოზ II, ბერძენთა (ბიზანტიელთა) მეფე (959—963) [illegible]
რომანოზი, ბარდა [illegible] ლი 52.
რომანოზი, ბულგართა მეფის შვილი 54—55.
Ромашкевич А. А. 184.
როსი(ქალაქი) 23.
რუის-ურბნისი 301.
რუმი (იხ. ბიზანტია).
რუს-ვარიაგები 77, 220, 225, 228, 232, 236—238.
რუსები 26, 51, 71, 73, 75—78, 80, 118, 165, 190—191, 230.
რუსი 75, 78, 80, 191.
რუსნი 118.

საბა მტბევარი, ეპისკოპოსი 135, 149, 159—162.
საბა, X ს. ქართველი მოღვაწე 31.
Сабинин М. 48, 158, 306.
საბინინი მ. 152—153, 157.
საბერძნეთი 31—32, 35, 56, 62, 76, 131, 135, 149, 187—188, 222, 249, 256, 269.
სად-ალ-დაული 47.
სალიხ იბნ-მარდასი 165.
სალუნი 58.
სამარყანდი 184.
სამოელი, ბულგართა მეთაური 54, 58, 73, 90.
სამოქალაქო 211, 238.
სამსამ-ალ-დაული 52.
სამცხე 95, 138, 151.
სამხრეთ აზერბაიჯანი 183—185.
სამხრეთი ტაო 83, 85, 87—89, 91—92, 119, 137, 173—174, 176, 263.
სარანგი, თურქთა სარდალი 281, 284.
სარგის ვესტი 197—198, 212.
Sargis-Vest 200.
სარვენისი 40—41.
სარკინოზები 15—16, 129.
სარკინოზი 240.
სარმატები 84.

საროსი 287.
Sasiret 225.
სასირეთის ჭალა 225
სასირეთის ჭალისთავი 224, 226—227, 233, 235, 238—239, 241, 250.
Сасирстская долина 226.
სარქიზ სიენიელი 193.
საქართველო 5—8, 10—11, 18, 21, 27, 42, 56—57, 64, 67, 69, 77—79, 82—83, 85—90, 94, 99—101, 105, 107, 108, 109, 112, 117—122, 130, 132—133, 135, 137, 138, 148—149, 157, 162—164, 166, 176—178, 181, 182—183, 186—187, 191, 195, 199, 204—205, 209, 214—215, 217, 221—224, 232, 236, 237, 243, 244—245, 252—254, 258—260, 262, 265, 271, 277, 279—280, 284—285.
საქართველოს სამეფო 92, 199, 201, 257.
სახალიფო 5, 18, 44, 82, 107, 265.
საჯის ძე ამირა აფშინი (იხ. აფშინი).
სევასტია (ქალაქი) 105, 282.
Севастия 244.
Северная Сирия 306.
Северное Тао 310.
Севук (крепость) 315.
სევუკი (ციხე) 38.
სელჩუკები (იხ. თურქ-სელჩუკები).
სელევკია 22.
სენექერიმ არწრუნი, ვასპურაკანის მეფე 104—106, 110, 177, 200.
Сенекерим 244.
სერაპიონ ზარზმელი 150—151.
სერგი, კონსტანტინეპოლის პატრიარქი 155.
სვეტი (ციხე-სიმაგრე) 135.
სვიატოსლავი 26, 28, 51, 54, 76.
სიაუში 302—303.
სინადინები 293.
სინას მთა 255.
სინოპი 302.
სირია 23, 30, 47, 53, 93, 179, 278, 302.
Сирия 54.
სირიელები 43.
Сюзюмов М. Я. 208.
სიცილია 123—124, 129.
სკაბალანოვიჩი ნ. 8, 126, 127, 146, 148, 157, 172.
Скабаланович Н. 89, 91, 98, 81—85, 105, 115, 125, 126—127, 145—146, 148, 155, 173, 179, 206, 240, 309—310.
სკაზკინი ს. 46, 262.
სკანდინავია 191.
სკვითები (იხ. რუს-ვარიაგები).
სკილიცე 17, 115, 127, 172.
Скилице 262, 307.
Смбат Зарехаванци 264.
სომეხი 6, 20, 22, 29, 47, 68, 73, 193, 196, 263.
სომეხნი (იხ. სომხები).
სომხები 37, 48, 60, 66, 68, 69, 71, 100, 106, 194, 195, 225, 236, 243, 262—263.
სომხეთი 21, 23, 27, 29, 39, 44, 67, 69, 70, 82, 83, 85, 101, 131, 132, 139, 183, 184, 185, 194, 209, 243, 245, 261, 264, 265, 284.
სომხითარნი 225.
სოფიო, ქრისტეფორეს მეუღლე 16.
სოფიოს ტაძარი 16, 19, 289.
სპარსეთი 15, 42, 102, 105, 114, 265.
სპარსელები 20, 71.
სტეფანოზ ორბელიანი 6, 7, 148—149.
სტეფანოზ ტარონელი 6, 32, 33, 37, 39, 48, 55, 56, 62—64, 68, 72, 76, 80, 81, 84.
Степанос Таронский 6, 29, 32, 33, 56, 61, 72, 80, 112, 305, 306.
სტრაღნა მდინარე 245.
სტუდიის მონასტერი 288.
სულა, კალმახის ერისთავი 235, 239, 282, 287.
სუმბატ დავითის ძე 6, 11—13, 15, 74, 75, 79, 80, 87—89, 96, 99, 117, 118, 120, 121, 123—125, 131, 134, 149, 159, 161, 164, 177, 179.
Сумбат Давидис дзе, 316.
სუმბატ I მამფალი 14.
სუმბატ I სომეხთა მეფე (890—914) 107.
სურგულაძე ა. 216

ტაბარისტანი 244.
Таканшвили Э. 40, 119.
ტაო 13, 15, 20, 35, 36, 39, 42, 44 49, 57, 58, 59, 65, 66, 72, 73, 78, 83, 118, 124, 173, 250, 283, 284.
Тао 307.
ტაოელები 73, 91.
ტაოელი 81.
ტაოელნი (იხ. ტაოელები).
ტაო-კლარჯეთი 10—14, 16—19, 21, 25, 33, 42, 45, 46, 49, 50, 64, 65, 67, 68, 70, 85, 133, 134, 136, 139, 147, 148, 153, 159, 162, 176, 239.
Тао-Кларджети 310, 311, 316.
ტარონი 20, 30, 33, 39, 61—63, 73, 82, 92, 264.
ტარონის თემი 29.
ტარონიტი, მაგისტროსი 59, 60.
ტარსი 30, 72.
ტაშირ-ზორაკერტი 201, 221.
ტბეთი 149, 159, 161.
ტბეთის ეკლესია 135.
Тбилиси 317, 318.
Тигр 41, 274.
ტიგრი (იხ. ტიგროსი).
ტიგროსი 40, 42.
ტირახი, პაჭანიკთა მეთაური 251.
ტოკარსკი ნ. 68.
Токарский Н. 66, 67.
Тондракиты 264, 265.
Трапезунт 43.
ტრაპიზონი 29, 44, 59, 85, 98, 99, 104, 108, 193.
ტრიპოლისი 180.
ტფილელნი 182, 211, 215.
ტფილისი 182, 256.
ტურინო 172.
Туркмения 184.
Турки-Селджуки 313, 314.
ტუსი 184.

უბეიდ ალლაჰი 32.
უზები (იხ. ღუზები, ოღუზები).
უკუმია (გეოგრ.) 249.
ულუმბო 23, 24, 25, 50.
ულუმბოს მთა (იხ. ულუმბო).
ურსელი, ნორმანთა ლაშქრის მეთაური 282.
უსპენსკი თ. 8, 83, 218, 242, 244, 247, 261, 262.
Успенский Ф. И. 123, 155, 217, 218, 242, 244, 247, 261, 262, 280, 285, 287, 288, 292.
უსპენსკი პ. 24.
Успенский П. 170.
უფლისციხე 252.
უხტიკი (იხ. ოლთისი).

ფარესმანე ვესტი, ტომით იბერი 279.
ფარსმან თმოგველი 187, 188.
ფარცხისი 281, 284.
ფასიანი 18.
ფასისი (იხ. არაქსი).
ფატიმიდები 7.
ფევდატე, იბერიელი დიდგვარიანი 174.
ფერის ჯოჯიკის ძე 74, 112—114, 171, 174.
ფერსი (იხ. ფერის ჯოჯიკის ძე).
ფილიპოპოლი 51, 302.
ფილომიდია 93, 165.
ფინიკია 74.
ფოკა (ფოკანი, ადგილი ჯავახეთში) 221.
ფოკა (იხ. ბარდა ფოკა).
ფოტიოსი, კონსტანტინეპოლის პატრიარქი 140.
ფრანგები 20, 261.
ფუთურიძე ვ. 44.

ქალდია 29.
ქალკედონია 288.
ქართველები 6, 8, 10, 18, 27, 33, 34, 37, 39, 40, 42, 46—49, 52, 64, 66, 69, 70, 76—78, 80, 81, 90, 92, 93, 95, 98, 100, 106, 107, 109, 123, 124, 128, 133, 154, 160, 171, 172, 182, 183, 185, 221, 238, 243, 253, 262, 263, 281.
ქართველი 5—8, 20, 22, 27, 34, 35, 45, 47, 64, 77, 80, 87, 95, 116, 127, 129, 131, 136, 137, 162, 168, 174, 177, 196, 202, 209, 213, 214, 217, 219, 220, 232, 256, 263, 266, 302.

ქართლი 10—12, 102, 134, 187, 222, 223, 260.
ქემალედნინი 47—49, 55, 63.
ქსიფე, ანატოლიის მმართველი (იხ. ნიკიფორე ქსიფე).
ქსიფიასი (იხ. ქსიფე).
ქუთათისი 211, 238.

ღაზნა 184, 252.
ღაზნის სასულთნო 185.
ღალისი 42.
ღრტილა 221.
ღუზები, ოღუზები 274.

ყარსი (ყარი) 44, 218.
ყარსის ველები 249.
ყაუხჩიშვილი თ. 219.
ყაუხჩიშვილი ს. 7, 8, 11, 13, 15—17, 27, 28, 36, 37, 41, 43, 46, 74, 83, 94, 96, 98, 172, 224, 225, 275, 289.
ყირიმი 26, 71.
ყულეიბი, კაპადოკიის მმართველი 30.

შავი ზღვა 59, 210, 230, 237, 239.
შავშეთი 12, 135, 136, 162, 222, 283.
Шавшети 320.
შავშეთ-კლარჯეთი 162.
შანიძე ა. 23, 24, 34, 169.
შარვაშეთი 222.
Charles Diehl 53, 109, 141, 144, 208, 287, 292.
შატბერდი 64.
შატიკი (გეოგრ.) 102.
შაქნი 96, 97.
შედადიანები 183.
შენგელია ნ. 9.
შერფი 118.
შიდა ქართლი 86, 249.
Chida-Kartli 225.
შირაკი 27, 212.
შირიმნი (გეოგრ.) 94.
შლუმბერჟე 9, 68.

ჩანგლი (გეოგრ.) 115.
ჩანჩუხა, შავშეთის ერისთავი 135, 136, 162.
ჩაღრი-ბეგი 184.

ჩილდირის ტბა 94.
ჩორდვანელი 49, 55, 61—63.
ჩორმაირის თემი 238.
Чор-Манри 305.
Чортванели 48, 306.
ჩრდილო ოკეანე 191.
ჩრდილო ტაო 133, 135.

ცაგარეიშვილი ე. 107.
Цагарели А. А. 296.
ცამენდავი (ქალაქი) 283.
ცინცაძე ი. 8, 77, 225, 226, 228—230, 236, 237, 261.
ციხის-ჯუარი 213.
ცქიტიშვილი ო. 128.

ძარღუა სოფელი 150.

წანარნი 96, 97.
წანარ-შაქელები 97.
წარვეზი, „ძე ფოკას განდგომილისა" 113, 114.
წეფთის ციხე 135.
წინა აზია 185.
წმიდა სიმონის მონასტერი 53.

ჭანეთის ხეერთი 272.
ჭიჭინაძე ზ. 96.
ჭოროხი 38.

ხაზარები 26, 27.
ხალდია 98, 99, 261.
Халдия 239.
ხალდიის თემი 238, 239.
ხალდიის ქვეყანა 100.
ხალიდონიის ციხე 241.
ხალტოი-არიჭი 38.
ხანძითი 29, 30, 72.
ხარატიკი, თურქი, სინოპის მმართველი 302.
Харк (reorp.) 305
Харсанан 41.
ხარსანანის სარეენისი (იხ. სარეენისი).
ხარსიანი 27, 40, 41, 42.
ხარსიანის თემი 41.
ხარსიანის ყარები 298.
ხარსიანის მხარე 196.

Хатто-Иарич 305.
ხაჩიკ II, სომეხთა კათალიკოსი 197.
Хаханов А. 33.
ხერსონესი 71.
ხვარასნელი, თურქთა სარდალი 248.
ხიხანი (გეოგრ.) 213.
ხლათი 32, 52, 63, 68, 69, 83.
ხლიატი (იხ. კლათი).
ხოვლე 233—235.
ხორასანი 244, 252, 267.
ხორეზმი 244.
ხორსანანი (იხ. ხარსიანი).
ხრისოპოლი 61.
ხრისოპოლის სიმაღლე 58.
ხუარასანი (იხ. ხორასანი).
ხურამიტები 265.
ხურსი, დიდებული ერისთავი 95.
ხუფათი 13, 211, 217, 220, 238.

ჯავახეთი 13, 95, 98, 118, 133, 138, 151, 217, 221—223, 250, 257—259, 283.
ჯავახიშვილი ივ. 7, 11—14, 20, 23, 24, 31, 33, 34, 36, 37, 66, 67, 75, 81, 93, 96, 117, 122, 131, 132, 136, 141, 151, 154, 163, 177, 180, 183, 190, 217, 218, 220, 234, 252, 255, 256, 258—260, 275, 284.
ჯანაშვილი მ. 173.
ჯანაშია ს. 8, 12, 66, 68.
ჯაფარ, „ტფილელი ამირა" 181, 185, 210.
ჯეჰანი 30.
ჯოჯიკი 39, 112.
ჯუანშერი 19.

ჰავაჯიჩის სიმაგრე 272.
ჰალისი 40, 41.
ჰამდალაჰ ყაზვინი 44.
ჰასანი 144, 244, 246.
ჰაქსი 38.
ჰელესპონტის სრუტე 58.
ჰერაკლე კეისარი 146.
ჰერეთი 96, 97.
ჰერეთ-კახეთი (იხ. კახეთ-ჰერეთი).
ჰერ-კახნი 96, 97.
ჰოდუდ-ალ-ალემი 44.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

შესავალი 5

თავი I. ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში X საუკუნის დასასრულს 10

§ 1. ქართველთა მონაწილეობა კილიკიის ლაშქრობაში . . 10

§ 2. დავით კურაპალატი ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში . 27

თავი II. ბიზანტიის მიერ სამხრეთი ტაოს დაპყრობა 72

§ 3. ბასილ კეისრის ღონისძიებანი. ომი სამხრეთ ტაოში . . 72

§ 4. ბრძოლის განახლება სამხრეთი ტაოს გასათავისუფლებლად. გიორგი I. 89

§ 5. ქართველების დამარცხება და მისი მიზეზები. ზავი ბიზანტიასთან 107

თავი III. ბიზანტიის აგრესია XI ს. 30—40-იან წლებში და საქართველოს სოციალური ფენები 129

§ 6. ბიზანტიელთა შემოჭრა საქართველოს სამეფოს ტერიტორიაზე. დემეტრე უფლისწული 129

§ 7. ქართველები რომანოზ არგვიროსის საწინააღმდეგო შეთქმულებაში. ქართველთა ელჩობა ბიზანტიაში და მისი შედეგები 164

§ 8. ლიპარიტ ბაღვაში და დემეტრე უფლისწული ბიზანტიის ახალი მოკავშირეები 179

თავი IV. ანისის საკითხი. სომეხ-ქართველთა ძალების გაერთიანების ცდა 193

§ 9. ბრძოლა ანისისათვის 193

§ 10. ანისის გადაცემა საქართველოს სამეფო ხელისუფლებისათვის 198

§ 11. საქართველოსა და სომხეთის ინტერესთა ერთიანობა . . 201

§ 12. ბიზანტიის აგრესიის გაძლიერება და საქართველოს მომხრეთა დამარცხება 212

§ 13. ბრძოლის განახლება საქართველოს ტერიტორიაზე . . 220

თავი V. თურქ-სელჩუკთა გაძლიერება და ცვლილებანი ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობაში 243

§ 14. კარინისის ომი. საქართველო ბიზანტიის მოკავშირე . . 243

§ 15. კეისარი შემარიგებლის როლში 256

§ 16. ლიპარიტ ბაღვაშის დამარცხება. საქართველოს განთავისუფლება ბიზანტიის გავლენისაგან 267

§ 17. მართა (მარიამ) ბაგრატიონისა და გრიგოლ ბაკურიანის როლი ალექსი კომნენოსის გამეფების საქმეში 287

Резюме. Грузино-византийские политические взаимоотношения в 970—1070 гг. 310

საკუთარ სახელთა საძიებელი 321

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემჩნეული შეცდომების გასწორება.

გვ.	სტრიქონი ზემ.	სტრიქონი ქვემ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
24	14	—	ამ	იმ
64	12	—	ბერძნებისაგან	ბერძნების მიერ
72	3	—	სამხრეთ ტაოში	ალორის მხარეში
73	2	—	მზადყოფნაში	მზად
73	—	17	ტაოში	ალორის მხარეში
73	—	16	სამხრეთ ტაოში	იბერიაში
76	9	—	მოსულ	წამოსულ
78	—	11	ტაოში	იბერიაში
188	17—18	—	იბრძოდნენ	იბრძოდა
205	10	—	მსხვილი.	მსხვილი
249	16	—	ჯარინისის	ჯარინის
251	3	—	"	"
253	14	—	"	"
256	9	—	"	"
338	—	9	"	"
338	8	—	სამხრეთ ტაოში	ალორის მხარეში

ვ. კოპალიანი

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი შ. მესხია
გამომცემლობის რედაქტორი ლ. გამცემლიძე
ტექრედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორი ე. თოფჩიაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/V-69
ქაღალდის ფორმატი 60×90/16
ნაბეჭდი თაბახი 21,25
სალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 19,62
შეკვეთა 2378; უე 09664; ტირაჟი 1000.

ფასი 1 მან. 68 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 14.

გამომცემლობა „მეცნიერების" სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Копалиани Василий Уплисович

ГРУЗИНО-ВИЗАНТИЙСКИЕ ПОЛИТИЧЕСКИЕ ВЗАИМООТНОШЕНИЯ В 970—1070 гг.

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1969

ეროვნული
ბიბლიოთეკა